ნ. ნანიტაშვილი

საზღვარგარეთის ქვეყნების უახლესი ისტორია

მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები

(1945 — 1977 წწ.)

II ნაწილის II ნაკვეთი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისათვის.

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი—1978

9(ᲘᲡ)7
9 (4 I 9)
ა 243

წინამდებარე სახელმძღვანელო გაგრძელებაა ავტორის მიერ გამოცემული ორი წინა წიგნისა.

მეორე წიგნის მეორე ნაკვეთი მოიცავს მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების: აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, გფრ-ის, იტალიისა და იაპონიის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ისტორიას (1945 — 1977 წწ.).

სამივე წიგნი დაწერილია პროგრამის მიხედვით. სახელმძღვანელო სპეციალური და არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტების გარდა, დაეხმარება საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლებსაც.

რეკომენდებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიისა და ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის მსოფლიო ისტორიის კათედრების მიერ.

რეცენზენტები: ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილების გამგე პროფ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა.
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ისტორიულ ურთიერთობათა განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე.

60602—104
Н————188—78
М-602(08)—78

© გამომცემლობა „განათლება“, 1978

I თავი

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თანამედროვე იმპერიალიზმის თავისებურებანი

§ 1. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე და მესამე ეტაპები

მეორე ეტაპი. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის აღმოცენებისა და გაღრმავების პროცესი თვით კაპიტალიზმის შინა წინააღმდეგობებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ამ პროცესის ანალიზისას იმის უგულებელყოფაც არ შეიძლება, რომ შინა წინააღმდეგობანი ძლიერდება საერთაშორისო არენაზე მომხდარი ღრმა ცვლილებებითაც. ომის შემდგომი მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებას მოჰყვა საერთაშორისო არენაზე სოციალიზმის გადამწყვეტ ფაქტორად გადაქცევა, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა და ამის შედეგად კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის და საერთაშორისო ურთიერთობის ძველი სტრუქტურის მსხვრევა, ახალი მსოფლიო მეურნეობის და პოლიტიკური ურთიერთობის სისტემის შექმნა. ეს უკანასკნელი ხასიათდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემის ბრძოლით.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომით, რომელმაც გაამწვავა და გააღრმავა კაპიტალიზმის ყველა სახის წინააღმდეგობანი, გამოიწვია მისი დასუსტება, ხელი შეუწყო სახალხო რევოლუციების გამარჯვებას ევროპის და აზიის რიგ ქვეყნებში, რომლებიც დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მსოფლიო სისტემად. ამავე დროს გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციები კოლონიებსა და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში, დაიწყო იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა და შეიქმნა მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მესამე ეტაპი. ძალთა თანაფარდობის შეცვლა სოციალიზმის სასარგებლოდ. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო კაპიტალიზ-

მის საერთო კრიზისის მესამე ეტაპი, რომლის თავისებურება ის არის, რომ მისთვის დასაბამი არ მიუცია ომს. იმპერიალიზმი იმდენად დასუსტდა, რომ ვეღარც მშვიდობიან დროს ახერხებს განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას, რის შედეგად იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა დაიშალა.

მესამე ეტაპის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მსოფლიოს ყველა ხალხის მისწრაფება — თვითონ გახდეს საკუთარი ქვეყნის სრული გამგებელი, დაიცვას უცხოეთის ჩარევისაგან თავისი ეროვნული ინტერესები. მსოფლიოს ხალხების ამ მისწრაფებას მხარს უჭერენ სოციალისტური ქვეყნები.

60-იან წლებში კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის იყო, რომ „გრძელდებოდა და ღრმავდებოდა თანამედროვე სამი ძირითადი რევოლუციური ძალის — სოციალიზმის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის და ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უდიდესი კავშირი"[1].

რევოლუციური ძალების გავლენის ზრდა განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ გზას. მსოფლიო ძალთა თანაფარდობაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა იმპერიალიზმი აიძულა „ცივი ომიდან" უფრო ფრთხილ პოლიტიკაზე გადასულიყო სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა ომის საშიშროება და საერთაშორისო დაძაბულობა. იმპერიალისტები რწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირის განკარგულებაში არსებული თერმობირთვული იარაღის გამო ახალი ომის გაჩაღება მათთვის საბედისწერო გახდება.

§ 2. თანამედროვე იმპერიალიზმის თავისებურებანი

სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ომის შემდეგ მომხდარმა უდიდესმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა დაარჩარეს მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაზრდა[2].

---

[1] XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 5.

[2] „სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის" ცნების გაიგივება „სახელმწიფო კაპიტალიზმის" ცნებასთან შეცდომა იქნება. ეს უკანასკნელი შეიძლება არსებობდეს ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

სახელმწიფო კაპიტალიზმი ერთ-ერთი წყობა იყო სხვა მრავალ ეკონომიკურ წყობასთან ერთად საბჭოთა და ზოგიერთი სხვა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი გვხვდება მხოლოდ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

თანამედროვე სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი გიგანტურ მონოპოლიებთანაა შერწყმული. სახელმწიფო თვითონ არის უმსხვილესი მესაკუთრე. უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო დაბანდებანი საშუალოდ შეადგენს საერთო კაპიტალური დაბანდების 30%-ს.

სახელმწიფო-მონოპოლისტური იმპერიალიზმი დიდი მოგებებისა და თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით ცდილობს დააპროგრამოს ეკონომიკის განვითარება საერთო-ეროვნული მასშტაბით. სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების უმნიშვნელოვანესი მატერიალური ბაზაა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც სახელმწიფო მონოპოლიების სასარგებლოდ ანაწილებს. უზარმაზარი თანხები ბანდდება პერსპექტიულ წარმოებებში, მილიტარიზაციის მიზნებისათვის და სხვა. ამ ბოლო დროს სახელმწიფო მონოპოლიებს აკრედიტებს მცირე დაბანდებების, საპენსიო ფონდების და მშრომელთა ანაბრების ხარჯზე, რითაც მშრომელთა შემოსავალს აქცევს კაპიტალად.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ქმნის სახელმწიფო სექტორს წარმოებაში. თავისი კლასობრივი არსით ეს არის სახელმწიფო-მონოპოლისტური საკუთრება, რომელიც იქმნება: 1) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ახალი საწარმოების მშენებლობის გზით; 2) მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციის გზით; 3) კაპიტალისტური კომპანიების აქციათა ნაწილის სახელმწიფოს მიერ შესყიდვის გზით.

სახელმწიფოს ხელში ხშირად თავს იყრის ისეთი დარგები, რომლებიც დიდ კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვენ (ატომის მრეწველობა), ან რენტაბელური არ არიან (ქვანახშირის, ენერგეტიკის).

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი დიდი მოგებების მიღებისა და თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით მიმართავს კაპიტალისტური საზოგადოების სხვადასხვა მხარის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, ცდილობს დააპროგრამოს ეკონომიკის განვითარება საერთო-ეროვნული მასშტაბით.

ეკონომიკური განვითარების დაპროგრამება მიზნად ისახავს კაპიტალისტური წარმოების სტაბილიზაციას, ანარქიისა და კონკურენციის დამანგრეველი მოქმედების ნაწილობრივ შეზღუდვას. მაგრამ ეს პროგრამირება ისეთნაირად ხორციელდება, რომ არ შეიზღუდოს მონოპოლისტთა ინტერესები. კერძო საწარმოები და მონოპოლისტური გაერ-

---

მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმში არ ნიშნავს რაღაც ახალ, იმპერიალიზმისაგან განსხვავებულ სტადიაში გადასვლას. ეს იგივე კაპიტალიზმია თავისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში. იგი მონოპოლიათა და სახელმწიფო ძალების გაერთიანებაა მონოპოლისტური ბურჟუაზიის პოზიციათა და კაპიტალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით.

თიანებანი არ იღებენ სახელმწიფოსაგან კონკრეტულ საწარმოო დავალებას, ისინი თავიანთი სურვილისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფოს ამა თუ იმ რეკომენდაციის შესრულებაში. მონოპოლიებისადმი სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარების პირობებში სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად მათ ინტერესებს ემსახურება. თანამედროვე წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი თავისთავად მოითხოვს სახალხო მეურნეობაში გეგმიანი საწყისის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის აუმაღლებლად. შრომისა და კაპიტალის ურთიერთობაში თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო გარეგნულად მიუკერძოებელ, ორივე მხარის ინტერესების თანაბრად დაცვის არბიტრის როლს ასრულებს. სინამდვილეში კი იგი მთლიანად კერძო მეწარმის მხარეზეა..

სახელმწიფო-მონოპოლისტურმა რეგულირებამ ვერ გაანთავისუფლა კაპიტალისტური ეკონომიკა დიდი კრიზისული დარტყმებისაგან. მან ეკონომიკურ ციკლში მხოლოდ გარკვეული დეფორმაცია შეიტანა. კაპიტალიზმის განვითარების ციკლური ხასიათი, რომელიც გამოწვეულია კერძო-კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობით, დღევანდლამდე რჩება. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისები კვლავ მთელი ძალით ავლენს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობებს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი აქტიურად იჭრება შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის სფეროშიც, ზრდის მუშათა კლასის ხელფასს, აუმჯობესებს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების საქმეს. ამ დათმობების მიზანია მშრომელი მასების კლასობრივი შეგნების შესუსტება, მათში ე. წ. „ტრანსფორმირებული კაპიტალიზმის", ე. ი. „უკრიზისო საზოგადოების" და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" ერის დადგომის ილუზიების შექმნა, სოციალურ დარგში სოციალისტური სისტემის წარმატებების გავლენის შესუსტება და. ა. შ. ასეთი გზით ბურჟუაზია ცდილობს თავიდან აიცილოს კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის, წინააღმდეგობები წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო — კაპიტალისტურ ფორმას შორის, რომელიც კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობად რჩება.

კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე განუწყვეტლივ მატულობს შრომის განსაზოგადოება, ძლიერდება როგორც ცალკეულ საწარმოთა, ისე წარმოების მთელი დარგებისა და მთელი სახალხო მეურნეობის ეკონომიკური კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. თანამედროვე კაპიტალიზმი უდიდესი მასშტაბით აერთიანებს შრომას

და საზოგადოებრივ ხასიათს ანიჭებს წარმოებას. მაგრამ წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათის დროს მითვისების ფორმა კერძო რჩება. რაკი წარმოების საშუალებანი კაპიტალისტებს ეკუთვნით, შრომის პროდუქტებიც მათი საკუთრება ხდება. კერძო საკუთრება აფერხებს წარმოების ზრდასა და საწარმოო ძალების განვითარებას.

საერთაშორისო მრავალეროვანი კორპორაციები, ანუ ზემონოპოლიები. 50-იანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი 60—70-იან წლებში, ჩქარდება მონოპოლიების გაერთიანების პროცესი, რაც იწვევს ეროვნული სიმდიდრის თავმოყრას გიგანტური კორპორაციების ძალზე ვიწრო ჯგუფის ხელში. 1950—1954 წლებში აშშ-ში გაერთიანდა 1424 საწარმო, 1960—1964 წლებში — 4366, 1965—1969 წლებში კი—14533. ამ გაერთიანების შედეგად შექმნილი სამრეწველო ფინანსური ჯგუფები ახდენენ არა მარტო პროდუქციის წარმოების ცალკეული დარგების, არამედ მრეწველობის მთელი დარგების მონოპოლიზირებას.

დიდ მასშტაბებს მიაღწია აგრეთვე ფულის რესურსების კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ უმსხვილესი ბანკებისა და სადამზღვევო კომპანიების ხელში. კაპიტალისტური სამყაროს 25 უმსხვილესი ბანკის თანხის აქტივები 260 მლრდ. დოლარზე მეტია.

საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმის შედეგად მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ერთი მუჭა მაგნატების ხელში აღმოჩნდა.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია“ აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა უზომოდ განავითარეს მონოპოლიები, იღებენ ასობით მილიონ, თუ არა მილიარდ ზემოგებას, სხვა ქვეყნების ასობით მილიონ მოსახლეობას ტვირთად აწვებიან, იბრძვიან ერთმანეთს შორის განსაკუთრებით მდიდრული, განსაკუთრებით მსუყე, განსაკუთრებით „მშვიდი“ ნადავლის გაყოფისათვის.

მრავალეროვანი კორპორაციები ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მოვლენაა თანამედროვე სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებაში. მთელ მსოფლიოში მოფენილი თავიანთი ფილიალებისა და შვილობრივი საწარმოების საშუალებით ისინი სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ კაპიტალისტურ სამყაროში არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებაზე.

კაპიტალისტურ სამყაროში ახლა 7 ათასამდე მრავალეროვნული კორპორაციაა, რომელთა წლიური წარმოების მოცულობა 500 მლრდ. დოლარს აღემატება. ისინი კონტროლს უწევენ მთელი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით მესამედს.

7 ათასი მრავალეროვანი კორპორაციიდან ყველა თანაბარ როლს როდი ასრულებს მსოფლიო კაპიტალისტურ ეკონომიკაში. მათ შორის უდიდეს ზემონოპოლიებს მიეკუთვნება 200-მდე კომპანია.

უდიდესი მრავალეროვანი კორპორაციები ამერიკულია. ეს არის „ექსონი", „ფორდი", „კრაისლერი", „ჯენერალ მოტორსი", „ჯენერალ ელექტრიკი" და სხვები. თითოეული კორპორაციის წარმოების მოცულობა დიდად განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების— ბელგიის და ნორვეგიის — ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს აღემატება. აშშ-ის 20 უდიდესი მრავალეროვანი კორპორაცია ქვეყნის სამრეწველო წარმოების დაახლოებით მესამედს და ამერიკის ექსპორტის თითქმის ნახევარს იძლევა.

ამერიკის მონოპოლიების ექსპანსიის მთავარი ობიექტებია დასავლეთ ევროპა და კანადა. აშშ-ის მონოპოლიათა ხელში კაპიტალის უზარმაზარი კონცენტრაციის შედეგად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იქმნება ზეეროვნული ეკონომიკური მონოპოლიები, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგება იმ ქვეყნების ინტერესებს, სადაც მრავალეროვანი გიგანტები მოქმედებენ. მონოპოლიები ისეთ დარგებში იკიდებს ფეხს, რომლებშიც აშშ-ის ტექნოლოგიას უპირატესობა აქვს და კონკურენციას ვერავინ უწევს. ამის, და აგრეთვე მაღალი რენტაბელობის წყალობით კორპორაციები სულ ახალ-ახალ პოზიციებს იპყრობენ დასავლეთ ევროპაში.

ამ ბოლო დროს მრავალეროვანი კომპანიების ექსპანსიის დიდმნიშვნელოვანი ობიექტი გახდა განვითარებადი ქვეყნები. მათ თავიანთი კაპიტალი გააქვთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში და საშუალოდ ორ-სამჯერ მეტ მოგებას იღებენ, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის მონოპოლიებს ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან გამოაქვთ იმ მოგების დაახლოებით 80%, რომელსაც მათი ფილიალები და შვილობრივი საწარმოები იღებენ. სულ 7—8 წელიწადში ისინი დიდი მოგებით ინაზღაურებენ მთელ თავიანთ დანახარჯებს ამ კონტინენტის ქვეყნებში.

იმპერიალისტური მონოპოლიები სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში გაბატონებული პოზიციების მოპოვების მიზნით ქმნიან აქ თავიანთი საწარმოების ფილიალებს, რითაც თავიანთ კონტროლს უქვემდებარებენ მთელ საწარმოო ტექნოლოგიას და გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ ბაზარზე.

განვითარებად ქვეყნებში თავიანთი პოზიციების შენარჩუნების მიზნით მრავალეროვანი კორპორაციები სხვადასხვაგვარ ხერხს მიმართავენ — ძლიერ ზეგავლენას ახდენენ მარიონეტულ რეჟიმზე, აწყობენ სახელმწიფო გადატრიალებებს პროგრესული რეჟიმის წინააღმდეგ და ა. შ.

მრავალეროვანი კორპორაციების საქმიანობას გმობენ ავტორიტეტული საერთაშორისო ფორუმები. მაგალითად, 1976 წლის ოქტომბერში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივით ბუდაპეშტში მოწვეულმა მსოფლიო კონფერენციამ, რომელშიც თითქმის ასი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, აღნიშნა, რომ მრავალეროვანი კორპორაციები „ექსპლუატაციას უწევენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას და ხშირად ერევიან კიდეც იმ ქვეყნის საშინაო საქმეებში, სადაც ისინი პარპაშობენ."

§ 3. იმპერიალიზმის სამი ცენტრის შექმნა. ინტეგრაცია

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნისა და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის შედეგად მკვეთრად შეეიწროვდა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის მოქმედების სფერო. ძველმა უდიდესმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა დაკარგეს თავიანთი ძველი სპეციფიკური თავისებურებანი — ინგლისის იმპერიალიზმმა კოლონიური, საფრანგეთის იმპერიალიზმმა სამევახშო, იაპონიის იმპერიალიზმმა — სამხედრო ფეოდალური ხასიათი.

ამასთანავე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში გაძლიერდა იმპერიალისტური ქვეყნების უთანაბრო ეკონომიკური განვითარება. ამის შედეგი იყო ის, რომ 50-იანი წლებიდან აშშ-ის ჰეგემონია კაპიტალისტურ სამყაროში შესუსტდა. თუ 1948 წელს აშშ-ის ხვედრითი წონა კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოებაში 54% შეადგენდა, 1973 წელს იგი 40%-მდე დავიდა. განსაკუთრებით დაწინაურდნენ იაპონია და გფრ, რომელთაც უკან ჩამოიტოვეს ინგლისი და საფრანგეთი.

უთანაბრო განვითარებამ მალე გამოიწვია იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობების გამწვავება და სამი იმპერიალისტური ცენტრის ჩამოყალიბება — აშშ, დასავლეთ ევროპა და იაპონია.

პირველი ცენტრია აშშ, რომლის ხვედრითი წონა 60—70-იან წლებში კაპიტალისტური სისტემის წარმოებაში შემცირდა, მაგრამ მის განკარგულებაშია უზარმაზარი ფინანსები, რომელთა წყალობით იგი იჭრება თვით განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაშიც კი.

70-იანი წლების დამდეგს ამერიკის მონოპოლიები დასავლეთ ევროპაში კონტროლს უწევდნენ საავტომობილო წარმოების მესამედს, ელექტროგამოთვლითი მანქანების წარმოების 80% და ა. შ.

50-იან წლებში დასავლეთ ევროპაში გამოვლინდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ახალი ფორმა — ეკონომიკური ინ-

ტეგრაცია. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სახალხო რევოლუციების გამარჯვების და მათი კაპიტალისტური საპყაროდან ჩამოშორების შედეგად დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმი მნიშვნელოვნად დასუსტდა. ამ უკანასკნელის განმტკიცებისა და სოციალისტურ სისტემასთან დაპირისპირების მიზნით მოხდა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ერთ ეკონომიკურ დაჯგუფებაში გაერთიანება.

1957 წელს რომში დადებული ხელშეკრულებით საფრანგეთი, გფრ, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი გაერთიანდნენ „საერთო ბაზარში", ანუ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში. იგი ითვალისწინებს მასში შემავალ ქვეყნებს შორის საბაჟო გადასახადების თანდათანობით შემცირებას და „პიროვნებების, კაპიტალის და მომსახურების" თავისუფლად გადანაცვლებას.

„საერთო ბაზარში" თავდაპირველად, საფრანგეთის უარყოფითი პოზიციის გამო, არ მიიღეს ინგლისი, რომელმაც თავის მხრივ 1958 წელს შექმნა „თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია". მაგრამ ეს უკანასკნელი მალე დაიშალა და 1973 წლის 1 იანვრიდან, ხანგრძლივი დავისა და მოლაპარაკების შემდეგ, ინგლისი, დანია და ირლანდია შევიდნენ „საერთო ბაზარში".

ინტეგრაციისადმი მისწრაფება საწარმოო ძალების განვითარების შედეგია, როდესაც ეროვნული საზღვრები აღარ აკმაყოფილებს მათ და ძლიერდება ტენდენცია შრომის საერთაშორისო დანაწილებისადმი. ეკონომიკურ ინტეგრაციას და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციებს პროგრესული მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოში ამჟამად 20 მილიონამდე სხვადასხვა სახის საწარმოო პროდუქციასა და სამომხმარებლო დანიშნულების საქონელს უშვებენ, რომლის ასორტიმენტი კვლავ სწრაფად იზრდება. გასაგებია, რომ ცალკეულ ქვეყნებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ აწარმოონ აღნიშნული რაოდენობის საქონელი, ვინაიდან მათში ადამიანების, მატერიალური და ფინანსური რესურსები, თუ თითოეულს ცალ-ცალკე ავიღებთ, ამ მხრივ ძალზე შეზღუდულია. პატარა და საშუალო ქვეყნებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ მსოფლიო ტექნიკურ დონემდე ამაღლება. ამიტომ ეკონომიკური განვითარების მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ინტეგრაციის განვითარების საკითხებს, მაგრამ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ინტეგრაციას შორის პრინციპული განსხვავებაა და იგი სოციალურ-ეკონომიკური წყობითა და სოციალური მიზნებით განისაზღვრება.

კაპიტალიზმის პირობებში ინტეგრაციას მსხვილი მონოპოლიები თავიანთი ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის იყენებენ, რის გამოც იგი რეაქციულ მიზნებს ისახავს — ბრძოლას სოციალისტური ქვეყნებისა და მუშათა და რევოლუციური ძალების წინააღმდეგ, გან-

ვითარებადი ქვეყნებისადმი კოლონიური პოლიტიკის კოლექტიურად განხორციელებას. „საერთო ბაზარი“ ნატოს აგრესიული ბლოკის ეკონომიკურ ბაზასაც წარმოადგენს. მაგრამ იგი საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირის სპეციფიკური ფორმაცაა, რომლის ერთ-ერთი მიზანია აშშ-გან დასავლეთ ევროპის ჩამორჩენილობის დაძლევა. ეს ამოცანა საკმაოდ წარმატებით ხორციელდება.

კაპიტალისტური ინტეგრაცია არ ასუსტებს წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების გამო მწვავდება წინააღმდეგობანი სამ იმპერიალისტურ ცენტრს შორის.

მესამე ცენტრი — იაპონია—ძალზე საშიშ კონკურენტად გადაიქცა აშშ-ისა და „საერთო ბაზრის“ მიმართ. იაპონია ძალზე დიდ კონკურენციას უწევს ორივეს არა მარტო საერთაშორისო ბაზარზე, არამედ საშინაო ბაზარზეც.

სამი იმპერიალისტური ცენტრის ძალთა თანაფარდობა (1972 წ.) [1]

	აშშ	საერთო ბაზარი—ცხრა სახელმწიფო	იაპონია
ტერიტორია (მლნ. კვ. კმ.)	9.4	1,4	0,4
მოსახლეობა (მლნ. კაცი)	207	245,5	104,6
ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოებაში კაპიტალისტურ სამყაროში (%%)	41,0	26,7	9,5
საერთო ეროვნული პროდუქცია (მლრდ. დოლარებში მიმდინარე ფასებში)	974,1	614,2	197,2
ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	3886	—	1536
ხარჯები მეცნიერულ-კვლევით და გამოსაცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებაში 1969 წელს (მლრდ. დოლარებში)	26,0	9,1	2,1
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. (მლრდ. დოლარებში)	104.0	308.3	52.1
ექსპორტი	49,1	153,4	28.6
იმპორტი	55,5	154,9	23.5
კომპანიების რაოდენობა 1 მლრდ. დოლარის ბრუნვით	115	26	13
ექსპორტის ხვედრითი წონა კაპიტალისტურ სამყაროში (%%)	13.5	42.2	7,9
პირდაპირი სამხედრო ხარჯები (მლრდ. დოლარი)	78,3	28,2	2,6
შეიარაღებული ძალების რაოდენობა (ათასი კაცი)	3161	1775	260
ოქროს რესურსები (მლრდ. დოლარი)	10,5	16,0	0.8

[1] «Мировая экономика и международные отношения», № 8, 1973. Приложение.

უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში სამრეწველო პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოება (1972 წ.)[1]

პროდუქციის სახეები	რაოდენობა	აშშ	იაპონია	გფრ	ინგლისი	საფრანგეთი	იტალია
ელექტროენერგია	მლრდ. კვტ/საათი	1875	327	271	255	157	132
ფოლადი	მლნ. ტონა	120	97	44	26	24	20
ცემენტი	„	72	66	43	18	31	34
ნავთობის პროდუქტები	„	787	201	101	100	112	118
ავტომანქანები	მლნ. ცალი	11,2	6,3	3,8	2,3	3,3	1,8
საზღვაო გემები (ჩაშვებული ზღვაში)	მლნ. წყალწყვისა	0,6	12,8	1,6	1,2	1,1	0,9
ლითონდამმუშავებელი მოწყობილობა	მლნ. დოლ. ღირ.	1325	955	1750	417	395	380
ტელევიზორები	მლნ. ცალი	11,2	13,0	2,5	2,4	1,5	1,5
რადიომიმღებები	„	18,6	26,8	5,3	1,6	2,9	2,9
გოგირდოვანი მჟავა	მლნ. ტონა	27,1	6,7	4,7	3,5	4,0	3,1
პლასტმასები და სინთეტიკური ნაწარმი	„	8,9	5,1	5,5	1,6	1,7	1,9
ქიმიური ბოჭკო	„	2,6	3,6	0,8	0,8	0,3	0,4
სინთეტიკური ბოჭკო	„	1,9	1,2	0,6	0,4	0,2	0,3
შალის ნართი	ათასი ტონა	298	196	88	232	148	167

იაპონიის სავაჭრო ექსპანსიამ განსაკუთრებით 70-იან წლებში, კერძოდ 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, ძალზე გაამწვავა წინააღმდეგობანი აშშ-თან და „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან. იაპონიამ ამ ორ იმპერიალისტურ ცენტრთან მიაღწია ექსპორტის მკვეთრად გაზრდას იმპორტთან შედარებით, რასაც მოჰყვა სავაჭრო ომი, განსაკუთრებით „საერთო ბაზართან“.

თავისი პოტენციური შესაძლებლობით იაპონია მნიშვნელოვნად ჩამორჩება აშშ-ს და „საერთო ბაზარს“, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში ინგლისის, დანიის და ირლანდიის შესვლის შემდეგ, მაგრამ განსხვავება ამ ჩამორჩენაში მცირდება იაპონიის სასარგებლოდ.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. მისი მიზანია სამუშაო მანქანა გადააქციოს მანქანა-ავტომატად. წარმოების ავტომატიზაციის პროცესი ხორციელდება კიბერნეტიკის, ე. ი. წარმოების მართვის მოწყობილობებისა და გამოსათვლელი ტექნიკის საანგარიშო-ამომხსნელი მოწყობილობების მეშვეობით. ავტომატიზაციის უპირწყინვალესი შედეგი ისაა, რომ თვითონ მანქანებს იყენებენ მანქანე-

[1] «Мировая экономика и международные отношения», № 8, 1973. Приложение.

ბის სამართავად. მმართველი მანქანა აძევებს მწარმოებელს, ცვლის მის ფუნქციებს. ავტომატიზებულ საწარმოში მწარმოებლის მოვალეობაა მანქანების მართვა.

წარმოების ავტომატიზაცია განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდება ელექტროენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, მანქანათმშენებლობის, შავი მეტალურგიისა და ქიმიურ მრეწველობაში.

ინდუსტრიალიზაციამ მოიცვა უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობაც, რომელიც გადავიდა განვითარების მანქანურ სტადიაზე.

ახალი ტექნიკური პროგრესი ხარისხობრივად განსხვავდება XVIII—XIX საუკუნეების სამრეწველო რევოლუციისა და სხვა ტექნიკური გადატრიალებისაგან. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია საწარმოო ძალების განვითარების ისტორიული პროცესია, რომელიც დაკავშირებულია თერმობირთვული ენერგიის დაუფლებასა და კოსმოსის ათვისებასთან, ქიმიის განვითარებასთან, წარმოების ავტომატიზაციასთან და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა უმნიშვნელოვანეს მიღწევებთან. თავისი გაქანებით მას ინტერნაციონალური ხასიათი აქვს.

წარსულში მომხდარი ტექნიკური გადატრიალებისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად მოიცავდა მრეწველობას, ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ინდუსტრიულ ბაზაზე გადაყავს ტრადიციულად ჩამორჩენილი დარგები, მაგალითად, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და არამწარმოებლური სფერო: ვაჭრობა, საკრედიტო-ფინანსური სისტემა, მართვის აპარატი და სხვა.

ვინაიდან ამ მთელი პროცესის საფუძველია მეცნიერება, მკვეთრად იზრდება მისი შემდგომი განვითარებისა და ახალი კვლევისათვის საჭირო ხარჯები. იზრდება აგრეთვე შრომის ინტენსიფიკაცია. ინტენსიურად მიმდინარეობს წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და ინდუსტრიალიზაცია წარმოშობს აგროსამრეწველო კომპლექსს, სადაც ბატონობენ მსხვილი მონოპოლიები.

მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებში სხვადასხვა შედეგი აქვს. პირველში იგი ემსახურება მთელი მშრომელების კეთილდღეობას, მეორეში კი — ერთი მუჭა კაპიტალისტების ინტერესებს.

§ 4. ორ სისტემას შორის შეჯიბრების შედეგები

სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა უარი თქვა ტექნიკური პროგრესის ხელოვნურად დაყოვნების პრაქტიკაზე და იძულებული გახდა მიეღო მსოფლიო სოციალისტური სისტემის გამოწვევა ეკონომიკურ შეჯიბრებაში. სოციალიზმთან შეჯიბრებაში ჩამორჩენის შიშით თანამედროვე კაპიტალიზმი იძულებულია დანერგოს ტექნიკური სიახლენი, მაგრამ ამ შეჯიბრებაში კაპიტალიზმი თანდათანობით კარგავს თავის პოზიციებს.

1951—1976 წლებში სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდის ტემპები საშუალოდ შეადგენდა 10%-ს (საბჭოთა კავშირში — 9,4%), განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში — 4,7% (აშშ-ში—4,7%). ამის შედეგი ისაა, რომ სოციალისტური ქვეყნების ხვედრითი წონა გაიზარდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციაში: 1917 წელს იგი 3%-ზე ნაკლებს შეადგენდა, 1937 წელს — 10%-მდე იყო, 1950 წელს — 20%-მდე, 1976 წელს— 40%-ზე მეტი. აქედან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ ქვეყნებზე მოდის 33%.

სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შეადგენს ეკონომიკურად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის მოცულობის 3/4-ს. 1976 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებმა 2-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია აწარმოეს, ვიდრე „საერთო ბაზარში“ შემავალმა ცხრა სახელმწიფომ.[1]

ამჟამად საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ნავთობის, რკინის მადნის წარმოებით, თუჯისა და ფოლადის გამოდნობით, მინერალური სასუქების, ცემენტის, შალეულის წარმოებით და სხვა.

1976 წლისათვის სოციალისტური ქვეყნები იძლეოდნენ მთელი მსოფლიოს მარცვლეულის წარმოების 40%-ს, სელის — 90, კარტოფილის — 67, ჭარხლის — 51, ბამბის — 41, რძის — 25 პროცენტზე მეტს.

კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკურ და სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების ფონზე განსაკუთრებით შთამბეჭდავია სოციალისტური ქვეყნების გრანდიოზული წარმატებები. იგი ერთხელ კიდევ მოწმობს სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით.

---

[1] „Международная жизнь“, № 6, 1977 წ., გვ. 145—146.

ორი სისტემის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები (1950 წ. — 100%)

	1965 წ.	1970 წ.	1976 წ.
წარმოებული ეროვნული შემოსავალი			
ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები	336	479	691
საბჭოთა კავშირი	364	528	732
„საერთო ბაზრის“ ქვეყნები	200	250	295
ა შ შ	174	202	237
სამრეწველო პროდუქციის მოცულობა			
ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები	455	679	11-ჯერ
საბჭოთა კავშირი	458	689	10-ჯერ
„საერთო ბაზრის“ ქვეყნები	235	302	344
ა შ შ	200	240	289
სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა			
ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები	170	203	228
საბჭოთა კავშირი	182	223	238
„საერთო ბაზრის“ ქვეყნები	146	163	174
ა შ შ	132	136	150
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა			
ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები	478	737	23-ჯერ
საბჭოთა კავშირი	499	765	23-ჯერ
„საერთო ბაზრის“ ქვეყნები	371	639	19-ჯერ
ა შ შ	255	433	13-ჯერ

§ 5. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი

ბურჟუაზიული და მარქსისტული მსოფლმხედველობის მომხრეთა იდეოლოგიური დავის ერთ-ერთი პრინციპული ობიექტია ეკონომიკური კრიზისებისა და ციკლების პრობლემები. ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა მრავალი „თეორია“ შექმნეს ეკონომიკური კრიზისების ახსნისა და მათი დაძლევის შესახებ. ყველა ეს „თეორია“ ცდილობს დაამტკიცოს, რომ კრიზისები არაა გარდაუვალი და მათი თავიდან აცილება შეიძლება „სწორი“ პოლიტიკის გზით, რომ „უკრიზისო კაპიტალისტური საზოგადოების“ დამყარება შესაძლებელია, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიებია. ომის შემდეგ კაპიტალისტურ სამყაროს მრა-

წყო, რომელიც მხოლოდ აშშ-ს ძოედო. დასავლეთ ევროპაში კი, სადაც ეკონომიკის აღდგენა ჯერ არ იყო დამთავრებული, კრიზისი გამოიხატა მხოლოდ ვაჭრობის შემცირებაში ამერიკასთან. 1949 წლის შემოდგომაზე დაიწყო საერთაშორისო სავალუტო კრიზისი, რომლის შედეგად ევროპის, აზიის და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში გაუტარდა ვალუტის დევალვაცია. დასავლეთ ევროპას ეკონომიკური კრიზისი 1951—1952 წლებში მოედო, 1957—1958 წლებში დაიწყო მორიგი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ძირითადად ისევ აშშ-ს შეეხო, სადაც წარმოების ყოველთვიური ინდექსი 14%-ით დაეცა. ამ კრიზისის დროს წარმოების ზრდის ტემპები შემცირდა: ინგლისში, საფრანგეთში, გფრ-ში, იტალიაში და იაპონიაში. 1960—1961 წწ. და 1970—1971 წწ. ეკონომიკური კრიზისი კვლავ განმეორდა, რომელმაც უფრო მეტი ძალით მოიცვა აშშ, ხოლო დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში კი მხოლოდ წარმოების ზრდის ტემპები შემცირდა.

1973 წლის დამლევს განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკური აქციების შედეგად, რომელიც გამოწვეული იყო დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მიერ ისრაელის აგრესიისათვის მხარდაჭერით, დაიწყო ნედლეულის კრიზისი. არაბულმა ქვეყნებმა უარი თქვეს დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნისათვის ნავთობის მიყიდვაზე. მალე ამის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები ნავთობზე, ტყავზე, ხელოვნურ კაუჩუკზე, შალეულზე, სურსათსა და სხვა საქონელზე. ნედლეულზე ფასების გაზრდამ გამოიწვია ცვლილებები წარმოების ხარჯებში, დაარღვია უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურა მრეწველობაში, რასაც წარმოების დეზორგანიზაცია მოჰყვა.

1974 წელს დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც თავისი მასშტაბებით და სიღრმით ბევრად გადააჭარბა ყველა ომის შემდგომ კრიზისს. თუ ამ კრიზისამდე, ე. ი. 50—60-იან წლებში, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში ნაკლებად იგრძნობოდა ეკონომიკური კრიზისების გავლენა, 1974—1975 წლებში კი იგი აშშ-თან ერთად მთელი ძალით მოედო დასავლეთ ევროპასა და იაპონიას. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი, როგორც აღნიშნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე „შეიძლება შევადაროთ 30-იანი წლების დამდეგის კრიზისს. იგი ერთდროულად გავრცელდა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ყველა ძირითად ცენტრში. დამახასიათებელია, რომ ასეთი ძალის კრიზისმა მოიცვა დიდად განვითარებული სახელმწიფო-მონოპოლისტური ეკონომიკა, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა. კაპიტალიზმი ყოველნაირად ცდილობდა, ასე ვთქვათ, ფეხი აეწყო დროისათვის, გამოეყენებინა ეკონომიკის რეგულირების სხვადასხვა მეთოდი. ამან ეკონომიკური სტიმულირების შე-

საძლებლობა კი შექმნა, მაგრამ, როგორც ამას კომუნისტები წინასწარმეტყველებდნენ, ვერ აღმოფხვრა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი... ახლანდელი კრიზისი ჩვეულებრივი არ არის. ახლა ყველა ხედავს: გაქარწყლდა ერთ-ერთი მთავარი მითი, რომელიც რეფორმისტებმა და ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა შექმნეს, — მითი, თითქოს ჩვენი დროის კაპიტალიზმს შეეძლოს თავი დააღწიოს კრიზისებს. კაპიტალიზმის მერყეობა სულ უფრო ცხადი ხდება. აშკარად ჩაიშალა დაპირებანი კაპიტალიზმის „გაჯანსაღებისა" და მის ფარგლებში „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების" შექმნის შესახებ".[1]

1975 წლისათვის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების წარმოება 7,6%-ით შემცირდა. თუ წარმოების მაქსიმალური დაცემის ზომას ავიღებთ, ე. ი. კრიზისამდელ უმაღლეს წერტილს და კრიზისის ყველაზე დაბალ დონეს, მაშინ წარმოების დაცემის ამპლიტუდა უფრო მნიშვნელოვანია: აშშ-ში—13,1 პროცენტი, იაპონიაში—20,2, გფრ-ში—8, იტალიაში — 13,5, საფრანგეთში — 13,2 პროცენტი და ა. შ. მართალია, 1929—1933 წლების დიდი ეკონომიკური კრიზისის დაცემის მასშტაბებამდე საქმე არ მისულა,[2] მაგრამ 1974—1975 წლების კრიზისმა ცხადყო, რომ კაპიტალისტურ სამყაროში კრიზისების თავიდან აცილების, ან შესუსტების იმედები გაქარწყლდა.

1975 წლის მეორე ნახევარში სამრეწველო წარმოებისა და სხვა სახალხო კონიუნქტურის დაცემა შეწყდა, შემდეგ კი დაიწყო ნელი ზრდის პროცესი ჯერ აშშ-ში, შემდეგ იაპონიაში, გფრ-ში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში[3]. მაგრამ ეკონომიკის გამოცოცხლება 1975 წლის მეოთხე კვარტალში ძალზედ არათანაბარი იყო. ომის შემდგომი სხვა კრიზისებისაგან განსხვავებით 1975 წლის ბოლოს დაიწყო დეპრესიის ფაზა, რომელიც 1977 წლის ბოლომდე გრძელდებოდა. დასავლეთის ბევრი ქვეყნის წარმოება არ ეცემოდა, მაგრამ არც იზრდებოდა.

ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის 24 ქვეყანაში საერთო პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ზრდა 1976 წლის პირველ

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1976, გვ. 38.

[2] 1929—1933 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს სამრეწველო წარმოების მოცულობა კაპიტალისტურ ქვეყნებში 38%-ით შემცირდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა კი 1/3-ით. უმუშევართა რაოდენობამ 30 მლნ. კაცამდე მიაღწია (აშშ-ში სამრეწველო წარმოების მოცულობა 1932 წლისათვის 47%-ით დაეცა, უმუშევრობამ 17 მლნ. კაცამდე მიაღწია. გერმანიაში წარმოება შემცირდა 40%-ით, უმუშევართა რაოდენობამ მიაღწია 7,5 მლნ. კაცამდე (1932 წ.), ინგლისში 23%-ით და ა. შ.).

[3] „Международная жизнь № 9 1977 г., გვ. 16— 7.

ნახევარში 6%-ს შეადგენდა, მეორე ნახევარში კი დაეცა 3,5%-მდე. 1976 წლის მეოთხე კვარტალში სამრეწველო წარმოება რიგ ქვეყნებში თითქმის არ იზრდებოდა და ამ დროისათვის კრიზისამდელ დონეს თითქმის ვერც ერთმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ ვერ მიაღწია. მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების სიმძლავრე არ იყო მთლიანად დატვირთული და მეწარმეები თავს არიდებდნენ კაპიტალის დაბანდებას და წარმოების გაფართოებას, ვინაიდან ეჭვი ეპარებოდათ პერსპექტივებზე. ამიტომ 1976 წლის მეორე ნახევარში უმუშევრობა კი არ შემცირდა, გაიზარდა და ინდუსტრიალურ კაპიტალისტურ ქვეყნებში 15 მლნ-მდე მიაღწია.

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისის თავისებურება მარტო მისი ჭარბი წარმოების მასშტაბებში კი არ გამოიხატება, არამედ იმაში, რომ იგი ხასიათდება ინფლაციის და უმუშევრობის გაძლიერებით, ე. წ. სტრუქტურული კრიზისებით (ენერგეტიკულის, ნედლეულის, სურსათის, ვალუტისა და ეკოლოგიურის) და აგრეთვე კაპიტალისტური მეურნეობის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების სისტემის კრიზისით. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისის თავისებურება სწორედ ყველა ამ პროცესის შერწყმის შედეგშია გამოხატული. ამიტომ, ეს თარიღი შეიძლება მივიჩნიოთ კაპიტალისტური ეკონომიკის ომის შემდგომი განვითარების გარდატეხის მომენტად, ვინაიდან ჭარბი წარმოების კრიზისის დამთავრების შემდეგ კვლავ გრძელდება და ღრმავდება სტრუქტურული კრიზისები, განსაკუთრებით ნედლეულის კრიზისი. ეს უკანასკნელი ნედლეულის უკმარობით კი არაა გამოწვეული. მისი მიზეზია განვითარებადი ქვეყნების მიერ ნედლეულის არასტაბილური მიწოდება, მასზე ფასების ზრდა და ნედლეულის ზოგიერთ სახეზე დეფიციტის შექმნის საშიშროების გამო მისი გამოყენების სტრუქტურის შეცვლის აუცილებლობა. ამიტომ ნედლეულის კრიზისი ჯერ არ დამთავრებულა და იგი ალბათ 80-იან წლებშიც გაგრძელდება.

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს „გაძლიერდა მეტოქეობა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, უთანხმოება „საერთო ბაზარსა“ და ნატოში. საერთაშორისო მონოპოლიათა გაზრდილმა ძლიერებამ კიდევ უფრო დაუნდობელი გახადა კონკურენტული ბრძოლა. კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები განუწყვეტლივ ცდილობენ შეანელონ წინააღმდეგობანი, შეთანხმდნენ კრიზისის დაძლევის ერთობლივ ღონისძიებათა შესახებ“ [1]. მართლაც, ომის შემდგომ პერიოდში მთავრობის ხელმძღვანელთა ამდენი რაოდენობის შეხვედ-

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 38.

რა, კონფერენცია, თათბირი ეკონომიკურ საკითხებზე არ ყოფილა, რაც ამ უკანასკნელ წლებში იყო. მაგალითად, 1973—1977 წლებში მოეწყო „საერთო ბაზრის“ ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრების მთელი სერია, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის მრავალი თათბირი და ა. შ. მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების: აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის ხელმძღვანელთა რეგულარული შეხვედრები. პირველი შეხვედრა მოეწყო 1975 წლის ნოემბერში რამბუიეში, შემდეგ 1976 წლის ნოემბერში პუერტო-რიკოში, 1977 წლის მაისში კი ლონდონში შედგა თათბირი, რომელშიც კანადაც მონაწილეობდა. ამ თათბირების დღის წესრიგში იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საგარეო ვაჭრობის, სავალუტო ურთიერთობის, კონიუნქტურაზე გავლენის მოხდენის, განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობის და სხვა პრობლემები. მაგრამ, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმპერიალიზმის ბუნება ისეთია, რომ თითოეული ცდილობს უპირატესობა მიიღოს სხვების ხარჯზე, სხვას მოახვიოს თავისი ნება. უთანხმოებანი ვლინდება ახალი ფორმებით, წინააღმდეგობანი — ახალი ძალით.“[1]

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს გაიზარდა უმუშევრობა (15 მლნ კაცამდე), რასაც მოჰყვა მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება, მუშათა საგაფიცვო მოძრაობის ზრდა. ამასთანავე „გაძლიერდა ბურჟუაზიული საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური კრიზისი. მან მოიცვა ხელისუფლების ინსტიტუტები, ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები, იგი ძირს უთხრის ელემენტარულ ზნეობრივ ნორმებს. კორუფცია სულ უფრო აშკარა ხდება სახელმწიფო მანქანის რგოლებშიც კი. გრძელდება სულიერი კულტურის დაკნინება, იზრდება დამნაშავეობა“.[2]

„კომუნისტები, — აღნიშნა ლ. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე, — სულაც არ აპირებენ კაპიტალიზმის „ავტომატური კრახის“ წინასწარმეტყველებას. მას კიდევ აქვს დიდი რეზერვები. მაგრამ ბოლო წლების მოვლენები ახალი ძალით ადასტურებენ, რომ კაპიტალიზმი არის საზოგადოება, რომელსაც მომავალი არა აქვს.“[3]

---

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 38.

2 იქვე, გვ. 39.

3 იქვე, გვ. 39.

II თავი

ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945—1977 წწ.)[1]

§ 6. ომის შედეგები

ომის მონაწილე დიდ სახელმწიფოებს შორის აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზე არც ერთი ბომბი არ ჩამოვარდნილა. ამიტომ, გასაგებია, რომ ამერიკელ მოსახლეობას არ განუცდია ომის ის საშინელებანი, რაც ევროპის, განსაკუთრებით კი საბჭოთა ხალხმა განიცადა. აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა მეორე მსოფლიო ომში ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა სახით 1,1 მლნ. კაცი დაკარგეს, მათ რიცხვში მოკლულნი და ჭრილობების შედეგად გარდაცვლილნი 407,8 ათას კაცს შეადგენდნენ. თუ ეს დანაკარგი უმნიშვნელოა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან შედარებით, ამერიკის მუშათა როლი იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის წარმოების საქმეში დიდი იყო. აშშ დიდ დახმარებას უწევდა იარაღით და სტრატეგიული მასალებით ანტიფაშისტურ ქვეყნებს — ინგლისს, საფრანგეთს, ჩინეთს, საბჭოთა კავშირს და სხვებს. ამერიკელი ხალხი გულწრფელად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი ფ. რუზველტი, რომელიც 1945 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა.

აშშ-ის სამხედრო ხარჯები ომის დროს შეადგენდა 315 მილიარდ, ხოლო სახელმწიფო ვალი 425 მილიარდ დოლარს. უზარმაზარი სახსრების მრეწველობაში დაბანდების შედეგად ამერიკის წარმოება გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ. მაგალითად, თუ 1929 წლისათვის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქცია 104,4 მლრდ. დოლარით განისაზღვრებოდა, 1941 წლისათვის იგი 125,8 მლრდ. შეადგენდა, ხოლო 1945 წლისათვის — 213,6 მლრდ. დოლარს. ომის დროს სამრეწველო წარმოება 2,5-ჯერ გაიზარდა.

მრეწველობასა და ტრანსპორტში მთელი კაპიტალური დაბანდების 72 პროცენტი სახელმწიფოს ხარჯზე მოდიოდა, რომლის ხვედრითი წონა მაღალი იყო სამხედრო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში. ამის შედეგი იყო, რომ თითქმის სახელმწიფოს სახსრების ხარჯზე შეიქმნა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა ატომის, ალუმინის, სინთეტური კაუჩუკის და სხვ.

---

[1] ტერიტორია — 9364 ათასი კვ/მტ, მოსახლეობა — 215 მლნ (1976 წლის 1 იანვრისათვის) დედაქალაქი—ვაშინგტონი—გარეუბნებთან ერთად — 2571 ათასი მცხოვრები.

აშშ-ის მთავრობამ ომის მთელი დანახარჯების 41 პროცენტი აანაზღაურა გადასახადების ხარჯზე, დანარჩენი კი შეავსო ბონებისა და სესხების გამოშვების გზით. საშემოსავლო დაბეგვრას ექვემდებარებოდა ყველა კატეგორიის მშრომელი, მათ შორის დაბალი შემოსავლის მოქალაქეც, რომელიც ადრე თავისუფალი იყო გადასახადებისაგან. მაღალი გადასახადები დაწესდა დიდი შემოსავლის მქონე პირებზეც. 1942 წელს ყველაზე მაღალ შემოსავალზე გადასახადი დადგინდა 94%-ის ოდენობით. კანონით უმაღლესი წლიური შემოსავალი 25 ათას დოლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. 1943 წელს ზემოგებებზე კიდევ ახალი გადასახადები დაწესდა 90%-ის ოდენობით. მაგრამ ზემოგებების გარკვევა არც ისე იოლი იყო. წაგებულნი მაინც მშრომელები რჩებოდნენ, რომელნიც გადასახადებს ხელფასიდან იხდიდნენ. კორპორაციების სუფთა მოგება ომის ექვსი წლის განმავლობაში 55 მლრდ. დოლარს შეადგენდა, 1931—1938 წლებში კი — 9,5 მლრდ. დოლარით განისაზღვრებოდა.

§ 7. აშშ 40-იან წლებში. საშინაო და საგარეო პოლიტიკა

ეკონომიკური მდგომარეობა 40—50-იან წლებში. ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანა დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს მოელოდა. განსაკუთრებულ შიშს იწვევდა არმიის დემობილიზაციის შედეგად მოსალოდნელი მასობრივი უმუშევრობა. ამიტომ იყო, რომ პენტაგონი (სამხედრო სამინისტრო) გეგმავდა არმიის არა ერთდროულად, არამედ ნაწილობრივ დემობილიზაციას. მაგალითად, პირველ წელს უნდა დემობილიზებულიყო 2 მილიონი კაცი, მაგრამ მთავრობა იძულებული გახდა ერთბაშად 12 მლნ. ჯარისკაცი და ოფიცერი გაეშვა დემობილიზაციის მოთხოვნის მასობრივი კამპანიის გამო. დემობილიზაციის შემდეგ უმუშევრობის საშიშროება შეიქმნა.

გაბატონებული კლასების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ომის დროს მოითხოვდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ომის დამთავრების შემდეგ ანალოგიური ტენდენცია კვლავ გრძელდებოდა. სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების პოლიტიკა ჯერ კიდევ ფ. რუზველტის დროს დაიწყო ე. წ. „ახალი კურსის“ გატარებისას, ხოლო ომის დროს იგი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. მონოპოლისტური ბურჟუაზიის მეორე ნაწილი ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტად ჩარევის წინააღმდეგი იყო. იგი სახელმწიფოსაგან მხოლოდ პროფკავშირების გავლენის ზრდის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა. რეაქციული ბურჟუაზიის ამ ნაწილს „ნეოკონსერვატორები“ ეწოდა. ლიბერალურად განწყობილი ბურჟუაზიის ის ნაწილი კი, რომელიც მომხრე იყო ეკონომიკაში

სახელმწიფოს ჩარევისა მისი რეგულირების მიზნით და ზოგიერთ სოციალურ დათმობებზე წასვლისა, „ნეოლიბერალები“ ეწოდა.

1945 წლის 5 სექტემბერს პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესისადმი მიმართვაში ჩამოაყალიბა მთავრობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ომიდან მშვიდობიან რელსებზე გადასვლას. მან რეკონვერსიის სახელწოდება მიიღო. იგი წინადადებას იძლეოდა მიეღოთ კანონი მოსახლეობის სამუშაოთი უზრუნველყოფის შესახებ, შეემცირებინათ გადასახადები, გაეზარდათ ხელფასის მინიმუმი საათში 40-დან 65 ცენტამდე, გაეუქმებინათ მთავრობის ყველა სახის კონტროლი წარმოებაზე, შეემცირებინათ სამხედრო ხარჯები.

1946 წლის თებერვალში კონგრესმა თითქმის ერთხმად მიიღო კანონები მთლიანი დასაქმებისა და ეკონომიკაზე სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნული კანონი სამ ძირითად მიზანს ისახავდა: დეპრესიის თავიდან აცილებას ეკონომიკაში, მუშათა კლასის მთლიან დასაქმებას და დოლარის სტაბილიზაციას. მთავრობის სამეურნეო საქმეში აქტიურად ჩარევის შედეგად ეკონომიკის დაცემა შედარებით უმტკივნეულოდ იქნა აცილებული, რასაც ხელი შეუწყო ევროპიდან აშშ-ში უდიდესი სიმდიდრის გატანამ. ამერიკელ ხალხს არ განუცდია ომის საშინელებანი — ნგრევა, გაჭირვება. მოსახლეობას საკმაოდ დიდი თანხა გააჩნდა და მსყიდველობითი უნარი მაღალი იყო. საზღვარგარეთაც მაღალი იყო მოთხოვნილება ამერიკულ საქონელზე. ყოველივე ამის გამო აშშ-მა თავიდან აიცილა ომის შემდგომი სერიოზული ეკონომიკური დაქვეითება. მაგალითად, თუ 1945 წელს წარმოების ინდექსი 110-ს შეადგენდა, 1946 წლისათვის იგი 90-მდე დაეცა, ხოლო 1947 წელს ისევ 100-მდე გაიზარდა, 1948 წლისათვის კი — 103-მდე. შედარებით უმნიშვნელო იყო უმუშევრობაც. 1947—1948 წლებში უმუშევარი იყო 2,8 მლნ. კაცი.

აშშ-ის მონოპოლიებმა, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, ისარგებლეს რა კონკურენტების დასუსტებით, პოზიციები გააძლიერეს მსოფლიო ბაზარზე. ომის შემდეგ ისინი დაეუფლნენ არა მარტო დამარცხებული სახელმწიფოების — გერმანიის, იაპონიის და იტალიის, არამედ მოკავშირეთა — ინგლისისა და საფრანგეთის ბაზრებსაც. აშშ-ის მონოპოლიების მსოფლიო ბაზრებზე გაბატონებამ ბიძგი მისცა ამერიკის ეკონომიკის აღმავლობას. ომის შემდეგ აშშ-ზე მოდიოდა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებული ნავთობის 50%, ფოლადის — 50%, ოქროს მარაგის — 73%, მსოფლიო ვაჭრობის მესამედი და ა. შ.

მთავრობის დახმარებით მსხვილმა მონოპოლიებმა შედარებით მოკლე დროში შეძლეს სამხედრო მრეწველობის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანა.

ამერიკის კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტურში გადაზრდის პროცესი, რომელიც სწრაფად მიმდინარეობდა ომის წინ და ომის პერიოდში, ომის შემდგომაც გრძელდებოდა.

ომისა და ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ში გაძლიერდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. ომამდე აშშ-ში იყო 49 გიგანტური საწარმო, ომის დამთავრების წინ კი მათმა რიცხვმა 344 მიაღწია, ე. ი. 7-ჯერ მეტად გაიზარდა. ომამდე იმ გიგანტურ საწარმოებში, სადაც მუშათა რიცხვი 10 ათას კაცზე მეტი იყო, ქვეყნის მუშათა საერთო რაოდენობის 15 პროცენტი მუშაობდა, ხოლო ომის შემდეგ — 30 პროცენტი. მკვეთრად შემცირდა ბანკების საერთო რიცხვი და ძირითადმა კაპიტალმა თავი მოიყარა რამდენიმე მსხვილი გაერთიანებული ბანკის ხელში.

1946 წლისათვის აშშ-ზე მოდიოდა მთელი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო პროდუქციის წარმოების 62 პროცენტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი დარგების ხვედრითი წონა, როგორიცაა საავიაციო და ქიმიური მრეწველობა. აშშ-ის სავაჭრო ფლოტის ტონაჟი უფრო მეტი გახდა, ვიდრე ყველა კაპიტალისტური ქვეყნისა ერთად აღებული. კაპიტალისტური ქვეყნების დავალიანება აშშ-ში შეადგენდა 50 მლრდ. დოლარს. მთავრობის სახელმწიფო დაკვეთების წესმა ხელი შეუწყო ეკონომიკური სიძლიერის კიდევ უფრო მეტად კონცენტრაციას ისეთი ძსხვილი მონოპოლიების ხელში, როგორიცაა როკფელერის, დიუპონის, მორგანის, ფორდის, მელონის და სხვების ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები.

მაგრამ მიუხედავად ამერიკის ომის შემდგომი ეკონომიკის აღმავლობისა იგი ხასიათდებოდა განვითარების მერყეობითა და ნახტომისებურობით — აღმავლობის პერიოდს დაცემის პერიოდი ცვლიდა.

ომის შემდგომი პირველი 15 წლის განმავლობაში ამერიკის ეკონომიკა ოთხჯერ მოიცვა კრიზისმა 1948—1949 წწ., 1953—1954 წწ., 1957—1958 წწ. და 1960—1961 წწ. 50-იან წლებში ამერიკის ეკონომიკის ყოველწლიური ზრდა საშუალოდ 2,5 ან 3% შეადგენდა. 1953—1954 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს სამრეწველო პროდუქციის წარმოება 9 თვის განმავლობაში 10 პროცენტით დაეცა და ა. შ.

მუშათა, კომუნისტური და პროფკავშირული მოძრაობის აღმავლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 40-იანი წლების ანტიმუშური და ანტიდემოკრატიული კანონები. ომის დროს აშშ-ის კომპარტიამ დაიკავა სწორი მარქსისტული პოზიცია და სრულიად სამართლიანად განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომი, როგორც ანტიფაშისტური. კომუნისტები მხარს უჭერდნენ რუზველტის მთავრობის საგარეო პოლიტიკას

იმდენად, რამდენადაც იგი მოქმედებდა ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობდა.

ამავე დროს კომპარტიის ხელმძღვანელობაში გაძვრა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენაში მყოფი ზოგიერთი ელემენტი ბრაუდერის მეთაურობით. ბრაუდერი თავის ბროშურაში „საერთაშორისო კომუნიზმი და აშშ-ის საგარეო პოლიტიკა“ აშკარად გამოდიოდა დრომიჭმული, ცხოვრებისაგან მრავალჯერ უარყოფილი თეორიით ამერიკის კაპიტალიზმის „განსაკუთრებულობის“ და „პროგრესულობის“ შესახებ. იგი აყენებდა რევიზიონისტულ იდეებს „კლასების თანამშრომლობისა და მუშათა კლასისა და კაპიტალისტების ინტერესების ჰარმონიის შესახებ“, ე. წ. „თეორიებით“ ცდილობდა მარქსიზმის „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიის უარყოფას. მან ე. წ. „თეორია“ წამოაყენა „კაპიტალიზმის დროს კრიზისებისა და უმუშევრობის ლიკვიდაციის“ შესახებ მაშინ, როდესაც ისტორიამ ბევრჯერ დაადასტურა, რომ კრიზისები და უმუშევრობა კაპიტალისტური სისტემის თანამგზავრია. ამ ე. წ. „თეორიებიდან“ გამომდინარე, ბრაუდერი ხოტბას ასხამდა რა ამერიკის ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მოითხოვდა „მუშათა კლასის დამორჩილებას ლიბერალური ბურჟუაზიისადმი“.

1944 წელს ბრაუდერმა „კომპარტიის რეორგანიზაციის პოტივით“ ფაქტობრივად კომპარტია დაითხოვა და მას უწოდა კომუნისტურ-პოლიტიკური ასოციაცია. კომუნისტების ერთმა ნაწილმა, რომელიც ვერ გაერკვა შექმნილ მდგომარეობაში, დაუჯერა ბრაუდერს, მაგრამ კომუნისტების დიდი ნაწილი აღაშფოთა ამ გამყიდველურმა მოქმედებამ. მათ გაილაშქრეს ბრაუდერის წინააღმდეგ და 1945 წლის 26—29 ივლისს აშშ-ის კომპარტიის საგანგებო ყრილობაზე კომპარტია აღადგინეს. განახლებულ კომუნისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ამერიკის მუშათა კლასის ერთგული შვილები — ფოსტერი და დენისი, ხოლო ბრაუდერი 1946 წლის თებერვალში, როგორც რენეგატი, პარტიის რიგებიდან გარიცხეს. უ. ფოსტერი პარტიის თავმჯდომარეუ აირჩიეს, უ. დენისი კი — გენერალურ მდივნად.

ბუნებრივია, რომ კომპარტიაში შექმნილმა ვითარებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა აშშ-ის მუშათა მოძრაობის განვითარებაზე. 1929—1933 წლების დიდი ეკონომიკური კრიზისისა და მის შემდგომ პერიოდში განვითარებული ანტიმონოპოლისტური განწყობილება მუშათა კლასში ერთგვარად შესუსტდა. მუშათა მოძრაობაში აღმოცენდა „ეროვნული ერთობის“ ტენდენციები და ილუზიები, უფრო მეტიც, ზოგიერთ მშრომელთა თვალში მსხვილი ბიზნესმენები გადაიქცნენ ამერიკელი ერის უდავო ლიდერებად.

ვითარება ომის დამთავრების შემდეგ შეიცვალა. მუშათა შორის კვლავ გაქრა „ეროვნული ერთობის“ ილუზიები. მუშები, ისევ რო-

გორც ომის წინ, ფართოდ ჩაებნენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მათ მეწარმეებს მოსთხოვეს ხელფასის 30 პროცენტით გაზრდა, მოთხოვნებს თან სდევდა მრავალი გაფიცვა.

1945 წლის უკანასკნელი ოთხთვე-ნახევრის განმავლობაში გაფიცვების შედეგად დაიკარგა 28 მილიონი მუშადღე, ხოლო 1946 წელს— 116 მილიონი. სულ მოეწყო 5 ათასამდე გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 4,6 მლნ. კაცი. მუშადღეების დანაკარგებისა და გაფიცვაში მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით 1946 წელი რეკორდული იყო ამერიკის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მაგრამ ყველა ეს გაფიცვა სუფთა ეკონომიკური ხასიათის იყო და მიუხედავად კომპარტიის ცდებისა იგი ვერ გადაიზარდა პოლიტიკური ხასიათის გაფიცვებში. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ მუშათა შორის აშშ-ის კომპარტიის ყოფილი ხელმძღვანელობის შემთანხმებლური პოლიტიკის შედეგად კომუნისტების გავლენა სუსტი იყო. მუშათა კლასში კომპარტიაზე უფრო დიდი გავლენით პროფკავშირები სარგებლობდნენ. მეორე მსოფლიო ომის ექვსი წლის განმავლობაში პროფკავშირების წევრთა რაოდენობა 8.8 მილიონიდან 14,3 მილიონამდე ვაიზარდა. აქედან 7 მილიონი გაერთიანებული იყო ამერიკის შრომის ფედერაციაში, 5 მილიონი — საწარმოო პროფკავშირების კონგრესში, ხოლო დანარჩენი დამოუკიდებელ პროფკავშირებში.

ამერიკის შრომის ფედერაციის რეაქციული ხელმძღვანელობა უ. გრინის მეთაურობით ძველებურად მოუწოდებდა მუშებს „კლასობრივი თანამშრომლობისაკენ", ილაშქრებდა კომპარტიისა და საწარმოო პროფკავშირების კონგრესის მემარცხენეების მოთხოვნის და მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგ. არასახარბიელო მდგომარეობა იყო საწარმოო პროფკავშირთა კონგრესშიც, სადაც ჯერ-სი შექმნიდან მთელი ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობა ცენტრისტებისა და მემარცხენეების ხელში იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მთელი რიგი სერიოზული წინააღმდეგობანი არსებობდა, ორივე ეს მიმდინარეობა რიგ საკითხებში ერთიანი ფრონტით გამოდიოდა, რის შედეგადაც ამერიკის საწარმოო პროფკავშირის კონგრესმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნაში. მემარცხენეები ყოველმხრივ ცდილობდნენ კოალიცია შეენარჩუნებინათ ცენტრისტებთან, რასაც აქტიურად მხარს უჭერდა აშშ-ის კომუნისტური პარტიაც. მაგრამ 1946 წლის დასაწყისიდან, როდესაც აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეაქციული და აგრესიული კურსი აშკარა გახდა, პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერებმაც მხარი დაუჭირეს მას, ცენტრისტებიც თავის მხარეზე მიიმხრეს და კომუნისტები პროფკავშირებიდან დაითხოვეს. სწრაფი დაახლოება დაიწყო ამერიკის შრომის ფედერაციის რეაქციულ ლიდერებსა და

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მემარჯვენეებს შორის. 1949 წელს მემარცხენეები გარიცხეს კონგრესიდან და ამერიკის ორივე პროფკავშირული ცენტრის ხელმძღვანელობა მემარჯვენე ლიდერების ხელში აღმოჩნდა. საგაფიცვო და პროგრესული მოძრაობის ჩახშობის მიზნით ომის შემდეგ აშშ-ის მმართველმა წრეებმა შემობრუნება დაიწყეს რუზველტის ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პოლიტიკიდან აშკარა დიქტატურისა და რეპრესიებისაკენ. ანტიკომუნიზმი, რეაქციული კანონმდებლობა, „ცივი ომი" საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აშკარად მეტყველებდა, რომ აშშ-ში დამკვიდრდა პოლიტიკური რეაქციის ხანგრძლივი პერიოდი. რეაქციის საერთო გაძლიერების შედეგად კი აშშ-ის მუშათა მოძრაობაში განმტკიცდა მემარჯვენე ელემენტების პოზიციები და შესუსტდა მემარცხენე ძალების გავლენა. ასეთ ვითარებაში მუშათა კლასზე აშშ-ის კომპარტიის გავლენა, ძველი ლიდერების შეცდომების გამო, სუსტი იყო. მუშათა კლასი პოლიტიკურად განიარაღებული აღმოჩნდა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ომის შემდგომ ამერიკაში ევროპისაგან განსხვავებული ვითარება იქმნება. ევროპაში ფაშიზმის განადგურების შემდეგ მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმის ძალების აღორძინება და გაძლიერება ხდება. ამერიკაში კი რეაქცია ყოველგვარი რევოლუციურის, რადიკალურის, პროგრესულის და ლიბერალურის წინააღმდეგ შეტევაზე გადადის. მაგრამ ეს ანტიდემოკრატიული ისტერია „ეროვნული ინტერესების" დაცვის ლოზუნგით მიმდინარეობდა, რომელიც ფაქტობრივად მონოპოლიების ინტერესებს ემსახურებოდა. დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს აშშ-ის მმართველი წრეები ხალხთა მასებზე ზემოქმედების ყოველგვარ საშუალებებს იყენებდნენ. განსაკუთრებით დიდ რეკლამას უკეთებდნენ ე. წ. „სახალხო კაპიტალიზმის" იდეას. ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს ე. წ. „სახალხო, დემოკრატიული კაპიტალიზმი" ცვლის და რომ იგი ხალხის ინტერესებს ასახავს. ამერიკის იმპერიალიზმის იდეოლოგები თავიანთი ვერსიის დასამტკიცებლად მიუთითებდნენ მშრომელთა რიგებიდან ოქციების მფლობელთა რიცხობრივ ზრდაზე, რომ მუშის შემოსავალი თითქოს იზრდება იმდენად, რომ კლასობრივი განსხვავება მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ქრება.

თუ რამდენად უსუსურია ეს ვერსია, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები. ამერიკელ მუშებზე მოდიოდა სამრეწველო კონცერნების აქციების 1,5 პროცენტზე ნაკლები. ასეთ ე. წ. „აქციონერებს", რა თქმა უნდა არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ მსხვილი კომპანი-

ების მმართველობაზე. პირიქით, მსხვილი კომპანიებისათვის აქციების გავრცელება მშრომელთა ძარცვის დამატებითი საშუალებაა.

აშშ-ის ყბადაღებული „სახალხო კაპიტალიზმის“ ნათელ სურათს გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები: 1945 წელს საერთო ეროვნული პროდუქციის ღირებულება 213 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 1970 წლისათვის კი იგი 900 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. მაგრამ ეს უზარმაზარი სიმდიდრე მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე არათანაბრად ნაწილდებოდა. სიმდიდრის ძირითადი ნაწილი ერთი მუჭა მილიონერების ხელში იყო. მაგალითად, მოსახლეობის 1,6 პროცენტი მილიარდერ-მილიონერები —ფლობდა აქციების 80 პროცენტზე მეტს და ობლიგაციების 90 პროცენტს.

ომის შემდეგ აშშ-ის კონგრესმა მრავალი ანტიმუშური და ანტიდემოკრატიული კანონი გამოსცა, რომლებიც ფორმითაა მართლმსაჯულებრივი აქტები, შინაარსით კი გაბატონებული კლასების თვითნებობასა და ძალმომრეობას იცავს.

1946 წლის არჩევნების შედეგად კონგრესის ორივე პალატაში ადგილების უმრავლესობა რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა. წინასაარჩევნო კამპანიის დროს მან წამოაყენა „ახალი კურსის“ ლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგი. ამერიკის კონგრესმა მარტო ერთი წლის განმავლობაში (1946 წ. VI—1947 წ. VII) განიხილა 200-ზდე კანონპროექტი, რომელიც მიმართული იყო მუშათა კლასისა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. ამ კანონპროექტების ნაწილი შემდეგ კანონად იქცა. აღსანიშნავია ტაფტ-ჰარტლის 1947 წლის კანონი, მაკარენ-ვუდის 1950 წლის კანონი, მაკარენ-უოლტერის 1952 წლის კანონი, 1954 წლის კანონი „კომუნისტური მოღვაწეობისადმი კონტროლის შესახებ“ და ა. შ.

ტაფტ-ჰარტლის კანონი, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ტრუმენმა მას ვეტო დაადო, კონგრესმა მიიღო 1947 წლის ივნისში. კანონით სასამართლოებმა უფლება მიიღეს გაფიცვის გამოცხადების შემდეგ იგი 60 დღით გადაეტანათ, რაც ფაქტობრივად გაფიცვის ჭკრძალვას ნიშნავდა. 60 დღის განმავლობაში მეწარმეს შეეძლო მთელი ძალების მობილიზება და გაფიცვის ჩაშლა. თუ მოსალოდნელი გაფიცვა საშიშროებას უქმნიდა „ერის ჯანმრთელობის დაცვასა და უშიშროებას“, მაშინ მისი გადადება პრეზიდენტს სასამართლოების მეშვეობით კიდევ 80 დღით შეეძლო. ამის შემდეგ გაფიცვა კანონიერი იქნებოდა, მაგრამ პრეზიდენტს უფლება ჰქონდა ამის შემდეგაც ეთხოვა კონგრესისათვის, რომ მიმდინარე გაფიცვა აეკრძალათ კონგრესის მიერ გამოცემული სპეციალური სტატუსით. ამრიგად, აღნიშნული კანონი მნიშვნელოვნად აძნელებდა გაფიცვებს, ბოიკოტებსა და პიკეტირებას. ზოგ შემთხვევაში მათ მთლიანად კრძალავდნენ.

გარდა ამისა, ტაფტ-ჰარტლის კანონი მთავრობის კონტროლს აწესებდა შიდაპროფკავშირულ მოღვაწეობაზე. პროფკავშირები ვალდებული იყვნენ სახელმწიფო ორგანოებისათვის ანგარიშის მთლიანი ინფორმაცია მიეწოდებინათ. პროფკავშირებს ეკრძალებოდათ ფულადი სახსრების გამოყოფა უმუშევართა დასახმარებლად, პოლიტიკური კამპანიების ჩატარებისათვის. კანონი უკრძალავდა კომუნისტებს პროფკავშირების ხელმძღვანელობას. პროფკავშირთა ყველა ხელმძღვანელს ფიცი უნდა დაედო და წერილობით დაედასტურებინა, რომ იგი არაა კომუნისტი და არ იზიარებს კომუნისტურ იდეოლოგიას. ასეთი პროცედურა უნდა გაევლო პროფკავშირის ნახევარ მილიონზე მეტ ხელმძღვანელს. ამ კანონის საფუძველზე პროფკავშირთა რეაქციულმა ხელმძღვანელობამ დევნა დაუწყო არა მარტო კომუნისტების, არამედ პროფკავშირების ყველა იმ მემარცხენე ელემენტს, რომლებიც მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების მომხრენი იყვნენ.

ბუნებრივია, რომ ტაფტ-ჰარტლის კანონმა მუშათა დიდი აღშფოთება გამოიწვია. მოსალოდნელი იყო, რომ პროფკავშირთა ლიდერები, რომელთა უფლებებიც იზღუდებოდა, მუშათა ორგანიზებულ გამოსვლებს მოაწყობდნენ, მაგრამ ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერები კანონის მხოლოდ კრიტიკით შემოიფარგლნენ. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მემარცხენეები შეეცადნენ აღნიშნული კანონისადმი ბოიკოტის კამპანიის მოწყობას, მაგრამ ამ იდეამაც მხარდაჭერა ვერ პოვა მუშებში.

მართალია, ტაფტ-ჰარტლის კანონმა მემარჯვენე პროფბიუროკრატების გამყიდველობის გამო საგაფიცვო მოძრაობა შეასუსტა, მაგრამ მთლიანად მისი აღკვეთა მაინც ვერ შეძლო. მაგალითად, 1947 წელს აშშ-ში მოხდა 3693 გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 2170 ათასი კაცი და დაიკარგა 34, 6 მლნ. მუშადღე, 1948 წელს მოხდა 3419 გაფიცვა 1960 ათასი კაცის მონაწილეობით და დაიკარგა 34,1 მლნ. მუშადღე. ამრიგად, 1948 წელს 1947 წელთან შედარებით გაფიცვები შესუსტდა, მაგრამ 1949 წელს მათი რაოდენობა კვლავ გაიზარდა: მოხდა 3606 გაფიცვა, მონაწილეობდა 3030 ათასი კაცი და დაიკარგა 50,5 მლნ. მუშადღე.

1947—1948 წლების გაფიცვებმა ცხადყო მოძრაობის მთლიანი პოლიტიკური სისუსტე, ვინაიდან მუშათა კლასი ორგანიზებულად ვერ გამოვიდა, რის გამოც რეაქციამ მას თავს მოახვია ტაფტ-ჰარტლის კანონი. ეს ნიშნავდა მუშათა კლასის დამარცხებას. პროფკავშირთა ხელმძღვანელობის დიდი ნაწილი დამორჩილდა აღნიშნულ ანტიმუშურ კანონს, რის შედეგად დადგა მუშათა მოძრაობის მოდუნებისა და შემდგომი დათმობების ხანგრძლივი პერიოდი.

1947—1948 წლები ხასიათდება ანტიკომუნისტური პროპაგანდის

გაძლიერებით და პროგრესულად განწყობილ ამერიკელ მოქალაქეთა დევნით. რეაქციამ მიზნად დაისახა კომუნისტური პარტიის განადგურება, დაიწყო რადიკალურად განწყობილ მუშათა და ინტელიგენტთა დევნა.

ფართო ხასიათი მიიღო აშშ-ში კომუნიზმის საშიშროების აგიტაციამ. პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა კომპარტიის ხელმძღვანელობა. მას ყოველ ნაბიჯზე უთვალთვალებდნენ. პარტიის პირველად ორგანიზაციებში მოქმედებდნენ პროვოკატორები. იუსტიციის სამინისტროში და გამოძიების ფედერალურ ბიუროში კომუნისტებზე მრავალი უსაფუძვლო ბრალდება შეიქმნა. 1947 წლის აპრილში უ. დენისის წინააღმდეგ საქმე აღძრეს კონგრესისადმი უპატივცემლობის შესახებ. უ. დენისს ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

1948 წელს რესპუბლიკური პარტიის მემარჯვენეებმა აშშ-ის კომპარტიის აკრძალვა მოითხოვეს იმ საბაბით, თითქოსდა იგი „საზღვარგარეთის აგენტია" და ძირს უთხრის აშშ-ში არსებულ პოლიტიკურ წყობილებას. ამას მოჰყვა ახალი ცილისმწამებლური ბრალდებანი ამერიკის კომპარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, რომელთა მიზანი იყო, ამერიკელ ხალხში აღმოეფხვრათ საბჭოთა-ხალხისადმი სიმპათია და უნდობლობა დაეთესათ საბჭოთა ხალხის, სოციალისტური ქვეყნებისა და აშშ-ის კომუნისტების მიმართ. 1948 წლის 20 ივლისს დააპატიმრეს აშშ-ის კომპარტიის 12 ხელმძღვანელი უ. ფოსტერის მეთაურობით. იდევნებოდნენ ქვეყნის პროგრესული და მოწინავე ადამიანები, რომელნიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ქვეყანაში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, რომელიც ჯერ კიდევ 1908 წელს შეიქმნა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა მოქმედება. მისი აგენტები მოედვნენ მთელ ამერიკას, განსაკუთრებით მის პროგრესულ ორგანიზაციებს.

1947 წლის მარტში ჰ. ტრუმენმა გამოსცა ბრძანება სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ლოიალობის შემოწმების შესახებ. მათ წერილობით უნდა დაედასტურებინათ, რომ არ იზიარებენ კომუნისტურ შეხედულებებს. ასეთი სახის შემოწმება გაიარა 2,5 მილიონმა კაცმა.

სახელმწიფო დაწესებულებებიდან განიდევნა პროგრესულად მოაზროვნე და რეაქციისათვის არასაიმედო პირები. იუსტიციის სამინისტრომ შეადგინა „შავი სია", რომელშიც მოხვდა 90 „ძირგამომთხრელი ორგანიზაცია". ამ ორგანიზაციის წევრობა საკმარისი საფუძველი იყო სამსახურიდან დათხოვნისა და დევნისათვის. 1947—1948 წლებში „ლოიალობის ბრძანებით" დევნა განიცადეს არა მარტო მათ ვინც

თანაუგრძნობდა კომუნისტურ მოძღვრებას, ბრამედ უმაღლეს სასწავლებლებში, ბეჭდვის ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე ლიბერალურად განწყობილმა ინტელიგენციამ.

აშშ-ს რეაქციული ძალები ხელოვნურად ქმნიდნენ ქვეყანაში დაძაბულობის, უნდობლობისა და შიშის ატმოსფეროს. მათ ასობით რეაქციული, ტერორისტული ორგანიზაციის მუშაობა განაახლეს ან ახალი ორგანიზაციები შექმნეს. მათ შორისაა: „ამერიკის ლეგიონი", „ამერიკის მოქმედება", „ქრისტიანული ფრონტი", „კუ-კლუკს-კლანი", სამხრეთ შტატებში ახლად შეიქმნა ანტისემიტური „თეთრი მოქალაქეების საბჭო" და ა. შ. ყველა ეს ორგანიზაცია, რეაქციული პრესა, რადიო-ტელევიზია, სახელმწიფო მოხელეების უზარმაზარი აპარატი— ამერიკის მოქალაქეების დაშინებას კომუნიზმის აჩრდილით ცდილობდნენ.

1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. 1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა ძალზე მწვავე პირობებში. რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი თომას დიუი, ვიცე-პრეზიდენტად კი—კალიფორნიის შტატის გუბერნატორი უორენი. რესპუბლიკური პარტია ომის შემდეგ გამოდიოდა ფ. რუზველტის „ახალი კურსის" და, საერთოდ, რეფორმების გატარებისა და დათმობებზე წასვლის წინააღმდეგ. კონგრესში მას ადგილების უმრავლესობა ჰქონდა. ეს პარტია საშინაო პოლიტიკაში პროფკავშირების, მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გაგრძელების მომხრე იყო. მაგრამ ამ პარტიის ლიდერებმა გაითვალისწინეს ამერიკელი ამომრჩევლების უკმაყოფილება კონგრესის მიერ მიღებული ანტიმუშური და ანტიდემოკრატიული კანონმდებლობით და იძულებული გახდნენ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველთა წინაშე რეფორმების დაპირებებით გამოსულიყვნენ.

დემოკრატიულ პარტიაში არჩევნების წინ მოხდა განხეთქილება. მას გამოეყო მემარცხენე ლიბერალურ-რადიკალური ჯგუფი ჰ. უოლესისა და ჰ. ტეილორის მეთაურობით, რომელმაც დაგმო დემოკრატიული პარტიის მიერ ომის შემდგომი რეპრესიების კურსი. ეს ჯგუფი გმობდა აგრესიულ საგარეო კურსსაც. 1947 წელს ჰ. უოლესმა შექმნა ამერიკის პროგრესულ მოქალაქეთა ორგანიზაცია, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ქვეყანაში, რათა აღმდგარიყო ფ. რუზველტის „ახალი კურსის" სულისკვეთება.

პროფკავშირებმა მხარი დაუჭირეს ტრუმენის კანდიდატურას და მან გაიმარჯვა. ჰ. ტრუმენს ხმა მისცა 24,1 მლნ. ამომრჩეველმა. დემოკრატიულმა პარტიამ ადგილების უმრავლესობა მიიღო კონგრეს-

შიც. რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს ხმა მისცა 21,9 მლნ. ამომრჩეველმა, პროგრესულ პარტიას კი — 1,1 მლნ. კაცმა. მალე ამის შემდეგ პროგრესულმა პარტიამ არსებობა შეწყვიტა.

§ 8. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მმართველობის სისტემის კრიზისი აშშ-ში. რეაქციისა და „ცივი ომის“ გაძლიერება 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში

ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული ღონისძიებები. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჰ. ტრუმენი გამოვიდა პროგრამით, რომლითაც დაპირებას იძლეოდა, რომ მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში გააუქმებდა ტაფტ-ჰარტლის კანონს და განახორციელებდა სოციალურ რეფორმებს. ეს პროგრამა ფ. რუზველტის „ახალი კურსის“ გაგრძელებადაა მიჩნეული და მას ჰ. ტრუმენის „სამართლიანი კურსი“ ეწოდა. ეს კურსი ჩამოყალიბდა 1949 წლის იანვარში პრეზიდენტის მიმართვაში კონგრესისადმი. იგი მოითხოვდა ტაფტ-ჰარტლის კანონის გაუქმებას, დამატებითი დაფინანსების გზით განათლების სისტემის გაუმჯობესებას, სამედიცინო დაზღვევის შემოღებას, ხელფასის მინიმუმის გაზრდას, სამუშაოზე მიღების დროს რასისტული დისკრიმინაციის გაუქმებას. დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის საბინაო მშენებლობას, წვრილ და საშუალო ფერმერთა მაღალი შემოსავლის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო სუბსიდიების მიცემას და ა. შ. პრეზიდენტი მიმართვაში მოითხოვდა აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებული თავისი უფლებების ხელშეუხებლობას. ჰ. ტრუმენმა დაპირებებიდან მხოლოდ ზოგიერთი ღონისძიება განახორციელა, კერძოდ, მთავრობამ დააფინანსა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის ექვსი წლის განმავლობაში 800 ათასი ბინის მშენებლობა, გაზარდა საათობრივი ხელფასის მინიმუმი 40-დან 75 ცენტამდე, გაავრცელა სოციალური უზრუნველყოფის კანონის მოქმედება 10 მილიონ კაცზე. „სამართლიანი კურსის“ დანარჩენი ნაწილი ქაღალდზე დარჩა. იგი ქვეყნის რეაქციამ და პრესამ სოციალისტურ კურსად, ხოლო ჰ. ტრუმენი „სოციალისტად“ გამოაცხადა და მის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა. ტაფტ-ჰარტლის კანონი ძალაში დარჩა. კონგრესმა უარყო ზანგების მოქალაქეობრივი უფლებების, უფასო სამედიცინო მომსახურების, ფერმერთათვის სახელმწიფო სუბსიდიების და განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მიერ დამატებითი დაფინანსების კანონპროექტები.

როგორც აღვნიშნეთ, 1948 წლის ივლისში, სწორედ წინასაარჩევნო კამპანიის დროს დააპატიმრეს კომუნისტური პარტიის 12 წევრი.

1949 წლის 17 იანვარს ნიუ-იორკში კომპარტიის 11 წევრის წინააღმდეგ მოაწყვეს საჩვენებელი პროცესი. უ. ფოსტერის ავადმყოფობის გამო მისი საქმის გარჩევა გადაიდო გამოჯანმრთელებამდე. კომუნისტებს ბრალდებად წაუყენეს სმიტის კანონის დარღვევა, კერძოდ, მათ ადანაშაულებდნენ, თითქოს პროპაგანდის მეშვეობით „შეთქმულებაში მონაწილეობდნენ აშშ-ის მთავრობის დამხობის მიზნით“.

1949 წლის 21 ოქტომბერს მოსამართლე მედინამ 10 კომუნისტს 5 წელი პატიმრობა და თითოეულს 10 ათასი დოლარის ჯარიმის გადახდა, ხოლო მეთერთმეტეს, რ. ტომპსონს, სამი წელი პატიმრობა და იმდენივე ჯარიმა მიუსაჯა.

კომუნისტების წინააღმდეგ ამ დროს მოეწყო 20-ზე მეტი პროცესი და კომპარტიის 100-ზე მეტ ხელმძღვანელს ცრუმოწმეების ჩვენებით სხვადასხვა სასჯელი მიუსაჯეს.

პროვოკაციული ანტიკომუნისტური პროცესები მთელი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა და რეაქციული ძალები მათ ანტიკომუნისტური კამპანიისათვის, ქვეყანაში შიშისა და ტერორის ატმოსფეროს შექმნისათვის იყენებდნენ. ანტიკომუნისტური რეპრესიების შედეგად პარტიის რიგები შემცირდა. თუ 1946 წელს პარტია თავის რიგებში ითვლიდა 70 ათას წევრს, 1948 წლისათვის იგი შემცირდა 40 ათას წევრამდე. ანტიკომუნისტურ რეპრესიებთან ერთად რეაქციამ თავისი დარტყმა წარმართა მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების პროგრესულ წარმომადგენელთა წინააღმდეგ.

რეაქციის შეტევის შემდგომ ეტაპად ითვლება მაკარენ-ვუდის 1950 წლის კანონი „საშინაო უშიშროების შესახებ“. იგი მიიღეს შოვინისტური კამპანიის ვითარებაში, რაც კორეასთან ომით იყო გამოწვეული. კანონი ითვალისწინებდა უმკაცრეს რეპრესიებს ცალკეული პირებისა და პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელნიც გამოაცხადეს „ძირგამომთხრელებად“, „შეთქმულებად“ და „საბჭოთა კავშირის აგენტებად“. ეს კანონი მოითხოვდა კომუნისტებისა და მათი თანამგრძნობი პარტიების იუსტიციის სამინისტროში აუცილებელ რეგისტრაციას. კანონის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო მკაცრი სასჯელი — 10 წლის პატიმრობა და საკონცენტრაციო ბანაკი.

1952 წლის დეკემბერში მიიღეს „მაკარენ-უოლტერის“ კანონი „იმიგრაციისა და ნატურალიზაციის შესახებ“, რომლითაც ხელისუფლებამ უფლება მიიღო უცხოელთა დაკითხვაზე და დაპატიმრებაზე. კანონით უცხოელი მეზღვაურები, მფრინავები და სხვა პირები, რომელნიც აშშ-ში ჩავლენ, ვალდებული არიან თავიანთი თითების ანაბეჭდები მისცენ გამოძიების ფედერალურ ბიუროს. ეს კანონი ზღუდავს იმ უცხოელთა უფლებებსაც, რომელთაც აშშ-ის მოქალაქეობა აქვთ

მიღებული. აღნიშნული კანონით იკრძალებოდა აფრიკიდან იმიგრაცია, ხოლო აზიიდან დასაშვები იყო წლიურად არა უმეტეს 2 ათასი კაცის იმიგრაცია.

საყურადღებოა, რომ პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა ვეტო დაადო კანონს, მაგრამ კონგრესის ორივე პალატამ ხმების უმრავლესობით უარყო ეს ვეტო და კანონი ძალაში შევიდა. ეს იყო ჰ. ტრუმენის მიერ პროგრესული როლის გათამაშება მოახლოებული არჩევნების წინ.

მაკარენ-ვუდისა და მაკარენ-უოლტერის კანონები, სმიტისა და ტაფტ-ჰარტლის ანტიმუშურ კანონებთან ერთად, წარმოადგენდა ერთიან ანტიმუშურ სისტემას, რომლის მიზანი იყო მუშათა კლასის პოლიტიკური აქტიურობის შესუსტება. ეს კანონი აძლიერებდა ბთავრობის კონტროლს კომპარტიაზე, პროფკავშირებზე, მათ მოღვაწეობაზე, და მათ მიერ გამოცემულ ლიტერატურაზე.

ტრუმენის მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ამერიკის კონკურენტების დასუსტებისა და საერთაშორისო ასპარეზიდან მათი დროებით გამოთიშვის შედეგად მსოფლიოში ხელსაყრელი ვითარება იქმნებოდა ამერიკის იმპერიალიზმის მიერ მათი ადგილების დაკავების და მსოფლიოში ჰეგემონიის დამყარებისათვის.

ომის შემდეგ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა რომ ამერიკაზე დამოკიდებული იყო და მისი მხარდაჭერის გარეშე ვერ აღადგენდა თავის პოზიციებს, ეს ყველასათვის ცხადი იყო. მსოფლიოში მიმდინარე რევოლუციური პროცესი ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა. ასეთ რთულ საერთაშორისო პირობებში ამერიკის მმართველ წრეებში საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელების საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისი იყო. ერთნი თვლიდნენ, რომ მთავარი კონკურენტების დასუსტების შედეგად დადგა ამერიკის ბატონობის ერა, მაგრამ ამ მიზანს წინ ეღობება საბჭოთა კავშირი და მსოფლიოში მიმდინარე რევოლუციური პროცესი. ამიტომ რესპუბლიკური პარტიის მემარჯვენეები ა. ვანდენბერგისა და ჯ. დალესის მეთაურობით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გამწვავებასა და „ძალის პოლიტიკაზე" გადასვლას მოითხოვდნენ. ტრუმენი და სახელმწიფო მდივანი ბირნსი 1945—1946 წლებში ვერ ბედავდნენ საბჭოთა კავშირის მიმართ ძალის პოლიტიკაზე აშკარად გადასვლას. ისინი იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ საბჭოთა კავშირის დამსახურებისათვის ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა განადგურებაში. ძნელი იყო გუშინდელი მოკავშირის წინააღმდეგ, რომელიც დიდი სიმპათიებით სარგებლობდა ამერიკელ ხალხში, ძალის კურსზე გადასვლის გამართლება.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში და მსოფლიოში მიმდინარე რევოლუციურმა პროცესებმა ძალზე დიდი შეშფოთება გამოიწვია ამერიკელ პოლიტიკოსებში. მსოფლიოში რევოლუციური პროცესების

განვითარების მთავარ დამნაშავედ საბჭოთა კავშირი მიაჩნდათ, რომლის მიმართ ამერიკელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა „ძალის პოლიტიკის" მომხრეთა მხარეზე იხრებოდა. 1946 წლის 5 მარტს უ. ჩერჩილმა ამერიკის ქალაქ ფულტონში პრეზიდენტ ტრუმენის თანდასწრებით წარმოთქმულ სიტყვაში აშკარად მოუწოდა ამერიკის მთავრობას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში „ძალის პოლიტიკაზე" გადასვლისაკენ. ტრუმენის თანდასწრებით ჩერჩილის აგრესიული გამოხდომა შემთხვევითი როდი იყო. უკვე 1946 წლის იანვარში მიიღო ბირნსმა პრეზიდენტის ინსტრუქცია, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში „ძალის პოლიტიკის" კურსს დასდგომოდნენ. ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო 1946 წლის ივლისში ორი ატომური ბომბის გამოცდა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო რევოლუციური ძალების დაშინებისათვის იყო გამიზნული. ასე დაიწყო „ატომის დიპლომატიის" საგარეო პოლიტიკური კურსი. ამრიგად. 1945—1946 წლებში ამერიკის მმართველ წრეებში მხოლოდ ყალიბდებოდა საგარეო პოლიტიკის კონცეფციები, რის გამოც იგი წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. 1947 წლიდან კი აშკარად გამოიკვეთა აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლა.

ამ კურსის იდეოლოგიური საფუძველი გახდა „ცივი ომის" და „რკინის ფარდის" თეზისები, ხოლო პოლიტიკურ დოქტრინებად გადაიქცა „კომუნიზმის შეკავების". „დაშინების", „უკუგდების". შემდეგ კი გამანადგურებელი დარტყმის მიყენების და სხვა თეზისები. საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში დიპლომატებთან ერთად აქტიურ როლს ასრულებდა პენტაგონი, რომელთა შორის მჭიდრო კავშირი 1947 წლიდან დამყარდა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1947 წლის დასაწყისში გენერალ მარშალის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშვნა.

აშშ-ის მმართველი წრეები ცდილობდნენ მსოფლიო ხალხებისა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშინებას ბირთვული იარაღის გამოყენებით და ამით მიმდინარე მსოფლიო რევოლუციური პროცესის შეჩერებას. 1947 წლიდან ამერიკის მმართველი წრეები ევროპის ქვეყნების მიმართ დაადგნენ აშკარა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიის გზას, რომლის მთავარი ამოცანა იყო კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნება და განმტკიცება, ხოლო კომუნისტური და სხვა დემოკრატიული პარტიების დასუსტება და განადგურება. კერძოდ. ამ მიზანს ემსახურებოდა 1947 წლის მარტში პრეზიდენტ ტრუმენის კონგრესისადმი გაგზავნილი მიმართვა, რომელმაც მიიღო „ტრუმენის დოქტრინის" სახელწოდება. მასში ჩამოყალიბებული იყო აშშ-ს აგრესიული წრეების ექსპანსიური პროგრამა. იგი ითვალისწინებდა სოციალისტური ბანაკის მიმართ მუდმივ ზეგავლენას და რეაქციული ძალისათვის ეკონომიკურ და სამხედრო დახმარე-

ბას. ჰ. ტრუმენმა კონგრესს 400 მილიონი დოლარი მოსთხოვა საბერძნეთისა და თურქეთისათვის, რომელთაც თითქოს საერთაშორისო კომუნიზმი ემუქრებოდათ. ამრიგად, ტრუმენის დოქტრინა მოითხოვდა აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკურ ჩარევას იმ ქვეყნებში, სადაც რეაქციას არ შეეძლო დემოკრატიული მოძრაობის საკუთარი ძალებით ჩახშობა.

იმავე წლის ივნისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შეთანხმებით აშშ-ის მთავრობამ შეიმუშავა „მარშალის გეგმა". ამერიკის მმართველი წრეები ხედავდნენ, რომ მარტო სამხედრო-პოლიტიკური საშუალებებით შეუძლებელი იყო დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნება, რომ საჭირო იყო ეკონომიკური დახმარების გაწევა ევროპისათვის ეკონომიკის აღდგენის საქმეში. „მარშალის გეგმის" ავტორების მთავარი მიზანი იყო ევროპის ეკონომიკის დაქვემდებარება ამერიკის კაპიტალისადმი და აგრეს-ული სამხედრო ბლოკის შეკოწიწება. ამ გეგმების განსახორციელებლად 1948—1951 წლებში ასიგნებულ იქნა 12,5 მილიარდი დოლარი. ამ თანხის ანგარიშზე „მარშალის გეგმაში" შემავალ ქვეყნებში იგზავნებოდა ჩაწოლილი სამოქალაქო და სამხედრო საქონელი. ფაქტობრივ შეიარაღების სწრაფი ზრდა, გაიზარდა ამერიკის მონოპოლიების პოზიციები დასავლეთ ევროპის ეკონომიკაში და აშშ-ის გავლენა ამ ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. „ცივი ომისა" და გამალებული შეიარაღების პოლიტიკის გამართლებას ამერიკის პროპაგანდა ცდილობდა რუსეთის არარსებული „აგრესიული ტენდენციების შეჩერების" მოტივით.

1947 წლის სექტემბერში აშშ-მა ამერიკის კონტინენტის ქვეყნებს თავს მოახვია ხელშეკრულება ურთიერთუშიშროების შესახებ. რომლითაც ერთიანი ძალით უნდა „დაეცვათ" დასავლეთის ნახევარსფერო არარსებული „კომუნისტური აგრესიისაგან".

-იმ დროს ტრუმენის ადმინისტრაციის წინაშე იდგა ყველაზე ძნელი ამოცანა — როგორ შეეძინა სამხედრო მოკავშირეები, რომლებიც აშშ-ის ინტერესთა სამსახურში ჩადგებოდნენ, მაგრამ ვაშინგტონის ზემოქმედების მიუხედავად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა უმრავლესობა არ ჩქარობდა თავისი ბედის დაკავშირებას აშშ-თან.

1948 წლის 11 ივნისს კონგრესმა მიიღო აგრესიული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი წამომწყების სენატორ ა. ვანდენბერგის რეზოლუცია, რომლითაც მშვიდობიან პერიოდში პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან სამხედრო კავშირი დაედო.

სამხედრო განგაშის ვითარებაში ასეთი კავშირის შექმნის შესახებ მოლაპარაკება დამთავრდა 1949 წლის 4 აპრილს. 12 სახელმწიფომ ხელი მოაწერა ჩრდილოეთ ატლანტიის სამხედრო პაქტს (ე. წ. ნატო).

აშშ-ს მმართველმა წრეებმა ნატოში შემავალ ევროპის სახელმწიფოებს თავს მოახვიეს შეთანხმება, რომლითაც ამერიკას მათ ტერიტორიაზე თავის ჯარების შეყვანის უფლება ეძლეოდა.

ხატოს გიგანტური სამხედრო მანქანა სწრაფად დაადგა შეიარაღებაში შეჯიბრების და საბჭოთა კავშირთან ომის მომზადების გზას.

„კომუნიზმის შეკავების" აგრესიულმა პოლიტიკამ გააღრმავა „ცივი ომი". ეს ტენდენცია თავს იჩენდა კოლონიური ქვეყნების, კერძოდ, ჩინეთისა და კორეის მიმართ აშშ-ის პოლიტიკაშიც.

ამერიკის მმართველ წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევდა ომის შემდეგ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის შეჩერება და ჩახშობა მეორე მსოფლიო ომში დასუსტებულ ძველ კოლონიურ ქვეყნებს აღარ შეეძლოთ. ამერიკის მმართველმა წრეებმა მიზნად დაისახეს ესარგებლათ შექმნილი ვითარებით და ძველი კოლონიზატორების ადგილი თვითონ დაეკავებინათ. თავიანთი აგრესიული ზრახვების დასაფარავად ამერიკის იმპერიალისტებმა დემაგოგიურად დაგმეს კოლონიალიზმი და გამოაცხადეს, რომ ცნობდნენ კოლონიური ხალხებისა და სუსტად განვითარებული ქვეყნების დამოუკიდებლობის უფლებებს. სინამდვილეში კი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ამერიკის გიგანტურ მონოპოლიებს თავიანთი მთავრობის მხარდაჭერით თვითონ განემტკიცებინათ პოზიციები კოლონიებში და საკუთარი ფინანსური, ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ მოექციათ ეს ქვეყნები. ასე აღმოცენდა ე. წ. ნეოკოლონიალიზმი, რაც ძველი კოლონიზატორების ამერიკის კოლონიზატორებით შეცვლას ნიშნავდა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1949 წლის იანვარში ჰ. ტრუმენის მიერ წამოყენებული „მეოთხე პუნქტი", რომელიც, მისი განცხადებით, უნდა გამხდარიყო „კომუნიზმის შხამის ძლიერ საწინააღმდეგო საშუალებად". მეოთხე პუნქტით ამერიკას ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარება უნდა გაეწია კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებისათვის. 1952 წელს ამ მიზნისათვის გამოყვეს 160 მილიონამდე დოლარი, შემდგომ წლებში კი ეს თანხა მნიშვნელოვნად იზრდებოდა, რომლის ანგარიშზე კოლონიური ქვეყნების გაბატონებული კლასები აშშ-დან ღებულობდნენ იარაღს დემოკრატიული და რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისა და რეაქციული რეჟიმის შენარჩუნებისათვის.

ამერიკის მილიტარისტების ცდა, რომ სსრ კავშირი და მსოფლიო დემოკრატიული ძალები ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიით დაეშინებინათ, არ გამართლდა. 1949 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ტრუმენმა და ინგლისისა და კანადის მთავრობებმა ოფიციალურად აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირი დაეუფლა ბირთვული იარაღის საიდუმლოებას და გამოცადა იგი. 1949 წლის 25 სექტემბერს საკავშირო

ნაცხადა, რომ 1947 წლიდან ბირთვული იარაღი საბჭოთა კავშირისათვის უკვე საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მაგრამ იქვე აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა მთავრობა ძველ პოზიციაზე დგას და იდგება ბირთვული იარაღის გამოყენების აუცილებლად აკრძალვის საკითხში. ამის შემდეგ ლოგიკა და საღი აზროვნება თითქოს უკარნახებდა ამერიკის მმართველ წრეებს, რომ მიეღოთ სსრ კავშირის წინადადება და დათანხმებულიყვნენ ბირთვული იარაღის აკრძალვაზე, მაგრამ ოკეანის გაღმელმა მილიტარისტებმა ამჯობინეს „საშიში ილუზიების" ტყვეობაში დარჩენა. 1950 წლის 31 იანვარს პრეზიდენტმა ტრუმენმა მიუთითა ატომგულის და წყალბადის იარაღზე მუშაობის გაგრძელების შესახებ.

საყურადღებოა, რომ წყალბადის, ანუ სუპერბომბის შექმნის იდეა წამოაყენა ცნობილმა ფიზიკოსმა ედუარდ ტელერმა[1]. იგი ჯერ კიდევ 1946 წელს ცდილობდა დაერწმუნებინა ამერიკის მთავრობა ზებომბის შექმნის აუცილებლობაში. ბირთვული ბომბის შექმნამდე ამერიკის იმპერიალისტები ფიქრობდნენ, რომ მსოფლიოში ბატონობისათვის ბირთვული ბომბიც საკმარისი იქნებოდა.

აშშ-ის მთავრობა უარყოფდა საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ბირთვული იარაღის საკითხზე ყოველგვარი მოლაპარაკების იდეასაც კი.

ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებამ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ და სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა ამერიკის რეაქციული წრეები კიდევ უფრო აღაშფოთა.

---

[1] ე. ტელერი დაიბადა 1908 წელს ბუდაპეშტში შეძლებული ადვოკატის ოჯახში. 18 წლის ასაკში შევიდა კარლსრუეს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და ორი წლის შემდეგ სამეცნიერო წოდება მიიღო. 1934 წელს დანიაში იწყებს მუშაობას გამოჩენილ მეცნიერთან ატომის აგებულების საკითხში დოქტორ ნილს ბორთან. 1935 წლიდან იგი გადადის ვაშინგტონის უნივერსიტეტში, სადაც დოქტორ ჰანს ბეტასთან ერთად სწავლობს მზის ენერგიის ბუნებას. 1941 წლიდან ლოს-ალამოსის ლაბორატორიაში იწყებს მუშაობას; აქ იგი ფიზიკოსთა მცირე ჯგუფთან ერთად (ამერიკელი ფიზიკოსის რობერტ ოპენჰაიმერის ხელმძღვანელობით) ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობდა.

ხიროსიმას ტრაგედიის შემდეგაც ტელერი გაძლიერებით მუშაობდა წყალბადის ბომბის შექმნაზე.

1952 წლიდან ტელერი გადავიდა კალიფორნიის ქალაქ ლივერმოსში, სადაც საოთავეში ჩაუდგა სუპერბომბის ძიების ლაბორატორიას და 1952 წლის 1 ნოემბერს წყნარი ოკეანის კუნძულ ელუგელაბში მოაწყო წყალბადის ბომბის პირველი გამოცდა. აფეთქების შედეგად კუნძული გაქრა, ხოლო მძლავრმა აფეთქებამ მთელი წყნარი ოკეანე თითქმის მთლიანად შეარყია. ზღვის ფსკერზე დარჩა გიგანტური ძაბრისებური ხვრელი.

ამერიკის ხელისუფლებმა მიიღეს გარკვეული ზომები იმისათვის, რათა ჩაეხშოთ რევოლუცია ჩინეთში და არ დაეშვათ ჩინელი ხალხის გამარჯვება. ამ მიზნების მარცხმა დიდი აღშფოთება გამოიწვია აშშ-ში. ასეთი განწყობილების შეჩერებისათვის ერთ-ერთი ამოცანა იყო კორეაში ომის პროვოცირება.

1950 წლის ივნისში აშშ-ის წაქეზებით სამხრეთ კორეაში არსებულ-მა რეაქციულმა მთავრობამ სამოქალაქო ომი გააჩაღა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ და როდესაც ჩრდილოეთ კორეის ჯარებს ის-ის იყო უნდა გაენთავისუფლებინა სამხრეთი კორეა, აშშ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმის ქვეშ ჩაერია კორეის შინაურ საქმეში, ჯარები გადასხა იქ და ფართო ინტერვენცია დაიწყო კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა ამერიკაში რეაქციული ძალების მიერ გაჩაღებული შოვინისტური და მილიტარისტული კამპანია. გაისმოდა მოწოდებები ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდი ომის დაწყებისა და ბირთვული ბომბის გამოყენების შესახებ.

შორეული აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი დ. მაკარტური ბირთვული ომის დაწყებას მოითხოვდა. ქვეყანაში სამხედრო ფსიქოზის ატმოსფერო შეიქმნა. მაგრამ ამას საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ამერიკასა და მთელ მსოფლიოში ფართოდ გაჩაღდა მოძრაობა კორეაში ომის წინააღმდეგ. ბირთვული მსოფლიო ომისაკენ მოწოდება იწვევდა ამერიკელი და მსოფლიო ხალხების საყოველთაო აღშფოთებას. ჰ. ტრუმენის მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამისათვის და ბირთვული ომის მომხრე გენერალი გადაეყენებინა. ამერიკაში დაიწყო ფართო მოძრაობა „ხელები შორს კორეისაგან". მოეწყო ომის საწინააღმდეგო მრავალი მიტინგი და დემონსტრაცია.

ომი კორეაში მარცხით დამთავრდა. ომი მძიმე ტვირთად დააწვა ამერიკელ გადასახადის გადამხდელს, მით უმეტეს იმის გამო, რომ კორეის ომის დროს აშშ-ში გაიშალა ფართო შეჯიბრი შეიარაღების დარგში. ეს კი გაპირობებული იყო აგრესიული პოლიტიკით.

1951 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი „ურთიერთუშიშროების უზრუნველყოფის შესახებ", რომლის მიხედვით აშშ ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს ხარჯავდა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზაციისათვის და ყველა იმ ნაძირალის მხარდასაჭერად, რომელნიც განდევნილი იყვნენ თავიანთი ქვეყნებიდან.

აშშ-ში გაჩაღდა ანტისაბჭოთა კამპანია, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის. 1951 წელს ამერიკის მთავრობამ გააუქმა საბჭოთა კავშირთან 1937 წლის სავაჭრო ხელშეკრულება და მკვეთრად შეამცირა ჩვენს ქვეყანასთან ვაჭრობა. იმავე წელს მიიღეს კანონი, რომლითაც თუ რომელიმე ქვე-

ყანა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას არ შეწყვეტდა, დახმარებას ველარ მიიღებდა აშშ-გან.

იმავე წელს აშშ-მა შექმნა წყნარი ოკეანის სამხედრო კავშირი-- ანზუსი, რომელშიც ჩაითრია ავსტრალია და ახალი ზელანდია, ხოლო სექტემბერში სან-ფრანცისკოში მოწვეულ კონფერენციაზე აშშ-მა და ინგლისმა ხელი მოაწერეს იაპონიასთან სეპარატულ ზავზე. იაპონიასთან დაიდო სამხედრო ხელშეკრულებაც, რომლითაც აშშ-მა იაპონიის ტერიტორიაზე ჯარების განუსაზღვრელი დროით ყოლის უფლება მიიღო.

1952 წლის არჩევნები. 1952 წელს ჩატარდა კონგრესისა და პრეზიდენტის არჩევნები. დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც 20 წლის განმავლობაში შეუცვლელად იდგა ხელისუფლების სათავეში, თავისი ომის შემდგომი რეაქციული საშინაო და აგრესიული საგარეო პოლიტიკის შედეგად ამერიკელი ამომრჩევლების უნდობლობა და ეკონომიკურ წყრომა დაიმსახურა და მისმა კანდიდატმა ე. სტივენსონმა მარცხი განიცადა. გაიმარჯვა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა დ. ეიზენჰაუერმა, რომელიც ამომრჩევლებს შეპირდა ომის შეწყვეტას კორეაში. ხმის მიცემაში მონაწილე 61,5 მლნ. ამომრჩევლისაგან დ. ეიზენჰაუერმა მიიღო 33.9 მლნ. ხმა, ე. ი. 55,1%, ე. სტივენსონმა — 27,3 მლნ. ხმა, ე. ი. 44,4%. ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს რ. ნიქსონი. საყურადღებოა, რომ არჩევნებში მესამე პარტიის სახით გამოდიოდა პროგრესული პარტიაც. რომელმაც პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა იურისტი ვ. ჰოლინენი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად — ზანგი ჟურნალისტი ქალი შარლოტა ბასი. მაგრამ მათ არა ჰქონდათ ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც გადამწყვეტია ამერიკის არჩევნებისათვის. ვ. ჰოლინენმა მიიღო მხოლოდ 140 ათასი ხმა, რის შემდეგ პროგრესული პარტია დაშალა. წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელებმა მიიღეს 222 ადგილი, დემოკრატებმა — 213, სენატში შესაბამისად — 48 და 47. ეს რესპუბლიკური პარტიისათვის მანამდე არნახული წარმატება იყო, რაც იმავე დროს რეაქციის გამარჯვებას ნიშნავდა.

ამრიგად, პრეზიდენტი გახდა გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი, რომლის მთავრობაში კაპიტალისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად სჭარბობდა[1], ვიდრე ჰ. ტრუმენის მთავრობაში.

---

1 სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა „ჯენერალ მოტორსის“ ყოფილმა პრეზიდენტმა ჩარლზ ვილსონმა, რომლის ყოველწლიური ხელფასი 556 ათასი დოლარი იყო, სახელმწიფო მდივნის თანამდებობა მიიღო რიგი კომპანიების დირექტორმა ჯონ ფოსტერ დალესმა. იგი მარტო ერთი კომპანიიდან იღებდა 150 ათას დოლარს წელიწადში; ფინანსთა მინისტრი გახდა ჯორჯ ჰემფრი, რომლის მემოსავალი მარტო 1951 წელს 305 ათას დოლარს შეადგენდა და ა. შ.

დ. ეიზენჰაუერის მთავრობის საშინაო პოლიტიკა. მსხვილი კაპიტალისტების სიჟარბემ მალე იჩინა თავი მთავრობის საგადასახადო პოლიტიკაში, რომელიც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს შეესაბამებოდა. 1954 წლის იანვარში გაუქმდა კანონი ზემოგებებზე, აგვისტოში მიღებული კანონით გადასახადებზე კაპიტალისტებს დიდი შეღავათები ეძლეოდათ, მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადები კორპორაციის მოგებებზე. კონგრესის მიერ მიღებული კანონით ტეხასის, ლუიზიანისა და კალიფორნიის ნავთობის მაგნატებს ექსპლუატაციისათვის გადაეცათ უმდიდრესი ნავთის საბადოები ამ შტატების სანაპიროზე.

დ. ეიზენჰაუერის დაპირება ტაფტ-ჰარტლის კანონის გაუქმების შესახებ ქაღალდზე დარჩა. პირიქით, კონგრესის რეაქციულმა შემადგენლობამ გააძლიერა შეტევა წლების განმავლობაში მუშათა მიერ ბრძოლით მოპოვებული უფლებების წინააღმდეგ. პირველი დარტყმა მუშათა კლასის ავანგარდის — კომპარტიის წინააღმდეგ წარიმართა. 1954 წელს მიიღეს ჰემფრი-ბატლერის კანონი „კომუნისტურ მოღვაწეობაზე კონტროლის შესახებ". ეს იყო 1950 წლის მაკარენ-ვუდის კანონის დამატება. აშშ-ის კომპარტია ცხადდებოდა „საზღვარგარეთის სახელმწიფოს და საერთაშორისო კომუნიზმის აგენტად". კანონი აცხადებდა, რომ კომუნისტებსა და მათ ორგანიზაციებს „არ შეუძლიათ პრეტენზიები ჰქონდეთ რაიმე უფლებებზე, პრივილეგიებსა და ხელშეუხებლობაზე, როგორც ეს გააჩნიათ ლეგალურ ორგანიზაციებს, რომელნიც აშშ-ის კანონების საფუძველზე მოქმედებენ".

საყურადღებოა, რომ ჰ. ტრუმენი ფორმალურად მაინც გამოდიოდა ამა თუ იმ ანტიდემოკრატიული კანონის წინააღმდეგ და ვეტოს ადებდა მათ. პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა ეს ფორმალობაც არ დაიცვა, 1954 წლის 24 აგვისტოს ხელი მოაწერა ჰემფრი-ბატლერის კანონს, რის შემდეგ იგი ძალაში შევიდა.

ამ კანონის საფუძველზე კომუნისტურ პარტიას და მის თანამგრძნობ ან მის გავლენაში მყოფ ორგანიზაციებს რეგისტრაცია უნდა გაეცალოთ იუსტიციის სამინისტროში. კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს ანტიკომუნისტურ კანონებზე და აპელაციისათვის უმაღლეს სასამართლოს მიმართეს, რომელმაც მხოლოდ 1961 წლის ივნისში გამოთქვა აზრი და ეს კანონები კონსტიტუციის შესაბამისად ცნო. მიუხედავად ამისა, კომუნისტებმა უარი თქვეს რეგისტრაციაში გავლაზე, ხოლო კომპარტიამ განაცხადა, რომ ეს პროცედურა დამამცირებელია.

§ 9. მაკარტიზმი და მაკარტისტული რეაქციის გაძლიერება 1950–1954 წწ.

ომის შემდგომ პერიოდში დემოკრატიულმა პარტიამ ქვეყნის სათავეში ყოფნის დროს გადაუხვია ფ. რუზველტის პოლიტიკურ კურსს და საშინაო და საგარეო პოლიტიკაში აშკარა რეაქციულ და აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებდა. აშშ-ში მოხდა მემარჯვენე ძალების კონსოლიდაცია, რომლებიც უარყოფდნენ ქვეყნის დემოკრატიულ მართვას. მემარჯვენე ძალებს სათავეში ედგა რესპუბლიკური პარტიის სენატორი ჯოზეფ მაკარტი. იგი აცხადებდა, რომ „საქმეს დაამთავრებს თეთრი სახლით ან ციხით". ჯ. მაკარტის სენატში მხარს უჭერდნენ ტეხასის ნავთის მაგნატები, აგრეთვე უმსხვილესი კორპორაციების მფლობელები და სხვები. ჯ. მაკარტის მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ იგი სენატში გერმანიის სამხედრო დამნაშავეების დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა. მსოფლიო სოციალისტური პროცესის განვითარებისა და წარმატებების პირობებში კომუნიზმთან ბრძოლის პოლიტიკამ სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია. ამან ამერიკის რეაქციული წრეების დიდი შეშფოთება გამოიწვია, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენეს სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიებმა.

მაკარტისა და მისი მომხრეებისათვის ანტიკომუნიზმი გახდა მთავარი ლოზუნგი, რომელსაც ისინი საერთოდ ყველა პროგრესული ძალების წინააღმდეგ იყენებდნენ. მაკარტისტები ყოველგვარი რეფორმების, დემოკრატიული თავისუფლების, პროფკავშირთა, მშრომელთა უფლებებისა და ბოლოს თვით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლების წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. მათი ინიციატივით მიიღეს ანტიდემოკრატიული კანონები „საშინაო უშიშროების შესახებ", „მაკარენ-უოლტერის კანონი" და ა. შ. საგარეო პოლიტიკაში მაკარტისტები წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველგვარი ურთიერთობისა და მათ წინააღმდეგ ატომურ ომს მოითხოვდნენ.

მაკარტისტების საქმიანობა განსაკუთრებით ძლიერდება 1953—1954 წლებში დ. ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის პირველ პერიოდში. ეიზენჰაუერის მთავრობის პირველივე სხდომაზე 1953 წლის 27 იანვარს გამოცხადდა პოლიციური მეთვალყურეობის გაძლიერების პროგრამა, რომლის მოქმედებაში შესვლამ ფართო გასაქანი მისცა მაკარტიზმს. მაკარტისტული რეაქციის გაძლიერებამ გამოხატულება პოვა გამოძიების სხვადასხვა კომისიის მოღვაწეობაში. თვით ჯ. მაკარტი ჩაუდგა სათავეში სენატის კომისიას, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა ფედერალური დაწესებულებების ხარჯებს. იგი ხელმძღვანელობდა აგრეთვე სენატის გამოძიების მუდმივ ქვეკომისიას, რომელმაც შეუზღუდველი ძალაუფლება მიიღო. მაკარტი ამ კომისიების

გამოყენებას ფიქრობდა არა მარტო დემოკრატიული ძალების, არამედ „კომუნისტური ელემენტების“ წინააღმდეგაც. მის ირგვლივ გაერთიანდნენ ულტრამემარჯვენე კონგრესმენები: გოლდუოტერი, ეუდი, უოლტერი, მაკარენი და სხვები, ხოლო მისი დამქაშები გახდნენ რესპუბლიკელები უ. ჯენერი და გ. ვედი. კონგრესის ორგანოები, კომისიები და ქვეკომისიები, სადაც ძირითადად რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, ჯ. მაკარტის საერთო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ.

სენატის და წარმომადგენელთა პალატის ამ კომისიებსა და ქვეკომისიებში სისტემატურად იბარებდნენ პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასობით მოღვაწეებს, ხელმძღვანელებს, რიგით პირებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს, ცრუ მოწმეებს და ა. შ. პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში მაკარტისტებმა გააჩაღეს ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული ისტერიული კაპანია. ყოველ გაფიცვას, სააუტომობილო და საავიაციო კატასტროფასა და მკვლელობას, რომლებიც ჩვეულებრივი ამბავია აშშ-ში, კომუნისტებს და საბჭოთა ჯაშუშებს აბრალებენ.

მაკარტისტებმა პრაქტიკაში შემოიღეს გამოძიების კომისიების გამსვლელი სხდომების მოწყობა, სადაც იძახებდნენ მათთვის არასასურველ პროფკავშირული და პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლის შედეგი იყო ადგილობრივი პროგრესული ორგანიზაციების განადგურება, ან დასუსტება.

დ. ეიზენჰაუერი მემუარებში აღნიშნავს, რომ მან მაკარტისტების მითითებით სახელმწიფო სამსახურიდან 10 ათასი კაცი მოხსნა. კომუნისტების დევნამ ფართო ხასიათი მიიღო. 1953 წლის თებერვალში ნიუ-იორკის საოლქო სასამართლომ კომუნისტური პარტიის 13 ხელმძღვანელი გაასამართლა და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა. 1953 წელს მუშათა მოძრაობის 100-ზე მეტ გამოჩენილ მოღვაწეს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პროფკავშირთა მემარცხენე ლიდერების წინააღმდეგ სასამართლო პროცესები მოეწყო ფილადელფიაში, სან-ფრანცისკოში, სიეტლში და სხვაგან. 400-ზე მეტი ამერიკაში მცხოვრები უცხოელი კომუნისტი გაასახლეს აშშ-დან.

ათიათასობით მოსამსახურემ გაიარა ლოიალობის შემოწმება, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარი დარჩა. იუსტიციის სამინისტრომ 255 ორგანიზაცია შეიტანა ძირგამომთხრელი საქმიანობის სიაში, ხოლო ანტიამერიკული მოღვაწეობის გამოძიების წარმომადგენელთა პალატის კომისიამ გადააჭარბა ამ რიცხვს და 733 გამოაცხადა ძირგამომთხრელ ორგანიზაციად.

მაკარტიზმის რეაქციის პერიოდში აშშ-ის სასამართლოებში დამკვიდრდა სრული უკანონობა, ძალმომრეობა. სასამართლოები რეაქ-

ციის მორჩილ ორგანოებად გადაიქცნენ, უგულებელყვეს სამოქალაქო უფლებების ტრადიციები და კანონისადმი პატივისცემა. ამის შედეგი იყო ცოლ-ქმარ როზენბერგების სიკვდილით დასჯა ელექტრონის სკამზე. ისინი საბჭოთა აგენტებად გამოაცხადეს და ატომური იარაღის საიდუმლოების გაცემის ბრალდება წაუყენეს.

მაკარტისტული რეაქცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მმართველობის სისტემისა და ლიბერალიზმის კრიზისის აშკარა დასაბუთება იყო. იგი ამერიკის საზოგადოების ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს გამოხატავდა. მაკარტიზმის რეაქციული და შოვინისტური იდეოლოგიის გაღვივება მიმდინარეობდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების ვითარებაში, ამიტომ იგი შედარებით ოოლად შეიჭრა ამერიკის საზოგადოების სოციალური, იდეოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურაში.

ამერიკის მსხვილმა მონოპოლიებმა განზრახ შექმნეს ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური ატმოსფერო და საერთაშორისო დაძაბული ვითარება, მათი მიზანი იყო უზრუნველეყოთ ქვეყნის ეკონომიკის მილიტარიზაცია. აშშ-ის კომუნისტურმა პარტიამ მაკარტიზმის რეაქცია განსაზღვრა, როგორც მონოპოლისტური ბურჟუაზიის კლასობრივი არსის ინტერესების გამოვლენა, რომელსაც ახასიათებდა ფაშისტური ტენდენციები და მიმართული იყო მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ.

მუშათა და დემოკრატიული ძალების ბრძოლა მაკარტისტული რეაქციის წინააღმდეგ და დ. ეიზენჰაუერის საშინაო პოლიტიკა. აშშ-ის კომპარტიის საწინააღმდეგო მრავალრიცხოვან პროცესებში კომუნისტები ამერიკელ ხალხს მოუწოდებდნენ, ებრძოლათ მაკარტისტული რეაქციის წინააღმდეგ, რომელსაც ქვეყანა ეროვნულ კატასტროფამდე მიყავდა. კომპარტია ხაზს უსვამდა მაკარტიზმის კავშირს ჰ. ტრუმენისა და დ. ეიზენჰაუერის მთავრობებთან. მაკარტიზმმა ვერ მიაღწია მიზანს. ვერ შეაჩერა მუშათა მოძრაობა. 1954 წელს აშშ-ში 5117 მუშათა გაფიცვა მოხდა, 1953 წელს კი — 5091.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფკავშირთა რიგებიც (14,3 მლნ. წევრიდან 17 მლნ. წევრამდე).

ამერიკის შრომის ფედერაციამ და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელებმა დაგმეს მაკარტიზმი, ხოლო დ. ეიზენჰაუერს საყვედურობდნენ, რომ მან გზა გაუხსნა მაკარტისტული რეაქციის თარეშს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც პროფკავშირებს მიუმართავთ გადამწყვეტი ღონისძიებებისათვის მაკარტისტული რეაქციის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლების გამო. როდესაც მაკარტმა პენტაგონის, კონგრესის, სენატის და მთავრობის ზოგიერთ წევრს კო-

მენრსტების „მფარველები“ უწოდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამიტომ ხმა აიმაღლეს და მის წინააღმდეგ გამოვიდნენ რიგი სენატორები (დემოკრატები გ. ჰემფრი, უ. მორზე, გ. ლიმენი და რესპუბლიკელი რ. ფლანდერსი და სხვები) და თვით პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი. აღსანიშნავია აგრეთვე ფ. რუზველტის ქალიშვილის ელეონორა რუზველტის უშიშარი გამოსვლა მაკარტის და, საერთოდ, მაკარტისტული რეაქციის წინააღმდეგ, რამაც უდავოდ გარკვეული როლი შეასრულა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1953 წლიდან მაკარტიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ახალმა თავმჯდომარემ ე. უორენმა, რომელმაც მოსამართლე ჰ. ბლეკთან, უ. დუგლასთან და უ. ბრენერთან ერთად ნელა, მაგრამ თანდათანობით და მტკიცედ თქვა უარი მაკარტიზმის ტრადიციებზე საერთო-პოლიტიკურ საკითხებში და მოქალაქეობრივი თავისუფლებების დაცვის მომხრედ გამოვიდა. ასეთმა პოზიციამ გამოიწვია მაკარტისტების ახალი გამოხდომები.

1954 წლის ბოლოსათვის მაკარტიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა დასუსტდა, ხოლო თვით ჯ. მაკარტი სენატიდან გააძევეს.

მაკარტისტების საბოლოო განადგურებაში მაინც ხალხმა შეასრულა მთავარი როლი მასობრივი დემონსტრაციებითა და მანიფესტაციების მოწყობით.

მაკარტიზმის განადგურებაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ 1954 წელს დემოკრატიულმა პარტიამ კონგრესის ორივე პალატაში დაიბრუნა ადგილების უმრავლესობა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა რესპუბლიკური პარტიის პოზიციები. დემოკრატიული პარტიის კონგრესმენებმა, მართალია, ჩამოაშორეს მაკარტისტული ხროვა პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ ეს მხოლოდ რეაქციის უკან დახევა იყო. პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერიც მაკარტისტულ რეაქციას იმიტომ გაემიჯნა, რომ ახლოვდებოდა პრეზიდენტის მორიგი არჩევნები, იგი კი ხელმეორედ აპირებდა თავის კანდიდატურის წამოყენებას.

1956 წლის პრეზიდენტის არჩევნებში დემოკრატიულმა პარტიამ კანდიდატად კვლავ ვ. სტივენსონი წამოაყენა, მაგრამ რესპუბლიკელთა კანდიდატმა დ. ეიზენჰაუერმა გაიმარჯვა. ამ უკანასკნელის წარმატების მთავარ მიზეზად მიჩნეულია მისი გამიჯვნა მაკარტისტული რეაქციისაგან და მის წინააღმდეგ გამოსვლა. სამაგიეროდ დემოკრატებმა კონგრესის ორივე პალატაში კვლავ ადგილების უმრავლესობა მიიღეს. დემოკრატებს მხარი დაუჭირეს პროფკავშირებმა და მუშათა, ფერმერთა და ზანგთა ამომრჩევლების უდიდესმა ნაწილმა, რომელ-

თაც კარგად ახსოვდათ რესპუბლიკური მაკარტისტების რეაქციული პოლიტიკა.

კონსერვატორული ხელმძღვანელობის გამო პროფკავშირები ვერ ჩაუდგნენ სათავეში ქვეყანაში გაშლილ დემოკრატიულ მოძრაობას, ხოლო კომპარტია 50-იან წლებში მძიმე მდგომარეობაში იყო რეაქციის თარეშისა და ანტიკომუნისტური კამპანიების შედეგად. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ თვით პარტიის შიგნით გაჩნდნენ რევიზიონისტები და ლიკვიდატორები. რევიზიონისტები მოექცნენ ამერიკის კაპიტალიზმის „აყვავების" თეორიის გავლენაში და სწორად ვერ გაიგეს საბჭოთა კავშირში პიროვნების კულტის კრიტიკა, ზოგიერთი მათგანი (დ. გეიტსი და ა. ბიტლმენი) იქამდეც კი მივიდა, რომ მოითხოვდა აშშ-ს კომპარტიის ლიკვიდაციას. ისინი თავს ესხმოდნენ სსრ კავშირს, ამახინჯებდნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. რევიზიონისტ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ დაირაზმნენ პარტიის ჯანსაღი ძალები უ. ფოსტერის, ბ. ჰოდის, გ. უინსტონის და სხვების მეთაურობით და 1958 წელს რევიზიონისტ-ლიკვიდატორები პარტიიდან გარიცხეს.

ამასთან კომპარტია კვლავინდებურად თავგამოდებით იბრძოდა ანტიმუშური კანონმდებლობის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უფლებების შენარჩუნებისათვის. მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის, ამხელდა ომის გამჩაღებლებს და გამოდიოდა ორი სისტემის თანაარსებობის მოწოდებით.

კომპარტია ორგანიზაციულად და იდეოლოგიურად მწიფდებოდა, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ პარტიის ყრილობები.

1957 წლის თებერვალში შედგა აშშ-ს კომპარტიის XVI ყრილობა. მან მიიღო რეზოლუცია სოციალიზმში მშვიდობიანი, დემოკრატიული და კონსტიტუციური გზით გადასვლის შესახებ. რეპრესიებმა და რევიზიონიზმმა დაასუსტა აშშ-ის კომპარტია. 1957 წლისათვის იგი თავის რიგებში მხოლოდ 7 ათას წევრს აერთიანებდა.

მართალია, XVI ყრილობამ რევიზიონისტებს ძლიერი დარტყმა მიაყენა, მაგრამ ისინი ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდნენ და ამდენად მათი მთლიანი განადგურება მოხდა შემდეგ წლებში, კერძოდ XVII ყრილობაზე.

1959 წლის დეკემბერს კომპარტიის XVII ყრილობამ გენერალურ მდივნად აირჩია გეს ჰოლი, თავმჯდომარედ იუჯინ დენისი. ყრილობაზე მოიხსნა ლოზუნგი ზანგების ეროვნული თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1928 წელს მიიღეს, და დადგინდა, რომ ებრძოლათ ზანგების „მთლიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური თანასწორობისათვის".

50-იანი წლების მეორე ნახევარში მუშათა საგაფიცვო მოძრაობა კვლავ გრძელდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1959 წელი, როდესაც 3708 გაფიცვა მოხდა და 69 მლნ. სამუშაო დღე დაიკარგა. მეფოლადეთა გაფიცვა 116 დღეს გრძელდებოდა და მათი გამარჯვებით დამთავრდა.

1959 წელს კონგრესმა დ. ეიზენჰაუერის წინადადებით მიიღო ახალი ანტიმუშური კანონი ლენდრამ-გრიფინის სახელწოდებით, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავდა მუშათა, კომპარტიის და პროფკავშირთა გაფიცვებს, დემონსტრაციებს და სხვა პოლიტიკურ უფლებებს. პროფკავშირებს დაეკისრათ ყოველწლიური რეგისტრაცია თავიანთი შემოსავლის წყაროებისა. კანონი პროფკავშირების არჩევნებისა და ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავების პირობებსაც კი აწესებდა. კომუნისტებს კანონი უკრძალავდა პროფკავშირებში თანამდებობების დაკავებას. პროფკავშირთა საქმიანობაში ჩარევის უფლება სასამართლოსაც მიეცა. კანონი ზრდიდა სახელმწიფოს კონტროლს მუშათა და მეწარმეთა შორის კონფლიქტებზე.

როდესაც კონგრესში კანონის განხილვა მიმდინარეობდა, ეიზენჰაუერის მთავრობა კონგრესისადმი მიმართვაში მოითხოვდა პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვას. მიმართვა ერთგვარი პროგრამა იყო, რომლის თანახმად. პრეზიდენტის სიტყვებით, „საზოგადოებისა და მისი ინტერესების რეალური დამცველი" მხოლოდ მთლიანი და ეფექტური შრომის კანონმდებლობა უნდა გამხდარიყო. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს პრეზიდენტის პროგრამა მიაჩნდათ რესპუბლიკური პარტიის ერთგვარ მანევრად წინასაარჩევნო კამპანიის წინ. იგი მიზნად ისახავდა დემოკრატების მხარდაჭერით ახალი ანტიმუშური კანონების მიღებას. მიუხედავად ამისა, კანონი კონგრესმა მოიწონა. პროფკავშირთა ხელმძღვანელებმა მხოლოდ პროტესტი განაცხადეს. ახალი ანტიმუშური კანონმდებლობის წინააღმდეგ. ახალი ანტიმუშური კანონი[1] ფაქტობრივად დამატება იყო ძველი ტაფტ-ჰარტლის კანონისა, მისი კიდევ უფრო გაუარესების თვალსაზრისით.

§ 10. დ. ეიზენჰაუერის მთავრობის საგარეო პოლიტიკა

წინასაარჩევნო დაპირება კორეაში ომის შეწყვეტის შესახებ დ. ეიზენჰაუერმა მართლაც შეასრულა. იგი პირადად გაემგზავრა კორეაში და დარწმუნდა რა ომის უპერსპექტივობაში, გადაწყვიტა ცეცხლის შეწყვეტა; 1953 წლის ივნისში კორეასთან დროებითი ზავი დაი-

---

[1] ამ კანონს სენატში ხმა მისცა 92 სენატორმა ორის წინააღმდეგ, კონგრესში კი—352 კონგრესმენმა 52 წინააღმდეგ.

დო, მაგრამ სახელმწიფო მდივანმა ჯ. დალესმა გაილაშქრა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში „შეკავების“ დოქტრინის წინააღმდეგ; მან წამოაყენა „კომუნიზმისაგან იმ ხალხების განთავისუფლების“ კურსი, რომლებიც, თითქოს „საბჭოთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ“. „განთავისუფლების“ ანუ „კომუნიზმის უკუგდების“ დოქტრინას ჯ. დალესმა საფუძვლად დაუდო „მასირებული შურისგება“, თეზისი, რომელიც, მისი აზრით, აშშ-ს დიდ უპირატესობას მიანიჭებდა. ეს დოქტრინა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ემუქრებოდა ბირთვული იარაღის გამოყენებით. დ. ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ თუ კომუნისტები წამოიწყებენ აგრესიას, ჩვენ დავარტყამთ მათ არჩეული საშუალებებით კომუნისტური „სიძლიერის ცენტრში“. კიდევ უფრო შორს წავიდა სახელმწიფო მდივანი ჯ. დალესი, რომელიც იმუქრებოდა, რომ ყოველგვარ „კრიტიკულ სიტუაციაში“ აშშ მიმართავს „მასირებული შურისგების“ დამაშინებელ ძალას, რაც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო დემოკრატიული, მუშათა და ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა დაშინებას და მსოფლიო რევოლუციური პროცესის შეჩერებას. ომის გაჩაღების მუქარამ პროგრესული ძალების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში და მათ შორის აშშ-ში.

1954 წლის აპრილში ჯ. დალესმა, ამერიკის კაპიტალისტური სამყაროს საზოგადოებრიობის დამშვიდების მიზნით, წამოაყენა პოლიტიკური „მოქნილობის“ და „სიფრთხილის“ კურსი.

დალესმა წამოაყენა „ომის ზღვარზე ბალანსირების“ დოქტრინა, რომლის მთავარი აზრი იყო აშშ-ს შეიარაღებული ძალების ეფექტურობის ამაღლება, გამალებული შეიარაღების უფრო დიდი მასშტაბებით გაზრდა და ქვეყნის შემდგომი მილიტარიზაცია სოციალისტური ქვეყნების დაშინების მიზნით. დალესის „ომის ზღვარის“ დოქტრინა ცხადია, ეიზენჰაუერთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. გამალებულ შეიარაღებაში ნატოელ „პარტნიორებსაც“ უნდა მიეღოთ მონაწილეობა, რათა სოციალისტურ ქვეყნებზე უპირატესობა მოეპოვებინათ. მაგრამ დალესმა ამასთანავე განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობა არასოდეს არ დაიხევს უკან თავისი პოლიტიკისაგან, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული წყობილება დარჩება. დალესმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატებისათვის არ შეიძლება რეალური მშვიდობა იყოს, ვიდრე არსებობს სოციალისტური სისტემაო. ამრიგად, „განთავისუფლების“ პოლიტიკა კვლავ ძალაში რჩებოდა, ამერიკის მთავრობამ მხოლოდ ბრძოლის გზა შეცვალა, მან ხელი აიღო „მასირებული“ ბირთვული იარაღის გამოყენებაზე. „ცივი

ომის" პოლიტიკაში ერთგვარი შენელება დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო ომის შეწყვეტამ ინდოჩინეთში

1955 წლის ზაფხულში ჟენევაში მოეწყო ოთხი დიდი სახელმწიფოს — ინგლისის, აშშ-ის, სსრ კავშირის და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების შეხვედრა, რომელმაც მსოფლიოს ყველა ხალხს მშვიდობის განმტკიცების, ცივი ომისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის იმედი ჩაუსახა. ჟენევის თათბირს მსოფლიო პოლიტიკის რაიმე კონკრეტული საკითხი არ მოუგვარებია, მაგრამ მან და შემდგომმა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა რეალური შესაძლებლობები შექმნა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის თანდათანობით მოგვარებისათვის. მაგრამ „ჟენევის სული", ანუ „კლიმატი", როგორც მას უწოდებდნენ, დიდხანს არ გაგრძელებულა 1954 წლის სექტემბერში აშშ-მა შეაკოწიწა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო დაჯგუფება, ანუ სეატო, რომელიც მიმართული იყო უპირველეს ყოვლისა ჩსრ-ის, კსდრ-ის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისა და აზიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

აშშ-მა ორმხრივი სამხედრო კავშირი დადო ჩან-კაი-შის ბრბოსთან და სამხრეთ კორეის მმართველ წრეებთან. მათზე დაყრდნობით აშშ-მა დაძაბული ვითარება შექმნა შორეულ აღმოსავლეთში, რომელიც შეიძლებოდა, მსოფლიო ომის ხანძარში გადაზრდილიყო. რესპუბლიკურმა მთავრობამ ჩაფუშა ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ვიეტნამში საყოველთაო არჩევნების ჩატარების საკითხზე და სამხრეთ ვიეტნამში ხელისუფლების სათავეში დასვა თავისი დამქაში ნგონ დინ დიემი. ასეთსავე პოლიტიკას ატარებდა დ. ეიზენჰაუერის მთავრობა ლაოსის და კამბოჯის სახელმწიფოების მიმართ, სადაც მხარს უჭერდა რეაქციულ ძალებს.

აშშ-ის აგრესიულ წრეებს განზრახული ჰქონდათ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შეექმნათ ძლიერი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც აშშ-ის ბატონობის იარაღი უნდა გამხდარიყო ამ რაიონში. ამ მიზნით ჯერ წამოაყენეს ე. წ. „შუა აღმოსავლეთის სარდლობის" შექმნის პროექტი, შემდეგ — „მუსულმანური ბლოკის" შექმნის იდეა. ეს ორივე პროექტი ჩაიშალა. ამის შემდეგ 1955 წლის შემოდგომაზე ჯ. დალესის უშუალო ინიციატივით შეკოწიწდა ბაღდადის პაქტი (ამჟამად სენტო), მაგრამ ამ ბლოკში არაბული ქვეყნები ვერ ჩააბეს.

ინგლის-საფრანგეთის აგრესიის ჩაშლა სუეცის არხის ზონაში, აშშ-ის მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს გამოეყენებინათ აზიის ამ რაიონში პოზიციების განმტკიცებისათვის. მათ წამოაყენეს ე. წ. „ვაკუუმის", ანუ სიცარიელის თეზისი, თითქოს ინგლის-საფრანგეთის და-

მარცხების შედეგად შეიქმნა ე. წ. სიცარიელე და აზიის ამ რაიონს გადარჩენა „კომუნისტური აგრესიისაგან“ უნდა ეკისრა აშშ-ს. ასე აღმოცენდა ახლო აღმოსავლეთის აშშ-ის მიერ ხელში ჩაგდების ახალი იმპერიალისტური გეგმა — ე. წ. „ეიზენჰაუერ-დალესის“ დოქტრინა, რომელიც ფაქტობრივად „ტრუმენის დოქტრინის“ გაგრძელებას წარმოადგენდა. იგი 1957 წლის მარტში კონგრესმა დაამტკიცა. მისი იმპერიალისტური არსი მიზნად ისახავდა არაბეთისა და აფრიკის იმ ხალხების დაკაბალებას, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებისაგან განთავისუფლდნენ. ეს დოქტრინა უარყვეს არაბული აღმოსავლეთის მთავარმა ქვეყნებმა. მისი პრაქტიკული განხორციელება იმაში გამოიხატა, რომ იგი მიიღეს იორდანიის, ლიბანის და ერაყის გამყიდველურმა მთავრობებმა. ლიბანში მომხდარი აჯანყების შედეგად რეაქციული მთავრობა დაამხეს, რასაც ამერიკამ ლიბანსა და იორდანიაში ჯარების გადასხმით უპასუხა. ამან მსოფლიოს ხალხებში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, ამიტომ ამერიკის მთავრობა იძულებული გახდა უკანვე გაეყვანა ჯარები. ამრიგად, ამერიკის იმპერიალისტებმა, მიუხედავად ყოველგვარი ცდებისა, ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებისათვის.

ასევე უშედეგოდ დამთავრდა ამერიკის იმპერიალიზმის ცდები, ხელი შეეშალა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლისათვის. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა „მშვიდობიანი თანამშრომლობის“ იდეა.

1957 წლის ივლისიდან გადაწყდა „დამონებული ხალხების“ პროვოკაციული კვირეულის ჩატარება ყოველწლიურად. ამ მოვალეობას პრეზიდენტი ასრულებდა ერთგულად.

ჩვენს ქვეყანაში ხელოვნური თანამგზავრების წარმატებით გაშვებამ კიდევ ერთხელ გააქარწყლა ამერიკის სამხედრო უპირატესობის მითი. დასავლეთის საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებისათვის ცხადი გახდა საბჭოთა კავშირის მიმართ „ძალის პოლიტიკის“ სრული უპერსპექტივობა. ყოველივე ამით და მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებით აიხსნება ის, რომ 50-იანი წლების დამლევს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში ერთგვარი გაუმჯობესება ხდება, რაც გამოიხატა ვიცე-პრეზიდენტ რ. ნიქსონის ვიზიტით საბჭოთა კავშირში და 1959 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტით აშშ-ში. ამერიკის ხელმძღვანელთა ასეთი ნაბიჯები, ერთი მხრივ, აიხსნებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზრდით, მეორე მხრივ, მოახლოებული არჩევნებით. „მასირებული დარტყმის“ და „ომის ზღვარის“ პოლიტიკა ისე,

როგორც, საერთოდ, იარაღის ყღარუნის კურსი არაპოპულარული იყო ამერიკელ ხალხში, ამიტომ მოახლოებული არჩევნების წინ აღნიშნულ პარტიას ეს კურსი უნდა შეერბილებინა.

§ 11. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავება 60-იან წლებში და 70-იანი წლების დასაწყისში (1960—1977 წწ.)

1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. რესპუბლიკური პარტიის აშკარა რეაქციულმა საშინაო კურსმა და აგრესიულმა საგარეო პოლიტიკამ ამერიკელთა არა მარტო მშრომელი მასების, არამედ თვით „საშუალო ფენის" უკმაყოფილება გამოიწვია. „საშუალო ფენა"[1] ამერიკელი მოსახლეობის ოთხქმის 50 პროცენტს შეადგენს და ყოველთვის ორივე მმართველი პარტიის გაცხარებული ბრძოლის ობიექტია არჩევნებში ხმებისათვის.

რესპუბლიკური პარტიის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მაკარტისტული რეაქციის თავაშვებულობამ სახელი გაუტეხა როგორც თვით პარტიას, ასევე, საერთოდ, პრეზიდენტის ხელისუფლებას. ამ უკანასკნელმა ამერიკელი ამომრჩევლების სრული უნდობლობა დაიმსახურა.

საგარეო პოლიტიკაში მარცხმაც შეასუსტა პრესტიჟი — კერძოდ არ გამართლდა მისი კურსი, რომ სოციალიზმის ბანაკზე მოიპოვებდა უპირატესობას, კერძოდ საბჭოთა კავშირს უკარნახებდა თავის პირობებს.

გენერალი დ. ეიზენჰაუერი ომის პოპულარული სარდალი და გმირი იყო, მაგრამ, როგორც პრეზიდენტი, სუსტი აღმოჩნდა. მისი პრეზიდენტობის დროს მაკარტისტული ბრბო თავისუფლად თარეშობდა ამერიკაში და გახდა ერთგვარი სახელმწიფო სახელმწიფოში. ე. ი. ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა შეიქმნა. დ. ეიზენჰაუერმა ვერ შეძლო ან უბრალოდ არ მოინდომა მაკარტისტული ბრბოს თავისდროულად ალაგმვა, რამაც პრეზიდენტის ხელისუფლებას დიდი ჩრდილი მიაყენა. დ. ეიზენჰაუერი, როგორც პრეზიდენტი, ერთგვარ პასიურობას იჩენდა სახელმწიფო საქმიანობაში და ამით ასუსტებდა პრეზიდენტის ფუნქციებს. ამერიკელებში პრეზიდენტის თანამდებო-

---

[1] „საშუალო ფენას" შუალედური მდგომარეობა უკავია ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. „საშუალო ფენაში" შედიან: ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ე. ი. ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა, დიასახლისები, პენსიონერები. ინტელიგენცია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ექსპლუატირებულ ფენად გადაიქცა და თავისი შრომის პირობებით და ინტერესებით მუშათა კლასს უახლოვდება.

ბის შესახებ გავრცელებული იყო ასეთი გამოთქმა: „ფ. რუზველტმა-დაამტკიცა, რომ პრეზიდენტს შეუძლია თეთრ სახლში იმდენ ხანს დაყოს, რამდენსაც მოისურვებს, ჰ. ტრუმენმა — პრეზიდენტი შეიძ-ლება იყოს ყველა, ვინც კი მოისურვებს, დ. ეიზენჰაუერმა—პრეზი-დენტი საერთოდ საჭირო არ არის“.

ასეთ რთულ სიტუაციაში დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენ-ტის კანდიდატად ჯ. კენედი წამოაყენა.[1] დემოკრატები ამომრჩეველს პირდებოდნენ ქვეყნის „ახალ მიჯნაზე“ გაყვანას და მთელი ამერიკე-ლი ერის მობილიზაციას ქვეყნის განახლებისათვის. ჯ. კენედი პირო-ბას იძლეოდა, რომ აღადგენდა ფ. რუზველტის პოლიტიკურ კურსს. ახალგაზრდა, ჭკვიანი და ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე ჯ. კენე-დი[2], თავად მილიონერი, ცოლის მხრიდან ნათესაური ურთიერთობით უკავშირდებოდა მილიარდერ მორგანების ოჯახს. ბიზნესმენებს აშინებ-დათ კენედის სიმდიდრე, ვინაიდან სიმდიდრის გამო იგი შეიძლებო-და ძალზე დამოუკიდებელი პრეზიდენტი გამხდარიყო. პროფკავშირ-თა ხელმძღვანელებს ახსოვდათ, რომ ჯ. კენედი ლენდრემ-გრიფინის ანტიპროფკავშირულ კანონ-პროექტს თანაავტორობდა.

რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა რიჩარდ ნიქსონი, რომელიც უფრო გამოცდილი პოლიტიკოსი იყო, ვიდრე ჯ. კენედი. მას რვა წლის განმავლობაში ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

ჯ. კენედი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა რესპუბლიკური პარ-ტიის მთავრობის სათავეში ყოფნის დროს დაშვებულ შეცდომებს. ეს იყო საარჩევნო ბრძოლის ტრადიციული ფანდი, რომელსაც რეგუ-

---

[1] ჯ. კენედი ეკუთვნოდა ჩრდილო-აღმოსავლელ ამერიკელ მილიონერთა ერთ-ერთ ოჯახს. მისი მამა ფ. რუზველტის პრეზიდენტობის დროს ელჩად იყო ინგლის-ში. მან მილიონები ძალზე საეჭვო ფინანსური მაქინაციების გზით დააგროვა. ამ ოჯახს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობასთან. მამა შვილებს ბავშვობიდანვე უნერგავდა, რომ ისინი აუცილებლად უნდა გამხდარიყვნენ თეთრი სახლის ბატონ-პატრონნი. ამ მიზნით თავის უფროს შვილს ჯოზეფს ამზადებდა, მაგრამ იგი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა, რის შემდეგ ამ საქმისათ-ვის მამამ მომდევნო ვაჟის ჯონის მზადება დაიწყო. ჯ. კენედი სამჯერ აირჩიეს კონ-გრესის წარმომადგენელთა პალატაში და ორჯერ— სენატორად. მაკარტიზმის დროს ჯ. კენედის ფაქტობრივად ნეიტრალური პოზიცია ეკავა.

ჯ. კენედიმ საუცხოო განათლება მიიღო. იგი კარგი ორატორი იყო და გამოსვ-ლებისას სწრაფად იპყრობდა აუდიტორიას.

[2] საყურადღებოა, რომ აშშ-ის არსებობის მანძილზე არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ პრეზიდენტი კათოლიკე ყოფილიყო. კენედების ოჯახი კი კათოლიკუ-რი სარწმუნოების მიმდევარი იყო.

ლარულად იყენებენ მეტოქე პარტიები, და მან ამჯერადაც წარმატება მოუტანა დემოკრატიულ პარტიას. ჯ. კენედიმ ხმების მცირე უპირატესობით გაიმარჯვა[1].

§ 12. ჯ. კენედისა და ლ. ჯონსონის მთავრობების საშინაო პოლიტიკა

ჯ. კენედის მთავრობის საშინაო პოლიტიკა. რეაქციის 15-წლიანმა ბატონობამ დაძაბული პოლიტიკური ვითარება შექმნა ქვეყანაში. 1960 წლიდან, როდესაც დემოკრატიული პარტია ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, მან გადაწყვიტა დაძაბული ატმოსფეროს შენელება, ქვეყნის გადაყვანა „ახალ მიჯნაზე" და ზოგიერთ უმნიშვნელო დათმობაზე წასვლით ბურჟუაზიული მმართველობის აპარატის განმტკიცება. ასეთი ამოცანის განხორციელება დაეკისრა ჯ. კენედის. 1961 წლის 2 თებერვალს კონგრესისადმი მიმართვაში მან მოითხოვა ხელფასის მინიმუმის გაზრდა, საბინაო მშენებლობის გაფართოება, უმუშევრობის დაზღვევის გაფართოება, ქრონიკული დეპრესიის რაიონებისათვის დახმარების გაწევა და ა. შ. ყველა ამ ღონისძიების მთავარი მიზანი იყო ამერიკის ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა. ჯ. კენედი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ დიდი გადასახადები და დაბალი ხელფასი ხელს უშლის მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის ამაღლებას და იწვევს ეკონომიკური აღმავლობის შენელებას.

მიმართვაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი კონგრესმა დააკანონა. მთავრობამ მეწარმეებს აუკრძალა დადგენილი ფასების გაზრდა, მიიღო უმუშევართა და ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლების სამწლიანი პროგრამა, მაგრამ იგი შეზღუდული იყო. იმ შტატებმა, სადაც დიდი უმუშევრობა იყო, დახმარება მიიღეს საზოგადოებრივ სამუშაოებზე მუშათა დასაქმების მიზნით,

---

[1] 68,832 ათასი ამომრჩეველიდან ჯ. კენედიმ მიიღო 34,441 ათასი ხმა, ე. ი. 49,5%, რ. ნიქსონმა — 34,109 ათასი, ე. ი. 49,3%, განსხვავება 0,2% იყო; აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნები ხდება ორ. ეტაპად: თავდაპირველად ირჩევენ ამომრჩეველებს, რომელნიც ხმას აძლევენ პრეზიდენტის კანდიდატურას, მაგრამ, როგორც წესი, მეორე ეტაპზე ხმის მიცემა წინასწარ გადაწყვეტილია, ვინაიდან ამომრჩეველი ვალდებულია, იმ პარტიის კანდიდატს მისცეს ხმა, რომელ პარტიაშიც შედის. არჩევნების ასეთი წესიც არსებობს: ყოველ ოლქში თუ შტატში ამომრჩეველად ის ითვლება, ვინც უფრო მეტი ხმა მიიღო (ხმების აბსოლუტური უმრავლესობა). ეს ანტიდემოკრატიული წესია, ვინაიდან არჩევით ორგანოებში ადგილების ვანაწილება მიღებული ხმების პროპორციულად არ ხდება. ასეთივეა პრეზიდენტის არჩევნების წესიც. ამიტომაა, რომ ჯ. კენედიმ 1960 წლის არჩევნების დროს რ. ნიქსონს სძლია მხოლოდ 0,2% ხმით.

რის შედეგად 1961—1964 წლებში უმუშევრობა 5,7 მლნ-დან 3,7 მილიონამდე შემცირდა. შემცირდა გადასახადები კორპორაციებსა და პირად შემოსავალზეც. სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის მიზანი იყო ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა და მისი ზრდის ტემპების მიღწევა. ამ მიზნით გაიზარდა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი. ეკონომიკაში მართლაც ამ ღონისძიებებმა გამოიწვია ეკონომიკის ტემპების გარკვეული ზრდა. კენედი კლასობრივი ბრძოლის თავიდან აცილების მიზნით ზრუნავდა შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობის „მოწესრიგებაზე". მაგრამ მუშათა ხელფასის ყოველწლიური ზრდა 3,2%-ით შეზღუდა. გადაწყდა, რომ დაედგინათ განსაზღვრული თანაფარდობა შრომის ნაყოფიერების, ფასების და ხელფასის ზრდაში. გაიზარდა საბინაო მშენებლობის დაფინანსება. განათლების დარგში აშშ სოციალისტურ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. კენედიმ მოითხოვა განათლების სისტემის გაუმჯობესება სოციალისტურ ქვეყნებთან შეჯიბრებისა და ბრძოლის ინტერესებისათვის. 1963 წლის კანონით უმაღლესი განათლების საჭიროებისათვის იმაზე მეტი თანხა გამოიყო, ვიდრე მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში დაიხარჯა. ამასთანავე კენედის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო ხარჯები და საერთოდ ქვეყნის მილიტარიზაცია.

1965 წელს მიიღეს კანონი ავადმყოფთა და მოხუცთა სოციალური დაზღვევის შესახებ. გაიზარდა ხელფასიც ერთსაათიან ანაზღაურებაზე: თუ იგი 1955 წელს 1 დოლარი იყო, 1968 წელს 1,60 დოლარი გახდა. მაგრამ ხელფასის ზრდა დაკავშირებული იყო ფასების ზრდასთან, ინფლაციასთან, მუშათა ბრძოლასთან ხელფასის გაზრდისათვის, მეცნიერულ-ეკონომიკური რევოლუციის შედეგად სამუშაო ძალის გაძვირებასთან და ა. შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და ფასების სტაბილირების მიზნით ფერმერებს გაეზარდათ დახმარება, სუბსიდიები და კრედიტები, თუმცა ძირითადად ყოველივე ამას მსხვილი ფერმერები ღებულობდნენ. მაგრამ სუბსიდიების მიცემის პოლიტიკამ შეაჩერა წვრილი და საშუალო ფერმერების შემოსავლის დაცემა. ამასთანავე, მთავრობის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც დემოკრატიულ პარტიას ბრალსა სდებდა „ურენტაბელო" ფერმებისადმი მხარდაჭერაში.

როგორც აღვნიშნეთ, 1960 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში დემოკრატები ზანგებს დაპირდნენ „მოქალაქეობრივი უფლებების" კანონის შემუშავებას, მაგრამ აშშ-ში არსებული მმართველობის სისტემის გამო, მთავრობას ყოველთვის რიდი შეუძლია დასახული ამოცანის ცხოვრებაში განხორციელება. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ

როგორი შემადგენლობაა კონგრესში. როგორც წესი, მთავრობის ახალი პოლიტიკური და სოციალური ღონისძიებანი, რომელნიც, მაგალითად, ქვეყნის დემოკრატიზაციას და ხალხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებენ, კონგრესის დიდ წინააღმდეგობას აწყდება. ასევე მოხდა ჯ. კენედის დროსაც, რომელმაც ვერ გაბედა კონგრესის წინააღმდეგ გამოსვლა, ვინაიდან კონგრესმენთა შემადგენლობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ზანგთა მოქალაქეობრივი საკითხის გადაჭრისა. მით უმეტეს, რომ სამხრეთ შტატების დეპუტატებს კონგრესში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. ამიტომ დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ჯ. კენედი კონგრესის მაშინდელი შემადგენლობით ვერ მიაღწევდა სასურველ შედეგს.

ჯ. კენედიმ განაცხადა, რომ საშინაო პრობლემების გადაჭრას მთლიანად იმ შემთხვევაში შეუდგებოდა, თუ მეორე ვადით აირჩევდნენ პრეზიდენტად და კონგრესის შემადგენლობაც შეიცვლებოდა. ჯ. კენედის ბიერ კონგრესში შეტანილი „მოქალაქეობრივი უფლებების“ კანონპროექტის განხილვა ჭიანურდებოდა. მხოლოდ ზანგთა მასობრივმა მოძრაობამ და თვით ამერიკელთა საყოველთაო აღშფოთებამ ჯ. კენედის მოკვლის გამო[1] კონგრესმენები იძულებული გახადა თავიანთი დამოკიდებულება აღნიშნული კანონპროექტისადმი შეეცვალათ.

1964 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ლ. ჯონსონის საშინაო პოლიტიკა. ჯ. კენედის მოკვლის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ვიცე-პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა. ქვეყანა ჯერ კიდევ „საუკუნის დანაშაულის“ აღმაშფოთებელი შთაბეჭდილებით იყო აღსავსე და ამიტომ მხარი დაუჭირა ახალ პრეზიდენტს. ჯონსონი შექმნილ ვითარებაში მისდა უნებურად პარტიის ლიდერი გახდა, რამაც ერთხანს განამტკიცა

---

[1] პრეზიდენტ ჯ. კენედის პოლიტიკური კურსი უკიდურეს რეაქციონერთა დიდ შეშფოთებას იწვევდა. 1963 წლის 22 ნოემბერს ჯ. კენედი დალასში (ტეხასის შტატი) წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ჩავიდა. იგი ავანტიურად მოკლეს. ეს „საუკუნის დანაშაული“, თვით ამერიკელი მრავალი სენატორის, კონგრესმენის და სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწის არა ერთი განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, ჩაიდინეს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან და ვამოძიების ფედერალურ ბიუროსთან დაკავშირებულმა ულტრამემარჯვენეებმა. ჯ. კენედის მკვლელობის გარემოების შესასწავლად შეიქმნა მთავრობის კომისია უორენის მეთაურობით, რომელმაც დაადგინა, რომ მკვლელობა თითქოს ცალკე პირის — ოსვალდის მიერ ჩადენილი აქტი იყო და არა შეთქმულების შედეგი. უკანასკნელი ცნობებით, უორენის კომისიის დასკვნები გაუქმდა და ახალი კომისია უნდა შეიქმნას მკვლელობის გარემოების გამოსაძიებლად.

ჯ. კენედის მკვლელობამ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამერიკელი რასისტები კი ამ ამბავს დიდი ზეიმით შეხვდნენ, განსაკუთრებით სამხრეთის შტატებში.

პარტიის ერთიანობა. ახალ პრეზიდენტს მორალური მხარდაჭერა აღმოუჩინეს კონგრესის ორივე პალატის დეპუტატებმა და ბიზნესმენებმა. ამ უკანასკნელთან ჯონსონი მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული.

ახალმა პრეზიდენტმა თავის პირველ მიმართვაში კონგრესისადმი განაცხადა, რომ იგი ჯ. კენედის იდეალების მიმდევარი იქნება და მის დაწყებულ საქმეს გააგრძელებს, რომ მოკლული პრეზიდენტის საუკეთესო სახსოვარი იქნება „მოქალაქეობრივი უფლებების“ კანონის მიღება. ჯონსონის ამ განცხადებას დიდი ოვაციით შეხვდნენ კონგრესში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამხრეთის შტატებისა და ჩრდილოეთის რეაქციონერების ბლოკმა სენატში ობსტრუქცია მოუწყო აღნიშნულ კანონპროექტს და ამ საკითხზე დამატების ხანგრძლივობით ერთგვარი რეკორდიც კი დაამყარა ქვეყნის ისტორიაში. საბოლოოდ ჯონსონმა მაინც მიაღწია იმას, რომ ჯ. კენედის დროს წარდგენილი კანონპროექტი, გარკვეული ცვლილებებით, კონგრესმა 1964 წლის ივლისში დაამტკიცა. კანონი კრძალავდა რასობრივ დისკრიმინაციას საზოგადოებრივ ადგილებში და ზანგი მუშების სამუშაოზე მიღების ან სამუშაოდან დათხოვნის საქმეში. ჯონსონმა თავის მხრივ კონგრესში შეიტანა კანონპროექტი არჩევნებში ზანგთა დისკრიმინაციის გაუქმების შესახებ.

1964 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატულმა პარტიამ კანდიდატად ლ. ჯონსონი წამოაყენა. ლ. ჯონსონმა „ომი გამოუცხადა სიღატაკეს“ და საარჩევნო კამპანიაში გამოვიდა „დიდი საზოგადოების“ შექმნის პროგრამით, რომელსაც თითქოს უნდა მოესპო ქვეყანაში არსებული სიღატაკე (პრეზიდენტის აღიარებით 1966 წელს აშშ-ში 28,8 მილიონზე მეტი ღატაკი იყო). ეს იყო ლ. ჯონსონისა და, საერთოდ, დემოკრატიული პარტიის მორიგი წინასაარჩევნო დემაგოგია, რომელიც ხალხმა დაიჯერა. დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადა, რომ იგი იბრძოლებდა რასობრივი თანასწორობის ცხოვრებაში ეფექტურად განხორციელებისათვის. მან გაითვალისწინა რა ამერიკელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისაკენ, არჩევნებში გამოვიდა, როგორც „მშვიდობის პარტია“.

პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ამერიკელი ულტრები, რომლებმაც კანდიდატად წამოაყენეს „ცოფიანთა“ ლიდერი სენატორი ბარი გოლდუოტერი არიზონის შტატიდან. საყურადღებოა, რომ მემარჯვენეებმა ხელთ იგდეს რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა და გოლდუოტერი პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენეს.

ბ. გოლდუოტერის პროგრამა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთო-

ბის გაწყვეტას. აშშ-ის გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან, „ცივი ომის“ პოლიტიკის გაძლიერებას კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და თვით ბირთვული იარაღის გამოყენებას. იგი მოითხოვდა, რომ სამხედრო უწყებას მინიჭებოდა უფლება დამოუკიდებლად გამოეყენებინა ბირთვული იარაღი, აყენებდა ამ იარაღის შემდგომში მკვეთრი ზრდის პროგრამას და ა. შ.

საშინაო პოლიტიკაში ბ. გოლდუოტერი ზანგი მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ გამოვიდა. მისმა მილიტარისტულმა წინასაარჩევნო პროგრამამ ამერიკელი ამომრჩევლების დიდი აღშფოთება გამოიწვია. დემოკრატიულმა პარტიამ და მისმა კანდიდატმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. ლ. ჯონსონმა მიიღო 42,3 მლნ. ხმა, ბ. გოლდუოტერმა კი — 26,7 მლნ. ასეთივე დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს დემოკრატებმა კონგრესის ორივე პალატაში. ზანგთა ზოგიერთმა ლიდერმა აქტიურად დაუჭირა მხარი დემოკრატიულ პარტიას, თანამშრომლობდა მასთან, რადგან მიაჩნდა, რომ მთავრობას შეუძლია ეფექტურად იბრძოლოს რასობრივი თანასწორობის დამყარებისათვის. ზანგთა ორგანიზაციების წარმომადგენლები მთავრობის საუწყებო დაწესებულებებშიც კი შევიდნენ სახელმწიფო მოხელეების სახით.

ჯონსონმა მიიღო ხმების 62%. ასეთი გამარჯვება უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში არც ერთ პრეზიდენტს არ მოუპოვებია. ფაქტობრივად ეს იყო კენედიზმის და არა პირადად ჯონსონის გამარჯვება. მან სცადა საკუთარი პოლიტიკის ჩამოყალიბება, მაგრამ სინამდვილეში მოუწია კენედის დაწყებული საქმის დამთავრება. უპირველესად განხორციელდა სოციალური ღონისძიებანი, მაგრამ „დიდი საზოგადოების“ პროგრამიდან ბევრი არ გატარებულა.

1965 წელს კონგრესმა მიიღო კანონი შტატებში არსებული მთელი რიგი ცენზების გაუქმების შესახებ, რომელნიც ზანგთა არჩევნებში მონაწილეობას ზღუდავდნენ.

1968 წელს ძალაში შევიდა კანონი, რომლითაც გაუქმდა ბინის დაქირავების დროს დისკრიმინაცია, მაგრამ არაფერი არ გაკეთებულა ზანგი მოსახლეობის დასაცავად, რასისტთა თვითნებობის აღკვეთის საწინააღმდეგოდ და არც რასისტული ორგანიზაციების აკრძალვისათვის.

დემოკრატიულ პარტიის უმნიშვნელო ლიბერალობაც მოკლევადიანი აღმოჩნდა. აშშ-ის აგრესიამ ვიეტნამში ახალი შოვინისტური აღტყინება გამოიწვია და ისედაც შეზღუდული ხასიათის რეფორმები კიდევ უფრო შეკვეცა. ვიეტნამში ომის ყოველწლიური ხარჯები 25—30 მლრდ. დოლარს შეადგენდა, რასაც, უპირველეს ყოვლისა, გადასახადების გადამხდელების ხარჯზე იღებდნენ. ვიეტნამის ომმა ძნიშვნე-

ლოვხად ძელახა დემოკრატიული პარტიის გავლენა და 1966 წელს კონგრესის არჩევნებში მან მარცხი განიცადა.

1968 წლისათვის აშკარა გახდა, რომ ჯონსონის საშინაო პოლიტიკას წარმატება არ ჰქონდა. ვიეტნამის ომმა დამატებითი დარტყმა მიაყენა მისი ადმინისტრაციის პრესტიჟს.

1968 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. 1968 წლის არჩევნების წინ დემოკრატიულ პარტიაში არ იყო ერთიანობა. ლიბერალური ინტელიგენცია აშკარად აკრიტიკებდა ვიეტნამში ამერიკის აგრესიულ ომს. დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტის კანდიდატობაზე პრეტენზიებს აცხადებდნენ თვით ლ. ჯონსონი, უ. მაკარტი და რობერტ კენედი. როდესაც ამ უკანასკნელმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა, ლ. ჯონსონმა, რომელსაც მასთან მეტოქეობის იმედი არ ჰქონდა, მოხსნა თავისი კანდიდატურა. რ. კენედი გამოდიოდა ქვეყანაში საჭირბოროტო საკითხების მოგვარების მომხრედ, ხოლო საგარეო დარგში მოითხოვდა ვიეტნამში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. მაგრამ მისი ასეთი კურსი არ მოსწონდათ ულტრამემარჯვენეებს, რომლებმაც იგი მოაკვლევინეს. დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ლ. ჯონსონის მთავრობაში გ. ჰემფრი, ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად კი — სენატორი კ. მასკი.

რესპუბლიკურმა პარტიამ წამოაყენა რ. ნიქსონის, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად—ს. აგნიუს კანდიდატურა. რ. ნიქსონმა გაითვალისწინა აშშ-ის საშინაო და საგარეო ვითარება და წამოაყენა ლოზუნგი: „კანონი და წესრიგი". ვიეტნამის ომის შესახებ კი რ. ნიქსონი გარკვეულ დაპირებას არ იძლეოდა. არჩევნებში გაიმარჯვა რ. ნიქსონმა, რომელიც გახდა პრეზიდენტი, კონგრესის ორივე პალატაში კი წარმატებას დემოკრატიულმა პარტიამ მიაღწია.

ულტრამემარჯვენეებმა თავიანთ კანდიდატად წამოაყენეს ალაბამის შტატის გუბერნატორი რასისტი და მილიტარისტი ჯ. უოლესი, რომელმაც ამ არჩევნებში 10 მლნ. ხმა მიიღო, რაც იმის მაჩვენებელი იყო, თუ როგორ ღრმად გაიდგა ფესვები რეაქციამ ამერიკაში.

§ 13. ჯ. კენედისა და ლ. ჯონსონის მთავრობების საგარეო პოლიტიკა

მთავრობის სათავეში ჯ. კენედის ჩადგომის შემდეგ აშშ-ის „მასირებული შურისგებისა" და „გლობალიზმის" საგარეო პოლიტიკური კურსი გადაისინჯა და შეიცვალა „ახალი მიჯნების" პოლიტიკით. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა ქვეყნის პოლიტიკის ძირითადი მიზნებისა და ხასიათის შეცვლას. ეს კურსი მიზნად ისახავდა ამ პოლიტიკის მხო-

ლოდ ღონისძიებების, ფორმების და მეთოდების შეცვლას. კონგრესი-საღმი პირველსავე მიმართვაში ჯ. კენედი ამ ახალი პოლიტიკური კურსის არსს განმარტავდა, როგორც ცვალებად სამყაროსთან, მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებთან შეწყობისა და ხელმძღვანელობის განმტკიცების კურსს.

ამრიგად, „გლობალიზმის" საგარეო პოლიტიკა შეიცვალა „მოქნილი რეაგირების" პოლიტიკით. ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ აშშ-ის მმართველმა წრეებმა საერთოდ უარი თქვეს „ძალის პოზიციაზე". იქ, სადაც ვერ შეაჩერებდნენ რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ცენტრისათვის მასირებული დარტყმის ნაცვლად უნდა ეწარმოებინათ ლოკალური ხასიათის ე. წ. „ორ-ნახევარი"— „ორი დიდი და ერთი პატარა ომი".

მართალია, ჯ. კენედის მთავრობასაც არ უთქვამს უარი ომის პოლიტიკაზე, მაგრამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების ზრდა ისეთი ფორსირებული ძალით წარიმართა, როგორც არასდროს. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების და წყალქვეშა გემებიდან გასაშვები „პოლარისის" რაკეტების წარმოების სწრაფ ზრდას.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისადმი ჯ. კენედი ახორციელებდა ე. წ. აქტიურ პოლიტიკას, რომლის არსი იყო მშვიდობიანი პოლიტიკის შერწყმა ომისა და აგრესიის მუქარასთან, რამაც აშკარა გამოხატულება პოვა კუბის რესპუბლიკის მიმართ. აშშ-მა 1961 წელს გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა კუბის რევოლუციურ მთავრობასთან, კუბის წინააღმდეგ იგი ამხედრებდა ყოფილ ლატიფუნდისტებს და საწარმოთა მეპატრონეებს, მსხვილ სახლთმფლობელებს და ვაჭრებს, კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეთა ნაწილს, რომლებიც ემიგრირებული იყვნენ. 1961 წლის აპრილში აშშ-მა კუბაში, პლაია-ხირონის რაიონში, გადასხა კუბელ კონტრრევოლუციონერთა დიდი ჯგუფი. რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად აღმდგარმა კუბელმა ხალხმა კონტრრევოლუცია გაანადგურა. აშშ კუბის წინააღმდეგ ამხედრებდა ლათინური ამერიკის ქვეყნებს, მაგრამ ვერც ამას მოჰყვა წარმატება და 1962 წლის ოქტომბერში ჯ. კენედის მთავრობამ გამოაცხადა კუბის სამხედრო ბლოკადა. კარიბის ზღვის რაიონში კრიზისი შეიქმნა, რამაც მსოფლიო თერმობირთვული ომის საშიშროების წინაშე დააყენა. სამხედრო კონფლიქტი მხოლოდ საბჭოთა მთავრობის მტკიცე და გონივრული პოლიტიკის შედეგად იქნა აცილებული. ამასთან, კენედი, რომელმაც კუბის კრიზისის გამო სათანადო დასკვნები გამოიტანა, დაადგა მოლაპარაკების მეშვეობით კონფლიქტის დაძლევის გზას.

კარიბის კრიზისის მოლაპარაკების გზით მოგვარებამ ხელი შე-

უწყო საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის ერთგვარ გაუმჯობესებას. 1963 წელს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება თერმობირთვული იარაღის — ატმოსფეროში, დედამიწაზე და წყალში გამოცდის აკრძალვის შესახებ. მაგრამ ამერიკაში, ხელშეკრულებას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, უპირველეს ყოვლისა მსხვილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელები, რომელთა ერთ-ერთმა ლაქიამ, „წყალბადის ბომბის მამამ", ტელერმა კენედის მთავრობას ბრალი დასდო, რომ მისი მოქმედება აგებულია „მშვიდობის ყალბ იმედებზე", ხოლო კონგრესს ღია წერილი მისწერა და ზეგავლენის მოხდენის მიზნით აშინებდა მას „საშინელი შედეგებით", რომლებიც, შესაძლოა, მოსკოვის შეთანხმებას მოჰყოლოდა. ტელერი და მილიტარიზაციისა და გამალებული შეიარაღების სხვა მომხრენი ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ტელერი აშშ-ის მთავრობის მთავარი კონსულტანტია თერმობირთვულ საკითხში, კონგრესმა მხარი არ დაუჭირა მას და 1963 წლის 24 სექტემბერს მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიცირება მოხდა. ამის შემდეგ მილიტარისტებმა ცილისწამებლური კამპანია გააჩაღეს, თითქოს აშშ-ის მთავრობამ მოკავშირეებს გაუმეღავნა თერმობირთვული იარაღის წარმოების საიდუმლოება, რაც ძალების თანაფარდობას გააწონასწორებდა ევროპაში. მათ მეთაურობაში ჰყავდათ, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ გერმანიის რევანშისტები. ვინაიდან ამ კამპანიას მხარს უჭერდნენ პენტაგონი და, საერთოდ, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გავლენიანი წრეები, მოსალოდნელი იყო აშშ-ის მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენა. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე, თავი უნდა შეიკავოთ ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდაზე, რომ ბირთვული იარაღის გავრცელება უფრო მეტად გაზრდის ომის საშიშროებას. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა შეთანხმების გაფორმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

აშშ-ის მმართველ წრეებში შეშფოთებით შეხვდნენ საფრანგეთის გამოსვლას ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან. შექმნილ ვითარებაში გაბატონებული კლასების ერთი ნაწილი მართლაც იხრებოდა იქითკენ, რათა საფრანგეთის გამოსვლის შედეგად დასუსტებული ნატო გაძლიერებინათ დასავლეთ გერმანიის ჯარებით და გადაეცათ მისთვის ბირთვული ბომბის საიდუმლოება. მით უმეტეს, რომ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ბირთვული ბომბის დაუფლებას. მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობის საყოველთაო აღშფოთების გამო აშშ-ის მთავრობამ ვერ გაბედა ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმა. 1968 წლის 12 ივლისს ლ. ჯონსონის მთავრობამ

ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, რომლის რატიფიკაცია გაჭიანურდა რ. ნიქსონის მთავრობის შექმნამდე.

ჯ. კენედის მთავრობამ გამოაცხადა ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი „ახლებურად მიდგომის“ კურსი, რომლითაც წინა პლანზე წამოწია რევოლუციური კუბისა და სოციალიზმის იდეების წინააღმდეგ ბრძოლა. აქედან გამომდინარეობდა ჯ. კენედის მთავრობის კურსის მეორე თავისებურება — სოციალიზმის იდეებისათვის დაეპირისპირებინა ბურჟუაზიული რეფორმიზმი. ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი „ახლებურად მიდგომის“ კურსი აისახა „მშვიდობიანი რევოლუციისა“ და „პროგრესის კავშირის“ დოქტრინებში. ეს ახალი დოქტრინები, ანუ, როგორც მათ უწოდებდნენ, პროგრამები, როდი ნიშნავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ისეთი ტრადიციული პოლიტიკის დავიწყებას, როგორიც იყო „დიდი კეტისა“ და „ზარბაზნიანი გემების დიპლომატია“. ახალი პროგრამა ძველის დამატება უნდა ყოფილიყო, რომელიც განსაზღვრავდა ლათინური ამერიკის ქვეყნების დამორჩილების გზებსა და ფორმებს. ახალი პრეზიდენტის მიზანი იყო არ დაეშვა სოციალიზმის გამარჯვება ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ჯ. კენედი ლათინური ამერიკის ჩამორჩენილ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას მიიჩნევდა სოციალური რევოლუციის მთავარ მიზეზად და მისი თავიდან აცილების მიზნით ბურჟუაზიული რეფორმების გატარების მომხრე იყო. თავისი ძირითადი შეხედულებანი ჯ. კენედიმ ჩამოაყალიბა 1961 წლის 13 მარტს თეთრ სახლში აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრაზე. აქ ჯ. კენედიმ განაცხადა, რომ დასავლეთის ნახევარსფეროს „საშიშროება“ შეექმნა და ლათინური ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეებს მოუწოდა ახალ კავშირში გაერთიანებულიყვნენ. ჯ. კენედიმ ეკონომიკური განვითარების ათწლიანი გეგმა წამოაყენა. ამ შეხვედრის მეორე დღესვე პრეზიდენტმა კონგრესს გაუგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც მოითხოვდა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას, რათა ხალხს კომუნიზმი არ მიეჩნია ხსნის ერთადერთ საშუალებად. ჯ. კენედის ამოცანა იყო შეესუსტებინა კუბის რევოლუციის გავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, გზა მიეცა ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, რათა გაეტარებინა რეფორმები, წასულიყო დათმობებზე და ბურჟუაზიული წყობილება განემტკიცებინა. ჯ. კენედის პოლიტიკამ მხარდაჭერა პოვა ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიბერალურ და რადიკალურ წრეებში, რომელნიც იმედოვნებდნენ, რომ დახმარების გზით განახორციელებდნენ ძველი საწარმოო ძალების „პროგრესულ ევოლუციას“. ამ გეგმას ეწოდა „კავშირი პროგრესისათვის“. „კენედის გეგმა“ მათ მიიღეს, რო-

ვორც აშშ-ის დაპირება, რომ დაეხმარებოდნენ ამ ქვეყნების ეროვნული კაპიტალიზმის განვითარებას. რაც შეეხება ლათინური ამერიკის დიქტატორებს და რეაქციულ წრეებს, ისინი შეშფოთებით შეხვდნენ კენედის გეგმას. მათ ეგონათ, რომ კენედის მთავრობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ღრმა გარდაქმნითი ღონისძიებების მომხრედ გამოდიოდა, მით უმეტეს, რომ ჯ. კენედის გეგმით დახმარებას ღებულობდნენ ის ქვეყნები, სადაც დემოკრატიული რეჟიმი იყო.

კენედის ეს პროგრამა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნებისა და ხასიათის შეცვლას როდი ნიშნავდა. იგი მიზნად ისახავდა ძველი პოლიტიკის მხოლოდ ფორმებისა და მეთოდების შეცვლას. ეს კარგად ესმოდათ ამერიკის კონტინენტის მემარცხენე ძალებს და, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტებს, რომელნიც ხალხს განუმარტავდნენ, რომ „კენედის პროგრამის“ მთავარი ამოცანაა ხელი შეუშალოს ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა ბრძოლას ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნებისათვის.

აშშ-ის მმართველი წრეები ვარაუდობდნენ, რომ კუბის რევოლუცია გავლენას მოახდენდა ლათინური ამერიკის ქვეყნებზე და იძულებული გახდნენ ნაწილობრივ დაეფინანსებინათ ისინი ეკონომიკური განვითარების მიზნით. ისინი დათანხმდნენ ამერიკის საერთაშორისო ბანკის შექმნასა და დახმარების გაზრდაზე, კერძოდ, 10 წლის განმავლობაში ლათინური ამერიკისათვის სესხად უნდა მიეცათ 20 მლრდ. დოლარი. ლათინური ამერიკის ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ 80 მლრდ. დოლარი გაეღოთ. „კენედის გეგმის“ თანახმად აუცილებელი იყო ლათინური ამერიკის ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. აშშ-ის მხრივ დიდმნიშვნელოვანი დათმობა იყო სახელმწიფო სექტორისათვის მხარდაჭერა და ისეთი სფეროების დაფინანსებაც კი, რომელნიც ადრე არახელსაყრელად მიაჩნდათ — საბინაო მშენებლობა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ა. შ. კენედი ამტკიცებდა, რომ ლათინურ ამერიკას შეუძლია და კიდეც უნდა წავიდეს ევოლუციის და არა რევოლუციის გზით. აქედან გამომდინარეობდა მისი პროგრამის იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანები. აშშ-ის მმართველი წრეების აზრით, „ალიანსი პროგრესისათვის“ ერთგვარი ნიმუში უნდა გამხდარიყო. სხვა განვითარებადი ქვეყნებისათვის და ომი ორ იდეოლოგიას შორის სუსტად განვითარებადი ქვეყნების განვითარების გზების შესახებ უნდა მოეგო აშშ-ს.

პროგრამის საფუძველზე აშშ-ის მთავრობამ ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი დახმარებისათვის 4,5 მლრდ. დოლარი გამოყო. ამ პროგრამამ გარკვეულ პერიოდში მართლაც გააძლიერა ლიბერალური ძალების გავლენა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, მაგრამ მან ვერ

შეძლო ამ ქვეყნების ხალხთა რევოლუციური მოძრაობის შეჩერება, რის გამოც ამერიკის მთავრობა კვლავ „ძალის პოზიციას“ დაადგა. მაგალითად, 1965 წელს დომინიკანელთა რესპუბლიკის წინააღმდეგ აშკარა ინტერვენცია მოეწყო, პანამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას კი აშშ რეპრესიებით უპასუხებდა. როდესაც კონგრესმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, 1968 წელს მკვეთრად შეამცირა განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარება. 60-იანი წლების დამლევს ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ცხადყოფდა „კენედის პროგრამის“ პოლიტიკის კრახს. ამასთანავე აშშ-ის დახმარების თითქმის 40 პროცენტი სამხედრო მიზნებსა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას ხმარდებოდა. აშშ-ის დახმარების შედეგად ლათინური ამერიკის არც ერთ ქვეყანაში არ შექმნილა ეროვნული ეკონომიკისათვის დიდმნიშვნელოვანი მრეწველობის დარგები. რეაქციონერმა გენერლებმა ამერიკის მონოპოლიათა მხარდაჭერით 1961—1968 წლებში სამხედრო გადატრიალებები მოახდინეს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში.

აფრიკისა და აზიის ხალხების მიმართ ამერიკის მმართველმა წრეებმა გამოიგონეს ე. წ. „მშვიდობის კორპუსი“, რომელიც ასევე „დახმარების“ საფარით ინიღბებოდა.

1967 წელს აშშ-ის მხარდაჭერით ისრაელმა ომი დაიწყო არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, რითაც ცდილობდნენ შეეჩერებინათ არაბული ქვეყნების პროგრესული განვითარების პროცესი. ისრაელი, ამერიკის მთავრობის წაქეზებით, დღემდე უარს ამბობს შეასრულოს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ოკუპირებული ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

მშვიდობისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ამერიკის იმპერიალიზმის ომი ინდოჩინეთში. 1964 წლის 7 აგვისტოს კონგრესმა მიიღო ე. წ. „ტონკინის რეზოლუცია“, რომლითაც პრეზიდენტს უფლება მიეცა შეიარაღებული ძალების გამოყენებისა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ხოლო 1965 წლის დასაწყისიდან აშშ-მა დაიწყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა; სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნა ჯარი, რომლის რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა და 1968 წლისათვის ნახევარ მილიონ კაცს გადააჭარბა. ამერიკის მხედრიონმა სამხრეთ ვიეტნამი იარაღის გამოცდის პოლიგონად გადააქცია.

ამერიკის იმპერიალიზმმა ვერ გატეხა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობა. ამერიკის ყველა სამხედრო და პოლიტიკურმა დოქტრინამ კრახი განიცადა. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა კვლავ ჩიხში მოექცა.

ძალზე მძიმე აღმოჩნდა ომის შედეგები თვით ამერიკისათვის. ამან

გამოიწვია ქვეყნის ფინანსური სისტემის მოშლა. მკვეთრად შემცირდა სოციალური დახმარება. მას მოჰყვა პოლიტიკური კრიზისი და მასობრივი ომის საწინააღმდეგო გამოსვლა.

§ 14. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა და განვითარება. ეკონომიკური განვითარება 60–70-იან წლებში

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა და განვითარება. ტერმინი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი პირველად იხმარა პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა 1961 წლის იანვარში გამოსათხოვარ სიტყვაში, როდესაც იგი პრეზიდენტის პოსტს ტოვებდა. მან აღნიშნა, რომ აშშ-მა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნა კოლოსალური სამხედრო მრეწველობა, რომელშიც ჩამბული იყო 3,5 მილიონი მამაკაცი და ქალი.

კოლოსალური სამხედრო-ადმინისტრაციული მანქანის შერწყმას უდიდეს სამხედრო ინდუსტრიასთან დ. ეიზენჰაუერმა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი უწოდა, რომლის ტოტალური გავლენა იგრძნობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაშიც კი; დ. ეიზენჰაუერმა ხაზი გაუსვა იმ საშიშროებას, რომ ამ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს „ნებსით თუ უნებლიეთ შეუძლია უკონტროლო გავლენას მიაღწიოს“.

საყურადღებოა, რომ ომამდელი ამერიკა არ წარმოადგენდა მილიტარისტულ სახელმწიფოს. 1939 წლის ზაფხულისათვის მას ჰყავდა მხოლოდ 9 ქვეითი დივიზია და 2400 თვითმფრინავი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ამერიკა გახდა იარაღის მწარმოებელი, იგი დიდ ბიზნესს იძლეოდა.

ომის დროს შექმნილი სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატი არამც თუ ძალაში რჩებოდა, პირიქით, იზრდებოდა. იზრდებოდა სამხედრო ხარჯებიც, რომლებმაც ომისდროინდელ დონესაც კი გადააჭარბეს. ომის დამთავრებიდან 25 წლის განმავლობაში აშშ-ის სამხედრო ხარჯებმა 1 000 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სამხედრო ხარჯები განსაკუთრებით იზრდებოდა 60-იანი წლებიდან. ამრიგად, ქვეყნის მილიტარიზაციამ წარმოშვა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი წარმოადგენს თანამედროვე მილიტარიზაციის პოლიტიკის, ეკონომიკისა და იდეოლოგიის ურთიერთშერწყმულ მჭიდრო კავშირს. მასში გაერთიანებულია სამხედრო-ადმინისტრაციული, სამხედრო-სამრეწველო ინდუსტრიის, მსხვილი მონოპოლისტური ბურჟუაზიის და რეაქციის ყველა წარმომადგენელი. სამხედროში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, პენტაგონი და-

ვისი ორგანოებით და სახელმწიფო აპარატის ის ორგანოები, რომელნიც მონაწილეობენ ქვეყნის სამხედრო პოლიტიკის შემუშავებაში. მისი დამხმარე დაწესებულებები შემდეგია: სამეცნიერო-საკვლევი და უნივერსიტეტების ფართო ქსელი, მილიტარისტული ჯგუფები კონგრესში, სამხედრო-აკადემიური ჯგუფები, პროფკავშირული ხელმძღვანელობის მემარჯვენე ფრთა, რეაქციულ-რელიგიური და სიონისტური ორგანიზაციები, ომის ვეტერანთა ორგანიზაციების მემარჯვენე რეაქციული ფრთა, რეაქციონერთა სამსახურში არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი — არის წარმოების შემდგომი კონცენტრაციის, მანამდე არნახულად გაზრდილი მონოპოლიების ეკონომიკური სიძლიერისა და მათთან პოლიტიკის ყოველმხრივი შერწყმის ახალი და თავისებური ფორმა. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო, მაგრამ თავისი განვითარება და სრულყოფა 50 — 60-იან წლებში პოვა და დაიწყო ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო არენაზე გამოსვლა. მისი ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ახალ ისტორიულ ვითარებაში, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად იმპერიალიზმის პოზიციები საერთაშორისო არენაზე შესუსტდა, ხოლო მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმის ძალები არნახულად გაიზარდა. იწყო დაშლა და მალე თავისი არსებობა შეწყვიტა იმპერიალიზმის კოლონიურმა სისტემამ, მაშინ როდესაც ძალთა ახალი თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა. ასეთ ვითარებაში, აშშ-მა, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყნად გადაიქცა, თავის თავზე აიღო კაპიტალიზმის გადარჩენის მისია. სწორედ ასეთ ვითარებაში წარმოიქმნა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგი დღეისათვისაც არ წარმოადგენს რაიმე ერთიან ორგანიზაციას. ეს არის რთული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შედეგად წარმოშობილი სისტემა. მასში ასახულია ყველა ის პროცესი, რომელმაც მოიცვა ომის შემდგომი ამერიკის იმპერიალიზმი. ამერიკის საშინაო პოლიტიკური ცხოვრების საბოლოო შედეგი ის არის, რომ ლიბერალიზმი რეაქციამ შეცვალა.

60—70-იან წლებში აშშ-ში უფრო მკვეთრად გამოვლინდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა მხარე, მისი გავლენის ზრდა მთავრობის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. 50-იანი წლების პირველ ნახევარში სამხედრო ბიუჯეტი საშუალოდ 36 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 1961 წელს — 47,4, ხოლო 1974 წელს — 81,0 დოლარს. 20 წლის განმავლობაში (1950—1970 წლებში) მთავრობის ბიუჯეტი 40-დან 200 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, მათ შორის სამხედრო ხარჯები კი — 40-დან 80 მილიარდ დოლარამდე.

აშშ-ის სამხედრო ხარჯები მილიარდ დოლარებში

1961 წ.	1965 წ.	1970 წ.	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.	1977 წ
47,4	49,6	80,3	77,6	78,3	76,4	81,0	86,0	103	113

გენერლები და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ყოველნაირად ცდილობენ, რომ ახალ 1978 საფინანსო წელს სამხედრო ბიუჯეტი 125—130 მლრდ. დოლარამდე გაიზარდოს.

ამ ხარჯების მეტი ნაწილი ახალ სახეობათა იარაღს ხმარდება. პენტაგონის მიერ დაგეგმილი იყო „ბ—1" ტიპის ახალი სტრატეგიული ბომბდამშენების ავიაფლოტის შექმნა, რაც 23 მლრდ. დოლარი უნდა დამჯდარიყო[1]. უდიდესი თანხები ჯდება „ტრაიდენტის" ტიპის წყალქვეშა ნავების მშენებლობა. ამ ტიპის პირველი ათი ნავის ღირებულება 21,5 მლრდ. დოლარს შეადგენს. ამერიკის მხედრიონი და სამხედრო მონოპოლიები იღვწიან „ფრთოსანი რაკეტების" ახალი სისტემის შესაქმნელად. თითოეული მათგანი დაახლოებით 500 ათასი დოლარი ღირს.

საყურადღებოა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ჯ. კარტერი ხალხს ჰპირდებოდა, 5—7 მლრდ. დოლარით შევამცირებ სამხედრო ხარჯებსო, მაგრამ 1977 წლის თებერვალში მან კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელსაც დართული ჰქონდა 1978 წლის საფინანსო წლის (იწყება ოქტომბრიდან) ფედერალური ბიუჯეტის გადასინჯული პროექტი. იგი ითვალისწინებს ისეთი სტრატეგიული შეიარაღების ახალი სისტემების კვლავ დამუშავებასა და შექმნას, როგორიცაა „მ—ჯ" რაკეტები, „ბ—1" ბომბდამშენები და სხვა. საარჩევნო კამპანიის დროს კი ჯ. კარტერი აცხადებდა, რომ განზრახული ჰქონდა საერთოდ გადაესინჯა ბომბდამშენების მშენებლობის პროგრამა, რომელიც საზოგადოებრიობის პროტესტებს იწვევდა.

შეიარაღების ძვირადღირებული ახალი სისტემის შექმნის ხარჯები გადასახადის გადამხდელებს დააწვებათ ტვირთად. ხაზინის შემოსავლის უდიდეს ნაწილს — 179.2 მლრდ. დოლარს — შეადგენს სახსრები, რომლებსაც მოსახლეობაში მოაგროვებენ ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის სახით. კორპორაციათა გადასახადი მხოლოდ 61,6 მლრდ. დოლარია.

პრეზიდენტ კარტერის აღიარებით 1976 წელს აშშ-მა უცხოეთის სახელმწიფოებს მიჰყიდა 10 მილიარდი დოლარის იარაღი.[2]

---

[1] ჯ. კარტერმა უარყო „ბ—1" ბომბდამშენების მშენებლობის გეგმა.

[2] სხვა წყაროებით (იხ. გაზ. „პრავდა", 1. XI—1977 წ.). 1976 წლის ფინანსურ წელს აშშ-მა უცხოეთის სახელმწიფოებს მიჰყიდა 12,7 მლრდ. დოლარის იარაღი, ხოლო 1977 წლისათვის ხელმოწერილი კონტრაქტები ითვალისწინებდა იარაღის გაყიდვას 14 მლრდ. დოლარის რაოდენობით.

ამრიგად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი აშშ-ის საზოგადოების გიგანტური ხასიათის სიმსივნედ გადაიქცა, რომელიც იზრდებოდა და ვითარდებოდა, ხოლო სხვა ორგანოების სიცოცხლისუნარიანობას ასუსტებდა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და აშშ-ის მუშათა კლასის სტრუქტურული ცვლილებები. 50-იანი წლების განსაკუთრებით შუა პერიოდი კაპიტალისტურ ქვეყნებში აღინიშნება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დასაწყისით. მეცნიერული აღმოჩენები და ტექნიკური პროგრესი ხელს უწყობდა სამრეწველო წარმოების ზრდას და თავის მხრივ გავლენას ახდენდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე, იქმნებოდა და სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობის (ატომის, ელექტრონის, რაკეტული, სინთეტური მასალების წარმოების) ახალი დარგები. მაგრამ 50-იანი წლების მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია აშშ-ში მიმდინარეობდა ეკონომიკური დაცემისა და მრეწველობის ზრდის დაბალი ტემპების პირობებში. მაღალი ტემპით ვითარდებოდა მხოლოდ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ მილიტარიზაციასთან, კერძოდ, ელექტროენერგიის, ბირთვული, რაკეტული და ა. შ. კაპიტალური დაბანდებანი ბირთვულ წარმოებაში 2,1 მილიარდი დოლარიდან (1950 წელს) 7,3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა (1959 წელს).

აშშ-ის ტექნიკური პროგრესის თავისებურებაა ის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს პირველ რიგში სამხედრო ინდუსტრიაში იყენებენ, ამერიკის მონოპოლიები კი, რომელნიც გამალებულ შეიარაღებაში მონაწილეობენ, დიდ შემოსავალს იღებენ. უმსხვილესი მონოპოლიების მოგებებმა, როგორიცაა „ჯენერალ ელექტრიკი", „ჯენერალ დაინემიკი", „ლოკჰიდი", „ბოინგი" და სხვები, დაბანდებული კაპიტალის 20 პროცენტს მიაღწია.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს მეცნიერული კვლევისა და ტექნიკის განვითარების ხარჯების დიდ ნაწილს.

1955—1970 წლებში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ხარჯები 100 მლრდ. დოლარს შეადგენდა. აშშ-ში 50-იანი წლებიდან იწყება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის დაფინანსების ზრდა. მაგალითად, თუ 1950 წელს გათვალისწინებული იყო 3 მილიარდი დოლარი, 1968 წლისათვის ამ ხარჯებმა 25 მლრდ. დოლარს მიაღწია. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სხვა ქვეყნებიდან მეცნიერულ-ტექნიკური სპეციალისტების გადაბირება, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროგრესზე.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოების მართვის აპარატის გარდაქმნაც გამოიწვია და მართვის ეფექტურობისათვის

გრძოლა იმდენად დიდ ბიზნესად გადაიქცა, რომ 60-იან წლებში მას ხელი მოკიდეს სპეციალიზებულმა ფირმებმა.

მეცნიერების შეჭრამ წარმოებაში გაზარდა მეცნიერთა რიცხვი და მათი კადრების მომზადება აშშ-ში. გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში. 1945 წელს აშშ-ში იყო 1,1 მლნ. სტუდენტი, 1970 წელს კი — 7,3 მლნ.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დააჩქარა კაპიტალისტური საკუთრების ფორმის სახელმწიფო-მონოპოლისტური მიმართულებით განვითარება, რის შედეგად ხდება საკუთრების გასახელმწიფოებრივება. უმსხვილესი კორპორაციები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან და წამყვანი პოზიციები უკავიათ ეკონომიკაში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად კორპორაციებს სახელმწიფოს მეშვეობით უკეთესი შესაძლებლობები აქვთ მეცნიერების მიღწევების დანერგვისა და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის. ამის შედეგად კაპიტალისტური საკუთრების ინდივიდუალური ფორმა იცვლება სააქციონერო. შემდეგ სააქციონერო-მონოპოლისტურ და ბოლოს სააქციონერო-სახელმწიფოებრივ საკუთრებად. კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ საკუთრებრივი ურთიერთობის საფუძვლად გადაიქცა სახელმწიფო-მონოპოლისტური სტრუქტურა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შედარებით წვრილი საწარმოები არ არსებობენ. მაგალითად, 1964 წელს აშშ-ში მეურნეობის ყველა დარგში იყო 11,489 ათასი საწარმო, აქედან — 1374 სააქციონერო საზოგადოება, 922 ათასი საპაიო კომპანია და 9193 ინდივიდუალური მფლობელობის საწარმო.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. შეიქმნა ახალი ფორმა, „კონგლომერატი". რომლის დროსაც ხდება ისეთი კომპანიების გაერთიანებაც. რომელნიც წარმოების პროცესით ერთმანეთთან ნაკლებად ან საერთოდ არ არიან დაკავშირებული.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ აშშ-ში შეამსუბუქა ადამიანის შრომა, მოახდინა მრავალი საწარმოო პროცესის ავტომატიზაცია, წარმოშვა ხარისხობრივი ძვრები მეცნიერებაში, ტექნიკასა და მრეწველობაში, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში ხდება იგი. სოციალიზმის დროს მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები ხელს უწყობს მთელი ხალხის კეთილდღეობის ზრდას, კაპიტალიზმის დროს კი ეს კეთილდღეობა მხოლოდ ერთ მუჭა მონოპოლიებზე მოდის, რომელთა შემოსავალი ზღაპრულად იზრდება. ახალი ტექნიკის დანერგვა წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად თვით-

ღირებულებას ამცირებს პროდუქციაზე, იწვევს მუშათა რაოდენობის შემცირებას და მათი ექსპლუატაციის გაძლიერებას. მართალია, მუშათა რაოდენობა მცირდება, მაგრამ ისინი უფრო მეტს აწარმოებენ, კაპიტალისტები კი მეტ მოგებას ნახულობენ. ამასთანავე მწვავე ფორმებს იღებს წინააღმდეგობანი შრომასა და კაპიტალს შორის, რის გამოც მონოპოლიები და სახელმწიფო ხელისუფლება იმდენად გადახლართულია ერთმანეთში, რომ იგი იმპერიალიზმის არსებობის ერთადერთი საშუალება ხდება. ამერიკისა და ევროპის იმპერიალისტები ცდილობენ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომელიც ერთი მუჭა მილიონერებისა და მილიარდერების ინტერესებს ემსახურება, სახალხო კაპიტალიზმად გაასაღონ.

აშშ-ის მიერ წარმოებული საერთო ეროვნული პროდუქციის ღირებულება 1945 წელს 213 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 1970 წლისათვის კი იგი 900 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. მაგრამ ეს უზარმაზარი სიმდიდრე ძალზე არათანაბრად ნაწილდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე. სიმდიდრის ძირითადმა ნაწილმა თავი მოიყარა ერთი მუჭა მილიონერების ხელში. მაგალითად, 1970 წელს მოზრდილი მოსახლეობის 1,6 პროცენტი ფლობდა აქციების 80 პროცენტზე მეტს და ობლიგაციების 90 პროცენტს, 200 ათასი კომპანიიდან 200 გიგანტური კორპორაციის კონტროლის ქვეშაა ამერიკის მრეწველობის 60 პროცენტი. აშშ-ის 10 ყველაზე მსხვილი კომპანიის სუფთა მოგება 490 კომპანიის მოგებას უდრიდა.

ომის შემდგომ ამერიკაში წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მანამდე არნახული მასშტაბებით მიმდინარეობდა, რის შედეგად უფრო დიდი კომპანიები შთანთქავენ მეტოქეებს. აღმდცენდნენ გიგანტური, მანამდე არნახული მასშტაბით, ახალი მრავალდარგიანი ტიპის, და საერთაშორისო მნიშვნელობის მონოპოლისტური გაერთიანებანი.

1948—1965 წლებში ასეთი სახის მონოპოლიებმა შეადგინეს 800 კომპანია, რომელთაგან თითოეული ფლობდა ათას და უფრო მეტ მილიონ დოლარს. უდიდესი სამი საავტომობილო კონცერნი: „ჯენერალს მოტორსი“, „ფორდი“ და „კრაისლერი“ კონტროლს უწევენ მთელი ავტომანქანების გამოშვების 95 პროცენტს. 1965 წელს მარტო „ჯენერალს მოტორსმა“ სათანადო გადასახადის დაფარვის შემდეგ 2 მილიარდი დოლარი მოგება მიიღო, რაც ამერიკის 50 შტატიდან 48 შტატის მოგებას აღემატება. ამავე „ჯენერალს მოტორსის“ რეალიზებული პროდუქცია უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიოს ყველა ქვეყნის შემოსავალი, გარდა 9 წამყვანი სამრეწველო ქვეყნისა. სამი კომპანიის ხელშია აშშ-ის ალუმინის წარმოების 90 პროცენტი, ასევე სამ კომპანიას

ეკუთვნის ფოლადის ჩამოსხმის 60%, ხოლო ოთხი ფირმის ხელშია სპილენძის მთელი წარმოება და ა. შ.

ავტომატიზაცია კაპიტალისტურ პირობებში მუშათა კლასისათვის მთელ რიგ რთულ პრობლემებს წარმოშობს. იგი დაკავშირებულია კვალიფიკაციასთან, სტრუქტურულ ცვლილებებთან, სამუშაო ძალის წარმოების სფეროდან მომსახურების სფეროში გადაყვანასთან, ექსპლუატაციის გაძლიერებასა და სამუშაოთი უზრუნველყოფასთან და ა. შ. იგი ზრდის უმუშევრობას, წინააღმდეგობას და იწვევს კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებას. აშშ-ის კონგრესსა და მთავრობაში შეიქმნა რიგი კომისიები ამ საკითხების შესასწავლად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გავლენას ახდენდა მუშათა კლასის პროფესიულ-ტექნიკურ შემადგენლობაზე და იწვევდა ცვლილებებს. მუშათა ძველი ტრადიციული პროფესიების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭირო აღარ იყო. შეიქმნა ახალი პროფესიები, რომლებიც სპეციალურ მომზადებასა და განათლების მაღალ დონეს მოითხოვდნენ. ავტომატიზაცია საჭიროებდა ინჟინერ-ტექნიკური კადრების სწრაფ ზრდას და მოთხოვნა არაკვალიფიციურ და ნახევრადკვალიფიციურ მუშებზე მნიშვნელოვნად შემცირდა. 1956 წელს შრომის სამინისტრომ უკვე აღრიცხა სამუშაოს ახალი 375 სახე.

ამერიკის მშრომელთა უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა საშუალო კვალიფიკაციის მუშა, რის გამოც ავტომატიზებულ საწარმოებში მათ მხოლოდ დამხმარე სამუშაოების შესრულება შეეძლოთ. ამ კატეგორიის მუშების კვალიფიკაციის ამაღლება გაძნელებული იყო მათი განათლების დაბალი დონის გამო. დაბალი კვალიფიკაციის მუშათა ხვედრითი წონა აშშ-ის მრეწველობაში სწრაფად ეცემოდა. 1964 წლისათვის ასეთი კატეგორიის მუშები შეადგენდნენ ქვეყნის მთელი მუშების 1/7 ნაწილს (1940 წელს კი — 1/5). ავტომატიზაციასთან დაკავშირებით არაკვალიფიციურ მუშებზე მოთხოვნების მკვეთრად შემცირების შედეგად 50-იან წლებში, ცხოვრების დონის საერთო ამაღლების მიუხედავად, მათი მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ზანგები და ღარიბი თეთრკანიანი ამერიკელები, რომელთაც არ ჰქონდათ კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა. მთავრობა კი მათთვის ნაკლებად ზრუნავდა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ კიდევ უფრო დააჩქარა პროგრესული პროცესი სამუშაო ძალის სტრუქტურაში. აშშ-ის მოსახლეობა 1974 წლისათვის გაიზარდა 211.7 მილიონ კაცამდე, ე. ი. 1,5-ჯერ მეტად 1945 წელთან შედარებით. სოფლად მექანიზაციის და ენერგეტიკის განვითარებამ და დანერგვამ გამოიწვია სოფლის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. თუ 1950 წელს სოფლის მოსახლეობა 7,5 მლნ. შეადგენდა, 20 წლის შემდეგ იგი 3,1 მლნ. კაცს უდრიდა.

სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო რაიონების მოსახლეობის რაოდენობა.

ომის შემდგომი ამერიკის კიდევ ერთი დემოგრაფიული თავისებურებაა ის, რომ სწრაფად იზრდება ქალაქთა გარეუბნები, რომლებსაც ავსებენ „საშუალო კლასები" და ის პირები, რომელთაც შედარებით მაღალი შემოსავალი აქვთ და შეუძლიათ ქალაქგარეთ, ანუ, როგორც აშშ-ში უწოდებენ, „საბერბიებში" განვადებით იყიდონ სახლები და საკუთარი მანქანებით იარონ ქალაქებში სამუშაოზე. საყურადღებოა, რომ 60-იანი წლების დამლევს ქალაქგარეთ თითქმის იმდენივე მცხოვრები იყო, რამდენიც ქალაქად. 20 წლის განმავლობაში ქალაქგარეთ მოსახლეობა გაიზარდა 30 მილიონით, ქალაქად — 15 მილიონით.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ გაიზარდა არაწარმოებრივი სამუშაო ძალის რაოდენობა. „საბერბიებში" მცხოვრები „საშუალო კლასის" მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა წამოაყენეს კლასობრივი განსხვავების თანდათანობით გაქრობის თეზისი. აშშ-ში შემოიღეს ახალი ტერმინები: მუშებს, რომელნიც მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობენ, ეწოდებათ „ცისფერსაყელოიანები", ხოლო მომსახურებაში — „თეთრსაყელოიანები". 1955 წლიდან „თეთრსაყელოიანთა" რიცხვი უკვე სჭარბობდა „ცისფერსაყელოიანთა" რაოდენობას. 1960 წელს „თეთრსაყელოიანთა" რაოდენობა აღწევდა 28,7 მლნ. კაცს. „ცისფერსაყელოიანთა" კი — 24,2 მლნ. კაცს. ათი წლის შემდეგ ეს რაოდენობრივი განსხვავება კიდევ უფრო გაიზარდა და პირველი შეადგენდა 38, ხოლო მეორე — 28,7 მლნ. კაცს. ამერიკის სოციოლოგებმა და ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა წამოაყენეს მუშათა კლასის გაქრობისა და მისი ინჟინერ-ტექნიკურ ინტელიგენციად თანდათანობით გადაქცევის თეზისი. ამით ამერიკის სოციოლოგებს სურთ დაამტკიცონ, თითქოს ამერიკის საზოგადოება უკლასოა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა სამუშაო ძალის კვალიფიციურ სტრუქტურაში. ბოლო წლის განმავლობაში (1950—1970 წწ.) კვალიფიციურ მუშათა რაოდენობა აშშ-ში მკვეთრად გაიზარდა. 1965 წლისათვის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მაღალკვალიფიციური მუშების ხვედრითი წონა უკვე 47 პროცენტს შეადგენდა, ხოლო არაკვალიფიციური მუშების რიცხვი იმავე პერიოდში 13 მილიონიდან 3—4 მილიონამდე შემცირდა. წარმოების ზოგიერთ დარგში მხოლოდ უმაღლესდამთავრებულნი მუშაობენ.

აშშ-ის საავტომობილო წარმოების მუშას, რომელიც 56 წლის ასაკს მიაღწევს და აქვს 30 წლის მუშაობის სტაჟი, უფლება აქვს თვეში 400

დოლარის რაოდენობის პენსია მიიღოს. ეს მნიშვნელოვანი თანხაა, მაგრამ პრაქტიკულად მუშა 10 წელს თუ შეძლებს მუშაობას, რადგან იგი მალე კარგავს ჯანმრთელობას. შრომის ინტენსიფიკაცია იმდენად დიდია, რომ ხანში შესული პირები მას ვერ უძლებენ. ამიტომაცაა, რომ ამ დარგში მუშათა 40 პროცენტს ახალგაზრდობა შეადგენს. ასეთია „ცისფერსაყელოიანების" ბედი. მაგრამ არც „თეთრსაყელოიანები" არიან უკეთეს მდგომარეობაში. მათი შრომაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად გონებრივ შრომასა და ენერგიის დაძაბვას მოითხოვს და, როგორც წესი, 10—15 წლის მუშაობის შემდეგ ესენიც 45—50 წლის ასაკში უკვე მოხუცები არიან და საპენსიო ასაკამდე ვეღარ აღწევენ. ამის შედეგი ისაა, რომ მოსამსახურეთა დიდი ნაწილი მუშათა კლასს უერთდება. ამიტომ ამერიკის ბურჟუაზიულ მეცხიერებაში მიღებული მუშათა დაყოფა „თეთრ" — და „ცისფერსაყელოიანებად" არ იძლევა ნამდვილ წარმოდგენას ამერიკის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შესახებ. „თეთრსაყელოიანების" ზედა ფენების გარდა, ტექნიკური ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპლუატირებულ კლასს ეკუთვნის. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ინტელიგენციის რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა გამოიწვია, მაგრამ იგი დაქირავებულ შრომას ეწევა. ექსპლუატაციას განიცდის და დიდად არ განსხვავდება მუშათა კლასისაგან. ამ ინტელიგენციის ნაწილის შრომა მკაცრად სტანდარტიზირებული და რეგლამენტირებულია და არსებითად არ განსხვავდება მუშათა შრომის რეგლამენტაციისაგან. მართალია, მუშათა კლასსა და ინტელიგენციას შორის განსხვავება არსებობს, მაგრამ ეს განსხვავება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად თანდათანობით ქრება. თანამედროვე საწარმოოს ინჟინერი ისეთივე მშრომელია, როგორც მუშა, რაც თავის გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ ისპობა მათ შორის განსხვავება შრომის პირობებსა და ხელფასში. აშშ-ის კომპარტიის პროგრამაში ინტელიგენციის შესახებ აღნიშნულია, რომ თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები სულ უფრო ერთიანდებიან მუშათა კლასთან. საერთო განათლების დონის ერთდროული ამაღლება კულტურულ-ინტელექტუალური განსხვავების შემცირებას იწვევს თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებსა და სხვა მშრომელებს შორის.

ამრიგად, აშშ-ის მუშათა სოციალურ სტრუქტურაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მომხდარ ცვლილებებზე ლაპარაკისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუშათა კლასის არა გაქრობა, არამედ მისი სტრუქტურული ცვლილებები და არაკვალიფიციური მუშების რაოდენობის შემცირება. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფართოვდება იმ პირების

რაოდენობა, რომელნიც ექსპლუატაციას განიცდიან, კერძოდ ინტელიგენციის, ე. წ. საშუალო ფენებისა, რომელნიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად შრომის პირობებითა და ინტერესებით მუშათა კლასს უახლოვდებიან. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის სოციოლოგები „დეპროლეტარიზაციის" არსებობას ამტკიცებენ, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გაზარდა პროლეტარიატის რიცხვი მოსახლეობის იმ ფენების ხარჯზე, რომლებიც ობიექტურად და სუბიექტურად მუშათა კლასს არ ეკუთვნოდნენ.

1967 წლის მონაცემებით, აშშ-ში ქალაქად დაქირავებული სამუშაო ძალა შეადგენდა 77,5 მლნ. კაცს, რომელთაგან აბსოლუტური ემრავლესობა ექსპლუატირებული იყო, ე. ი. მუშათა კლასს ეკუთვნოდა. ამერიკის საზოგადოებაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მომხდარმა ცვლილებებმა უშუალო გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე — მუშათა, სტუდენტთა და ზანგთა მოძრაობის შემდგომ ზრდაზე.

სტუდენტთა მოძრაობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია ცვლილებები სოციალურ სტრუქტურაში, გაზარდა პროლეტარიატის რიცხვი მოსახლეობის იმ ფენების ხარჯზე. რომელნიც ადრე არც ობიექტურად და არც სუბიექტურად არ ეკუთვნოდნენ მუშათა კლასს, და უშუალო გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე — მუშათა, სტუდენტთა და ზანგთა მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე. ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად გაფართოვდა მშრომელთა კლასობრივი ბაზა, ამ ახალი ფენების სოციალური პროტესტის მოძრაობაში ჩაბმამ ერთგვარი თავისებური ხასიათი მისცა მას. იგი უფრო არაორგანიზებული ხასიათისა იყო.

60-იან წლებში მშრომელთა ამ ახალი ფენების პროტესტის ერთგვარ გამომხატველად გამოვიდა „მშფოთვარე ახალგაზრდობა". აშშ-ის მმართველი წრეების ყოველგვარმა ცდებმა, რომ ახალგაზრდობა „მორჩილი ყოფილიყო", კრახი განიცადა. 40—50-იანი წლების მაკარტისტული რეაქციისდროინდელი „მორჩილი" ახალგაზრდობა 60-იან წლებში შეცვალა „მშფოთვარე" ახალგაზრდობამ. ახალგაზრდობის მოძრაობა 60-იანი წლების დამდეგს ჯერ პასიურად დაიწყო, შემდეგ თანდათანობით აქტიურდებოდა და მალე გადაიზარდა აქტიურ წინააღმდეგობაში. ახალგაზრდობის ხვედრითი წონა 70-იან წლების ამერიკის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ დროისათვის 24 წლის ასაკამდე მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა ქვეყნის მთელი მოსახლეობის ნახევარს. ამიტომ იყო, რომ ამერიკის მთელი არსებობის მანძილზე მმართველი წრეები ახალგაზრდობის პრობლემას არ უთმობდნენ ისეთ ადგილს, როგორც ამჟამად, როდესაც ახალგაზრდო-

ბა უკვე პოტენციურ ამომრჩეველს შეადგენდა[1], მეორე მხრივ კი უშუალოდ ამ მოძრაობის გაქანებით იყვნენ დაშინებული. 60-იანი წლების „მშფოთვარე“ ახალგაზრდობამ მოითხოვა ქვეყანაში არსებული ცხოვრების წესის და ქვეყნის პოლიტიკური კურსის მთლიანი შეცვლა. სტუდენტთა მოძრაობა რადიკალურად გამოხატავდა ინტელიგენციის ოპოზიციურ განწყობილებას.

შეძლებული ბურჟუაზიული ოჯახიდან გამოსული ესაქმური და ცხოვრებისაგან განებივრებული სტუდენტი „ჰიპების“ გარდა, სტუდენტთა ძირითადი მასა გამოსულია ე. წ. „თეთრსაყელოიანთა“ და „ცისფერსაყელოიანთა“ ოჯახებიდან. ამიტომ მათი მოძრაობა ხშირ შემთხვევაში მუშათა მოძრაობის ხასიათისაა. პირველი მსოფლიო ომის წინ აშშ-ის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში 400 ათასამდე ახალგაზრდა სწავლობდა, 1960 წლისათვის — 3580 ათასი, 1970 წლისათვის კი—8 მილიონი. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა ადრე, როგორც წესი, დიდი და საშუალო შეძლების ოჯახებიდან იყო, ამჟამად კი, მიუხედავად სწავლის მაღალი ქირისა[2] მუშათა ოჯახიდან გამოსული სტუდენტობა შეადგენს 25—30 პროცენტს. სტუდენტთა სოციალური შემადგენლობის შეცვლამ ხელი შეუწყო მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდას. ბევრი დიდი კოლეჯი და უნივერსიტეტი ათიათასობით მოსწავლესა და სტუდენტს ითვლის. ამიტომ მღელვარება „სტუდენტთა ქალაქებში“ უდიდეს მასშტაბებს აღწევს. თუ ადრე სტუდენტებს და მოსწავლეებს უყურებდნენ, როგორც პასიურ მასას, 60-იან წლებში, როდესაც სტუდენტობა ერთგვარ დიდმნიშვნელოვან მეამბოხე ფენად გადაიქცა, იგი საშიში გახდა.

სტუდენტთა მოძრაობა თავდაპირველად სტიქიურ ხასიათს ატარებდა. ამ მოძრაობაში გავლენის მოპოვებას შეეცადა მთავრობასთან ახლო მდგომი „სტუდენტთა ეროვნული ასოციაცია“, რომელიც წარმოდგენილი იყო ყველა ცენტრალურ უნივერსიტეტსა და კოლეჯებში და თავის რიგებში 1 მლნ-მდე წევრს აერთიანებდა. ეს ორგანიზაცია ცდილობდა სტუდენტთა მოძრაობაზე კონტროლის დაწესებას. მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ ამ ორგანიზაციას კავშირი აქვს მთავრობასთან და ცენტრალური დაზვერვის სამმართველოსთან, მისი გავლენა სტუდენტთა შორის დაეცა. სტუდენტთა მასა დიდ ინტერესს იჩენდა ისეთი მოვლენების შესწავლისა და ღრმად გაგებისადმი, რომელთაც ადრე ყურადღებას არ აქცევდა, განსაკუთრებით ისეთი ნა-

---

[1] 1968 წლის არჩევნებში ახალგაზრდა ამომრჩეველები შეადგენდნენ 11,5 მლნ. კაცს.

[2] კერძო კოლეჯებში ყოველწლიური გადასახადი საშუალოდ შეადგენს 2900 დოლარს, სახელმწიფო კოლეჯებში — 1800 დოლარს, უნივერსიტეტებში — 4000 დოლარს.

წარმოებების შესწავლისადმი, რომლებიც სტუდენტობას პროტესტის გრძნობას უნერგავდნენ. სტუდენტთა შორის წინათ პოპულარული იყო ცნობილი წვრილბურჟუაზიული რადიკალების და იდეოლოგების — სოციოლოგ რ. მილსის, ფილოსოფოს გ. მარკუზის და სხვების იდეოლოგია. ამ ბოლო დროს კი მათ შორის დიდ ინტერესს იწვევს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები.

სტუდენტთა გამოსვლების ორგანიზატორები გახდნენ „ახალი მემარცხენეები", რომელთა ინიციატივით შეიქმნა სტუდენტთა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები. მათ შორის აღსანიშნავია „არაძალადატანებითი მოქმედების სტუდენტთა საკოორდინაციო კომიტეტი", რომელიც შეიქმნა 1960 წელს, და „დემოკრატიული საზოგადოების მომხრე სტუდენტები". „ახალი მემარცხენეების" იდეები ყველაზე მკვეთრად სწორედ სტუდენტთა ამ ორ საზოგადოებაში გამოვლინდა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა 60-იანი წლების ამერიკელი ახალგაზრდობის ოპოზიციურ მოძრაობაში.

„არაძალადატანებითი მოქმედების სტუდენტთა საკოორდინაციო კომიტეტი" თავდაპირველად აღმოცენდა, როგორც მოქალაქეობრივი თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია. იგი მალე მასობრივ ორგანიზაციად გადაიქცა და თავის რიგებში ძირითადად ღარიბი ოჯახიდან გამოსულ ზანგ სტუდენტობას აერთიანებდა. სამხრეთის შტატებში ამ ორგანიზაციის წევრებს ერთგვარი ფორმაც კი გააჩნდათ — ლურჯი ჯინსები და მზის საწინააღმდეგო სათვალე. თავდაპირველად ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში შავკანიანი და თეთრკანიანი სტუდენტები ერთად იყვნენ, შემდეგ კი იგი წმინდა ზანგთა ორგანიზაციად გადაიქცა. ეს ორგანიზაცია მონაწილეობდა სკოლაში სწავლების დესეგრეგაციის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, არჩევნებში ზანგთა აქტიურად ჩაბმისათვის და ა. შ., რის გამოც იგი ავტორიტეტულ და მასობრივ ორგანიზაციად გადაიქცა. მაგრამ ამ ორგანიზაციაში თანდათანობით ნაციონალისტური მიმართულება გაძლიერდა და არაზანგ სტუდენტობაში ყოველგვარი გავლენა დაკარგა.

1962 წელს შეიქმნა სტუდენტთა მეორე ორგანიზაცია — „დემოკრატიული საზოგადოების მომხრე სტუდენტები", რომელიც თავის რიგებში მხოლოდ თეთრკანიან სტუდენტობას აერთიანებდა. ამ ორგანიზაციის პროგრამაში ნათქვამია: საკუთრებაზე დაფუძნებული ხელისუფლების შეცვლა ისეთი ხელისუფლებით, რომლის „დასაყრდენი იქნება სიყვარული, აზროვნება, გონიერება და შემოქმედება". „ჩვენს წინაშე ორ ძირითად ამოცანას ვაყენებთ: პირველი — პირად მონაწილეობას იმ სოციალური საკითხების გადაჭრაში, რომლებიც განსაზღვრავენ მნიშვნელოვან მხარეებს და მიმართულებებს ადამიანის ცხოვ-

რებაში, მეორე — რათა საზოგადოება ისეთნაირად იყოს ორგანიზებული, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის დამოუკიდებლობას.“

„ახალი მემარცხენეების“ სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ მათი მოწოდებები და გამოსვლები არ იყო განმტკიცებული მტკიცე პოლიტიკური პროგრამით, მაგრამ 60-იან წლებში სტუდენტთა ფართო მოძრაობის მნიშვნელობა ის იყო, რომ ჩაიშალა აშშ-ის მმართველი წრეების ცდები, „მორჩილი“ ახალგაზრდობა აღეზარდათ და საერთო-დემოკრატიული მოძრაობა შეეფერხებინათ. ჩაიშალა აგრეთვე ამერიკის კომუნისტების საერთო-დემოკრატიული მოძრაობიდან და მასებიდან იზოლირების ცდა. აშშ-ის კომუნისტები 60-იან წლებში იბრძოდნენ სტუდენტთა და დემოკრატიული მოძრაობის ანტიმონოპოლისტურ კოალიციაში გაერთიანებისათვის და მუშათა კლასის ჰეგემონობისათვის.

ზანგთა მოძრაობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. განსაკუთრებით უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ადამიანთა უფლებებისათვის ზანგთა მოძრაობა აშშ-ში მანამდე არნახული ძალით გაიზარდა და გაძლიერდა. აშშ-ში 25 მილიონი ზანგი ცხოვრობს, რომელთა 73 პროცენტი 1968 წლისათვის ქალაქებზე მოდიოდა. ზანგთა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მუშათა კლასისაგან შედგება. 1964-1970 წლებში აშშ-ის სამუშაო ძალის ზრდის 20 % ზანგებზე მოდიოდა, ზანგები კი მოსახლეობის 12 %-ს შეადგენენ. 1980 წლისათვის სპეციალისტების აზრით, თეთრკანიანთა სამუშაო ძალა 28%-ით გაიზრდება. ზანგებისა — 41 %-ით.

ზანგები ცხოვრობენ ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებში; მათი ხელფასის ანაზღაურება ნაკლებია ვიდრე თეთრკანიანების. თანაბარ სამუშაოზე ზანგთა ხელფასი უდრის თეთრკანიანების ხელფასის 57,7 პროცენტს. სიღატაკე მათთვის ჩვეულებრივი მოელენაა. 1977 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აშშ-ში ყოველი მერვე მცხოვრები — სულ ცოტა 26 მლნ. ადამიანი სიღატაკეში ცხოვრობს. ზანგი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები (ფორმულირება აშშ-ის სტატისტიკურ ბიუროს ეკუთვნის) მოსახლეობის 12 %-ს შეადგენენ, მაშინ როცა მათი წილი ღატაკთა შორის სამჯერ მეტია — 31 %. ზანგებს, პუერტორიკელებს და მექსიკელებს აშშ-ში უმუშევრობის „უპირატესობა“ აქვთ. მათ შორის დასაქმების დონე თეთრკანიანებთან შედარებით ორჯერ ნაკლებია, ხოლო თუ მარტო ახალგაზრდობას ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ „ზანგებისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების“ ორ მეხუთედს სამუშაო არა აქვს.

ძძიმე მდგომარეობაში არიან ამერიკელი ინდიელებიც, რომელთა რაოდენობა დღეისათვის 800 ათასამდე კაცს შეადგენს. ინდიელი ოჯახის შემოსავალი ქვეყანაში არსებულ საშუალო შემოსავალზე

ოთხჯერ ნაკლებია. ინდიელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 44 წელია. ინდიელები ძალით მოათავსეს რეზერვაციებში, სადაც სიკვდილიანობა ტუბერკულოზით სამჯერ მაღალია, ვიდრე დანარჩენ ამერიკელებს შორის. ინდიელთა საცხოვრებელი ბინების 90 % არ შეესაბამება საერთოდ მიღებულ სანიტარულ ნორმებს.

ინდიელები იბრძვიან მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამერიკელი ინდიელების მოძრაობის ლიდერი ლეონარდ პელტიერი იბრძოდა თავისი ხალხის თავისუფლების და თანასწორუფლებიანობისათვის. იგი მონაწილეობდა პაინ-რიჯის (ჩრდილოეთ დაკოტას შტატი) რეზერვაციის დაცვაში, რომელსაც 1975 წლის ივნისში თავს დაესხნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები. მაშინ ინდიელები გამოდიოდნენ თავისი მიწების ნაწილის გაყიდვის გეგმების წინააღმდეგ.

ამერიკის სასამართლომ ლ. პელტიერს წაუყენა შეთითხნილი ბრალდება გამოძიების ფედერალური ბიუროს ორი აგენტის მკვლელობაზე და 1977 წელს მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა.

ებრალი ამერიკელთა ელემენტარული უფლებების ფეხქვეშ გათელვა ყოველდღიურ პრაქტიკად გადაიქცა შეერთებულ შტატებში. ამის ახალი დადასტურებაა ახალგაზრდა ინდიელი ქალის, სამი ბავშვის დედის ივონ უანროუს „საქმე". მას ქალაქ სპოკასში (ვაშინგტონის შტატი) 45 წლის პატიმრობა მიუსაჯეს მკვლელობის ბრალდებით. ახლა მის (1978 წ.) აპელაციას იხილავენ შტატის უზენაეს სასამართლოში.

ეს მოხდა 1972 წელს, ივონი იყო თავისი მეგობრის სახლში, მორიგეობდა ხუთი მძინარე ბავშვის სასთუმალთან, როცა ოთახში შეიჭრა თეთრკანიან არამზადათა ჯგუფი, ისინი უკვე წინათ ემუქრებოდნენ, რომ „ბოლოს მოუღებენ" ამ ინდიელის ოჯახს, რომელმაც გაბედა და დასახლდა „თეთრკანიანთა რაიონში". ბავშვების სიცოცხლის დასაცავად ივონი იძულებული იყო თავდასხმის პასუხად იარაღი გამოეყენებინა.

სასამართლოში დამაჯერებლად დამტკიცდა, რომ ინდიელი ქალის მოქმედება აუცილებელი თავდაცვის ფარგლებს არ გასცილებია. ცნობილი იყო აგრეთვე, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი, ვინმე უესლერი თავდასხმამდე ცოტახნით ადრე იმუქრებოდა, რომ „გაუსწორდება წითელკანიანებს".

მაგრამ 1973 წლის 13 მაისს სასამართლომ გამოიტანა საბრალდებო განაჩენი. არგუმენტები, რომლებიც ამტკიცებდნენ უდანაშაულობას, უკუაგდეს.

უსამართლო რასისტულმა განაჩენმა ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო პროტესტები გამოიწვია. ქალაქ სპოკასში, სადაც გაიმარ-

თა ეს სამარცხვინო გასამართლება, შეიქმნა ივონ უანროუს დაცვის კომიტეტი. ამ პროტესტების ზეგავლენით ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ გაეთავისუფლებინათ იგი საწინდრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში.

მაგრამ ამ პირობებშიც კი ახალგაზრდა ინდიელი ქალი გაბედულად იბრძვის ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის, ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ეროვნების უმცირესობის დასაცავად.

საჩხრეთის შტატებში არსებობს სეგრეგაციის წესები, ე. ი. შავკანიანების იძულებითი გამოყოფა თეთრკანიანებისაგან. იქ აკრძალულია შავკანიანების და თეთრკანიანების ერთად სწავლა, საზოგადოებრივ ადგილებში ერთად ყოფნა, შერეული დაქორწინება და მრავალი სხვა. სამხრეთში ზანგთა წინააღმდეგ არსებობს მრავალი ანტისემიტური ორგანიზაცია.

ზანგთა საკითხი წმინდა კლასობრივი პრობლემა როდია, ვინაიდან დისკრიმინაციას განიცდის მთელი ზანგი მოსახლეობა, რა სოციალური მდგომარეობაც უნდა ეკავოს მას.

ზანგთა მოძრაობას თავიდანვე ორი მიმართულება ახასიათებდა. ერთი იყო ეროვნული განცალკევების მიმართულება, რომელიც მოითხოვდა თვით აშშ-ის ტერიტორიაზე ზანგთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ან ზანგების უკან დაბრუნებას აფრიკაში. მეორე კი ამერიკის ერთიანობის, თანასწორუფლებიანობის მომხრედ გამოდიოდა. თვით აშშ-ის პროგრესული პარტიები, მათ შორის სოციალისტური და კომუნისტური პარტიაც კი, 20-იან წლებში პირველ მიმართულებას უჭერდნენ მხარს.

ზანგთა პრობლემის ანალიზისას და მისი გადაწყვეტის გზების განხილვისას აშშ-ის კომპარტია ხაზს უსვამს, რომ ზანგი მოსახლეობის განთავისუფლება სოციალური და რასობრივი ჩაგვრისაგან არა მარტო თვით ზანგების, არამედ ამერიკის საერთო ეროვნული ამოცანაა, რომელიც პრაქტიკულად მუშათა კლასმა უნდა გადაჭრას.

კომპარტიას მიაჩნია, რომ ამერიკელ ზანგთა რასობრივი და სოციალური უთანასწორობის მოსპობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ სოციალიზმის დროს. ამასთანავე კომპარტია თვლის, რომ კაპიტალიზმის დროს მასობრივი საერთო დემოკრატიული მოძრაობის პირობებში შეიძლება ზანგთა უთანასწორობის ზოგიერთი მახინჯი მხარის მოსპობა.[1]

---

[1] ზანგებს ეკუთვნის ამერიკის საწარმოების 30%, მაგრამ თუ ზანგთა მთელ ბურჟუაზიას კაპიტალით განესაზღვრავთ, იგი ძალზედ უმნიშვნელოა. ზანგთა ბურჟუაზიის ხელშია მხოლოდ წვრილი საწარმოები.

როგორც აღვნიშნეთ, ზანგი მოსახლეობის ბრძოლა რასიზმის წინააღმდეგ განსაკუთრებით ძლიერდება 50-იანი წლების შუა პერიოდიდან. ალაბაშის შტატში, სადაც ზანგთა დისკრიმინაცია განსაკუთრებით აშკარაა, არსებობდა წესი, რომლითაც ავტობუსში და საერთოდ ტრანსპორტში ზანგი ვალდებული იყო თეთრკანიანისათვის ადგილი დაეთმო და თვით ფეხზე მდგარიყო. ამის საპასუხოდ ქალაქ მონტგომერში 50 ათასმა ზანგმა ბოიკოტი გამოაცხადა და მთელი ერთი წლის განმავლობაში ავტობუსში არ ჯდებოდა. გაკოტრების შიშით ავტობუსების მფლობელები იძულებული გახდნენ გაეუქმებინათ ეს წესი. საყურადღებოა, რომ ბოიკოტს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მღვდელი მარტინ ლუთერ კინგი. მონტგომერში გამარჯვებამ დასაბამი მისცა ზანგთა მოძრაობის შემდგომ განვითარებას. 1960 წელს იწყება ზანგთა მასობრივი გამოსვლები დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მჯდომარე გაფიცვა სასაუზმეებში, ბიბლიოთეკებში, თეატრებში, საბანაო აუზებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ მოძრაობამ მთელი სამხრეთის შტატები მოიცვა, მასში მონაწილეობდნენ სტუდენტები, ზანგი ინტელიგენცია, მუშები და მოსამსახურეები. მთელი 6 თვის განმავლობაში მჯდომარე გაფიცვაში, რომელიც წარმატებით ერწყმოდა ეკონომიკურ ბოიკოტს, მონაწილეობდა 200 ათასი კაცი. 1961 წელს დისკრიმინაციის წინააღმდეგ იყენებდნენ „თავისუფლების რეიდებს", რომლის დროსაც ზანგი და თეთრკანიანი ახალგაზრდობა რეიდებს აწყობდა სამხრეთის შტატებში და მოითხოვდა ზანგთა თანასწორობას. პოლიციელები და რასისტები სასტიკად უსწორდებოდნენ რეიდების მონაწილეებს, მაგრამ ახალგაზრდობის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ზანგების დაძაბული ბრძოლა განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ კვლავ გრძელდება. 1954 წელს უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა სეგრეგაცია სკოლებში, მაგრამ იგი დღემდე გრძელდება სამხრეთის შტატებში.

1957 წელს კონგრესმა მიიღო კანონი სამოქალაქო უფლებების შესახებ, რომლითაც ნაფიცმსაჯულთა სასამართლოებს ჯარიმების გადახდის უფლება ეძლეოდათ ზანგთა საარჩევნო უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მაგრამ ამ კანონს რაიმე არსებითი ცვლილება ზანგთა რასობრივი დისკრიმინაციის მოპოვებაში არ შეუტანია. ამ საქმეში არსებითი ცვლილება ვერ შეიტანა 1960 წლის კანონმაც.

1963 წელს ბირმინგემში მოხდა შეტაკება მშვიდობიან დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის. დემონსტრანტები მოითხოვდნენ სეგრეგაციის გაუქმებას; ზანგთა ლიდერები დააპატიმრეს, რასაც ახალი მასობრივი გამოსვლები მოჰყვა. ზანგთა 250 ათასიანი ლაშქრობა

მოეწყო ვაშინგტონზე. ზანგთა მოძრაობაში ეს გახდა ერთგვარი შემობრუნების პუნქტი და მან „ზანგთა რევოლუციის" ხასიათი მიიღო. რასიზმის წინააღმდეგ მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა და საყოველთაო მასობრივი ხასიათი მიიღო. მან გადაინაცვლა ჩრდილოეთის შტატებში. მარტინ ლუთერ კინგი[1] ზანგთა აღიარებული ბელადი გახდა.

აღმოცენდა ზანგთა ორი ტრადიციული ორგანიზაცია — ფერადი მოსახლეობის პროგრესის ხელშეწყობის ეროვნული ასოციაცია და ქალაქის ეროვნული ლიგა: შეიქმნა ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფედერაცია. ყველა ეს ორგანიზაცია ფართოდ იყენებდა ბოიკოტს, დემონსტრაციებს და მიტინგებს. 1966 წელს ჰ. ნიუტონის ხელმძღვანელობით შეიქმნა ზანგთა პოპულარული ორგანიზაცია „შავი ავაზები", რომელიც ზანგთა მოძრაობის სათავეში მოექცა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი დააპატიმრეს, წევრებმა კი რეპრესიები განიცადეს, მაგრამ მათი წინააღმდეგობა ვერ გატეხეს.

კინგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა ზანგთა მოძრაობის შერწყმა მუშათა მოძრაობასთან. 1968 წლის აპრილში კინგი რასისტების დაქირავებულმა აგენტებმა მოკლეს, რამაც მთელი ამერიკელი და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. სამხრეთის შტატებში მთავრობისა და სასამართლოს დადგენილების მიუხედავად წლების განმავლობაში გრძელდება ბრძოლა თეთრკანიანი და ზანგი ბავშვების ერთად სწავლებისათვის. რასისტები აწყობენ თავყრილობას სკოლებთან და ხოტბას ასხამენ რასობრივ სეგრეგაციას. ხშირად ეს გამოხდომები სისხლისმღვრელი შეტაკებებით მთავრდება.

§ 15. რესპუბლიკური პარტიის მთავრობების საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1968—1976 წწ.

რ. ნიქსონის და ჯ. ფორდის მთავრობების საშინაო პოლიტიკა. 1968 წლის არჩევნებში დემოკრატებმა მარცხი განიცადეს და პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი რ. ნიქსონი. სახელმწიფოში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო: აგრესია ვიეტნამში, ინფლაცია, ზანგთა ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის და ა. შ. რაც დაძაბულ ატმოსფეროს ქმნიდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ფართოდ რეკლამირებული „ომი სიღატაკეს" და „დიდი საზოგადოების" აგება კრახით დამთავრდა. უდიდესი სამხედრო ხარჯების გამო სოციალური ხარჯები ყოველწლიურად

---

[1] 1964 წლის ოქტომბერში ნორვეგიის სტორტინგმა კინგი ნობელის მშვიდობის პრემიით დააჯილდოვა. პრემია მას თვით ნორვეგიის მეფემ გადასცა.

მცირდებოდა. ოფიციალური მონაცემებით, სიღატაკის დონეზე მყოფ პირთა რაოდენობა 60-იანი წლების განმავლობაში შემცირდა 39.5 მლნ-დან 25,4 მლნ-მდე. მაგრამ 6 მლნ. ზანგი, რომელიც ჩრდილოეთის შტატებში ცხოვრობდა და მუდმივი მისამართი არ გააჩნდა, ამ ღატაკთა სიაში არ მოხვედრილა.

1970 წელს მიმდინარეობდა სამრეწველო კრიზისი, რის შედეგად უმუშევრობამ 6 მლნ. კაცს მიაღწია. ამას დაერთო სამომხმარებლო ფასების 5,9%-ით გაზრდა წინა წელთან შედარებით, რომლის გამო დაეცა მშრომელთა რეალური ხელფასი.

1970 წელს კამპუჩიაში ამერიკის ჯარების შეჭრასთან დაკავშირებით მთავრობის საწინააღმდეგო ხშირი გამოსვლები დაიწყო. სხვადასხვა ქალაქის ათასობით სტუდენტი პედაგოგებთან ერთად ჩავიდა ვაშინგტონში, რომ პროტესტი გამოეცხადებინათ აგრესიის წინააღმდეგ კამპუჩიაში და საიგონის ჯარების შეჭრის გამო ლაოსში, რაც ამერიკის მხარდაჭერით განხორციელდა. აგრესიის წინააღმდეგ გამოვიდნენ პროფკავშირებიც.

1970 წელს ჩატარდა კონგრესის ორივე პალატის ნაწილობრივი არჩევნები და, მიუხედავად თვით პრეზიდენტის აქტიური მონაწილეობისა, ეს არჩევნები რესპუბლიკური პარტიის დამარცხებით დამთავრდა. დემოკრატებმა გაიმარჯვეს და ორივე პალატაში დეპუტატთა დიდ უმრავლესობას მიაღწიეს..

1969—1971 წლებში თავი იჩინა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომლის შედეგად სამრეწველო წარმოების დონე დაეცა. უმუშევრობამ 6 მლნ კაცს მიაღწია. გაძლიერდა ინფლაცია. ამას დაერთო 1971 წელს სამომხმარებლო ფასების 5,9%-ით გაზრდა წინა წელთან შედარებით, რომლის გამო დაეცა მშრომელთა რეალური ხელფასი. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ნიქსონის, შემდეგ კი ფორდის ადმინისტრაცია მიმართავდა სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების მეთოდებს, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკური კრიზისის სიმძიმის ხალხის ხარჯზე დაკისრებას და კერძო კაპიტალის პოზიციების განმტკიცებას. აქ გამომჟღავნდა რესპუბლიკური პარტიის „ნეოკონსერვატიზმი", კენედ-ჯონსონის „ნეოლიბერალიზმისაგან" განსხვავებით.

რესპუბლიკური პარტიის „ნეოკონსერვატიზმმა" თავისი გამოხატულება პოვა შემდეგ ღონისძიებებში. 1971 წლის აგვისტოში ნიქსონმა „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე" გადასვლა გამოაცხადა, რომელიც 1973 წლამდე ოთხ ფაზად უნდა განხორციელებულიყო. ფაქტობრივად ამ ღონისძიების მთავარი ამოცანა იყო ფასებისა და ხელფასის ზრდის შეჩერება და ეკონომიკის ზრდის შეგნებულად დამუხრუჭება. რ. ნიქსონის საგანგებო განკარგულებით მარტო სამი თვის განმავლობაში

(1971 წლის სექტემბერ-ნოემბერში, ე. ი. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირველი ფაზის დროს), აიკრძალა 353 გაფიცვა, რომელიც ხელფასის გაზრდას მოითხოვდა. მთავრობის ამ ღონისძიებებმა მხოლოდ ხელფასის ზრდა შეაჩერა, ფასების ზრდის შეჩერება კი ვერ შეძლო. 1972 წელს მთავრობის მიერ გატარებულ დოლარის დევალვაციამ უფრო მეტად გააუარესა ხალხის მდგომარეობა. 1974 წლის აპრილში მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა კონტროლი ხელფასსა და ფასებზე. შემდეგ წლებში აშშ-ის მთავრობა ეკონომიკური სტიმულირების მიზნით ამცირებდა გადასახადებს და ზრდიდა სამოქალაქო ხარჯებს, მაგრამ ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგები ვერ გამოიღო.

1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და შიდაპოლიტიკური წინააღმდეგობის გამწვავება. 1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას დემოკრატიულმა პარტიამ კანდიდატად წამოაყენა ჯონ მაკგოვერნი. მან მიიმხრო მემარცხენე დემოკრატები და საყურადღებო განცხადება გააკეთა ვიეტნამში ომის შეწყვეტის, შეიარაღების შემცირების, ღარიბთათვის დახმარების გაზრდის შესახებ და ა. შ. მაგრამ ამ განცხადებამ დემოკრატიული პარტიის მემარჯვენეების უკმაყოფილება გამოიწვია. მათი მხარდაჭერაც რომ მოეპოვებინა, მაკგოვერნმა მანევრირება დაიწყო ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებით, რამაც მემარცხენეებში დაუკარგა ავტორიტეტი. ასე, რომ მაკგოვერნმა ვერც მემარცხენეებისა და ვერც მემარჯვენეების მტკიცე მხარდაჭერა ვერ პოვა.

რესპუბლიკურმა პარტიამ კანდიდატად კვლავ რ. ნიქსონი წამოაყენა, რომლის პოზიციები 1972 წლისათვის მნიშვნელოვნად განმტკიცდა საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობის შენელებასთან დაკავშირებით — მის არსენალში იყო მოლაპარაკებები და ხელშეკრულებანი სსრ კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, აშშ-ის ჯარის გამოყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან და დაპირება ინდოჩინეთში ცეცხლის შეწყვეტასა და სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ.

არჩევნებში გაიმარჯვა რ. ნიქსონმა, რომელმაც მიიღო 46 მლნ-ზე მეტი ხმა (ე. ი. არჩევნებში მონაწილეთა 61%). ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ს. აგნიუ.

დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა მაკგოვერნმა მიიღო 28,620 ათასი ხმა (38%).

პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია აშშ-ის კომპარტიამ, რომლის კანდიდატები გეს ჰოლი და ჯარვის ტაინერი, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რეგისტრირებულ იქნენ კოლუმბიის ოლქში და 13

შტატში. 30 წლის განმავლობაში ეს იყო კომუნისტების პირველი ნასობრივი საარჩევნო კამპანია.

კონგრესის ორივე პალატის არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ. ამრიგად, აღმასრულებელი ხელისუფლება იმყოფებოდა რესპუბლიკური პარტიის, საკანონმდებლო კი— დემოკრატიული პარტიის ხელში, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა რ. ნიქსონის მთავრობის პოზიციებს.

1972 წლის არჩევნების ერთ-ერთ დამახასიათებელ და საყურადღებო ფაქტს წარმოადგენდა ამერიკელ ამომრჩეველთა აბსენტეიზმი, ე. ი. ხმის მიცემაზე უარის თქმა. საქმე იმაშია, რომ თვით ამერიკელმა ამომრჩევლებმაც კი, რომელთათვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური აქტივობა, ინტერესი დაკარგეს იმ საარჩევნო სპექტაკლის მიმართ, რომელიც საარჩევნო მმართველობის სისტემაში დამკვიდრდა. 1973 წლის არჩევნებში 140 მილიონიანი ამომრჩევლიდან 60 მილიონმა, ე. ი. 45% უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე.

მთავრობასა და კონგრესს შორის წინააღმდეგობის შედეგი ის იყო, რომ 1972 — 1973 წლებში კანონპროექტების უმრავლესობა, რომელნიც ითვალისწინებდნენ ხალხთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას და ბუნებრივი რესურსების დაცვას, უმნიშვნელოდ შესრულდა ან სრულიად განუხორციელებელი დარჩა. მაგალითად, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო კანონპროექტი ღარიბი ოჯახებისა და პენსიონერებისათვის დახმარების გაწევის, მინიმალური ხელფასის გაზრდის, საბინაო მშენებლობისა და ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვევის შესახებ და ა. შ.

70-იანი წლების დასაწყისში ამერიკის პოლიტიკური წყობის წინააღმდეგობის გამწვავების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს შიდაპარტიული დავა „უოტერჰეიტის საქმესთან“ დაკავშირებით. 1972 წლის საარჩევნო კამპანიის დროს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა ჯგუფის ერთმა ნაწილმა დემოკრატიული პარტიის საარჩევნო შტაბ-ბინაზე, სასტუმრო „უოტერჰეიტში“, დადგა მისაყურადებელი აპარატურა და უსმენდა ამ პარტიის ხელმძღვანელთა საქმიან საუბარს, ეცნობოდა წინასაარჩევნო გეგმებს, რაც კანონის უხეში დარღვევა იყო. ეს ამბავი გამომჟღავნდა. ამ საქმის გამოსაძიებლად შეიქმნა სპეციალური საპროკურორო ჯგუფი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იძიებდა იმ უდიდესი პოლიტიკური სკანდალის ძირითად მონაწილეთა საქმეს, რომელმაც საბოლოოდ პრეზიდენტ რ. ნიქსონის გადადგომა გამოიწვია. ამ საქმეში ჩარეული აღმოჩნდნენ ყოფილი იუსტიციის მინისტრი მიტჩელი, პრეზიდენტის უახლოესი თანაშემწეები ჰოლდემანი და ერლიჰმანი, აგრეთვე თეთრი სახლის სხვა პასუხისმგებელ თანამშრომელთა დიდი ჯგუფი. გამოძიებამ

გამოააშკარავა აშშ-ის პოლიტიკური მაქინაციების ყველა ბინძური მხარე — ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, კორუფცია და მოსყიდვა, საზოგადოებრიობისა და ამომრჩეველთა მოტყუება. „უოტერჰეიტის საქმის“ ბევრი მონაწილე, რომლებიც ადრე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები იყვნენ, 1973 წელს საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ, მათ სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიესაჯათ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მიტჩელი, ჰოლდემანი და ერლიჰმანი. სასამართლომ შედარებით ლმობიერი განაჩენი გამოიტანა და მალე ზოგიერთი მათგანი განთავისუფლდა.[1] მაგრამ გაირკვა, რომ საქმეში მონაწილეობდა რესპუბლიკური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც და თვით პირადად პრეზიდენტი რ. ნიქსონი. პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ინტენსიური კამპანია გაჩაღდა. გამოსაძიებლად შეიქმნა სენატის სპეციალური კომისია, პრეზიდენტი რ. ნიქსონი უარყოფდა „უოტერჰეიტის საქმეში“ მონაწილეობას, მაგრამ განმარტავდა, რომ კანონის უხეშად დარღვევა შესაძლებელი გახდა წლების განმავლობაში შექმნილი ატმოსფეროთი: ადგილი ჰქონდა პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპის უხეშად დარღვევას, ძალადობას, თვალთვალს, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და ა. შ., რაც საერთოდ კონსტიტუციის უხეშად დარღვევას ნიშნავდა.

1973 წლის ოქტომბრიდან რესპუბლიკურ პარტიას დიდი სიძნელეები შეექმნა ვიცე-პრეზიდენტის სპირო აგნიუს იძულებითი გადადგომის შემდეგ, რომელსაც ბრალს დებდნენ საშემოსავლო გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში და აგრეთვე მექრთამეობასა და გამოძალვაში. ვიცე-პრეზიდენტი გახდა ჯერარდ ფორდი. ამ ამბების შემდეგ მოძრაობამ „უოტერჰეიტის საქმის“ გამო კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, რამაც ძალზე შეასუსტა რ. ნიქსონის პოზიციები. გართულდა ურთიერთობა პრეზიდენტსა და კონგრესს შორის, სადაც უმრავლესობა დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. საქმე იქამდე მი-

---

1 „უოტერჰეიტის სკანდალის“ ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს გორდონ ლიდის, რომელიც იყო გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი აგენტი, თეთრი სახლის კონსულტანტი, ბრალად დასდეს დანაშაულებრივ პირებთან კავშირი, მიუურადება, სასამართლოსა და კონგრესის უპატივცემულობა, აშშ-ის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა. მას მიუსაჯეს 21,5 წლის პატიმრობა, მაგრამ 1977 წელს ჯარტერმა სასჯელი ჯერ 8 წლამდე შეუმცირა, შემდეგ კი „სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ სულ გაათავისუფლა. მიტჩელს, ერლიჰმანს სასამართლომ მიუსაჯა $2^1/_2$ — დან 8 წლამდე პატიმრობა. 1977 წლის ოქტომბერში აშშ-ის საოლქო სასამართლოს ფედერალურმა მოსამართლემ ჯ. სირიკამ მიიღო გადაწყვეტილება შეუმციროს მათ პატიმრობის ვადები 1 — 4 წლამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ერლიჰმანი შეიძლება გაათავისუფლოს უკვე ოქტომბრის დამლევს, ხოლო მიტჩელი და ჰოლდემანი 1978 წლის ივნისში.

ვიდა, რომ 1973 წლის შემოდგომაზე წარმომადგენელთა პალატაში წინადადება შეიტანეს რ. ნიქსონის პასუხისგებაში მიცემისა და პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების შესახებ. ამ მოთხოვნამ კონგრესის ორივე პალატაში უფრო დაყინებითი ხასიათი მიიღო. 1974 წლის 9 აგვისტოს რ. ნიქსონი იძულებული გახდა გადამდგარიყო. საქმე ამით როდი დამთავრდა. კონგრესმენები მოითხოვდნენ მის პასუხისგებაში მიცემას, მაგრამ ახალმა პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გამოიყენა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და ვეტო დაადო კონგრესის გადაწყვეტილებას რ. ნიქსონის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ვიცე-პრეზიდენტი გახდა ნ. როკფელერი. 1974 წლის 24 დეკემბერს ჯ. ფორდმა ვიცე-პრეზიდენტი ნ. როკფელერი დანიშნა აგრეთვე ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და შინაგან საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ორივე საბჭოს თავმჯდომარედ თვითონ პრეზიდენტი ა. ნ. როკფელერი ერთდროულად საგარეო პოლიტიკის საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრი გახდა.

1975 წლის შემოდგომაზე ჯ. ფორდის მთავრობამ ფედერალური ბიუჯეტის ე. წ. „ბალანსირების მიზნით" კონგრესში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ჯერ კიდევ 1964 წელს მიღებული უმუშევართათვის დახმარების პროგრამის დაფინანსების 1,2 მილიარდი დოლარით შემცირებას.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 60-იან წლებში და 70-იანი წლების პირველ ნახევარში. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია წარმოების მანამდე არნახული ტემპებით განვითარება. მაგალითად, თუ 1950 — 1960 წლებში წარმოება გაიზარდა 45 პროცენტით, 9 წლის განმავლობაში (1960 — 1969 წლებში)— 56,5 პროცენტით. მაგრამ ეს ზრდის პროცესი ძირითადად მოდის სამხედრო წარმოებაზე.

სამრეწველო წარმოების ზრდა გრძელდებოდა 1969 წლის აგვისტომდე, შემდეგ კი დაიწყო დაცემა და 1970 წლის ნოემბრისათვის იგი შეადგენდა 7,2 პროცენტს. უმუშევრობამ 5,4 მლნ. კაცს მიაღწია, რაც შეადგენდა სამუშაო ძალის 6,0 პროცენტს. ამ უმუშევრობის თავისებურება ის იყო, რომ მან მოიცვა კვალიფიციური მუშებიც, რასაც წინა ეკონომიკური კრიზისების დროს ადგილი არ ჰქონდა. 1971 წლიდან მთავრობის რიგი ღონისძიებების შედეგად მრეწველობის ზოგიერთ დარგში გამოცოცხლება დაიწყო და 1972 წელს ზრდა 7,9 პროცენტს შეადგენდა, 1973 წელს კი — 8,8 პროცენტს. მაგრამ 1972 — 1973 წლების ეკონომიკის გამოცოცხლება და ზრდის პერიოდი ომის შემდეგ ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა. ამასთანავე სწრაფი ზრდა შეინიშნებოდა ელექტროგამოთვლითი ტექნიკის

და სათანადო ხელსაწყოებისა და მოწყობილობების, ნაწილობრივ ხანგრძლივი მოხმარებისა და სამრეწველო მოწყობილობების საქნლის წარმოებაში. ნავთობის წარმოებაში კი ადგილი ჰქონდა შემცირებას.

ელექტროგამოთვლითი ტექნიკის წარმოების ღირებულების საერთო მოცულობამ 1973 წლისათვის 12,4 მლრდ. დოლარს მიაღწია, რაც 20 პროცენტით მეტია, ვიდრე 1972 წელს. ამ დარგის ყოველწლიური ზრდის ტემპი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შეადგენდა 15 პროცენტზე მეტს.

ეკონომიკური ზრდის პირობებში შემცირდა უმუშევართა რაოდენობა. 1973 წლის შუა პერიოდში იგი 4,3 მლნ. კაცს შეადგენდა.

1971 — 1973 წლების ეკონომიკური აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო კაპიტალური დაბანდების მაღალი დონე.

მაგრამ ეკონომიკური აღმავლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1974 წლის მეოთხე კვარტალში მწვავე კრიზისი დაიწყო. წარმოება და დასაქმება კატასტროფულად დაეცა. მანქანა-მოწყობილობებსა და დანადგარებზე ახალი დაკვეთები მკვეთრად შემცირდა. მარტო 1974 წლის ნოემბერში ახალი შეკვეთები დაზგებზე 53 პროცენტით შემცირდა, ხოლო ახალ მშენებლობაზე — 20 პროცენტით. 1975 წლის დასაწყისში დაეცა ფოლადის, ალუმინის და ქიმიური მრეწველობა, შემდეგ კი — წარმოების ყველა დარგი. 1975 — 1976 წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა 11 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე 1973 წელს.

1970 წლის კრიზისი ქვეყნის ფინანსურ სისტემასაც შეეხო, გამოიწვია რიგი სიძნელეები, რომლებიც ვერ აიცილეს შემდგომ წლებში ეკონომიკის გამოცოცხლების დროს. ფინანსური სიძნელეები კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდა 1974—1975 წლების კრიზისის დროს. აქციების ღირებულება ბირჟაზე 50 პროცენტით დაეცა და მიაღწია ყველაზე დაბალ დონეს, ვიდრე უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში იყო. რიგი მსხვილი ბანკები გაკოტრდა. ამ კრიზისს თავისი მასშტაბებით 1929 — 1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ადარებენ.

ეკონომიკური კრიზისის შედეგად მთლიან უმუშევართა რაოდენობამ 1975 წლის მაისში მიაღწია 8 მლნ. კაცამდე, (მთელი სამუშაო ძალის 9,2 პროცენტს), წინა წლის იმავე პერიოდში კი 4,1 მლნ. კაცი იყო უმუშევარი; 1976 წლისათვის უმუშევართა რაოდენობა 9 მლნ. კაცს შეადგენდა. მუშების რეალური ხელფასი მკვეთრად შემცირდა. მრავალი საწარმოს მუშა ნახევარ სამუშაო დღეზე გადაიყვანეს. ოფიციალური მონაცემებით, 1974 წლის ბოლოსათვის მუშათა რეალური ხელფასი 9 პროცენტით დაეცა და 1929—1933 წლების

ეკონომიკური კრიზისის რეალური ხელფასის დაცემის დონეს მიუახლოვდა.

მთავრობამ დახმარება შეუმცირა ისეთ ოჯახებსაც კი, რომელთაც ცხოვრების მინიმალური შემოსავალი არა აქვთ. ენერგეტიკული კრიზისი მთავრობამ ასევე გამოიყენა ფასების ორჯერ გაზრდისათვის თხევად სათბობზე. ორი წლის განმავლობაში გადასახადი ელექტროენერგიაზე 50 პროცენტით გაიზარდა, რის გამოც მშრომელი მოსახლეობის დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცხოვრების ღირებულება, რომელსაც ბაზარზე საცალო ფასების ზრდის მიხედვით ანგარიშობენ, 1974 წლის მანძილზე 11 პროცენტით გაიზარდა. ანალოგიურ ზრდას ჰქონდა ადგილი მომდევნო 1975 — 1976 წლებშიც. მაგალითად, 1976 წელს ფასები 13%-ით გაიზარდა.

ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმის დაკისრებას მთავრობა ხალხთა მასებზე ცდილობდა. ჯ. ფორდის მთავრობამ შეადგინა მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრისა და ფედერალური ხარჯების ახალი ეკონომიკური პროგრამა, რომლითაც კერძო პირთა და კორპორაციათა გადასახადები რამდენადმე შემცირდა, რაც უდავოდ მოსახლეობის შეძლებული ფენების ინტერესებს გამოხატავს და კორპორაციების გადასახადებით დაბეგვრის შემსუბუქებას ნიშნავს. ამ ღონისძიებებს პრეზიდენტი ჯ. ფორდი იმით ასაბუთებდა, რომ სამრეწველო კომპანიები წარმოებაში სამუშაო ადგილების რაოდენობას გაზრდიანო. ანალოგიურ ღონისძიებებს მთავრობა ადრეც მიმართავდა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდა. ასევე მოხდა ამჯერადაც.

პროგრამით გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ახალი გადასახადებით დაბეგვრა და ფედერალური ხარჯების გადასინჯვა 1976 წლიდან, განსაკუთრებით მათი შემცირება სოციალური დახმარების დარგში.

ჯ. ფორდმა არჩევნებში დამარცხების შემდეგ აღიარა, რომ მთავრობის ფინანსურმა პოლიტიკამ გამოიწვია გადასახადების განუხრელად ზრდა, ფედერალური ბიუჯეტის რეკორდული დეფიციტი და ინფლაცია.

1977 წლის თებერვალში ახალმა პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა შეიმუშავა ეკონომიკის სტიმულირების ორწლიანი პროგრამა. იგი მიზნად ისახავდა ეკონომიკის გამოყვანას კრიზისიდან. ამ მიზნით გამოყოფილი 31,2 მლრდ. დოლარის მეშვეობით უნდა გაზრდილიყო საქმიანი აქტივობის სტიმულირება წარმოებაში და მუშათა დასაქმება. იგი, კერძოდ, შეიცავდა კორპორაციების გადასახადებისა და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის ერთგვარი შემცირების ღონისძიებებს. მაგრამ აპრილში კარტერმა განაცხადა, რომ მთავრობა გადასინჯავს ორწლიან პროგრამას, რომ ეს პროგრამა მცირდება 12,5

მლრდ დოლარითო. უმთავრესად საქმე ეხება იმას, რომ ადმინისტრაცია უარს ამბობს შეამსუბუქოს მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი

1974 — 1976 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა რიგ ქალაქებს, განსაკუთრებით ნიუ-იორკს, რომლებიც სრული გაკოტრებისა და ეკონომიკური კრახის წინაშე აღმოჩნდნენ. ქალაქის და ცალკეული შტატების ხელისუფლება გამოსავალს ეძებდა ადმინისტრაციული და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა შტატების შემცირებაში, ქალაქის ტრანსპორტზე ფასების გაზრდასა და სხვა ღონისძიებებში. ფედერალურმა მთავრობამ კი უარი თქვა გაეწია დახმარება ნიუ-იორკისა და სხვა ქალაქებისათვის. 1975 წლის 11 ოქტომბრის პრესკონფერენციაზე ჯ. ფორდმა დაადასტურა, რომ ფედერალურ მთავრობას არ სურს დაეხმაროს ნიუ-იორკს, რომელიც ფინანსური კატასტროფის ზღვარზე აღმოჩნდა: მთავრობა არ დაეხმარება არც ერთ ქალაქს, რომელიც თავის ფინანსურ საქმეებს ისევე უპასუხისმგებლოდ წყვეტს, როგორც ნიუ-იორკიო.

აშშ-ის ეკონომიკური პრობლემების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ენერგეტიკული კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1973 წელს, მას შემდეგ, რაც არაბეთის სახელმწიფოებმა უარი უთხრეს აშშ-ს ნავთობის მიყიდვაზე, ისრაელისათვის მხარდაჭერის გამო. აშშ-ის მთავრობა იძულებული გახდა რიგი ღონისძიებები მიეღო ქვეყნის ენერგეტიკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ ღონისძიებებმა ამ მიმართულებით მდგომარეობა ვერ გამოასწორა. 1975 წლისათვის ნავთობის მოპოვება წარსულ ცხრა წელთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იყო. მისმა იმპორტმა სახმარი ნავთობის საერთო მოცულობის 37 პროცენტს მიაღწია, ხოლო 1980 წლისათვის კი, პრეზიდენტ ჯ. ფორდის აზრით, შესაბამისი ღონისძიებანი თუ არ განხორციელდა, 50 პროცენტს გადააჭარბებს. 1974 წელს აშშ-ს ნავთობის შემოტანა 25 მილიარდი დოლარი დაუჯდა, მომდევნო ორი წლის განმავლობაში ეს თანხა ყოველწლიურად 2 მილიარდით უნდა გაზრდილიყო, მაგრამ 1976 წელს შემოტანილი ნავთობი 34 მლრდ. დოლარი დაჯდა. ანალოგიური მდგომარეობაა ბუნებრივი გაზის მოპოვების საქმეში. იგი 1974 წელს 6 პროცენტით, ხოლო 1975 წლის პირველ ნახევარში 8,5 პროცენტით შემცირდა.

1975 წლის 11 ოქტომბერს პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესს კანონპროექტი წარუდგინა მთავრობის კორპორაციის „ენერგეტიკული უზრუნველყოფის სამმართველოს“ შექმნის შესახებ, რომლის მიზანი გახდა სათანადო ღონისძიებების შემუშავება, რათა შეერთებულმა შტატებმა ენერგეტიკის დარგში მიაღწიოს ქვეყნის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

1977 წლის იანვარში გადადგომის წინ ჯ. ფორდმა კონგრესისადმი გაგზავნილ წერილში ენერგეტიკული პოლიტიკის შესახებ აღიარა, რომ განვლილ სამ წელიწადში აშშ-მა ვერ მიაღწია ენერგეტიკის დარგში დასახულ მიზნებს. ქვეყნის ძირითადი პრობლემაა სულ უფრო მზარდი დამოკიდებულება შემოტანილ ნავთობზე, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ნაკლებობა მთელ რიგ რაიონებში. ეს ნაკლებობა გამწვავდა 1976 — 1977 წლების ზამთარში, როდესაც უჩვეულოდ ცივი ამინდი დაიჭირა.

წერილში აღნიშნულია, რომ ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვებამ აშშ-ში უმაღლეს წერტილს მიაღწია 70-იანი წლების დამდეგს და მას შემდეგ განუხრელად მცირდება. იმპორტის წილის გადიდებამ აშშ-ის ნავთობის ბალანსში შექმნა ისეთი ვითარება, რომ ახლა შეერთებულ შტატებს ემბარგო მნიშვნელოვნად მეტ ზარალს მიაყენებდა, ვიდრე 1973 — 1974 წლებში, როცა დაკარგა 500 ათასამდე სამუშაო ადგილი და 20 მლრდ. დოლარის მთლიანი ეროვნული პროდუქტი.

აშშ-ის ეკონომიკურმა პრობლემებმა კონცენტრირებული გამოხატულება პოვა „დოლარის კრიზისში". მთელი ათეული წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ 1971 წელს ამერიკის საგარეო ვაჭრობის ბალანსი დეფიციტური აღმოჩნდა (2 მილიარდი დოლარით). ამის მიზეზი იყო ამერიკის საქონლის კონკურენციის უნარის დაკარგვა, ამერიკის კომპანიების დიდი რაოდენობის კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთ და ა. შ. დოლარის კრიზისს ბიძგი მისცა აშშ-დან მოკლევადიანი სესხების დიდი რაოდენობით უკუქცევამ, პროცენტული განაკვეთის დაცემამ და დოლარისადმი ნდობის დაკარგვამ. 1970 — 1971 წლებში ამერიკის ბანკებში დოლარის დეპოზიტების უცხოელმა მფლობელებმა მილიარდობით დოლარი მიყიდეს ცენტრალურ ბანკებს და მათ გადაცვლას ცდილობდნენ უფრო სტაბილურ ვალუტაზე, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანულ მარკაზე. დოლარისადმი ნდობის დაკარგვამ გამოიწვია მისი კურსის დაცემა კაპიტალისტური სამყაროს სხვა ვალუტებთან შედარებით. საზღვარგარეთის ცენტრალურ ბანკებში დოლარის რეზერვების მეტისმეტად გადაჭარბებულმა დაგროვებამ ქაღალდის დოლარის ოქროზე გადაცვლის მოთხოვნის საშიშროება შექმნა.

საყურადღებოა, რომ ომის შემდგომ სავალუტო სისტემას საფუძვლად ედო 1944 წლის ბრეტონვუდის შეთანხმება, როლითაც საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ქაღალდის დოლარი ცნეს ოქროს ეკვივალენტად.

აშშ-ის მთავრობამ შეწყვიტა ქაღალდის დოლარის გადაცვლა ოქროზე. „დოლარის კრიზისიდან" დახსნის მიზნით მთავრობამ ჯერ

მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეთანხმებით მოახდინა დოლარის დევალვაცია 7,83 პროცენტით, ხოლო როდესაც საქმეს ამან ვერ უშველა და დოლარის კურსი კატასტროფულად ეცემოდა, 1973 წლის თებერვალში მისი ახალი დევალვაცია მოახდინა, ამჯერად 10 პროცენტით. მეორე დევალვაცია ცალმხრივი წესით მოხდა, რამაც გაამწვავა წინააღმდეგობანი აშშ-სა და მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და დოლარისადმი უნდობლობა გააღრმავა.

რ. ნიქსონის მთავრობამ, ასევე ცალმხრივად, საერთაშორისო შეთანხმების უხეშად დარღვევით შემოიღო დამატებითი 10 პროცენტიანი ბაჟი იმპორტზე, რომელიც ეხებოდა ძირითადად დასავლეთ ევროპიდან, იაპონიიდან, კანადიდან და განვითარებადი ქვეყნებიდან შემოსატან სამრეწველო საქონელს. მიღებულ იქნა ფასებისა და ხელფასის 90-დღიანი „გაყინვა". ამ ღონისძიების ოფიციალურ მიზნად გამოცხადდა ინფლაციის შეჩერება. 90 დღის შემდეგ (1971 წლის 15 აგვისტო — 15 ნოემბერი), როდესაც ვერ მოხერხდა ფასების ზრდის შეჩერება, ძალაში შევიდა ე. წ. მეორე ფაზა, რომელიც სახელმწიფო კონტროლის მუდმივი ფორმაა. მისი ოფიციალური მიზანი იყო ცხოვრების ღირებულების ყოველწლიური ზრდის შეჩერება 2 — 3 პროცენტით. ამასთანავე, მსხვილი კორპორაციების სასარგებლოდ მთავრობამ მიიღო გადასახადების გადასინჯვის პროგრამა, სადაც ცენტრალური ადგილი უკავია იმ კომპანიებისათვის საგადასახადო შეღავათებს, რომელნიც ახალ კაპიტალურ დაბანდებებს ახდენენ წარმოებაში და ამით „დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნიან". შემცირდა აქციები ავტომობილების გაყიდვაზე, რათა სტიმული მიეცათ მისი წარმოებისა და გასაღებისათვის.

აშშ-ის მონოპოლიები მიესალმნენ ნიქსონის ამ ღონისძიებებს, მაგრამ პროფკავშირები, მათ შორის აშკარა კონსერვატორული ხელმძღვანელობაც, მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ზემოთ აღნიშნულმა ღონისძიებებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. 1973 წელს საცალო ფასების ინდექსი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე 6,2 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე წინა წელს, როდესაც ყოველწლიურმა მატებამ შეადგინა 3,3 პროცენტი. ფასები განსაკუთრებით გაიზარდა სასურსათო საქონელზე. მრავალი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ დაეცა სასურსათო საქონლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე. 1974 წლისათვის კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. 1973 წლიდან დაიწყო მთავრობის პროგრამის ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის „მესამე ფაზის" განხორციელება. შეზღუდვები შეეხო უმთავრესად მშრომელთა ხელფასს და არა კორპორაციების მოგებების და ფასების ზრდას. 1973 წელს კომპანიების შემოსავალი წინა წელთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა. მთავრობის მკაცრი

კონტროლი კვლავ ძალაში რჩებოდა მშრომელთა ხელფასზე, რომლის მომატება სასტიკად იზღუდებოდა. 1973 წელს მოსახლეობის მრავალი კატეგორია (პენსიონერები, სახელმწიფო მოსამსახურეები და სხვები) საერთოდ არ ღებულობდა ან უმნიშვნელო დამატებებს ღებულობდა ნომინალურ შემოსავალზე. 1971 — 1973 წლებში ფასებსა და ხელფასზე მოქმედმა კონტროლმა ვერ მიაღწია მიზანს, რის გამოც 1974 წლის აპრილში იგი გაუქმებულ იქნა.

1973 წლის მეორე ნახევრიდან გაუმჯობესდა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი, რომელიც წინა წლებში დიდ დეფიციტს განიცდიდა. ამერიკული დოლარის ორი დევალვაციის და მისი კურსის დაწევის შედეგად შესუსტდა ამერიკის საქონლის კონკურენცია და ექსპორტი, რის შედეგად 1973 წელს სავაჭრო ბალანსი ხასიათდებოდა აქტიური სალდოთი 1,7 მლრდ. დოლარით, 1972 წელს კი დეფიციტი 6 მლრდ. დოლარს შეადგენდა. უფრო გაწონასწორებული გახდა ვაჭრობა იაპონიასთან, რომელთანაც წლების განმავლობაში აშშ-ს უარყოფითი სალდო ჰქონდა.

მაგრამ საშინაო ცხოვრებაში ყველაზე რთულ პრობლემას კვლავ ინფლაცია წარმოადგენდა. ცხოვრების სიძვირის ზრდა ქვეყანაში ყოველწლიურად იგრძნობოდა და საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევდა. სტაბილიზაციის ღონისძიებების ჩაშლის შემდეგ ამერიკელებს იმედი დაეკარგათ, რომ მთავრობა შეძლებდა ინფლაციის ლიკვიდაციას. ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი იყო პირველ რიგში სამხედრო ხარჯების შემცირება, მით უმეტეს, რომ ვიეტნამში ომის დამთავრების შემდეგ თითქოს ამ საკითხის მოგვარება ძნელი აღარ ჩანდა. მაგრამ, პირიქით, სამხედრო ხარჯები შემცირების ნაცვლად, 1973 — 1974 ფინანსურ წელს 4,7 მლრდ. დოლარით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 81 მლრდ. დოლარს შეადგენდა.

ინფლაციის შედეგად განუწყვეტლივ მცირდებოდა ამერიკელთა რეალური შემოსავალი. ამერიკელი ოჯახის საშუალო შემოსავალი 1974 წელს გაიზარდა 7 პროცენტით 1973 წელთან შედარებით, მაგრამ რეალური გამოანგარიშებით იგი შემცირდა, რადგან 11 პროცენტით მოიმატა ფასებმა.

1975 წლის ოქტომბერში ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც პენტაგონის საჭირო ებისათვის 15 თვის ვადით (1 ივლისიდან) გამოყვეს 112 მილიარდი დოლარი. წარმომადგენელთა პალატაში ცხარე კამათი გაიმართა კანონპროექტის განხილვის დროს.

საყურადღებოა, რომ შეერთებული შტატების ბიუჯეტს წლების განმავლობაში უზარმაზარი დეფიციტი აქვს. 1975 საფინანსო წელს, რომელიც 30 ივნისს დამთავრდა, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტ-

მა შეადგინა 44,2 მილიარდი, 1976 წლის საფინანსო წელს კი — 66,5 მლრდ. დოლარი.

აშშ-ის ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზია უზარმაზარი სამხედრო ხარჯები.

დეფიციტის დასაფარავად მთავრობა სესხს იღებს კერძო ბანკებისა და ფინანსური კომპანიებისაგან, რაც იწვევს სახელმწიფო ვალის შემდგომ ზრდას. იგი 1975 წლის 30 ივნისისათვის შეადგენდა 538,5 მილიარდ დოლარს, ხოლო 1976 წლისათვის 605,9 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, არღვევს ეკონომიკურ სტაბილურობას და აძლიერებს ინფლაციას, რომელიც ძვირად ტვირთად აწვება მშრომელ მასას.

ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის აცილებას რესპუბლიკური მთავრობა ცხოვრების საშინაო პირობების გაუარესებით ცდილობდა, დაფინანსება შეუმცირდა სოციალურ უზრუნველყოფას, განათლებას და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

60-იანი წლების დამლევს, პირველად ომის შემდგომ წლებში, აშშ-ის სახელმწიფო ხარჯები მეცნიერების დარგში გაიყინა. მაგალითად, თუ 1969 წელს იგი შეადგენდა 14,9 მლრდ. დოლარს, 1970 წელს შემცირდა 100 მლნ. დოლარით. ინფლაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მცირდებოდა საკვლევო და საკონსტრუქტორო ხარჯები, ხოლო შემდეგ, როდესაც მათი გაზრდა დაიწყო, მხოლოდ 1974 წელს მიაღწია 1967 წლის დონეს. შემცირდა აგრეთვე მეცნიერ-მუშაკთა და იმ ინჟინერთა რაოდენობა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კვლევით და საკონსტრუქტორო საქმესთან. მაგალითად, 1969 წელს მათი რიცხვი შეადგენდა 559,2 ათას კაცს, 1973 წელს კი — 531,1-ს.

თუ მთელი 20 წლის განმავლობაში (50—70 წლები) აშშ-ში იგრძნობოდა ინჟინერთა და მეცნიერ-მუშაკთა ნაკლებობა, 70-იან წლებში უკვე „სიჭარბე" შეიმჩნევა. 1971 წელს მიიღეს საკანონმდებლო აქტები, რომელნიც ზღუდავდნენ აშშ-ში სპეციალისტთა იმიგრაციას. წესით აშშ-ში სპეციალისტს მხოლოდ მიწვევით შეუძლია ჩავიდეს.

მეცნიერთა და ინჟინერთა სიჭარბემ 70-იანი წლების დასაწყისში გამოიწვია სახელმწიფოს მიერ უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების შემცირება.

სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა გარკვეულ პროგნოზს ეყრდნობა, რომლითაც მოთხოვნებსა და რაოდენობას შორის თანაფარდობა მეცნიერებსა და ინჟინრებზე 1980 წლისათვის დაირღვევა რაოდენო-

ბის სასარგებლოდ; მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობა გადაჭარბებს მოთხოვნებს 10 — 13 პროცენტით.

საწარმოო ძალების და საზოგადოების შემდგომი წინსვლა და განვითარება, სადაც არ უნდა ხდებოდეს იგი, განუხრელად მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, მაღალკვალიფიციური კადრებისა და მეცნიერთა მომზადებისათვის დაფინანსების ზრდასა და მისი სტაბილობის უზრუნველყოფას.

§ 16. მუშათა და კომუნისტური მოძრაობა 60—70-იან წლებში

მუშათა და კომუნისტური მოძრაობა. აშშ-ის კომუნისტურმა პარტიამ გაუძლო 40—50-იანი წლების იმ სასტიკი რეპრესიების ქარცეცხლს, რომელიც მას რეაქციის მძვინვარების პერიოდში თავს დაატყდა და 60-იან წლებშიც გრძელდებოდა. კომპარტიამ გაწმინდა თავისი რიგები შემთხვევით მიტმასნილი ელემენტებისაგან და იგი 60-იან წლებში თავის რიგებში 20 ათასამდე წევრს აერთიანებდა. პარტიის რიგები გაწმენდილ იქნა რევიზიონისტებისა და „მემარცხენე" ფრაქციონერებისაგან, რამაც ხელი შეუწყო კომპარტიის პოზიციების და ავტორიტეტის ზრდას მასებში. მთელი ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია პარტიის ახალი პროგრამის შემუშავებისათვის, რომელიც საბოლოოდ 1969 წელს პარტიის XIX ყრილობამ მიიღო. ახალი პროგრამა მთავარ ამოცანად სახავს ანტიმონოპოლისტური კოალიციის შექმნას და მშრომელთა დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოქმედებას. ამ მიზნით უნდა შეიქმნას სახალხო პარტია, რომელიც იბრძოლებს ძირეული რეფორმების განხორციელებისათვის. სახალხო პარტია, როგორც აღნიშნულია პროგრამაში, უბრალო საარჩევნო მანქანა კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა გადაიქცეს მასობრივი გამოსვლების იარაღად — ქუჩებში, ქარხნებში, საარჩევნო უბნებში და ყველგან, სადაც ამის საჭიროება იქნება. პროგრამა მშრომელთა ამოცანად სახავს ამერიკის სოციალიზმში გადასვლას სოციალისტური რევოლუციის გზით. კომუნისტური პარტიის ახალმა პროგრამამ და 1972 წელს შემდგარი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა დასახეს მისი ამოცანები უახლოესი დროისათვის. ამ ამოცანებში გაანალიზებულია ამერიკის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და დასახულია სოციალისტური გარდაქმნებისათვის ბრძოლის პერსპექტივები.

ამ მოძრაობის წამყვანი ძალა იქნება მუშათა კლასი, რომლის ირგვლივ აუცილებლად უნდა შეიქმნას ამერიკის მშრომელთა ანტიმონოპოლისტური კავშირი. მასში შევლენ მუშები, სტუდენტი ახალგაზ-

რდობა, ინტელიგენცია, ფერმერები, მშრომელთა ჩაგრული მასები — ზანგები, მექსიკელები, პუერტორიკელები,[1] ინდიელები და ა. შ.

აშშ-ის კომპარტია ფართო კომპანიას ეწეოდა ახალგაზრდა კომუ-ნისტი ქალის ანჟელა დევისის დასაცავად, რომელიც შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე განმარტოებულ საკანში ჩასვეს და მკვლ-ელობის ყალბი ბრალდება წაუყენეს. ანჟელა დევისის დასაცავად მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, რის გამოც აშშ-ის სასამარ-თლო ორგანოები იძულებული გახდნენ იგი გაეთავისუფლებინათ.

აშშ-ის კომპარტიის XX ყრილობამ გენერალურ მდივნად კვლავ გეს ჰოლი[2] აირჩია, ხოლო პარტიის თავმჯდომარედ — კვლავ ჰენრი უინსტონი.[3]

1974 წელს მაკარენის კანონი გაუქმდა, კომპარტიის დევნა შე-წყდა.

აშშ-ის კომპარტიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1968 წლიდან ყოველდღიური გაზეთის „დეილი უორლდის" გამოცე-მა. ადრინდელი გაზეთი „დეილი უორკერი" კი 1956 წელს ხელთ იგ-დეს რევიზიონისტებმა.

1970 წელს შეიქმნა აშშ-ის კომკავშირი „ახალგაზრდა მუშების განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი". მას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობას შორის მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრ-ცელების საქმეში.

60-იან წლებში პროფმოძრაობაში ვიეტნამის ომთან დაკავშირე-ბით ოპოზიცია შეიქმნა. საყურადღებოა, რომ 1965 წლის დეკემბერ-ში პროფკავშირთა რეაქციულმა ლიდერმა ჯ. მინმა ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის VI ყრილობას თავს მოახვია პრეზიდენტის რეზოლუცია ვიეტნამის პოლიტი-კისათვის მხარდაჭერის შესახებ. მაგრამ ამ რეზოლუციას პროფკავ-შირთა ყველა ლიდერი როდი დაემორჩილა.

---

[1] საყურადღებოა, რომ ამერიკაში 25 მლნ. ზანგია, 8 მლნ. ამერიკელი მექსი-კელი და 2 მლნ. პუერტორიკელი. მათი უმრავლესობა, 90 პროცენტზე მეტი, მეშაა, ძირითადად არაკვალიფიციური.

[2] გეს ჰოლი დაიბადა 1910 წელს ფინეთიდან გადმოსული მუშა-მეშახტის ოჯახ-ში. 14 წლის ასაკიდან გ. ჰოლი მუშაობდა ტყის დამზადებაზე, სამთამადნო მრეწ-ველობაში და რკინიგზის ტრანსპორტზე. 1929 წელს იგი შედის აშშ-ის კომპარტია-ში. მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო სამსახურში იყო. 1948 წელს დააპა-ტიმრეს და 5 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. 1951 — 1957 წწ. იგი ციხეში იჯდა. 1949 — 1951 წლებში გეს ჰოლი იყო აშშ-ის კომპარტიის ეროვნული მდივანი, 1959 წლიდან კი გენერალური მდივანია.

[3] ჰენრი უინსტონი, წარმოშობით ზანგი, დაიბადა 1911 წელს ღარიბი მუშის ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე ჩაება მუშათა მოძრაობაში, რისთვისაც არა ერთხელ რეპრესირებული იყო. უკვე 20 წლის ასაკში აშშ-ის კომპარტიის წევრი ხდება.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობა, მიუხედავად პროფლიდერების გამთიშველი მოქმედებისა და მთავრობის რეპრესიებისა 60-იან წლებშიც გრძელდებოდა. იგი განსაკუთრებით გაძლიერდა 60-იანი წლების დამლევსა და 70-იანი წლების დამდეგს. თუ 60-იანი წლების პირველ ნახევარში ყოველწლიურად ხდებოდა დაახლოებით 3,5 ათასი გაფიცვა, მეორე ნახევარში და 70-იანი წლების დამდეგს ყოველწლიურად ხდებოდა 5,5 ათასი გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვდნენ ხელფასის გაზრდას და შრომის პირობების გაუმჯობესებას. 1971 წელს 5 ათასამდე გაფიცვა მოხდა და 45 მლნ. სამუშაო დღე დაიკარგა.

რ. ნიქსონის მთავრობის „ხელფასის გაყინვის" პოლიტიკის წინააღმდეგ 1972 წელს მოეწყო მუშათა 5100 გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 1700 ათასი მუშა და მოსამსახურე. დიდი გაფიცვები მოხდა საავტომობილო მრეწველობაში, დასავლეთის სანაპიროს ნავსადგურებში, ნიუ-იორკის და სხვა ქალაქების მასწავლებლებისა, რომელნიც ფასების ზრდის გამო მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას.

მთავრობის მიერ შემოღებული „ხელფასის გაყინვის" პოლიტიკის წინააღმდეგ გაფიცვა გრძელდებოდა 1973 — 1974 წლებშიც. 1973 წელს გაიფიცნენ სან-ფრანცისკოს საკონსერვო ქარხნის მუშები, ნიუ-იორკის და ვაშინგტონის მბეჭდავი მუშები, ფლორიდის ქალაქის მეურნეობის მოსამსახურენი, კალიფორნიის სოფლის მეურნეობის მუშები და ა. შ. 1974 წელს გაიფიცნენ რკინიგზელები, საფოსტო მუშები, ფორდის და „ჯენერალ მოტორსის" კომპანიის საავტომობილო მრეწველობის მუშები და ა. შ. მთავრობა არაერთხელ ერეოდა მუშათა და მეწარმეებს შორის არსებულ კონფლიქტში და მუშებს აიძულებდა, რათა გაფიცვა შეეწყვიტათ.

1974 — 1976 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, უმუშევრობის და ფასების ზრდამ, დოლარის კურსის ხშირმა მერყეობამ და, აქედან გამომდინარე, მშრომელთა მასების მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებამ გამოიწვია საგაფიცვო მოძრაობის ახალი აღმავლობა.

რ. ნიქსონისა და ჯ. ფორდის მთავრობების საგარეო პოლიტიკა სოციალისტური ქვეყნების მიმართ. წინასაარჩევნო კამპანიის დროს რ. ნიქსონი აცხადებდა, რომ „კონფრონტაციის ერის" ადგილს ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში დაიკავებს „მოლაპარაკების ერა", რომ იგი მზადაა აწარმოოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან მრავალი საკითხის ირგვლივ. მაგრამ, ამასთანავე, რ. ნიქსონი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას იგი „ძალის პოზიციიდან" წარმართავს. ამიტომ საერთაშორისო არენაზე აშშ-ის პოზიციების გაძლიერებისათვის პრეზიდენტი მოითხოვდა სამხედრო ბლოკების განმტკიცებას და მათში თავის მოკავშირეთა უფრო აქტიურ მონაწილეობას.

1969 წლის 13 ნოემბერს სახელმწიფო მდივანმა როჯერსმა ჰრეს-კონფერენციაზე ვაშინგტონში განაცხადა, რომ „ახლანდელი სიტუაცია, რომლის დროსაც შეერთებულ შტატებს და საბჭოთა კავშირს შეუძლიათ ერთმანეთის განადგურება განურჩევლად იმისა, თუ ვინ ვის დაესხმის-პირველად თავს, უსაფუძვლოს ხდის შემდგომ გამალებულ შეიარაღებას“.

მაგრამ, ამ განცხადებების მიუხედავად, რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა უცებ როდი შეუდგა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ამასთანავე, ქვეყნის რეაქციული ძალები, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლები გამალებულ შეიარაღებას მოითხოვდნენ და „საბჭოთა საშიშროების“ უსაფუძვლო ლოზუნგით სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას მიაღწიეს წყალქვეშა გემის „ტრაიდენტის“ და ბომბდამშენის „ფაუ—1“-ის წარმოებისათვის. 1970 წლის თებერვალში დაიწყო რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის ფორსირებული დამზადება. მაგრამ ამერიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირის აქტიური და სამართლიანი საგარეო პოლიტიკის შედეგად იგი ვერ შეაჩერებდა ევროპაში მშვიდობის მისწრაფებებისადმი მიმდინარე პროცესებს და იძულებული გახდა დაძაბულობისა და „ცივი ომის“ ტაქტიკიდან მოლაპარაკებაზე გადასულიყო. 1970 წლის აპრილ-აგვისტოში ვენაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვაზე. 1971 წლის 11 თებერვალს მოსკოვში, ვაშინგტონსა და ლონდონში ერთდროულად ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირსა, აშშ-სა და ინგლისს შორის ხელშეკრულება ზღვისა და ოკეანის ფსკერზე თერმობირთვული და სხვა სახის მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგება-შენახვის აკრძალვის შესახებ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1971 წლის სექტემბერში ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის შესახებ.

ამასთანავე ამერიკის მთავრობამ 1970 წელს ზეგავლენა მოახდინა და უარი ათქმევინა „ფორდის“ ფირმას საბჭოთა კავშირში მძიმე ავტომანქანების ქარხნის მშენებლობაში მონაწილეობაზე.

1971 წელს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის დაიდო ორი შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და კავშირგაბმულობის პირდაპირი ხაზის გაუმჯობესების შესახებ. 1971 წელს აშშ-ის საქმიანი წრეების ჯგუფთან ერთად საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ვაჭრობის მინისტრი. მოლაპარაკება წარმოებდა ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ. 1972 წლის მაისში საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პრეზიდენტი რ. ნიქსონი. მოლაპარაკების შედეგად ორივე მხარე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ შორის ურთი-

ერთობაში გარდაუვალია მშვიდობიანი თანაარსებობა. ლ. ბრეჟნევმა და რ. ნიქსონმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას 5 წლის ვადით სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შეზღუდვის შესახებ. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომელიც ამცირებდა რაკეტულ-თერმობირთვული ომის საშიშროებას და გამალებულ შეიარაღებას. ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმებებს თანამშრომლობის შესახებ კოსმოსის ათვისების, გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ინცინდენტების აცილების შესახებ ღია ზღვაში და საჰაერო სივრცეში. ყველა ამ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებისა და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეში.

1972 წლის სექტემბერში მოსკოვში აშშ-ის ეროვნული უშიშროების, პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის გ. კისინჯერის ყოფნის დროს შეთანხმება დაიდო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის გაფართოების, ევროპის უშიშროების და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საქმეში.

ვაშინგტონში 18 ოქტომბერს სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სავაჭრო ურთიერთობის, ლენდ-ლიზის ანგარიშსწორების მოგვარებისა და ვაჭრობის 3-ჯერ გადიდების შესახებ. იგი ითვალისწინებდა ასევე საბჭოთა და აშშ-ის სავაჭრო ფლოტის მონაწილეობის გაფართოებას საქონლის გადატანაში. 1972 წლის ნოემბერში ჟენევაში განახლდა სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის ჯერ კიდევ 1969 წელს დაწყებული მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

1973 წლის 18—25 ივნისს აშშ-ში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც რ. ნიქსონთან მოლაპარაკების შედეგად მიაღწია კომპლექსურ შეთანხმებებს, რომელთაგან ცენტრალური ადგილი უკავია „უდავო შეთანხმებას" თერმობირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ. იგი უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს საერთაშორისო უშიშროების სისტემის შექმნის რეალურად განხორციელებისათვის. ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის ძირითად პრინციპებზე. მან ხელი შეუწყო ახალ შეთანხმებებს და ღონისძიებებს ასეთი შეიარაღების რიცხობრივი და ხარისხობრივი შეზღუდვის შესახებ.

ამ ორ ქვეყანას შორის კონტაქტის მაღალ დონეზე დამყარების შედეგად გაფართოვდა მხარეების ურთიერთგაგება მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს, მათ შორის ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის პრობლემებში. ამის შედეგი იყო, რომ 1973 წლის ივლისში დაი-

წყო საერთო ევროპული თათბირი, ხოლო ოქტომბერში — მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ.

უმაღლეს დონეზე მესამე შეხვედრა სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის წარმოადგენს ახალ დიდ მიღწევას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შემუშავებისა და განმტკიცების საქმეში. შეთანხმების ამ კომპლექსმა კარგი საფუძველი შექმნა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების პრაქტიკულად შეზღუდვისათვის.

უმაღლეს დონეზე აღნიშნულმა მოლაპარაკებამ და ხელმოწერილმა შეთანხმებებმა ხელი შეუწყო აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას. 1973 წელს სავაჭრო მოცულობამ ორივე ქვეყანას შორის დაახლოებით შეადგინა 1,5 მლრდ. დოლარი.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ჯ. ფორდის ოფიციალური ვიზიტი ვლადივოსტოკში და ლ. ი. ბრეჟნევთან მოლაპარაკება. საყურადღებოა, რომ 1972 წლის ხელშეკრულებამ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვის შესახებ და ამ ხელშეკრულების 1974 წლის ოქმმა არსებითად გადაწყვიტეს შეიარაღების ამ სახის პრობლემა და მინიმუმამდე დაიყვანეს მათი შემდგომი გაზრდის შესაძლებლობა. ამას ვერ ვიტყვით სტრატეგიულ შეტევით შეიარაღებაზე დროებითი შეთანხმების შესახებ, რომელიც არ იყო მთლიანი და სრულყოფილი, ამ შეთანხმების მიღმა დარჩა და არ შეეხო განსაზღვრული კატეგორიის შეიარაღებას.

24 ნოემბერს ვლადივოსტოკში ხელმოწერილ ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმულია წინანდელი შეთანხმებების მნიშვნელობა და აგრეთვე მითითებულია, რომ ახალი შეთანხმება შეიცავს 1972 წლის მაისის დროებითი შეთანხმების შესაბამის დებულებებს, რომლებიც ძალაში დარჩება 1977 წლის ოქტომბრამდე.

ვლადივოსტოკში მიღებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი განცხადება წარმოადგენს პრინციპულად ახალ შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის საქმეში, ვინაიდან მასში აღნიშნულია გადაწყვეტილება ახალი გრძელვადიანი შეთანხმების დადებაზე 1985 წლის 31 დეკემბრამდე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სსრ კავშირისა და აშშ-ს შორის ურთიერთობის განვითარების სტაბილიზებაში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ახალი შეთანხმების შემუშავებისას მხარეებს განზრახული აქვთ იხელმძღვანელონ თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შეთანხმება იქნება არა მარტო ფართო, ვიდრე დროები-

თი შეთანხმება, არამედ შეეხება ხარისხობრივ შეზღუდვასაც. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ არა უგვიანეს 1977—1981 წლებისა დაიწყონ ახალი მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვისა და შემცირების შესახებ 1985 წლამდე.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა საერთაშორისო პრობლემის დიდ კომპლექსს მოიცავს. ვლადივოსტოკში განიხილეს აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის, კვიპროსის, ევროპის უშიშროების, თანამშრომლობის და მთელი რიგი სხვა საკითხები.

ამერიკის პრესის გავლენიანი გაზეთები მიესალმნენ და მხარი დაუჭირეს ვლადივოსტოკში შეხვედრის შედეგებს, მაგრამ რეაქციული უმნიშვნელო ნაწილი შეეცადა უარყოფითად შეეფასებინა მაღალ დონეზე შეხვედრის შედეგები, განსაკუთრებით სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების საკითხში.

საყურადღებოა, რომ ვლადივოსტოკში შეხვედრის წინ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების მოწინააღმდეგენი აყენებდნენ ამ ურთიერთობაში ე. წ. „პაუზის“ იდეას და მას ნიქსონის გადადგომასა და მომხდარი ცვლილებების შედეგად შინაპოლიტიკურ გართულებას უკავშირებდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ აშშ-ის ახალი პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ნ. როკფელერი უარს იტყოდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების კურსის გაგრძელებაზე, რომელსაც ახორციელებდა რ. ნიქსონი. მთელი ამ კამპანიის სათავეში იდგა პენტაგონი და, საერთოდ, აშშ-ის მილიტარისტული წრეები.

ვლადივოსტოკის შეხვედრის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყდა ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიცაა სტრატეგიული იარაღის მატარებლის საერთო რიცხვის შეზღუდვა და იმ რაკეტების შეზღუდვა, რომლებიც შეიძლება აღიჭურვოს ინდივიდუალური დამიზნების მრავალჭურვიანი ატომური მუხტებით, დაწესდა მტკიცე ზღვარი თითოეული მხარის სტრატეგიული ძალებისათვის.

ორივე მხარე შეთანხმდა, რომ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს ექნებოდათ 2400—2400 სტრატეგიული იარაღის მატარებელი, მათ შორის 1320—1320 თავსანაწევრებელი რაკეტა.

ვლადივოსტოკში შეხვედრისას ლ. ი. ბრეჟნევი და ჯ. ფორდი შეთანხმდნენ, რომ ხელი შეუწყონ ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის მოწვევას და მის წარმატებით დამთავრებას. მართლაც, ამ ისტორიული შეხვედრის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ წარმატებით დაგვირგვინდა ჰელსინკის თათბირის მესამე ეტაპი, სადაც ხელი მოაწერეს მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებიც თუ შესრულდა, ხელს შეუწყობს ევროპის ქვეყნების სა-

შინაო პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციას და ამ ქვეყნების უშიშროების და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.

70-იანი წლების პირველ ხუთწლედში ამ ორ ქვეყანას შორის 50-ზე მეტი შეთანხმება და ხელშეკრულება დაიდო. მეცნიერების, მედიცინის, კულტურის, კოსმოსის კვლევის, გარემო ბუნების დაცვის და სხვა სფეროებში დამყარებულ ხელსაყრელ ურთიერთობას დიდი სარგებლობა მოაქვს საბჭოთა და ამერიკელი ხალხისათვის, იგი განამტკიცებს ურთიერთობას და თანამშრომლობას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც 1972 წელს დაიდო მოსკოვში რ. ნიქსონის ვიზიტის დროს, კონგრესმა მისი რატიფიკაცია გააჭიანურა, მასში შეიტანა რიგი დამატებები და შესწორებები, რომელნიც საბჭოთა კავშირისათვის ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის შემოღებას განაპირობებდნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის მოთხოვნით. ასეთი შესწორებებით მიღებული სავაჭრო კანონი არ სპობდა დისკრიმინაციას ჩვენი ქვეყნის ვაჭრობაზე ამერიკასთან, რის გამოც საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა ასეთი სავაჭრო სტატუტის ცნობაზე. საყურადღებოა, რომ პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა არ გამოიყენა ამ შესწორებების მიმართ პრეზიდენტის ვეტო და ხელი მოაწერა აღნიშნულ კანონს.

აშშ-ის მთავრობამ თავისი კურსი ევროპის სოციალისტური ქვეყნების მიმართაც შეცვალა. 1969 წლის ზაფხულში რ. ნიქსონი ვიზიტით ჩამოვიდა რუმინეთში. სხვათა შორის, ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტის პირველი ვიზიტი სოციალისტურ ქვეყანაში. 1972 წელს აშშ-ის მთავრობამ გადადგა ნაბიჯი სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. რ. ნიქსონი იმყოფებოდა პოლონეთში, ხოლო სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი ოფიციალური ვიზიტით — უნგრეთში, რუმინეთსა და იუგოსლავიაში. დაიდო შეთანხმებანი პოლონეთ-ამერიკის სავაჭრო კომისიის შექმნისა და საკონსულოთა გახსნის შესახებ პოლონეთსა და აშშ-ს შორის, რუმინეთსა და აშშ-სა და უნგრეთსა და აშშ-ს შორის.

აშშ დათანხმდა მხარი დაეჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლაზე გდრ-ისა და გფრ-ისათვის.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკში ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრება, რამაც ხელსაყრელი ვითარება შექმნა საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე.

ამერიკის საქმიანი წრეების გამოხმაურება ჰელსინკის თათბირის შედეგებზე ძირითადად დადებითია. ისინი განსაკუთრებით კმაყოფილი არიან იმით, რომ ჰელსინკის დოკუმენტებში ასეთი დიდი ყურად-

ღება აქვს დათმობილი თანამშრომლობას ვაჭრობის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ამერიკის ბიზნესმენები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან დასავლეთ ევროპის და იაპონიის კონკურენტებს, რაც გამოიწვია კონგრესის დისკრიმინაციულმა გადაწყვეტილებამ, რომლის შედეგად ჩაიშალა საბჭოთა კავშირთან ნორმალური სავაჭრო პირობების შექმნის გეგმა.

ჰელსინკში ხელმოწერილ დასკვნით აქტში ერთ-ერთ პირველი რიგის ამოცანათა შორის არის დასახელებული სხვადასხვა სოციალისტური სისტემის სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება. მაგრამ აშშ-ის მთავრობა უგულებელყოფს ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და რიგ დაბრკოლებებს ქმნის ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი კატეგორიის დაბრკოლება: სატარიფო დისკრიმინაცია და ადმინისტრაციული შეზღუდვები.

ჩვენი ქვეყნიდან საქონლის იმპორტზე აშშ-ში დღესაც არ ვრცელდება წესები, რომლებიც 140 ქვეყნის საქონლის მიმართ მოქმედებს. ჩვენი საქონლის მიმართ დღევანდლამდე მოქმედებს 1930 წელს აშშ-ში მიღებული პროტექციონისტული სატარიფო კანონით დაწესებული გადასახადები, სხვა ქვეყნების მიმართ კი იგი დიდი ხანია გაუქმდა. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის მიმართ არსებული სატარიფო დისკრიმინაციის გამო საშუალო-საბაჟო გადასახადი მანქანებსა და მოწყობილობაზე აშშ-ში სხვა ქვეყნებისათვის მათი ღირებულების 4,8%-ს შეადგენს, საბჭოთა ნაწარმზე კი — 38%-ს, ელექტრომოწყობილობაზე შესაბამისად — 9,7% და 42%, სატრანსპორტო საშუალებებზე — 5,2% და 30%, ქიმიურ პროდუქტებზე — 9,6% და 36%-ს.

ასეთი დისკრიმინაციის გამო უკვე მრავალი გარიგება ჩაიშალა, რომლებითაც დაინტერესებული იყვნენ ამერიკული ფირმები. ამჟამად მოქმედი სატარიფო სისტემა ეპვეშ აყენებს ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გრძელვადიან გეგმებს და იგი დისბალანსის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ჩვენი იმპორტი აშშ-თან ბევრად აღემატება ამ ქვეყანაში ექსპორტს. სავსებით ცხადია, რომ საბჭოთა მხარეს არ შეუძლია სამარადჟამოდ შეურიგდეს ასეთ ვითარებას.

ამ ორი ქვეყნის ვაჭრობის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ადმინისტრაციული შეზღუდვა. მართალია, იგი ახლა რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ მაინც არსებობს. საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ბევრი ამერიკული საქონლის შემოსატანად საჭიროა ინდივიდუალური საექსპორტო ლიცენზია. ამასთან აშშ-ის კანონმდებლობა ამ საკითხში იმდენად ბუნდოვანია, რომ ამერიკელმა ექსპორტიორმა წინასწარ არ იცის, თუ რაზე მიიღებს ლიცენზიას და რაზე ვერა, ხოლო მოხელეს,

ვინც ამ საქმეს განაგებს, შეუძლია თავის შეხედულებისამებრ იმოქმედოს. ასეთი ვითარება დაუსრულებელ დაძრკოლებებს ქმნის.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორია აგრეთვე შეზღუდვები ჩვენს ქვეყანაში ამერიკული საქონლის ექსპორტის დაკრედიტების დარგში. ამით აიხსნება, რომ აშშ ბოლო ადგილზეა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში. ამაში ბრალი მიუძღვით, მათ, ვისაც არა სურს ბარიერების აღმოფხვრა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის საქმეში და ცდილობს იგი დაუკავშიროს საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ჩარევას. ამერიკის კონგრესის ეს ღონისძიება სათანადოდ შეაფასეს როგორც აშშ-ში, ისე მთელ მსოფლიოში, იგი დიდ ზარალს აყენებს თვით ამერიკის მხარეს.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ასეთ ფაქტს, რომელიც ცხადყოფს ამერიკის ფირმების უფლებების შეზღუდვას საბჭოთა მსხვილი შეკვეთების მიღებაში. ამერიკის ფირმა „ალკოასთან" წარმოებდა მოლაპარაკება სსრ კავშირში ალუმინის წარმოების სამრეწველო კომპლექსისათვის მოწყობილობის მოწოდების შესახებ, „ჯენერალ ელექტრიკთან" — კომპრესორული სადგურების მოწყობილობის მოწოდების შესახებ. მაგრამ ორივე შემთხვევაში დასავლეთევროპელმა ფირმებმა ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები შემოგვთავაზეს და შეკვეთები გადაეცათ: პირველი — საფრანგეთის კომპანიას „პეშინგს", ხოლო მეორე — გფრ-ის და იტალიის ფირმებს.

1973 წელს საკავშირო საავტიო საზოგადოება „ინტურისტსა" და ამერიკის ფირმა „იბმ"-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ჩვენს ქვეყანაში სასტუმროების მართვის ავტომატიზებული სისტემის მოწყობილობის მიწოდების შესახებ. მომწოდებლის მიერ ლიცენზიის მიღებას სამ წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა.

ამერიკის პოლიტიკური და საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა კარტერის ახალ მთავრობასა და კონგრესს 1977 წლისათვის არა ერთხელ მოუწოდეს, რომ გადასინჯონ აშშ-ის სავაჭრო პოლიტიკა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ. მაგალითად, 1977 წლის აგვისტოს ასეთი მოწოდებით პრეზიდენტ კარტერს მიმართა აშშ-ის ატლანტიკურმა საბჭომ — გავლენიანმა ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს ამერიკის პოლიტიკური და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. ამ საბჭომ დეტალურად შეისწავლა სოციალისტურ ქვეყნებთან აშშ-ის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მდგომარეობა და დაასკვნა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების გზაზე მთავარი ნაბიჯი გადაიდგა სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ და დიდი სახელმწიფოს მეოაურთა უმაღლესი დონის მთელი რიგი შეხვედრების შედეგად. მაგ-

რამ საგაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მკვეთრად შენელდა აშშ-ის კონგრესის მიერ ვაჭრობის კანონთან დაკავშირებით დისკრიმინაციული შეზღუდვების და შესწორებების მიღების შემდეგ. ამ დისკრიმინაციით აშშ-მა ვერაფერს ვერ მიაღწია და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საკუთარ თავს. მარტო 1975 წელს მან დაკარგა 1,6 მლრდ. დოლარი იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა შეკვეთები გადასცა სხვა ქვეყნებს, კერძოდ, საფრანგეთს, გფრ-ს, იაპონიას და იტალიას. ჯ. ფორდის მთავრობამ ამას ისიც დაუმატა, რომ ხელი შეუშალა საბჭოთა კავშირთან ხანგრძლივვადიანი ახალი შეთანხმების შემუშავებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ჯ. ფორდმა არა ერთი ანტისაბჭოთა განცხადება გააკეთა, რომელიც ჩვენი და სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა იყო. მან მიიღო ჩვენი ქვეყნიდან გაძევებული ნაძირალა სოლჟენიცინი, შექმნა სპეციალური „კომისია" საბჭოთა კავშირში გამოსაგზავნად იმ მიზნით, რათა „კონტროლი" გაეწია ჰელსინკის დასკვნითი აქტის შესრულებისათვის, გააკეთა არა ერთი განცხადება „ძალის პოზიციის" და „მკაცრი კურსის" შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ და მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების გაზრდისა და მათი თერმობირთვული იარაღით აღჭურვილი ახალი ტიპის გამანადგურებლით „F — 16"-ით შეიარაღების შესახებ.

ჯ. ფორდის პრეზიდენტობის ბოლო წლებში მისი ანტისაბჭოთა გამოხდომები მარტო სიტყვებით როდი შეიზღუდა. 1976/77 საფინანსო წელს კონგრესში მან გაატარა აშშ-ის ისტორიაში რეკორდული სამხედრო ბიუჯეტი — 112,7 მლრდ. დოლარი, ისიც მშვიდობიან და თანაც მძიმე ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. ჯ. ფორდმა ისრაელს გამოუყო 2,5 მლრდ. დოლარის იარაღი და არჩევნების წინ კიდევ დაუმატა ახალი, განსაკუთრებით საშიში იარაღის მიწოდება ისრაელისადმი.

ამერიკელი მშრომელების, დემოკრატიული ძალების და საღად მოაზროვნე პოლიტიკოსების უმრავლესობა მხარს უჭერს დაძაბულობის შენელებას, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებას, მაგრამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ჯგუფები, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ამ კურსს.

საგარეო პოლიტიკა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ. რესპუბლიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის ცენტრში იყო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, განსაკუთრებით

„საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან, იაპონიასთან და კანადასთან ურთიერთობა.

აშშ-ის მთავრობა ცდილობდა ხელი შეეშალა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ტენდენციისათვის, რომლებიც გამოკვეთილად გამოვლინდა 60-იანი წლების დამლევიდან საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებთან დაახლოებისა და დაძაბულობის შენელების საქმეში. მაგრამ ამერიკის მმართველი წრეები ადრევე დარწმუნდნენ, რომ ამ პროცესის შეჩერებას ისინი ვერ შეძლებდნენ. ასეთ ვითარებაში მათი მთავარი საზრუნავი გახდა, რომ შეენარჩუნებინათ წლების განმავლობაში შეკოწიწებული სამხედრო დაჯგუფებები და იძულებული გაეხადათ თავიანთი პარტნიორები არ შეესუსტებინათ გამალებული შეიარაღება.

აშშ-ის პოზიციების განმტკიცებისა და ნატოს აგრესიული დაჯგუფების დაშლის შეჩერებისა და მასში მონაწილე სახელმწიფოების სამხედრო ხარჯების გაზრდის მიზნით რ. ნიქსონი 1970 წლის თებერვალ-მარტში ვიზიტით იყო ლონდონში, პარიზში, ბონში, რომში, ბრიუსელში და დასავლეთ ბერლინში. ამერიკის მმართველ წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ დასავლეთ ევროპის მმართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ არა მარტო აეცილებინათ თავიდან ახალი სამხედრო ხარჯების ზრდა, არამედ შეემცირებინათ კიდეც ისინი. ამერიკის მმართველ წრეებს მწვავე სავალუტო-ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის გართულების ვითარებაში უძნელდებოდათ, დაეთანხმებინათ პარტნიორები ახალი ხარჯები გაეღოთ სამხედრო დაჯგუფებების გაძლიერების მიზნით. რ. ნიქსონი გარდა ამისა ცდილობდა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები დათანხმებულიყვნენ თავიანთ ბაზრებზე ამერიკის საქონლის შეტანის შეღავათებზე და ამერიკის დოლარისათვის დაეჭირათ მხარი. მაგრამ რ. ნიქსონის ვიზიტი ფაქტობრივად უშედეგოდ დამთავრდა, მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობანი ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში, პირიქით, კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

1973 წელი ვაშინგტონში გამოცხადდა, როგორც ევროპის წელი, რადგან ამ წელს რ. ნიქსონი ერთგვარად შეეცადა, „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან მოეგვარებინა მწვავე ეკონომიკური წინააღმდეგობანი და გაეძლიერებინა ნატოს აგრესიული დაჯგუფება. დაძაბულობის შენელების ვითარებაში კი აშშ-ის ნატოელი პარტნიორები, პირიქით, ცდილობდნენ სამხედრო ხარჯების შემცირებას. 1973 წლის აპრილში ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საქმეში გ. კისინჯერმა[1] წამოაყენა „ახალი ატლანტის ქარტიის“ შემუშავების

1 1973 წლის სექტემბრიდან გ. კისინჯერი სახელმწიფო მდივანიც (ე. ი. საგარეო საქმეთა მინისტრი) გახდა.

იდეა, რომლის მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო „ახალი წონასწორობის“ დამყარება აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობასა და სავალუტო-ფინანსურ სისტემაში, ნატოს ხარჯების უფრო სამართლიანად „განაწილება“. 1973 წლის პირველ ნახევარში რ. ნიქსონს შეხვედრა ჰქონდა ინგლისის, გფრ-ის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობის ხელმძღვანელებთან, მაგრამ ამან ცხადყო, რომ დასავლეთ ევროპა (განსაკუთრებით საფრანგეთი) მხარს არ უჭერს „ახალი ატლანტის ქარტიის“ იდეას.

1973 წლის ოქტომბერში ახლო აღმოსავლეთში ომის დროს ერთგვარი ბზარი შეიქმნა ატლანტიკის კავშირში და გამწვავდა მასში შემავალი სახელმწიფოების ურთიერთობა, რადგან აშშ-მა დასავლეთ ევროპაში განლაგებული შეიარაღებული ძალების სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა ისე, რომ ნატოელი მოკავშირეები წინასწარ არც გაუფრთხილებია. დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ უარი განაცხადა სამხედრო დახმარება გაეწია ისრაელისათვის, რის ვამოც 1973 წლის შემოდგომაზე რ. ნიქსონის გამგზავრება დასავლეთ ევროპაში გადაიდო.

საბერძნეთის და თურქეთის მთავრობების ცდებმა, რომ ხელთ ეგდოთ კვიპროსი, კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ნატოს ქვეყნებს შორის. საბერძნეთსა და პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ პორტუგალია გამოვა ნატოს დაჯგუფებიდან, ამას დაერთო ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა თურქეთს სამხედრო იარაღის მიწოდებაზე. ყოველივე ამან გამოიწვია ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის გაუარესება და, საერთოდ, ნატოს დაჯგუფების კრიზისი.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და აშშ-ს შორის 70-იან წლებში წინააღმდეგობის გამწვავების ერთ-ერთი მიზეზია სავალუტო სისტემა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველგვარ გართულებაზე.

1971 წლის მეორე ნახევარში შედგა აშშ-ის, დასავლეთ ევროპის, კანადის და იაპონიის მთავრობათა წარმომადგენლების მრავალი კონფერენცია და თათბირი, რომლის დროს დიდი კამათი გაიმართა კრიზისიდან გამოსავალი გზების გამოსანახავად. დავა დამთავრდა ათი კაპიტალისტური სახელმწიფოს შეთანხმებით დოლარის დევალვაციის შესახებ. ამის შემდეგ აშშ-მა ხელმეორედ მოახდინა დოლარის ცალმხრივი დევალვაცია, რამაც რიგ ღონისძიებათა მიუხედავად კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

70-იან წლებში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი გამოვლინდა აშშ-სა და კანადას შორის — ხორცის ვაჭრობის პრობლემიდან დაწყ-

ებული და დამთავრებული ამერიკისათვის კანადის ნავთობის მიწოდებით. ამ ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობის გამწვავების მთავარი მიზეზია აშშ-ის მონოპოლიების მისწრაფებები, რომ ხელი შეუშალონ კანადის ეკონომიკის საზღვარგარეთის გავლენისაგან განთავისუფლების ყოველგვარ ცდებს.

დიდი წინააღმდეგობანი არსებობს აშშ-სა და განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები არ ეთანხმებიან აშშ-ის მთავრობის წინადადებას ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მიმართ „ძალის პოზიციის" გამოყენებისა და ერთიანი ტაქტიკის შემუშავების შესახებ. აშშ იმუქრებოდა არაბული ქვეყნების ნავთობის სარეწაოების ოკუპაციით და განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების შეწყვეტით, თუ ისინი ფასებს გაზრდიდნენ ნავთობზე, მაგრამ აშშ-ის ასეთ პოზიციას ყველა განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ მხარი არ დაუჭირა (მაგალითად, იაპონია და საფრანგეთი წინააღმდეგი გამოვიდნენ).

1975 წლის სექტემბერში ვენაში გაიმართა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკის) კონფერენცია,[1] რომელმაც მიუხედავად აშშ-ის მუქარისა გადაწყვეტილება მიიღო 10%-ით გაზარდონ ნავთობის ფასი.

იაპონიასთან ურთიერთობაში აშშ-მა პროგრესს ვერ მიაღწია ისეთ უმნიშვნელო საკითხებში, როგორიცაა იაპონიის ექსპორტის უპირატესობა იმპორტზე, დოლარის გაცვლითი კურსის კოორდინაცია იენზე, ენერგეტიკული რესურსების და, უპირველეს ყოვლისა, ნავთობის განაწილებაზე და ა. შ.

1976 წლისათვის აშშ-ის დეფიციტმა იაპონიასთან ვაჭრობაში შეადგინა უზარმაზარი თანხა — 5 მლრდ. 360 მილიონი დოლარი, ე. ი. იაპონიამ ამ თანხის მეტი საქონელი გაიტანა ოკეანის გაღმა, ვიდრე შემოიტანა. მარტო 1976 წელს იაპონიის ექსპორტი აშშ-ში 43%-ით გაიზარდა, აშშ-ისა კი იაპონიაში მხოლოდ — 2%-ით.

პენტაგონს ორი ათასზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს დედამიწის სფეროს გარშემო. საბერძნეთსა და პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობისა და ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის გაუარესების შემდეგ ვაშინგტონი ოფიციალურად აცხადებდა, რომ ფრანკისტული ესპანეთი „შეუცვლელ" როლს ასრულებს დასავლეთის საერთო სამხედრო სისტემაში. 1953 წლიდან აშშ-ს ესპანეთის ტერიტორიაზე ჰქონდა ოთხი დიდი სამხედრო ბაზა, რომლებსაც პორტუგალიასა და საბერძნეთში ბაზების დაკარგვის შემდეგ პენტაგონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ვაშინგტონში შეიმუშავეს ნატოში ესპანეთის ჩაბმის

[1] ოპეკაში შედის 13 ქვეყანა — ირანი, ალჟირი, ვენესუელა, კუვეიტი და ა. შ.

გეგმა. მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა თვით ფრანკისტულმა რეჟიმმა, რომლის ანტიხალხურმა რეპრესიებმა და ხუთი ესპანელი ანტიფაშისტის დახვრეტამ დიდი აღშფოთება გამოიწვიეს მთელ მსოფლიოში. ასეთ ვითარებაში დასავლეთ ევროპის რიგმა ქვეყნებმა მადრიდიდან თავიანთი ელჩები გაიწვიეს, ხოლო „საერთო ბაზრის“ წევრებმა მოლაპარაკება შეწყვიტეს ესპანეთთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ; ნატოს წევრები იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ თავიანთ რიგებში ესპანეთის მიღებაზე.

ესპანეთის ნატოში შეყვანის იდეა აშშ-მა კვლავ დააყენა ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, იმ მოტივით, რომ იქ მოხდა პოლიტიკური რეჟიმის ლიბერალიზაცია.

რ. ნიქსონისა და ჯ. ფორდის მთავრობების საგარეო პოლიტიკა აზიის ქვეყნების მიმართ. რ. ნიქსონი წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამერიკელ ამომრჩევლებს პირდებოდა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში იგი ვიეტნამში საპატიო ზავს მიაღწევდა. 1968 წელს რ. ნიქსონმა ვალდებულება იკისრა, რომ შეწყვეტდა ვიეტნამის დაბომბვას და პარიზში დაიწყებდა ოთხმხრივ მოლაპარაკებას, ვიეტნამში განახორციელებდა „ვიეტნამიზაციის კურსს“ და შეამცირებდა, შემდეგ კი სულ გამოიყვანდა თავის ჯარებს ინდოჩინეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან. 1970 წლის განმავლობაში მართლაც შემცირდა ამერიკის ჯარების გარნიზონები ტაივანში, სამხრეთ კორეაში, ტაილანდში, იაპონიასა და ფილიპინებში. 1970—1972 წლების განმავლობაში მარტო სამხრეთ ვიეტნამიდან აშშ-მა გამოიყვანა 0.5 მლნ. ჯარისკაცი.

რ. ნიქსონის მიერ გამოცხადებული ომის „ვიეტნამიზაციის“ არსი ის იყო, რომ ამერიკის ჯარები ვიეტნამში უნდა შეეცვალათ სამხრეთ ვიეტნამის ჯარებით, ხოლო აშშ-ის საზღვაო ძალები ხელუხლებელი დარჩებოდა.

1969 წლის ზაფხულში რ. ნიქსონმა იმოგზაურა აზიის ქვეყნებში— ფილიპინებში, ინდონეზიაში, სამხრეთ ვიეტნამში, ტაილანდსა და პაკისტანში. ამ მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო ამერიკის პოზიციების განმტკიცება აზიაში და უკვე ფაქტობრივად დაშლის პროცესში მყოფი სეატოს სამხედრო ბლოკის განმტკიცება. ამ მოგზაურობის დროს რ. ნიქსონმა გამოაცხადა ახალი აზიური დოქტრინა — ე. წ. „გუამის დოქტრინა“ [1], რომლის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ აშშ არ აპირებს აზიიდან წასვლას, მაგრამ თავს აარიდებს ისეთ

---

[1] გუამი წყნარ ოკეანეშია, მარშალის კუნძულების ერთ-ერთი პატარა კუნძულია, სადაც შეჩერდა პრეზიდენტი და იქ გამოაცხადა თავისი ეს დოქტრინა.

პოლიტიკას, რომელიც მას აზიის რომელიმე ქვეყანასთან ომში ჩააბამდა. აშშ დაპირებას იძლეოდა, რომ თავის ვალდებულებებს აზიის მოკავშირე ქვეყნებისადმი შეასრულებდა იმ შემთხვევაში, თუ „ბირთვული სახელმწიფოს მხრივ საშიშროება შეექმნებოდა“ იმ ქვეყნებს, რომელნიც აშშ-ის მოკავშირეები არიან, ან რომელთა უშიშროება ამერიკისათვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“. მაშინ ამერიკა აცხადებდა, რომ იგი „გაშლიდა ატომგულის საფარს წყნარი ოკეანის აუზში“. სხვა შემთხვევაში აშშ მათ დაეხმარება იარაღით და სამხედრო საჭურველით, მისმა მოკავშირეებმა კი თავის თავზე უნდა აიღონ ადამიანის რეზერვების გაღების პასუხისმგებლობა. საყურადღებოა, რომ „გუამის“ დოქტრინის შინაარსი კონკრეტიზებულ იქნა 1969 წლის ბოლოს ვაშინგტონში რ. ნიქსონთან იაპონიის პრემიერ-მინისტრის სატოს მოლაპარაკების დროს, რომლითაც ამერიკას განზრახული აქვს პოლიციის მთავარი ფუნქციები აზიაში იაპონიას დააკისროს.

1970 წლის გაზაფხულზე ამერიკის ჯარები შეიჭრნენ კამპუჩიაში, რამაც გამოიწვია ურთიერთობის სერიოზული გამწვავება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

არჩევნების წინ ნიქსონმა გამოაცხადა თავისი პროგრამა ვიეტნამისადმი, რომელიც ხუთი პუნქტისაგან შედგებოდა. ამ პროგრამაში მთავარი ის იყო, რომ ინდოჩინეთში ომს აშშ იმ პირობით შეწყვეტდა, თუ მხარეთა შეიარაღებული ძალები დაკავებულ პოზიციებზე დარჩებოდნენ. ნიქსონმა წამოაყენა აგრეთვე წინადადება ინდოჩინეთის საკითხზე კონფერენციის მოწვევის შესახებ მასში სხვა სახელმწიფოების მონაწილეობითაც. მაგრამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობებმა უარკვეს ეს წინადადება, რადგან იგი გულისხმობდა სამხრეთ ვიეტნამის განუსაზღვრელი დროით ოკუპაციას.

1970—1972 წლებში ამერიკის ავიაცია კვლავ აგრძელებდა ვიეტნამის ტერიტორიის ბარბაროსულ დაბომბვას, ხოლო რ. ნიქსონის ომის „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკის არსი ის აღმოჩნდა, რომ ამერიკის ჯარები სამხრეთ ვიეტნამის ჯარებით შეცვლილიყო და სამხრეთ ვიეტნამში მარიონეტული რეჟიმი დარჩენილიყო. მართალია აშშ-მა დაიწყო თავისი ჯარების გამოყვანა ვიეტნამიდან, მაგრამ ეს არ შეხებია საჰაერო ნაწილებს. გარდა ამისა, საიგონის არმიის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და 1 მილიონ კაცს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, აგრესორებმა ვერ შეძლეს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობის დაძლევა. აშშ-ს ომი ინდოჩინეთში 150 მილიარდი დოლარი დაუჯდა და დაკარგა 8612 თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 48 ათასი კაცი მოკლულთა და 300 ათასი დაჭრილთა სახით. დაუსრულებელი აკაზაკური ომი ვიეტნამში ამერიკელი ხალხის საყოველთაო აღშფოთებას

იწვევდა. ასეთ ვითარებაში 1973 წლის 27 იანვარს პარიზში ოთხმა მხარემ — აშშ, გდრ, სამხრეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ და საიგონის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე ცეცხლის შეწყვეტას, სამხრეთ ვიეტნამიდან აშშ-ის და მის მოკავშირეთა მთელი ჯარების გაყვანას და ვიეტნამის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.

აშშ-ის მთავრობამ, თვით ჩინეთის ინიციატივით, შეცვალა ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულება. აშშ-ის მთავრობა დათანხმდა ჩსრ-ის წარმომადგენლობის აღდგენაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. 1972 წლის თებერვალში რ. ნიქსონი ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთში. აქ შემუშავდა და გამოქვეყნდა ჩინეთ-ამერიკის კომუნიკე, რომელშიც ორივე მხარის პოზიციები ამა თუ იმ საკითხზე მოცემულია საერთო და ბუნდოვანი ფრაზებით. 1973 წელს გ. კისინჯერი ორჯერ ჩავიდა ჩინეთში, რომლის შედეგად ვაშინგტონსა და პეკინში შეიქმნა „მუდმივი კავშირის ჯგუფები" და მნიშვნელოვნად გაიზარდა სავაჭრო ურთიერთობა. მაგალითად, 1971 წელს თუ ვაჭრობა 6 მლნ. დოლარს შეადგენდა, 1973 წელს 750 მლნ. დოლარს მიაღწია.

რ. ნიქსონის და ჯ. ფორდის მთავრობებს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში არ მოუხდენიათ რაიმე არსებითი ცვლილებები. სტრატეგიულად და წიაღისეული სიმდიდრით ამ დიდმნიშვნელოვან რაიონში იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და ნავთობის მონოპოლიების პოლიტიკამ 70-იან წლებში კიდევ უფრო გაამწვავა უთანხმოება აზიაში.

1967 წლის აგრესიის შედეგად ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანა, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების უზრუნველყოფა, ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების გარანტირება — ასეთია ის მთავარი პირობები, რომელთა გარეშე შეუძლებელია სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში.

მაგრამ აშშ-ის რესპუბლიკური მთავრობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში 1968 წლიდან იდგა, კვლავ ხელს უწყობდა არაბეთ-ისრაელის წინააღმდეგობის გამწვავებას და არაბი ხალხის მიმართ ისრაელის ექსპანსიონისტური და აგრესიული გეგმების განხორციელებას. აშშ უახლესი ტიპის იარაღით ამარაგებდა ისრაელს და მისი გამოყენებით ცდილობდა არაბული ქვეყნების პროგრესული რეჟიმის დამხობას, არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვას და ძველი რეჟიმის აღდგენას. ისრაელი საერთაშორისო რეაქციის

მხარდაჭერის შედეგად უარს ამბობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის რეზოლუციის შესრულებასა და ოკუპირებული არაბული მიწების დაბრუნებაზე.[1]

რ. ნიქსონის მთავრობა სიტყვიერად აცხადებდა ახლო აღმოსავლეთის რაიონის პოლიტიკური ვითარების მოწესრიგებას, მაგრამ საქმით ყველაფერს აკეთებდა, რათა ხელი შეეშალა მისთვის. ამერიკა აძლიერებდა ხმელთაშუა ზღვის მე-6 ამერიკულ ფლოტს და ყოველგვარ ზომებს იღებდა ისრაელის შეიარაღებული ძალების გაძლიერებისათვის. აშშ მხარს უჭერდა ისრაელის მთავრობის მოთხოვნებს „არაბულ ქვეყნებთან „პირდაპირი მოლაპარაკების“ შესახებ, ცდილობდა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის არბიტრის როლის შესრულებას, მაგრამ არაბულმა აღმოსავლეთმა უარყო ეს მოთხოვნები. ამის შედეგი ის იყო, რომ 1973 წლის ოქტომბერში ახლო აღმოსავლეთში კვლავ გაჩაღდა საომარი მოქმედება.

ამ დროს ჩრდილო ატლანტიკის დაჯგუფებაში შემავალ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობანი გამოვლინდა. დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ უარი თქვა ისრაელისათვის სამხედრო დახმარების გაწევაზე.

საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციისა და სსრ კავშირისა და აშშ-ის ერთობლივ კონსტრუქციულ წინადადებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა შედეგად საომარი მოქმედება ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის შეწყდა.

ჟენევაში მოიწვიეს არაბული ქვეყნების, ისრაელის და დაინტერესებული სახელმწიფოების თათბირი, რომელსაც უნდა გადაეჭრა ახლო აღმოსავლეთის ყველა სადავო საკითხი, მაგრამ ისრაელმა, აშშ-ის მხარდაჭერით, ჩაშალა მისი მუშაობა, და წინადადება წამოაყენა, რომ ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის სადავო საკითხები ეტაპობრივად გადაიჭრას. მთავარი არბიტრის როლის შესრულება მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გ. კისინჯერმა იკისრა. ამ მიზნით იგი რამდენიმეჯერ ჩავიდა არაბეთის ქვეყნებსა და ისრაელში. 1975 წლის სექტემბერში ისრაელსა და ეგვიპტეს შორის ხელმოწერილ იქნა შე-

---

1 მეორე ძალა, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს დიდ პოტენციურ მხარდამჭერად ითვლება, არის საერთაშორისო სიონიზმი. საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაცია შეიქმნა 1897 წელს. იგი კაპიტალიზმის ერთგული დაქცველი და სოციალიზმის მტერია.

სიონისტურმა ლიდერებმა შექმნეს რიგი საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციები—მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაცია (მსო) და მისი ფილიალები (ებრაელთა მსოფლიო კონგრესი და სხვა მრავალი). სიონიზმი აყენებს „ებრაელთა მსოფლიო ერის იდეას“ და იბრძვის ებრაელთა დიდი სახელმწიფოს შექმნისათვის.

თანხმება ამ ორი სახელმწიფოს ჯარების დაშორიშორების შესახებ სინას ნახევარკუნძულზე და 200 ამერიკელი ტექნიკური სპეციალისტის გაგზავნის შესახებ დაშორიშორების რაიონში, რათა არ იქნეს დარღვეული შეთანხმება. ამ შეთანხმების დადებასთან ერთად ხელმოწერილ იქნა ამერიკა-ისრაელის საიდუმლო მემორანდუმი, რომლითაც, როგორც ჩანს, შეერთებული შტატები კვლავ ფიქრობენ ისრაელის არაბული აღმოსავლეთის ჟანდარმად გამოყენებას. მარტო 1973 წლის ოქტომბრიდან 1975 წლის დამდეგამდე ისრაელმა აშშ-დან მიიღო 1,5 მილიარდი დოლარის იარაღი. ამ მემორანდუმით ვაშინგტონი ისრაელს შეპირდა უახლესი ტექნიკის მიწოდებას. ამერიკის მთავრობამ იკისრა ვალდებულება გაუზარდოს ისრაელს სამხედრო და ეკონომიკური დახმარება 2,5 მლრდ. დოლარის ოდენობით ყოველწლიურად. 1975 წლისათვის ამერიკამ ისრაელს მიაწოდა 2 მილიარდი დოლარის იარაღი. ახლო აღმოსავლეთში ესკალაციის კურსის აქტიური მომხრეა სიონიზმი, რომელიც ექსპანსიურ პოლიტიკას ახორციელებს არაბული ხალხის მიმართ.[1]

ისრაელის შეიარაღების პოლიტიკა პენტაგონის იმ საერთო კურსის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის რაიონში გამალებული შეიარაღების დაჩქარებას. პენტაგონმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მკვეთრად გაუზარდა იარაღის მიწოდება ირანს. ხორციელდება საუდის არაბეთის შეიარაღების პროგრამა, სადაც შენარჩუნებულია ამერიკის ნავთობის მონოპოლიათა დიდი ხუთეულის უპირატესი გავლენა. სპარსეთის ყურის ქვეყნების, განსაკუთრებით ირანისა და საუდის არაბეთის შეკვეთებმა ამერიკულ იარაღებზე წელიწადში 4,4 მილიარდი დოლარი შეადგინეს,

---

[1] მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია უმსხვილეს ფინანსურ გაერთიანებადაც ითვლება; იგი თავის თავს „მსოფლიოს ყველა ებრაელის საქმის სამინისტროს“ უწოდებს, მას აქვს დაზვერვითი ცენტრები, დეზინფორმაციის და პროპაგანდის სამსახური. ეს ორგანიზაცია რასობრივი ნიშნის მიხედვითაა აგებული და იმყოფება აშშ-ში. იგი კონტროლს უწევს სიონისტურ ორგანიზაციებს 60-ზე მეტ ქვეყანაში. ამასთანავე მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია კაპიტალისტურ სამყაროში ერთ-ერთი უმდიდრესია. მარტო ისრაელში მას აქვს ქვეყნის სოფლის მეურნეობის სათესი ფართობის 86%, 500 დასახლება, 60 საწარმო. იგი ისრაელის შექმნიდან 20 წლის განმავლობაში აშშ-დან ყოველდღე საშუალოდ 1 მლნ. დოლარს იღებდა, ხოლო 1967 — 1975 წწ. — 3 მლნ. დოლარზე მეტს. საერთაშორისო სიონიზმი თავის მხრივ მილიონობით თანხას უგზავნის ისრაელს „ებრაელთა მსოფლიო ერის“ იდეისა და „ებრაელთა დიდი სახელმწიფოს შექმნის პროპაგანდისათვის“, „დიდი ისრაელის“ შექმნისათვის, რომელიც „გადაჭიმული იქნება „ნილოსიდან ევფრატამდე“. თვითონ ისრაელში აქტიურად მოქმედებს ორგანიზაცია „დიდი ისრაელის მოძრაობის“ სახელწოდებით.

რაც საზღვარგარეთ ამერიკის იარაღის მთელი მიწოდების თითქმის ნახევარია.[1]

ამერიკული და ინგლისური საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილ ირანის არმიას პენტაგონი თავისი ინტერესებისათვის იყენებს. ირანის ძალები მონაწილეობენ ომანში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს გამოანგარიშებით, 1980 წლისათვის სპარსეთის ყურის ზონაში სამხედრო კონტრაქტის პირობებით იმუშავებს 150 ათასამდე ამერიკელი სპეციალისტი.

ახლო აღმოსავლეთის მილიტარიზაციის კურსი ეწინააღმდეგება აზიის ამ რაიონის ინტერესებს. დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში მომავალი ეკუთვნის მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების პოლიტიკას.

აშშ-ის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ის ფაქტი, რომ 1972 წელს პენტაგონი მონაწილეობდა ინდოეთის ოკეანეში მდებარე დიეგო-გარსიას კუნძულის მკვიდრი მოსახლეობის ძალით გადასახლებაში, რაც ინგლისთან 1966 წელს დადებული საიდუმლო შეთანხმებით მოხდა. დიეგო-გარსიას კუნძული ეკუთვნოდა ინგლისს და ამ კუნძულის სანაცვლოდ აშშ-მა ინგლისს მისცა 14 მილიონი დოლარით შეღავათი ამერიკული რაკეტა „პოლარისის" შესაძენად. ამ კუნძულზე აშშ-მა შექმნა თავისი სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზები.

ლათინურ ქვეყნებთან ურთიერთობა. 1969 წლის ზაფხულში, რ. ნიქსონის დავალებით, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ნელსონ როკფელერი იმყოფებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მოგზაურობის შემდეგ მან პრეზიდენტს მოხსენება წარუდგინა ამ ქვეყნებში აშშ-ის ახალი კურსის შესახებ. ამ დროისათვის ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, მიუხედავად რეკლამირებული ორგანიზაციისა („კავშირი პროგრესისათვის"), შესამჩნევად არ გაუმჯობესებულა. ხოლო ზოგიერთში სამხედრო დიქტატურა დამყარდა, რომელიც ამერიკის მონოპოლიების მხარდაჭერით სარგებლობდა. ამის შედეგი ის იყო, რომ ლათინურ ამერიკაში გაიზარდა ანტიამერიკული განწყობილება. ჩილეს, პერუს, ბოლივიის მთავრობები კი ამერიკული საწარმოების ნაციონალიზაციის გზას დაადგნენ.

ასეთი ვითარება იყო ლათინურ ამერიკაში, როდესაც რ. ნიქსონმა 1969 წლის ოქტომბერში „ახალი კურსის" პოლიტიკა ჩამოაყალიბა ლათინური ამერიკის მიმართ. „ახალი კურსი" ფაქტობრივად ახალს არაფერს ითვალისწინებდა. მისი ძირითადი არსი იგივე იყო — ამერიკის

---

1 აშშ საზღვარგარეთ ყოველწლიურად 10 მლრდ. დოლარის რაოდენობის იარაღს ყიდის.

პოზიციების განმტკიცება ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამიტომ ნიქსონის პოლიტიკამ არა თუ მხარდაჭერა პოვა ლათინურ ამერიკაში. არამედ გაამწვავა ურთიერთობა მათ შორის.

1973 წლის თებერვალში ამერიკის სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიაზე ბოგოტოში აშშ-ის საწინააღმდეგოდ მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელიც მოითხოვდა ლათინურ ამერიკასა და, კერძოდ, საზღვარგარეთულ კომპანიებს შორის არათანასწორუფლებიანობის გაუქმებას. ჩაიშალა ლათინური ამერიკის ქვეყნებისაგან კუბის დიპლომატიური და ეკონომიკური იზოლირების გეგმა. ლათინური ქვეყნების მნიშვნელოვანმა ნაწილმა კუბასთან დაამყარა ეკონომიკური, სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა. გამწვავდა ურთიერთობა აშშ-სა და პანამის რესპუბლიკას შორის. პანამა სუვერენიტეტს მოითხოვს აშშ-ის კონტროლის ქვეშ არსებულ პანამის არხზე. პანამის რესპუბლიკამ საჩივარი შეიტანა უშიშროების საბჭოში, მაგრამ აშშ-მა მას ვეტო დაადო.

1973 წლის სექტემბერში აშშ-ის დაზვერვის დახმარებით კონტრრევოლუციური სამხედრო გადატრიალება მოხდა ჩილეში.

აშშ-ის განსაზღვრული წრეები არ თაკილობენ, ლათინური ამერიკის ქვეყნებს თავს მოახვიონ ისეთი პირობები, რომლებიც ამ ქვეყნების სასიცოცხლო პრობლემებს შეეხება და ხელსაყრელი იქნება მხოლოდ ამერიკის მსხვილი მრეწველებისა და სავაჭრო კორპორაციებისათვის.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში ამერიკის მმართველი წრეების ცდა, თავიანთი სურვილები თავს მოახვიონ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, დიდ წინააღმდეგობას აწყდება.

ლათინური ამერიკის „ურჩ“ ქვეყნებზე ზეგავლენისათვის ამერიკის კონგრესმა მიიღო სავაჭრო კანონი, რომლის მიხედვით დისკრიმინაციული შეზღუდვები დაწესდა იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ახდენენ ამერიკის კომპანიათა საკუთრების ნაციონალიზაციას ან „თავდაცვის სავაჭრო კავშირებს ქმნიან“. ლათინური ამერიკის ქვეყნები დიდად არიან დამოკიდებული აშშ-ის ბაზარზე, ამიტომ იგი დამღუპველ გავლენას მოახდენს მათ ეკონომიკაზე.

აშშ-ის დისკრიმინაციული პოლიტიკის წინააღმდეგ აღშფოთებისა და პროტესტის ტალღამ მოიცვა მთელი ლათინური ამერიკის ქვეყნები. ვენესუელას პრეზიდენტმა კარლოს ანდრესპერესმა მას „ეკონომიკური აგრესიისა და პოლიტიკური ზეგავლენის აშკარა აქტი“ უწოდა.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ინტერესებისადმი ვაშინგტონის მტრული აქცია ეწინააღმდეგება ამ ქვეყნებთან „ახალი დიალოგის“ გამართვის მისსავე იდეას. ამასთანავე ლათინური ამერიკის ქვეყნების ფართო საზოგადოებრივი წრეები, პრესა, პოლიტიკური და სახელმ-

წიფო მოღვაწენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად საჭიროა შექმნან ამ ქვეყნების ბლოკი თავიანთი ნედლეულის დაცვისა და იმ კურსის განსაზღვრისათვის, რომელიც საგარეო ვაჭრობის დარგში უზრუნველყოფს წონასწორობასა და სამართლიანობას.

1975 წლის ოქტომბერში პანამაში შეიკრიბა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის 25 სახელმწიფოს, მათ შორის სოციალისტური კუბის, ეკონომიკის, ფინანსთა მინისტრებისა და სრულუფლებიანი წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც განიხილა ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემის („ლაესის") შექმნის საკითხი; მათ ხელი მოაწერეს „პანამის ხელშეკრულებას", რომლის შესაბამისად „ლაესმა" მოქმედება დაიწყო, როგორც ლათინური ამერიკის კონტინენტის ორგანიზაციამ.

ახალი სისტემის ძირითადი მიზანია ლათინური ამერიკის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა, მათი ინტერესების დაცვა უცხოეთის მონოპოლიებისაგან.

ამერიკის კონტინენტზე პირველად შეიქმნა ეკონომიკური სისტემა, რომელშიც არ მონაწილეობს აშშ.

„ლაესი" განკუთვნილია რეგიონის მიერ ბუნებრივი, ადამიანთა, ტექნიკური და ფინანსური რესურსების უკეთ გამოყენებისათვის. იგი ითვალისწინებს ლათინური ამერიკის ინტეგრალური საწარმოთა შექმნას. „ლაესის" წევრებს განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ თავიანთი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას, კოოპერაციას საქონლის წარმოებასა და გასალებაში, საექსპორტო ნედლეულის ფასების დარგში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციათა კოორდინაციას, პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციისათვის დახმარებას და ა. შ.

„ლაესის" საერთო პოლიტიკურ ხაზს განსაზღვრავს მისი უმაღლესი ორგანო — ლათინური ამერიკის საბჭო. ადმინისტრაციულ-ტექნიკური საქმიანობა დაეკისრა მუდმივ სამდივნოს (მისი შტაბ-ბინა ვენესუელის დედაქალაქშია). კონკრეტული ეკონომიკური პროგრამების განხორციელებისათვის შექმნილია მოქმედების კომიტეტები.

ამრიგად, ამერიკის ექსპანსიურმა პოლიტიკამ ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი, მათ საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევამ და მათი ეკონომიკური და პოლიტიკური დაკაბალების ცდებმა გამოიწვია ამ ქვეყნების ერთიანი ფრონტის შექმნა აშშ-ის წინააღმდეგ. ასეთია აშშ-ის რესპუბლიკური ადმინისტრაციის „ახალი დიალოგის" პოლიტიკის შედეგები.

§ 17. 1976 წლის არჩევნები და დემოკრატიული პარტიის გამარჯვება. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი

1976 წლის პრეზიდენტის არჩევნებში რესპუბლიკურმა პარტიამ თავის კანდიდატად ჯ. ფორდი წამოაყენა, ხოლო დემოკრატიულმა პარტიამ — მანამდე ნაკლებად ცნობილი, ჯორჯიას შტატის ყოფილი გუბერნატორი ჯ. კარტერი. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები პრეზიდენტად 1968 წლიდან იყვნენ თეთრ სახლში. ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს ამ პარტიამ არ განახორციელა თავისი დაპირებები. ქვეყანა აღმოჩნდა 40 წლის მანძილზე ყველაზე ძლიერი ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში, რომლის დროს უმუშევართა რაოდენობამ 7,5 მლნ. კაცს მიაღწია. გარდა ამისა, 1,4 მლნ. კაცი, როგორც ჯ. კარტერმა აღიარა[1], იძულებული იყო არასრულ სამუშაო კვირას ემუშავა, ხოლო კიდევ 1 მლნ-მა ამერიკელმა შეწყვიტა სამუშაოს ძებნა, რადგან მისი მიღება ძნელი იყო. 1976 წელს აშშ-ის საწარმოო სიმძლავრენი მხოლოდ 80%-ით იყო დატვირთული. ამის შედეგად ქვეყანას დააკლდა 132 მლრდ. დოლარის პროდუქცია და მომსახურება. ამის გამო სახელმწიფოს შემოსავალი 40 მლრდ. დოლარით ნაკლები იყო, ვიდრე სრული დატვირთვის დროს იქნებოდა. ქვეყანაში გამეფებული იყო საშინელი ინფლაცია. რესპუბლიკური მთავრობა ამ მწვავე ეკონომიკური კრიზისის დროს უფრო მეტს ზრუნავდა მსხვილი კორპორაციების მოგებებზე, ვიდრე ხალხის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებაზე. უქმად მდგარი ქარხნების გამო ამერიკული ოჯახი წელიწადში საშუალოდ 1800 დოლარს კარგავდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მილიარდობით დოლარით იზრდებოდა. ყოველივე ამან გაამწვავა სოციალური წინააღმდეგობანი.

დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ჯ. კარტერი დაპირებას იძლეოდა, რომ ზომებს მიიღებდა ქვეყნის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად და ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, შეამცირებდა 1978 წლის ბიუჯეტში სამხედრო ხარჯებს 5—7 მლრდ. დოლარით[2], „ომს გამოუცხადებდა სიღატაკეს, უმეცრებას და უსამართლობას", აღადგენდა „ერთიანობისა და ნდობის ახალ ეროვნულ

---

[1] იხ. გაზეთი „პრავდა", 3. 11 — 1977 წ.

[2] რესპუბლიკური პარტიის მიერ შემოთავაზებული სამხედრო ხარჯები 1977 წლისათვის მოითხოვდა 113 მლრდ., ხოლო 1978 წლისათვის — 122,9 მლრდ. დოლარს, 1982 წლისათვის კი 159 მლრდ. დოლარამდე გაიზრდებოდა. ბიუჯეტის პროექტი მკვეთრად ამცირებდა განათლების ხარჯებს 21,1 — 19,4 მლრდ. დოლარამდე, სამედიცინო მომსახურების ხარჯებს — 2 მლრდ. დოლარით და ა. შ. ბიუჯეტით მკვეთრად მცირდებოდა. სოციალური ხარჯები — დახმარება უმუშევრობის, ავადმყოფობის შემთხვევაში და მოხუცთათვის. ბიუჯეტის ყველაზე დიდი ხარჯების ერთ-ერთი მუხლი 40 მლრდ. დოლარის გადახდას ითვალისწინებდა სახელმწიფო ვალების პროცენტებზე.

სულისკვეთებას," „ჩვენი ქვეყნისა და ერთმანეთისადმი რწმენას" და ა. შ.

საგარეო პოლიტიკაში ჯ. კარტერი ამომრჩევლებს პირდებოდა „მშვიდობის მკვიდრი შენობის აგებას, რომლის საძირკველი იქნებოდა არა ომის საშუალებანი, არამედ საერთაშორისო პოლიტიკა", „იარაღის არსენალის შეზღუდვას ისეთ ოდენობამდე, რომელიც თითოეული ქვეყნის საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფისათვის იქნებოდა საჭირო" და „უზენაესი მიზნის — ჩვენს პლანეტაზე მთელი ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის მიღწევას". „მშვიდობის პრობლემები ძნელი გადასაწყვეტი არ არის, — აცხადებდა იგი, — მაგრამ მათს გადაწყვეტაზე დამოკიდებულია თითოეული ჩვენთაგანის კეთილდღეობა და არსებითად ყველა ჩვენგანის ცოცხლად გადარჩენის შესაძლებლობაც".

1976 წლის საარჩევნო კამპანიის დროს „ამერიკელი დემოკრატიის" ყველა ინსტიტუტი აღმოჩნდა მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში. რესპუბლიკური პარტიის ადმინისტრაციამ თავი შეირცხვინა ისეთი სკანდალური საქმეებით, როგორიც იყო ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის აგნიუს სამარცხვინო მხილება — „უოტერჰეიტის საქმე". გაძლიერებული კორუფცია, ამ პარტიის კონსერვატიზმი. ყოველივე ამან ამერიკელებს დაუკარგა რწმენა ხელისუფლების პატიოსნებისა და მოუსყიდველობისადმი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ დემოკრატთა პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატის ჯ. კარტერის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო დაპირება, რომ პრეზიდენტის ხელისუფლებას დაუბრუნებდა დაკარგულ ნდობას და თავიდან აციცილებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას კორუფციას.

რესპუბლიკურ პარტიაში ბოლო წლებში გაძლიერდა კონსერვატორული ელემენტების გავლენა, რასაც ამ პარტიის არჩევნებისწინა პროგრამაც მოწმობდა. საგარეო პოლიტიკის დარგში აქ მთავარი ყურადღება დაძაბულობის შენელების პოლიტიკას კი არ ექცეოდა, არამედ ამერიკის სამხედრო ძლიერების ზრდას. ყოველივე ამას ახლდა ძველი მონაჭორი „საბჭოთა მუქარის" შესახებ. ერთი სიტყვით, აშკარად გადაიდგა ნაბიჯი უკან იმ განცხადებებთან შედარებით, რომლებსაც რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები 1972 და 1974 წლებში არჩევნებისწინა კამპანიების დროს აქვეყნებდნენ. პრეზიდენტად თავისი კანდიდატურის დასახელების გამო ჯ. ფორდმა ზოგი რამ დაუთმო ულტრაკონსერვატორებს, რომლებსაც რ. რეიგანი მეთაურობდა.

1976 წლის 2 ნოემბერს ჩატარებულმა არჩევნებმა წარმატება ჯ. კარტერს მოუტანა, რესპუბლიკურმა პარტიამ დაკარგა ადგილები კონგრესშიც. წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატებმა მიიღეს

292 ადგილი, რესპუბლიკელებმა — 143; სენატში შესაბამისად — 62 და 38. ქვეყნის 50 შტატიდან მხოლოდ 12 შტატში არიან რესპუბლიკელი გუბერნატორები.

ჯ. კარტერის მთავრობაში სახელმწიფო მდივნად დაინიშნა ს. ვენსი, თავდაცვის მინისტრად — ჰ. ბრაუნი, რომელიც სამხედრო-საჰაერო ძალების მინისტრად იყო დ. ჯონსონის მთავრობაში. პირველად ამერიკის ისტორიაში მინისტრად (საბინაო მშენებლობისა და ქალაქების განვითარების სამინისტროს) დაინიშნა ზანგი ქალი პატრიცია ჰარისი — იურისტი, სამართლის პროფესორი.

ჯ. კარტერმა შეიმუშავა „ეკონომიკის სტიმულირების“ ორწლიანი პროგრამა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო ხარჯების 31,2 მლრდ. დოლარით გაზრდის გზით (კერძოდ, 15,5 მლრდ. — 1977 წელს) ამ უკანასკნელი თანხის მეტი ნაწილი — 9,8 მლრდ. დოლარი — ერთდროული შეღავათია გადასახადის გადამხდელებისათვის და მიზნად ისახავს მოხმარების სტიმულირებას იმ იმედით, რომ იგი ხელს შეუწყობს სამრეწველო წარმოების ზრდას. მაგრამ გაზის ფასის მომატების კვალობაზე ყველა ეს გაანგარიშება ჰაერში გამოკიდებული რჩება. თუ მომხმარებელთა ხარჯების 8,4 მლრდ. დოლარით ზრდას 1,6 მლრდ. დოლარს დავუმატებთ, რაც ბევრმა მომხმარებელმა ხელფასის სახით საწარმოთა დახურვის შედეგად დაკარგა, აღმოჩნდება, რომ საგადასახადო შეღავათი არამც თუ „სტიმულირებისათვის“, არამედ ზარალის დასაფარავადაც არ იქნება საკმარისი.

უშედეგოდ დამთავრდა მთავრობის მიერ შემუშავებული ენერგეტიკული პროგრამის განხორციელების ცდები. კონგრესმა აგვისტოში 339 ხმით 82-ის წინააღმდეგ უარყო წინადადება ბენზინის გადასახადის გადიდების შესახებ. იგი მთავრობამ შეიმუშავა მას შემდეგ, რაც ჯ. კარტერის თავდაპირველი წინადადება, რომ პრეზიდენტს უფლება მისცემოდა ბენზინის გადასახადი თავისი შესედულებისამებრ გაედიდებინა, წარმომადგენელთა პალატის შემოსავლისა და გასავლის კომისიაში უარყვეს.

ჯ. კარტერმა „ინფლაციის გავლენისა“ და „აშშ-ში იმ პოტენციური საფრთხის ზუსტად შეფასების შეუძლებლობის“ მოტივით ბიუჯეტის გადასინჯულ პროექტში სამხედრო ასიგნობანი, რესპუბლიკური ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებულ პროექტთან შედარებით, 2,75 მლრდ. დოლარით შეამცირა (დაპირებული 6—7 მლრდ. დოლარის ნაცვლად), მაგრამ ეს შემცირებაც, როგორც განაცხადა ჯ. კარტერმა, „საერთო სამხედრო პოტენციალის შესუსტების“ ხარჯზე არ მომხდარა.

1977 წლის ივლისში ჯ. კარტერმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება, რომ ავიაგამანადგურებელ „ბ—1“-ის სერიული წარმოები-

საგან თავს შეიკავებდა, მაგრამ სამაგიეროდ მისი თანხმობით სერიულ წარმოებას გადაეცა ფრთოსანი რაკეტები, რომელიც ერთ-ერთი ხელშემშლელი მიზეზია საბჭოთა კავშირ-აშშ-ს შორის ახალი შეთანხმების მიღწევაში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის საკითხში.

ჯ. კარტერის მიერ 1977 წლის პირველ ნახევარში გატარებული საგარეო პოლიტიკა ცხადყოფს, რომ მან სრულიად დაივიწყა თავისი წინასაარჩევნო დაპირებები. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისმა „მშვიდობისათვის ბრძოლის" შესახებ განცხადებებმა და სამხედრო ბიუჯეტის შემცირების დაპირებებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ამერიკის მხედრიონში, რომელიც ვლადივოსტოკში ბრეჟნევისა და ფორდის შეხვედრის შემდეგ მწვავე ბრძოლას ეწეოდა პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურებმა რესპუბლიკური პარტიის ადმინისტრაციის აქტიური მონაწილეობით ისეთი აღვირახსნილი და ინტენსიური კამპანია გააჩაღეს ქვეყანაში, როგორიც აშშ-ს არ ახსოვს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. მისი მიზანი იყო ქვეყანაში „სამხედრო ფსიქოზის" ვითარების შექმნა, ამერიკელების დაშინება არარსებული „საბჭოთა სამხედრო საფრთხით". დაძაბულობის შენელებისათვის ხელის შეშლა და სამხედრო ბიუჯეტის გადიდების მიღწევა. პენტაგონი 1975 წლიდან შეუდგა ყველა სახის შეიარაღების მოდერნიზაციის განხორციელებას — შაშხანით დაწყებული და სტრატეგიული რაკეტებით დამთავრებული. ამისათვის იგი მოითხოვს სულ უფრო მეტ სახსრებს. თავისი მიზნების მისაღწევად მხედრიონმა წამოაყენა ე. წ. „პირველი დარტყმის" ყბადაღებული თეორია, რომლის მიხედვით აშშ-ს შეუძლია პირველმა გამოიყენოს ბირთვული იარაღი, აშშ-ის მილიტარისტები უარყოფენ ვლადივოსტოკში მიღწეულ სტრატეგიული ძალების თანასწორობის პრინციპს, რომელიც რეალობად იქცა და რომელზეც დაფუძნებულია ბოლო წლებში საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ურთიერთობა. ისინი მოითხოვენ შეიქმნას „უპირატესი სამხედრო ძლიერება", რათა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში გამოდიოდნენ დიდი ხნის გაკოტრებული „ძალის პოზიციიდან".

პენტაგონმა მოამზადა და პრეზიდენტად არჩეულ ჯ. კარტერს და მის მრჩეველებს უკვე 1977 წლის იანვარში წარუდგინა „დოკუმენტების მთელი ტომი" ეროვნული თავდაცვის პრობლემებზე; იგი გამოდიოდა სამხედრო ბიუჯეტის რამდენადმე შემცირების იდეების წინააღმდეგ, ამტკიცებდა ახალ სისტემათა და სახეობათა იარაღის შემუშავებისა და წარმოების საჭიროებას.

ახალ პრეზიდენტსა და „კონგრესის წამყვან წევრებზე" ზეგავლენის მოსახდენად პენტაგონმა მოაწყო „ძალზე საიდუმლო საინფორ-

მაცილო თათბირი" თითქოსდა აშშ-ის დაზვერვის მიერ „მიღებული საიდუმლო მასალების გასაცნობად საბჭოთა შეიარაღების ძლიერების შესახებ". რეაქციულმა პრესამ ამის შესახებ ატეხა განგაში და განაცხადა, რომ „საიდუმლო ინფორმაციამ" დიდი „შეშფოთება გამოიწვია პრეზიდენტსა და კონგრესმენებში".

დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ „არ შეიძლება ვენდოთ საბჭოთა კავშირს", რომ იგი „მსოფლიო ჰეგემონიას ესწრაფვის", „ომის საფრთხეს" ქმნის და ა. შ.

მთელი ამ კამპანიის სათავეში იდგნენ „ქორები" — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი უ. კოლბი, მულტმილიონერი დ. დილონი, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე პ. ნიტცი, გენერალი მ. რიჯუეი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ი. როსტოუ და სხვები. მათ მიერ შექმნილმა „არსებული საფრთხის საკითხთა კომიტეტმა" 1977 წლის იანვარში და შემდეგაც არა ერთი განცხადება გააკეთა, რომლის მიზანი იყო სამხედრო ფსიქოზის გაძლიერება და კონგრესზე ზეგავლენის მოხდენა პენტაგონის ასიგნებათა გაზრდის მიზნით. საყურადღებოა, რომ პენტაგონი „საბჭოთა საფრთხის" და „საბჭოთა სამხედრო უპირატესობის" შესახებ მაშინ წამოიწყებს ხოლმე კამპანიას, როდესაც ახალი სახეობის შეიარაღების დანერგვა სურს და აშინებს მთავრობას, რომ დაძაბულობის შენელება აშშ-ის მონოპოლიებს ზარალს მიაყენებს.

50-იან წლებში პენტაგონმა გააჩაღა კამპანია „ავიაბომბდამშენების რაოდენობითი ჩამორჩენის" შესახებ და ამ საბაბით მიაღწია უდიდესი სამხედრო პროგრამის მიღებას. აღმოჩნდა, რომ საბჭოთა ბომბდამშენების რიცხვი 3—4-ჯერ მეტად წარმოადგინეს, ვიდრე სინამდვილეში იყო. 60-იანი წლების დამდეგს პენტაგონმა ატეხა ისტერიული კამპანია „რაკეტულ იარაღში ჩამორჩენაზე", რასაც მოჰყვა თავისი შედეგი — „ბალისტიკურ რაკეტულ მშენებლობის პროგრამის მიღება. აღმოჩნდა, რომ ამ კამპანიის დროს საბჭოთა რაკეტების რაოდენობა 30-ჯერ მეტად წარმოადგინეს, ვიდრე სინამდვილეში იყო. ეს პროგრამა აშშ-მა 1967 წელს დაამთავრა. 1965 წლისათვის აშშ-ს ჰქონდა, გარდა სტრატეგიული ავიაციისა, ცხრაასზე მეტი ბალისტიკური რაკეტა მიწისზედა ბაზირებისათვის და 560 რაკეტა წყალქვეშა ნავებზე, რაც ბევრად აღემატებოდა საბჭოთა კავშირისას. ამ გარემოებამ საბჭოთა მხარეც აიძულა მიეღო სათანადო ზომები. ამის შემდეგ აშშ-ის მილიტარისტებმა ატეხეს განგაში, რომ 10 წლის განმავლობაში ამერიკა თითქმის გულხელდაკრეფილი იჯდა, სინამდვილეში კი 70-იანი წლების დამდეგს, სწორედ მოლაპარაკების დაწყების წინ, აშშ-მა მიიღო გადაწყვეტილება ახალი სარაკეტო იარაღის წარმოების შესახებ. ამას მოჰყვა ფრთოსანი რაკეტების წარმოება, რამაც აშშ-ს მისცა ცალმხრივი

უპირატესობა. ბუნებრივია, რომ მეორე მხარემაც მიიღო სათანადო ზომები, რის შედეგად აშშ-ის უშიშროება კი არ განმტკიცდა, არამედ შესუსტდა. საერთოდ, გამალებული შეიარაღება, სულ ახალი და ახალი სახეობის გამანადგურებელი იარაღის წარმოება, კი არ აძლიერებს ქვეყნის უშიშროებას, არამედ საშიშროებას უქმნის ორივე მხარეს. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა არა ერთხელ განაცხადა, რომ შეიარაღების შეზღუდვა რისკი როდია ეროვნული უშიშროებისათვის. „დღეისათვის, — თქვა მან, — საყოველთაო უშიშროებისათვის უფრო დიდი რისკია ისეთი უმოქმედობა, რომელიც ხელს არ შეუშლის გამალებულ შეიარაღებას“.[1]

ბუნებრივია, რომ ახალი სახეობის სტრატეგიული იარაღის — ფრთოსანი რაკეტების წარმოებამ დაარღვია საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ვლადივოსტოკში მიღწეული სტრატეგიული ძალების თანასწორობის პრინციპი. სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის შესახებ შეთანხმების ვადა 1977 წლისათვის გადიოდა და ახალი შეთანხმება უნდა დადებულიყო. ვლადივოსტოკში არავითარი გამონაკლისი არ დაუშვიათ სტრატეგიული იარაღის ახალი სახეობის — ფრთოსანი რაკეტებისათვის. საქმე ეხებოდა იმას, რომ გადაეკეტათ სტრატეგიული შეიარაღების ზრდის ყველა გზა და არა იმას, რომ ბალისტიკური რაკეტების წარმოების შეზღუდვისთანავე დაეწყოთ მეორე, კიდევ უფრო საშიში იარაღის წარმოება. 1977 წლის იანვრის მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ მიაღწია პრინციპულ თანხმობას იმის თაობაზე, რომ ახალ შეთანხმებაში შესულიყო მკაცრი შეზღუდვები ფრთოსან რაკეტებზე. მაგრამ შემდეგ ვაშინგტონი შეეცადა გადაესინჯა მიღწეული შეთანხმება, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო იმისა, რომ 1977 წლის მარტში მოსკოვში მოლაპარაკება ამ საკითხზე აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივნის ს. ვენსის ვიზიტის დროს ჩაიშალა. მაისში ჟენევაში გაიმართა ა. გრომიკოსა და ს. ვენსის ახალი შეხვედრა, რომელიც მოსკოვის შეხვედრასთან შედარებით ზოგიერთი პრობლემის მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ჟენევის მოლაპარაკების შედეგების შესახებ ერთობლივ ცნობაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირისა და აშშ-ის წარმომადგენლებმა „დეტალურად განიხილეს ვლადივოსტოკის მორიგების საფუძველზე და შემდგომი მოლაპარაკების შედეგების გათვალისწინებით სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალი შეთანხმების მომზადების საქმის მდგომარეობა... მიღწეულია პროგრესი შემდგომი მოლაპარაკებისათვის ზოგადი ფარგლების განსაზღვრის საქმეში“. ამხ. ა. გრომიკომ ამ მოლაპარაკების შესახებ აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ვერ გამოვიტანთ დას-

[1] გაზეთი „პრავდა“, 5. II — 1977 წ.

კვნას, რომ დაიწყო მთავარი საკითხების გადაწყვეტა და რომ ჩვენ შეთანხმების დამთავრების გზას ვადგავართ. შეთანხმების მიღწევას ჩვენ ჯერ კიდევ დიდი დისტანცია გვაშორებს, იმიტომ, რომ ამერიკის მხარეს ჯერ ხელი არ აუღია ცალმხრივი უპირატესობის მიღების ცდებზე.

1977 წლის მაისში ჟენევაში ხელი მოაწერეს ხუთწლიან შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით კვლევა-გამოყენებაში თანამშრომლობის შესახებ. ის, რაც შესაძლებელია კოსმოსში, უნდა განხორციელდეს დედამიწაზეც, მით უმეტეს, ისეთ პირობებში, როცა ორ სახელმწიფოს მრავალგზისი მოსპობის კოლოსალური ბირთვული პოტენციალი აქვს. მართალია, ამ მიმართულებით მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ მთავარი საკითხები ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება, ხოლო ზოგიერთ საკითხში, რომლებიც შეთანხმებული იყო, აშშ-ის ახალმა, ჯ. კარტერის მთავრობამ ფაქტობრივად უარი თქვა. ამიტომ მთავარი საკითხები ჯერ გადაუწყვეტელი რჩება. განსაკუთრებით შეშფოთებას ის იწვევს, რომ შეთანხმების გაჭიანურებას აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები იყენებენ გამალებული შეიარაღებისათვის, ახალი სისტემის იარაღის შექმნისათვის, სამხედრო ბიუჯეტის გაზრდისათვის. 1977 წლის 9 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს სახსრების გამოყოფას ნეიტრონული ბომბის სერიული წარმოებისათვის. მილიტარისტების ინტერესების ამსახველი ამერიკის პროპაგანდა ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ ნეიტრონული ბომბი მსოფლიოს წარმოუდგინოს, როგორც „უცოდველი", მშვიდობის უზრუნველყოფის იარაღი. რომელიც მოწინააღმდეგის მხოლოდ ცოცხალ ძალას, ჯარს სპობს და მატერიალურ ძვირფასეულობას არ შეეხება.

საქმე ეხება ახალი სახეობის თერმობირთვულ იარაღს, რომელიც გამიზნულია ადამიანების მასობრივი მოსპობისათვის გაძლიერებული რადიაციის მეშვეობით.[1]

ამერიკის პროპაგანდა ქადაგებს ყალბ იდეებს, თითქოს ნეიტრონული ბომბი „ძირფესვიანად განსხვავდებოდეს ბირთვული იარაღისაგან", სინამდვილეში კი იგი მხოლოდ ბირთვული იარაღის ერთგვარი ნაირსახეობაა და ადამიანზე ზემოქმედებით ქიმიური და ბაქტერიოლო-

---

1 ნეიტრონული ბომბის შექმნისათვის მუშაობა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. პენტაგონის ახლანდელი მეთაური ბრაუნი 13 წელზე მეტია ხელმძღვანელობდა ამ ბომბის შექმნის ლაბორატორიას და ახლა გახდა ცნობილი, რომ ასეთ იარაღი შეიქმნა და მზადაა სერიული წარმოებისათვის. ბრაუნი ამტკიცებს, რომ ვიდან ნეიტრონული ბომბის მოქმედება შეზღუდულია დროითა და ფართობით, მისი გამოყენება კონფლიქტის შემთხვევაში უფრო ადრე შეიძლება, ვიდრე თერმობირთვული იარაღების — ატომური და წყალბადის ბომბების.

გიური იარაღის მსგავსია. ნეიტრონული ბომბი შედარებით იაფი და გამოსაყენებლად ადვილია და იგი შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ბევრი ქვეყნისათვის, უწინარეს ყოვლისა, ისრაელისათვის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის, სამხრეთ კორეისათვის. ბირთვული იარაღის ამ ნაირსახეობის გაფართოებას შეიძლება მოჰყვეს „ლოკალურ ომებში“ ნეიტრონული იარაღის გამოყენება, რამაც თანამედროვე პირობებში შეიძლება საერთაშორისო ატომური კონფლიქტი გამოიწვიოს.

იმ ამბავმა, რომ აშშ ნეიტრონულ ბომბს აწარმოებს, შეაძრწუნა ყველა კეთილ ნების ადამიანი, მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა. ფართო პროტესტს იწვევს აშშ-ის ხელისუფალთა განზრახვა, რომ ამ იარაღით აღჭურვონ დასავლეთ ბერლინში და გფრ-ში დაბანაკებული ამერიკის ჯარის ნაწილები.

პენტაგონის მეთაური ბრაუნი მოითხოვს, რათა ნეიტრონული ბომბით ნატოელი მოკავშირეების ჯარები აღჭურვონ არა უგვიანეს 18 თვის განმავლობაში.

ახალი იარაღის შექმნის შემდეგ აშშ-ში თავი იჩინა ვერსიამ, რომ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა კვლავ ამერიკის სასარგებლოდ შეიცვალა და ამიტომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა „ძალის პოზიციით“ უნდა წარიმართოს. საბჭოთა კავშირი თითქოს „თიხის ფეხებზე“ დგას და ამიტომ იგი უფრო მეტადაა დაინტერესებული დაძაბულობის შენელებით, ვიდრე დასავლეთი. ამერიკის რეაქციულმა პრესამ კამპანია გააჩაღა იმაზე, თითქოს საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა მხოლოდ ერთი მხარისათვის იყოს ხელსაყრელი. ძლიერ, ამასთანავე „დაზარალებულ“ მხარედ, ცხადია, წარმოდგენილი არიან აშშ და განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, ხოლო „დასავლეთის გამოცდილებისა და ტექნიკური ცოდნის“ ლამის მუქთა მეშტრებად—საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

მეცნიერული აღმოჩენები თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია და ამიტომ ცოდნის მსოფლიო საგანძურში შეტანილი წვლილი იმისგან დამოუკიდებლად ფასობს, თუ რომელი ქვეყნის მეცნიერთ ეკუთვნით იგი. საბჭოთა მეცნიერების მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია მთელ მსოფლიოში და მათ სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ მსოფლიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილით. საყურადღებოა, რომ ჯერჯერობით, აშშ-ის ფირმებმა მეტი საბჭოური ლიცენზია შეიძინეს, ვიდრე სსრ კავშირმა ამერიკული.

ჯ. კარტერის მთავრობის დროს გაჩაღებულმა ასეთმა კამპანიამ მნიშვნელოვნად გააუარესა პოლიტიკური ატმოსფეროც სსრ კავშირსა და

აშშ-ს შორის. ახალი მთავრობის ანტისაბჭოთა გამოხდომები დაიწყო თითქმის კარტერის მიერ პრეზიდენტობის რწმუნებების მიღებისთანავე. იმ ამბავმა, რომ 1977 წლის მარტში თეთრ სახლში მიიღეს საბჭოთა კავშირიდან გაძევებული ნაძირალა ბუკოვსკი, ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობის საესებით გასაგები კრიტიკა და ასევე საესებით გასაგები „ქორების" აღტაცება გამოიწვია. ამას მალე ერთიმეორეზე მოჰყვა ანტისაბჭოთა პროპაგანდისტული მოჩმახული კამპანია „სსრ კავშირში ადამიანის უფლებათა დაცვის" და „საბჭოთა სამხედრო საფრთხის" შესახებ, რომლის აშკარა მიზანია უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე მოახლოებული ბელგრადის თათბირისათვის სახელის გატეხა და ჰელსინკში ხელმოწერილი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების რევიზია. ამერიკის რეაქცია ცდილობდა აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევას „ადამიანის უფლების დაცვის" მოტივით. ამერიკის რეაქციამ ახალი ტერმინი შემოიტანა ხმარებაში — „დაძაბულობის შენელების" ნაცვლად „დაძაბულობის ცივი შენელება". ასეთი მოქმედების გამართლებას აშშ-ის მმართველი წრეები ცდილობენ იდეოლოგიური ბრძოლის მოტივით. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ამასთან დაკავშირებით ფრანგული გაზეთის „მონდისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ „იდეოლოგიური ბრძოლა არ უნდა გადაიზარდოს „ფსიქოლოგიურ ომში". არ უნდა გამოიყენონ სახელმწიფოთა და ხალხთა შინაურ საქმეებში ჩარევის საშუალებად, ან პოლიტიკური და სამხედრო კონფრონტაციის საწარმოებლად" [1].

აშშ-ის ცდა, ააღორძინოს „ძალის პოზიციის" პოლიტიკა, ეწინააღმდეგება ხალხთა დაძაბულობის შენელების განმტკიცების, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების მიღწევის მისწრაფებას.

მსოფლიოს საბჭოს ინიციატივით 6-დან 13 აგვისტომდე ჩატარდა ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ მოქმედების კვირეული, რომლის ამოცანაა მთელი მსოფლიოს ხალხების დარაზმვა ამ ახალი საშინელი იარაღის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

არ შეცვლილა ახალი მთავრობის პოლიტიკა ისრაელის მიმართ. ჯ. კარტერმა წამოაყენა ისრაელის „თავდაცვის საზღვრების" იდეა, რომელიც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ იგი მხარს უჭერს ისრაელს, რომელიც უარს ამბობს გაიყვანოს ჯარები 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიიდან. ჯ. კარტერმა განაცხადა, რომ „თავდაცვის ხაზები მომავალში შეიძლება დაემთხვევა კანონიერ საზღვრებს, და შეიძლება არც დაემთხვევა. რაც შეეხება ისრაელის თავდაცვისუნარიანობას, იგი შეიძლება გასცდეს მუდმივი და აღიარებული საზღვრების ფარ-

[1] გაზეთი „პრავდა", 19. VIII 1977 წ.

გლებს". ასეთი პოლიტიკა აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას ამ საკითხზე. კარტერის მთავრობამ მომდევნო საფინანსო წლისათვის უკვე 1,8 მლრდ. დოლარამდე გაზარდა ისრაელისათვის სამხედრო დახმარების პროგრამა.

ჯ. კარტერმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ამერიკის კომპანიებს უკრძალავს ისრაელის ეკონომიკურ ბოიკოტში მონაწილეობას. ეს კანონი მიმართულია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ეკონომიკურ ღონისძიებებს ახორციელებენ ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული კანონი, სიონისტური ლობის ზეგავლენით, აშშ-ის კონგრესმა მიიღო მასზე პრეზიდენტის ხელმოწერამდე.

1977 წლის ივნისში კარტერის მთავრობამ საუდის არაბეთთან დადო საფინანსო შეთანხმება ეკონომიკურ და სამხედრო საკითხებზე, რომელიც ზიანს აყენებს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკის) ქვეყნებს. საუდის არაბეთი ვალდებულებას კისრულობს 1984 წლამდე არ დაუშვას თავის ნავთობზე დადგენილი ფასის მომატება წელიწადში 5%-ზე მეტად.

ჯ. კარტერმა უარი თქვა წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიცემულ დაპირებაზე სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების გამოყვანის შესახებ.

1977 წლის აგვისტოში ჯ. კარტერის მთავრობამ (ამ საკითხზე აშშ-სა და პანამას შორის 13 წლის მოლაპარაკების შემდეგ) პანამასთან დადო შეთანხმება, რომლითაც კონტროლის უფლება არხზე პანამის მთავრობას მთლიანად გადაეცემა 2000 წლისათვის, მანამდე კი არხი ორივე ქვეყნის „ერთობლივ" გამგებლობაშ. დარჩება. მაგრამ აშშ მომავალ საუკუნეშიც არ ფიქრობს თავისი საზღვაო ბაზების ლიკვიდაციას აქ. შემოსავალი არხიდან (ყოველწლიურად 150 მლნ. დოლარს იჯიბავდნენ ამერიკელი კომპანიის წარმომადგენლები) გადაიდა პანამის მთავრობის ხელში.

ჯ. კარტერის მთავრობამ იაპონიასთან დადო შეთანხმება, რომლითაც ამ უკანასკნელის ექსპორტი აშშ-ში მნიშვნელოვნად შემცირდა.

ჯ. კარტერის მთავრობა კვლავ ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ნატოს სამხედრო ძლიერების შემდგომ ზრდას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჯ. კარტერმა მკვეთრად გადაუხვია თავის წინასაარჩევნო პროგრამას და ისეთი კურსი აიღო, რომელიც ეწინააღმდეგება საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

ინგლისი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ [1]

§ 18. ინგლისის იმპერიალიზმის დასუსტება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ომის შედეგები. მეორე მსოფლიო ომიდან ინგლისი, მართალია, გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ბრიტანეთის იმპერიალიზმი ძალზე დასუსტდა. „ტრიუმფიც და ტრაგედიაც" — ასე უწოდა ომის შედეგებს უ. ჩერჩილმა.

ომით გამოწვეული ზარალი შეადგენდა 6,8 მლრდ. დოლარს, რაც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 1/4 იყო, შიდა სახელმწიფო ვალი — 21 მლრდ. გირვანქა სტერლინგს, ხოლო საგარეო ვალი — 3,3 მლრდ. გირვანქა სტერლინგს. ომის დროს ინგლისის ოქროს მარაგის დიდმა ნაწილმა ამერიკის ბანკების სეიფებში გადაინაცვლა. ინგლისმა დაკარგა საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის მეოთხედი ნაწილი და საეკონომო ფლოტის 30%; მკვეთრად დაეცა ინგლისის საგარეო ვაჭრობა და შესუსტდა ბრიტანეთის პოზიციები კოლონიებში. ჯერ კიდევ ომის დროს აშშ-მა პარტნიორის დასუსტება გამოიყენა ინგლისის კოლონიებში ეკონომიკურად გაბატონებისათვის, ხოლო ომის შემდეგ კიდევ უფრო განამტკიცა პოზიციები. საომარ მოქმედებებს, მართალია, უშუალოდ ინგლისის ტერიტორიაზე ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ომის დასაწყისიდანვე ქვეყანას ჰიტლერული ავიაცია ბარბაროსულად ბომბავდა, რის შედეგად რიგი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები დაზიანდა ან განადგურდა. დაბომბვის შედეგად დაიღუპა 150 ათასი კაცი; საერთოდ, ომში ბრიტანეთის იმპერიამ ბოკლულთა სახით დაკარგა 358 ათასი კაცი. ეს იყო ძალზე მცირე დანაკარგი საბჭოთა კავშირთან შედარებით.

ინგლისის მმართველი წრეები ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ ომის გაჭიანურების გზას დაადგნენ, რათა გერმანიის და საბჭოთა კავშირის მაქსიმალური დასუსტება გამოეწვიათ, ხოლო თავიანთ ძალებს ომის უკანასკნელი ეტაპისათვის ინახავდნენ, რომ შემდეგ გადამწყვეტი როლი შეესრულებინათ ევროპის საქმეების გადაჭრაში. მაგრამ მათი ვარაუდი ჩაიშალა, პირიქით, საბჭოთა კავშირი ომიდან გაძლიერებული გამოვიდა, ხოლო ბრიტანეთის იმპერია დასუსტდა, იგი დაშლის წინაშე აღმოჩნდა. ომისაგან და-

---

1 ტერიტორია — 244,1 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 55,9 მლნ. (1975 წლის მონაცემებით). დედაქალაქი — ლონდონი (7,3 მლნ. მცხოვრები, 1974 წლის მონაცემებით).

სუსტებულმა იმპერიამ ვეღარ შეძლო პოზიციების შენარჩუნება კოლონიებსა და დომინიონებში, საიდანაც ომის დროს ინგლისს შემოჰქონდა ნედლეული და სურსათი. ამის გამო იგი დიდ ვალში აღმოჩნდა საკუთარი სამფლობელოების წინაშე.

ძალზე შეირყა ინგლისის კაპიტალის პოზიციები ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და კანადაში. აქ ჯერ კიდევ ომის დასაწყისშივე დაუთმო ინგლისმა თავისი პოზიციები აშშ-ს; ასე, რომ ომის შემდეგ ახალი მოგებების მიღება აქედან გამორიცხული იყო. ინგლისის პოზიციები შეირყა ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკის კავშირში. ამრიგად, ომის შემდეგ ინგლისის კაპიტალმა დაკარგა მონოპოლიური მდგომარეობა. ომამდე ინგლისზე მოდიოდა ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნების იმპორტის 70% და ამ ქვეყნების ეკონომიკაში დაბანდებული საზღვარგარეთის კაპიტალის 90%. 1947 წლისათვის კი აშშ-ის ექსპორტი ბრიტანეთის კოლონიებში 70%-ით მეტი იყო, ვიდრე ინგლისისა. შემდგომ წლებში ბრიტანეთის იმპერიალიზმმა თანდათანობით შეძლო თავისი პოზიციების ნაწილობრივ აღდგენა, მაგრამ კოლონიური იმპერიის დაშლის პროცესმა და მესამე სამყაროს ქვეყნების ბრძოლამ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბოლო მოუღო ინგლისის მონოპოლიების ბატონობას ამ ქვეყნების ბუნებრივი რესურსების ძარცვის საქმეში. ასე, რომ ომის დამთავრებისას ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე გართულდა. ომის შემდგომი დროინდელი ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა აშშ-ის ეკონომიკაზე მისი დამოკიდებულება, რაც გამოვლინდა არა მხოლოდ კრედიტის მიღებაში, არამედ ამერიკული კაპიტალის მის ეკონომიკაში შეღწევამიც. საერთოდ ინგლისი აშშ-ზე ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოკიდებულ ქვეყნად გადაიქცა.

ომმა კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას და მსხვილი გიგანტური მონოპოლისტური გაერთიანებების შექმნას, რომლებმაც კონტროლი დააწესეს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ინგლისის მონოპოლისტებმა ქვეყანაში შექმნილი პატრიოტული აღტყინება პირადი ინტერესებისათვის გამოიყენეს. ინგლისელი ხალხი ომის დროს 10—12 საათს მუშაობდა მცირე ხელფასზე, მაგრამ ქვეყნის ინტერესებისათვის ითმენდა ამ გაჭირვებას, სამაგიეროდ მონოპოლისტები ჯიბეებს ისქელებდნენ მის ხარჯზე. 1943 წლისათვის ინგლისის სამხედრო მრეწველობის პროდუქციის მოცულობა გაიზარდა ხუთჯერ, ხოლო მონოპოლიების მოგება — 200%-ით, მაშინ, როდესაც ომმა მშრომელთა მასების ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

1945 წლის საპარლამენტო არჩევნები და მესამე ლეიბორისტული მთავრობის შექმნა. ომმა, ხალხთა მასების მატერიალური მდგომარეობის გაუარესებამ და საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ ფაშიზმის წინააღმდეგ ინგლისელ ხალხზე დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა. მუშათა არისტოკრატიის გავლენა მუშათა კლასის რიგებზე მნიშვნელოვნად შესუსტდა, ხოლო სოციალისტური იდეები პოპულარული გახდა. ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ 1944 წლის ოქტომბერში XVII ყრილობაზე მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი „გამარჯვება, მშვიდობა, უშიშროება", რომელიც საგარეო პოლიტიკაში მოითხოვდა ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაგრძელებას ომის შემდგომ პერიოდშიც, ხოლო საშინაო პოლიტიკაში — ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების განხორციელებას უმნიშვნელოვანესი დარგების ნაციონალიზაციის ბაზაზე. ამასთანავე კომპარტიამ ლეიბორისტულ პარტიას პარლამენტის მომავალ არჩევნებში ერთიან ბლოკში გამოსვლა შესთავაზა. ლეიბორისტებმა უარი თქვეს კომუნისტებთან კავშირზე, მაგრამ სოციალიზმის იდეების პოპულარობამ მასებში აიძულა ისინი თავი მათი იდეების მომხრეებად გამოეცხადებინათ. ლეიბორისტული პარტიის ახალი პროგრამა ინგლისელ მშრომელებს პირდებოდა „დიდი ბრიტანეთის სოციალისტური თანამეგობრობის შექმნას". ლეიბორისტების პროგრამა ითვალისწინებდა სახელმწიფო კონტროლის დამყარებას ეკონომიკაზე მრეწველობის ძირითადი დარგების, ტრანსპორტის და ბანკების ნაციონალიზაციის გზით.

ლეიბორისტული პარტია თავის რიგებში აერთიანებდა 3 მლნ. კაცს, რომელთაგან 80%-ს კოლექტიური პრინციპების საფუძველზე შეადგენდნენ პროფკავშირები. ინგლისის პროფკავშირები ძველებურად რეფორმისტულ პოზიციებზე რჩებოდნენ, მაგრამ მათში გაძლიერდა მემარცხენე ფრთა.

საყურადღებოა, რომ 1936 წელს არჩეული პარლამენტის რწმუნებები, ომის გამო, 1940 წელს გაგრძელდა ომის დამთავრებამდე. მთავრობა კი კოალიციური იყო, კონსერვატორებთან ერთად მასში შედიოდნენ ლეიბორისტები და ლიბერალები. ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ლეიბორისტული პარტიის რიგითი წევრები ლიდერებისაგან მოითხოვდნენ კონსერვატორებთან კოალიციის გაწყვეტას, მთავრობიდან გამოსვლას და პარლამენტის ახალი არჩევნების ჩატარებას. ამასთან დაკავშირებით 18 მაისს ჩერჩილმა ულტიმატური ხასიათის მოთხოვნა წაუყენა ლეიბორისტებს: დარჩენილიყვნენ მთავრობაში იაპონიასთან ომის დამთავრებამდე ან გასულიყვნენ და პარლამენტის ახალი არჩევნები ჩატარებულიყო. კონსერვატორები იმედოვნებდნენ, რომ ომში გამარჯვების წყალობით პარლამენტის არჩევნებში

წარმატებას მიაღწევდნენ. მაგრამ ინგლისელ ამომრჩევლებს არ დავიწყებიათ, რომ სწორედ ამ კონსერვატორული პარტიის ძველი ლიდერების „წაყრუებისა“ და აგრესორის „დაშოშმინების“ პოლიტიკის შედეგად აღმოცენდა მეორე მსოფლიო ომი, რომ მათივე მიზეზით გაჭიანურდა იგი. ლეიბორისტები მთავრობიდან გამოვიდნენ. პარლამენტი დაითხოვეს. ახალი არჩევნები 5 ივლისისათვის დაინიშნა. ლეიბორისტების წინასაარჩევნო კამპანიის პროგრამა მრეწველობის წამყვანი დარგების ნაციონალიზაციის შესახებ დიდი პოპულარობით სარგებლობდა მშრომელ ხალხში, რომელიც ამ პროგრამას სოციალისტურ ღონისძიებად მიიჩნევდა, თუმცა ზოგიერთი დარგის — ქვანახშირის, ელექტროენერგეტიკის, რკინიგზების, ტრანსპორტის და სხვათა ნაციონალიზაციის მოთხოვნა სოციალისტური სექტორის შექმნას კი არ ნიშნავდა, არამედ სახელმწიფო მონოპოლისტური ხასიათის წარმოების შექმნას. ლეიბორისტების პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი, თუ რა როლს შეასრულებდა მუშათა კლასი ამ ნაციონალიზებულ საწარმოებში.

ამომრჩეველთა მიმხრობის მიზნით ლეიბორისტები იძლეოდნენ დაპირებას, რომ განახორციელებდნენ საბინაო მშენებლობას, გაატარებდნენ რეფორმებს მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, შექმნიდნენ ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ სამსახურს, გაუქმებდნენ 1927 წლის რეაქციულ კანონს პროფკავშირების შესახებ და ა. შ. საგარეო პოლიტიკის დარგში კი აცხადებდნენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცებას, გერმანიის განიარაღებას, მისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ლიკვიდაციას და მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას. კონსერვატორული პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა საგარეო პოლიტიკის საკითხებში არ განსხვავდებოდა ლეიბორისტულისაგან, ხოლო საშინაო პოლიტიკის საკითხში ისინი არ მალავდნენ, რომ მრეწველობის ნაციონალიზაციის წინააღმდეგი იყვნენ. კონსერვატორები ვერავითარ მნიშვნელოვან დაპირებებს ვერ აძლევდნენ ამომრჩევლებს. მათი პროგრამა ბუნდოვანი იყო. არჩევნებში მონაწილეობდა 24,1 მლნ. კაცი, ე. ი. ამომრჩევლების 73%, რომელთაგან 11,6 მლნ-მა (ე. ი. 48,3%) ხმა მისცა ლეიბორისტებს; კონსერვატორებმა მიიღეს 9,6 მლნ. ხმა (ე. ი. 39,8%), ლიბერალებმა 2,2 მლნ. ხმა (9,1%). ლეიბორისტებმა პარლამენტში მიიღეს 392 ადგილი, კონსერვატორებმა—189, ლიბერალებმა—12. კომუნისტებმა—2. არჩევნებში გამარჯვების შედეგად შეიქმნა მესამე ლეიბორისტული მთავრობა კ. ეტლის მეთაურობით, მისი მოადგილე გახდა ჰერბერტ მორისონი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი — ერნსტ ბევინი — ინგლისის ტრედუნიონიზმის ერთ-ერთი კონსერვატორული მოღვაწე. ლეიბორისტული მთავრობის ახალი

ხელმძღვანელები უ. ჩერჩილის მთავრობაშიც მოღვაწეობდნენ. კ. ეტლის მთავრობაში ძირითადად შეეიდნენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ მეშათა კლასის ინტერესებთან, რის გამოც, ბურჟუაზია გულდამშვიდებით შეხვდა ლეიბორისტული მთავრობის შექმნას.

§ 19. კ. ეტლის მთავრობის საშინაო პოლიტიკა

ინგლისს არ განუცდია ომის ის საშინელება და სამეურნეო ნგრევა, რაც უშუალოდ განიცადეს კონტინენტალური ევროპის ხალხებმა. ომის დროს დანგრეული საწარმოები 1947 წელს უკვე აღდგენილი იყო, ხოლო შემდეგ წარმოების ზრდა წელიწადში საშუალოდ 6%-ს შეადგენდა. 1951 წლისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა ომამდელთან შედარებით 30%-ით გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა ძირითადად სამხედრო მრეწველობაზე მოდიოდა.

„ცივი ომის" პოლიტიკის ფერხულში ინგლისის მმართველი წრეებიც ჩაებნენ, რის გამოც ქვეყანა იძულებული იყო გამალებული შეიარაღების გზას დასდგომოდა. წარმოების ზრდა ძირითადად სამხედრო მრეწველობას შეეხო: გემთმშენებლობას, საავტომობილო, ფოლადის, ქიმიურ, ნავთის წარმოებას. რაც შეეხება საფეიქრო მრეწველობას, ქვანახშირის წარმოებას და სხვ., მათ ომამდელ დონესაც ვერ მიაღწიეს.

მძიმე მდგომარეობაში იყო ქვეყნის ფინანსური სისტემა. ეტლის მთავრობა აქტიურად ერეოდა ეკონომიკურ ცხოვრებაში და ცდილობდა მის, განსაკუთრებით ფინანსური სისტემის გამოსწორებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ომის შემდეგ ინგლისმა სამჯერ განიცადა ფინანსური კრიზისი (1947, 1949, 1951 წლებში), ხოლო საგადასახადო ბალანსის დეფიციტი შეადგენდა 1356 მლნ. გირვანქა სტერლინგს.

ლეიბორისტების მიერ გატარებული ნაციონალიზაცია ემსახურებოდა მსხვილი მონოპოლიების ინტერესებს და მიზნად ისახავდა კაპიტალისტური წყობილების განმტკიცებას, მისი ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლებას. ლეიბორისტებმა ჩაატარეს ინგლისის ბანკის, ქვანახშირის და გაზის მრეწველობის, ცალკეული სამოქალაქო ავიაკომპანიების, რკინიგზების, ნაწილობრივ ავტოგადაზიდვის, წყლის ტრანსპორტის, ელექტროსადგურებისა და ტელეკავშირის ნაციონალიზაცია ფაქტობრივ ღირებულებაზე მეტი კომპენსაციის ანაზღაურებით. ინგლისის ბანკის ნაციონალიზაციისას აქციის მფლობელებმა ყოველ 100 გირვანქა სტერლინგის აქციაზე 400 გირვანქა სტერლინგის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მიიღეს. რაც შეეხება დანარჩენ ბანკებს, ისინი ხელუხლებელი დარჩნენ.

ნაციონალიზებული ქვანახშირის მრეწველობა, ინგლისის მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით, ყველაზე ჩამორჩენილი და წამგებიანი დარგი იყო. ქვანახშირის მრეწველობა მანამდეც მხოლოდ მთავრობის კომპენსაციებით არსებობდა.

ქვანახშირის წარმოების მფლობელებმა არა თუ წინააღმდეგობა გაუწიეს, არამედ სიხარულითაც კი შეხვდნენ შახტების ნაციონალიზაციას. მათ კომპენსაციის სახით მიიღეს 166 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ე. ი. ფაქტობრივ ღირებულებაზე მეტი. გარდა ამისა იმ მემამულეებმა, რომელთა მიწებზეც შახტები იყო, მთავრობისაგან 66 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღეს კომპენსაციის სახით.

ფაქტობრივი ღირებულების ორჯერ მეტი თანხა, კერძოდ ერთი მილიარდი გირვანქა სტერლინგი მიიღეს რკინიგზის ნაციონალიზაციისას ამ დარგის აქციების მფლობელებმა.

ასეთივე სახით ჩატარდა ზემოთ აღნიშნული სხვა დარგების ნაციონალიზაცია. ფაქტობრივად ეს იყო სახელმწიფოს მიერ კაპიტალისტების სასარგებლოდ და მშრომელთა მასების ხარჯზე ჩატარებული ღონისძიება და არა ნაციონალიზაცია. ინგლისის მშრომელებს დაახლოებით 2,5 მლრდ. გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ ლეიბორისტების მიერ ჩატარებული ნაციონალიზაცია. აქ არ შედის ის დიდი თანხა, რომელიც მთავრობამ გადასახადების ხარჯზე გაიღო აღნიშნულ დარგებში რეკონსტრუქციისათვის. საყურადღებოა, რომ მშრომელი მასები, რომელთა ხარჯზე ჩატარდა ნაციონალიზაცია, დაშვებული არ იქნენ ნაციონალიზებული საწარმოების გამგეობაში. მათ ყოფილი მფლობელები ჩაუდგნენ სათავეში სახელმწიფოს მოსამსახურეთა სახით და გარანტია მიიღეს, რომ ყოველწლიური შემოსავლიდან, გარდა ხელფასისა, მიიღებდნენ 80 მლნ. გირვანქა სტერლინგს. ნაციონალიზებულ საწარმოებში მთავრობის დანიშნული 131 დირექტორიდან ნახევარი ამავე დროს კერძო კომპანიების დირექტორებიც იყვნენ, რომელთაგან 32 მსხვილ მემამულეთა წარმომადგენელი იყო.

1951 წლის დასაწყისში გატარდა კანონი ფოლადჩამოსასხმელი და რკინა-დეტალების დამმუშავებელი წარმოების ნაციონალიზაციისა და მეტალურგიულ მრეწველობაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ.

ლეიბორისტული მთავრობის ამ ღონისძიებების შედეგად შეიქმნა სახელმწიფო მონოპოლისტური ეკონომიკა, რომელზეც პირდაპირი კონტროლი დაწესდა, მაგალითად, ნედლეულისა და სურსათის მიწოდებაზე, სურსათის ფასებზე, მშენებლობისათვის ლიცენზიების გაცემაზე და ა. შ.

50-იანი წლების დასაწყისში ნაციონალიზებულ დარგებში დაკავებული იყო ქვეყნის სამუშაო ძალის 23,9 %, ხოლო სახელმწიფო

კაპიტალური დაბანდებისა და შესყიდვის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში გაიზარდა 18,7 პროცენტიდან (1938 წ.) 27,5 პროცენტამდე (1955 წ.). ლეიბორისტების მიერ ჩატარებული ნაციონალიზაციის უარყოფითი მხარეების მიუხედავად, მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა; შეიქმნა კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მნიშვნელოვანი მატერიალური წანამძღვრები. ვ. ი. ლენინი სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის შესახებ აღნიშნავდა, რომ „იგი არის სოციალიზმის მთლიანი მატერიალური მომზადება“[1].

ინგლისში გატარებულ ნაციონალიზაციას ლეიბორისტები ისეთნაირად წარმოგვიდგენენ, თითქოს იგი სოციალისტური ღონისძიება იყოს და ერთგვარი ნიმუში უნდა გამხდარიყო მშვიდობიანი გზით სოციალიზმის შენებლობისათვის. მუშათა კლასში ყალბი წარმოდგენის შესაქმნელად ნაციონალიზებულ საწარმოებს „სოციალიზმის კუნძული“ უწოდეს, რომელიც თითქოს „სოციალისტურ კონტინენტში“ გადაიზრდებოდა, ხოლო ბურჟუაზიის დამშვიდების მიზნით გამოაცხადეს, რომ ნაციონალიზაციის ღონისძიებებით მთავრდება „სოციალიზმის ისტორიული მისია“ და იწყება „ნაციონალიზებული დარგების კონსოლიდაცია“. 1950 წელს ლეიბორისტული პარტიის კონფერენციამ უარი თქვა ქიმიური და გემთმშენებლობის მრეწველობის ნაციონალიზაციაზე და ამავე დროს ხაზი გაუსვა „შერეული ეკონომიკის“, ე. ი. კერძო და სახელმწიფო წარმოების ერთდროულად არსებობის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას. „შერეული ეკონომიკის“ თეორია საფუძვლად დაედო ლეიბორისტების „დემოკრატიული სოციალიზმის“ ეკონომიკურ პროგრამას, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს მეცნიერულ სოციალიზმთან. ახალმა კაპიტალურმა დაბანდებებმა ინგლისის მრეწველობაში გაზარდა შრომის ნაყოფიერება, მაგრამ ამ მხრივ ინგლისი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა უფროს პარტნიორს — აშშ-ს.

სურსათის წარმოების გაფართოების მიზნით 1947 წელს მიიღეს სოფლის მეურნეობის განვითარების ოთხწლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ნათესი ფართობების, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის გაზრდისათვის ფასების მინიმუმის დაწესებას და ფერმერებისათვის სუბსიდიების მიცემას. ამ ღონისძიებების შედეგი ის იყო, რომ 1951 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ომამდელთან შედარებით 50%-ით გაიზარდა. მაგრამ ინგლისი სურსათზე მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ლეიბორისტებმა მოახდინეს საექსპორტო ვაჭრობის გარდაქმნა, დაიწყეს ბირთვული ენერგიის ათვისება.

1948 წელს სოციალურ-ეკონომიკურ დარგში ლეიბორისტებმა შე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 203.

მოიღეს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო კანონი, რასაც მუშათა კლასისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: მოხუცებულობის ან ავადმყოფობის შემთხვევაში იგი მუდმივ პენსიას ღებულობს სახელმწიფოსაგან ნაცვლად პერიოდული დახმარებისა, რომელსაც პროფკავშირებიდან იღებდა.

1946 წლის კანონით 7 მილიონ მუშას ნომინალური ხელფასი გაეზარდა, 1947 წელს ხელფასები კვლავ გაეზარდა 4,6 მლნ. მუშას. 1948 წელს ლეიბორისტული პარტიის კონფერენციამ გადაწყვეტილება მიიღო „შესაბამისი შრომისათვის შესაბამისი ხელფასის" დაწესების შესახებ, მაგრამ იგი ქალის შრომაზე არ გავრცელებულა. გაუქმდა 1927 წლის ანტიპროფკავშირული კანონი, მაგრამ ძალაში დარჩა ომისდროინდელი კანონი, რომელიც გაფიცვებს კრძალავდა. 1951 წლის აგვისტოში მშრომელთა ზეგავლენით ეს კანონიც გაუქმდა. ლეიბორისტებმა ნაწილობრივ განახორციელეს მუშებისათვის დაპირებული საბინაო მშენებლობა და უმუშევართათვის დახმარების ფონდის გაზრდა. 1948 წლიდან დაწესდა აგრეთვე უფასო სამედიცინო მომსახურება, მაგრამ შემდგომ გადასახადი დაწესდა სამედიცინო მოსახურების სხვადასხვა სახეზე. ეს ე. წ. ღონისძიება გატარდა „მკაცრი ეკონომიის" მოტივით, რომლის საფუძველზე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხარჯზე ეკონომია 25 მლნ. სტერლინგით იყო გათვალისწინებული.

გამალებულმა შეიარაღებამ, მთავრობა აიძულა ჩამოეხსნა სოციალური დემაგოგის ნიღაბი. 1949 წლის ოქტომბერში მან განაცხადა სოციალური ხარჯების 250 მლნ. გირვანქა სტერლინგით შემცირების შესახებ. ბიუჯეტის დეფიციტის საბაბით მთავრობამ გამოაცხადა „მკაცრი ეკონომიის" პროგრამა, რომლის საფუძველზე გაიზარდა არაპირდაპირი გადასახადები. 1949 წელს ჩატარდა სტერლინგის დევალვაცია და მისი ღირებულება 30,5 პროცენტით შემცირდა, რასაც მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. გირვანქა სტერლინგის ღირებულება 4,03 დოლარიდან 28 დოლარამდე შემცირდა. ინგლისის სტერლინგის ზონაში შემავალმა ქვეყნებმაც გაატარეს ვალუტის დევალვაცია, რის შედეგად ინგლისური სტერლინგის პოზიციები შესუსტდა დოლარის სასარგებლოდ.

1949 წელს პარლამენტის აქტით ლორდთა პალატის რწმუნებები და უფლებები შეიზღუდა. თემთა პალატის მიერ მიღებული კანონის შეხერების, ანუ ვეტოს უფლება ამიერიდან ერთი წლით განისაზღვრა, ნაცვლად ორისა. გამალებულმა შეიარაღებამ გამოიწვია გადასახადების ზრდა. პირდაპირი გადასახადები გაიზარდა 10-ჯერ, არაპირდაპირი კი — 4-ჯერ. ფასები გაიზარდა პირველი მოთხოვნილების საგნებზეც. გადასახადებისა და ფასების ზრდის მთელი სიმძიმე დააწვა ინგლისელ მშრომელებს. 1948 წლიდან დაიწყეს ხელფასის „გაყინ-

ვის“ პოლიტიკის გატარება, რომლითაც მუშებს ეკრძალებოდათ ხელფასის მომატების მოთხოვნა, ხოლო მეწარმეებს — მათი ხელფასის გადიდება. დიდი ბრიტანეთის კომპარტიის მიერ 1950 წელს ამ პარტიის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ ბროშურაში აღნიშნულია, რომ ლეიბორისტების მიერ გატარებული სოციალური ღონისძიებები ჭარბად „გადაიფარა არაპირდაპირი გადასახადებით, რომელთაც მუშები იხდიდნენ“.

კ. ეტლის მთავრობა სტერლინგის დევალვაციამდე თუ მოითხოვდა, რომ „წარმოების გაზრდის გარეშე არავითარი ხელფასი არ გაზრდილიყო“. შემდეგ იგი ხელფასის ყოველგვარ ზრდას კრძალავდა. ამიტომ, მიუხედავად ხელფასების მომატებისა და ზოგიერთი სოციალური რეფორმისა, მუშათა რეალური ხელფასი 1945—1951 წლებში 20%-ით ნაკლები იყო ომამდელთან შედარებით. 1949 წელს ჰარი პოლიტმა განაცხადა, რომ ორი განვლილი წლის განმავლობაში რეალური ხელფასი 3%-ით შემცირდა, მაშინ როდესაც მონოპოლიების მოგებები 1951 წელს 24%-ით მეტი იყო 1950 წელთან შედარებით. 3800 მსხვილი კომპანიის მოგებები 26.5 პროცენტით გაიზარდა.

§ 20. კ. ეტლის მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის და დემოკრატიული ძალების გამარჯვების შედეგები ის იყო, რომ მან გამოიწვია კოლონიური ხალხების ეროვნული თვითშეგნების ზრდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. ამ ძლიერმა მოძრაობამ მოიცვა ინგლისის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი კოლონიური ხალხებიც. ისინი აღდგნენ და დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. მეორე მსოფლიო ომში დასუსტებულ ინგლისს ძალა არ შესწევდა წინ აღდგომოდა ამ დიდ მოძრაობას და იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო, ვიდრე ძალით არ გამოაძევებდნენ კოლონიებიდან. ამის გამო იყო, რომ ლეიბორისტებმა უარი თქვეს კოლონიური ბატონობის ზოგიერთ ტრადიციულ ფორმაზე და ახალი ვითარებიდან გამომდინარე, კოლონიებთან დამოკიდებულებაში, თითქოს თანასწორუფლებიანობის დამყარების მიზნით, გამოაცხადეს „ერთა თანამეგობრობა“. 1947 წელს ინგლისის დომინიონების საქმეების სამინისტრო გადაკეთდა „ერთა თანამეგობრობის“ სამინისტროდ. ეს აქცია ლეიბორისტებმა გამოაცხადეს ინგლისის „იმპერიალიზმის დასასრულად“ და „ახალი ერის“ დასაწყისად კოლონიებთან დამოკიდებულებაში. ისინი იქამდეც კი მივიდნენ, რომ ინგლისის კოლონიებში „სოციალიზმის დამყარების ერაც“ კი გამოაცხადეს, მაგრამ მათ მხედველობაში ჰქონდათ არა მეცნიერული, მარქსისტული, არამედ „ლეი-

ბორისტული“ სოციალიზმი. ლეიბორისტების ამ დემაგოგიური ხმაურის უკან იმალებოდა ნეოკოლონიალიზმის გზების გამონახვის ცდა, რათა კოლონიებზე სხვა ფორმით შეენარჩუნებინათ ინგლისის ბატონობა. ნეოკოლონიალიზმის ახალ, ფარულ ფორმას წარმოადგენდა ყოფილი კოლონიებისაგან შექმნილი ე. წ „ერთა თანამეგობრობა“, რომლის მეშვეობითაც ინგლისის მმართველი წრეები ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ ხალხებზე თავიანთი ჰეგემონიის შენარჩუნებას იმპერიის პრეფერენციების სისტემის გაფართოებით, ე. ი. სავაჭრო შეღავათებით ფიქრობდნენ.

1947 წლის 15 აგვისტოს კანონით ინგლისის ყოფილი კოლონია ინდოეთი რელიგიური ნიშნის მიხედვით ორ ნაწილად გაიყო — ინდოეთის კავშირად და პაკისტანად. თითოეულ მათგანს დომინიონების უფლება მიეცა. დომინიონების უფლება მიეცა აგრეთვე ცეილონს, ხოლო დამოუკიდებლობა — ბირმას. ამ უკანასკნელმა არ ისურვა „ერთა თანამეგობრობაში“ დარჩენა, იგი დატოვა ირლანდიის რესპუბლიკამაც.

დამოუკიდებლობა მიენიჭა ისრაელს და იორდანიას. იქ, სადაც ინგლისს განსაკუთრებული ინტერესები ამოძრავებდა და ეროვნული მოძრაობის ჩახშობის იმედი ჰქონდა, იგი ძველი კოლონიური რეჟიმის შენარჩუნებას ცდილობდა.

ლეიბორისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა. ლეიბორისტებმა ვერ შეძლეს დასუსტებული ინგლისის ყოფილი სახელისა და დიდების აღდგენა, რის გამოც იგი თანდათანობით ამერიკის იმპერიალიზმის გავლენაში ექცევა, მით უმეტეს, რომ ორივე ქვეყნის მიზნები და ამოცანები საერთო გახდა, განსაკუთრებით ანტისაბჭოთა კურსის განხორციელებაში. ინგლისი აქტიურად ჩაება აშშ-ის მიერ წამოწყებულ „ცივი ომისა“ და „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ფერხულში, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ფაქტობრივად ინგლისის საგარეო პოლიტიკა უ. ჩერჩილმა ჩამოაყალიბა 1946 წლის 5 მარტს ფულტონში გამოსვლისას: იგი მოითხოვდა აშშ-სა და ინგლისს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრას სსრ კავშირის, სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიო რევოლუციური პროცესის წინააღმდეგ.

ლეიბორისტულმა მთავრობამ არა თუ არ დაგმო უ. ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში, არამედ იგი საგარეო პოლიტიკური კურსის პროგრამად აქცია. 1950 წლის თებერვალში ედინბურგში უ. ჩერჩილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ „ბევრი შეუპოვრად ახორციელებს იმ ხაზს, რომელიც მე დავსახე ფულტონში“. ლეიბორისტული მთავრობა შეუერთდა აშშ-ის მთავრობის მიერ სოციალისტური ქვეყნებისადმი აღებულ დისკრიმინაციულ სავაჭრო პოლიტიკის კურსს; მან უარი უთხ-

რა საბჭოთა კავშირს 1942 წლის ხელშეკრულების ომის შემდგომი პირობების შესაბამისად განხორციელებასა და სავაჭრო ურთიერთობაზე ჩვენს ქვეყანასთან. თავის დროზე ლეიბორისტული მთავრობა აცხადებდა, რომ იგი განახორციელებს საკუთარ დამოუკიდებელ ე. წ. „მესამე გზის“ პოლიტიკას, მაგრამ შემდგომში იგი უარყვეს. ამკარა ანტისაბჭოთა კურსს და ამერიკის „უმცროს პარტნიორობას“ ლეიბორისტები ამართლებდნენ საბჭოთა კავშირის აგრესიულობითა და „კომუნიზმის საშიშროებით“. ამერიკის მმართველმა წრეებმა ინგლისის მძიმე ფინანსური მდგომარეობა გამოიყენეს ბრიტანეთის თავისი გავლენის ქვეშ მოსაქცევად. 1945 წელს ფინანსური შეთანხმების შედეგად ინგლისმა აშშ-გან სესხი მიიღო 4,4 მლრდ. დოლარის ოდენობით, აქედან 650 მლნ. დოლარი ინგლისისათვის უნდა გამოექვითათ ლენდ-ლიზის ხარჯების ასანაზღაურებლად, დანარჩენი თანხა კრედიტების სახით მიეცათ 5 წლის ვადით, ხოლო შემდეგ ეს თანხა ინგლისს პროცენტიანი სარგებლით უნდა დაეფარა 50 წლის განმავლობაში. ამ სესხის სანაცვლოდ ინგლისს უნდა დაეწესებინა სტერლინგის თავისუფალი გაცვლა დოლარზე და პრეფერენციული ტარიფების შემცირება ამერიკიდან შემოსატან საქონელზე. ამერიკიდან მიღებული თანხა ინგლისის მთავრობამ ერთ წელიწადში დახარჯა. „მარშალის გეგმით“ ინგლისმა მიიღო 2688 მლნ. დოლარი სესხისა და საქონლის სახით, მაგრამ ამ ახალი სესხებისა და დახმარების სანაცვლოდ ინგლისის მთავრობა კვლავ ახალ დათმობებზე წავიდა. გაიზარდა ინგლისის დამოკიდებულება აშშ-ზე და ეკონომიკის მილიტარიზაცია, როგორც ამას ოკეანისგაღმელი იმპერიალისტები მოითხოვდნენ. ინგლისი თანდათანობით აშშ-ის იმპერიალიზმის „უმცროს პარტნიორად“ გადაიქცა. კ. ეტლის მთავრობის საგარეო პოლიტიკა არ უპასუხებდა ინგლისის ეროვნულ ინტერესებს. იგი აშკარა იმპერიალისტურ, რეაქციულ, აგრესიულ და ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებდა. ასეთი პოლიტიკა მიმართული იყო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. ლეიბორისტები აქტიურად ჩაებნენ ამერიკის იმპერიალიზმის „ცივი ომის“ პოლიტიკის ფერხულში. მათ დიდი როლი შეასრულეს „მარშალის გეგმის“ მიღებაში, გერმანიის მილიტარიზაციისა და სამხედრო ეკონომიკური პოტენციალის აღდგენაში, აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო დაჯგუფებისა და „დასავლეთის კავშირის“ შექმნაში, კორეელი, ინდონეზიელი და ვიეტნამელი ხალხების წინააღმდეგ „ბინძური ომის“ წამოწყებაში, ბიზონიისა და დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შექმნაში, საბერძნეთის რეაქციის შეიარაღებული ძალებით მხარდაჭერაში და ა. შ.

მტრული იყო ლეიბორისტების დამოკიდებულება სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისადმი. ისინი ერეოდნენ ამ ქვეყნების შინა პოლი-

ტიკურ ბრძოლაში, მხარს უჭერდნენ რეაქციულ ძალებს. ისინი გამოვიდნენ ბირთვული იარაღის აკრძალვისა და მშვიდობის პაქტის წინააღმდეგ. ასეთია ლეიბორისტების რეაქციული საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელმაც ინგლისელი ხალხის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

ინგლისის მთავრობა იქამდეც კი მივიდა, რომ დათანხმდა აშშ-ს მისი ტერიტორია სამხედრო, საზღვაო, საჰაერო და სარაკეტო ბაზებად გამოეყენებინა. ბუნებრივია, რომ აშშ-ის გავლენის ქვეშ მოქცევა ინგლისელი ხალხის დიდ აღშფოთებას იწვევდა.

ინგლისის მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა რომ შეენელებინათ, 1950 წელს ლეიბორისტებმა უარი თქვეს „მარშალის გეგმით" გათვალისწინებულ დახმარებაზე. საქმე იმაში იყო, რომ აშშ-ის მიერ კორეაში გაჩაღებული ომის დროს გაიზარდა დაკვეთები ინგლისის სამხედრო საჭურველზე, რამაც ხელი შეუწყო ოქროს მარაგის დაგროვებას. მაგრამ ვინაიდან ინგლისმაც მიიღო მონაწილეობა ამ ომში, ამის გამო გაიზარდა სამხედრო ხარჯები, კვლავ იჩინა თავი ფინანსურმა სიძნელეებმა.

აშშ-ის კაპიტალი თანდათან ავიწროებდა და თავისი ტერიტორიული ბაზრიდან დევნიდა ინგლისის კაპიტალს. ინგლისის დომინიონები — ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა და მრავალი ყოფილი კოლონია თანდათანობით აშშ-ის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სამხედრო და პოლიტიკური გავლენის ქვეშ ექცეოდნენ.

ლეიბორისტებმა, თავის მხრივ, ამერიკაზე ერთგვარი ზეგავლენის მოხდენა სცადეს. 1950 წელს ინგლისმა ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, თუმცა მის წინააღმდეგ მტრულ პოზიციას ახორციელებდა და მხარს უჭერდა ჩან-კაიშის რეაქციულ ხროვას.

§ 21. კონსერვატორული მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 50-იან წლებში და 60-იანი წლების პირველ ნახევარში (1951—1964 წწ.)

პარლამენტის არჩევნები 1950 და 1951 წლებში, კონსერვატორული მთავრობა ხელისუფლების სათავეში. ინგლისის ტრედუნიონების გამოსვლამ „ხელფასის გაყინვის" პოლიტიკის წინააღმდეგ და თვით ლეიბორისტულ პარტიაში არსებულმა წინააღმდეგობებმა ლიდერებსა და რიგით წევრებს შორის უმნიშვნელოვანეს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებში და მთავრობის აშკარა ლაქიაობამ ბურჟუაზიის წინაშე მნიშვნელოვნად შეარყია პარტიის ავტორიტეტი და გავლენა. ჰ. პოლიტი მესამე ლეიბორისტული მთავრობის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი „საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა ძირითად სა-

კითხში მოქმედებდა, როგორც კონსერვატორული პარტიის „მემარცხენე ფრთა". ინგლისელი მოსახლეობის უკმაყოფილებამ თავი იჩინა 1950 და 1951 წლების საპარლამენტო არჩევნებში. ორივე ეს არჩევნები ჩატარდა ვადაზე ადრე, 1950 წლის თებერვალში. პარლამენტის არჩევნებმა ლეიბორისტებს უმნიშვნელო წარმატება მოუტანა. მათ მიიღეს ამომრჩეველთა 13,3 მლნ. ხმა (46,1%) და 315 ადგილი წარმომადგენელთა პალატაში, ხოლო კონსერვატორებმა — 12,5 მლნ. ხმა (ე. ი. 43,5%) და 297 ადგილი. ლიბერალებმა მიიღეს 10 ადგილი პარლამენტში. ამრიგად, ლეიბორისტებს წარმომადგენელთა პალატაში, ორივე პარტიასთან შედარებით, მხოლოდ 6 ადგილით მეტი ჰქონდათ (1946 წლის არჩევნებში კი 392—201-ის წინააღმდეგ, ე. ი. 191-ით მეტი). ასეთი მდგომარეობის გამო მოკლე ხანში ახალი რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. ამრიგად, ლეიბორისტებმა, ლიდერების ანტიმუშური და რეაქციული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის გამო ხალხთა სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურეს.

მეოთხე ლეიბორისტული მთავრობის სათავეში კვლავ ეტლი აღმოჩნდა, რომელმაც ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები არჩევნების შედეგებიდან და საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ძველ პოზიციაზე დარჩა. კვლავ გრძელდებოდა გაჭალებული შეიარაღების კურსი. 1950 წლიდან მთავრობა შეუდგა ხელახალი შეიარაღების სამწლიანი გეგმის განხორციელებას, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო 4700 მლნ. გირვანქა სტერლინგი. ასეთი უზარმაზარი თანხების სამხედრო მიზნებისათვის გამოყოფამ დიდი დარტყმა მიაყენა ინგლისის ისედაც მოშლილ ფინანსურ სისტემას. ამან გამოიწვია გადასახადების გაზრდა და ხალხთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. კონსერვატორებმა შექმნილი ვითარება გამოიყენეს ლეიბორისტების წინააღმდეგ მკაცრი კრიტიკის გასაჩაღებლად. კამპანიას სათავეში ჩაუდგა თვით უ. ჩერჩილი. ლეიბორისტული პარტიის ლიდერები ხედავდნენ, რომ თავი ვერ გაართვეს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. ამას ისიც დაერთო, რომ ქვეყანაში მწვავე ეკონომიკური სიძნელეები დაიწყო. ასეთ ვითარებაში იმის შიშით, რომ მთლიანად არ დაეკარგათ გავლენა მასებზე, ლეიბორისტებმა გადაწყვიტეს ხელისუფლების გადაცემა კონსერვატორებისათვის. პარლამენტი დაითხოვეს და 1951 წლის რქტომბრის ბოლოს რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა. ამ არჩევნების დროს ლეიბორისტებს დიდი პოლიტიკური აქტივობა არ გამოუჩენიათ. მათ ამჯობინეს ასპარეზი კონსერვატორებისათვის დაეთმოთ და თვით ოპოზიციაში გადასულიყვნენ. ლეიბორისტებმა ხელისუფლება ფაქტობრივად დაუთმეს კონსერვატორებს, რომელთაც პარლამენტში ჰყიოდეს 321 ადგილი, ლეიბორისტებმა კი — 295. კონსერვატორულ მთავრობას სათავეში ჩაუდგა უ. ჩერჩილი (1955 წლამდე), რომელიც შემდეგ ამ პოსტზე

ა. იდენმა შეცვალა. მანამდე კი მას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

კონსერვატორების საშინაო პოლიტიკა. კონსერვატორულმა მთავრობამ ხელისუფლების სათავეში მოსვლიდანვე უარყო ლიბერალისტების „ექსპერიმენტები", რათა ქვეყნის მრეწველობის განვითარება გარკვეული გზით წარემართათ განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის. კონსერვატორები მხოლოდ სავალუტო და საბიუჯეტო კონტროლს ატარებდნენ. კონსერვატორების აზრით საკმარისია კაპიტალისტებმა მოგების თავისუფლება მიიღონ, რომ ეკონომიკის განვითარება საჭირო მიმართულებით წავა. კონსერვატორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საპროცენტო ღირებულების რეგულირების საქმეს, რათა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის საშიში ინფლაცია აეცილებინათ. ე. წ. „სავალუტო და საბიუჯეტო კონტროლის" პოლიტიკის გატარების საბაბით კონსერვატორებმა მკვეთრად შეამცირეს სოციალური ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ხარჯები, შემცირდა სურსათისა და ნედლეულის იმპორტი, რამაც გამოიწვია სურსათზე ფასების ზრდა. კონსერვატორებმა გაზარდეს საპროცენტო ღირებულება და გააძნელეს კრედიტის მიღების პირობები, რათა საშინაო ბაზრის მოთხოვნები შეემცირებინათ მოხმარების საგნებზე და კაპიტალისტები იძულებული გაეხადათ მეტი საქონელი გაეტანათ საგარეო ბაზარზე. მათი მიზანი იყო ინგლისის ექსპორტის გაზრდა, რომელსაც, მთავრობის აზრით, მოჰყვებოდა ინგლისის საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესება სხვა ქვეყნებთან და ეკონომიკის ზრდა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ინგლისის მრეწველობაზეც. საპროცენტო ღირებულების გაზრდამ დააყოვნა მრეწველობის განვითარება. მრეწველობის ერთ ადგილზე გაყინვის მიზეზი ისიცაა, რომ ის საწარმოები (მეტალურგიული, ქიმიური, საავტომობილო და სხვები), რომელნიც არ იყო ნაციონალიზებული და კაპიტალისტების ხელში იმყოფებოდა, ტექნიკურად ჩამორჩენილი იყო.

აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების შედეგად იმპორტის შემცირებამ გამოიწვია ფასების ზრდა, ამას კი მოჰყვა მშრომელთა მასების საერთო მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება, მაგალითად, თუ 1952 წლის ცხოვრების დონის ინდექსად ავიღებთ 100%-ს, 1957 წლისათვის იგი 125% იყო.

კონსერვატორების ასეთი პოლიტიკა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მშრომელთა ფართო ფენებში. ამიტომ იყო, რომ მათ რამდენიმეჯერ შეცვალეს მთავრობის შემადგენლობა. 1951 წლის ოქტომბრიდან 1955 წლის აპრილამდე ხელისუფლების სათავეში იდგა ჩერჩილი, შემდეგ 1957 წლის იანვრამდე ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჩერჩილის

მთავრობაში — იდეხი, 1957 წლის იანვრიდან კი ჩაუდგა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იდენის მთავრობაში — მაკმილანი.

კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ინგლისი პირველია, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბირთვული ენერგიის მრეწველობაში გამოყენებას და პირველ რიგში ელექტროენერგიის წარმოებას, რაც აიხსნება იმით, რომ იგი დამოკიდებული იყო საზღვარგარეთის ნავთობზე.

1955 წლის თებერვალში ინგლისში დაგეგმეს 2 მლნ კილოვატი საერთო სიმძლავრის 12 ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის ათწლიანი პროგრამა. 1956 წელს მიღებული ახალი პროგრამით კი დაიგეგმა 6 მლნ კილოვატი საერთო სიმძლავრის 19 ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, ე. ი. 3-ჯერ მეტისა, ვიდრე წინათ იყო გათვალისწინებული. 1960 წელს ეს გეგმაც შეიცვალა და გადაწყვიტეს 1970 წლისათვის 7 ატომური სადგურის აგება. პირველი ატომური სადგური „კოლდერ-ჰოლის" სახელწოდებით 1956 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. 1970 წლისათვის უკვე 10 ატომური სადგური იყო ექსპლუატაციაში შესული.

ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა სამხედრო მიზნებსაც ემსახურებოდა. 1962 წლისათვის ინგლისს უკვე ჰქონდა ბირთვული ე. წ. „დამაშინებელი ძალები", 180 ბომბდამშენი, 60 ამერიკული რაკეტა და ორი მშენებლობის პროცესში მყოფი წყალქვეშა ნავი ატომური ძრავებით. ამრიგად, აუარებელი ხარჯების ფასად ინგლისი მესამე ატომური სახელმწიფო გახდა.

ასეთი გამალებული შეიარაღება და განსაკუთრებით ბირთვული იარაღით აღჭურვილი სამხედრო ძალების შექმნა მილიარდები უჯდებათ ინგლისელ მშრომელებს, რომელთა ზურგზეა მთელი ამ ხარჯების სიმძიმე. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი კი, პირიქით, ზღაპრულ მოგებებს იღებს ამ გამალებული შეიარაღებით. 1954 წელს ინგლისის შეიარაღებული ძალების რაოდენობამ 1 მლნ. კაცს მიაღწია. სწორედ ეს უზარმაზარი სამხედრო ხარჯები იყო იმის მიზეზი, რომ ინგლისი ეკონომიკის განვითარების ტემპებით მნიშვნელოვნად ჩამორჩა თავის პარტნიორებს. უზარმაზარმა სამხედრო ხარჯებმა გამოიწვია პირდაპირი და აპირდაპირი გადასახადების გაზრდა, რომლის კანონზომიერი შედეგი გახდა ქვეყნის საშინაო ბაზრის შევიწროება. ამ გარემოებამ მთავრობა აიძულა გაეუქმებინა საყოველთაო სამხედრო სამსახური. გადაწყდა, რომ ინგლისს ჰყოლოდა მცირე რჩეული, პროფესიული ქვეითი, ბირთვული იარაღით აღჭურვილი არმია.

ინგლისის სამხედრო სარდლობამ ამავე დროს გადაწყვიტა, რომ ბირთვული იარაღის ადგილზე მიტანის მთავარ საშუალებად უნდა იქცეს საშუალო და შორ რადიუსზე მოქმედი რაკეტები. მაგრამ ეს პოლიტიკა ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა მას შემდეგ, როდესაც

საბჭოთა კავშირმა გაუშვა პირველი თანამგზავრი, რომელსაც მოჰყვა სხვა საბჭოთა თანამგზავრები და კოსმოსური ხომალდები, რის შემდეგ ინგლისის ე. წ. ატომგულის სტრატეგიამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

კონსერვატორებმა ლეიბორისტული მთავრობის მიერ განხორციელებული ნაციონალიზაცია ცნეს, მაგრამ ამავე დროს, პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა განაცხადა, რომ იგი „პრინციპში წინააღმდეგია ნაციონალიზაციისა". მართალია, კონსერვატორული მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს აბანდებდა ნაციონალიზებულ საწარმოებში, მაგრამ გარდა ელექტროენერგეტიკულისა, სხვა საწარმოებში იგი არასაკმარისი იყო მთლიანი რეკონსტრუქციისათვის. 1953 წელს უ. ჩერჩილის მთავრობამ ლეიბორისტების მიერ ნაციონალიზებული 55 ფოლადჩამოსასხმელი ქარხანა და სატვირთო მანქანების ტრანსპორტი ხელსაყრელ პირობებში მიჰყიდა მონოპოლიებს.

უ. ჩერჩილი ნაციონალიზაციის საკითხს ბიზნესის თვალსაზრისით აფასებდა და იგი ამ მხრივ არახელსაყრელ ღონისძიებად მიაჩნდა.

კონსერვატორების კოლონიური და საგარეო პოლიტიკა 1951—1958 წლებში. ხელისუფლების სათავეში მოსვლის დღიდან კონსერვატორები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შემდგომი დაშლა, ხოლო ყოფილ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში გაეძლიერებინათ ეკონომიკური ექსპანსია. რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი გააფთრებით იბრძოდნენ მალაიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და ცდილობდნენ მის დათრგუნვას. მალაიაში კონცენტრირებულ იქნა ინგლისელთა 140 ათასიანი არმია, მაგრამ მათ მაინც ვერ შეძლეს მალაიელი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვა და ეს ბრძოლა საბოლოოდ ინგლისელთა დამარცხებით დამთავრდა. ინგლისი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1957 წლის აგვისტოში მალაია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ინგლისელი კოლონიზატორები ეგვიპტეში. 1952 წლის 23 ივლისს ეგვიპტელმა ხალხმა დაამხო ინგლისელთა ინტერესების დამცველი მეფე ფარუკი. ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა ეგვიპტის არმიის ოფიცერთა ჯგუფი პოდპოლკოვნიკ გ. ა. ნასერის მეთაურობით, რომელმაც მიზნად დაისახა ეგვიპტის დამოუკიდებლობის მიღწევა. ეგვიპტელი ხალხის მასობრივი გამოსვლებისა და ბრძოლის შედეგად ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა გაეყვანა ჯარები სუეცის არხის ზონიდან. მაგრამ ეს სრულ დამოუკიდებლობას როდი ნიშნავდა. სუეცის არხი იმყოფებოდა საერთაშორისო კომპანიის ხელში, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ სახელმწიფოს სახელმწიფოში.

1956 წლის ივლისში ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა სუეცის არხის საერთაშორისო კომპანიის ნაციონალიზაცია კომპენსაციის გადახდით, მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა ამას ინტერვენციით უპასუხეს. ამ აგრესიულ აქტში ინგლის-საფრანგეთის წაქეზებით მონაწილეობა მიიღო ისრაელმაც. მაგრამ ეს ბრძოლა დამთავრდა აგრესორთა საშარცხვინო დამარცხებით, რის შემდეგ ეგვიპტელმა ხალხმა შეძლო დამოუკიდებლობის მიღწევა. ინგლისელთა კოლონიური უღლისაგან ასევე განთავისუფლდა: სუდანი (1955 წელს), ოქროს სანაპირო (1957 წელს), რომელმაც მიიღო უძველესი აფრიკული სახელწოდება — განა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ეწეოდნენ აფრიკაში — კენიის, როდეზიის, ნიგერიის, ტანგანიკას, აზიაში — ადენის, ომანის და სხვა ხალხები.

ამრიგად, კონსერვატორული მთავრობის ყოველგვარმა ცდამ, რომ ცეცხლითა და მახვილით შეეჩერებინა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის დაშლის პროცესი — კრახი განიცადა.

კოლონიებში ინგლისის პოზიციების შესუსტების ერთ-ერთ ფაქტორად მიაჩნიათ აგრეთვე აქ აშშ-ის პოზიციების გაძლიერება. აშშ ხომ ყოველთვის ღია კარების პოლიტიკის მომხრედ გამოდიოდა კოლონიებში, რათა თავისი იმპერიალისტური მეტოქეების ადგილი დაეკავებინა იქ.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისსა და აშშ-ს შორის მწვავე საკონკურენციო ბრძოლა იყო, ბრიტანეთის იმპერიალიზმი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამერიკის ხელმძღვანელობით შექმნილი საშხედრო დაჯგუფებების შექმნაში. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ინგლისი ექცევა აშშ-ის სამხედრო და პოლიტიკურ გავლენაში, რაც ბუნებრივია, ზღუდავს მის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. აშშ-თან შედარებით ინგლისის ეკონომიკურმა და საშხედრო სისუსტემ თავი იჩინა საგარეო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა საყოველთაო სავალდებულო განიარაღება, ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა, გერმანიის საკითხის მოგვარება, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის განვითარება. ამ საკითხებში ინგლისის კურსი ძირითადად ემთხვეოდა აშშ-ის მთავრობის აგრესიული საგარეო პოლიტიკის კურსს.

უთანასწორო საშხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შედეგად ინგლისი გადაიქცა აშშ-ის ატომურ ბაზად ევროპაში, რის გამოც რეალური საშიშროება შეიქმნა იმისა, რომ ქვეყანა შესაძლოა აღმოჩნდეს პენტაგონის გენერალების ავანტიურიზმის მსხვერპლი.

ინგლისმა აქტიური როლი შეასრულა აგრესიული ბლოკის — სენტოს — შექმნაში. მან დიდი წვლილებით შეაკოწიწა აგრესიული დაჯგუფება ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომელსაც თავდაპირველად ბაღ-

დადის პაქტი ეწოდებოდა, ხოლო ერაყში მომხდარი რევოლუციის და ამ დაჯგუფებიდან მისი გამოსელის შემდეგ იგი სენტოს სახელწოდებითაა ცნობილი.

კონსერვატორული მთავრობის საშინაო პოლიტიკა (1958—1964 წწ.). სუეცის ავანტიურის სამარცხვინოდ ჩაფუშვის შემდეგ ა. იდენი 1957 წლის იანვარში იძულებული გახდა გადამდგარიყო და კონსერვატორულ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჰაროლდ მაკმილანი, რომელიც 1963 წლის ოქტომბერში შეცვალა ლორდმა ალეკ დუგლას ჰიუმმა. ამ უკანასკნელს პრემიერ-მინისტრის პოსტი მხოლოდ ერთ წელიწადს ეკავა, ვინაიდან 1964 წლის არჩევნებში კონსერვატორები დამარცხდნენ. კონსერვატორებმა 1951 წლის არჩევნების შემდეგ კიდევ ორჯერ მიაღწიეს წარმატებას — 1955 და 1959 წლებში. მაგრამ არჩევნებში კონსერვატორული პარტიის წარმატებები აიხსნება ლეიბორისტული პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში უინიციატივობით. კ. ეტლის გადადგომისა (1955 წ.) და პარტიის სათავეში ჰიუ გეიტსკელის მოქცევის შემდეგ იგი ერთგვარ კრიზისს განიცდიდა.

კონსერვატორები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებას. საგადასახადო ბალანსის დეფიციტის ლიკვიდაციის მიზნით კონსერვატორები ხშირად მიმართავდნენ „სტოპ-იდის" პოლიტიკას, დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით იმპორტის შემცირებას. ინფლაციის თავიდან აცილების მოტივით კი კონსერვატორები ზრდიდნენ გადასახადებს და გამოდიოდნენ ხელფასის გაზრდის წინააღმდეგ. ისინი გეგმური წარმოების შემოღებასაც კი შეეცადნენ და ამ მიზნით 1962 წელს შექმნეს ეკონომიკური განვითარების ეროვნული საბჭო. მისი ამოცანა უნდა ყოფილიყო მრეწველობის ძირითად დარგებში კაპიტალის დაბანდებისა და წარმოების მოცულობის განსაზღვრა, ეკონომიკის პროპორციული განვითარების ფორსირება და ხელფასის საკითხებში არბიტრაჟის განხორციელება. მთავრობამ ხუთწლიანი გეგმაც (1961—1966 წწ.) კი მიიღო, რომელიც საზოგადოებრივი პროდუქტის ყოველწლიურ მატებას 4%-ით ითვალისწინებდა. მაგრამ მონოპოლიები ითვალისწინებდნენ ამ გეგმის დირექტივების იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ მათ ინტერესებს შეესაბამებოდა, რის გამოც ეს გეგმა ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა. საყურადღებოა, რომ კონსერვატორებმა მოგებებზე გადასახადები შეამცირეს, მაგრამ მუშათა მრავალრიცხოვანი გამოსვლების შედეგად იძულებული გახდნენ მათ წინაშე დათმობებზე წასულიყვნენ, კერძოდ, შემცირდა სამუშაო დრო და დაწესდა ორკვირიანი ფასიანი შვებულება. კონსერვატორები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ „ხელფასების გაყინვის" კურსზე და 1960 წლამდე ყოველწლიურად ზრდიდნენ ხელფასს 5%-ით. მაგრამ რადგან ფასები 3%-ით

გაიზარდა, ფაქტობრივად ეს ნიშნავდა ხელფასის არა 5, არამედ 2%-ით მომატებას. 1961 წელს ინფლაციის შიშით მთავრობამ ხელფასების გაზრდის საქმეში „შესვენება“ გამოაცხადა. ეს მაშინ, როცა ზემოგებებზე გადასახადები შეამცირა 80 მლნი გირვანქა სტერლინგით. ასეთმა კურსმა მუშათა გამოსვლები გამოიწვია, რამაც 1962 წელს მთავრობა აიძულა დათანხმებულიყო ხელფასის ყოველწლიურად ზრდაზე 2%-ით, მაგრამ ვინაიდან ფასები პროდუქტებზე 3%-ზე მეტად იზრდებოდა, მუშათა რეალური შემოსავალი ფაქტობრივად შემცირდა. ამასთანავე მნიშვნელოვნად გაიზარდა მონოპოლიების ზემოგებები, რომლებიც ხშირად 200% აღემატებოდა. განუწყვეტელი სამხედრო ხარჯები, კაპიტალისტური რაციონალიზაცია და ავტომატიზაციის დანერგვა მუშათა ქრონიკულ უმუშევრობას იწვევდა, მაშინ როდესაც გაბატონებული კლასები კვლავ ფუფუნებაში ცხოვრებას განაგრძობდნენ. მოსახლეობის 1%-ის ხელში იყო თავმოყრილი მთელი საკუთრების 43%, და მხოლოდ მოსახლეობის 99% ფლობდა დანარჩენს.

კონსერვატორული მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა (1958—1964 წწ.). კონსერვატორების ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს ძირითადად დასრულდა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის დაშლა. 1962 წელს კოლონიების საქმის მინისტრისა და თანამეგობრობის მინისტრის თანამდებობები გაერთიანდა.

დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა ინდოეთთან და ცეილონთან დროებით სტაბილიზებული იყო ახალ, შედარებით თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, არაბებთან კი, სუეცის ავანტიურის სამარცხვინო ჩაშლის შემდეგ, პირიქით, ძალზე დაძაბული გახდა. დიდი ბრიტანეთის პრივილეგიური პოზიციებიდან ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა, განსაკუთრებით ეგვიპტესა და ერაყში. რაც შეეხება ინგლისის ნავთობების კომპანიებს, მათ ახლო აღმოსავლეთში შეინარჩუნეს საკუთრების დიდი ნაწილი. კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმი“ კუვეიტში ფლობდა ნავთის კონცესიების აქციების 50% ხმელეთზე, ხოლო 1961 წელს კომპანია „შელლმა“ მთლიან კონტროლს მიაღწია ნავთის მოპოვებაზე ზღვაში. ორივე ეს ინგლისური კომპანია ირანში კონტროლს უწევდა ნავთის მოპოვების 54%, ერაყში კი — კონსორციუმის აქციების 47,5%. „ბრიტიშ პეტროლეუმის“ ხელშია დღევანდლამდე სპარსეთის ყურის ერთ-ერთი სამთავროს აბუ-დაბის ნავთობის საზღვაო საბადოები, სადაც ნავთის მოპოვება დაიწყო 1962 წლიდან. გარდა ამისა, 60-იან წლებში ინგლისის ფირმებმა სპარსეთის ყურის მდიდარ სამთავროებთან, ირანთან და ლიბიასთან ხელსაყრელი კონტრაქტები დადეს სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურების, ნავთობსადენების, ნავსადგურების, საცხოვრებელი ბინების მშენებლობის შესახებ.

სუეცის ავანტიურის შემდეგ არაბეთის აღმოსავლეთში ინგლისის პოზიციების შესუსტება დიდმა სახელმწიფოებმა, უპირველეს ყოვლისა, აშშ-მა გამოიყენეს. ომამდე არაბეთში მოპოვებული ნავთობის 70% მოდიოდა ინგლისზე, აშშ-ზე კი — მხოლოდ 15%. 50-იანი წლების შუა პერიოდში მდგომარეობა შეიცვალა, ინგლისზე მოდიოდა 30%, აშშ-ზე — 60%. მაგრამ ასეთი ცვლილებები ძირითადად მოხდა საუდის არაბეთსა და კუვეიტში ომის შემდგომ პერიოდში ნავთობის მოპოვების მკვეთრად ზრდასთან დაკავშირებით. 1975 წლისათვის საუდის არაბეთში ამერიკის კომპანიებზე მოდის ნავთის მოპოვების თითქმის 100%, კუვეიტში — 50%. 1954 წელს ამერიკამ ინგლისის ყოფილი კოლონიისაგან ირანში შეიძინა აქციების 40%. 1956 წლის ამბების შემდეგ აშშ-ის გავლენა ახლო და შუა აღმოსავლეთში (ირანში, საუდის არაბეთში, ლიბანსა და ისრაელში) მნიშვნელოვნად გაიზარდა ინგლისის ხარჯზე. 50-იანი წლების დამლევამდე აშშ-ის მმართველი წრეები, იბრძოდნენ რა ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის, უარს ამბობდნენ ინგლისთან ერთად არაბეთის აღმოსავლეთის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თავი ისე მოჰქონდათ, თითქოს თანაუგრძნობდნენ არაბეთის ხალხის ეროვნულ მოძრაობას. აშშ-თვის სულერთი იყო, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ინგლისისათვის ასეთ პოლიტიკას. ბუნებრივია, რომ ამერიკის ასეთი პოზიცია ახლო აღმოსავლეთში და, საერთოდ, აზიაში ძირს უთხრიდა ბრიტანეთის იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას და მისი დაშლის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა. ინგლისმა სუეცის ავანტიურის წინ ახლო აღმოსავლეთში დამოუკიდებელი კურსი განახორციელა. კონსერვატორულმა მთავრობამ იცოდა, რომ ეგვიპტეს მხარს დაუჭერდა საბჭოთა კავშირი, მაგრამ ის კი ვერ წარმოედგინა, თუ აშშ-ის მთავრობა საბჭოთა კავშირთან ერთად გამოვიდოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და აშკარად გაემიჯნებოდა მას. საყურადღებოა, რომ სუეცის ავანტიურის წინ პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა 30 ოქტომბერს ტელეგრამა გაუგზავნა ა. იდენს და მოითხოვა ინგლის-ამერიკას შორის აზრთა ურთიერთგაზიარება. მაგრამ იდენმა განაცხადა, რომ „როდესაც აგზნება დაცხრება, მაშინ, ალბათ, ხელსაყრელი პირობები შეიქმნება ნამდვილი კონსტრუქციული შეხვედრების მოსაწყობად". ინგლისის გავლენა არაბულ აღმოსავლეთში სუეცის ავანტიურის შემდეგ შესუსტდა, არაბეთის აღმოსავლეთის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან გაძლიერდა. ინგლისის შესუსტებას ამ რაიონში ხელი შეუწყო აგრეთვე ისრაელ-არაბეთის წინააღმდეგობამ, რომლის დროსაც ინგლისი პირველის მხარეზე გამოდიოდა.

სუეცის ავანტიურის ჩაშლამ ძირეული გარდატეხა მოახდინა კონსერვატორული მთავრობის კოლონიური პოლიტიკის კურსზე და ამ კურსის მთლიანი შეცვლა გამოიწვია. ამ ამბავმა ინგლისის მმართველი წრეები დაარწმუნა, რომ ბრიტანეთის მთავრობის ყოველი უმნიშვნელოვანესი დამოუკიდებელი პოლიტიკური ან სამხედრო აქცია მარცხით დამთავრდებოდა, თუ იგი წინასწარ არ იქნებოდა შეთანხმებული ვაშინგტონთან. ერთი სიტყვით, ინგლისს უარი უნდა ეთქვა დამოუკიდებელ კოლონიურ და საგარეო პოლიტიკურ კურსზე და აშშ-ის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო.

ახლო აღმოსავლეთის ხალხების მიმართ აშშ-ის მმართველმა წრეებმაც მალე ჩამოიხსნეს ნიღაბი, კერძოდ, მას შემდეგ, რაც არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებმა უარი თქვეს ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინის ცნობაზე. ეს ფაქტი ამერიკამ პოზიციების სისუსტედ მიიჩნია და წერტილი დაუსვა ამ ხალხებთან „მეგობრობის" ტაქტიკას. ინგლისის მთავრობამ კი მხარი დაუჭირა ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინას და 1958 წელს აშშ-თან ერთად ჯარები გადასხა ლიბანსა და იორდანიაში, რათა დაეცვათ მეფე ჰუსეინის რეჟიმი, რომელიც საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ერაყის რევოლუციის შედეგად. ამერიკა-ინგლისის აგრესიულმა ნაბიჯმა ფეოდალური და რეაქციული წრეების მხარდაჭერა პოვა, მაგრამ დემოკრატიული ძალების აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ იმპერიალისტები იძულებული გახდნენ ჯარების ევაკუაცია მოახდინათ. ამრიგად, სუეცის შემდეგ ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები ახლო აღმოსავლურ პოლიტიკას ურთიერთშორის შეთანხმების გზით ახორციელებდნენ, რათა დაეცვათ თავიანთი პოზიციები, მხარი დაეჭირათ რეაქციული რეჟიმისათვის, ხელი შეეშალათ რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებისათვის და განეგრძოთ ნავთობის კომპანიების და ამ ქვეყნების ბუნებრივი რესურსების ძარცვა.

ამრიგად, ინგლის-ამერიკის შეთანხმება ახლო აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და რეაქციული რეჟიმისათვის მხარდასაჭერად მას შემდეგ მოხდა, როდესაც ეგვიპტესა და ერაყში პროგრესული მთავრობები შეიქმნა. თუმცა ინგლისმა დაკარგა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები ეგვიპტე და ერაყი, მაგრამ იგი პოზიციების შენარჩუნებას და განმტკიცებას ცდილობდა სპარსეთის ყურეში, საუდის არაბეთსა, ირანში და სამხედრო ბაზის შენარჩუნებას ადენში. ადენი ნავთობის ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი ნავსადგურია მსოფლიოში და მის შენარჩუნებას ინგლისისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ იმყოფებოდა ბრიტანეთის სამხედრო შტაბი, რომელიც კონტროლს უწევდა კუვეიტს, აბუ-დაბის და სპარსეთის ყურის სამთავროებს. გარდა ამისა, ადენი იყო სამხედრო ოპერაციების

ბაზა აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისმა დაკარგა კენია თავისი ბაზებით. მაგრამ ადენი, რომელიც მაღალი ინდუსტრიული ქალაქი და პორტი არის, 50-იანი წლების დამლევისათვის სამხრეთ არაბეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი გახდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ადენში უფრო მეტად გაიზარდა 1962 წელს იემენის რევოლუციის შედეგად, რომელმაც დაამხო მონარქია და რესპუბლიკა გამოაცხადა.

1959 წელს არაბეთში პოზიციების შენარჩუნებისათვის კონსერვატორულმა მთავრობამ შექმნა არაბეთის ემირატების ფედერაცია და მასთან ხელშეკრულება დადო მეგობრობისა და დახმარების შესახებ. ინგლისის ხელში აღმოჩნდა ფედერაციის საგარეო პოლიტიკა და მისი თავდაცვა.

1963 წელს სამხრეთ არაბეთის ფედერაციაში ხალხის სურვილის გარეშე ადენიც შეიყვანეს, მაგრამ ამან კიდევ უფრო გააძლიერა აქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1956 წლის სუეცის ამბების შემდეგ მწვავე შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ინგლისსა და ადგილობრივ ძალებს შორის ბაჰრეინში, კუვეიტში, კატარში, აბუ-დაბში და ლიბანში; ინგლისელებს აქაც გააჩნდათ ბაზები, რომელთა მთავარი დანიშნულება იყო ნავთობის კონცესიების დაცვა სპარსეთის ყურეში. მაგრამ სპარსეთის ყურის სამ მთავარ სახელმწიფოს ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზიები ბრიტანეთის გავლენის სფეროებზე: საუდის არაბეთს — ბურაიმის ოაზისზე, ირანს — ბაჰრეინსა და პატარა კუნძულებზე — ტუმბსა და აბუუსაზე, ერაყს კი — კუვეიტზე. მართალია, თვით ამ სახელმწიფოებს შორისაც იყო წინააღმდეგობანი, მაგრამ სამივე თვლიდა, რომ ინგლისის გაძევება მათ ტერიტორიას შემატებდა. 1961 წელს კონსერვატორულმა მთავრობამ, იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღო ერაყის ტერიტორიული პრეტენზიებისათვის კუვეიტზე, ახალი ხელშეკრულება დადო შეიხთან, რომლითაც სცნო კუვეიტის სუვერენიტეტი. 1961 წელს კუვეიტი გახდა არაბული ქვეყნების ლიგის წევრი, 1963 წლიდან კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიდა. საყურადღებოა, რომ არაბეთის არც ერთი ქვეყანა: ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, სუდანი, კუვეიტი და სპარსეთის ყურისა და სამხრეთ არაბეთის ემირატები არ შედიან და არც ადრე შედიოდნენ „ბრიტანეთის თანამეგობრობაში“.

კონსერვატორული მთავრობა დიდხანს ებღაუჭებოდა თავის კოლონიურ ბატონობას სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ საბოლოოდ აქაც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის გარდა, დანარჩენი სამარიდან სამხრეთით ბდებარე ქვეყნები, რომელნიც ერთ დროს ბრიტანეთის იმპერიაში შედიოდნენ, ახლა წარმოადგენენ ერთა თანამეგობრობის დამოუკიდებელ წევრებს და

რჩებიან იმპერიის პრეფერენციების სისტემასა და სტერლინგის ზონაში. ეს არის თორმეტი სახელმწიფო: განა, გამბია, სიერე-ლეონე, ზამბია, კენია, უგანდა, მალავი, ტანზანია, ბოსტვანა, ლესოტო და სმაზილენდი. ინგლისის საგრეწველო, ფინანსური და სავაჭრო კაპიტალი ამ ქვეყნებში გაბატონებულ როლს ასრულებს. 60-იანი წლების შუა პერიოდში ინგლისს აქ ჰქონდა დაბანდებული 900 მლნ. გირვანქა სტერლინგი. გარდა ამისა, ამერიკის გავლენა აქ უფრო სუსტია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. აფრიკის ეს ქვეყნები თანდათანობით ამყარებენ მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და მათი მხარდაჭერით და დახმარებით ცდილობენ ბოლო მოუღონ თავიანთ ქვეყანაში უცხოეთის მონოპოლიებისა და კაპიტალის ბატონობას.

ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო დასავლეთ აფრიკის ხალხების მიმართაც და ეცნო მათი დამოუკიდებლობა, რომელთა შორის ყველაზე დიდი კოლონია იყო ნიგერია.

კონსერვატორული მთავრობა იძულებული გახდა ეცნო იამაიკის (კარიბის ზღვაში), კვიპროსის (ხმელთაშუა ზღვაში), სინგაპურის (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში) და სხვა ყოფილი კოლონიების დამოუკიდებლობა. ინგლისი სამხედრო ბაზებს ინარჩუნებდა გიბრალტარში, მალტაში, ჰონკონგში, ბაჰრეინის კუნძულებზე, ხოლო საჰაერო ბაზებს — კენიაში, ტანგანიკაში, უგანდაში, ლიბიაში და ა. შ.

1960 წლისათვის ბრიტანეთის იმპერიას კოლონიური უღლის ქვეშ ჰყავდა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (6%).

1961 წელს სამხრეთ აფრიკის კავშირი გამოვიდა „ერთა თანამეგობრობიდან", მაგრამ ინგლისმა შეინარჩუნა აქ თავისი სამხედრო-საზღვაო ბაზა — საიმონსტაუნი, რომლისთვისაც მხარდაჭერა აღუთქვა იან სმიტის რასისტულ რეჟიმს და იარაღს აწვდის მას. აქ და როდეზიაში ინგლისის კაპიტალის პოზიციები ჯერჯერობით მნიშვნელოვანია.

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში კონსერვატორულმა მთავრობამ აქტიური როლი შეასრულა დასავლეთის კავშირის შექმნის საქმეში, რომლითაც ლეგალიზებულ იქნა დასავლეთ გერმანიის ჯარების აღდგენის საქმე. აქ გაერთიანდნენ: ინგლისი, საფრანგეთი, გფრ, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი.

ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებთან კავშირის შენარჩუნებასთან ერთად კონსერვატორული მთავრობა ცდილობდა „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ მის ინტერესებს არ შეესაბამებოდა, რომ „საერთო ბაზართან" დაკავშირებული ყოფილიყო თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები. „საერთო ბაზარში" შესვლაზე უარის მიღების შემდეგ 1958 წელს კონ-

სერვატორებმა „საერთო ბაზრის“ საწინააღმდეგოდ ინგლისის მეთაურობით შექმნეს ახალი დაჯგუფება „თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის“ სახელწოდებით, რომელშიც გაერთიანდნენ: ინგლისი, შვეცია, შვეიცარია, ნორვეგია, პორტუგალია, დანია და ავსტრია. ევროპა ფაქტობრივად გათიშული აღმოჩნდა ორ ეკონომიკურ დაჯგუფებად. ამ ახალმა ასოციაციამ ვერ შეძლო „საერთო ბაზრისათვის“ კონკურენციის გაწევა. „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან ტრადიციული ვაჭრობის დარღვევა დიდ ზარალს აყენებდა ინგლისს, ამიტომ 1961 წელს მაკმილანის მთავრობამ მოითხოვა „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლა. მაგრამ მას წინ აღუდგა საფრანგეთი, რომელსაც ეშინოდა, რომ ინგლისი „საერთო ბაზარში“ აშშ-ის ინტერესებს დაიცავდა და გარდა ამისა მასში საფრანგეთის პოზიციებსა და გავლენას შეასუსტებდა.

სუეცის ავანტიურის ჩაშლის შემდეგ ინგლისის მმართველი წრეები დარწმუნდნენ საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის სიძლიერის ზრდაში და გეზი აიღეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციისაკენ. 1959 წელს პრემიერ-მინისტრი მაკმილანი ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირში. დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო. საპასუხო ვიზიტით ინგლისში იყვნენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. ინგლისმა ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის სამ სფეროში გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებას.

§ 22. მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული ეროვნობა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე (1945—1957 წწ.)

მუშათა მოძრაობა. ლეიბორისტების სოციალურმა რეფორმიზმმა გარკვეული როლი შეასრულა მუშათა კლასში რეფორმისტული ილუზიების დანერგვაში, რის გამოც შესუსტდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობა. მემარჯვენე ლეიბორისტებისა და პროფკავშირთა ლიდერებს სურვილის საწინააღმდეგოდ 1945—1951 წლებში მუშათა გაფიცვებსა და ლოკაუტებში „დაკარგული“ სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენდა 12 740 ათასს. მხოლოდ 1946 წელს მოხდა 2205 გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 526 ათასი კაცი და რომლის შედეგად დაიკარგა 2182 ათასი მუშადღე. 1946—1948 წლებში გაფიცვებში მონაწილეობდნენ ლონდონის სატრანსპორტო და საავტომობილო ქარხნების მუშები და მეშახტეები. 1947—1948 წლების გაფიცვებში მონაწილეთა ნახევარი მეშახტეებზე მოდიოდა. 1949 წელს კი მათთან ერთად გაფიცვებში მონაწილეობდნენ რკინიგზელები, მელითონეები, დოკერები და სხვები. 1950 წელს გაიფიცნენ ლონდონის გაზის ქარხნების

მუშები. „ხელფასის გაყინვის“ პოლიტიკას მუშებმა რიგი გამოსვლებით უპასუხეს. ამ მოძრაობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ 1950 წლის სექტემბერში ტრედუნიონების კონგრესმა, მიუხედავად იმისა, რომ გენსაბჭო მხარს უჭერდა, დაგმო იგი. მთავრობა გაფიცული მუშების წინააღმდეგ იყენებდა ჯერ კიდევ ომის დროს მიღებულ კანონს, რომელიც კრძალავდა გაფიცვებს. მის საფუძველზე ინგლისის სასამართლო ორგანოებმა დააპატიმრეს გაფიცვის ორგანიზატორები. კანონის წინააღმდეგ მოძრაობამ ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ 1951 წელს მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა იგი.

მუშათა ამ გამოსვლების მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო კომპარტია, რომლის წინააღმდეგ ლეიბორისტებმა ანტიკომუნისტური კამპანია გააჩაღეს და კომპარტიის აკრძალვაც კი მოითხოვეს, ხოლო ტრედუნიონების შემარჯვენე ლიდერებმა მოითხოვეს კომუნისტების განდევნა პროფკავშირთა ხელმძღვანელი თანამდებობიდან.

1949 წელს ტრედუნიონების გენსაბჭომ განაცხადა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციიდან გამოდიოდა იმ საბაბით, თითქოს ფედერაცია საბჭოთა პროფკავშირების გავლენაში იმყოფებოდა. ინგლისის ტრედუნიონებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს რეფორმისტული პროფცენტრის — თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის შექმნაში, ხოლო 1951 წელს მათივე ინიციატივით შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული პარტიების საერთაშორისო გაერთიანება — სოციალისტური ინტერნაციონალი.

კონსერვატორული მთავრობის დროს მუშათა მოძრაობამ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. გაიზარდა გაფიცვების, მასში მონაწილეთა და დაკარგული მუშადღის რაოდენობა. კონსერვატორული მთავრობის ხელისუფლების დროს გაფიცვები გაიზარდა. ეს იყო მთავრობის შეტევების გაძლიერების პასუხი.

აღსანიშნავია 1953 წლის დეკემბერში გემთმშენებლობის და მანქანათმშენებლობის მუშების 24-საათიანი გაფიცვა, რომელმაც გრანდიოზული ხასიათი მიიღო, და რომელშიც 2 მლნ-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა. 1953 წელს მუშათა მძლავრი საგაფიცვო მოძრაობის შედეგად ხელფასის გაზრდას 9 მილიონმა კაცმა მიაღწია.

1955 წელს გაფიცვათა და მათში მონაწილეთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა — მოხდა 2419 გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 670 ათასი კაცი და დაიკარგა 3,7 მლნ. მუშადღე. ამ გაფიცვებიდან აღსანიშნავია: მაის-ივნისში რკინიგზის მუშების სამკვირიანი, მბეჭდავი მუშების ოთხკვირიანი და დოკერების ექვსკვირიანი გაფიცვა.

1956 წლის გაფიცვები წინა წელთან შედარებით კიდევ უფრო გა-

იზარდა, რომელშიც 500 ათასი კაცი მონაწილეობდა და 12 მლნ. მუშამ მიაღწია ხელფასების გაზრდას.

1957 წელი გაფიცვების რაოდენობისა და მათში მონაწილეთა რიცხვით რეკორდული იყო და გამოირჩეოდა ომის შემდგომი წლებისაგან. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1957 წელს დაკარგული სამუშაო დღეები უფრო მეტი იყო, ვიდრე წინა სამ წელთან შედარებით ერთად აღებული. საგაფიცვო მოძრაობის გაზრდა 1957 წელს გამოიწვია ეგვიპტეში აგრესიის ხარჯების მშრომელებზე დაკისრებამ. მუშებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ხარჯები იდენის ომისათვის უნდა გადაიხადონ მსხვილმა კაპიტალისტებმა“.

ბრძოლის ავანგარდში იყვნენ გემთმშენებლობისა და მანქანათმშენებლობის მუშები, რომელნიც გაიფიცნენ მარტ-აპრილში. მუშები მოითხოვდნენ ხელფასის 10%-ით მომატებას. მათთვის მხარდასაჭერად გაფიცვები მოაწყვეს სხვა მუშებმაც და გაფიცულთა რაოდენობამ 1,5 მლნ. კაცს გადააჭარბა. მან საერთო ეროვნული ხასიათი მიიღო და მთავრობის დიდი შეშფოთება გამოიწვია. მთავრობა იძულებული გახდა საქმეში ჩარეულიყო და გაფიცვა კომპრომისით დამთავრდა. მუშები დათანხმდნენ ნაცვლად 10%-ისა ხელფასის 6,5%-ით მომატებაზე. მუშათა ეს გამოსვლები ძირითადად ეკონომიკური ხასიათისა იყო.

ბრძოლა მშვიდობისათვის კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე. გამალებული შეიარაღების ზრდას, საერთაშორისო დაძაბულობასა და ბირთვული ომის საშიშროებას ომის შემდგომ პერიოდში მოჰყვა მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მოძრაობა. იგი განსაკუთრებით გაფართოვდა 1949 წლიდან, როდესაც პროგრესული მოღვაწეებისა და მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტი, ხოლო პროვინციებში — ადგილობრივი კომიტეტები. კომიტეტმა 1950—1951 წლებში კორეელი ხალხის წინააღმდეგ ინგლისის მონაწილეობის გამო და დასავლეთ გერმანიის ჯარების აღდგენასთან დაკავშირებით მოაწყო მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები და კრებები. მშვიდობისათვის ბრძოლა შერწყმული იყო ხალხთა მასების ბრძოლასთან უკეთესი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებისათვის. იგი ფაქტობრივად მშრომელთა პოლიტიკური ბრძოლა იყო ომის გამჩაღებელთა, საშხედრო-სამრეწველო კონცერნების, ომის საშიშროებისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ. ხალხთა მოძრაობამ მშვიდობისათვის კომპარტიის ხელმძღვანელობით იმდენად დიდი გაქანება მიიღო, რომ მან გავლენა მოახდინა ტრედუნიონების და ლეიბორისტების რეფორმისტულ ხელმძღვანელობაზე.

1953 წელს ტრედუნიონების კონგრესმა რეზოლუცია მიიღო, რომელიც მშვიდობის უზრუნველყოფას მოითხოვდა. კონგრესმა მოიწონა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა საერთაშორისო თათბირის მოწვევა ატომისა და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხების განსახილველად, მან დაგმო დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკა. ეს უკანასკნელი 1954 წელს ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა. ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა მოიწვია კონფერენცია, რომელმაც მიიღო მოწოდება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ.

1952 წელს ინგლისმა მოახდინა პირველი ბირთვული ბომბის გამოცდა წყნარ ოკეანეში, რამაც გამოიწვია ინგლისელი ხალხის მასობრივი მოძრაობა ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის. 1955 წლის სექტემბერში ტრედუნიონთა კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ატომური და წყალბადის იარაღის მთელი მარაგის მოსპობას.

ლეიბორისტულ პარტიაში ჩამოყალიბდა მემარცხენეთა ჯგუფი ე. ბევენის მეთაურობით, რომელიც მოითხოვდა მშვიდობისათვის აქტიურ ბრძოლას და წყალბადის იარაღის აკრძალვას. 1955 წლის დეკემბრიდან ხელმძღვანელობიდან კ. ეტლის გადადგომის შემდეგ პარტიას სათავეში ჩაუდგა მემარჯვენე-რეფორმისტი ჰ. გეიტსკელი, რომელიც აშშ-ის აგრესიულ პოლიტიკას იზიარებდა. მშვიდობის დაცვის მომხრეთა მოძრაობის მნიშვნელოვან აღმავლობას ინგლისში ადგილი ჰქონდა 1957 წელს, როდესაც შეიქმნა ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ბრძოლის კომიტეტი, რომელიც შემდეგ გადაკეთდა „თერმობირთვული განიარაღების მოძრაობის“ ორგანიზაციად. ორგანიზაციამ შექმნა მრავალრიცხოვანი ადგილობრივი განყოფილებები ინგლისის ყველა რაიონში და გააჩაღა მოძრაობა ბირთვული იარაღის წარმოების დაუყოვნებლივ შეჩერებისა და მისი მარაგის მოსპობისათვის.

ორგანიზაციის ყველაზე უფრო მასობრივ და ფართო ლონისძიებად ითვლება ე. წ. ოლდერმასტონის ლაშქრობა, რომელმაც ეს სახელწოდება მიიღო პატარა ადგილ ოლდერმასტონიდან (ლონდონიდან 80 კმ-ითაა დაშორებული), სადაც არის ატომის მეცნიერული კვლევის ცენტრი.

ინგლისის კომპარტია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე. დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელიც თანამიმდევრულად იბრძოდა მუშათა კლასისა და მთელი მშრომელების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად, მილიტარიზმისა, კოლონიალიზმისა და „ცივი ომის“ წინააღმდეგ.

კომპარტია ააშკარავებდა მემარჯვენე ლეიბორისტების კლასობრივ

არსს, მხარს უჭერდა მუშათა სამართლიან ბრძოლასა და გაფიცვებს, მშვიდობის ძალების ბრძოლას ომის საშიშროების წინააღმდეგ და, საერთოდ, იგი ინგლისში მიმდინარე ყოველგვარი რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლის ავანგარდში იყო.

ინგლისის მმართველი წრეები, მათ შორის მემარჯვენე ლეიბორისტები და ტრედუნიონისტები, ცდილობდნენ მასებისაგან კომუნისტების იზოლირებას, კომუნისტებს უარი უთხრეს ლეიბორისტულ პარტიაში შესვლაზე, იბრძოდნენ კომუნისტების გავლენის გავრცელების წინააღმდეგ ტრედუნიონებში. ომის შემდგომ წლებში კომპარტია აძლიერებს თავის გავლენას ისეთ დიდ პროფკავშირულ ორგანიზაციებში, როგორიცაა რკინიგზელთა ეროვნული კავშირი, მანქანათა და გემთმშენებლობის მრეწველობის მუშების გაერთიანებული კავშირი, შოტლანდიის ტრედუნიონების კონგრესი და ა. შ. ინგლისის კომპარტიის გავლენა მშრომელთა შორის გაიზარდა განსაკუთრებით 1952 წლიდან, როდესაც ბრიტანეთის კომპარტიის XXII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ". იგი ინგლისელ ხალხს ნამდვილ გზას მიუთითებს სოციალიზმისაკენ.

პროგრამა აგებულია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების საფუძველზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოხდარი ძირეული ცვლილებების, სსრ კავშირსა და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების და ინგლისის მუშათა მოძრაობის ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების თავისებურებების გათვალისწინებით.

პროგრამა მიუთითებს, რომ „ბრიტანეთი სოციალიზმში შევა საკუთარი გზით...". ინგლისელი ხალხის კონკრეტული პირობებისა და ისტორიული ტრადიციების შესაბამისად „ბრიტანეთის ხალხს შეუძლია გადააქციოს კაპიტალისტური დემოკრატია ნამდვილ სახალხო დემოკრატიად, პარლამენტის გარდაქმნით... ბრიტანეთის ხალხის უდიდესი ნაწილის ნებასურვილის იარაღად. ბრიტანეთის ხალხისათვის გზა, რომლითაც ის წავა, იქნება მშვიდობიანი, პარლამენტში წარმატების მოპოვებით და სახალხო მთავრობის შექმნით პარლამენტის ბაზაზე, რომელშიც შეელენ ხალხთა ნამდვილი წარმომადგენლები. ასეთი ხელისუფლების მნიშვნელოვანი პირობა იქნება ფართო სახალხო კოალიციის, ანუ კავშირის შექმნა მშრომელთა ყველა ფენისაგან: ორგანიზებული მუშათა კლასისაგან, ფიზიკური და გონებრივი შრომის ყველა მომუშავისაგან, თავისუფალი პროფესიის პირებისაგან, ტექნიკური ინტელიგენციისაგან, ქალაქის მცხოვრებთა ყველა დაბალ და საშუალო ფენისაგან და ფერმერისაგან სასოფლო ადგილებიდან". პროგრამა ითვალისწინებს, რომ სახალხო მთავრობის შექმნისა და სოციალისტური ღონისძიებების გატარებისას ბურჟუაზია წინააღმდეგობას გაუწევს

მათ თვით ძალის გამოყენებამდე და სახალხო მთავრობის ამოცანა ის იქნება, რომ ორგანიზებულ მუშებზე დაყრდნობით დათრგუნოს ეს წინააღმდეგობა.

პროგრამის მიღების შემდეგ კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად იბრძოდა მშვიდობისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, თავისი გავლენის გაზრდის, მემარცხენე ძალების ერთიანობისა და ქვეყნის ყველა დემოკრატიული და მემარცხენე ძალის ანტიმონოპოლისტურ კავშირში გაერთიანებისათვის. სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად ინგლისის კომპარტიამ გააძლიერა მუშაობა ქვეყნის პროგრესული ძალების გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის. ეხარს უჭერდა ლეიბორისტული პარტიის შიგნით იმ მემარცხენე ჯგუფებს, რომელნიც პარტიის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდნენ პოლიტიკური ხაზის შეცვლას. კომპარტია იბრძოდა ლეიბორისტული პარტიის რიგით წევრებთან ერთიანი შოქმედებისათვის ქვეყნის რეაქციული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ კომპარტიის ამ ხაზის წინააღმდეგ გამოვიდნენ რევიზიონისტები, რომელთაც პიროვნების კულტის კრიტიკა გამოიყენეს პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მოითხოვდნენ ბრიტანეთის კომპარტიის იზოლირებას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისაგან. რევიზიონისტების გამოსვლამ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ გამოიწვია დაბნეულობა პარტიის რიგებში, პარტიის გავლენის შესუსტება მასებში და მისი რიგების შემცირება. კომპარტია 1956 წლის მარტში თავის რიგებში 34 ათას წევრს აერთიანებდა, 1957 წლის აპრილისათვის მისი რიგები 27 ათასამდე შემცირდა. 1956 წლის დეკემბერში ცკ-ის პლენუმმა პარტიიდან გარიცხა რევიზიონისტების ჯგუფი. საყურადღებოა, რომ რევიზიონისტები მოითხოვდნენ ლეიბორისტულ პარტიასთან დაახლოებას. რევიზიონისტები „ამტკიცებდნენ“, თითქოს კაპიტალიზმმა შეიცვალა თავისი ბუნება და მარტო ლეიბორისტული პარტიის მეშვეობით შესაძლებელია ინგლისის მუშათა კლასის მიერ სოციალიზმის დამყარება. ამიტომ რევიზიონისტები მოითხოვდნენ, რომ კომუნისტური პარტია პრინციპულ დათმობაზე წასულიყო ლეიბორისტების წინაშე, რაც ფაქტობრივად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმასა და მის ლიკვიდაციას ან ლეიბორისტული პარტიისადმი დამორჩილებას ნიშნავდა. რევიზიონისტები ილაშქრებდნენ პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების და პრინციპების — დემოკრატიული ცენტრალიზმის წინააღმდეგ და იგი შეუთავსებლად მიაჩნდათ ინგლისის ტრადიციებისათვის. 1956—1957 წლებში ინგლისის კომპარტიის ხელმძღვანელობას, თითქმის ერთდროულად, რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად უკომპრომისო ბრძოლა მოუხდა სექტანტური „მემარცხენეების“ წინააღმდეგ. ეს უკანასკნე-

ლი ფრაქციული დაჯგუფება თვლიდა, რომ პარტია უნდა შედგებოდეს რჩეული რევოლუციონერების პატარა ჯგუფისაგან და ილაშქრებდა მისი მასობრიობის წინააღმდეგ. „მემარცხენეები" გამოდიოდნენ ლეიბორისტებთან დაახლოების წინააღმდეგ და ამ უკანასკნელის მთლიან მასას მიიჩნევდნენ რეაქციულად, ვერ ხედავდნენ განსხვავებას ლეიბორისტების ლიდერებსა და რიგით წევრებს შორის.

1957 წლის აპრილში კომპარტიის საგანგებო XXV ყრილობამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მემარჯვენე და მემარცხენე ფრაქციონერებს, მათ მცდარ შეხედულებებს და გაწმინდა თავისი რიგები ყოველგვარი ფრაქციონერებისაგან.

XXV ყრილობამ პარტიის პროგრამაში ახალი დამატებები შეიტანა, რომლებიც ეხებოდა ფართო სახალხო კავშირის შექმნას როგორც აუცილებელ წინაპირობას სოციალიზმში გადასვლისათვის. „ასეთი კავშირის შექმნა მუშათა კლასის მეთაურობით უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება ნამდვილი სოციალისტური მთავრობის შექმნისა და სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის". ახალმა დამატებებმა პარტიის პროგრამაში კომუნისტური პარტია დარაზმა მუშათა და მშრომელთა გაერთიანებისა და ანტიმონოპოლისტური კოალიციის შექმნისათვის.

XXV ყრილობამ კომუნისტების ყურადღება გაამახვილა ქვეყნის მემარცხენე, არამარქსისტულ, მაგრამ მებრძოლ ფენებთან მჭიდრო კავშირის დამყარებაზე და მათ შორის ანტიკომუნისტური განწყობილების აღმოფხვრაზე.

§ 23. ვილსონის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 60-იან წლებში (1964—1970 წწ.)

1964 წლის პარლამენტის არჩევნები და ლეიბორისტების გამარჯვება. საშინაო პოლიტიკა. 1951 წლის არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის დამარცხებისა და ამ პარტიის ხელმძღვანელობიდან კ. ეტლის გადადგომის შემდეგ პარტიას სათავეში ჩაუდგა ჰ. გეიტსკელი. იგი უკიდურესი მემარჯვენე იყო და ამტკიცებდა, რომ 1955 წლის პარლამენტის არჩევნებში ლეიბორისტების დამარცხება გამოწვეული იყო პარტიის სოციალისტური პროგრამით, რადგან იგი, მისი აზრით, არ შეესაბამებოდა ამომრჩეველთა უმრავლესობის შეხედულებებსა და მოთხოვნებს. ამიტომ გეიტსკელი მოითხოვდა, რომ პროგრამიდან ამოეღოთ სოციალისტური ხასიათის მოთხოვნები და იგი უფრო მისაღები გაეხადათ ბურჟუაზიისა და საშუალო ფენებისათვის. ე. ი. აღმოეფხვრათ ის, რითაც ლეიბორისტული პარტია განსხვავდებოდა ბურჟუაზიული პარტიისაგან.

1956 წელს ჰ. გეიტსკელმა და მისმა ჯგუფმა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში შეიმუშავეს ტრაქტატი „სოციალიზმი და ნაციონალიზაცია“, სადაც ისინი ფაქტობრივად უარყოფდნენ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებას. ფაქტობრივად ეს იყო ლეიბორისტული პარტიის პროგრამაში წარმოდგენილი ნაციონალიზაციის მოთხოვნების რევიზია. 1957 წელს პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავა და კონფერენციას თავს მოახვია განცხადება „მრეწველობა და საზოგადოება“, რომლის ძირითადი არსი ის იყო, რომ კერძო კაპიტალისტურ კორპორაციებს ინგლისის ეკონომიკის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევდა და მოითხოვდა მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას მსხვილ ფირმებსა და სახელმწიფოს შორის. ნაციონალიზაციის ნაცვლად, რომელიც პრინციპში არ იქნა უარყოფილი, განცხადებაში წამოყენებული იყო წინადადება, რომ სახელმწიფოს შეესყიდა მსხვილი კომპანიების ნაწილი. ჰ. გეიტსკელმა 1959—1960 წლებში გაილაშქრა საზოგადოებრივი საკუთრების პრინციპის წინააღმდეგ და მოითხოვა, რათა პროგრამიდან ამოეღოთ წარმოების ძირითადი საშუალებების განაწილებისა და გაცვლის განსაზოგადოების მოთხოვნა. 50-იან წლებში ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობაში თავი იჩინა განხეთქილებამ. ჩამოყალიბდა მემარცხენე ფრთა ე. ბევინის მეთაურობით. 1958 წელს შეიქმნა ჯგუფი სახელწოდებით „სოციალიზმის გამარჯვებისათვის“, მაგრამ მემარცხენეები რეფორმიზმის პოზიციებზე რჩებოდნენ და რაიმე ნათელ და განსაზღვრულ პროგრამას არ აყენებდნენ. ისინი მოითხოვდნენ, რათა პარტიის წესდებაში დარჩენილიყო პუნქტი წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების შესახებ. მას მხარს უჭერდა მსხვილი ტრედუნიონების უმრავლესობა [1]. მემარცხენეები საშინაო და საგარეო პოლიტიკის-ცალკეულ საკითხებში რიგ მოთხოვნებს აყენებდნენ, რომლებიც პოპულარული იყო მასებში.

1963 წელს გეიტსკელი გარდაიცვალა და პარტიის ხელმძღვანელად აირჩიეს ჰაროლდ ვილსონი. მან 1964 წლის არჩევნებისათვის შეიმუშავა წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ე. წ. „საერთო

---

[1] 1970 წლისათვის ლეიბორისტულ პარტიაში შემავალ 6,223 ათასი წევრიდან 5,5 მლნ. ტრედუნიონებზე (პროფკავშირებზე) მოდიოდა, რომელნიც პარტიაში გაერთიანებული იყვნენ კოლექტიური წევრობის საფუძველზე, 600 ათასი — ინდივიდუალურ წევრებზე, უმრავლესობა ასევე პროფკავშირების წევრები არიან პარტიაში. გარდა ამისა შედის რამდენიმე სოციალისტური და კოლექტიური გაერთიანება, რომელნიც საერთო ჯამში 20 ათასი კაცისაგან შედგება.

ლეიბორისტ დეპუტატებს შორის მნიშვნელოვნად შემცირდა ფიზიკური შრომის მუშაკები და მკვეთრად გაიზარდა ე. წ. საშუალო კლასიდან გამოსული უნივერსიტეტდამთავრებულ სპეციალისტთა რაოდენობა.

ეროვნული“ ამოცანების გადაჭრას, ეკონომიკის განახლებასა და რეკონსტრუქციას, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლას, ეკონომიკის გეგმურ წარმოებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფ განხორციელებას, ეკონომიკის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფას, ახლად შექმნილი სიმდიდრის ნაწილის გამოყენებას მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ა. შ.

წინასაარჩევნო პროგრამა მოითხოვდა მხოლოდ ფოლადის წარმოების ნაციონალიზაციასა და წყლის მომარაგების სახელმწიფოს ხელში გადაცემას, იგი უარყოფდა „სტოპ-იდის“ პოლიტიკასაც.

საგარეო პოლიტიკაში ლეიბორისტები დაპირებას იძლეოდნენ, რომ იბრძოლებდნენ განიარაღებისათვის, ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის, სამხედრო ხარჯების შემცირებისათვის და ა. შ.

1964 წლის არჩევნებში ლეიბორისტებმა ძალზე მცირე ხვის უპირატესობით (12,2 მლნ. ხმა, ე. ი. 44,1%) დაამარცხეს კონსერვატორები (12 მლნ. ხმა — 43,4%). ლიბერალებმა მიიღეს 3,1 მლნ. ხმა (ე. ი. 11,2%). პარლამენტში ლეიბორისტებს მხოლოდ 3 დეპუტატით მეტი ჰყავდათ ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, ე. ი. გამარჯვება არ იყო მტკიცე. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა შეხუთე ლეიბორისტული მთავრობა ჰ. ვილსონის მეთაურობით. მთავრობაში მხოლოდ მემარჯვენეები შევიდნენ. ლეიბორისტულმა პარტიამ იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო პარლამენტში ხმების უმრავლესობა, გადაწყვიტა რიგგარეშე არჩევნების ჩატარება. არჩევნებში წარმატებების უზრუნველყოფის მიზნით კი ლეიბორისტები იძულებული გახდნენ განეხორციელებინათ ზოგიერთი სოციალური დაპირება: პენსიები გაიზარდა 20%-ით, ბინის გადასახადები შემცირდა, რეცეპტების გამოწერის საფასური გაუქმდა.

შემუშავდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების გეგმა 1964 — 1970 წლებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა სამრეწველო წარმოების ზრდას ყოველწლიურად 5%-ით. ამ ზოგიერთმა სოციალურ-ეკონომიკურმა ღონისძიებამ უზრუნველყო ლეიბორისტების გამარჯვება 1966 წლის რიგგარეშე არჩევნებში. ლეიბორისტებმა მიიღეს 13,1 მლნ. ხმა (47,9%) და 363 დეპუტატის ადგილი, კონსერვატორებმა — 11,4 მლნ. ხმა (41,9%) და 253 მანდატი.

მეექვსე ლეიბორისტულ მთავრობას კვლავ ჰ. ვილსონი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც მხოლოდ მემარჯვენეებისაგან შეადგინა კაბინეტი. ლეიბორისტებს კონსერვატორებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ უმსხვილეს ქალაქებში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს მუშათა კლასი. პატარა ქალაქებში კი ლეიბორისტებისა და კონსერვატორების გავლენა თითქმის ერთნაირია, ხოლო სასოფლო

საარჩევნო ოლქებში, სადაც წვრილბურჟუაზიული მოსახლეობა ჭარბობს, კონსერვატორებს შედარებით მეტი წარმატებები ჰქონდათ.

ლეიბორისტების მიერ დაგეგმილი სამრეწველო წარმოების მატება 5%-ით მიღწეულ იქნა 60-იანი წლების დამლევისათვის, ისიც მას ძვმდეგ, როდესაც წარმოების ხარჯების შემცირება გატარდა. კერძოდ, ლეიბორისტებმა შეზღუდეს მუშათა ხელფასის ზრდა. „ფასებისა და შემოსავლის ეროვნულმა სამმართველომ" ტრედუნიონების თანხმობით დააწესა, რომ ხელფასების ზრდა წელიწადში არ უნდა ყოფილიყო 3,5%-ზე მეტი. ლეიბორისტულმა მთავრობამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მომიზეზებით პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს ეკონომიკასა და შრომით ურთიერთობაში ჩარევის გაფართოებას „ფასებისა და შემოსავლის ეროვნული სამმართველოს" გამოყენებით. ფაქტობრივად ეს იყო გაფიცვის აკრძალვის მოთხოვნა. 1968 წელს მთავრობამ ახალი პროგრამა გამოაცხადა, რომელიც მკვეთრად ამცირებდა ხარჯებს სოციალურ ღონისძიებებზე, საბინაო მშენებლობაზე და განათლების საქმეში. გაიზარდა გადასახადები და შემოიღეს სამედიცინო მომსახურების ნაწილობრივი ანაზღაურება.

1968 წელს ლეიბორისტებმა მიაღწიეს სამრეწველო საწარმოების გაზრდას 5%-ით წინა წელთან შედარებით, საერთოდ კი, სამრეწველო წარმოების ყოველწლიური ნამატი, ნაცვლად დაგეგმილი 5%-ისა, შეადგენდა 2,3%-ს. ლეიბორისტებმა ვერ შეძლეს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის თავიდან აცილება, რომლის მთავარი მიზეზი იყო სამხედრო ხარჯები. ეს უკანასკნელი ხელს უშლიდა მრეწველობის რეკონსტრუქციასაც.

1967 წელს განხორციელდა სტერლინგის დევალვაცია და მისი კურსი შემცირდა 14,4%-ით. ამ ღონისძიებას ორი შედეგი ჰქონდა: პირველი, დევალვაციამ გამოიწვია მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მეორე, გააუმჯობესა ინგლისის საქონლის ექსპორტი უცხოეთის ბაზარზე.

დევალვაციის პერიოდში ინგლისში ფასები გაიზარდა 7 ათასზე მეტი სახის საქონელზე. 1967 წლის ნოემბერში გადასახადები კვლავ გაიზარდა, შეიზღუდა იმპორტი და ფასები მოემატა მრავალ საქონელს.

ბუნებრივია, რომ ლეიბორისტების ანტიმუშურმა ღონისძიებებმა მშრომელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამის საწინააღმდეგოდ მთავრობამ 1969 წლის იანვარში პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი სახელწოდებით „უთანხმოების ნაცვლად". იგი აშკარა ანტიმუშური და ანტიპროფკავშირული ხასიათისა იყო და არაოფიციალური გამოსვლების ერთთვიან აკრძალვას ითვალისწინებდა „ვ ე ტ ო ს"

უფლებით. ასეთი გაფიცვების რაოდენობა ინგლისის მთელი გაფიცვების 90%-ს შეადგენდა. ამ კანონპროექტმა ტრედუნიონთა დიდი აღშფოთება გამოიწვია. მის წინააღმდეგ ლეიბორისტული პარტიის აღმასკომიც კი გამოვიდა, რამაც მთავრობა აიძულა აღნიშნულ კანონპროექტზე უარი ეთქვა. ყოველივე ამან ლეიბორისტების ავტორიტეტის დაცემა გამოიწვია.

არჩევნების მოახლოებამ ჰ. ვილსონი აიძულა დემაგოგიისათვის მიემართა. 1969 წელს გამოცხადდა მოხუცთა პენსიით უზრუნველყოფის ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 1972 წლიდან საპენსიო ფონდში აუცილებელი შესატანის გაზრდას, რაც სახელმწიფოს 20 წლის შემდეგ პენსიების მომატების საშუალებას მისცემდა. ამ გეგმამ ინგლისის საზოგადოების მოწონება დაიმსახურა; მით უმეტეს, რომ გამოცხადდა აგრეთვე 6,5 მლნ. პენსიონერისათვის ყოველკვირეულად 10 შილინგის (1 მანეთზე მეტი) მომატება და გადასახადების გაზრდა სამრეწველო კომპანიების შემოსავლებზე.

გადაწყდა ასევე ინგლისის ყველა მსხვილი საზღვაო ნავსადგურის ნაციონალიზაცია და ნავსადგურების ეროვნული სამმართველოს შექმნა, რომელიც სახელმწიფოს ხელში თავს მოუყრის საზღვაო გადაზიდვის ექსპორტის და იმპორტის ყველა ოპერაციის განხორციელებას. მას მხარი დაუჭირა პროგრესულმა ძალებმა.

ამრიგად, ჰ. ვილსონმა, რომელიც 22 წლის განმავლობაში ოქსფორდის უნივერსიტეტში ეკონომიკის პროფესორად იყო, ვერ მოახდინა „ეკონომიკური სასწაული", როგორც პირდებოდა ამომრჩევლებს.

მეხუთე და მეექვსე ლეიბორისტული მთავრობების კოლონიური და საგარეო პოლიტიკა. მეხუთე და მეექვსე ლეიბორისტული მთავრობები დარწმუნდნენ, რომ ძველი კოლონიური მმართველობის შეუცვლელად დატოვება სამხრეთ არაბეთის ქვეყნებში შეუძლებელი იყო, ამიტომ მათ გააგრძელეს კონსერვატორული მთავრობის პოლიტიკა, რომელიც გამოიხატებოდა ამ ქვეყნებში ფეოდალი შეიხების მოსყიდვაში. ინგლისის სამხედრო ბაზები და მათი ხარჯები ძალზე მძიმედ აწვა ისედაც მოშლილ ინგლისის ფინანსურ სისტემას, ხოლო ბაზების ირგვლივ განუწყვეტელი დავა ინგლისის საერთაშორისო პოლიტიკური პრესტიჟის დაცემას იწვევდა. ლეიბორისტებმა გადაწყვიტეს ინგლისის ბაზები გადაეცათ მათ გავლენაში მყოფი შეიხებისათვის და ამგვარად შეენარჩუნებინათ გავლენა. 1966 წელს ლეიბორისტულმა მთავრობამ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი" თავდაცვის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ინგლისის ჯარები გამოყვანილი იქნებოდა ადენიდან მას შემდეგ, როდესაც სამხრეთ არაბეთის ფედერაცია დამოუკიდებლობას მიიღებდა. მაგრამ ფედერალური მთავრო-

ბის ხელისუფლება მალე დაიშალა, ხოლო ინგლისის ოფიცრების მიერ გაწვრთნილი ადგილობრივი არაბები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარეზე გადავიდნენ. დაიშალა ფედერალური მთავრობაც და საბოლოო ჯამში შეიქმნა სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკა, რომლის სათავეში მოექცნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები. 1967 წლის 30 ნოემბერს ინგლისმა ჯარები გამოიყვანა ადენიდან.

რაც შეეხება სპარსეთის ყურის ზონის ქვეყნებს, სადაც ფეოდალური გადმონაშთები ჯერ კიდევ არსებობს, აქ შედარებით ნელა ვრცელდებოდა არაბული ნაციონალიზმი, და შეიხები, რომლებიც დიდ შემოსავალს ღებულობდნენ ნავთობიდან, თანამშრომლობას განაგრძნობდნენ კოლონიზატორებთან. ლეიბორისტები არწმუნებდნენ ადგილობრივ შეიხებს, რომ მათი რეჟიმის სტაბილიზებისათვის ნავთობიდან შემოსავლის ნაწილი ღატაკი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გამოეყენებინათ. 1965 წელს შეიქმნა ამ ქვეყნების განვითარების ფონდი, სადაც ლეიბორისტულმა მთავრობამ 1 მლნ. გირვანქა სტერლინგი შეიტანა, ხოლო აბუ-დაბის შეიხმა—50 ათასი გირვანქა სტერლინგი, მაგრამ თვით ლონდონის მითითებით იგი 1966 წელს დაამხეს იმ მოტივით, თითქოს „არ იყენებდა ქვეყნის სიმდიდრის ზრდას სამთავროს ხალხის ინტერესებისათვის".

ინგლისს აბუ-დაბშიც ჰქონდა სამხედრო ბაზები, ხოლო გარნიზონები ეყენა ბაჰრეინსა და შარჯეში. 1968 წლის იანვარში ლეიბორისტულმა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი აქედან გაიყვანდა ჯარებს, ხოლო აღნიშნულ ბაზებს გააუქმებდა 1971 წლის ბოლოსათვის.

ლეიბორისტულმა მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო ბაჰრეინის, კატარის და აბუ-დაბის მეთაურობით ცხრა სამთავროს ფედერაციად გაერთიანების შესახებ. იგი ფორმალურ დამოუკიდებლობას მიიღებდა, ფაქტობრივად კი ინგლისის გავლენის ქვეშ იქნებოდა. 1968 წლის თებერვალში ხელი მოაწერეს შეთანხმებას არაბეთის ემირატების ფედერაციის შექმნის შესახებ. ვილსონის განცხადებამ, რომ ინგლისი თავისი ბაზების ლიკვიდაციას მოახდენდა სპარსეთის ყურეში, კონსერვატორების აღშფოთება გამოიწვია. გამწვავდა ურთიერთტერიტორიული პრეტენზიები ადგილობრივ სამთავროებს შორისაც, რაც ინგლისთანაც ართულებდა ურთიერთობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების შემდეგ ირანმა უარი თქვა ბაჰრეინზე, ხოლო ინგლისმა სცნო მისი დამოუკიდებლობა. ახლო აღმოსავლეთ პატარა კუნძულებზე კი ირანის პრეტენზიები კვლავ ძალაში რჩება.

სერიოზული წინააღმდეგობები იყო ინგლისსა და ინდოეთს შორის მთელი რიგი საკითხების ირგვლივ. ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო ინციდენტების შემდეგ ინდოეთის მთავრობამ დახმარება სთხოვა ინგ-

ლისსა და ამერიკას, რომელთაგანაც საკმაოდ სერიოზული დახმარება მიიღო. მაგრამ ინდოეთისათვის ინგლის-ამერიკის იარაღის მიწოდებამ პაკისტანის პროტესტი გამოიწვია, რასაც მალე 1965 წლის ზაფხულში მოჰყვა ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი, რომელიც საბჭოთა კავშირის შუამავლობით მოგვარდა. 1966 წლის 10 იანვარს ტაშკენტში ხელი მოაწერეს პაკისტან-ინდოეთის სამშვიდობო დეკლარაციას.

1963 წელს ინგლისმა შექმნა მალაიზიის ფედერაცია, რომელსაც თავს მოახვია ხელშეკრულება და აქ თავისი სამხედრო ბაზები შეინარჩუნა.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-თან დამოკიდებულებაში ლეიბორისტულ მთავრობას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. ვილსონის მთავრობა მხარს უჭერდა აშშ-ის ატომურ სტრატეგიას, ომს ინდოჩინეთში, ისრაელს კი — არაბეთის წინააღმდეგ.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ლეიბორისტები დაპირებას იძლეოდნენ, რომ გააუმჯობესებდნენ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას და, მართლაც, მეხუთე და მეექვსე ლეიბორისტული მთავრობის დროს ორმხრივი ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ვითარდებოდა. ჰ. ვილსონი ამ დროს სამჯერ იყო საბჭოთა კავშირში, ხოლო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი — ოთხჯერ. 1967 წლის თებერვალში ინგლისში ოფიციალური ვიზიტით იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, 1965 წლის მარტში კი — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ორივე ქვეყნის სხვადასხვა სახის სახელმწიფო და საუწყებო დელეგაციების გაცვლა. 1966 წლის ნოემბერში ინგლისში იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, 1968 წლის მაისში კი სსრ კავშირში ჩამოვიდა ინგლისის პარლამენტის დელეგაცია. გაფართოვდა ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ვაჭრობის განვითარებისათვის, დამყარდა პირდაპირი საჰაერო და საზღვაო კავშირი, ხელმოწერილ იქნა საკონსულო კონვენციები, შეთანხმებები მეცნიერების, განათლების, კულტურის და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში. დაიდო ხელშეკრულება სავაჭრო ნაოსნობის, კრემლსა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას შორის პირდაპირი სატელეფონო ხაზის დამყარების შესახებ. 1968 წელს ორივე ქვეყნის საქონელბრუნვის მოცულობამ 576 მილიონ მანეთს მიაღწია (1958 წელს იგი შეადგენდა 196 მილიონს). ინგლისი სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში.

§ 24. ე. ჰიტის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

1970 წლის არჩევნები და ლეიბორისტების დამარცხება. მშრომელთა მასების ხარჯზე ინგლისის ეკონომიკის საშინაო და საგარეო პოზიციების განმტკიცებამ, მშრომელთა ხელფასის ზრდის შეზღუდვამ, პოლიტიკამ, რომლის ამოცანა იყო სხვადასხვა ფინანსური და საკრედიტო ღონისძიებით ქვეყნის შიდა მოთხოვნების გაფართოების შეჩერება, გამოიწვია ლეიბორისტების გავლენის შესუსტება მასებში, ლეიბორისტთა ზედაფენებში სერიოზული კონფლიქტი, მემარცხენე მიმდინარეობის გაძლიერება პარტიაში და საბოლოო ჯამში 1970 წლის არჩევნებში მათი მარცხი. ნაცვლად იმისა, რომ პროფკავშირებისა მხარდაჭერით მონოპოლიები აელაგმათ, ლეიბორისტები, პირიქით, პროფკავშირების უფლებების შეზღუდვის გზას დაადგნენ. საყურადღებოა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ამომრჩეველთა 72%-მა, კონსერვატორებმა მიიღეს 13,1 მლნ. ხმა (46,9%) და 330 დეპუტატის ადგილი, ლეიბორისტებმა—12,2 მლნ. ხმა (43%) და 287 დეპუტატის ადგილი, ლიბერალებმა — 2,1 მლნ. ხმა (7,4%) და 6 ადგილი. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა კონსერვატორული პარტია ე. ჰიტის მეთაურობით, ა. დუგლას-ჰიუმი კი გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი.

ე. ჰიტის მთავრობის საშინაო პოლიტიკა. კონსერვატორებმა, როგორც მონოპოლისტების ერთგულებმა, უარი თქვეს სახელმწიფო საკუთრების შემდგომ გაფართოებაზე: კერძოდ, მსხვილი ნავსადგურების ნაციონალიზაციის დამთავრებაზე, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდა ლეიბორისტების მთავრობას, ხოლო კერძო სექტორს თანდათანობით ე. წ. „მცოცავი“ დენაციონალიზაციით გადასცეს მომგებიანი ნაციონალიზებული დარგები: ავიახაზები, საფოსტო უწყებები, ფულადი ოპერაციები, ბრიტანეთის რადიოგადაცემის კორპორაცია, ტურისტული სააგენტო „კუკა“ და ა. შ. ნაციონალიზებულ საწარმოებში, კერძო კაპიტალი რომ მიეზიდათ და უფრო მომგებიანი გაეხადათ, კონსერვატორებმა ფასები გაზარდეს გაზზე, ქვანახშირზე, ფოლადზე, ადრე კი ხელოვნურად ამცირებდნენ და მსოფლიო ბაზრის ფასებზე დაბალი იყო. კონსერვატორებმა გაუქმეს ლეიბორისტების შექმნილი რიგი სამინისტროები, რომელთა მთავარი მიზანი იყო სახელმწიფოს განთავისუფლება ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებაში ჩარევისაგან: კონსერვატორები თვლიდნენ, რომ მომხმარებელთა ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებაა ფასებისა და საქონლის ხარისხში კონკურენციის პროცესი. საწარმოებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების და დოტაციების მიცემა კონსერვატორებ-

მა გააუქმეს, სამაგიეროდ გადასახადები კორპორაციებზე 45-დან 40 პროცენტამდე შეამცირეს.

მთავრობამ სამედიცინო მომსახურების ზოგიერთი სახე კვლავ ფასიანი გახადა. შემცირდა აგრეთვე ადრე გათვალისწინებული სახელმწიფო ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოციალური უზრუნველყოფისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელფასიდან სოციალური დაზღვევისათვის საწევრო გადასახადები, ზემოგებებზე დაწესებული სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადები კი 89-დან 75 პროცენტამდე შეამცირეს.

მონოპოლიების შემოსავალსა და ზემოგებებზე გადასახადების შემცირებით კონსერვატორები ფიქრობდნენ კერძო ინვესტიციების გაზრდას ეკონომიკაში და მისი აღმავლობისათვის ხელის შეწყობას. ექსპორტის გაზრდის მიზნით მთავრობა წლების განმავლობაში ახორციელებდა საშინაო მოთხოვნების ხელოვნურად შეკავების პოლიტიკას.

1972 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა კანონი „საბინაო მშენებლობის დაფინანსების შესახებ", რომლის მიხედვით ბინის ქირა, რომელიც ისედაც დიდი იყო და შეადგენდა მუშათა საშუალო ხელფასის 20—30%-ს, კიდევ გაიზარდა.

1972 წლის 7 ნოემბერს მთავრობამ შემოიღო ხელფასის და ზოგიერთ საქონელზე ფასების 90-დღიანი გაყინვის კურსი, მაგრამ იგი არ ეხებოდა მნიშვნელოვან პროდუქტებს და სამრეწველო საქონელს. იმავე წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ხელფასზე მკაცრ კონტროლს აწესებდა, მაგრამ ფაქტობრივად ფასების ზრდას ხელს არ უშლიდა. ხელფასების გაყინვის პირველი ფაზა გრძელდებოდა 1973 წლის 30 მარტამდე, მეორე ფაზის დროს (აპრილ-ოქტომბერში) ხელფასის გაზრდა შეიზღუდა 4%-ით, ხოლო 23 ოქტომბერს გამოცხადდა ხელფასის 7%-ით გაზრდის უფლება, რაც მესამე ფაზის დაწყებას ნიშნავდა.

1973 წლის ნოემბრიდან ენერგეტიკის კრიზისთან დაკავშირებით მთავრობამ საგანგებო ღონისძიებები მიიღო. ამ კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად მთავრობა პროფკავშირების საგაფიცვო კურსს თვლიდა. ჰიტის წინადადებით შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა, რომელიც მთავრობას გაფიცულთა წინააღმდეგ იარაღის გამოყენების უფლებას აძლევდა.

ჰიტის მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა. სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი საანგარიშო მოხსენებაში შეეხო რა ომისა და აგრესიის ძალებს, ხაზი გაუსვა, რომ „ინგლისში ესენი არიან ჩრდილოეთ ირლანდიის ჩახშობის, სამხრეთ აფრიკის რასისტებისათ-

ვის იარაღის მიწოდების, აშშ-ის აგრესიული პოლიტიკის აპოლოგეტები".

ლეიბორისტული მთავრობის „თეთრი წიგნი" 1970 წლის სამხედრო პოლიტიკაში ითვალისწინებდა „სუეცის აღმოსავლეთით", როგორც ეს ტერმინი პირველად ჰ. ვილსონმა იხმარა, ინგლისის მოქნილი პოლიტიკის განხორციელებას; კერძოდ, ამ რაიონის ბაზებში მყოფი სამხედრო კონტიგენტების გაყვანას, მაგრამ მათ მზადყოფნას „საჰაერო ხიდით აქ გადმოსასხმელად"[1].

კონსერვატორებმა ოპოზიციაში ყოფნის დროსვე გაილაშქრეს ლეიბორისტთა ამ გეგმის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, მათ განაცხადეს, რომ „სუეცის აღმოსავლეთით" მდებარე რაიონში ინგლისის სამხედრო ბაზები წინანდებურად დარჩებოდა. კონსერვატორული მთავრობის მთავარ სტრატეგიად აზიასა და აფრიკაში კვლავ რჩებოდა კოლონიური და რასისტული რეჟიმისათვის მხარდაჭერა.

ინგლისს სურდა შეენარჩუნებინა სამხედრო-საზღვაო ძალები სპარსეთის ყურეში და სამხედრო ბაზები შარჯას სამთავროში. მან გააფართოვა სამხედრო ბაზები მასირის კუნძულზე, რომელიც ომანის სასულთანოს ეკუთვნოდა. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ბაჰრეინს და კატარს თავს მოახვია „მეგობრობის" ხელშეკრულება, რომლითაც ბაზების შენარჩუნებას ფიქრობდა.

1972 წელს გაძლიერდა ინგლისის სამხედრო პოლიტიკური აქტივობა „სუეცის აღმოსავლეთით". ინდოეთის ოკეანეში გადაისროლეს მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც საჭირო იყო ინდოეთის ოკეანეში თითქოს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო საშიშროების ზრდის გამო.

1971 წლის იანვარში მალტამ გააუქმა ინგლისთან ჯერ კიდევ 1964 წლის ხელშეკრულება „თავდაცვის შესახებ", რომლითაც მალტა ინგლისის და ერთდროულად ნატოს სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზად იყო აღიარებული. მალტის მთავრობის თხოვნით ეს ბაზები უნდა გაეუქმებინათ და ჯარებიც გაეყვანათ. 1972 წლის იანვრის მოლაპარაკების შემდეგ ინგლისს ამ კუნძულზე 7 წლის განმავლობაში შეეძლო ჰქონოდა თავისი ბაზები. ამასთანავე ინგლისმა ვალდებულება იკისრა, ამ ბაზების ტერიტორიის გამოყენების საჯარო გადასახადი გაეზარდა.

1972 წლის აპრილში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ინგლისმა მიაღწია ახალი სამხედრო ბლოკის შეკოწიწებას, რომლის შემადგენლო-

---

1 1971 წლის დამდეგისათვის სპარსეთის ყურიდან ინგლისმა მთლიანად გამოიყვანა თავისი ჯარები.

ბაში შევიდნენ: ინგლისი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სინგაპური და მალაიზია. ივნის-ივლისში საგარეო საქმეთა მინისტრი დუგლას ჰიუმი ვიზიტით იყო ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, რომლის მიზანი იყო ამ რაიონში ინგლისის პოზიციების გაძლიერება ინგლისის „საერთო ბაზარში" შესვლასთან დაკავშირებით, ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში დაძაბულობის შესუსტება და რეგიონალური სამხედრო დაჯგუფებების განმტკიცება.

დუგლას ჰიუმი იმყოფებოდა აგრეთვე ინდონეზიაში, ბანგლადეშში და ავღანეთში. 1971 წლის იანვარში ლონდონმა გადაწყვეტილება მიიღო „მოხალისეთა სარეზერვო კორპუსის" 10 ათასი კაცით გაზრდის შესახებ, ხოლო მაისში, უახლოეს ოთხ წელიწადში სამხედრო-საზღვაო ფლოტის რაოდენობის გაზრდაზე. კონსერვატორული მთავრობა მხარს უჭერდა აშშ-ის აგრესიას ინდოჩინეთში, ახლო აღმოსავლეთში კი — ისრაელს. 1972 წელს ინგლისმა ურთიერთობა გააქტიურა ტელ-ავივთან სამხედრო დარგში და მარტში ისრაელს გადასცა სამი წყალქვეშა გემი.

ახლო აღმოსავლეთში კაპიტალური დაბანდებების დაკარგვის შიშით ინგლისის მთავრობამ რიგი ნაბიჯები გადადგა არაბეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭომ რეზოლუცია მიიღო, რომ არ დახმარებოდნენ რასისტული რეჟიმის ქვეყნებს, ინგლისის მთავრობამ უგულებელყო იგი და იარაღის მიწოდება განუახლა სამხრეთ აფრიკის რასისტებს. 1971 წლის დამდეგს ერთა თანამეგობრობის XVIII კონფერენციამ სინგაპურში დაგმო ინგლისის მთავრობის ეს ღონისძიება.

1971 წლის ნოემბერში დუგლას ჰიუმმა სამხრეთ როდეზიაში ყოფნის დროს განაცხადა, რომ ლონდონი ცნობს სმიტის რეჟიმს და შეეცდება მიაღწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციების გაუქმებას სამხრეთ როდეზიის მიმართ. ინგლისმა ხმა არ მისცა რეზოლუციას, რომელიც ამ რეჟიმის ლიკვიდაციას მოითხოვდა (1971 წლის სექტემბერი).

1972 წლის იანვარში, როდესაც აშშ გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტიდან, ინგლისმაც დატოვა იგი.

კონსერვატორები იარაღს აწვდიდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასაც და პორტუგალიელ ფაშისტებს, რომლებიც კოლონიურ ომს ეწეოდნენ მოზამბიკაში, ანგოლასა და გვინეა-ბესაუში.

1973 წლის თებერვალში დუგლას ჰიუმი იმყოფებოდა სენეგალში, ლიბერიაში და ნიგერიაში, რათა უარი ეთქვათ მათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ როდეზიის ბოიკოტზე.

1973 წლის 10 ივლისს ინგლისი იძულებული გახდა დამოუკიდებლობა მიეცა ბაჰამის კუნძულებისათვის. ინგლისსა და იაპონიას შორის გამწვავდა სავაჭრო წინააღმდეგობა. იაპონია წარმატებით უწევდა კონკურენციას ინგლისს და ავიწროებდა საერთაშორისო ბაზრებზე. ამ წინააღმდეგობების მოგვარების მიზნით 1972 წლის სექტემბერში ე. ჰიტი ტოკიოში ჩავიდა და იაპონიის მთავრობას მოსთხოვა, რომ თუ იგი არ დათანხმდებოდა საშინაო ბაზარზე ინგლისის საქონლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, იაპონიის საქონელზე მკაცრ საბაჟო რეჟიმს დააწესებდა.

კონსერვატორულმა მთავრობამ გააფართოვა ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. 1972 წლის მარტში გაუქმდა საელჩო ტაივანში და იგი საკონსულოდ გადაკეთდა. ინგლისმა ვალდებულება იკისრა ჩინეთისათვის მიეწოდებინა ზებგერითი რეაქტიული ლაინერები „კონკორდი" და სხვა სახის სამხედრო საჭურველი. 1972 წლის ოქტომბერში პეკინში ვიზიტით იმყოფებოდა დუგლას-ჰიუმი.

კონსერვატორული მთავრობის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი ეკავა ინგლისის „საერთო ბაზარში" შესვლის პირობების შემუშავებას. 1970 წლის ივნისში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება ინგლისსა და „ექვსეულს" შორის. დიდი ბრიტანეთი „საერთო ბაზარში" შესვლისას ითხოვდა, რომ მისთვის შესაძლებლობა მიეცათ გარდაექმნა ეკონომიკა, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობა „ექვსეულის" პირობების შესაბამისად. 1971 წლის ივნისში შეთანხმდნენ, თუ რა პირობებში შევიდოდა ინგლისი „საერთო ბაზარში". ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხუთწლიან გარდამავალ პერიოდს: დაწესდა ინგლისის საწევრო შესატანი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტში; წინასწარი შეთანხმება დაიდო ინგლისში ახალი ზელანდიის ექსპორტის საკითხზე; შეთანხმებები ინგლისსა და „ექვსეულს" შორის უნდა განეხილათ და მიეღოთ პარლამენტებს.

1972 წლის 22 იანვარს დამთავრდა ხანგრძლივი მოლაპარაკება ინგლისის ევროპულ-ეკონომიკურ, ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებებში და ევრატომში შესვლის შესახებ. ინგლისის და „ექვსეულის" ქვეყნების პარლამენტებმა დაამტკიცეს ეს ხელშეკრულებები, რომლებიც ძალაში შევიდა 1973 წლის 1 იანვრიდან.

ინგლისის საგარეო პოლიტიკის ევროპაზე ორიენტაცია არ ნიშნავდა აშშ-თან ურთიერთობის შესუსტებას. 1970 წლის დეკემბერში ვაშინგტონში ორდღიანი მოლაპარაკება მიმდინარეობდა ნიქსონსა და ჰიტს შორის. ჰიტმა მხარი დაუჭირა ამერიკის აგრესიას ვიეტნამში

და წინააღმდეგი იყო, რომ ამერიკას ჯარები გაეყვანა ვიეტნამიდან. ნიქსონმა კი თავის მხრივ მოიწონა ჰიტის მთავრობის გადაწყვეტილება „სუეცის აღმოსავლეთით“ ბაზების და ჯარების შენარჩუნების თაობაზე.

ერთი წლის შემდეგ ნიქსონი და ჰიტი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ბერმუდის კუნძულებზე. ამ შეხვედრამ ცხადყო, რომ აშშ-სა და ინგლისს შორის არსებობს ფართო ეკონომიკური და ფინანსური საერთო ინტერესები და ორივე სახელმწიფო მხარს უჭერს ნატოს დაჯგუფების განმტკიცებას. ანალოგიური იყო ინგლისის მთავრობის ურთიერთობა საფრანგეთსა და გფრ-თან — საფრანგეთისაგან იგი მოითხოვდა, რომ დაბრუნებულიყო ნატოს სამხედრო ბლოკში, ხოლო გფრ-გან — გაეზარდა ამ ორგანიზაციის წევრების ხარჯი.

ინგლისმა და აშშ-მა 1971 წელს დაიწყეს სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა დასავლეთ ავსტრალიაში, კაკბერენ-საუნდის ყურეში და დიეგო-გარსიას კუნძულზე ინდოეთის ოკეანეში.

ინგლისის მთავრობა, მომხრე იყო რა აშშ-თან და ნატოს ორგანიზაციასთან სამხედრო თანამშრომლობისა, 1972 წლის სექტემბერში რომში „საერთო ბაზრის“ ქვეყნების თათბირზე გამოვიდა დოლარის მიმართ ერთიანი სავალუტო პოლიტიკის შემუშავების წინააღმდეგ. ამასთანავე ინგლისი ცდილობდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება მჭიდროდ დაეკავშირებინა ნატოსთან და საფრანგეთზე ზეგავლენა მოეხდინა.

საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში კონსერვატორები წინააღმდეგი იყვნენ, საერთო ევროპული თათბირი მოეწვიათ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ. ამასთანავე საბჭოთა კავშირ-ინგლისს შორის ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა ერთგვარ ძვრებსაც, რაც გამოიხატა 1970 წლის ოქტომბერში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს ვიზიტით ინგლისში. მიღებულ იქნა შეთანხმება, რომ ყველა სახელმწიფო შეუერთდეს თერმობირთვული იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო ხელშეკრულებას. მაგრამ კონსერვატორული მთავრობა მაინც ცდილობდა შეეჩერებინა ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე დაძაბულობის შენელების პროცესი. 1972 წელს სექტემბერში მათ არა ერთი პროვოკაციული ღონისძიება მოაწყვეს საბჭოთა საელჩოსა და დაწესებულებების მიმართ ლონდონში, კერძოდ, ჩაატარეს „ინტურისტის“ და „აეროფლოტის“ ჩხრეკა და საბჭოთა დიპლომატებსა და თანამშრომლებს უსაფუძვლო ბრალი დასდეს „დაუშვებელ საქმიანობაში“. „ეკვმიტანილები“ ინგლისიდან სამშობლოში დააბრუნეს. საბჭოთა კავშირის

საგარეო პოლიტიკისადმი უნდობლობა რომ დაენერგათ, ინგლისის პრესამ მტრული კამპანია გააჩაღა მისი დამახინჯებული სახით წარმოსადგენად. შეთითხნეს „საბჭოთა საშიშროებისა“ და „საბჭოთა შპიონაჟის“ მითი, თითქოს საბჭოთა კავშირი იარაღს აწვდიდა ირლანდიას.

საბჭოთა მთავრობამ პროტესტი განუცხადა ინგლისის მთავრობას ცილისმწამებლური და პროვოკაციული მოქმედების გამო. კერძოდ, გაუქმდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის გათვალისწინებული ოფიციალური ვიზიტი სსრ კავშირში, გადაიდო სხვა ოფიციალური შეხვედრები და კონსულტაციები სსრ კავშირისა და ინგლისის სამთავრობათაშორისო კომისიებისა მეცნიერულ-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე და ა. შ.

ინგლისის ასეთი პოზიციის გამო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის 1972 წელს „ცივი ომის“ ხასიათისა იყო. სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან — საფრანგეთთან, გფრ-თან, იტალიასთან და აშშ-თან კი ჩვენს ქვეყანას ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა.

1972 წელს ინგლისი ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების პასიური მაყურებლის როლში რჩებოდა. 1973 წელს ლონდონმა თვითონ გადადგა ნაბიჯი სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. მან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა გდრ-თან და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ინგლისის გავლენიანი წრეები სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ ურთიერთობის ნორმალიზაციას საბჭოთა კავშირთან, განსაკუთრებით ვაჭრობის საქმეში. ლეიბორისტული მთავრობის დროს ინგლისს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში, 1972 წელს კი მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

1973 წლის აპრილში მოსკოვში შედგა საბჭოთა კავშირ-ინგლისის სამთავრობათაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის მეორე სესია. ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ამ კომისიის თავმჯდომარე და ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი პ. უოკერი. 2—5 დეკემბერს კი ოფიციალური ვიზიტით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი დუგლას ჰიუმი. ერთობლივ კომუნიკეში აღინიშნა ორივე მხარის მისწრაფება, ხელი შეუწყონ მოლაპარაკებას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ, მშვიდობის უზრუნველყოფას და ორივე ქვეყანას შორის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა სახის ურთიერთობის გაფართოებას.

§ 25. ინგლისის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ცვლილებანი სოციალურ სტრუქტურაში

ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი. ინგლისის ეკონომიკის განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვნად განსხვავდება ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მისი განვითარება უფრო ჩქარი ტემპებით წარიმართა. მაგალითად, 1931—1938 წწ. წარმოების ყოველწლიური საშუალო მატება 2,7%-ს შეადგენდა; 1950—1970 წლებში კი იგი 3,3% იყო. ომის დამთავრებიდან ათი წლის განმავლობაში ინგლისის ეკონომიკას არ ახასიათებდა ისეთი ღრმა კრიზისი, როგორიც ომამდე; მაგალითად, 1952 წლის კრიზისის დროს სამრეწველო წარმოება მხოლოდ 2,5%-ით შემცირდა, ხოლო 1958 წლის კრიზისის დროს — 0,1%-ით.

ომამდელთან შედარებით 50—60-იან წლებში უმუშევართა რიცხვი შემცირდა და იგი შეადგენდა დასაქმებული მოსახლეობის 1,2—2,6%-ს. მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა სამრეწველო წარმოება ინგლისში 1954 წელს ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა 39%-ით, ხოლო 1956 წელს — 50%-ით. მაგრამ ეს ზრდის პროცესი მიღწეულ იქნა გამალებული შეიარაღებისა და ექსპლუატაციის გაძლიერებული ზრდის ხარჯზე. გაიზარდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ემსახურება სამხედრო მიზნებს, მაგალითად, ფოლადის გამოდნობა ომის წინ შეადგენდა 13,2 მლნ. ტონას, 1957 წელს კი — 22 მლნ. ტონას, მანქანების წარმოებაც შესაბამისად გაიზარდა 493 ათასიდან 1149 ათასამდე.

სამაგიეროდ მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა საფეიქრო, გემთმშენებლობის და ნახშირის, დაცემას განიცდიდა.

ომის შემდეგ ინგლისი თანდათანობით კარგავს შემოსავლის ისეთ მნიშვნელოვან წყაროს, როგორიცაა ნავთობის მოპოვება ახლო და შუა აღმოსავლეთში. ომამდე ამ რაიონებში ნავთობის მოპოვების 80 პროცენტი მოდიოდა ინგლისზე, აშშ-ზე კი — მხოლოდ 14%. 1952 წლისათვის აშშ აღნიშნულ რაიონებში კონტროლს უწევდა ნავთის მოპოვების 63%-ს, ინგლისი კი — მხოლოდ 30%-ს. 50-იან წლებამდე კვლავ იმ ტრადიციული დარგების განვითარებას ენიჭებოდა უპირატესობა, რომელნიც საქონელს კოლონიებისათვის აწარმოებდნენ, რის გამოც სამრეწველო ბაზა შედარებით სუსტი იყო და ეყრდნობოდა ძირითადად გემთმშენებლობას, რკინიგზების მოწყობილობათა წარმოებას, ქვანახშირის და საფეიქრო მრეწველობას. გარდა ამისა, ინგლისში მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრითი წონა უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა დიდ სახელმწიფოებში.

50-იან, განსაკუთრებით 60-იან წლებში, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ინგლისში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში. მან გამოიწვია ე. წ. ტრადიციული დარგების წარმოების შემცირება და ახალი დარგების განვითარება. მაგრამ ვინაიდან ინგლისის საშინაო ბაზარი ვერ აკმაყოფილებს მონოპოლიების გაზრდილ მოთხოვნილებებს, საგარეო ვაჭრობას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ბაზრების სივიწროვის დაძლევას „საერთო ბაზრის" შექმნით ცდილობდნენ. ინგლისიც თავის მხრივ შეეცადა ეკონომიკური ინტეგრაციით და ყოფილი კოლონიების ბაზრებზე პოზიციების აღდგენით ექსპორტის გაფართოებას. ინგლისისათვის კოლონიური სისტემის დაშლისა და ახალი ბაზრების საერთაშორისო განაწილების პირობებში უცხოეთის ბაზრებზე ინგლისური საქონლის ექსპორტის პრობლემა უფრო დიდმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი კონკურენტებისათვის. ვინაიდან ბრიტანეთის საგადამხდელო ბალანსისათვის დეფიციტი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ინგლისის მმართველი წრეები ქრონიკული დეფიციტის თავიდან აცილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევდნენ საქონლის ექსპორტის გაზრდას თანამეგობრობის ქვეყნებსა და „სტერლინგის ზონაში", მაგრამ განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად ამცირებდა მოთხოვნებს ინგლისურ საქონელზე. გარდა ამისა, ინგლისი თავის ყოფილ სამფლობელოებში იძულებული ხდებოდა თანდათანობით შეეიწროებულიყო 40-იან წლებში და 50-იანი წლების შუაპერიოდამდე ჯერ ამერიკის, შემდეგ კი სხვა იმპერიალისტური კონკურენტების სასარგებლოდაც და თანამეგობრობის ქვეყნებში მოეხსნა საქონლის იმპორტის ზოგიერთი შეზღუდვა.

1954 წელს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან თანამეგობრობის მეტ წილ ქვეყნებში საქონლის იმპორტის რაოდენობითი შეზღუდვები გაუქმდა და მათ ისეთივე უფლებები მიიღეს, როგორიც ინგლისს ჰქონდა. ინგლისმა 1958—1960 წლებში თანამეგობრობის ქვეყნებში მოხსნა შეზღუდვა ამერიკის საქონლის იმპორტზე. 1957 წელს ავსტრალიამ, ხოლო 1958 წელს ახალმა ზელანდიამ იაპონიას შეუქმნეს ხელსაყრელი პირობები ამ ქვეყნებში საქონლის შეტანაზე. თუმცა ინგლისი 50—60-იან წლებში ინარჩუნებდა უპირატესობას თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრებზე, მაგრამ თანდათანობით მისი გავლენა სუსტდება, ხოლო აშშ-ის, დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის პოზიციები ძლიერდება.

მსოფლიო ბაზრის შეცვლილ პირობებთან და მსოფლიო ბაზარზე შრომის ახალ დანაწილებასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ინგლისი „ახალ ადგილს" ეძებდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლო-

ნიების დაკარგვის შემდეგ. მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ცვლილებების გამო ინგლისის მონოპოლიებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო მონოპოლისტურ რეგულირებას. მთავრობა უზარმაზარ პირდაპირ და არაპირდაპირ სუბსიდიებს აძლევდა კერძო საწარმოებს და ეხმარებოდა მათ წარმოების ხარჯების შემცირებაში, რითაც სურდა მიეღო იმის გარანტია, რომ ბრიტანეთის საქონელი კონკურენციაში გაიმარჯვებდა. ეკონომიკაში მსხვილი მონოპოლიების ბატონობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. 50-იანი წლების დასაწყისში დამამუშავებელი მრეწველობის დარგეშის დიდი ნაწილი გაერთიანებული იყო 2,5 ათას დარგობრივ არტელში, მაგრამ ყველაზე საგულისხმო მაინც ისაა, რომ მთელმა რიგმა კოლონიურმა მონოპოლიებმა საქმიანობა ინგლისში გადაიტანეს. 60-იანი წლებისათვის ინგლისმა მრეწველობის კონცენტრაციით პირველი ადგილი დაიკავა დასავლეთ ევროპაში. მონოპოლისტური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის კოლონიებიდან ინგლისში დაბრუნება და ამ კაპიტალის ახალ დარგებში დაბანდება (საავიაციო, საავტომობილო, ატომის, ელექტრონის, ქიმიურ და მრეწველობის სხვა დარგებში) ცვლიდა ინგლისის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას, იწვევდა მრეწველობის ტემპების ზრდას. 60-იან წლებში მრეწველობაში პროდუქციის ყოველწლიური მატება 4,5%-ს შეადგენდა. ლეიბორისტული მთავრობა ხელს უწყობდა არა მარტო საკუთარი კოლონიური მონოპოლიების ინვესტიციის ზრდას, არამედ უცხოეთის კაპიტალისაც. აშშ-თვის ინგლისი გახდა კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი. 60-იანი წლების დამლევისათვის აშშ-ის კაპიტალის აქტივი ინგლისში უახლოვდებოდა 6 მლრდ. დოლარს. აქ ჰქონდათ დაბანდებული კაპიტალი გფრ-ს, საფრანგეთს და იტალიას. სამივე ამ სახელმწიფოს მიერ ინგლისში დაბანდებული კაპიტალი, ერთად აღებული, ნაკლები იყო აშშ-ზე. ინგლისის მრეწველობაში დაბანდებული საზღვარგარეთის კაპიტალის ხვედრითი წონა საკუთარ კაპიტალთან შედარებით უმნიშვნელო იყო და საერთო კაპიტალურ დაბანდებაში არსებით როლს არ ასრულებდა.

არ გამართლდა ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცება ბრიტანეთის იმპერიალიზმის მიერ კოლონიების დაკარგვის შემდეგ მისი ავტომატური კრახის შესახებ. იგი შეეგუა ახლად შექმნილ ვითარებას. ინგლისი კვლავ დიდ სახელმწიფოთა რიგებშია და ამავე დროს სსრ კავშირის და აშშ-ის შემდეგ მესამე ატომური სახელმწიფოა მსოფლიოში. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი სამრეწველო განვითარების ტემპებით ჩამორჩება სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის, იგი მაინც ძველებურად ინარჩუნებს სამრეწველო და სამხედრო პოტენციალს,

აქვს დიდი და ფართო საერთაშორისო კავშირები. საკმარისია აღინიშნოს ასეთი ციფრები: მსოფლიოს 100 უმსხვილესი მონოპოლიიდან 28 ინგლისურია; სავაჭრო ფლოტის ტონაჟით (30 მლნ-ზე მეტი ტონა) ინგლისს მესამე ადგილი უკავია (ლიბერიისა და იაპონიის შემდეგ) მსოფლიოში. ინგლისის კერძო კაპიტალური დაბანდება საზღვარგარეთ შეფასებულია 19 მილიარდი გირვანქა სტერლინგით. ლონდონი კი რჩება უმსხვილეს საერთაშორისო საბანკო ცენტრად აშშ-ის შემდეგ. 1974 წელს სიტი ითვლიდა 56 ქვეყნის 250 საზღვარგარეთულ ბანკს (ნიუ-იორკში 42 ქვეყნის 151 საზღვარგარეთის ბანკი იყო). ეკონომიკურ და პოლიტიკურ პოზიციებზე დაყრდნობით ინგლისს საშუალება აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს საერთაშორისო პრობლემის გადაჭრაზე. სტერლინგის ზონაში გაერთიანებულია ევროპის, აზიისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სამეურნეო ურთიერთობის მსხვრევა და შრომის განაწილება ყოფილ კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებსა და დიდ ბრიტანეთს შორის უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ცვლილებები ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზოგიერთ შემთხვევაში სამეურნეო ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან უფრო მჭიდრო გახდა მას შემდეგ, რაც ინგლისის ყოფილმა სამფლობელოებმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს. მის ეკონომიკურ ორბიტაში შემავალ განვითარებად ქვეყნებს ინგლისი ძველებურად უწევს ექსპლუატაციას. მაგალითად, 1968 წელს ამ ქვეყნებში თავმოყრილი იყო ინგლისის მთელი საზღვარგარეთის პირდაპირი ინვესტიციების 30%. 1966—1968 წლებში ამ კაპიტალურ დაბანდებებზე მოდიოდა შემოსავლის 30%. ამასთანავე, როგორც წესი, ინგლისის მონოპოლიების ინვესტიციებს თითქმის არაფერი არა აქვთ საერთო ინგლისის ეკონომიკასთან. კოლონიურ ოლიგარქიას, გემთმფლობელ მაგნატებს, საგარეო ვაჭრობის შუამავლებს და ბანკირებს, რომელნიც ამჟამად ისე, როგორც 10—20 წლის წინათ, წარმოადგენდნენ ქვეყნის ფინანსური სისტემის ხელმძღვანელებს, დიდი გავლენა აქვთ ბრიტანეთის იმპერიალიზმის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ამის შედეგი კი ის არის, რომ სახელმწიფოს სამეურნეო მოღვაწეობაში უპირატესობა ხშირად ენიჭება საკალუტო პრობლემის გადაჭრას ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საზიანოდ. ასეთ პირობებში მმართველი წრეების დიდი ნაწილი, რომელსაც მრეწველობის უახლესი დარგების განვითარების კურსი აქვს აღებული, აწყდება ძველი მემკვიდრეობის—ნეოკოლონიალიზმისა და მილიტარიზმის დიდ წინააღმდეგობას, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის მეურნეობას და ასუსტებს მისი კონკურენციის პოზიციებს მსოფ-

ლიო ბაზარზე. ინგლისის ეკონომიკას განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევს გამალებული შეიარაღების ხარჯები.

ინგლისის სამხედრო ხარჯების ხვედრითი წონა

წლები	მლნ. გირვანქა სტერლინგი	პროცენტებში	
		ცენტრალური მთავრობის მიმდინარე ხარჯებთან	ეროვნულ შემოსავალთან
1938	343	18,8	7,1
1946	1560	44,0	19,7
1953	1652	39,6	12,0
1960	1630	29,0	7,8
1965	2105	28,1	7,4
1970	2455	15,7	6,4
1975	2829	14,9	6,1

სამხედრო მრეწველობის ინტერესები მჭიდროდ არის გადახლართული მაღალი სამხედრო თანამდებობების პირებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და ორივე პარტიის წარმომადგენელთაგან შემდგარი პარლამენტის და სამინისტროების წევრებთან. ამიტომაა, რომ ინგლისში ხმარობენ ტერმინს „სამხედრო-სამრეწველო-სამეცნიერო მთავრობის კომპლექსი". ინგლისის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მდიდრდება იმის მიუხედავად, თუ რომელი პარტია დგას ხელისუფლების სათავეში. როგორც წესი, სამხედრო დაკვეთების 90% მოდის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კონცერნებზე და მხოლოდ 10% — სამხედრო საწარმოებზე. ინგლისის მთავრობა ფაქტობრივად გამოდის კერძო სამხედრო ფირმების სავაჭრო აგენტად და საზღვარგარეთ ასაღებს მათი ექსპორტის 90%-ს.

ცვლილებები ინგლისის მშრომელთა სოციალურ სტრუქტურაში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ძველი დარგობრივი და დასაქმების კვალიფიციური სტრუქტურა აღარ პასუხობდა წარმოებისა და საკონკურენციო ბრძოლის მოთხოვნებს. ადრე ინგლისში არსებობდა საწარმოო შეგირდობა და ტრადიციულ დარგებში დაგროვილი ტექნიკური გამოცდილების და პროფესიული დახელოვნების თაობიდან თაობაზე გადაცემა, რის გამოც ინგლისს ყოველთვის დიდი უპირატესობა ჰქონდა თავის კონკურენტებთან შედარებით.

60-იანი წლების მეორე ნახევარში დაქირავებული მრომის პირები შეადგენდნენ დასაქმებული მოსახლეობის 90%-ს. ინგლისის მუშათა კლასის რაოდენობას (ისე როგორც სხვა ეკონომიკურად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისას) ახასიათებს მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერ-მუშაკთა პერსონალის როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი რიცხობრივი ზრდა. მათ ხშირად

აერთიანებენ „თეთრსაყელოიან“ მუშათა სახელით. ინგლისში რომ სწრაფად იზრდება „თეთრსაყელოიანთა“ რაოდენობა, ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: 1911 წელს ისინი შეადგენდნენ დასაქმებული მოსახლეობის 18,7%, 1921 წელს — 21,2%, 1931 წელს — 23%. ომის შემდეგ მათი რაოდენობა უფრო სწრაფად გაიზარდა და 1951 წელს თითქმის მესამედი (31%) გახდა, ხოლო 1966 წელს ქვეყნის აქტიური მოსახლეობის მესამედზე მეტს (38%) მიაღწია. „თეთრსაყელოიანთა“ ზრდა ნაწილობრივ დაკავშირებულია ინგლისის სამრეწველო სტრუქტურის ცვლილებებთან. მმართავი, ტექნიკური და კანტორის პერსონალთა ხვედრითი წონა განსაკუთრებით დიდია ახალ, სწრაფად მზარდ მრეწველობის განვითარებულ დარგებში (ელექტროტექნიკური, ქიმიური, რაკეტული, ატომური). სამრეწველო წარმოების ორგანიზაციასა და ტექნიკაში ცვლილებები იწვევს აგრეთვე კანტორის, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობის ზრდას. ასეთ მუშაკთა ხვედრითი წონა იზრდება ისეთ დარგებშიც კი, სადაც მნიშვნელოვნად მცირდება საერთო დასაქმება. მაგალითად, ქვანახშირის წარმოებაში დასაქმება 1921—1961 წწ. 50%-ზე მეტად დაეცა, მოსამსახურეთა რაოდენობა კი 100%-ით გაიზარდა.

მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია აგრეთვე მიმოქცევისა და მოხმარების სფეროების განვითარებასთან. დაქირავებულთა შორის მოსამსახურეთა ხვედრითი წონა ამ დარგებში განსაკუთრებით მაღალია. ფიზიკური შრომის მუშაკთა რაოდენობის შეფარდებითი, ხანდახან კი აბსოლუტური შემცირება, უპირველეს ყოვლისა, არაკვალიფიციური მუშების ხარჯზე ხდება, რაც მნიშვნელოვნად მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან და ძველ დარგებში დასაქმების განუწყვეტელ შემცირებასთანაა დაკავშირებული. 1951—1966 წლებში კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშათა რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ მათი ხვედრითი წონა მოსახლეობის დასაქმებულ ნაწილს შორის შემცირდა.

მუშათა რიგები ივსება ტექნიკური შემადგენლობითაც: ინგლისის მუშათა კლასის მთლიანი განახლება ხდება და მათ რიგებში იზრდება „თეთრსაყელოიან“ მუშაკთა რაოდენობა. შრომაში ინტელექტუალური ელემენტის საერთო ზრდის შედეგად, როგორც აღნიშნავს ინგლისელი კომუნისტი — სოციოლოგი ჰ. ფრენკელი, ფიზიკურ და არაფიზიკურ შრომას შორის განსხვავება ქრება. მისი აზრით, მუშებსა და დაბალ მოსამსახურეებს შორის მთლიან დაახლოებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ეს პროცესი 60-იან წლებში სწრაფად მიმდინარეობს და მათი დაახლოება ჩქარდება. მუშათა კლასის შემადგენლობაში და საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები დაღს ასვამს ინგლისის მშრომელების ეკონომიკური და

პოლიტიკური ბრძოლის ხასიათსა და ფორმებს. თავისთავად ცხადია, რომ დაქირავებული შრომის მუშაკთა რაოდენობის გაზრდა და მუშების კვალიფიციურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები მნიშვნელოვნად ამაღლებს მუშათა კლასობრივ შეგნებას. სახალმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშებთან ერთად ებმებიან მეცნიერ-ტექნიკური კადრები, კანტორის მუშაკები, მაგრამ ამავე დროს იქმნება წინააღმდეგობანი. დაქირავებული შრომის წარმომადგენელთა რაოდენობის ზრდა ახალი სოციალური ფენებით ართულებს მუშათა მოძრაობას, უკარგავს მას წმინდა პროლეტარულ კლასობრივ ხასიათს, აფართოებს წვრილბურჟუაზიულ ბაზას და რეფორმისტულ ილუზიებს ქმნის.

§ 26. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი. 1974 წლის საპარლამენტო არჩევნები. VII და VIII ლეიბორისტული ეთაპრობები და მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი. 1974 წელს ინგლისს მოედო მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც მასშტაბით 1929 წლის კრიზისს ადარებენ. „ხელფასების გაყინვის პოლიტიკის" ვითარებაში 1974 წელს წინა წელთან შედარებით ფასები საშუალოდ 10%-ით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე კი — 18,8%-ით, საერთოდ კი, კონსერვატორების მმართველობის წლებში — 50%-ით. ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტმა მიაღწია რეკორდულ ციფრს — 2,4 მლრდ. გირვანქა სტერლინგს. ნავთობზე ფასების გაზრდამ გამოიწვია იმპორტის ღირებულების გაზრდა. 1975 წელს ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა. მკვეთრად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება (16%), გაიზარდა უმუშევრობა. 1976 წელს უმუშევართა რაოდენობამ 1 მლნ-ზე მეტი შეადგინა. ყოველივე ამის შედეგად სტერლინგის ინფლაციამ კატასტროფული ხასიათი მიიღო. 1976 წელს 1971 წელთან შედარებით სტერლინგი 45 პროცენტით გაუფასურდა. თავი რომ დაეღწია მთლიანი გაკოტრებისაგან, 1975 წლის ივნისში ინგლისის მთავრობამ წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს მოსთხოვა მსხვილი სარეზერვო კრედიტი 5,3 მლრდ. დოლარის ოდენობით, რომლის მიღების შემდეგ სტერლინგის დროებითი სტაბილიზაცია მოხდა. მაგრამ სექტემბერ-ოქტომბერში სტერლინგის მდგომარეობა კვლავ შეირყა. ინგლისის მთავრობამ ფინანსური დახმარებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიმართა, რომლისგანაც დეკემბერში მიიღო 3,9 მლრდ. დო-

ლარი, მაგრამ ვერც ამ ახალმა სესხმა გამოასწორა სტერლინგის შერყეული მდგომარეობა. 1977 წლის იანვარში ინგლისის მთავრობამ ბაზელის ბანკისაგან სესხად მიიღო 3 მლრდ. დოლარი, საერთაშორისო საბანკო წრეებიდან კი — 1,5 მლრდ. დოლარი. მაგრამ ეს დახმარება არ შველის ღრმა კრიზისში მყოფ ინგლისის ეკონომიკას.

მიუხედავად იმ უზარმაზარი კრედიტებისა, რომლებიც ინგლისის მთავრობამ უცხოეთიდან მიიღო, ფაქტობრივად მდგომარეობა არ შეცვლილა. ინგლისის სამრეწველო წარმოება 1977 წლის პირველ კვარტალში 2,5%-ით მეტი იყო, ვიდრე ერთი წლის წინათ. ამასთანავე საერთაშორისო სავალუტო ფონდი ინგლისის მთავრობისაგან მოითხოვს „მომჭირნეობის ღონისძიებათა განხორციელებას", კერძოდ, სოციალური საჭიროებისა და ეკონომიკის ნაციონალიზებული დარგებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირებას. ამ მოთხოვნის შედეგადაა მიჩნეული 1977 წლის ივნისში გიგანტური ნავთობის კომპანიის „ბრიტიშ პეტროლეუმში" მთავრობის აქციების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა. კომპანიაში მთავრობის მონაწილეობის წილი 68-დან 51%-მდე შემცირდა. აქციების ძირითადი ნაწილი შეიძინეს ოკეანის გაღმელმა მონოპოლიებმა[1].

აქციების გაყიდვამ მთავრობას დაახლოებით 600 მლნ. გირვანქა სტერლინგი მოუტანა, მაგრამ სამაგიეროდ იგი დიდ ზარალს მიაყენებს ეკონომიკას. ლეიბორისტული პარტიის მემარცხენეები აღნიშნავენ, რომ საქმე ეხება არა მარტო კოლოსალურ შემოსავალს, რომელსაც ახლა მიიღებენ კერძო კომპანიები, არამედ ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო გაადიდებს ინგლისის დამოკიდებულებას უცხოეთის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის მონოპოლიებზე. მთავრობის ამ ღონისძიებას ინგლისის პრესამ „ინგლისის ეროვნული სირცხვილი" უწოდა.

კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა ინგლისის საგარეო ვაჭრობას, გამოიწვია მისი მკვეთრი შემცირება, რამაც, თავის მხრივ, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ნაოსნობის საქმე. მარტო 1976 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში ჯართად აქციეს ტანკერები 1213500 ტონა წყალწყვის ოდენობისა. საქმე იმაშია, რომ ნავთობის გადასაზიდ გემებზე ტარიფების დაცემის შედეგად მათი ექსპლუატაცია წამგებიანი გახდა.

---

[1] პრემიერ-მინისტრმა ჯ. ვილსონმა ჩრდილოეთ ზღვაში დაწყებული ნავთობის მოპოვება შეადარა XVIII საუკუნის სამრეწველო რევოლუციას ინგლისში. ახალმა პრემიერ-მინისტრმა კალაგენმა იმედი გამოთქვა, რომ 1977 წელს ინგლისი ჩრდილოეთის ზღვაში მოიპოვებს 35—45 მლნ. ტონა ნავთობს, 80-იან წლებში კი მისი მოპოვება გაიზრდება 100—130 მილიონ ტონამდე, რის შედეგად ინგლისი შევა ნავთობის მომპოვებელ სახელმწიფოთა ათეულში.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შექმნილმა ეკონომიკურმა სიძნელეებმა გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა. 1977 წლის 26 იანვრის ოფიციალური ცნობით დიდ ბრიტანეთში უმუშევართა რაოდენობამ 1448 ათას კაცს მიაღწია, რაც მთელი დასაქმებული მოსახლეობის 6,1%-ია. უფრო მასობრივია უმუშევრობა ჩრდილოეთ ირლანდიაში (10,2%), შოტლანდიასა (8,4%) და უელსში (მშრომელი მოსახლეობის 8%). ინგლისში ამ დროისათვის დაახლოებით 350 ათასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი უმუშევარია.

თვითონ ინგლისის მთავრობა ეჭვს გამოთქვამს იმის გამო, რომ დიდი ბრიტანეთი შეძლებს უახლოეს ხანში თავი დააღწიოს მეტისმეტად მძიმე ეკონომიკურ სიძნელეებს. ამის საფუძველზე ისინი ქვეყნის მშრომელებს მოუწოდებენ გაიღონ ახალი მსხვერპლი.

1974 წლის საპარლამენტო არჩევნები და ლეიბორისტების გამარჯვება. საშინაო პოლიტიკა. 1974 წლის დასაწყისიდან კონსერვატორებმა იძულებითი წესით შემოიღეს სამდღიანი სამუშაო კვირა განახევრებული ხელფასით. მასობრივი ლოკაუტის შემდეგ შრომის ბირჟაზე სამუშაოს მძებნელთა რაოდენობამ 2 მლნ. კაცს მიაღწია. ცალკეულ დარგებში პროდუქციის გამოშვება 20%-ით დაეცა და შემცირდა მშრომელთა ხელფასი. სამდღიანი სამუშაო კვირის დაწესებით კოსერვატორები იმავე მიზანს ისახავდნენ, რასაც „ხელფასების გაყინვის პოლიტიკა“ — შეემცირებინათ მოსახლეობის სყიდვითიუნარიანობა. ამ საგანგებო ღონისძიებებით ე. ჰიტის მთავრობას სურდა განუწყვეტელი გაფიცვების ვითარებაში მუშათა კლასის წინააღმდეგ მოსახლეობის სხვა ფენების ამხედრება. 1974 წლის თებერვალში დაიწყო მეშახტეთა ეროვნული გაფიცვა, რაც კონსერვატორების „მკაცრი ეკონომიკური კურსის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. კონსერვატორებმა ამის საპასუხოდ საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს და გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარების გამოყენებითაც კი იმუქრებოდნენ. შანტაჟმა და დაშინებამ მეშახტეებზე არ გაჭრა. მაშინ კონსერვატორებმა გადაწყვიტეს, პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები დაენიშნათ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მეშახტეების მიმართ დაუთმობელი მოქმედებით ინგლისელთა მოწონებას დაიმსახურებდნენ და არჩევნებში გაიმარჯვებდნენ. გარდა ამისა, კონსერვატორებმა ანტიკომუნისტური კამპანია გააჩაღეს და ცდილობდნენ მასებისათვის ერის მხსნელებად მოეჩვენებინათ თავი.

არჩევნები ჩატარდა 1974 წლის თებერვლის დამლევს. ლეიბორისტები ფართო პროგრამით გამოვიდნენ ამომრჩეველთა წინაშე: რომ განახორციელებდნენ მრეწველობის რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების ნაციონალიზაციას, გააუქმებდნენ ანტიპროფკავშირულ კანონს „მრეწველობაში ურთიერთობის შესახებ“, კონტროლს დაამ-

ყარებდნენ მონოპოლიებზე, უზრუნველყოფდნენ მშრომელების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, გადასინჯავდნენ ინგლისის „საერთო ბაზარში" მონაწილეობის პირობებს და ბოლოს მოუღებდნენ ინფლაციას. არჩევნებში ლეიბორისტებმა წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ 635 ადგილიდან მიიღეს 301 ადგილი, კონსერვატორებმა კი — 296, ე. ი. მხოლოდ 5 ადგილით ნაკლები. კონსერვატორები დამარცხდნენ, მაგრამ ლეიბორისტების წარმატებაც არ იყო მტკიცე. ამიტომ იყო, რომ პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა პირველსავე სხდომაზე გააფრთხილა ლეიბორისტები, რომ მზად ყოფილიყვნეს ახალი არჩევნების ჩატარებისათვის. 1974 წლის მარტიდან შეიქმნა VII ლეიბორისტული მთავრობა, რომელსაც სათავეში კვლავ ჰ. ვილსონი ჩაუდგა. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ჯ. კალაგენი.

მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო გაფიცულ მეშახტეებთან მოლაპარაკება. მათი მოთხოვნა ხელფასის მომატებასა და სამკვირიანი შვებულების დაწესებაზე დაკმაყოფილებულ იქნა. გაუქმდა კონსერვატორების მიერ შემოღებული საგანგებო მდგომარეობა, სამდღიანი სამუშაო კვირა და მის ნაცვლად ნორმალური სამუშაო კვირა დაწესდა. მაგრამ მნიშვნელოვანი კანონების მიღებას პარლამენტში კონსერვატორებმა და ლიბერალებმა ხელი შეუშალეს. მაშინ მთავრობამ დაითხოვა პარლამენტი და ოქტომბერში ჩაატარა ახალი არჩევნები, რომელმაც მნიშვნელოვნად განამტკიცა ლეიბორისტების პოზიციები პარლამენტში. მათ ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს. არჩევნების შემდეგ შეიქმნა რიგით უკვე VIII ლეიბორისტული მთავრობა ისევ ჰ. ვილსონის მეთაურობით.

ლეიბორისტებმა ზოგიერთი დაპირება შეასრულეს: გააუქმეს ანტიპროფკავშირული კანონი, ფასიანი მომსახურება მედიცინის ზოგიერთ დარგში, ხოლო პარლამენტში განსახილველად შეიტანეს „სამრეწველო კანონპროექტი", რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის როლის რამდენადმე გაფართოებას. ეს კანონპროექტი ვრცელი დამატებების შემდეგ დამტკიცდა. დაგეგმილია საწარმოების ეროვნული სამმართველოს შექმნა, რომლის მეშვეობით მთავრობა კომპანიებისათვის ფინანსური დახმარების ნაცვლად შეიძენს მათი აქციების ნაწილს, რითაც მათზე გავლენის უფლებას მოიპოვებს.

1975 წლის მაისში ლეიბორისტულმა მთავრობამ პარლამენტში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი ავია და გემთსაშენი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ, რომელიც ასევე დამტკიცდა, რის შედეგად შეიქმნა ორი სახელმწიფო სამმართველო და მათ განკარგულებაში გადავიდა კერძო კომპანიები. საყურადღებოა, რომ ორივე ეს დარგი კრიზისს განიცდის: ინგლისის ავიაკომპანიები ვერ უძლე-

ბენ ამერიკელ კონკურენტთა შემოტევას. ამაო გამოდგა ცდა, რომ თანამშრომლობა დაემყარებინათ საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიისა და იტალიის ფირმებთან. მაგალითად, ინგლისი იძულებული გახდა უარი ეთქვა „აერობუსის" 250-ადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავის ერთობლივი პროექტის შექმნაზე. ინგლისურ-ფრანგული ავიაგამანადგურებელი „იაგუარი" ვერ საღდება ნატოს ქვეყნებში.

უკეთეს მდგომარეობაში არც ქვეყნის გემთსაშენი მრეწველობაა. ინგლისის ბევრი გემთსაშენი მოძველდა და კონკურენციას ვერ უწევს უცხოეთის გემთსაშენს. ამრიგად, ლეიბორისტების მიერ განხორციელებული ამ ორი დარგის ნაციონალიზაცია არავითარ წინააღმდეგობას არ წაწყდომია მათი მფლობელების მხრიდან. პირიქით, ისინი კმაყოფილი არიან იმით, რომ დიდ კომპენსაციებს მიიღებენ[1].

პარლამენტის არჩევნების კამპანიის დროს ლეიბორისტები დაპირებას იძლეოდნენ, რომ რეფერენდუმს მოაწყობდნენ „საერთო ბაზარში" ინგლისის დარჩენის ან გამოსვლის შესახებ. 1975 წლის 5 ივნისს ამ საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლესობამ (17,3 მლნ., ე. ი. 67,2%) ნებარი დაუჭირა ინგლისის „საერთო ბაზარში" დარჩენას (წინააღმდეგ ხმა მისცა 8,4 მლნ.-მა, ე. ი. 32,8%-მა).

ამომრჩეველებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჰ. ვილსონის განცხადებამ, რომ ინგლისის გამოსვლა „საერთო ბაზრიდან" სარისკო გახდებოდა ქვეყნის ეკონომიკისათვის. ინგლისური ფირმების მფლობელთა ნაწილი მუშებს ამშინებდა, რომ „საერთო ბაზრიდან" ინგლისის გამოსვლის შემთხვევაში ფირმების ნაწილის ლიკვიდაციას მოახდენდა და უმუშევრობა გაიზრდებოდა, რომ ისინი გაიტანენ თავიანთ კაპიტალს გაერთიანებიდან, რასაც კორპორაციების ლიკვიდაცია და მასობრივი უმუშევრობა მოჰყვება. ერთი სიტყვით, ბრიტანეთში მასობრივი კამპანია იყო „საერთო ბაზრის" სასარგებლოდ. რეფერენდუმის შედეგებს დიდმა ბიზნესმა ბირჟაზე აქციების კურსის აწევით უპასუხა. მხოლოდ პროფკავშირები და ქვეყნის მემარცხენე ძალები გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ ლეიბორისტების დაპირებები რეფერენდუმის შემდეგ შეიძლება განუხორციელებელი დარჩეს.

1974 წელს ლეიბორისტული პარტიის არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთ საწინდრად ის მიაჩნიათ, რომ იგი მშრომელებს პირდებოდა ისეთი ეფექტური ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნ-

---

[1] საყურადღებოა, რომ პირველად ინგლისის ისტორიაში კონსერვატორული პარტიის ხელმძღვანელად აირჩიეს (ჰიტის ნაცვლად) ქალი მარგარეტ ტეტჩერი. ეს არჩევნები ჩატარდა 1975 წლის თებერვალში, რომლის დროსაც ჰიტი დამარცხდა. მ. ტეტჩერის არჩევას მიიჩნევენ კონსერვატორული პარტიის მარჯვნივ გადახვევად. ტეტჩერი მკაცრი ხაზისა და სოლიდური ხარჯების შეკვეცის მომხრედ მიაჩნიათ.

ველოფდა „არსებით და შეუქცევად შემობრუნებას სიმდიდრისა და ხელისუფლების განაწილებაში მშრომელთა სასარგებლოდ“, სიმდიდრეზე, ე. ი. დიდ შემოსავალზე სპეციალური გადასახადის შემოღებას, მონოპოლიების თავაშვებულობის აღკვეთას და ა. შ. ამ დაპირებების საპასუხოდ ტრედუნიონები ნებაყოფლობით დათანხმდნენ ორი წლის ვადით ხელფასის მომატების შეზღუდვაზე, რომელმაც „სოციალური კონტრაქტის“ სახელწოდება მიიღო.

1976 წლის დასაწყისში ლეიბორისტულმა მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1 მლრდ. სტერლინგით შეამცირა. ამ შემცირების მთავარი მსხვერპლი გახდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და უმუშევართათვის დახმარების ფონდები. ჰ. ვილსონის გადადგომის შემდეგ შეიქმნა ახალი მთავრობა ჯ. კალაგენის მეთაურობით, რომელმაც ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე და უცხოეთიდან მიღებული უზარმაზარი სესხების გადახდა ხალხს დააკისრა. ამის შედეგი იყო ფასების ზრდა სურსათზე, ბინის ქირაზე, სამედიცინო მომსახურებაზე. ცხოვრების ღირებულების ზრდით ინგლისი მეორე ადგილზეა ევროპაში (იტალიის შემდეგ). ერთი წლის განმავლობაში (1976 წელს) ინგლისში ფასები 16,7%-ით გაიზარდა[1]. საქმე იმაშია, რომ 1976 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 10%-ით შემცირდა. 2 ათასი ფერმა გაკოტრდა და თავისი არსებობა შეწყვიტა.

1976 წლის დეკემბერში კალაგენის მთავრობამ პარლამენტს მიაღებინა ქვეყნის ეკონომიკის გამოჯანსაღების ახალი ეკონომიკური პროგრამა. იგი ითვალისწინებს სოციალური ხარჯების შემდგომ შემცირებას და გადასახადების გაზრდას. ამ ღონისძიებებით მთავრობას იმედი აქვს ორი წლის განმავლობაში ხალხის ხარჯზე დაზოგოს 2,5 მლრდ. სტერლინგი. მთავრობის ეს პროგრამა დუმილით გვერდს უვლის უმუშევრობის ლიკვიდაციის საკითხს. უმუშევრობა კი ერთ-ერთი მიზეზია მოხმარების შეზღუდვისა და, აქედან გამომდინარე, ბაზარზე მოთხოვნების დაცემისა.

1977 წლის აპრილში მთავრობამ მოლაპარაკება გაამართა ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესთან, რომლისგანაც მოითხოვს, რომ იგი დათანხმდეს ახალ „სოციალურ კონტრაქტზე“, ე. ი. იმაზე, რომ ნებაყოფლობით უარი თქვას ხელფასების გაზრდაზე, მიუხედავად იმისა, რომ ფასები პირველი მოთხოვნის საგნებზე სწრაფად იზრდე-

---

[1] ევროპის გაერთიანებული კომისიის მონაცემებით, „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში ფასები 1976 წლის მარტიდან 1977 წლის მარტამდე საშუალოდ 11%-ით გაიზარდა.

ბა. მაგრამ ინგლისის მშრომელები რწმუნდებიან, რომ თუ ისინი 2 წლის განმავლობაში არ ირღვევდნენ მთავრობასთან დადებულ „სოციალურ კონტრაქტს", კალაგენის კაბინეტს არ შეუძლია დაიტრაბახოს თავისი წინასაარჩევნო მანიფესტის შესრულება. ამრიგად, „სოციალური კონტრაქტი" სინამდვილეში სოციალურ მოტყუებად იქცა. ამიტომაა, რომ მშრომელები უარს ამბობენ მთავრობასთან ახალი „სოციალური კონტრაქტის" დადებასა და ახალი მსხვერპლის გაღებაზე. ხალხს და ინგლისის პროგრესულ ძალებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური- სიძნელეების დაძლევა შეიძლება არა ხალხის ხარჯზე, არამედ სამხედრო ხარჯების შემცირებით, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას.

1977 წელს გამოქვეყნებული „თეთრი წიგნის"[1] თანახმად, 1977—1978 საფინანსო წელს ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს 6329 მლნ. გირვანქა სტერლინგს, ე. ი. ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქციის 5,5%. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად დიდი ეკონომიკური სიძნელეებისა, ინგლისის სამხედრო ხარჯები უფრო მეტი იქნება, ვიდრე ნატოში შემავალი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა[2].

1977 წლის ივნისში ლონდონში შედგა ნატოს მორიგი სესია, რომელზეც აშშ-მა აიძულა ამ დაჯგუფებაში შემავალი ქვეყნები ყოველწლიურად გაზარდონ თავიანთი სამხედრო ხარჯები 3%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ინგლისში იგი ყოველწლიურად გაიზრდება 150 მლნ. გირვანქა სტერლინგით, ხოლო ნატოში შემავალ სხვა ევროპის ქვეყნებში — 450 მლნ. სტერლინგით.

ლეიბორისტული მთავრობის მიერ გატარებულმა მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითების კურსმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქვეყანაში და მთავრობა კრიზისის ზღვართან მიიყვანა. კონსერვატორები შეეცადნენ, ესარგებლათ შექმნილი ვითარებით და დაემხოთ ლეიბორისტები. 1977 წლის მარტის ბოლოს კონსერვატორებმა თემთა პალატაში შეიტანეს ლეიბორისტებისადმი უნდობლობის რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვდა კალაგენის მთავრობის გადადგომას, პარლამენტის ვადამდე ადრე დათხოვნას და არჩევნების ჩატარებას. მაგრამ 34 ხმის უმრავლესობით (322 ხმით 298-ის წინააღმდეგ) ეს წინადადება უარყოფილ იქნა. ლეიბორის-

---

[1] ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს სამხედრო ბიუჯეტის „თეთრ წიგნს".

[2] 1976 წელს ეს მაჩვენებლები შეადგენს შემდეგს: ინგლისისათვის — 5,1, გერმანიისათვის — 4,2, საფრანგეთისათვის — 3,8%. 1976 წელს სამხედრო ხარჯები ინდოეთში შეადგენდა 6,632 მლნ-ს. 1970 წელს კი იგი შეადგენდა 2500 მლნ. გირვანქა სტერლინგს.

ტულმა პარტიამ ზოგიერთ ოლქში დამატებითი არჩევნების გამო დაკარგა ის უმნიშვნელო უმრავლესობა, რომელიც მას ჰქონდა 1974 წლის არჩევნებისას (ახლა მას მოკავშირეებთან ერთად აქვს 314 ადგილი, ანუ ერთით ნაკლები, ვიდრე ოპოზიციური პარტიების ბლოკს). მთავრობის ბედი პრაქტიკულად სავსებით დამოკიდებულია ინგლისში სიდიდით მესამე ლიბერალური პარტიის წევრი 13 დეპუტატის პოზიციაზე. თუმცა ლეიბორისტებმა კომპრომისის შედეგად შეძლეს ხელისუფლების შენარჩუნება, სიძნელეები პარლამენტში სრულიადაც არ არის დაძლეული. ამ სიძნელეების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიჩნეულია ხალხთა უკმაყოფილების ზრდა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გამო. ამასთანავე მემარცხენე ლეიბორისტები გამოდიან ლიბერალებთან გარიგების წინააღმდეგ.

საგარეო პოლიტიკა. ლეიბორისტული მთავრობის დიდი შეშფოთება გამოიწვია პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობამ და პროგრესული მმართველობის სისტემის დამყარებამ, რის შემდეგ მალე პორტუგალიის კოლონიური იმპერიაც დაიშალა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის რასისტული რეჟიმები დამოუკიდებელი აფრიკული ქვეყნების გარემოცვაში აღმოჩნდა. ამ რეჟიმების გადარჩენის მიზნით, 1975 წლის იანვარში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი იმყოფებოდა აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში: ზამბიაში, ბოსტვანაში, ტანზანიაში, კენიაში, ნიგერიაში და ა. შ., მაგრამ ეს ვიზიტი უშედეგოდ დამთავრდა.

1975 წლის თებერვალში ჰ. ვილსონი ვაშინგტონში იმყოფებოდა, სადაც ორდღიანი მოლაპარაკება ჰქონდა ჯ. ფორდთან. მოლაპარაკებიდან ჩანს, რომ მთავარი ყურადღება მიექცა დასავლეთის ქვეყნების მწვავე ფინანსურ-ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პრობლემებს. პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა განიხილეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, აზრი გაუზიარეს ერთმანეთს ნატოში მათი მონაწილეობის შესახებ. აქ აზრთა სხვადასხვაობა გამომჟღავნდა ენერგეტიკული, ეკონომიკური და რიგი პოლიტიკური პრობლემების ირგვლივ, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის საბადოების დამუშავების საკითხში. ფორდმა შეშფოთება გამოთქვა ინგლისის მიერ ამერიკის ნავთობის კომპანიებზე გადასახადის დაწესების გამო. მაგრამ ვილსონმა დაამშვიდა ფორდი, რომ ეს გადასახადები ხელს არ შეუშლიდა ამერიკის ნავთობის კომპანიებს ჩრდილოეთის ზღვის საბადოების დამუშავებაში; უფრო მეტიც, პრემიერ-მინისტრმა ყველაფერი გააკეთა, რათა წაეხალისებინა ინგლისში ამერიკის კაპიტალის დაბანდების საქმე.

ვილსონის მთავრობის პროგრამულ დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ განახორციელონ და მხარი დაუჭირონ აღმოსავლეთსა და და-

სავლეთს შორის დაძაბულობის შენელებას, საყოველთაო განიარაღების მიღწევას, უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის წარმატებას და თერმობირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვას. 1975 წლის 13—14 თებერვალს პრემიერ-მინისტრი ვილსონი და საგარეო საქმეთა მინისტრი კალაგენი ოფიციალური ვიზიტით იყვნენ საბჭოთა კავშირში. აქ განიხილეს პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა დარგების ურთიერთობის საკითხები და მათი პერსპექტივები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ რეგულარულად მოაწყონ აზრთა გაზიარება დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებსა და ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. საბჭოთა კავშირ-ინგლისის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მომავალ ხუთწლეულში გაადიდებენ ვაჭრობის მოცულობას ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე. 17 თებერვალს ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს „საბჭოთა კავშირ-ინგლისის ერთობლივ განცხადებას", „ოქმს კონსულტაციების შესახებ" და ერთობლივ „დეკლარაციას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე". ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის. მაგალითად, 1974 წელს ორივე ქვეყნის საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენს 890 მლნ. მანეთს, 1975 წელს — 960 მლნ-ს, 1976 წელს — 1,2 მლრდ. მანეთს. (ხუთი წლის წინათ კი ამ ციფრის ნახევარსაც არ შეადგენდა).

1977 წლის დამდეგს ბრიტანეთის კონსორციუმმა „კოვეროუმმა" საბჭოთა ფირმებთან ხელი მოაწერა კონტრაქტს ტიუმენ-ჩელიაბინსკის გაზსადენისათვის კომპრესორული სადგურების მოწოდებაზე (100 მლნ. გირვანქა სტერლინგის ღირებულების).

საკომპენსაციო საფუძველზე ინგლისურ ფირმებთან დადებულია მსხვილი კონტრაქტი საბჭოთა კავშირში 200 ათასი ტონის სიმძლავრის პოლიეთილენის წარმოების კომპლექსური ქარხნის მშენებლობაზე.

საკომპენსაციო საფუძველზე ვითარდება თანამშრომლობა სამომხმარებლო საქონლის წარმოების დარგშიც. მაგრამ ამასთან ერთად ინგლისის ბაზარზე ჯერ კიდევ არსებობს რიგი დისკრიმინაციული შეზღუდვები საბჭოთა საქონლის მიმართ. 1977 წლის თებერვალში ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჯ. კალაგენმა თავის მიმართვაში სსრ კავშირ-ბრიტანეთის სავაჭრო ასოციაციის მე-60 წლისთავის გამო იმედი გამოთქვა, რომ სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო გაიზრდება.

§ 27. მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული ძალების მოძრაობა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე

კონსერვატორული, ხოლო შემდეგ კი ლეიბორისტული მთავრობების ანტიმუშურმა ღონისძიებებმა — ე. წ. ხელფასების მომატებაში „შესვენების“ გამოცხადებამ გამოიწვია საგაფიცვო მოძრაობის ზრდა.

ამ გაფიცვების შესახებ ნათელ სურათს იძლევა მოყვანილი ცხრილი.

წლები	გაფიცვების რაოდენობა	გაფიცულთა რაოდენობა (ათასებში)	დაკარგული სამუშაო დღეების რაოდენობა (სათებში)
1958	2639	524	3462
1959	2105	646	5270
1960	2849	819	3024
1961	2701	779	3046
1962	2465	4423	5798
1963	2081	593	1755
1964	2535	883	2277
1965	2365	876	2925
1966	1951	544	2398
1967	2133	734	2787
1968	2390	2258	4690
1969	3146	1665	6846
1970	3925	1784	10970
1971	2075	1094	15000
1972	2470	1714	24000
1973	3000	1215	7000
1974	3040	1320	8200
1975	3142	1460	9700

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში საგაფიცვო მოძრაობა გააქტიურდა. მუშები ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად აყენებდნენ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის გამოყენებისა და გამოცდის აკრძალვის შესახებ. ამ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ინგლისის კომუნისტური პარტია, რომელიც ცდილობდა მშვიდობის ძალების გაერთიანებას. 1959 წელს შედგა კომპარტიის XXVI ყრილობა, რომელმაც ახალი წესდება მიიღო. იგი პარტიას ავალებდა მიეზიდა ახალი წევრები და აქტიურად ემუშავა მასებში. პარტიის XXVII ყრილობამ (1961 წელს) სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო პარტიის განმტკიცების შესახებ, რომლის შედეგად პარტიის რიგები გაიზარდა 32,5 ათას კაცამდე. გაიზარდა ინგლისის კომკავშირის „ახალგაზრდა კომუნისტთა ლიგის“ რიგებიც. კომუნისტური პარტია იბრძვის შემარცხენე პროგრესული ძალების გაერთიანებისათვის, რომელშიც კომუნისტებთან ერთად უნდა შევიდნენ ლეიბორისტული

პარტია და ტრედუნიონები და შექმნან ანტიმონოპოლისტური
რი. წარმატებები ამ მხრივ საგრძნობია, მაგრამ მასზე უარყოფით
გავლენას ახდენს ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა ფენაში არსე-
ბული ანტიკომუნისტური განწყობილება, ხელს უშლის ისიც, რომ არ
არსებობს ავტორიტეტული კოორდინირებული ცენტრი, რომელიც
შეძლებდა ქვეყნის დემოკრატიული ძალების დაქსაქსულობის ლიკვი-
დაციას და მათ გაერთიანებას.

70-იანი წლების დასაწყისში მემარცხენე ძალების ზრდა შეინიშ-
ნებოდა ტრედუნიონებსა და ლეიბორისტული პარტიის რიგებს შო-
რისაც.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასობრივ მოძრაობას ატომური ბომ-
ბის წარმოების აკრძალვისათვის. ამ მოძრაობას „ოლდერმასტონის
ლაშქრობა" ეწოდა. ოლდერმასტონში ატომის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრია, იგი 80 კმ-ითაა დაშორებული ლონდონიდან.

პირველი ლაშქრობა მოეწყო 1958 წლის აპრილში, რომელშიც
მონაწილეობდა 4 ათასი კაცი. ამის შემდეგ ასეთი ლაშქრობების
მოწყობა ტრადიციად იქცა და თითქმის ყოველწლიურად მეორდე-
ბოდა. 70-იან წლებში ეს მოძრაობა შესუსტდა. 1960 წლის ოქტომ-
ბერში „ბირთვული განიარაღების მოძრაობას" გამოეყო დამოუკი-
დებელი ჯგუფი „110-თა კომიტეტი", რომელიც ისევე როგორც
„ბირთვული განიარაღების მოძრაობა" ხელმძღვანელობდა შემდე-
გი მიზნებით: ინგლისმა უსიტყვოდ უნდა თქვას უარი ბირთვული
იარაღის წარმოებასა და გამოცდაზე და მისი გამოყენების მუქარაზე,
როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე; ინგლისის ტერი-
ტორიაზე ლიკვიდირებული უნდა იქნეს საზღვარგარეთის და ერო-
ვნული სამხედრო ბაზები და ინგლისმა უნდა გაატაროს ეროვნული
დამოუკიდებელი პოლიტიკა.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას ინგლისის კომუნის-
ტური პარტია[1], რომელიც ცდილობს მშვიდობის ძალების გაერთიანე-

---

[1] 1975 წლის მარტში დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულ-
ებელი კომიტეტი დათანხმდა გენერალური მდივნის ჯონ გოლანის გადადგომაზე.
ჯ. გოლანის წინადადებით დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურ მდივნად
აირჩიეს გორდონ მაკლელანი — დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის პოლ-
იტიკური კომიტეტის წევრი.

ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომმა მადლობა გადაუხადა ჯ. გოლანს ნაყოფი-
ერი მუშაობისათვის.

გ. მაკლელანი გლაზგოს გემთსაშენის მუშის შვილია, 15 წლიდან აქტიურად მო-
ნაწილეობდა ინგლისის კომკავშირის მოძრაობაში და რამდენიმე წელიწადს იყო
მისი ეროვნული კომიტეტის წევრი, მონაწილეობდა პროფკავშირულ მოძრაობაშიც.
1949 წელს იგი გახდა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის შოტლანდიის ორგანიზაციის
ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1957 წლიდან გ. მაკლელანი დიდი ბრიტანეთის კომ-
პარტიის აღმასკომის წევრია.

ბას ერთ ეროვნულ ანტიმონოპოლისტურ ძალად. მისი მოთხოვნაა: საზღვარგარეთული სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ჯარების გამოყვანა დასავლეთ გერმანიიდან, მრავალმხრივი და ატლანტიკური თერმობირთვული ძალების შექმნაზე უარის თქმა და ა. შ.

§ 28. ჩრდილოეთ ირლანდიის ხალხის ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის

ირლანდიის გაყოფის შემდეგ მისი ჩრდილოეთი ნაწილი ბრიტანეთის იმპერიაში დარჩა. ჩრდილოეთ ირლანდიას ოლსტერს უწოდებენ, მას თავისი პარლამენტი და მთავრობა ჰყავს. საარჩევნო სისტემაში დემოკრატიული პრინციპის დარღვევის გამო გაბატონებული მდგომარეობა უნიონისტურ პარტიას უჭირავს, რომელიც აშკარა პრობრიტანულ-რეაქციულ კურსს ადგას. მდგომარეობა გართულებული იყო რელიგიური შუღლითაც. მოსახლეობის 1/3 კათოლიკეა, დანარჩენი კი — პროტესტანტი. საქმიან წრეებში გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ მოხელეებს, მსხვილ ფერმერებს, მაღალხელფასიან მუშებს, რომლებიც, როგორც წესი, პროტესტანტები არიან. კათოლიკეები, ეროვნებით ირლანდიელები, წვრილი ფერმერებისა და არაკვალიფიციური მუშების უმრავლესობას შეადგენენ და ექსპლუატაციასთან ერთად ეროვნულადაც იჩაგრებიან, არ აქვთ სამოქალაქო უფლებები, მათი ხვედრია უმუშევრობა და სიღატაკე, ხელფასი უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე პროტესტანტებს და ა. შ.

1968 წლის ოქტომბერში ოლსტერში, ქალაქ ლონდონდერში, რომელიც ბელფასტის შემდეგ ქვეყნის მეორე დიდი ქალაქია, პირველი შეტაკება მოხდა კათოლიკეებსა და პოლიციას შორის, რაც გახდა ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკური მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის დაწყების საბაბი. ქვეყანას სამოქალაქო ომი მოედო. ხალხი მოითხოვდა დემოკრატიულ და სამოქალაქო უფლებებს, კათოლიკური მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური ჩაგვრის მოსპობას და ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას.

1969 წლის თებერვალში ოლსტერში ჩატარდა არჩევნები, რომელთა შემდეგ ო. ნეილის მთავრობა ჩიჩესტერ-კლარკის მთავრობამ შეცვალა; მან განაცხადა, რომ იგი ყოველგვარ ზომებს მიიღებს „წესრიგის“ აღდგენისათვის. ეს კი გამოიხატა იმაში, რომ საქმეში ჩარიეს პოლიცია და „სპეციალური“ შეიარაღებული რაზმები. პროტესტანტმა ექსტრემისტებმა მღვდელ იან პეისლის მეთაურობით „შავი ასეული“ შექმნეს და ხალხს მოუწოდეს კათოლიკეები გაენადგურებინათ, მოესპოთ „წყეული ბუდე“. ბელფასტის კათოლიკურ კვარტალებში ხოცვა-ჟლეტა მოეწყო. რიგ ქალაქებში, უპირველეს ყოვ-

დინა, ბელფასტსა და ლონდონდერში საბარიკადო ბრძოლები გაჩაღდა. აჯანყებულმა რაიონებმა თვითმმართველობის ორგანოები აირჩიეს, მათ არ ცნეს ჩიჩესტერ-კლარკის მთავრობა და განაცხადეს, რომ იბრძოლებენ, ვიდრე მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

მეექვსე ლეიბორისტულმა მთავრობამ ოლსტერში „წესრიგის" აღდგენის მოტივით ჯარები გაგზავნა. ოქტომბერში სისხლისმღვრელი შეტაკებები გაჩაღდა ინგლისის ჯარსა, პოლიციასა და მოსახლეობას შორის. მრავალი ირლანდიელი დაეცა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ინგლისის მთავრობა თუმცა დაპირებას იძლეოდა ოლსტერის ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობაზე, რელიგიური უმცირესობისათვის მმართველობის ორგანოებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფასა და პოლიციის სპეციალური ძალების გაუქმებაზე, მაგრამ ამ უკანასკნელის ნაცვლად შექმნა „ოლსტერის დაცვის პოლკები", რომლებსაც იგივე ამოცანა ეკისრებოდა. ოლსტერის მშრომელთა მასების ბრძოლის წარმატებისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის ყველა ძალის გაერთიანება. 1970 წლის მარტში ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტია და მუშათა პარტიები გაერთიანდნენ ერთიან კომუნისტურ პარტიად, რომელიც სათავეში ჩაუდგა მშრომელთა მასების ბრძოლას თავისუფლებისათვის.

1970 წლის ივნის-ივლისში ბელფასტში, ლონდონდერსა და ოლსტერის სხვა ქალაქებში სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა, რომლებიც რეაქციონერი პროტესტანტი მღვდლის ი. პეისტის მიერ იყო პროვოცირებული. ინგლისის ჯარების გაზრდამ ბელფასტში კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ამ დროს ლეიბორისტები მთავრობაში შეცვალეს კონსერვატორებმა, რომელთაც კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1971 წლის ოქტომბერში ინგლისის ჯარების რაოდენობა ოლსტერში 14 ათასამდე გაიზარდა.

ჩრდილოეთ ირლანდიის და დიდი ბრიტანეთის კომუნისტურმა პარტიებმა ფართო მოძრაობა გააჩაღეს ოლსტერის მოსახლეობის უფლებების დასაცავად. 1971 წლის აპრილში ორივე კომპარტიამ გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელიც მოითხოვდა: ჩრდილოეთ ირლანდიის ყველა მოქალაქისათვის დემოკრატიული თავისუფლების გარანტიის მიცემას, ინგლისის ჯარების ქვეყნიდან გაყვანას, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას, საბინაო მშენებლობისათვის სახსრების გამოყოფას და ა. შ.

რეპრესიებმა ოლსტერში ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია ინგლისსა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის. ეს უკანასკნელი ინგლისის მთავრობას აფრთხილებდა, რომ იგი მხარს დაუჭერს ოლსტერის მოსახლეობის სამართლიან ბრძოლას, თუ სამხედრო ძალის

გამოყენება გაგრძელდებოდა. ორივეს საზღვრებზე ინციდენტები მოხდა.

1972 წლის 30 მარტს ინგლისის პარლამენტმა კანონი მიიღო ჩრდილოეთ ირლანდიაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ბრიტანეთის კაბინეტისათვის გადაცემის შესახებ. ამ ღონისძიების წინააღმდეგ გამოვიდნენ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები. უნიონისტთა მემარჯვენე ფრთამ სამრეწველო საბოტაჟისა და შეიარაღებული თავდასხმების კამპანია გააჩაღა. დარბეულ იქნა კათოლიკური კვარტალები, რამაც მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. ამ უკანასკნელს ის მოჰყვა, რომ იხგლისის ჯარები გაზარდეს 21 ათას კაცამდე და მოახდინეს ბელფასტისა და ლონდონდერის კათოლიკური კვარტალების ოკუპაცია.

1972 წელს ბელფასტში რეაქციონერებმა შექმნეს ახალი მილიტარისტული ორგანიზაცია „ლოიალისტების გაერთიანებული ფრონტის" სახელწოდებით, რომელიც 100 ათას კაცს ითვლიდა. მისი ხელმძღვანელი გახდა ჩრდილოეთ ირლანდიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი უ. კრეიგი. მან „ფრონტის" მთავარ მიზნად გამოაცხადა უნიონისტთა პარტიის შეცვლა და ლონდონის ყოველგვარ ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

ინგლისის მთავრობა 4 ½ წლის განმავლობაში სისხლში ახშობდა ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნებს. 1973 წლის მარტში ოლსტერში ჩატარდა რეფერენდუმი მისი მომავლის შესახებ. იგი მიმდინარეობდა 18-ათასიანი ინგლისელთა საოკუპაციო ჯარებისა და 35-ათასიანი ე. წ. „უშიშროების ძალების" კონტროლის ქვეშ. გარდა ამისა ოლსტერის მოსახლეობის 60%-ს შეადგენდნენ პროტესტანტები, რომელნიც კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ოლსტერის ირლანდიასთან გაერთიანებისა, ამიტომ უმრავლესობამ ასეთ მოთხოვნას მისცა ხმა.

რეფერენდუმის შემდეგ მთავრობამ ოლსტერის შესახებ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი". იგი ითვალისწინებდა ჩრდილოეთ ირლანდიაში ასამბლეის შექმნას, რომელიც შეცვლიდა ადგილობრივ პარლამენტს. გარკვეული დათმობები იყო გათვალისწინებული კათოლიკური მოსახლეობისადმი. უნდა შემოღებულიყო პროპორციული წარმომადგენლობა, მაგრამ ამავე დროს ძველი პარლამენტის უფლებებთან შეფარდებით ასამბლეის უფლებები შეიკვეცა. 30 მაისს პირველად 50 წლის განმავლობაში შედგა ასამბლეის არჩევნები, რომელთა დროსაც ერთიანი უნიონისტური ბლოკი რამდენიმე ფრაქციად დაიშალა. კათოლიკურმა მოსახლეობამ ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიულ ლეიბორისტულ პარტიას. ამ უკანასკნელსა და უნიონისტურ ალიანსს შორის 1973 წლის 22 ნოემბერს ბ. ფოლკნერის მე-

თაურობით შეთანხმება დაიდო. აღმასრულებელი საბჭოს ფორმირების შესახებ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ პროტესტანტი ექსტრემისტები, რომელთაც არ სურდათ კათოლიკურ უმცირესობასთან ხელისუფლების გაზიარება.

1973 წლის დეკემბრის დასაწყისში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პრემიერ-მინისტრ ე. ჰიტსა, ბ. ფოლკნერსა და ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ლ. კოსგრეითს შორის, რომლის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება ირლანდიის საბჭოს და საკონსულტაციო ასამბლეის შექმნის შესახებ. მასში უნდა შეეიდნენ ირლანდიის და ინგლისის მთავრობების თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები, მაგრამ ამ ორგანოების რწმუნებები ზუსტად არ იყო განსაზღვრული. მემარჯვენე ექსტრემისტების ამ გეგმის წინააღმდეგ გამოსვლისა და მასობრივი ტერორის გაჩაღების გამო, რომელსაც ფარულად აღვივებდა ინგლისის მთავრობა, ეს გეგმაც ჩაიშალა.

1974 წლიდან ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ლეიბორისტულმა მთავრობამაც ვერ მოაწესრიგა მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1975 წლის მარტში თვითონ პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი ჩავიდა ბელფასტში და განაცხადა, რომ 1 მაისს ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციური კონვენტის არჩევნები ჩატარდებოდა. 1975 წლის მაისის არჩევნების შედეგად შეიქმნა ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციური კონვენტი, რომელშიც შეეიდნენ ორივე რელიგიის წარმომადგენლები. მას დაევალა ოლსტერის მართვის ფორმის შემუშავება. კონსტიტუციურ კონვენტში დიდ უმრავლესობას შეადგენენ უკიდურესი მემარჯვენე პროტესტანტული პარტიები და დაჯგუფებები, რომელთაც შექმნეს იუნიონისტური კოალიცია. იუნიონისტური კოალიცია კონვენტის მთელი ექვსი თვის მუშაობის შემდეგ უარყოფდა პროვინციის კათოლიკურ და პროტესტანტულ მოსახლეობას შორის ძალაუფლების განაწილების ყველა ფორმას. 1975 წლის შემოდგომაზე მან მიიღო მოხსენების პროექტი, რომლის თანახმად მთელი ძალაუფლება პროტესტანტების ხელში რჩება. საბოლოო კენჭისყრის შემდეგ რეკომენდაციები განსახილველად ინგლისის პარლამენტს ეგზავნება.

1974 და 1975 წლების განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიაში ძალადობა და ტერორი ბატონობდა. ლეიბორისტული მთავრობა მოსახლეობის დაშინების მიზნით ხელს უწყობდა ჩრდილოეთ ირლანდიაში გამეფებულ უკანონობასა და ტერორს. ოლსტერის სატუსაღოები სავსეა პატიმრებით. ბანაკ ლონგ-კეში მავთულხლართების მიღმა ათასობით ადამიანი იმყოფება. ლონგ-კე რეპრესიებისა და უკანონობის სინონიმი გახდა.

გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით, მარტო 1976 წელს ოლსტერში ყოველდღიურად კლავდნენ ერთ კაცს, ჭრიდნენ ოთხს, ხდებოდა ორი აფეთქება და ხუთი შეიარაღებული შეტაკება.

1976 წელს ლეიბორისტებმა გააუქმეს კონსტიტუციური კონვენტი და აღადგინეს ლონდონიდან „პირდაპირი მმართველობა“. 1976 წლის სექტემბერში დაინიშნა ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეების მინისტრი რ. მეისონი, მაგრამ ამან მდგომარეობა ვერ გამოასწორა.

მემარჯვენე ექსტრემისტულ-პროტესტანტული წრეები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ყოველგვარ ღონისძიებებს, რომლებიც უმნიშვნელოდაც კი შეასუსტებს მათ გაბატონებულ მდგომარეობას და თანაბარ უფლებებს მიანიჭებს პროვინციის მოსახლეობას. მათ განკარგულებაშია გასამხედროებული პროტესტანტული „ოლსტერის თავდაცვის ასოციაცია“, რომელიც 50 ათას კაცს აერთიანებს და მთავრობას ახალი ქაოსით ემუქრება, თუ იგი გაბედავს და კათოლიკური მოსახლეობის სასარგებლოდ რაიმე დათმობაზე წავა. არსებობს შეიარაღებული პროტესტანტული ახალგაზრდობის ექსტრემისტული ორგანიზაციები, ოლსტერის კორპუსის სამსახური და ოლსტერის ვოლონტერთა ძალები, რომლებიც არბევენ და ჩხრეკენ ოლსტერის რიგი ქალაქების კათოლიკურ კვარტალებს.

რ. მეისონმა 1977 წლის 5 თებერვლის გამოსვლისას გაამართლა ის ფაქტი, რომ ოლსტერში სამხედრო ძალას ეყრდნობიან, თუმცა ისიც აღიარა, რომ „უშიშროების ძალების“ შვიდი წლის იქ ყოფნას არ მოჰყოლია ვითარების ნორმალიზაცია. მისი აზრით, „ტერორის ჩასახშობად“ საჭიროა ჩრდილოეთ ირლანდიაში კიდევ უფრო მკაცრი ტერორის შემოღება.

1971 წლის დეკემბერში ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობამ საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კომისიაში ინგლისის მთავრობის სამხედრო-პოლიტიკური თვითნებობისა და ძალადობის შესახებ ოლსტერში [1]. კომისია საქმეს იძიებდა 4 წლის განმავლობაში, დაკითხეს 119 მოწმე. 1976 წლის იანვარში კომისიამ გააანალიზა თავისი დასკვნები, რომლებიც იმავე წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა ლონდონსა და დუბლინში.

1977 წლის თებერვალში კომისიამ საქმე გადასცა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს, რომელიც გაიმართა სტრასბურგში. ინგლისის მთავრობა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს. სასამარ-

---

[1] 1950 წელს ევროპის სახელმწიფოებმა, მათ შორის ინგლისმაც, ხელი მოაწერეს კონვენციას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ და ამ უფლების უზრუნველყოფის მიზნით დააწესეს საჩივრების განხილვის კომისია და კონვენციის დარღვევის შემთხვევაში — სასამართლო.

თლოსათვის წარდგენილ მოხსენებაში მოყვანილია ოლსტერის მცხოვრებთა წამებისა და აბუჩად აგდების აღმაშფოთებელი ფაქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ და იურიდიულ ნორმებს. ხაზგასმულია აგრეთვე, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი საგანგებო კანონმდებლობის სისტემა მიზნად ისახავს მოქალაქეობრივ უფლებათა და თავისუფლებათა ჩახშობას. ამ სისტემის მთავარი მსხვერპლი არიან კათოლიკე ირლანდიელები, რომლებიც უსასტიკეს პოლიტიკურ და სოციალურ დისკრიმინაციას განიცდიან. ირლანდიის მთავრობა სთხოვს სტრასბურგის სასამართლოს გამოიტანოს გადაწყვეტილება ინგლისის ხელისუფალთა უმსგავსო აქციებისა და მეთოდების შეუწყნარებლობის შესახებ. სასამართლოზე ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლმა ასოციაციამ წარადგინა პეტიცია, რომელშიც მოცემულია ოლსტერში გამოძიების ძალმომრეობის მეთოდებით წარმოება, ადამიანთა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ინტერნირება, პატიმართა წამება და სხვა აღმაშფოთებელი ფაქტები. ირლანდიის რესპუბლიკის პროკურორმა ამ პროცესზე განაცხადა, რომ ინგლისის ხელისუფლების მოქმედება ოლსტერში წინასწარ შემუშავებული იმ პროგრამის შედეგია, რომელიც ითვალისწინებს აქ „წესრიგის“ აღდგენას ძალის გამოყენებით. ამის გამო კათოლიკე ირლანდიელები უსასტიკეს პოლიტიკურ და სოციალურ დისკრიმინაციას განიცდიან.

საჯარო სასამართლო გარჩევის მსვლელობაში სტრასბურგში ლონდონის წარმომადგენლებს ვერ უშველა ვერც იურიდიულმა ხრიკებმა. კერძოდ, ისინი ცდილობდნენ, მაქსიმალურად შეევიწროებინათ თვით სასამართლოს იურისდიქცია. ვერც „საგანგებო ვითარებისა“ და მასთან დაკავშირებით ინგლისის ადმინისტრაციის „შეცდომების“ მომიზეზებამ. ირლანდიის გენერალურმა პროკურორმა უარყო ინგლისის მხარის მტკიცების ყველა პუნქტი და დაამტკიცა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი საგანგებო კანონმდებლობის სისტემა, რომლის მსხვერპლი არიან კათოლიკე ირლანდიელები, მიზნად ისახავს მოქალაქეობრივ უფლებათა და თავისუფლებათა ჩახშობას.

მოისმინა რა ორივე მხარისა და ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის წარმომადგენლების განცხადებანი, სტრასბურგის სასამართლომ თავის მუშაობაში გამოაცხადა შესვენება იმ თარიღამდე, რომელიც მან ჯერ კიდევ უნდა განსაზღვროს. როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს პროცესი, ერთი რამ უდავოა, რომ მან ინგლისის მმართველი წრეები მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე სამარცხვინო ბოძზე გააკრა. ინგლისის მმართველი წრეები ხშირად ნიანგის ცრემლებს ღვრიან სხვა ქვეყნებში დემოკრატიისა და ადა-

მიანის უფლებების დარღვევის გამო, თვითონ კი სისხლში ახშობენ ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის სამართლიან ბრძოლას ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

IV თავი

საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ[1] საფრანგეთი მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში

§ 29. საფრანგეთი დროებითი რეჟიმის დროს (1944–1946 წწ.)

ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ. ოკუპაციის ოთხი წლის განმავლობაში გერმანელებმა ერთიანად გაძარცვეს საფრანგეთი. მას გადაახდევინეს 85 მლრდ. ფრანკი კონტრიბუცია, თავიანთ ქვეყანაში გაზიდეს თითქმის მთელი ძვირფასეულობა, დაინგრა, განადგურდა ან მოიშალა რიგი საწარმოები, ტრანსპორტი და სათბობის სისტემა. 1944 წლისათვის საფრანგეთის სამრეწველო წარმოების მოცულობა იმამდელის 60% ძლივს შეადგენდა. მწყობრიდან გამოსული იყო უმსხვილესი ელექტროსადგურები, ქვანახშირის შახტები, გემთსაშენები.

დიდი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამაც. პირუტყვის სულადობა განახევრდა, ნათესი ფართობები, მუშახელისა და მანქანების ნაკლებობის გამო, მკვეთრად შემცირდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 40%-ით დაეცა. ომისა და ოკუპაციისაგან მიყენებული ზარალი 1440 მლრდ. ფრანკს შეადგენდა.

ფაშისტური ოკუპაციის ლიკვიდაციის შემდეგ ქვეყანაში ძალზე რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ოკუპაციის დროს (1943 წელს) კომუნისტების ინიციატივით შექმნილი წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნული საბჭო, რომელშიც გაერთიანდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე ყველა მასობრივი ორგანიზაცია. 1944 წლის მარტში წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ მიიღო პროგრამა. იგი ითვალისწინებდა დროებითი მთავრობის შექმნას, საფრანგეთის დიდების აღდგენას, სამშობლოს გამყიდველების დასჯას, ძირითადი საწარმოო საშუალებების ნაციონალიზაციას და ა. შ.

დე გოლის გავლენა ეროვნულ საბჭოში ძალზე მნიშვნელოვანი იყო. 1944 წლის დეკემბერში დე გოლის მთავრობა ინგლის-ამერი-

---

[1] ტერიტორია — 551 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 52,6 მლნ. (1976 წლის აღწერით). დედაქალაქი პარიზი (გარეუბნებთან ერთად ცხოვრობს 10 მლნ. კაცი).

კისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა ცნეს განთავისუფლებული საფრანგეთის დროებით მთავრობად.

პოლიტიკურ წყობას, რომელიც დამყარდა საფრანგეთის განთავისუფლებიდან და გაგრძელდა IV რესპუბლიკის გამოცხადებამდე და კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე ეწოდა ე. წ. „დროებითი რეჟიმი". დე გოლის კოალიციურ დროებით მთავრობაში ორი კომუნისტიც შედიოდა. დროებითი მთავრობის ოფიციალური პროგრამა ითვალისწინებდა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამის მოთხოვნებსაც — სამშობლოს მოღალატეთა დასჯას; მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ბანკების, ტრანსპორტისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციას.

მემარცხენე ძალების უდიდესი აღმავლობის ვითარებაში ქვეყანაში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა დამყარდა — წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოსი და დე გოლის დროებითი მთავრობისა. წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოში, და, საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა სამი ძირითადი დაჯგუფება: კომუნისტური, სოციალისტური და სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტია (მრპ). განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობდა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ომის დამთავრებისას თავის რიგებში 900 ათას წევრს აერთიანებდა. კომუნისტური პარტია საფრანგეთში ყველაზე მრავალრიცხოვან პარტიას წარმოადგენდა. იგი ყველაზე ძლიერი და მონოლითური პარტია იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ სხვა კომუნისტურ პარტიებთან შედარებით. საფრანგეთის კომუნისტები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ხალხში. კომუნისტებმა გავლენა და ხალხის სიყვარული ომის დროს ფაშიზმის შავბნელი ძალების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლით მოიპოვეს.

საფრანგეთის კომპარტია ამ დროს მიზნად არ ისახავდა ძალაუფლების ხელში აღებას. მიმდინარე მომენტის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის მთელი ძალების გაერთიანება გერმანიის განადგურებისა და საფრანგეთის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღორძინებისათვის.

კომპარტია ცდილობდა, არ დაეშვა მუშათა კლასის ძალების დაქსაქსვა, როგორც ომამდე იყო. მან მიაღწია იმას, რომ 1944 წლის დეკემბერში სოციალისტურ პარტიასთან ერთად შექმნა ამ ორი პარტიის საკოორდინაციო კომიტეტი და დაიწყო მოლაპარაკება მუშათა ერთიანი პარტიის შექმნისათვის. ორივე პარტია 1947 წლამდე მთელ რიგ ძირითად საკითხებში თანამშრომლობდა. სოციალისტური პარტია თავის რიგებში აერთიანებდა 350 ათას კაცს. სოციალისტური პარტიის პოზიციაზე ბევრად იყო დამოკიდებული, თუ როგორ განვ-

ვითარდებოდა მოვლენები, ვის მხარეზე აღმოჩნდებოდა ქვეყნის მრავალმილიონიანი წვრილბურჟუაზიული მასა. მაგრამ სოციალისტური პარტია ძველებურად რეფორმისტულ პოზიციებზე დარჩა და 1947 წლის შემდეგ უარი თქვა კომუნისტებთან თანამშრომლობაზე.

მშრომელთა ერთ-ერთი მასობრივი ორგანიზაცია გახდა შრომის საყოველთაო კონფედერაცია (შსკ), რომლის ხელმძღვანელი ორგანოები გაიწმინდა რეფორმისტულ-ბიუროკრატიული და ანარქისტულ-სინდიკალისტური ელემენტებისაგან. მათი ადგილი დაიკავეს წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიურმა მონაწილეებმა, უმთავრესად კომუნისტებმა. შსკ თავის რიგებში აერთიანებდა 5,5 მლნ. წევრს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელი ქრისტიანების კონფედერაციის რიგები (750 ათას წევრამდე).

მესამე პოლიტიკური ძალა იყო „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" (მრპ) პარტია. იგი შეიქმნა ბურჟუაზიის იმ ნაწილის ხელმძღვანელობით, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ამ პარტიის ორგანიზატორები იყვნენ კათოლიკე მოღვაწენი — ჟ. ბიდო, მ. შუმანი, ფ. დე მარტონი და სხვები. ეს პარტია შეიქმნა 1944 წლის ნოემბერში ომამდე არსებული კათოლიკური პარტიების გაერთიანების შედეგად. პარტიები: „სახალხო დემოკრატები", „სოციალ-ქრისტიანები" და „ახალგაზრდა რესპუბლიკა" გაერთიანდნენ და შექმნეს ახალი პარტია — „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" სახელწოდებით. ამ პარტიის ლიდერებს თავიანთი ინტერესებისათვის უნდოდათ გამოეყენებინათ მშრომელი კათოლიკეების გმირული ბრძოლა ოკუპაციის წლებში და ცდილობდნენ ფრანგი ხალხისათვის თავი მოეჩვენებინათ წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებად. აღნიშნული პარტიის ლიდერები დემაგოგიურად თავს ასაღებდნენ პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მომხრეებად, სინამდვილეში კი ცდილობდნენ, შეეზღუდათ პარლამენტის უფლებები, ხელი შეეშალათ ნაციონალიზაციის გაფართოებისათვის. ამ პარტიამ თავისი თავი გამოაცხადა გენერალ დე გოლის მიმდევარ პარტიად, რომელიც ფაქტობრივად რეაქციის წამყვან პარტიად გადაიქცა.

სამივე ზემოთ ჩამოთვლილი პარტია აღიარებდა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამას. ისინი ომის დამთავრებისას ერთად თანამშრომლობდნენ, მაგრამ კომუნისტური პარტიის გავლენისა და ავტორიტეტის ზრდით დაშინებულმა სოციალისტური და მრპ-ის პარტიის ხელმძღვანელებმა თანდათანობით იწყეს გადახვევა მარჯვნივ და გამოვიდნენ წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოში. თანამშრომლობის შემდგომი გაგრძელების მოწინააღმდეგეებად.

ბენ ამერიკელ კონკურენტთა შემოტევას. ამაო გამოდგა ცდა, რომ თანამშრომლობა დაემყარებინათ საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიისა და იტალიის ფირმებთან. მაგალითად, ინგლისი იძულებული გახდა უარი ეთქვა „აერობუსის“ 250-ადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავის ერთობლივი პროექტის შექმნაზე. ინგლისურ-ფრანგული ავიაგამანადგურებელი „იაგუარი“ ვერ საღდება ნატოს ქვეყნებში.

უკეთეს მდგომარეობაში არც ქვეყნის გემთსაშენი მრეწველობაა. ინგლისის ბევრი გემთსაშენი მოძველდა და კონკურენციას ვერ უწევს უცხოეთის გემთსაშენს. ამრიგად, ლეიბორისტების მიერ განხორციელებული ამ ორი დარგის ნაციონალიზაცია არავითარ წინააღმდეგობას არ წაწყდომია მათი მფლობელების მხრიდან. პირიქით, ისინი კმაყოფილი არიან იმით, რომ დიდ კომპენსაციებს ‘ბიღებენ [1].

პარლამენტის არჩევნების კამპანიის დროს ლეიბორისტები დაპირებას იძლეოდნენ, რომ რეფერენდუმს მოაწყობდნენ „საერთო ბაზარში“ ინგლისის დარჩენის ან გამოსვლის შესახებ. 1975 წლის 5 ივნისს ამ საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლესობამ (17,3 მლნ., ე. ი. 67,2%) მხარი დაუჭირა ინგლისის „საერთო ბაზარში“ დარჩენას (წინააღმდეგ ხმა მისცა 8,4 მლნ.-მა, ე. ი. 32,8%-მა).

ამომრჩევლებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჰ. ვილსონის განცხადებამ, რომ ინგლისის გამოსვლა „საერთო ბაზრიდან“ სარისკო გახდებოდა ქვეყნის ეკონომიკისათვის. ინგლისური ფირმების მფლობელთა ნაწილი მუშებს აშინებდა, რომ „საერთო ბაზრიდან“ ინგლისის გამოსვლის შემთხვევაში ფირმების ნაწილის ლიკვიდაციას მოახდენდა და უმუშევრობა გაიზრდებოდა, რომ ისინი გაიტანენ თავიანთ კაპიტალს გაერთიანებიდან, რასაც კორპორაციების ლიკვიდაცია და მასობრივი უმუშევრობა მოჰყვება. ერთი სიტყვით, ბრიტანეთში მასობრივი კამპანია იყო „საერთო ბაზრის“ სასარგებლოდ. რეფერენდუმის შედეგებს დიდმა ბიზნესმა ბირჟაზე აქციების კურსის აწევით უპასუხა. მხოლოდ პროფკავშირები და ქვეყნის მემარცხენე ძალები გამოთქვამდნენ შეშფოთებას, რომ ლეიბორისტების დაპირებები რეფერენდუმის შემდეგ შეიძლება განუხორციელებელი დარჩეს.

1974 წელს ლეიბორისტული პარტიის არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთ საწინდრად ის მიაჩნიათ, რომ იგი მშრომელებს პირდებოდა ისეთი ეფექტური ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნ-

---

[1] საყურადღებოა, რომ პირველად ინგლისის ისტორიაში კონსერვატორული პარტიის ხელმძღვანელად აირჩიეს (ჰიტის ნაცვლად) ქალი მარგარეტ ტეტჩერი. ეს არჩევნები ჩატარდა 1975 წლის თებერვალში, რომლის დროსაც ჰიტი დამარცხდა. მ. ტეტჩერის არჩევას მიიჩნევენ კონსერვატორული პარტიის მარჯვნივ გადახვევად. ტეტჩერი მკაცრი ხაზისა და სოლიდური ხარჯების შეკვეცის მომხრედ მიაჩნიათ.

ველყოფდა „არსებით და შეუქცევად შეძობრუხების სიმდიდრისა და ხელისუფლების განაწილებაში მშრომელთა სასარგებლოდ“, სიმდიდრეზე, ე. ი. დიდ შემოსავალზე სპეციალური გადასახადის შემოღებას, მონოპოლიების თავაშვებულობის აღკვეთას და ა. შ. ამ დაპირებების საპასუხოდ ტრედუნიონები ნებაყოფლობით დათანხმდნენ ორი წლის ვადით ხელფასის მომატების შეზღუდვაზე, რომელმაც „სოციალური კონტრაქტის“ სახელწოდება მიიღო.

1976 წლის დასაწყისში ლეიბორისტულმა მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1 მლრდ. სტერლინგით შეამცირა. ამ შემცირების მთავარი მსხვერპლი გახდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და უმუშევართათვის დახმარების ფონდები. ჰ. ვილსონის გადადგომის შემდეგ შეიქმნა ახალი მთავრობა ჯ. კალაგენის მეთაურობით, რომელმაც ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე და უცხოეთიდან მიღებული უზარმაზარი სესხების გადახდა ხალხს დააკისრა. ამის შედეგი იყო ფასების ზრდა სურსათზე, ბინის ქირაზე, სამედიცინო მომსახურებაზე. ცხოვრების ღირებულების ზრდით ინგლისი მეორე ადგილზეა ევროპაში (იტალიის შემდეგ). ერთი წლის განმავლობაში (1976 წელს) ინგლისში ფასები 16,7%-ით გაიზარდა[1]. საქმე იმაშია, რომ 1976 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 10%-ით შემცირდა. 2 ათასი ფერმა გაკოტრდა და თავისი არსებობა შეწყვიტა.

1976 წლის დეკემბერში კალაგენის მთავრობამ პარლამენტს მიაღებინა ქვეყნის ეკონომიკის გამოჯანსაღების ახალი ეკონომიკური პროგრამა. იგი ითვალისწინებს სოციალური ხარჯების შემდგომ შემცირებას და გადასახადების გაზრდას. ამ ღონისძიებებით მთავრობას იმედი აქვს ორი წლის განმავლობაში ხალხის ხარჯზე დაზოგოს 2,5 მლრდ. სტერლინგი. მთავრობის ეს პროგრამა დუმილით გვერდს უვლის უმუშევრობის ლიკვიდაციის საკითხს. უმუშევრობა კი ერთ-ერთი მიზეზია მოხმარების შეზღუდვისა და, აქედან გამომდინარე, ბაზარზე მოთხოვნების დაცემისა.

1977 წლის აპრილში მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესთან, რომლისგანაც მოითხოვს, რომ იგი დათანხმდეს ახალ „სოციალურ კონტრაქტზე“, ე. ი. იმაზე, რომ ნებაყოფლობით უარი თქვას ხელფასების გაზრდაზე, მიუხედავად იმისა, რომ ფასები პირველი მოთხოვნის საგნებზე სწრაფად იზრდე-

---

[1] ევროპის გაერთიანებული კომისიის მონაცემებით, „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში ფასები 1976 წლის მარტიდან 1977 წლის მარტამდე საშუალოდ 11%-ით გაიზარდა.

ბა. მაგრამ ინგლისის მშრომელები რწმუნდებიან, რომ თუ ისინი 2 წლის განმავლობაში არ არღვევდნენ მთავრობასთან დადებულ „სოციალურ კონტრაქტს“, კალაგენის კაბინეტს არ შეუძლია დაიტრაბახოს თავისი წინასაარჩევნო მანიფესტის შესრულება. ამრიგად, „სოციალური კონტრაქტი“ სინამდვილეში სოციალურ მოტყუებად იქცა. ამიტომაა, რომ მშრომელები უარს ამბობენ მთავრობასთან ახალი „სოციალური კონტრაქტის“ დადებასა და ახალი მსხვერპლის გაღებაზე. ხალხს და ინგლისის პროგრესულ ძალებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური სიძნელეების დაძლევა შეიძლება არა ხალხის ხარჯზე, არამედ სამხედრო ხარჯების შემცირებით, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას.

1977 წელს გამოქვეყნებული „თეთრი წიგნის“[1] თანახმად, 1977—1978 საფინანსო წელს ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი შეადგენს 6329 მლნ. გირვანქა სტერლინგს, ე. ი. ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქციის 5,5%. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად დიდი ეკონომიკური სიძნელეებისა, ინგლისის სამხედრო ხარჯები უფრო მეტი იქნება, ვიდრე ნატოში შემავალი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა[2].

1977 წლის ივნისში ლონდონში შედგა ნატოს მორიგი სესია, რომელზეც აშშ-მა აიძულა ამ დაჯგუფებაში შემავალი ქვეყნები ყოველწლიურად გაზარდონ თავიანთი სამხედრო ხარჯები 3%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ინგლისში იგი ყოველწლიურად გაიზრდება 150 მლნ. გირვანქა სტერლინგით, ხოლო ნატოში შემავალ სხვა ევროპის ქვეყნებში — 450 მლნ. სტერლინგით.

ლეიბორისტული მთავრობის მიერ გატარებულმა მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითების კურსმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქვეყანაში და მთავრობა კრიზისის ზღვართან მიიყვანა. კონსერვატორები შეეცადნენ, ესარგებლათ შექმნილი ვითარებით და დაემხოთ ლეიბორისტები. 1977 წლის მარტის ბოლოს კონსერვატორებმა თემთა პალატაში შეიტანეს ლეიბორისტებისადმი უნდობლობის რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვდა კალაგენის მთავრობის გადადგომას, პარლამენტის ვადამდე ადრე დათხოვნას და არჩევნების ჩატარებას. მაგრამ 34 ხმის უმრავლესობით (322 ხმით 298-ის წინააღმდეგ) ეს წინადადება უარყოფილ იქნა. ლეიბორის-

---

[1] ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს სამხედრო ბიუჯეტის „თეთრ წიგნს“.

[2] 1976 წელს ეს მაჩვენებლები შეადგენს შემდეგს: ინგლისისათვის — 5,1, გერმანიისათვის — 4,2, საფრანგეთისათვის — 3,8%. 1976 წელს სამხედრო ხარჯები ინდოეთში შეადგენდა 6,632 მლნ-ს. 1970 წელს კი იგი შეადგენდა 2500 მლნ. გირვანქა სტერლინგს.

ტულმა პარტიამ ზოგიერთ ოლქში დამატებითი არჩევნების გამო დაკარგა ის უმნიშვნელო უმრავლესობა, რომელიც მას ჰქონდა 1974 წლის არჩევნებისას (ახლა მას მოკავშირეებთან ერთად აქვს 314 ადგილი, ანუ ერთით ნაკლები, ვიდრე ოპოზიციური პარტიების ბლოკს). მთავრობის ბედი პრაქტიკულად სავსებით დამოკიდებულია ინგლისში სიდიდით მესამე ლიბერალური პარტიის წევრი 13 დეპუტატის პოზიციაზე. თუმცა ლეიბორისტებმა კომპრომისის შედეგად შეძლეს ხელისუფლების შენარჩუნება, სიძნელეები პარლამენტში სრულიადაც არ არის დაძლეული. ამ სიძნელეების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიჩნეულია ხალხთა უკმაყოფილების ზრდა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გამო. ამასთანავე მემარცხენე ლეიბორისტები გამოდიან ლიბერალებთან გარიგების წინააღმდეგ.

საგარეო პოლიტიკა. ლეიბორისტული მთავრობის დიდი შეშფოთება გამოიწვია პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობამ და პროგრესული მმართველობის სისტემის დამყარებამ, რის შემდეგ მალე პორტუგალიის კოლონიური იმპერიაც დაიშალა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის რასისტული რეჟიმები დამოუკიდებელი აფრიკული ქვეყნების გარემოცვაში აღმოჩნდა. ამ რეჟიმების გადარჩენის მიზნით, 1975 წლის იანვარში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენი იმყოფებოდა აფრიკის. მთელ რიგ ქვეყნებში: ზამბიაში, ბოსტვანაში, ტანზანიაში, კენიაში, ნიგერიაში და ა. შ., მაგრამ ეს ვიზიტი უშედეგოდ დამთავრდა.

1975 წლის თებერვალში ჰ. ვილსონი ვაშინგტონში იმყოფებოდა, სადაც ორდღიანი მოლაპარაკება ჰქონდა ჯ. ფორდთან. მოლაპარაკებიდან ჩანს, რომ მთავარი ყურადღება მიექცა დასავლეთის ქვეყნების მწვავე ფინანსურ-ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პრობლემებს. პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა განიხილეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, აზრი გაუზიარეს ერთმანეთს ნატოში მათი მონაწილეობის შესახებ. აქ აზრთა სხვადასხვაობა გამომჟღავნდა ენერგეტიკული, ეკონომიკური და რიგი პოლიტიკური პრობლემების ირგვლივ, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის საბადოების დამუშავების საკითხში. ფორდმა შეშფოთება გამოთქვა ინგლისის მიერ ამერიკის ნავთობის კომპანიებზე გადასახადის დაწესების გამო. მაგრამ ვილსონმა დაამშვიდა ფორდი, რომ ეს გადასახადები ხელს არ შეუშლიდა ამერიკის ნავთობის კომპანიებს ჩრდილოეთის ზღვის საბადოების დამუშავებაში; უფრო მეტიც, პრემიერ-მინისტრმა ყველაფერი გააკეთა, რათა წაეხალისებინა ინგლისში ამერიკის კაპიტალის დაბანდების საქმე.

ვილსონის მთავრობის პროგრამულ დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ განახორციელონ და მხარი დაუჭირონ აღმოსავლეთსა და და-

სავლეთს შორის დაძაბულობის შენელებას, საყოველთაო განიარაღების მიღწევას, უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის წარმატებას და თერმობირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვას. 1975 წლის 13—14 თებერვალს პრემიერ-მინისტრი ვილსონი და საგარეო საქმეთა მინისტრი კალაგენი ოფიციალური ვიზიტით იყვნენ საბჭოთა კავშირში. აქ განიხილეს პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა დარგების ურთიერთობის საკითხები და მათი პერსპექტივები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ რეგულარულად მოაწყონ აზრთა გაზიარება დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებსა და ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. საბჭოთა კავშირ-ინგლისის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მომავალ ხუთწლედში გაადიდებენ ვაჭრობის მოცულობას ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე. 17 თებერვალს ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს „საბჭოთა კავშირ-ინგლისის ერთობლივ განცხადებას", „ოქმს კონსულტაციების შესახებ" და ერთობლივ „დეკლარაციას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე". ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის. მაგალითად, 1974 წელს ორივე ქვეყნის საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენს 890 მლნ. მანეთს, 1975 წელს — 960 მლნ-ს, 1976 წელს — 1,2 მლრდ. მანეთს. (ხუთი წლის წინათ კი ამ ციფრის ნახევარსაც არ შეადგენდა).

1977 წლის დამდეგს ბრიტანეთის კონსორციუმმა „კო

§ 27. მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული ძალების მოძრაობა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე

კონსერვატორული, ხოლო შემდეგ კი ლეიბორისტული მთავრობების ანტიმუშურმა ღონისძიებებმა — ე. წ. ხელფასების მომატებაში „შესვენების“ გამოცხადებამ გამოიწვია საგაფიცვო მოძრაობის ზრდა.

ამ გაფიცვების შესახებ ნათელ სურათს იძლევა მოყვანილი ცხრილი.

წლები	გაფიცვების რაოდენობა	გაფიცულთა რაოდენობა (ათასებში)	დაკარგული სამუშაო დღეების რაოდენობა (საათებში)
1958	2639	524	3462
1959	2105	646	5270
1960	2849	819	3024
1961	2701	779	3046
1962	2465	4423	5798
1963	2081	593	1755
1964	2535	883	2277
1965	2365	876	2925
1966	1951	544	2398
1967	2133	734	2787
1968	2390	2258	4690
1969	3146	1665	6846
1970	3925	1784	10970
1971	2075	1094	15000
1972	2470	1714	24000
1973	3000	1215	7000
1974	3040	1320	8200
1975	3142	1460	9700

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში საგაფიცვო მოძრაობა გააქტიურდა. მუშები ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად აყენებდნენ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის გამოყენებისა და გამოცდის აკრძალვის შესახებ. ამ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ინგლისის კომუნისტური პარტია, რომელიც ცდილობდა მშვიდობის ძალების გაერთიანებას. 1959 წელს შედგა კომპარტიის XXVI ყრილობა, რომელმაც ახალი წესდება მიიღო. იგი პარტიას ავალებდა მიეზიდა ახალი წევრები და აქტიურად ემუშავა მასებში. პარტიის XXVII ყრილობამ (1961 წელს) სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო პარტიის განმტკიცების შესახებ, რომლის შედეგად პარტიის რიგები გაიზარდა 32,5 ათას კაცამდე. გაიზარდა ინგლისის კომკავშირის „ახალგაზრდა კომუნისტთა ლიგის“ რიგებიც. კომუნისტური პარტია იბრძვის მემარცხენე პროგრესული ძალების გაერთიანებისათვის, რომელშიც კომუნისტებთან ერთად უნდა შევიდნენ ლეიბორისტული

პარტია და ტროტსკისტები და შექმნან ანტიმონოპოლისტური კავშირი. წარმატებები ამ მხრივ საგრძნობია, მაგრამ მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა ფენაში არსებული ანტიკომუნისტური განწყობილება, ხელს უშლის ისიც, რომ არ არსებობს ავტორიტეტული კოორდინირებული ცენტრი, რომელიც შეძლებდა ქვეყნის დემოკრატიული ძალების დაქსაქსულობის ლიკვიდაციას და მათ გაერთიანებას.

70-იანი წლების დასაწყისში მემარცხენე ძალების ზრდა შეინიშნებოდა ტროტსკისტებსა და ლეიბორისტული პარტიის რიგებს შორისაც.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასობრივ მოძრაობას ატომური ბომბის წარმოების აკრძალვისათვის. ამ მოძრაობას „ოლდერმასტონის ლაშქრობა" ეწოდა. ოლდერმასტონში ატომის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია, იგი 80 კმ-ითაა დაშორებული ლონდონიდან.

პირველი ლაშქრობა მოეწყო 1958 წლის აპრილში, რომელშიც მონაწილეობდა 4 ათასი კაცი. ამის შემდეგ ასეთი ლაშქრობების მოწყობა ტრადიციად იქცა და თითქმის ყოველწლიურად მეორდებოდა, 70-იან წლებში ეს მოძრაობა შესუსტდა. 1960 წლის ოქტომბერში „ბირთვული განიარაღების მოძრაობას" გამოეყო დამოუკიდებელი ჯგუფი „110-თა კომიტეტი", რომელიც ისევე როგორც „ბირთვული განიარაღების მოძრაობა" ხელმძღვანელობდა შემდეგი მიზნებით: ინგლისმა უსიტყვოდ უნდა თქვას უარი ბირთვული იარაღის წარმოებასა და გამოცდაზე და მისი გამოყენების მუქარაზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე; ინგლისის ტერიტორიაზე ლიკვიდირებული უნდა იქნეს საზღვარგარეთის და ეროვნული სამხედრო ბაზები და ინგლისმა უნდა გაატაროს ეროვნული დამოუკიდებელი პოლიტიკა.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას ინგლისის კომუნისტური პარტია [1], რომელიც ცდილობს მშვიდობის ძალების გაერთიანე-

---

[1] 1975 წლის მარტში დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი დათანხმდა გენერალური მდივნის ჯონ გოლანის გადადგომაზე. ჯ. გოლანის წინადადებით დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს გორდონ მაკლელანი — დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის პოლიტიკური კომიტეტის წევრი.

ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომმა მადლობა გადაუხადა ჯ. გოლანს ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გ. მაკლელანი გლაზგოს გემთსაშენის მუშის შვილია, 15 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ინგლისის კომკავშირის მოძრაობაში და რამდენიმე წელიწადს იყო მისი ეროვნული კომიტეტის წევრი, მონაწილეობდა პროფკავშირულ მოძრაობაშიც. 1949 წელს იგი გახდა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის შოტლანდიის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1957 წლიდან გ. მაკლელანი დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის წევრია.

ბას ერთ ეროვნულ ანტიმონოპოლისტურ ძალად. მისი მოთხოვნაა: საზღვარგარეთული სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ჯარების გამოყვანა დასავლეთ გერმანიიდან, მრავალმხრივი და ატლანტიკური თერმობირთვული ძალების შექმნაზე უარის თქმა და ა. შ.

§ 28. ჩრდილოეთ ირლანდიის ხალხის ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის

ირლანდიის გაყოფის შემდეგ მისი ჩრდილოეთი ნაწილი ბრიტანეთის იმპერიაში დარჩა. ჩრდილოეთ ირლანდიას ოლსტერს უწოდებენ, მას თავისი პარლამენტი და მთავრობა ჰყავს. საარჩევნო სისტემაში დემოკრატიული პრინციპის დარღვევის გამო გაბატონებული მდგომარეობა უნიონისტურ პარტიას უჭირავს, რომელიც აშკარა პრობრიტანულ-რეაქციულ კურსს ადგას. მდგომარეობა გართულებული იყო რელიგიური შუღლითაც. მოსახლეობის 1/3 კათოლიკეა, დანარჩენი კი — პროტესტანტი. საქმიან წრეებში გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ მოხელეებს, მსხვილ ფერმერებს, მაღალხელფასიან მუშებს, რომლებიც, როგორც წესი, პროტესტანტები არიან. კათოლიკეები, ეროვნებით ირლანდიელები, წვრილი ფერმერებისა და არაკვალიფიციური მუშების უმრავლესობას შეადგენენ და ექსპლუატაციასთან ერთად ეროვნულადაც იჩაგრებიან, არ აქვთ სამოქალაქო უფლებები, მათი ხვედრია უმუშევრობა და სიღატაკე, ხელფასი უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე პროტესტანტებს და ა. შ.

1968 წლის ოქტომბერში ოლსტერში, ქალაქ ლონდონდერში, რომელიც ბელფასტის შემდეგ ქვეყნის მეორე დიდი ქალაქია, პირველი შეტაკება მოხდა კათოლიკეებსა და პოლიციას შორის, რაც გახდა ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკური მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის დაწყების საბაბი. ქვეყანას სამოქალაქო ომი მოედო. ხალხი მოითხოვდა დემოკრატიულ და სამოქალაქო უფლებებს, კათოლიკური მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური ჩაგვრის მოსპობას და ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას.

1969 წლის თებერვალში ოლსტერში ჩატარდა არჩევნები, რომელთა შემდეგ ო. ნეილის მთავრობა ჩიჩესტერ-კლარკის მთავრობამ შეცვალა; მან განაცხადა, რომ იგი ყოველგვარ ზომებს მიიღებს „წესრიგის“ აღდგენისათვის. ეს კი გამოიხატა იმაში, რომ საქმეში ჩარიეს პოლიცია და „სპეციალური“ შეიარაღებული რაზმები. პროტესტანტმა ექსტრემისტებმა მღვდელ იან პეისლის მეთაურობით „შავი ასეული“ შექმნეს და ხალხს მოუწოდეს კათოლიკეები გაენადგურებინათ, მოესპოთ „წყეული ბუდე“. ბელფასტის კათოლიკურ კვარტალებში ხოცვა-ჟლეტა მოეწყო. რიგ ქალაქებში, უპირველეს ყოვ-

ლისა, ბელფასტსა და ლონდონდერში საბარიკადო ბრძოლები გაჩაღდა. აჯანყებულმა რაიონებმა თვითმმართველობის ორგანოები აირჩიეს, მათ არ ცნეს ჩიჩესტერ-კლარკის მთავრობა და განაცხადეს, რომ იბრძოლებენ, ვიდრე მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

მეექვსე ლეიბორისტულმა მთავრობამ ოლსტერში „წესრიგის" აღდგენის მოტივით ჯარები გაგზავნა. ოქტომბერში სისხლისმღვრელი შეტაკებები გაჩაღდა ინგლისის ჯარსა, პოლიციასა და მოსახლეობას შორის. მრავალი ირლანდიელი დაეცა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ინგლისის მთავრობა თუმცა დაპირებას იძლეოდა ოლსტერის ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობაზე, რელიგიური უმცირესობისათვის მმართველობის ორგანოებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფასა და პოლიციის სპეციალური ძალების გაუქმებაზე, მაგრამ ამ უკანასკნელის ნაცვლად შექმნა „ოლსტერის დაცვის პოლკები", რომლებსაც იგივე ამოცანა ეკისრებოდა. ოლსტერის მშრომელთა მასების ბრძოლის წარმატებისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის ყველა ძალის გაერთიანება. 1970 წლის მარტში ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტია და მუშათა პარტიები გაერთიანდნენ ერთიან კომუნისტურ პარტიად, რომელიც სათავეში ჩაუდგა მშრომელთა მასების ბრძოლას თავისუფლებისათვის.

1970 წლის ივნის-ივლისში ბელფასტში, ლონდონდერსა და ოლსტერის სხვა ქალაქებში სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა, რომლებიც რეაქციონერი პროტესტანტი მღვდლის ი. პეისტის მიერ იყო პროვოცირებული. ინგლისის ჯარების გაზრდამ ბელფასტში კიდევ უფრო გააძწვავა მდგომარეობა. ამ დროს ლეიბორისტები მთავრობაში შეცვალეს კონსერვატორებმა, რომელთაც კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1971 წლის ოქტომბერში ინგლისის ჯარების რაოდენობა ოლსტერში 14 ათასამდე გაიზარდა.

ჩრდილოეთ ირლანდიის და დიდი ბრიტანეთის კომუნისტურმა პარტიებმა ფართო მოძრაობა გააჩაღეს ოლსტერის მოსახლეობის უფლებების დასაცავად. 1971 წლის აპრილში ორივე კომპარტიამ გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელიც მოითხოვდა: ჩრდილოეთ ირლანდიის ყველა მოქალაქისათვის დემოკრატიული თავისუფლების გარანტიის მიცემას, ინგლისის ჯარების ქვეყნიდან გაყვანას, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას, საბინაო მშენებლობისათვის სახსრების გამოყოფას და ა. შ.

რეპრესიებმა ოლსტერში ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია ინგლისსა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის. ეს უკანასკნელი ინგლისის მთავრობას აფრთხილებდა, რომ იგი მხარს დაუჭერს ოლსტერის მოსახლეობის სამართლიან ბრძოლას, თუ სამხედრო ძალის

გამოყენება გაგრძელდებოდა. ორივეს საზღვრებზე ინციდენტები მოხდა.

1972 წლის 30 მარტს ინგლისის პარლამენტმა კანონი მიიღო ჩრდილოეთ ირლანდიაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ბრიტანეთის კაბინეტისათვის გადაცემის შესახებ. ამ ღონისძიების წინააღმდეგ გამოვიდნენ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები. უნიონისტთა მემარჯვენე ფრთამ სამრეწველო საბოტაჟისა და შეიარაღებული თავდასხმების კამპანია გააჩაღა. დარბეულ იქნა კათოლიკური კვარტალები, რამაც მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. ამ უკანასკნელს ის მოჰყვა, რომ ინგლისის ჯარები გაზარდეს 21 ათას კაცამდე და შოახდინეს ბელფასტისა და ლონდონდერის კათოლიკური კვარტალების ოკუპაცია.

1972 წელს ბელფასტში რეაქციონერებმა შექმნეს ახალი მილიტარისტული ორგანიზაცია „ლოიალისტების გაერთიანებული ფრონტის“ სახელწოდებით, რომელიც 100 ათას კაცს ითვლიდა. მისი ხელმძღვანელი გახდა ჩრდილოეთ ირლანდიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი უ. კრეიგი. მან „ფრონტის“ მთავარ მიზნად გამოაცხადა უნიონისტთა პარტიის შეცვლა და ლონდონის ყოველგვარ ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

ინგლისის მთავრობა 4 $^1/_2$ წლის განმავლობაში სისხლში ახშობდა ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნებს. 1973 წლის მარტში ოლსტერში ჩატარდა რეფერენდუმი მისი მომავლის შესახებ. იგი მიმდინარეობდა 18-ათასიანი ინგლისელთა საოკუპაციო ჯარებისა და 35-ათასიანი ე. წ. „უშიშროების ძალების“ კონტროლის ქვეშ. გარდა ამისა ოლსტერის მოსახლეობის 60%-ს შეადგენდნენ პროტესტანტები, რომელნიც კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ოლსტერის ირლანდიასთან გაერთიანებისა, ამიტომ უმრავლესობამ ასეთ მოთხოვნას მისცა ხმა.

რეფერენდუმის შემდეგ მთავრობამ ოლსტერის შესახებ გამოაქვეყნა „თეთრი წიგნი“. იგი ითვალისწინებდა ჩრდილოეთ ირლანდიაში ასამბლეის შექმნას, რომელიც შეცვლიდა ადგილობრივ პარლამენტს. გარკვეული დათმობები იყო გათვალისწინებული კათოლიკური მოსახლეობისადმი. უნდა შემოღებულიყო პროპორციული წარმომადგენლობა, მაგრამ ამავე დროს ძველი პარლამენტის უფლებებთან შეფარდებით ასამბლეის უფლებები შეიკვეცა. 30 მაისს პირველად 50 წლის განმავლობაში შედგა ასამბლეის არჩევნები, რომელთა დროსაც ერთიანი უნიონისტური ბლოკი რამდენიმე ფრაქციად დაიშალა. კათოლიკურმა მოსახლეობამ ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიულ ლეიბორისტულ პარტიას. ამ უკანასკნელსა და უნიონისტურ ალიანსს შორის 1973 წლის 22 ნოემბერს ბ. ფოლკნერის მე-

თაურობით შეთანხმება დაიდო აღმასრულებელი საბჭოს ფორმირების შესახებ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდნენ პროტესტანტი ექსტრემისტები, რომელთაც არ სურდათ კათოლიკურ უმცირესობასთან ხელისუფლების გაზიარება.

1973 წლის დეკემბრის დასაწყისში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პრემიერ-მინისტრ ე. ჰიტსა, ბ. ფოლკნერსა და ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ლ. კოსგრეიოს შორის, რომლის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება ირლანდიის საბჭოს და საკონსულტაციო ასამბლეის შექმნის შესახებ. მასში უნდა შევიდნენ ირლანდიის და ინგლისის მთავრობების თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები, მაგრამ ამ ორგანოების რწმუნებები ზუსტად არ იყო განსაზღვრული. ექსტრემისტების ამ გეგმის წინააღმდეგ გამოსვლისა და მასობრივი ტერორის გაჩაღების გამო, რომელსაც ფარულად აღვივებდა ინგლისის მთავრობა, ეს გეგმაც ჩაიშალა.

1974 წლიდან ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ლეიბორისტულმა მთავრობამაც ვერ მოაწესრიგა მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში. 1975 წლის მარტში თვითონ პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი ჩავიდა ბელფასტში და განაცხადა, რომ 1 მაისს ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციური კონვენტის არჩევნები ჩატარდებოდა. 1975 წლის მაისის არჩევნების შედეგად შეიქმნა ჩრდილოეთ ირლანდიის კონსტიტუციური კონვენტი, რომელშიც შევიდნენ ორივე რელიგიის წარმომადგენლები. მას დაევალა ოლსტერის მართვის ფორმის შემუშავება. კონსტიტუციურ კონვენტში დიდ უმრავლესობას შეადგენენ უკიდურესი მემარჯვენე პროტესტანტული პარტიები და დაჯგუფებები, რომელთაც შექმნეს იუნიონისტური კოალიცია. იუნიონისტური კოალიცია კონვენტის მთელი ექვსი თვის მუშაობის შემდეგ უარყოფდა პროვინციის კათოლიკურ და პროტესტანტულ მოსახლეობას შორის ძალაუფლების განაწილების ყველა ფორმას. 1975 წლის შემოდგომაზე მან მიიღო მოხსენების პროექტი, რომლის თანახმად მთელი ძალაუფლება პროტესტანტების ხელში რჩება. საბოლოო კენჭისყრის შემდეგ რეკომენდაციები განსახილველად ინგლისის პარლამენტს ეგზავნება.

1974 და 1975 წლების განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიაში ძალადობა და ტერორი ბატონობდა. ლეიბორისტული მთავრობა მოსახლეობის დაშინების მიზნით ხელს უწყობდა ჩრდილოეთ ირლანდიაში გამეფებულ უკანონობასა და ტერორს. ოლსტერის სატუსაღოები სავსეა პატიმრებით. ბანაკ ლონგ-კეში მავთულხლართების მიღმა ათასობით ადამიანი იმყოფება. ლონგ-კე რეპრესიებისა და უკანონობის სიმბოლოდ გახდა.

გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით, მარტო 1976 წელს ოლსტერში ყოველდღიურად კლავდნენ ერთ კაცს, ჭრიდნენ ოთხს, ხდებოდა ორი აფეთქება და ხუთი შეიარაღებული შეტაკება.

1976 წელს ლეიბორისტებმა გააუქმეს კონსტიტუციური კონვენტი და აღადგინეს ლონდონიდან „პირდაპირი მმართველობა“. 1976 წლის სექტემბერში დაინიშნა ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეების მინისტრი რ. მეისონი, მაგრამ ამან მდგომარეობა ვერ გამოასწორა.

მემარჯვენე ექსტრემისტულ-პროტესტანტული წრეები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ყოველგვარ ღონისძიებებს, რომლებიც უმნიშვნელოდაც კი შეასუსტებს მათ გაბატონებულ მდგომარეობას და თანაბარ უფლებებს მიანიჭებს პროვინციის მოსახლეობას. მათ განკარგულებაშია გასამხედროებული პროტესტანტული „ოლსტერის თავდაცვის ასოციაცია“, რომელიც 50 ათას კაცს აერთიანებს და მთავრობას ახალი ქაოსით ემუქრება, თუ იგი გაბედავს და კათოლიკური მოსახლეობის სასარგებლოდ რაიმე დათმობაზე წავა. არსებობს შეიარაღებული პროტესტანტული ახალგაზრდობის ექსტრემისტული ორგანიზაციები, ოლსტერის კორპუსის სამსახური და ოლსტერის ვოლონტერთა ძალები, რომლებიც არბევენ და ჩხრეკენ ოლსტერის რიგი ქალაქების კათოლიკურ კვარტალებს.

რ. მეისონმა 1977 წლის 5 თებერვლის გამოსვლისას გაამართლა ის ფაქტი, რომ ოლსტერში სამხედრო ძალას ეყრდნობიან, თუმცა ისიც აღიარა, რომ „უშიშროების ძალების“ შვიდი წლის იქ ყოფნას არ მოჰყოლია ვითარების ნორმალიზაცია. მისი აზრით, „ტერორის ჩასახშობად“ საჭიროა ჩრდილოეთ ირლანდიაში კიდევ უფრო მკაცრი ტერორის შემოღება.

1971 წლის დეკემბერში ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობამ საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კომისიაში ინგლისის მთავრობის სამხედრო-პოლიტიკური თვითნებობისა და ძალადობის შესახებ ოლსტერში[1]. კომისია საქმეს იძიებდა 4 წლის განმავლობაში, დაკითხეს 119 მოწმე. 1976 წლის იანვარში კომისიამ გააანალიზა თავისი დასკვნები, რომლებიც იმავე წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა ლონდონსა და დუბლინში.

1977 წლის თებერვალში კომისიამ საქმე გადასცა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს, რომელიც გაიმართა სტრასბურგში. ინგლისის მთავრობა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს. სასამარ-

---

[1] 1950 წელს ევროპის სახელმწიფოებმა, მათ შორის ინგლისმაც, ხელი მოაწერეს კონვენციას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ და ამ უფლების უზრუნველყოფის მიზნით დააწესეს საჩივრების განხილვის კომისია და კონვენციის დარღვევის შემთხვევაში — სასამართლო.

თლოსათვის წარდგენილ მოხსენებაში მოყვანილია ოლსტერის მცხოვრებთა წამებისა და აბუჩად აგდების აღმაშფოთებელი ფაქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ და იურიდიულ ნორმებს. ხაზგასმულია აგრეთვე, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი საგანგებო კანონმდებლობის სისტემა მიზნად ისახავს მოქალაქეობრივ უფლებათა და თავისუფლებათა ჩახშობას. ამ სისტემის მთავარი მსხვერპლი არიან კათოლიკე ირლანდიელები, რომლებიც უსასტიკეს პოლიტიკურ და სოციალურ დისკრიმინაციას განიცდიან. ირლანდიის მთავრობა სთხოვს სტრასბურგის სასამართლოს გამოიტანოს გადაწყვეტილება ინგლისის ხელისუფალთა უმსგავსო აქციებისა და მეთოდების შეუწყნარებლობის შესახებ. სასამართლოზე ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლმა ასოციაციამ წარადგინა პეტიცია, რომელშიც მოცემულია ოლსტერში გამოძიების ძალმომრეობის მეთოდებით წარმოება, ადამიანთა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ინტერნირება, პატიმართა წამება და სხვა აღმაშფოთებელი ფაქტები. ირლანდიის რესპუბლიკის პროკურორმა ამ პროცესზე განაცხადა, რომ ინგლისის ხელისუფლების მოქმედება ოლსტერში წინასწარ შემუშავებული იმ პროგრამის შედეგია, რომელიც ითვალისწინებს აქ „წესრიგის" აღდგენას ძალის გამოყენებით. ამის გამო კათოლიკე ირლანდიელები უსასტიკეს პოლიტიკურ და სოციალურ დისკრიმინაციას განიცდიან.

საჯარო სასამართლო გარჩევის მსვლელობაში სტრასბურგში ლონდონის წარმომადგენლებს ვერ უშველა ვერც იურიდიულმა ხრიკებმა, კერძოდ, ისინი ცდილობდნენ, მაქსიმალურად შეეკვეწროებინათ თვით სასამართლოს იურისდიქცია, ვერც „საგანგებო ვითარებისა" და მასთან დაკავშირებით ინგლისის ადმინისტრაციის „შეცდომების" მომიზეზებამ. ირლანდიის გენერალურმა პროკურორმა უარყო ინგლისის მხარის მტკიცების ყველა პუნქტი და დაამტკიცა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი საგანგებო კანონმდებლობის სისტემა, რომლის მსხვერპლი არიან კათოლიკე ირლანდიელები, მიზნად ისახავს მოქალაქეობრივ უფლებათა და თავისუფლებათა ჩახშობას.

მოისმინა რა ორივე მხარისა და ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის წარმომადგენლების განცხადებანი, სტრასბურგის სასამართლომ თავის მუშაობაში გამოაცხადა შესვენება იმ თარიღამდე, რომელიც მან ჯერ კიდევ უნდა განსაზღვროს. როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს პროცესი, ერთი რამ უდავოა, რომ მან ინგლისის მმართველი წრეები მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე სამარცხვინო ბოძზე გააკრა. ინგლისის მმართველი წრეები ხშირად ნიანგის ცრემლებს ღვრიან სხვა ქვეყნებში დემოკრატიისა და ადა-

მიანის უფლებების დარღვევის გამო, თვითონ კი სისხლში ახშობენ ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის სამართლიან ბრძოლას ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

IV თავი

საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ [1] საფრანგეთი მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში

§ 29. საფრანგეთი დროებითი რეჟიმის დროს (1944—1946 წწ.)

ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ. ოკუპაციის ოთხი წლის განმავლობაში გერმანელებმა ერთიანად გაძარცვეს საფრანგეთი. მას გადაახდევინეს 85 მლრდ. ფრანკი კონტრიბუცია, თავიანთ ქვეყანაში გაზიდეს თითქმის მთელი ძვირფასეულობა, დაინგრა, განადგურდა ან მოიშალა რიგი საწარმოები, ტრანსპორტი და სათბობის სისტემა. 1944 წლისათვის საფრანგეთის სამრეწველო წარმოების მოცულობა ომამდელის 60% ძლივს შეადგენდა. მწყობრიდან გამოსული იყო უმსხვილესი ელექტროსადგურები, ქვანახშირის შახტები, გემთსაშენები.

დიდი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამაც. პირუტყვის სულადობა განახევრდა, ნათესი ფართობები, მუშახელისა და მანქანების ნაკლებობის გამო, მკვეთრად შემცირდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 40%-ით დაეცა. ომისა და ოკუპაციისაგან მიყენებული ზარალი 1440 მლრდ. ფრანკს შეადგენდა.

ფაშისტური ოკუპაციის ლიკვიდაციის შემდეგ ქვეყანაში ძალზე რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ოკუპაციის დროს (1943 წელს) კომუნისტების ინიციატივით შექმნილი წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნული საბჭო, რომელშიც გაერთიანდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე ყველა მასობრივი ორგანიზაცია. 1944 წლის მარტში წინააღმდეგობის მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ მიიღო პროგრამა. იგი ითვალისწინებდა დროებითი მთავრობის შექმნას, საფრანგეთის დიდების აღდგენას, სამშობლოს გამყიდველების დასჯას, ძირითადი საწარმოო საშუალებების ნაციონალიზაციას და ა. შ.

დე გოლის გავლენა ეროვნულ საბჭოში ძალზე მნიშვნელოვანი იყო. 1944 წლის დეკემბერში დე გოლის მთავრობა ინგლის-ამერი-

---

[1] ტერიტორია — 551 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 52,6 მლნ. (1976 წლის აღწერით). დედაქალაქი პარიზი (გარეუბნებთან ერთად ცხოვრობს 10 მლნ. კაცი).

კისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა ცნეს განთავისუფლებული საფრანგეთის დროებით მთავრობად.

პოლიტიკურ წყობას, რომელიც დამყარდა საფრანგეთის განთავისუფლებიდან და გაგრძელდა IV რესპუბლიკის გამოცხადებამდე და კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე ეწოდა ე. წ. „დროებითი რეჟიმი". დე გოლის კოალიციურ დროებით მთავრობაში ორი კომუნისტიც შედიოდა. დროებითი მთავრობის ოფიციალური პროგრამა ითვალისწინებდა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამის მოთხოვნებსაც — სამშობლოს მოღალატეთა დასჯას, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ბანკების, ტრანსპორტისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციას.

მემარცხენე ძალების უდიდესი აღმავლობის ვითარებაში ქვეყანაში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა დამყარდა — წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოსი და დე გოლის დროებითი მთავრობისა. წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოში, და, საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა სამი ძირითადი დაჯგუფება: კომუნისტური, სოციალისტური და სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტია (მრპ). განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობდა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ომის დამთავრებისას თავის რიგებში 900 ათას წევრს აერთიანებდა. კომუნისტური პარტია საფრანგეთში ყველაზე მრავალრიცხოვან პარტიას წარმოადგენდა. იგი ყველაზე ძლიერი და მონოლითური პარტია იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ სხვა კომუნისტურ პარტიებთან შედარებით. საფრანგეთის კომუნისტები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ხალხში. კომუნისტებმა გავლენა და ხალხის სიყვარული ომის დროს ფაშიზმის შავბნელი ძალების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლით მოიპოვეს.

საფრანგეთის კომპარტია ამ დროს მიზნად არ ისახავდა ძალაუფლების ხელში აღებას. მიმდინარე მომენტის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის მთელი ძალების გაერთიანება გერმანიის განადგურებისა და საფრანგეთის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღორძინებისათვის.

კომპარტია ცდილობდა, არ დაეშვა მუშათა კლასის ძალების დაქსაქსვა, როგორც ომამდე იყო. მან მიაღწია იმას, რომ 1944 წლის დეკემბერში სოციალისტურ პარტიასთან ერთად შექმნა ამ ორი პარტიის საკოორდინაციო კომიტეტი და დაიწყო მოლაპარაკება მუშათა ერთიანი პარტიის შექმნისათვის. ორივე პარტია 1947 წლამდე მთელ რიგ ძირითად საკითხებში თანამშრომლობდა. სოციალისტური პარტია თავის რიგებში აერთიანებდა 350 ათას კაცს. სოციალისტური პარტიის პოზიციაზე ბევრად იყო დამოკიდებული, თუ როგორ გან-

კითარდებოდა მოვლენები, ვის მხარეზე აღმოჩნდებოდა ქვეყნის მრავალშილიონიანი წვრილბურჟუაზიული მასა. მაგრამ სოციალისტური პარტია ძველებურად რეფორმისტულ პოზიციებზე დარჩა და 1947 წლის შემდეგ უარი თქვა კომუნისტებთან თანამშრომლობაზე.

მშრომელთა ერთ-ერთი მასობრივი ორგანიზაცია გახდა შრომის საყოველთაო კონფედერაცია (შსკ), რომლის ხელმძღვანელი ორგანოები გაწმინდა რეფორმისტულ-ბიუროკრატიული და ანარქისტულ-სინდიკალისტური ელემენტებისაგან. მათი ადგილი დაიკავეს წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიურმა მონაწილეებმა, უმთავრესად კომუნისტებმა. შსკ თავის რიგებში აერთიანებდა 5,5 მლნ. წევრს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელი ქრისტიანების კონფედერაციის რიგები (750 ათას წევრამდე).

მესამე პოლიტიკური ძალა იყო „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" (მრპ) პარტია. იგი შეიქმნა ბურჟუაზიის იმ ნაწილის ხელმძღვანელობით, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ამ პარტიის ორგანიზატორები იყვნენ კათოლიკე მოღვაწენი — ჟ. ბიდო, მ. შუმანი, ფ. დე მარტონი და სხვები. ეს პარტია შეიქმნა 1944 წლის ნოემბერში ომამდე არსებული კათოლიკური პარტიების გაერთიანების შედეგად. პარტიები: „სახალხო დემოკრატები", „სოციალ-ქრისტიანები" და „ახალგაზრდა რესპუბლიკა" გაერთიანდნენ და შექმნეს ახალი პარტია — „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" სახელწოდებით. ამ პარტიის ლიდერებს თავიანთი ინტერესებისათვის უნდოდათ გამოეყენებინათ მშრომელი კათოლიკეების გმირული ბრძოლა ოკუპაციის წლებში და ცდილობდნენ ფრანგი ხალხისათვის თავი მოეჩვენებინათ წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებად. აღნიშნული პარტიის ლიდერები დემაგოგიურად თავს ასაღებდნენ პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მომხრეებად, სინამდვილეში კი ცდილობდნენ, შეეზღუდათ პარლამენტის უფლებები, ხელი შეეშალათ ნაციონალიზაციის გაფართოებისათვის. ამ პარტიამ თავისი თავი გამოაცხადა გენერალ დე გოლის მიმდევარ პარტიად, რომელიც ფაქტობრივად რეაქციის წამყვან პარტიად გადაიქცა.

სამივე ზემოთ ჩამოთვლილი პარტია აღიარებდა წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამას. ისინი ომის დამთავრებისას ერთად თანამშრომლობდნენ, მაგრამ კომუნისტური პარტიის გავლენისა და ავტორიტეტის ზრდით დაშინებულმა სოციალისტური და მრპ-ის პარტიის ხელმძღვანელებმა თანდათანობით იწყეს გადახვევა მარჯვნივ და გამოვიდნენ წინააღმდეგობის ეროვნულ საბჭოში თანამშრომლობის შემდგომი გაგრძელების მოწინააღმდეგეებად.

ინდოჩინეთში თავიანთი ბატონობის აღდგენა. 1954 წლის 21 ივლისს საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა ხელი მოეწერა ჟენევაში შეთანხმებისათვის ინდოჩინეთში ცეცხლის შეწყვეტაზე და ეცნო ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

1954—1956 წწ. საფრანგეთი იძულებული გახდა ავტონომიური უფლებები მიეცა ტუნისისა და მაროკოსათვის, მაგრამ ცდილობდა თავისი ბატონობის შენარჩუნებას ალჟირში, სადაც 1954 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. იგი გადაიზარდა პარტიზანულ ომში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეროვნული განთავისუფლების ფრონტი. ნახევარ მილიონზე მეტი საფრანგეთის არმია, რომელიც შეიარაღებული იყო თანამედროვე ტექნიკით, ავიაციით და ეყრდნობოდა ნატოს აგრესიული დაჯგუფების მხარდაჭერას, უძლური აღმოჩნდა.

ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ ომმა შეიწირა ათასობით ფრანგი, გამოიწვია სამხედრო ხარჯების გაზრდა. ომისათვის ყოველწლიურად იხარჯებოდა საფრანგეთის ოფიციალური სამხედრო ბიუჯეტის 60%. ალჟირის ომი საბედისწერო გახდა მეოთხე რესპუბლიკისათვის. მან დიდი გამარეოლუციონერებელი გავლენა მოახდინა საფრანგეთზე და ამავე დროს გაამწვავა წინააღმდეგობანი დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის. საფრანგეთში სამოქალაქო ომის საშიშროება შეიქმნა.

§ 33. 1956 წლის არჩევნები. რესპუბლიკური ფრონტის მთავრობის შექმნა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

1955 წლის თებერვალში მენდეს-ფრანსის მთავრობამ უნდობლობის ვოტუმი მიიღო და გადადგა. იგი შეცვალა მემარჯვენე რადიკალმა ედგარ ფორმა. ახალ მთავრობაში შევიდნენ მემარჯვენე პარტიის წარმომადგენლები — დეგოლელები, გენერალი კენიგი („დამოუკიდებლები"), მემარჯვენე რადიკალები და მრპ-ის პარტიის წარმომადგენლები. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ა. პინე. ამ მემარჯვენე ცენტრისტულ მთავრობას პარლამენტში ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა დაპირისპირებული კომუნისტების, სოციალისტებისა და მემარცხენე რადიკალების სახით.

ვერც ამ მთავრობამ გაართვა თავი შექმნილ მძიმე ვითარებას. ჩრდილოეთ აფრიკაში, უპირველეს ყოვლისა, ალჟირში და აგრეთვე მაროკოსა და ტუნისში ვითარება ძალიან დაიძაბა. უმნიშვნელო დათმობები საქმეს არ შველოდა. ხალხი მოითხოვდა დამოუკიდებლობას და ბრძოლა სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. ჩრდილოეთ

აფრიკის ამბები დიდ გავლენას ახდენდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც. იზრდებოდა ფრანგი კოლონიური ბურჟუაზიის პოლიტიკური როლიც, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკის ხალხთა მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებას მოითხოვდა.

ამასთანავე რეაქციამ შოვინისტური და რასისტული პროპაგანდა გააჩაღა. ალჟირის წინააღმდეგ ომს ულტრაკოლონიალისტები აცხადებდნენ საფრანგეთის საშინაო საქმედ, როგორც მეამბოხე ფრანგული დეპარტამენტების საწინააღმდეგო ღონისძიება.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია დიდ მუშაობას ეწეოდა ხალხში: თავისი გაზეთების ფურცლებზე განუმარტავდა მასებს, რომ ალჟირი საფრანგეთის ნაწილი კი არა, კოლონიაა და მისი ხალხი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. ამიტომ ეს ბრძოლა სამართლიანია და ფრანგმა ხალხმა მას მხარი უნდა დაუჭიროს.

მონოპოლისტური ბურჟუაზია ყოველმხრივ ცდილობდა საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დაშლის შეჩერებას, რის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ქვეყანაში არსებული დემოკრატიული დაწესებულებები მიაჩნდა. ამიტომ მან ეს უკანასკნელი ამოიღო მიზანში და ყოველმხრივ ცდილობდა მისთვის სახელის გატეხას წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის თვალში. ბურჟუაზიის ეს ფენები მონოპოლისტური კაპიტალისაგან შევიწროებული იყვნენ და თავიანთი უბედურების მიზეზად მეოთხე რესპუბლიკის დემოკრატიულ ინსტიტუტებს მიიჩნევდნენ. ამ აზრს მათ რეაქციული პრესა და დე გოლის მომხრეები ყოველმხრივ უღვივებდნენ. ამ მრავალმილიონიანი მასის უკმაყოფილება გამოიხატა „პუჟადელების მოძრაობაში“, რომელმაც 1955 წელს ფართო ხასიათი მიიღო. 1955 წელს წვრილმა მედუქნემ პუჟადმა შექმნა ფაშისტური ხასიათის ორგანიზაცია „ვაჭრებისა და ხელოსნების დაცვის კავშირის“ სახელწოდებით, რომლის წევრთა რაოდენობა სწრაფად გაიზარდა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკით უკმაყოფილო წვრილი მეწარმეების, ხელოსნებისა და ვაჭრების ხარჯზე. პუჟადი მოითხოვდა კონსტიტუციის გადასინჯვას, ნაციონალიზებული საწარმოების კერძო კაპიტალისტებისათვის გადაცემას, პროფკავშირებზე კონტროლის დაწესებას, სოციალური დაზღვევის შეზღუდვას, ერთიანი და განუყოფელი კოლონიური იმპერიის შენარჩუნებას და ა. შ.

პუჟადელები ნაციონალისტურ და შოვინისტურ პროპაგანდას ეწეოდნენ და გამოდიოდნენ პარლამენტური მმართველობის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ ფაშისტური მმართველობის დანერგვას. ბევრი რამ პუჟადმა ჰიტლერისა და მუსოლინისაგან ისესხა. მაგრამ დემოკრატიული ტრადიციების მქონე საფრანგეთში იგი ვერც ჰიტლერი გახდა

და ვერც მუსოლინი. მისი ორგანიზაცია სწრაფად დაიშალა, ხოლო მსხვილმა ბურჟუაზიამ მიიჩნია, რომ პუჟადმა თავისი საქმე გააკეთა, სახელი გაუტეხა მეოთხე რესპუბლიკის დემოკრატიულ ინსტიტუტებს წვრილ და საშუალო ბურჟუაზიულ ფენებში.

მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საფრანგეთის წამყვანი ბურჟუაზიული პარტიები, რომელთაც თავი ვერ გაართვეს ქვეყნის შიდა და გარე პრობლემებს. ცალკეული პარტიების შიგნით წინააღმდეგობა იყო ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიცაა: საფრანგეთის კოლონიური სისტემის ყოფნა-არყოფნის, ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის დაცემისა და აშშ-ზე მისი დამოკიდებულების ზრდის, „გფრ-ის რემილიტარიზაციის და სხვა საკითხები.

1955 წლის აპრილში ულტრაკოლონიალისტების ზეგაკლენით ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ალჟირში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ამის შემდეგ კოლონიურმა ადმინისტრაციამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა. ტრიბუნალები განუკითხავად სჯიდნენ პატრიოტებს, აიკრძალა დემოკრატიული ორგანიზაციები.

მთავრობის ეს ღონისძიებები ალჟირში ულტრაკოლონიალისტებს მაინც არასაკმარისად მიაჩნდათ. 1955 წლის 29 ნოემბერს ე. ფორის მთავრობამ ეროვნულ კრებაში უნდობლობის ვოტუმი მიიღო. ვინაიდან 18 თვის განმავლობაში ეროვნულმა კრებამ ორი მთავრობა დაამხო, კონსტიტუციის თანახმად იგი უნდა დათხოვნილიყო. არჩევნები დაინიშნა 1956 წლის იანვრისათვის.

არჩევნების წინ მემარჯვენე ძალები გაერთიანდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ერთიანი გამოსვლით პარლამენტში უმრავლესობას მიიღებდნენ. კომპარტიამ სოციალისტურ და რადიკალ-სოციალისტურ პარტიას წინადადებით მიმართა, რომ არჩევნებში ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ. მაგრამ სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გი მოლემ და რადიკალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა მენდეს ფრანსმა კომუნისტების წინადადება უარყვეს. მჯთ მიტერანთან (წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელი) და ლეგოლური სოციალ-რესპუბლიკური პარტიის ლიდერთან შაბან-დელმასთან შეკრეს კავშირი და არჩევნების წინ შექმნეს „რესპუბლიკური ფრონტი".

მემარჯვენე პარტიები — „დამოუკიდებლები" და მრპ ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ. ამრიგად, არჩევნებში სამი დაჯგუფება გამოვიდა: კომუნისტები, „რესპუბლიკური ფრონტი" და მემარჯვენეები. არჩევნები 1956 წლის იანვარში ჩატარდა.

კომუნისტურმა პარტიამ 5,5 მლნ. ხმა და 150 დეპუტატის მანდატი მიიღო და პარლამენტში კვლავ პირველი ადგილი დაიკავა. ფრანგ ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა მემარცხენე პარტიებს (ცო-

მუნისტურს, სოციალისტურს და რადიკალ-სოციალისტურს), რომელთა ხელში იყო 336 მანდატი, თითქმის 100 ადგილით მეტი, ვიდრე ყველანი ერთად აღებული[1]. ამიტომ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე კომპარტიამ მათ შესთავაზა სამი პარტიის შეთანხმების საფუძველზე მემარცხენე მთავრობის შექმნა და ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი საშინაო და საგარეო ამოცანების გადაწყვეტა. კომპარტიის ეს წინადადება რაიმე რადიკალურ ცვლილებებს კი არა, გადაუდებელი ამოცანების განხორციელებას მოითხოვდა, მით უმეტეს, რომ არჩევნებმა სამივე დაჯგუფებიდან ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში არც ერთს არ მისცა. მაგრამ გი მოლემ და მენდეს-ფრანსმ კომუნისტებთან ბლოკს მემარჯვენე პარტიებთან ბლოკი არჩიეს, რის შედეგად „რეაქციის მძევლებად" გადაიქცნენ და მათთან ერთად მეოთხე რესპუბლიკაც დაასამარეს.

მთავრობის შედგენა გი მოლეს დაევალა. ოპოზიციაში 5 წლის ყოფნის შემდეგ სოციალისტები კვლავ დაუბრუნდნენ ხელისუფლებას. რესპუბლიკური ფრონტის მთავრობაში ადგილების უმეტესი ნაწილი სოციალისტებმა და მემარცხენე რადიკალებმა დაიკავეს. მაგრამ გი მოლესა და მენდეს-ფრანსის გადაწყვეტილებით მთავრობაში შეიყვანეს დეგოლელებიც — სოციალ-რესპუბლიკელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ არჩევნებში სასტიკი მარცხი განიცადეს. მათ ხარჯზე პარლამენტში პუჟადელები და „დამოუკიდებლები" გაძლიერდნენ.

გი მოლემ წამოაყენა თავისი მთავრობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა: მშვიდობის აღდგენას ალჟირში, პენსიების და ხელფასების გაზრდას, გრძელვადიანი ფასიანი შვებულების ღაკანონებას.

კომუნისტებმა სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება ქვეყანაში, რომლის დროსაც უახლესი ამოცანა იყო დემოკრატიისა და მშრომელთა ინტერესების დაცვა, და მხარი დაუჭირეს მთავრობას (მიუხედავად მისი დროდადრო მერყეობისა), სანამ მან რეაქციის ზეგავლენით მარჯვნივ არ გადაიხარა.

კომუნისტების მხარდაჭერის წყალობით გი მოლეს პარლამენტში თითქმის ყველა თავისი კანონპროექტი ნდობის ვოტუმის პროცედურით გაჰქონდა.

1956 წლის პირველ ნახევარში გი მოლეს მთავრობამ პარლამენტს

---

[1] სოციალისტურმა პარტიამ მიიღო 3,2 მლნ. ხმა და 95 მანდატი, რადიკალ-სოციალისტებმა და უდსრ — 2,8 მლნ. ხმა და 91 მანდატი, მრპ—2,3 მლნ. ხმა და 73 მანდატი, „დამოუკიდებლებმა" — 3 მლნ. ხმა და 95 მანდატი, სოციალ-რესპუბლიკელებმა — 985 ათასი ხმა და 21 მანდატი, პუჟადელებმა — 2,5 მლნ. ხმა და 52 მანდატი.

კომუნისტების მხარდაჭერით რიგი კანონი მიიღებინა, კერძოდ მშრომელთა სამკვირიანი ფასიანი შვებულების, მოხუცთათვის პენსიებისა და დახმარების გაზრდის, ზოგიერთი კატეგორიის მუშათა და მოსამსახურეთათვის ხელფასის გაზრდისა და სხვათა შესახებ.

1956 წლის მარტში საფრანგეთმა ცნო ტუნისის და მაროკოს დამოუკიდებლობა, ხოლო შავი აფრიკის ფრანგული კოლონიების ხალხებს თვითმმართველობა აღუთქვა.

1956 წლის აპრილში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა მოსკოვში ჩამოვიდა და კონტაქტი დაამყარა სკკპ-ის ხელმძღვანელობასთან, ხოლო 15 მაისს მოსკოვში ჩამოვიდნენ გი მოლე და საგარეო საქმეთა მინისტრი პინე. საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგად 19 მაისს გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო ორივე მთავრობის მისწრაფებაზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობიანი თანაარსებობის და სხვათა შესახებ.

1956 წლის ოქტომბერში მოლეს მთავრობამ გფრ-ს გადასცა საარის ოლქი.

1956 წლის შემოდგომიდან გი მოლეს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეაქციული ძალების ზეგავლენით შეიცვალა.

ეგვიპტის მთავრობის სამართლიან ღონისძიებებს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის საკითხში საფრანგეთმა ინგლისთან და ისრაელთან ერთად უპასუხა ინტერვენციით და ომით სუეცის არხის ზონაში, რამაც ძალზე გაამწვავა საერთაშორისო ურთიერთობა.

საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე სიცილიის ქ. მესინაში გადაწყვეტილება მიიღეს აღნიშნული ქვეყნების „ეროვნული ეკონომიკის შერწყმისა და ერთიანი ბაზრის შექმნის შესახებ.“

კონფერენციაზე შემუშავდა ე. წ. „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა“ და „ევრატომის“ პროექტები, რომლებსაც აღნიშნულმა ქვეყნებმა საბოლოოდ ხელი მოაწერეს ქალაქ რომში 1957 წლის 25 მარტს.

ე. წ. „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ შეთანხმებით გათვალისწინებული იყო ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი სახელმწიფოს „საერთო ბაზრის“ შექმნა. შეთანხმების ხელმომწერნი ვალდებულებას კისრულობდნენ, ვაჭრობაში ურთიერთშორის არსებული საბაჟო ზღუდეების თანდათანობით ლიკვიდაცია მოეხდინათ და საქონლის, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი ცირკულაციის ერთიანი ზონა შეექმნათ.

„ევრატომის“ შეთანხმებით განისაზღვრა ზემოთ აღნიშნული ექვსი

ქვეყნის მიერ ატომგულის გაერთიანებული ძიება, ატომური ნედლეულის ერთიანი წარმოება, ატომური ენერგიის გამოყენება ერთად, იმ საწარმოებისა და დანადგარების გაერთიანებული დაფინანსება, რომელნიც ატომის წარმოებასთან არიან დაკავშირებულნი. ერთი სიტყვით, ეს უნდა გამხდარიყო ექვსი ქვეყნის ატომის ერთგვარი „საერთო ბაზარი". „ევრატომს" ატომური ენერგიის შესახებ ცნობების შესაკრებად ხელშეკრულების დადების მონოპოლიური უფლება ენიჭებოდა იმ ქვეყნებთან, რომელნიც არ შედიოდნენ „ევრატომში".

გი მოლეს მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება ალჟირში მშვიდობის დამყარების შესახებ. მან იქ დამატებით 100 ათასიანი ჯარი გაგზავნა და ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ალჟირელი ხალხის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების ჩახშობას. მთავრობის მიერ ეროვნული განთავისუფლების ფრონტთან წამოწყებული მოლაპარაკებაც უშედეგოდ დამთავრდა. ალჟირელი პატრიოტები მოითხოვდნენ თავიანთი ქვეყნისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას, საფრანგეთის მთავრობა კი უმნიშვნელო დათმობებსა და ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას პირდებოდა. ხანგრძლივი მოლაპარაკება ჩიხში მოექცა და საომარი მოქმედება ალჟირში კვლავ განახლდა. ალჟირის ამბები საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა.

რაც უფრო ღრმად შეტოპა მთავრობამ ალჟირის წინააღმდეგ ომში, მით უფრო გააქტიურდნენ რეაქციონერები. საფრანგეთის ნახევარმილიონიანი არმია უძლური აღმოჩნდა ჩაეხშო ალჟირელი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისადმი. „რესპუბლიკური ფრონტის" მთავრობაც მალე დაიშალა. მენდეს-ფრანსი გამოვიღა მთავრობიდან და რადიკალ-სოციალისტებმა უარი თქვეს გი მოლეს მთავრობისადმი მხარდაჭერაზე. ბუნებრივია, რომ კომუნისტებმა შეწყვიტეს პარლამენტში მთავრობისადმი მხარდაჭერა. გი მოლე ცდილობდა ხელისუფლების შენარჩუნებას, მაგრამ იგი იძულებული გახდა გადაძდგარიყო. მალე ამას მოჰყვა მთავრობის ახალი კრიზისი. ეს ხელსაყრელი მომენტი გამოიყენეს მეოთხე რესპუბლიკის მტრებმა. 1958 წლის 13 მაისს ულტრაკოლონიალისტებმა ალჟირში მოაწყვეს გაფიცვა, რომელსაც სამხედრო ნაწილებიც შეუერთდნენ და ამბოხებაში გადაიზარდა. ამბოხებულები და ალჟირში მყოფი საფრანგეთის ჯარების სარდლობა იმუქრებოდნენ საფრანგეთსა და პარიზში სადესანტო ჯარების გადასხმით და სამოქალაქო ომის დაწყებით, თუ ხელისუფლებას დეგოლს არ გადასცემდნენ. ამბოხება გავრცელდა საფრანგეთის სამხრეთში, კორსიკაში და ბევრ სხვა ადგილას. მოფაშისტო ელემენტები პარიზშიც შეეცადნენ გამოსვლების ორგანიზაციას, მაგრამ კომუნისტების მოწოდებით მუშებმა გაფანტეს ისინი. კომპარტიამ ამ განსაც-

დელის ჟამს სოციალისტებს და მემარცხენე ძალებს მოუწოდა, ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ ამბოხებულების წინააღმდეგ, დაეცვათ კონსტიტუცია და დემოკრატიული თავისუფლებები, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და მხარი დაუჭირეს დე გოლის კანდიდატურას. ამას ისინი იმით ამართლებდნენ, რომ კომუნისტებისათვის მხარდაჭერა სამოქალაქო ომს გამოიწვევს, ხოლო დე გოლი თავიდან ააცილებს საფრანგეთს ამ უბედურებასო. დე გოლის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს მემარჯვენე ბურჟუაზიულმა პარტიებმაც, რომელთაც მობეზრდათ მთავრობის განუწყვეტელი კრიზისი და პარლამენტში ყოველი საკითხის ირგვლივ გაუთავებელი და ხშირად უმიზნო დებატები. ამასთანავე რეაქცია იმედოვნებდა, რომ დე გოლი ხელისუფლების სათავეში თუ მოექცეოდა, მისი ავტორიტეტის გამოყენებით თავიდან აიცილებდნენ კომუნისტების მიერ ხელისუფლების ხელში აღებას. ამრიგად, ყველა პარტია, გარდა კომუნისტურისა, დე გოლის მხარეზე გადავიდა. ქვეყანაში გაჩაღდა დე გოლისათვის ხელისუფლების გადაცემის მხარდამჭერი კამპანია. დე გოლს ამ განსაცდელის ჟამს საფრანგეთის ერთადერთ მხსნელად სახავდნენ. საყურადღებოა, რომ ამ კამპანიამ გამოხმაურება მასებშიც პოვა. გლეხობის ფართო მასები, ქალაქის საშუალო ფენები, მშრომელთა გარკვეული ნაწილი დე გოლს იცნობდნენ, როგორც გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეურიგებელ და გამოჩენილ მებრძოლს. მისი სახელი დაკავშირებული იყო ფაშისტური რეჟიმისაგან საფრანგეთის განთავისუფლებასა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლასთან. მის სახელს უკავშირებდნენ ისეთი ძლიერი ხელისუფლების შექმნას, რომელიც შეარიგებდა არმიას და რესპუბლიკას, არაბებს და ფრანგებს, აღადგენდა საფრანგეთის ავტორიტეტსა და როლს საერთაშორისო არენაზე. დე გოლის დიდი ავტორიტეტი ქვეყანაში იმითაც აიხსნება, რომ იგი სასტიკად აკრიტიკებდა საფრანგეთის მთავრობების აშშ-ისადმი დაქვემდებარებისა და გერმანიის ევრომახტის აღდგენის კურსს, მოითხოვდა საფრანგეთის დიდების აღდგენას და დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებას. ყველაფერი ეს ფართო რეზონანსს ახდენდა მასებზე.

1958 წლის 15 მაისს დე გოლმა განაცხადა, რომ იგი მზადაა ხელისუფლება ხელში აიღოს მხოლოდ იმ პირობით, თუ საგანგებო რწმუნებებს მიანიჭებდნენ, 1946 წლის კონსტიტუციას გააუქმებდნენ. ამასთანავე დე გოლი „დამოუკიდებელ არბიტრად", ერის საერთო წარმომადგენლად სახავდა თავის თავს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ გადაერჩინა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლება და არ დაეშვა ერთპიროვნული ხელისუფლების რეჟიმის დამკვიდრება საფრანგეთში, მაგრამ იგი მარტო აღმოჩნდა. ამბოხებულე-

ბი კი კვლავ სამოქალაქო ომით იმუქრებოდნენ. ასეთ ვითარებაში 1958 წლის 1 ივნისს ეროვნულმა კრებამ დე გოლი პრემიერ-მინისტრად დანიშნა. მის მიერ შექმნილ მთავრობაში შევიდა ყველა ბურჟუაზიული პარტიის ლიდერი და აგრეთვე გი მოლე. 2 ივნისს დე გოლმა საგანგებო რწმუნებები და ახალი კონსტიტუციის შემუშავების უფლება მიიღო, რაც მეოთხე რესპუბლიკის კრახს ნიშნავდა.

V თავი

საფრანგეთი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპის დროს. მეხუთე რესპუბლიკა

§ 34. მეხუთე რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა 1958—1968 წწ.

მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისათვის შეიქმნა ე. წ. „სამუშაო კომიტეტი" იუსტიციის მინისტრის მიშელ დებრეს მეთაურობით. პროექტი 1958 წლის 4 სექტემბერს გამოქვეყნდა. ახალი კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება მნიშვნელოვნად იკვეცებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ. კონსტიტუცია დიდ უფლებებს ანიჭებდა პრეზიდენტს. იგი ცხადდებოდა სახელმწიფოს მეთაურად, მთავრობის მეთაურად და უმაღლეს მთავარსარდლად. პრეზიდენტი ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, ყველა მაღალი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირებს, ხელს აწერდა ყველა კანონზე, შეეძლო პარლამენტის გარეშე კანონის გატანა რეფერენდუმზე. მართალია, პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავრობა პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი, მაგრამ ეს ფორმალურადაა, ვინაიდან პრემიერ-მინისტრს კონსტიტუცია, ფაქტობრივად, პრეზიდენტის ნება-სურვილის შემსრულებლის როლს აკისრებს როგორც მიმდინარე ადმინისტრაციული ხასიათის საკითხების გადაწყვეტაში, ასევე პარლამენტში პრეზიდენტის პოლიტიკის დაცვაში. პრეზიდენტი გამოცხადებულია რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის „გარანტიად". მაგალითად, კონსტიტუციის ძე-16 მუხლით, პრეზიდენტს უფლება აქვს ხელში აიღოს მთელი ძალაუფლება და გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ „ერის დამოუკიდებლობა, მისი ტერიტორიული მთლიანობა ან საერთაშორისო ვალდებულების შესრულება სერიოზული და პირდაპირი საშიშროების წინაშე აღმოჩნდება".

კონსტიტუცია საკანონმდებლო ხელისუფლებას პარლამენტს ანიჭებს. იგი შედგება ორი პალატისაგან: ეროვნული კრებისა და სენა-

ტისაგან. პირველს ირჩევენ პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრით. მეორეს კი — არაპირდაპირი ხმის მიცემით. სენატის უფლება მნიშვნელოვნად იზრდება და ამ მხრივ იგი თითქმის პირველ პალატას უთანასწორდება. პარლამენტის არც ერთ პალატას არა აქვს პრეზიდენტის გადაყენების უფლება. პარლამენტს შეუძლია მხოლოდ მთავრობის გადაყენება, მაგრამ ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული „დაგმობის რეზოლუციის“ შეტანა და ასეთი რეზოლუციისათვის დეპუტატთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მიღება. ამასთანავე იმ დეპუტატთა ხმები, რომელნიც თავს შეიკავებენ ან ხმის მიცემის დროს არ ესწრებიან, თავისთავად მთავრობისათვის მიცემულ დადებით ხმებად ითვლება. თუ „დაგმობის რეზოლუცია“ ვერ შეაგროვებს სათანადო ხმებს, მის ავტორებს ეკრძალებათ ამ პარლამენტის სესიის პერიოდში ახალი რეზოლუციის შეტანა. მაგრამ თუ პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობა ხმას „დაგმობის რეზოლუციას“ მისცემს, მაშინ პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა შეუძლია.

მეოთხე რესპუბლიკის დროს მთავრობის ყოველი კანონპროექტი პარლამენტში სათანადო კომისიის შესწორებებით განიხილებოდა, ახალი კონსტიტუციით კი პარლამენტს ეს უფლებები წაერთვა. მთავრობას შეუძლია უარყოს შესწორებები და მოითხოვოს თავისი კანონპროექტის მთლიანი ვარიანტის ყოველგვარი შესწორებების გარეშე განხილვა.

ბიუჯეტის კანონპროექტში პარლამენტის წევრებს შემოსავლის შემცირების ან გასავლის გაზრდის საკითხებზე არ შეუძლიათ შესწორებების ან წინადადებების შეტანა. ამრიგად, მთავრობას შეუძლია სოციალური ხარჯების შემცირება და სამხედრო ბიუჯეტის თავისი სურვილისამებრ გაზრდა.

თუ დეპუტატი მთავრობის წევრი გახდა, იგი კარგავს დეპუტატობის მანდატს და მისი აღდგენა მთავრობიდან უკან გამოსვლის შემთხვევაში აღარ შეიძლება.

თავდაპირველად პრეზიდენტს ირჩევდნენ არაპირდაპირი ხმის მიცემით 7 წლის ვადით, 1962 წლის შემოდგომაზე ჩატარებული რეფერენდუმით კი მისი არჩევა ხდება პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე. ამ მხრივაც პრეზიდენტი სრულიად დამოუკიდებელი გახდა პარლამენტისაგან. ამ უკანასკნელის უფლებები ფაქტობრივად დაყვანილია მეორეხარისხოვანი სათათბირო ორგანოს დონემდე. აღმასრულებელი ხელისუფლების, უპირველეს ყოვლისა კი, პრეზიდენტის უფლებები ძალზე გაიზარდა, რამაც გაჰოიწვია მისი პირადი ხელისუფლების გაძლიერება. კონსტიტუცია დემოკრატიულ უფლებებს და თავისუფლებებს ზოგადი ფრაზებით აცხადებს.

ძალზე რეაქციულია აგრეთვე ხმის ორ ტურად მიცემის საარჩევნო სისტემა. კომუნისტებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს, რომ კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ მიეცათ ხმა. ამ მოწოდებას კომუნისტების გარდა ნაწილობრივ სოციალისტების მემარცხენე ფრთა გამოეხმაურა. საყურადღებოა, რომ პუჟადელებმა მეტისმეტად ლიბერალურად მიიჩნიეს მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, ამიტომ მის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

1958 წლის 28 სექტემბერს ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც ამომრჩეველთა 79%-მა მოიწონა კონსტიტუცია.

რეფერენდუმის ჩატარებისთანავე ყველა მემარჯვენე პოლიტიკური პარტია გაერთიანდა „ახალი რესპუბლიკის დაცვის" პარტიაში (უნრ). ეს პარტია ძირითადად ყოფილი სოციალ-რესპუბლიკელების ბაზაზე შეიქმნა და მისი პროგრამა იყო გენერალ დე გოლისათვის უსიტყვო მხარდაჭერა. უნრ-ს პარტიის ორგანიზატორები იყვნენ რპფ-ს პარტიის ხელმძღვანელები: ჟ. სუსტელი, მ. დებრე და სხვები. დე გოლმა თავისი თავი კლასებისა და პარტიების გარეშე მდგარ პიროვნებად, „დამოუკიდებელ არბიტრად" გამოაცხადა და უარი თქვა უნრ-ს პარტიაში შესვლასა და ამ პარტიის ხელმძღვანელობაზე.

უნრ-ს პარტია მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს ასახავდა, მაგრამ მშრომელთა მასების თავის მხარეზე მიმხრობის მიზნით იგი ბევრს ლაყბობდა მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რეფორმების გატარების აუცილებლობაზე.

1958 წლის ნოემბრის ბოლოს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა ეროვნული კრების არჩევნები. თუ 1956 წლის არჩევნების დროს ფრანგ ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა მემარცხენე ძალებს, ამ არჩევნებში წარმატებას მემარჯვენე ძალებმა მიაღწიეს. ომის შემდგომ პერიოდში კომპარტია ყოველთვის პირველ ადგილზე გამოდიოდა სხვა პარტიებთან შედარებით და არანაკლებ 5 მილიონი ამომრჩევლის ხმას იღებდა. ამ არჩევნებში კი მან მიიღო 3,8 მლნ. ხმა და წინა არჩევნებთან შედარებით (როდესაც მიიღო 5,5 მლნ. ხმა) 1,6 მლნ. ხმა დაკარგა. საქმე იმაში იყო, რომ კომპარტიის მომხრე ამომრჩევლები ვერ გაერკვნენ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში და თავშეკავებულთა რიგებში აღმოჩნდნენ. არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო უნრ-ს პარტიამ — 5,2 მლნ. თავისი ხმები შეინარჩუნეს სოციალისტებმა (მიიღეს 3.17 მლნ. ხმა) და მრპ-მ (1,18 მლნ), „დამოუკიდებლებმა" კი 1 მლნ-ით გაზარდეს ამომრჩეველთა ხმები (მიიღეს 2,9 მლნ.). თავიანთი ამომრჩევლები დაკარგეს (დაახლოებით 1,5 მლნ. კაცი) რადიკალურმა პარტიამ და პუჟადელებმა (2,2 მლნ.). განსაკუთრებით გამანადგურებელი დარტყმა მიიღო პუჟადელების პარტიამ, რომელიც დე გოლსაც და კონსტიტუციასაც

რეაქციული პოზიციებიდან აკრიტიკებდა. ბურჟუაზიულმა მასამ, რომელიც ადრე ჩათრეული აღმოჩნდა ამ პარტიაში, ზურგი შეაქცია მას და ხმა მისცა მემარჯვენე პარტიებს. მალე ამის შემდეგ პუჟადელების პარტიამ ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა.

რეაქციული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გამო არაპროპორციულად განაწილდა დეპუტატთა მანდატები. მაგალითად, კომპარტიამ მიიღო 10 ადგილი, უნრ—198 ადგილი, „დამოუკიდებლებმა"—133 ადგილი, სოციალისტურმა, რადიკალურმა და მრპ-ს პარტიებმა ერთად მიიღეს 124 დეპუტატის ადგილი [1].

1958 წლის 21 დეკემბერს გენერალი დე გოლი აირჩიეს პრეზიდენტად, ხოლო პრემიერ-მინისტრად დაინიშნა მ. დემბრე. მთავრობაში ძირითადად შეიდნენ სამი პარტიის — უნრ, „დამოუკიდებლების" და მრპ-ს ხელმძღვანელები, მაგრამ მასში მონაწილეობდნენ სოციალისტური და რადიკალური პარტიების წარმომადგენლებიც. 1959 წელს მთავრობიდან გავიდნენ სოციალისტური და რადიკალური პარტიების წარმომადგენლები. მთავრობიდან მათი გამოსვლის საბაბი იყო მთავრობის მიერ საერო განათლების ხელყოფა და კლერიკალური კანონის მიღება.

1962 წელს მთავრობიდან გავიდნენ მრპ-ს პარტიის წარმომადგენლები, რომელნიც უკმაყოფილო იყვნენ დე გოლის „ევროპული ინტეგრაციის" პოლიტიკით. ამრიგად, მთავრობაში ორი ამკარა მემარჯვენე პარტია დარჩა — უნრ და „დამოუკიდებლები", რომელნიც ასახავდნენ მსხვილი მონოპოლიური ბურჟუაზიის ინტერესებს. ომის შემდეგ ასე მრავალრიცხოვნად არც ერთ მთავრობაში არ ყოფილან მონოპოლისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლები, საბანკო და სამრეწველო უმსხვილესი მაგნატების — ფინანსური ოლიგარქიების წარმომადგენლები [2].

---

[1] თუ რამდენად უხეშად იყო დარღვეული რეაქციული მაჟორიტარული საარჩევნო კანონის თანახმად ამომრჩეველთა რაოდენობრივი წარმომადგენლობა დეპუტატების მიერ, ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: 1 დეპუტატი კომუნისტი საშეალოდ 380 ათასი ამომრჩევლის მიერ იყო ამორჩეული, 1 სოციალისტი — 79 ათასის, 1 რადიკალი — 75 ათასის, 1 უნრ კი — მხოლოდ 19 ათასი ამომრჩევლის მიერ.

[2] მ. დემბრე დაკავშირებული იყო მსხვილ მონოპოლისტურ დე-ვანდელის საგვარეულოსთან და მონაწილეობდა რიგი სავრეწველო კომპანიების მართვაში. საგარეო საქმეთა მინისტრი მ. კუვ დე მიურვილი პარიზის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის წევრი იყო. ფინანსთა მინისტრი ვ. ჟისკარ დ'ესტენი ასევე დე ვანდელის საგვარეულოს წარმომადგენელი და ინდოჩინეთის ბანკთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო, ხოლო ჟ. პომპიდუ — როტშილდის ბანკის გენერალური დირექტორი და ნავთობისა და ტრანსპორტის მონოპოლიების წევრი.

§ 35. საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დაშლა

მეოთხე რესპუბლიკის დაცემის მომენტში საფრანგეთის კავშირიდან გამოსული იყვნენ ინდოჩინეთის ქვეყნები (ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა) და ჩრდილოეთ აფრიკის პროტექტორატები — ტუნისი, მაროკო. საფრანგეთის კავშირში რჩებოდა ალჟირი, 4 ზღვისგაღმა დეპარტამენტი ე. წ. „ძველ კოლონიებში" (მარტინიკა, გვადელუპა, რეუნიონი, გვიანა), 18 ზღვისგაღმა ტერიტორია, აგრეთვე 2 „მეურვეობაში" მყოფი ქვეყანა — ტოგო და კამერუნი.

1958 წლის კონსტიტუციამ სახელგატეხილი სახელწოდება „საფრანგეთის კავშირი" შეცვალა ახალი სახელწოდებით „თანამეგობრობა".

კონსტიტუციის 86-ე მუხლით „თანამეგობრობაში" შემავალ ქვეყნებს მათი საკანონმდებლო კრებისა და გატარებული რეფერენდუმის გადაწყვეტილებით შეეძლოთ „თანამეგობრობიდან" გასვლა და დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საფრანგეთის მმართველი წრეები ზღვისგაღმა ქვეყნებს ემუქრებოდნენ ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტით, ფრანგი სპეციალისტების უკან გაწვევით და კაპიტალდაბანდებების ლიკვიდაციით.

საფრანგეთის ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დარწმუნდა, რომ სამხედრო ძალით შეუძლებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, გადავიდა ნეოკოლონიალიზმის პოზიციებზე, რომლის არსი იმაშია, რომ კოლონიებისათვის მიეცათ ავტონომია და დამოუკიდებლობაც კი, მაგრამ იქ თავისი ეკონომიკური პოზიციები შეენარჩუნებინათ და ეს ქვეყნები თავიანთი ეკონომიკური კაბალისა და გავლენის სფეროში დაეტოვებინათ. ამ კურსს მხარს უჭერდა დე გოლიც. ამის შედეგი ის იყო, რომ 1958 წლის 1 ოქტომბერს დამოუკიდებლობას მიაღწია გვინეამ, ხოლო 1960 წელს (რომელიც „აფრიკის წლად" ითვლებოდა) დამოუკიდებლობას მიაღწია საფრანგეთის 14 კოლონიამ აფრიკაში, შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები[1]. მაგრამ ბევრმა მათგანმა საფრანგეთთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა შეინარჩუნა.

ალჟირელი ხალხი კი ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისათვის კვლავ განაგრძობდა. საქმე იმაში იყო, რომ მონოპოლისტური ბურჟუაზიის ერთი ნაწილი ძალზე დაინტერესებული იყო ალჟირში თავისი კოლონიური ბატონობის შენარჩუნებით და მათი ინტერესების შესაბამისად დე გოლი თავდაპირველად სამხედრო ძალით შეეცადა

---

1 ნიგერი, მავრიტანია, დაგომეა, სენეგალი, სუდანი, კონგო (ბრაზავილი), გაბონი, ჩადი, მადაგასკარი, ზემო ვოლტა, სპილოს ძვლის სანაპირო, მალი, ტოგო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა.

ალჟირის ეროვნული მოძრაობის სისხლში ჩახშობას. ალჟირში კვლავ გაზარდეს საფრანგეთის ჯარების კონტინგენტი. მაგრამ ჯარის სიმრავლე საქმეს ვერ შველოდა და კოლონიურ ომს ბოლო არ უჩანდა. იგი ნთქავდა აუარებელ თანხებს. სამხედრო ხარჯებმა 1 მლრდ. ფრანკს მიაღწია. ასეთ ვითარებაში საფრანგეთის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით კი ნავთობის მრეწველები, მოითხოვდნენ დათმობაზე წასვლას. დე გოლი იძულებული გახდა 1959 წლის სექტემბერში უარეყო ულტრაკოლონიალისტების თეზისი, თითქოს ალჟირი საფრანგეთის ნაწილი იყო, და განეცხადებინა, რომ ალჟირი არ არის საფრანგეთის ტერიტორია და ამიტომ მას თვითგამორკვევის უფლება აქვსო. 1960 წლის იანვარში დე გოლის ამ განცხადებას ულტრაკოლონიალისტებმა უპასუხეს ამბოხებით, რომელსაც თანაუგრძნობდა იქ მყოფი საფრანგეთის არმიის ზედაფენა. ჯარის მხარდაჭერით ულტრებმა ბარიკადები ააგეს და თითქმის ერთ კვირას ფლობდნენ ალჟირის დედაქალაქის დიდ ნაწილს. მთავრობამ ამბოხებულების წინააღმდეგ თავიდანვე არ მიიღო გადამწყვეტი ზომები. დემოკრატიულმა საფრანგეთმა კომუნისტების ხელმძღვანელობით 1960 წლის 1 თებერვალს მოაწყო 1-საათიანი გაფიცვა, რომელშიც 11 მილიონი კაცი მონაწილეობდა, რაც ცხადყოფდა, რომ ხალხი გმობდა მეამბოხეების მოქმედებას. მისი გაელენით მთავრობამ მეამბოხეებს წაუყენა დამორჩილების მოთხოვნა. ულტრაკოლონიალისტთა ზოგიერთი ხელმძღვანელი დააპატიმრეს. ხოლო გენერლების ის ნაწილი, რომელიც ულტრაკოლონიალისტებს თანაუგრძნობდა, თანამდებობიდან გადააყენეს და მეტროპოლიაში გაიწვიეს. ამის საპასუხოდ ულტრაკოლონიალისტებმა შექმნეს არალეგალური ორგანიზაცია — „საიდუმლო არმიის ორგანიზაცია" („ოას") და დაიწყეს მასობრივი პოლიტიკური ტერორი. თუ 1958 წელს ულტრაკოლონიალისტები დე გოლისათვის ხელისუფლების გადაცემას მოითხოვდნენ, ახლა მისი გადაყენების მოთხოვნა წამოაყენეს. მაგრამ რეაქციის ცდები, „ოას"-ის და მასობრივი პოლიტიკური ტერორის მეშვეობით თავს მოეხვიათ საფრანგეთისათვის ფაშისტურ-კოლონიური დიქტატურა, სამარცხვინოდ ჩაიშალა.

1961 წლის 1 ივლისს ალჟირში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მოითხოვა დამოუკიდებლობა. 3 ივლისს კი საფრანგეთმა ცნო ალჟირი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მალე ამის შემდეგ ევროპელმა მოსახლეობამ დატოვა ალჟირი და საფრანგეთში გადასახლდა.

ალჟირის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება მარტო ალჟირელი ხალხის გმირული ბრძოლით მიღწეული წარმატება კი არ იყო, არამედ საფრანგეთის დემოკრატიული ძალების დიდი გამარჯვებაც.

ამრიგად, 50—60-იან წლებში საფრანგეთის კოლონიური იმპერია

დაიშალა. საფრანგეთის ხელში დარჩა მხოლოდ მცირე სამფლობელოები — რამდენიმე კუნძული ატლანტის, წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში, საფრანგეთის სომალი აფრიკაში და საფრანგეთის გვიანა ლათინურ ამერიკაში.

ბუნებრივია, რომ საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დაშლამ გამოიწვია საფრანგეთის იმპერიალიზმის პოზიციების დასუსტება. მაგრამ სამაგიეროდ მეტროპოლიის მოსახლეობა განთავისუფლდა იმ განუწყვეტელი და გამაჩანაგებელი (წლების განმავლობაში მიმდინარე, ძვირად ღირებული) კოლონიური ომებისაგან, რომლებიც ფრანგ ხალხს მძიმე ტვირთად აწვა. საფრანგეთის მოსახლეობა რომ მხარს უჭერდა კოლონიური ხალხის განთავისუფლებას, ამას თუნდაც მოწმობს დე გოლის მიერ გვიანას შეთანხმების შესახებ რეფერენდუმის ჩატარების შედეგები, რომლის დროსაც ამომრჩეველთა 90%-მა მოიწონა იგი.

§ 36. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მისი თავისებურებანი

საფრანგეთის „სამევახშო იმპერიალიზმის" ადრეულ ეტაპზე ნაკლები ყურადღება ექცეოდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას. ადრე მოგების ძირითად წყაროს არ წარმოადგენდა ქვეყნის შიგნით შექმნილი ზედმეტი ღირებულება. მოგება მოდიოდა კოლონიებიდან და დამოკიდებული ქვეყნებიდან, გატანილი კაპიტალის, ანდა პირდაპირი კოლონიური ძარცვისა და ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან. მოგების ასეთი გზით მიღებამ საფრანგეთის ფინანსურ ოლიგარქიას შეუძლებლობა მისცა მსოფლიო ბურჟუაზიის ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი ფენა გამხდარიყო. ამასთანავე, საკუთარი ქვეყნის ინდუსტრიული ბაზის ფორმირება ძალზე ნელა მიმდინარეობდა, არასაკმარისად იყო განვითარებული კაპიტალისტური ფორმები მეურნეობისა და წარმოების სფეროში.

მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგ რიგი მარცხიანი კოლონიური ომებისა და კოლონიების დაკარგვის შედეგად საფრანგეთმა დაკარგა საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალიდან არამწარმოებლური სამევახშო შემოსავლის წყარო. ამის გამო იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომლის გამოსწორება მეურნეობის უბრალო აღდგენით და ომამდელი დონის მიღწევით არ შეიძლებოდა.

ომის შემდგომ საფრანგეთში ძირფესვიანად განახლდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის ტექნიკური მო-

წყობილობა. არსებითად შეიცვალა აგრეთვე ტრადიციული ეკონომიკური სტრუქტურა და პროპორციები ეკონომიკის ძირითად სექტორებს შორის.

საფრანგეთის ომის შემდგომი ეკონომიკის დამახასიათებელი თავისებურება გახდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება, სახელმწიფო ფართოდ ერეოდა წარმოების ე. წ. „რეგულირებაში", ბიუჯეტის მეშვეობით უზარმაზარ სახსრებს აბანდებდა ყველაზე პერსპექტიულ დარგებში. ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების შედეგად, რასაც ომამდელ საფრანგეთში არ ჰქონდა ადგილი, სხვადასხვა სოციალური ფენები საკმაოდ მტკიცედ აღმოჩნდნენ ორგანიზებულნი მთელი საფრანგეთის მასშტაბით. მთავრობის ხელში გადავიდა მთელი სახელმწიფოს საბაზო დარგების რესურსები (ქვანახშირის, ნავთობის, ცემენტის, შავი მეტალურგიის, ელექტროენერგიის, გაზის, რკინიგზების), რომელთა შევსებასა და განვითარებაზე იგი იძულებული იყო მუდმივად ეზრუნა.

1944—1947 წლებში კომუნისტების თაოსნობისა და დაძაბული ბრძოლის შედეგად გატარებული სოციალური კანონმდებლობით აღფრთოვანებული მუშები გამოეხმაურნენ კომუნისტური პარტიის მოწოდებას და დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ წარმოების აღდგენას. ისინი ძალებს არ იშურებდნენ ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის. მუშათა ეს პატრიოტული თაოსნობა მიმდინარეობდა ლოზუნგით „ბრძოლა წარმოებისათვის". უკვე 1948 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ ომამდელ დონეს გადააჭარბა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებამ კი ამ დონეს მხოლოდ 1950 წელს მიაღწია.

ომამდელი დონის მიღწევის შემდეგ საფრანგეთის ეკონომიკის შემდგომი განვითარება არათანაბრად მიმდინარეობდა.

1952—1953 წლებში საფრანგეთის მრეწველობამ განიცადა ნაწილობრივი კრიზისი, რომელიც 1954—1955 წლებში აღმავლობით შეიცვალა, რაც 1958 წლამდე გაგრძელდა. მრეწველობის ზრდის ტემპებით ამ პერიოდში საფრანგეთმა ინგლისსა და აშშ-ს გაუსწრო, მაგრამ ჩამორჩებოდა იაპონიას, გფრ-ს და იტალიას. სამრეწველო წარმოება 1955 წელს 1952 წელთან შედარებით 21%-ით, ხოლო 1958 წელს 52%-ით გაიზარდა.

50-იანი წლების ეკონომიკური აღმავლობის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ძირითადი კაპიტალის განახლება, რომელიც ხელს უწყობდა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. მნიშვნელოვნად იცვლება კაპიტალდაბანდებების სტრუქტურა და ამის შედეგად სამრეწველო წარმოების სტრუქტურაც. ძირითადი კაპიტალი ბანდდებოდა მძიმე მრეწ-

ველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა: ქიმია, მანქანათმშენებლობა, სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობა, რადიოელექტრონიკა, ატომის მრეწველობა, პოლიმერების წარმოება და ა. შ. ომამდელი საფრანგეთი საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის გარდა ცნობილი იყო აგრეთვე კვების, საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობით. 50-იანი წლების შუა პერიოდში კი იგი გადაიქცა შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და ქიმიის ქვეყნად. საფრანგეთი ამ დროისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის გამოვიდა მეოთხე ადგილზე ქიმიური პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობით და მსუბუქი და სატვირთო მანქანების წარმოებით და გატანით (აშშ, გფრ, ინგლისის შემდეგ).

50-იანი წლების საფრანგეთში ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი, უპირველეს ყოვლისა მეტალურგიულ, ქიმიურ და გემთმშენებლობის მრეწველობაში.

ეკონომიკის აღმავლობა საფრანგეთში 1958 წლამდე გაგრძელდა. 1957—1958 წლების ჭარბი წარმოების კრიზისი საფრანგეთს ნაწილობრივ შეეხო, მაგრამ მას წარმოების დაცემა არ მოჰყოლია. მან წარმოების ზრდის მხოლოდ ტემპების შეჩერება და ერთ დონეზე გაყინვა გამოიწვია. რაც შეეხება ნავთობის, გაზის, ატომის, პლასტმასების, სინთეზური ბოჭკოებისა და წარმოების სხვა პერსპექტიულ დარგებს, ისინი კვლავ აღმავლობის გზით ვითარდებოდნენ. მეხუთე რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ეკონომიკის განვითარების პერსპექტიული გეგმები: 1958—1961 წწ., 1962—1965 წწ., 1966—1970 წწ., 1971—1975 წწ. მიიღეს აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების პროგრამები.

ამ გეგმების მეშვეობით მთავრობა აქტიურად ერეოდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, აწესებდა ფასებს ზოგიერთ საქონელზე, სავალუტო კურსს, ხელფასის დონეს, სარგებლის განაკვეთს, განსაზღვრავდა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებს მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, ექსპორტის და იმპორტის მასშტაბებს და მიმართულებებს, ხელს უწყობდა ექსპორტის სტიმულირებას და საქონლის გასაღებას მსოფლიო ბაზარზე. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების კურსი შემთხვევითი არაა, ვინაიდან ომის შემდგომ საფრანგეთში აღმოცენდა და განვითარდა სახელმწიფო სექტორი ეკონომიკაში, რომელშიც შედის: ქვანახშირის, გაზის, საავიაციო და საავტომობილო მრეწველობის დიდი ნაწილი, ელექტროენერგეტიკა, საავიაციო კომპანია „ერფრანსი", საზღვაო ტრანსპორტის უმსხვილესი კომპანიები, პარიზის საქალაქო ტრანსპორტის 1/4, საფრანგეთის საემისიო ბანკი და ოთხი მსხვილი დეპოზიტური ბანკი, თამბაქოსა და ასანთის ფაბრიკები. სახელმწიფოს ხელშია აგრეთვე რიგი სავაჭრო-

სამრეწველო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებანი, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, ნავთობმოპოვების სამმართველო, ატომური ენერგიის კომიტეტი და ა. შ.

1959 წლიდან საფრანგეთის ეკონომიკა გამოვიდა კრიზისული მდგომარეობიდან, რის შემდეგ დაიწყო აღმავლობა, რომელიც 1974 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში სამრეწველო წარმოება 2-ჯერ მეტად გაიზარდა. 1969—1972 წლებში საფრანგეთის საერთო ეროვნული საზოგადოებრივი პროდუქცია 26%-ით გაიზარდა. კაპიტალისტურ სამყაროში წარმოების ზრდის ტემპებით საფრანგეთი მეორე ადგილზე გამოვიდა იაპონიის შემდეგ. 60-იანი წლების მეორე ნახევრისათვის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თავისებურება საფრანგეთისა, რომელიც იტალიის გარდა არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ ახასიათებს, იყო ის, რომ მისი წარმოების მთელი მოგება შრომის ნაყოფერების ანგარიშზე მოდიოდა.

დიდი სახსრების ხარჯზე ვითარდებოდა ატომისა და რაკეტული მრეწველობა. ომის შემდგომ საფრანგეთში, განსაკუთრებით მეხუთე რესპუბლიკის დროს, დიდი მასშტაბებით მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობა. გაიზარდა სხვა წარმოების[1] დარგებიც. მაგრამ მძიმე მდგომარეობაშია საფრანგეთის ეკონომიკის ტრადიციული დარგები: საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ქვანახშირის. რომელთა წარმოება ან ეცემა, ან ერთ ადგილზეა გაყინული. საფრანგეთ-ინგლისის ძვირადღირებული ზეგგერითი ავიალაინერის „კონკორდის" წარმოება ფინანსური კრახის წინაშე აღმოჩნდა ამერიკის ასეთივე სახის ლაინერების კონკურენციის გამო.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საფრანგეთის საგარეო ვაჭრობაში. გაუმჯობესდა საფრანგეთის მიერ საზღვარგარეთ საქონლის გატანის სტრუქტურა, გაიზარდა მზა სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ხვედრითი წონა. თუ ადრე იგი 20—25% შეადგენდა, ახლა გაიზარდა 40%-ით. საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა წლების განმავლობაში ხასიათდებოდა დიდი დეფიციტით. მაგრამ 60-იან წლებში მან უკვე აღარ იცოდა დეფიციტი და საგარეო ვაჭრობის ბალანსის აქტიური სალდო ჰქონდა. 1973 წლისათვის ექსპორტი გაიზარდა 11,2%-ით, ამასთანავე ნახევარზე მეტი ექსპორტისა მოდიოდა „საერთო ბაზრის" ქვეყნებზე. 1973 წლისათვის საფრანგეთმა ექსპორტის მოცულობით კაპიტალისტურ სამყაროში მესამე ადგილი დაიკავა (აშშ-ისა და გფრ-ის შემდეგ).

წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია და სტანდარტიზაცია საფრანგეთში არასაკმარისადაა განვითარებული, რის გამოც იგი წარ-

---

1 1972 წელს საფრანგეთმა აწარმოვა: 31,2 მლნ. ტ. ქვანახშირი, 19 მლნ. ტ. თუჯი, 24 მლნ. ტ. ფოლადი, 3,3 მლნ. ცალი მსუბუქი და სატვირთო მანქანა და ა. შ.

მოებისა და კაპიტალის კონცენტრაციითა და ცენტრალიზაციით მნიშვნელოვნად ჩამორჩება აშშ-ს, გფრ-ს, იაპონიას და ინგლისს.

60-იანი წლების დამლევისათვის საფრანგეთის მმართველმა წრეებმა მსოფლიო მასშტაბების მონოპოლიების შექმნის კურსი აიღეს და უარი თქვეს უცხოეთის, მათ შორის ამერიკის კაპიტალის შეზღუდვის ადრე არსებულ კურსზე. 1975 წლის დამდეგისათვის საზღვარგარეთის კომპანიები მრეწველობის სხვადასხვა დარგის 10 ათასზე მეტ ფრანგულ საწარმოებს უწევდნენ კონტროლს.

მეოთხე და მეხუთე რესპუბლიკის პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სოფლის მეურნეობის განვითარებამაც, სადაც ფართოდ ინერგებოდა ტექნიკა და აგროწესები; ამის შედეგი კი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდა. 1970 წლისათვის საფრანგეთზე მოდიოდა „საერთო ბაზრის" ქვეყნების მიერ წარმოებული მარცვლეულის ნახევარი. საფრანგეთი არის მარცვლეულის, რძის პროდუქტების და ღვინის წამყვანი ექსპორტიორი. საფრანგეთის ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხვედრითი წონა შეადგენს 17,5%-ს. ამასთანავე საფრანგეთის სოფლის მეურნეობა სუსტადაა სპეციალიზებული, იგი ორიენტირებულია ნაკლებად რენტაბელურ ე. ი. მომგებიან დარგებზე.

მეხუთე რესპუბლიკის მთავრობამ რიგი ღონისძიებები გაატარა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. 1960 წელს მიღებული კანონით („სოფლის მეურნეობის ორიენტაციის შესახებ") და მომდევნო კანონებით გათვალისწინებული იყო 1 მილიონამდე წვრილი მეურნეობის იძულებითი ლიკვიდაცია და მათი წარმოებისა და მიწების მსხვილ კაპიტალისტურ ფერმერთა ხელში გადასვლა. ძიზანი ამ ღონისძიებისა იყო პროდუქტების წარმოების, შრომის ნაყოფიერების და საგარეო ბაზარზე პროდუქტების კონკურენციისუნარიანობის გაზრდა. ამ ღონისძიების შედეგი ის იყო, რომ 1961—1970 წლებში სოფლის აქტიური მოსახლეობა ყოველწლიურად 75—80 ათასი კაცით მცირდებოდა. 1955—1971 წლებში სოფლის მეურნეთა რიცხვი 2,3 მილიონიდან 1.6 მლნ-მდე შემცირდა. თუ 1946 წლისათვის სოფლის მეურნეობაში დაკავებულთა ხვედრითი წონა 34%-ს შეადგენდა, 1968 წლისათვის იგი 15%-მდე შემცირდა, ხოლო მომავალ ათწლედში ვარაუდობენ მის შემცირებას 9%-მდე, ე. ი. გაუთანაბრდება გფრ-ში ამჟამად არსებულ დონეს. საერთოდ, მეხუთე რესპუბლიკის პერიოდში სოფლის მეურნეთა რაოდენობა 25%-ით შემცირდა. სოფლად გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ მსხვილ მეურნეებს. 100 ჰა და მეტი ფართობის მქონენი შეადგენენ მეურნეთა 1.7%-ს, მაგრამ მათ ხელთაა დასამუშავებელი მიწის 14,5% და იძლევიან სოფლის პროდუქციის დიდ ნაწილს. ისინი ექსპლუატაციას უწევენ სოფლის მეურ-

ნეობის 800 ათას მუშას. მიუხედავად მთავრობის ღონისძიებებისა სოფლის მეურნეობაში დიდია წვრილი მეურნეობის ხვედრითი წონა.

საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციისუნარიანობის გაზრდის მიზნით მთავრობა იძულებულია, გაიღოს მსხვილი სუბსიდიები, როგორც საკუთარი, ასევე „საერთო ბაზრის" საგარანტიო ფონდიდან.

ამრიგად, საფრანგეთმა რიგ წარმატებებს მიაღწია ომის შემდგომ პერიოდში თავისი ეკონომიკის განვითარებაში, რომლის ერთ-ერთ საწინდრად მიაჩნიათ ქვეყნის აქტიური მონაწილეობა შრომის საერთაშორისო დანაწილების და წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კოოპერირების საქმეში.

დღევანდელი საფრანგეთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული სახელმწიფოა. იგი მეოთხე ატომური სახელმწიფოა (აშშ-ის, სსრკ და ინგლისის შემდეგ). მესამე სახელმწიფოა (სსრკ და აშშ-ის შემდეგ), რომელმაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა. საფრანგეთი კაპიტალისტურ სამყაროში მეხუთე ადგილზეა (აშშ-ის, იაპონიის, გფრ-ის და ინგლისის შემდეგ) სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონით, მეოთხე ადგილზეა საერთო ეროვნული პროდუქციის მოცულობით, მესამე ადგილზეა (აშშ-ის და ინგლისის შემდეგ) ოქროს რეზერვების რაოდენობით. შრომის ნაყოფიერებისა და ეკონომიკის ტემპების ზრდით და მეორე ადგილზეა (აშშ-ის შემდეგ) ერთ სულ მოსახლეზე საერთო ეროვნული პროდუქციის წარმოებით, ასევე მეორე ადგილზეა (აშშ-ის შემდეგ) სამხედრო საჰერველის გატანის მხრივ.

ამასთანავე, საფრანგეთის მეურნეობა, მისი სოციალური სტრუქტურა, ადმინისტრაციული სისტემა, ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათი, და ბოლოს, ცხოვრების საერთო წესი ხასიათდება ულტრათანამედროვეობასთან ერთად ძველის გადმონაშთებით.

საფრანგეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩება დიდ „ოთხეულს" (აშშ, იაპონიას, გფრ-ს და ინგლისს) წარმოების საერთო მოცულობით, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციით, სტანდარტიზაციით მსოფლიო ბაზარზე და მსოფლიო წარმოებაში ხვედრითი წონის უმნიშვნელო მასშტაბით.

ცვლილებანი კლასობრივ სტრუქტურაში. ხალხთა მასების მდგომარეობა მეხუთე რესპუბლიკის დროს

მეოთხე და მეხუთე რესპუბლიკების პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საფრანგეთის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში — თუ ადრე იგი წარმოადგენდა გლეხობისა და ვაჭარ-ხელოსნების წვრილბურჟუაზიულ ქვეყანას, ამჟამად მდგომარეობა სრუ-

ლიად შეიცვალა. 1946—1968 წლებში თუ სოფლის მოსახლეობის რაოდენობა 15%-მდე შემცირდა, მრეწველობაში და ტრანსპორტზე დაკავებულთა რაოდენობა გაიზარდა 31-დან 33,8%-მდე. მომსახურეობის სფეროში, მათ შორის ადმინისტრაციაში დაკავებულთა რაოდენობა 35-დან 46.2%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, 1954—1968 წლებში დაქირავებული შრომის პირთა ხვედრითი წონა 65%-დან გაიზარდა 76%-მდე, ე. ი. მუშები და მოსამსახურეები შეადგენენ ყველა მომუშავის 3/4. ამრიგად, 60-იანი წლების ბოლოსათვის საფრანგეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: მუშათა რაოდენობა შეადგენს 9 მლნ. კაცს, ინჟინერ-ტექნიკური, ადმინისტრაციული და მოსამსახურეთა პერსონალი 8 მლნ-მდეა, წვრილბურჟუაზიული ფენების მოსახლეობა (ხელოსნების, ვაჭრების, წვრილი სახელოსნოების მფლობელების) — კი 5 მლნ. კაცს, გლეხობა — 2 მლნ-მდე კაცს.

1968 წელს მრეწველობაში, ტრანსპორტში, მომსახურების სფეროში და ადმინისტრაციაში დაკავებული იყო 17 მლნ. კაცი, აქედან მრეწველობაზე მოდიოდა 5834 ათასი კაცი (29,2%), მშენებლობაზე — 1925 ათასი (9,6%), ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროზე — 5919 ათასი (29,5%), ბანკებზე, ადმინისტრაციასა და მოსამსახურეებზე — 3314 ათასი (15.6%).

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ევოლუციის შედეგად ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დაქირავებული შრომის პირთა ისეთმა მრავალრიცხოვანმა კატეგორიამ, როგორიც არიან მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. თუ გავითვალისწინებთ მომსახურების სფეროში დაკავებულთა რაოდენობის სწრაფ ზრდას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახლო მომავალში ისინი მუშათა რაოდენობას მიუახლოვდებიან. ეს მომხდარი ცვლილებები ფრანგმა ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა (მაგალითად ჟან ფურასტიემ) გამოიყენეს იმისათვის, რათა წამოეყენებინათ კონცეფცია სოციალური წინააღმდეგობების და ანტაგონიზმის თითქოსდა თანდათანობითი შესუსტების შესახებ. მაგრამ სინამდვილეში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურეები და მომსახურების სფეროში დაკავებული პირები დაქირავებული შრომის, ე. ი. ექსპლუატაციის ქვეშ მყოფ ფენებს განეკუთვნებიან, რომელნიც თავიანთი მდგომარეობით მუშათა კატეგორიას უახლოვდებიან.

ანტაგონიზმის შესუსტების პროპაგანდა რომ სიყალბეა, ამას მოწმობს შემდეგი: არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არაა ისეთი განსხვავება მინიმალურ და მაქსიმალურ შემოსავალს შორის, როგორც საფრანგეთში. მაგალითად, 1972 წელს ყველაზე მდიდართა 10%-ის

შემოსავალი 76-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე ღარიბებისა (ინგლისში ეს კოეფიციენტი 15 იყო, გფრ-ში — 20,5, აშშ-ში — 29).

სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებას ხელს უწყობს არსებული საგადასახადო სისტემის ანტიხალხური ხასიათი. მაგალითად, 1971 წელს კაპიტალისტური ფირმების შემოსავალზე არსებულმა გადასახადებმა შეადგინა სახელმწიფო გადასახადებისაგან მიღებული შემოსავლის მხოლოდ 10,3%, დაბალხელფასიანი მოქალაქეებისაგან კი — 80%.

უმუშევრობის ზრდისა და მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუარესების კურსს საფრანგეთის კომუნისტები უპირისპირებენ კონკრეტულ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის გაზრდას და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც ეკონომიკისა და მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას გამოიწვევს.

§ 37. დე გოლის საშინაო პოლიტიკა

დე გოლის მთავრობამ ხალხის სოციალური და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის გზით ქვეყნის ეკონომიკური (განსაკუთრებით სავალუტო) და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში მიაღწია ერთგვარ დროებით სტაბილიზაციას. მაგრამ მთავრობის ღონისძიებებმა გამოიწვია სოციალური ურთიერთობის გამწვავება და მუშათა მრავალრიცხოვანი გაფიცვები. მთავრობამ ამას იმით უპასუხა, რომ 1963 წლის 17 ივნისს მიიღო კანონი გაფიცვების ჩატარების წესის შესახებ კომუნალურ, მუნიციპალურ და სახელმწიფო საწარმოებში. ეს კანონი პროფკავშირულ ორგანიზაციებს ავალდებულებდა, რომ დირექციისა და მთავრობისათვის 5 დღით ადრე შეეტყობინებინათ გაფიცვების შესახებ.

1966 წლის გაზაფხულზე პრემიერ-მინისტრი გახდა ჟორჟ პომპიდუ, ხოლო ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მ. დებრემ შეცვალა ჟისკარ დ'ესტენი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პოსტზე და კვლავ აიღო წარმოების ტემპების ზრდის კურსი.

ხალხის ხარჯზე გატარებულმა ე. წ. „სტაბილიზაციის პროგრამამ" გააუარესა არა მარტო მუშათა, არამედ სოფლის და ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენების მდგომარეობა. ამან უკმაყოფილების ზრდა გამოიწვია, რამაც ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკურ პარტიებზეც. თუ თავდაპირველად დე გოლს მხარს უჭერდა ყველა პარტია, გარდა კომუნისტებისა, შემდეგ სხვა პარტიებმაც იწყეს ოპოზიციაში გადასვლა.

1965 წელს გაერთიანდნენ სოციალისტური და რადიკალური პარტიები და შექმნეს „დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე

ძალების ფედერაცია" (დსმფ), რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ფ. მიტერანი. კომპარტიამ და ფედერაციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში ერთიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ. 1965 წლის დეკემბერში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების დროს ყველა მემარცხენე პარტიამ მხარი დაუჭირა ფ. მიტერანს, რომელმაც მეორე ტურში მიიღო ამომრჩეველთა ხმების 45%, მაგრამ დე გოლმა 10%-ით მეტი ხმა მიიღო და კვლავ გახდა პრეზიდენტი [1].

1966 წელს თავიანთი ძალები გააერთიანეს დე გოლის საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო მრპ-ს და „დამოუკიდებლების" პარტიებმა, მათ შექმნეს „დემოკრატიული ცენტრი" და დამოუკიდებლად გამოვიდნენ, მაგრამ 1967 წელს ჩატარებულ ეროვნული კრების არჩევნებში სასტიკი მარცხი განიცადეს — მიიღეს ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 13%. მემარცხენე ფედერაციამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 40%, მაგრამ პარლამენტში დეპუტატთა ადგილების მცირეოდენი უპირატესობა კვლავ დეგოლელთა პარტიამ (უნრ) შეინარჩუნა.

§ 38. 1968 წლის მაის-ივნისის ამბები და გენერალ დე გოლის გადადგომა

დე გოლის მთავრობამ შეძლო რიგი მწვავე პრობლემების მოგვარება (კოლონიების განთავისუფლება, ეკონომიკის განვითარება), მაგრამ სოციალური წინააღმდეგობების დემაგოგიით და უმნიშვნელო დათმობებით გადაჭრა მას არ შეეძლო. დეგოლიზმის რეჟიმის ბატონობის შედეგი ის იყო, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებები ფორმალურად შემორჩა ქვეყანაში, ფაქტობრივად კი დამყარდა ერთი მუჭა ფინანსური და სამრეწველო მაგნატების ბიუროკრატიული, თვითნებური მმართველობა. უკმაყოფილება არსებული რეჟიმისადმი მოედო მუშათა კლასს, გლეხობას, მოსამსახურეებს, ინტელიგენციას, წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას. დე გოლის დიდი ავტორიტეტი, მისი პირადი პრესტიჟი დიდხანს აკავებდა ხალხს და უზრუნველყოფდა ერთგვარ, წონასწორობას დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის, მაგრამ ეს წონასწორობა თანდათანობით ირღვეოდა. ხალხთა გრანდიოზულ გამოსვლებს ბიძგი მისცა სტუდენტთა მღელვარებამ.

სტუდენტთა რაოდენობა 1945 წელთან შედარებით ამ დროისათ-

---

[1] საყურადღებოა, რომ არჩევნების პირველ ტურში ოთხი კანდიდატი იყო. დე გოლმა მიიღო 10,5 მლნ. ხმა (43,9%), მიტერანმა — 7,65 მლნ. (32.04%), ლეკანუემ — 3,77 მლნ. (15,78%), ტიქსიე-ვინიანკურმა — 1,26 მლნ. (5.31%).

ვის 5-ჯერ გაიზარდა და 650 ათას კაცს შეადგენდა. აქედან მუშათა და გლეხთა ოჯახებიდან გამოსულნი მხოლოდ 12%-ს შეადგენდნენ, 15% იღებდა სტიპენდიებს, 40% კი უმაღლესში სწავლას წარმოებაში მუშაობას უთავსებდა, უმაღლესის დამთავრების შემდეგ კი ვერ ეწყობოდა სათანადო სამუშაოზე. საყურადღებოა, რომ საფრანგეთის განათლების სისტემაში განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში არსებობდა ნაპოლეონის დროიდან შემორჩენილი კონსერვატორული წესები. სტუდენტებს სასტიკად ეკრძალებოდათ პოლიტიკური საქმიანობა უმაღლეს სასწავლებლებში, უმაღლესი სასწავლებლები მატერიალური ბაზით ცუდად იყო უზრუნველყოფილი.

1968 წლის 3 მაისს პარიზის სტუდენტებმა მეცადინეობა შეწყვიტეს, გაიფიცნენ და სასწავლო შენობები დაიკავეს. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა თხოვნით საქმეში ჩაერია პოლიცია. რასაც მოჰყვა სტუდენტთა დაპატიმრება და შეტაკებები პოლიციელებთან. 600 სტუდენტი დააპატიმრეს. ამის საპასუხოდ საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა და უმაღლესი განათლების მუშაკთა ეროვნულმა პროფკავშირმა სტუდენტებს მოუწოდეს, რათა მათ 6 მაისს საპროტესტო დემონსტრაცია მოეწყოთ. მაგრამ, სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მემარცხენე ელემენტების — ტროცკისტების, ანარქისტების და მაოისტების ხელში იყო. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 6 ათასი სტუდენტი, რასაც ახალი სისხლისმღვრელი შეტაკებები მოჰყვა. ათასამდე სტუდენტი და პოლიციელი დაიჭრა, დააპატიმრეს 400 კაცი. სტუდენტთა მღელვარება პარიზიდან სხვა ქალაქებსაც მოედო, მაგრამ პოლიცია სასტიკად უსწორდებოდა სტუდენტებს, რამაც მუშებისა და საფრანგეთის მთელი დემოკრატიული ძალების აღშფოთება გამოიწვია. 13 მაისს კომუნისტების და ყველა პროფკავშირთა ცენტრის მოწოდებით გამოცხადდა საპროტესტო გაფიცვა, რომელშიც მუშებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მოსამსახურეებმა. მუშებმა იწყეს საწარმოების დაკავება. გაფიცულებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები: ხელფასის მომატება, უმუშევრობის ლიკვიდაცია, უმაღლესი სასწავლებლების დემოკრატიზაცია და სტუდენტთა განთავისუფლება, სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება, საგადასახადო რეფორმა, პროფკავშირებისა და დემოკრატიული თავისუფლებების გაფართოება. იყო ასეთი ლოზუნგებიც: „1958 წლის 13 მაისი—1968 წლის 13 მაისი — კარგი წლისთავია, ჩემო გენერალო!“. „ათი წელი საკმარისია!“, „ნახვამდის, დე გოლო!“. მოითხოვდნენ აგრეთვე სახალხო მთავრობის შექმნას. გაფიცვაში მონაწილეთა რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა და 24 მაისისათვის 9 მლნ. კაცს გადააჭარბა. თითქმის მთელი საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, რადიოს და ტელევიზიის, უმაღ-

ლესი სასწავლებლების მუშაობა შეჩერდა. მთავრობასა და პროფკავშირებს შორის დაწყებული მოლაპარაკება ჩაიშალა. 21—22 მაისს ეროვნულ კრებაში შედგა კომპარტიისა და მემარცხენე ფედერაციის მიერ შეტანილი მთავრობის დაგმობის რეზოლუციისათვის კენჭისყრა, რომელმაც 233 ხმა მოაგროვა (გადადგომისათვის კი 244 ხმა იყო საჭირო). 24 მაისს ტელევიზიით გამოვიდა გენერალი დე გოლი, რომელმაც მოითხოვა გაფიცვის შეწყვეტა და დაპირებას იძლეოდა, რომ ივნისში ჩაატარებდა რეფერენდუმს მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოების შესახებ. მაგრამ გაფიცვა კვლავ გრძელდებოდა. მაისის ბოლო რიცხვებში კლასობრივმა ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. 29 მაისს დილით დე გოლმა მოულოდნელად დედაქალაქი დატოვა. ბევრს ეგონა, რომ იგი გადადგებოდა. ზოგიერთი მემარცხენე — ანარქისტები, ტროცკისტები, მაოისტები მოითხოვდნენ აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყებას და ამტკიცებდნენ, რომ მეხუთე რესპუბლიკა იშლება და ახლა „ხელისუფლების ხელში ჩაგდების" კი არა, არამედ „დაკარგული ხელისუფლების ხელში აღების" საკითხი დგას. ისინი კომუნისტებს ცილს სწამებდნენ „კონსერვატორიზმში" და „რევოლუციური სულისკვეთების დაკარგვაში". დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის თავმჯდომარემ ფ. მიტერანმა კი წამოაყენა წინადადება, რათა შეექმნათ დროებითი მთავრობა 10 კაცის შემადგენლობით. მან ისიც კი განაცხადა, რომ პრეზიდენტის არჩევნების შემთხვევაში თავის კანდიდატურას წამოაყენებს, ხოლო პრემიერ-მინისტრად შენდეს-ფრანს დანიშნავს. ამასთანავე, ბურჟუაზიულმა პრესამ და მათ შორის ფედერაციის მემარცხენეებმაც თავაშვებული ანტიკომუნისტური პროპაგანდა გააჩაღეს ქვეყანაში იმის შესახებ, თითქოს კომპარტია კომუნისტური დიქტატურის დამყარებას აპირებდა ქვეყანაში.

რევოლუციური სიტუაცია ქვეყანაში არ იყო მომწიფებული. გენერალი დე გოლი არ აპირებდა გადადგომას. უფრო მეტიც, იგი ჯერ კიდევ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მის მხარეზე იყო ქვეყნის შეიარაღებული ძალები და სახელმწიფო პოლიტიკურ-ბიუროკრატული აპარატი. მუშათა კლასის დიდი ნაწილი, რომელიც მონაწილეობდა საპროტესტო მოძრაობაში, მოითხოვდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ქვეყნის დემოკრატიზაციას, მაგრამ იგი ჯერ არ იყო მზად პოლიტიკური ხელისუფლების ხელში აღებისათვის. მართალია, ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული და საშუალო ფენები უკმაყოფილო იყვნენ ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც მსხვილი მონოპოლიების სასარგებლოდ მათ შევიწროებას იწვევდა, მაგრამ მათში კომპარტიის მიერ წამოყენებული ანტიმონოპოლისტური ლოზუნგები უფრო პოპულარული იყო, ვიდრე სოციალისტური.

სოციალისტური და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების ანტიკომუნისტური საქმიანობის გამო კომუნისტების გავლენა მოსახლეობის ამ ფენებში სუსტი იყო. გლეხობას და წვრილბურჟუაზიას, პირიქით, ეშინოდა სამოქალაქო ომისა და რევოლუციისა. შექმნილი ვითარების გათვალისწინების საფუძველზე კომუნისტური პარტია და შსკ გამოვიდნენ მემარცხენეების უპასუხისმგებლო მოწოდებების წინააღმდეგ „რევოლუციის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ". ამ მოუმზადებელ გამოსვლებს შეიძლება რევოლუციური ძალების განადგურება მოჰყოლოდა, რაც მხოლოდ რეაქციისათვის იქნებოდა სასარგებლო. გარდა ამისა, თვით ხალხიც უკმაყოფილო იყო მემარცხენე ელემენტების თავაშვებული მოქმედებით.

გენერალი დე გოლი პარიზიდან გაემგზავრა დასავლეთ გერმანიაში მყოფ ჯარებთან და შეხვდა ამ ჯარების მთავარსარდალს, ხოლო 30 მაისს ჩამოვიდა პარიზში, იგი რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ არ აპირებს გადადგომას და პრეზიდენტის პოსტზე დარჩება არჩეულ ვადამდე. მან ისიც განაცხადა, რომ საფრანგეთს სამოქალაქო ომისა და კომუნისტური დიქტატურის საშიშროება მოელისო. დე გოლი სხვა საშუალებების გამოყენებითაც იმუქრებოდა ქვეყანაში „წესრიგის" აღსადგენად. მან პარლამენტი დათხოვნილად გამოაცხადა და ახალი არჩევნები დანიშნა. პარიზში ხმა გავრცელდა, მთავრობამ დედაქალაქისაკენ სატანკო ნაწილები დაძრაო. ამასთანავე დედაქალაქში, ელისეის კვარტალში, დე გოლის მომხრე ბურჟუაზიულმა წრეებმა დემონსტრაციები მოაწყვეს გოლისტური რეჟიმისადმი მხარდაჭერის ლოზუნგებით.

ამის შემდეგ მთავრობა შეტევაზე გადავიდა. ხალხის მთელი ყურადღება კი მიიპყრო დაწყებულმა პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანიამ, რომელიც 3 კვირას გაგრძელდა. არჩევნები შედგა ივნისის ბოლოს. მან წარმატება მემარჯვენე პარტიებს მოუტანა. არჩევნების წინ გოლისტურმა პარტიამ შეიცვალა სახელწოდება და ნაცვლად „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირისა" ეწოდა „რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირი". ამ პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 40% (10,200 ათასი) და 354 ადგილი პარლამენტში. მეორე ადგილზე კომპარტია გამოვიდა (20% ხმებისა. მაგრამ მიიღო 34 დეპუტატის მანდატი). ამრიგად, პარლამენტში მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა დეგოლისტური პარტიის ხელში გადავიდა. მემარცხენე ძალების ფედერაციას კი მხოლოდ 57 მანდატი ჰქონდა პარლამენტში. ამის შემდეგ ეს ფედერაცია მალე დაშალა.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე პარიზში გრენელის ქუჩაზე გლიმართა მოლაპარაკება პროფკავშირების, მეწარმეებისა და მთავრობის წარმომადგენლებთან, რომელზეც შემუშავდა „გრენელის ოქმი". იგი მუ-

შათა კლასის ძირითად მოთხოვნებს ითვალისწინებდა. ოქმში გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შედეგად მუშათა კლასის ხელფასი საშუალოდ 14%-ით გაიზარდა, პენსიები — 15—20%-ით, ხელფასის მინიმუმი—35%-ით, სოფლის მეურნეობის მუშაკებისა კი—56%-ით. ხელფასის მინიმუმი მუშათა ორივე კატეგორიისათვის განისაზღვრება 600 ფრანკით[1]. ზოგიერთი კატეგორიის მუშებმა მიიღეს დასვენების დამატებითი დღეები. ცვლილებები მოხდა უმაღლესი განათლების სისტემაში. სტუდენტები უმაღლესი სკოლების მართვაში მონაწილეობის უფლებას ღებულობდნენ, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებს განსაზღვრული შიდა ავტონომიური უფლებები ენიჭებოდათ. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის დანიშვნაში მთავრობა არ უნდა ჩარეულიყო. მისი არჩევა უნდა მოეხდარიყო პროფესორ-მასწავლებელთა მიერ.

ყველა ამ ღონისძიების შედეგი ის იყო, რომ მუშებმა შეწყვიტეს გაფიცვები და საქუშაოზე დაბრუნდნენ.

მაგრამ მაის-ივნისის გამოსვლებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს დე გოლის რეჟიმს. მათ ერთიანად გამოამზეურეს ის უდიდესი წინააღმდეგობანი, რომლითაც ხასიათდებოდა ეს რეჟიმი. საფრანგეთის ცკ-ის პლენუმზე გენერალურმა მდივანმა ვ. როშემ განაცხადა, რომ არჩევნების შედეგებს არ შეუძლია მაისის კრიზისის გაქარწყლება: „თუ გოლიზმი საფრანგეთის მართვას ათი წლის განმავლობაში ახერხებდა, ახლა ეს სულ უფრო მეტად გაუჭირდება“.

დე გოლი თავისი შვრყეული პოზიციების განმტკიცებას მთავრობაში ცვლილებების შეტანით შეეცადა. 12 ივლისს გადადგარ პომპიდუს ნაცვლად პრემიერ-მინისტრი გახდა კუვ დე მიურვილი. მაგრამ ამ ცვლილებებს არ შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება. დე გოლის რეჟიმის შესუსტების ერთ-ერთ სიმპტომად მიჩნეულია კაპიტალის საზღვარგარეთ „გაქცევა“. 1968 წლის 2 მაისიდან 21 ნოემბრამდე საზღვარგარეთ „გაიქცა“ 17,7 მლრდ. ფრანკი. ბურჟუაზია შეშფოთებული იყო მაის-ივნისის კრიზისით. მან დაკარგა რწმენა გოლიზმის რეჟიმის სიმტკიცისადმი და თავის კაპიტალს საზღვარგარეთის უფრო საიმედო ბანკებში ინახავდა.

მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ მაის-ივნისის ამბების დროს ხალხი და ქვეყნის დემოკრატიული ძალები კომუნისტების ხელმძღვანელობით მოითხოვდნენ ქვეყნის დემოკრატიზაციას და სახალხო მთავრობის შექმნას. ასეთი მოთხოვნები კომპარტიამ და სხვა მემარცხენე-

---

[1] 1976 წლისათვის საფრანგეთის კომპარტია და პროფკავშირები იბრძოდნენ, რომ მუშათა ხელფასის მინიმუმი 1300 ფრანკით დადგენილიყო, რაც ფასების ზრდის გამო ერთი სულის საარსებო მინიმუმის თანხაა.

ებმა შემდეგაც წამოაყენეს. დე გოლმა განიზრახა, თავისი რეჟიმის განმტკიცება ახალი რეფორმების გატარებით მოეხდინა.

1969 წლის გაზაფხულზე მან ამ რეფორმების პროექტი წამოაყენა. იგი ითვალისწინებდა საფრანგეთის 90 ტერიტორიულ დეპარტამენტად დაყოფის ნაცვლად (როგორც წინათ იყო) ქვეყნის 21 რეგიონად დაყოფის შემოღებას. თითოეულ რეგიონში რამდენიმე დეპარტამენტი შეეიდოდა და მას განსაზღვრული რწმუნებები ექნებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში: სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ქალაქისა და სოფლის მშენებლობის და ა. შ. რეგიონში მთელი ხელისუფლება გადადიოდა მთავრობის მიერ დანიშნული პრეფექტის ხელში. იცვლებოდა აგრეთვე სენატის როგორც ხელისუფლების წარმომადგენლობის რწმუნებები. მას უნდა ჩამორთმეოდა პარლამენტის უმაღლესი პალატის უფლებები და გადასცემოდა ეროვნული მასშტაბის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საკონსულტაციო უფლებები. ამრიგად, სენატს ერთმეოდა ყოველგვარი საკანონმდებლო უფლება.

უნდა შეცვლილიყო აგრეთვე პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის დანიშვნის წესიც. ადრე პრეზიდენტის გარდაცვალების ან უუნარობის შემთხვევაში მის ადგილს სენატის თავმჯდომარე იკავებდა, ახლა მისი ადგილი პრემიერ-მინისტრს ან მთავრობის რომელიმე წევრს უნდა დაეკავებინა. ამ წესის დანერგვით დეგოლელებს თავისთვის ენდოდათ უზრუნველეყოთ ამ მაღალი თანამდებობის შენარჩუნება.

კონსტიტუციის ამ ახალი კონსერვატორული გადასინჯვის წინააღმდეგ მემარცხენე და ცენტრისტულ-ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად გამოვიდნენ მემარჯვენე კონსერვატორული პარტია „დამოუკიდებელი რესპუბლიკელები“ [1]. საკვე იმაში იყო, რომ მემარცხენე-ცენტრისტულ და მემარჯვენე-ბურჟუაზიულ პარტიებს არ უნდოდათ პოზიციების დაკარგვა, რომელიც მათ მუნიციპალურ ორგანოებში ეკავათ.

კონსტიტუციის ამ ახალი გადასინჯვის წინააღმდეგ ყველაზე თანამიმდევრული პოზიცია კომპარტიამ დაიკავა. მან აღნიშნა, რომ ამ ახალი გადასინჯვის მთავარი ამოცანაა 1968 წლის მაის-ივნისის კრიზისის შედეგად შერყეული დეგოლისტური რეჟიმის განმტკიცება. ამ მიზნის მიღწევა გოლისტებს უნდათ „არჩევითი ორგანოების უფლებების შემდგომი შეზღუდვით“. შკ-ამ და სხვა პროფკავშირულმა ცენტრებმაც უარყოფითი პოზიცია დაიკავეს.

---

[1] ამ პარტიის ლიდერი იყო ვალერი ჟისკარ დ'ესტენი.

1969 წლის აპრილს დე გოლმა აღნიშნული პროექტი რეფერენდუმზე გამოიტანა. ამასთანავე მან განაცხადა, რომ თუ რეფერენდუმი უარყოფდა მის პროექტს, იგი გადადგებოდა. პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა 12 მლნ-მდე კაცმა (53,17%), მოიწონა 10,9 მლნ-მა კაცმა (46,82%). ამის შემდეგ დე გოლი გადადგა და პრეზიდენტის ახალი არჩევნები დაინიშნა.

§ 39. დე გოლის საგარეო პოლიტიკა

მეხუთე რესპუბლიკამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო წინა რესპუბლიკისაგან. საფრანგეთი იყო ნატოს აგრესიული დაჯგუფების წევრი, სადაც იგი თითქმის არავითარ როლს არ ასრულებდა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების გადაჭრაში. ამ მხრივ აშშ-მა და ინგლისმაც საფრანგეთი „მეორე რიგში" ჩააყენეს.

დე გოლის საგარეო პოლიტიკაში შეიძლება ორი ძირითადი ეტაპის გამოყოფა, რომელთა შორის ზღვარი 1963 წელია. პირველი ეტაპის დროს, სანამ საფრანგეთი ომს ეწეოდა ალჟირში და ამიტომ თავისი მოკავშირეების მხარდაჭერას საჭიროებდა, იგი არ გამოდიოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მომხრედ. მართალია, დე გოლი 1959 წელს გამოვიდა ოდერსა და ნეისზე არსებული საზღვრების ცნობის მომხრედ, გაემიჯნა ამერიკა-ინგლისის აგრესიულ პოზიციას კვიპროსის საკითხში. მაგრამ, მეორე მხრივ, ბერლინის საკითხის გამწვავების დროს 1958—1962 წლებში გაილაშქრა ამ კონფლიქტის მოლაპარაკების გზით მოგვარების წინააღმდეგ, კარიბის აუზში (კუბასთან დაკავშირებით) მომხდარი საშიში კრიზისის დროს აკრიტიკებდა აშშ-ის დათმობაზე წასვლის კურსს. საფრანგეთი იბრძოდა იმისათვის, რათა მას ნატოს კავშირში აშშ-ისა და ინგლისის გვერდით წამყვანი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ამის შემდეგ დე გოლი მიზნად ისახავდა, „საერთო ბაზარში" შემავალი ქვეყნები შეემჭიდროვებინა, ამ კავშირში ლიდერის პოზიცია დაეკავებინა, ექვსეულის რწმუნებით აღჭურვილი წარმომადგენელი გამხდარიყო და ასეთი გზით თავისი შერყეული პოზიცია განემტკიცებინა საერთაშორისო არენაზე. „საერთო ბაზარში" თავისი ლიდერობის უზრუნველყოფისათვის დე გოლმა განიზრახა გფრ-ის მხარდაჭერა მოეპოვებინა. კანცლერ ადენაუერთან 1958 წლიდან დაწყებული რიგი შეხვედრების შემდეგ 1963 წლის იანვარში პარიზში ხელი მოაწერა ორმხრივ ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც „პარიზ-ბონის ღერძი" ეწოდა. იგი ითვალისწინებდა მთავრობის მეთაურების ან საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების

რეგულარულ შეხვედრებს წინასწარი კონსულტაციების მიზნით უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე შეთანხმებული პოზიციის შესამუშავებლად. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აგრეთვე სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას. მაგრამ „პარიზ-ბონის ღერძმა" არ გაამართლა საფრანგეთის იმედები. ეს ხელშეკრულება გფრ-ის მმართველ წრეებს აშშ-ზე ზეგავლენისათვის უნდოდათ, რათა მათთვის ახალი დათმობები გამოეგლიჯათ. გფრ-ის მთავრობა თვითონ ფიქრობდა თავისი ეკონომიკური პოტენციალის წყალობით „საერთო ბაზარში" ლიდერის პოზიციის დაკავებას. როდესაც 1963 წელს, აშშ-სა და ინგლისს შორის დადებული პაქტის საფუძველზე, წამოყენებულ იქნა „მრავალმხრივი თერმობირთვული ძალების" შექმნის გეგმა, რომელიც საფრანგეთის „თერმობირთვული დამოუკიდებლობის" გეგმის საწინააღმდეგო იყო, გფრ-მა მხარი დაუჭირა ამერიკა-ინგლისის ამ გეგმას იმ იმედით, რომ ატომის წარმოებაში მასაც მიიღებინებდნენ მონაწილეობას. საფრანგეთი წინ აღუდგა მას და აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფედერაციის საფუძველზე გაერთიანების გეგმას.

1963 წლის იანვარში დე გოლი გამოვიდა ინგლისის „საერთო ბაზარში" მიღების წინააღმდეგ, ვინაიდან შიშობდა, რომ „საერთო ბაზარში" კიდევ ერთი დიდი სახელმწიფოს მიღება საფრანგეთს ლიდერობას წაართმევდა და გარდა ამისა ინგლისი ერთგვარი ხიდი გახდებოდა „საერთო ბაზარში" ამერიკის გაბატონებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ პირველ ეტაპზე დე გოლი შეეცადა მხოლოდ ურთიერთობის გაუმჯობესებას. 1960 წელს საფრანგეთში მიიწვიეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მაგრამ ამ ვიზიტს მაშინ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობაში რაიმე არსებითი ცვლილებები არ მოჰყოლია.

საგარეო პოლიტიკის მეორე ეტაპი დაიწყო 1963 წლის დამლევიდან ალჟირში ომის დამთავრებისა და „პარიზ-ბერლინის ღერძის" კრიზისის შემდეგ. საქმე იმაში იყო, რომ დე გოლის საგარეო პოლიტიკამ მანამდე რიგი დამარცხებები განიცადა. ახლოვდებოდა საპრეზიდენტო არჩევნები და ამომრჩეველების წინაშე იგი ანგარიშით უნდა წამდგარიყო, დასაკვეხი კი ბევრი არაფერი ჰქონდა. მეორე ეტაპის დროს საგარეო პოლიტიკაში პრინციპულად ახალი ტენდენციები დაისახა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში.

ფართო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია 1966 წელს დე გოლის განცხადებამ საფრანგეთის ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან გამოსვლის შესახებ. მიუხედავად აშშ-ის, ინგლისის და გფრ-ის მთავრობების ყოველგვარი ცდებისა, დე გოლმა არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. 1966—1967 წლებში ნატოს და აშშ-ის ბაზები

ლიკვიდირებულ იქნა და მათმა ჯარებმა დატოვეს საფრანგეთის ტერიტორია.

საფრანგეთმა სასტიკად გაილაშქრა აგრეთვე გფრ-ის „მრავალმხრივი თერმობირთვული ძალების" შექმნაში მონაწილეობის გეგმის წინააღმდეგ.

ალჟირის და სხვა კოლონიების დაკარგვის შემდეგ დე გოლის მთავრობამ მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება „მესამე სამყაროს" ქვეყნებთან. აშშ-გან განსხვავებით მან მხარი დაუჭირა განვითარებადი ქვეყნების დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. დე გოლი ვიზიტით იყო კამპუჩიაში, ეთიოპიაში, ირანში და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყანაში. ხოლო პომპიდუ — ინდოეთში, ინდონეზიასა და პაკისტანში.

საფრანგეთმა დაგმო აგრეთვე ისრაელის აგრესია 1967 წელს არაბი ხალხის წინააღმდეგ. ემბარგო დაადო ახლო აღმოსავლეთში ფრანგული იარაღის შეტანას და მოითხოვა, რათა ისრაელს გაეთავისუფლებინა მიტაცებული არაბული ტერიტორიები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის პოზიციას ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიის მიმართ. საფრანგეთმა დაგმო აგრესია ინდოჩინეთში, მოითხოვა საზღვარგარეთის ჯარების გამოყვანა იქიდან და გაილაშქრა ამერიკა-ინგლისის მიერ ნატოს დაჯგუფების ჯარების ვიეტნამში გამოყენების ცდების წინააღმდეგ.

პირადად დე გოლმა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. 1964 წელს საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა 5 წლის ვადით ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვაჭრობის ორჯერ გაფართოების და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ხოლო 1965 წელს დაიდო შეთანხმება ფერადი ტელევიზიის დარგში თანამშრომლობის შესახებ. 1966 წლის 20 იანვრიდან 1 ივლისამდე ჩვენი მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში იყო დე გოლი. მოსკოვში ორივე მხარემ ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც ლაპარაკი იყო ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემის მოლაპარაკების გზით გადაჭრისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების აუცილებლობის შესახებ.

1966 წლის დეკემბრის დამდეგს საფრანგეთში საპასუხო ვიზიტით იყო ა. ნ. კოსიგინი. სადაც ორივე სახელმწიფოს მთავრობებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას თანამშრომლობის შესახებ. მაღალ დონეზე ამ ორივე შეხვედრის შედეგად შეიქმნა მუდმივად მოქმედი შერეული კომისიები—ვაჭრობის, კოსმოსური კვლევის, ატომის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის შესახებ და ა. შ. საფრანგეთმა სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართაც აიღო მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი. 1964 წლის

იანვარში საფრანგეთმა ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მიუხედავად აშშ-ის დიდი პროტესტისა, მაისში კუბას მიჰყიდა 200 სატვირთო მანქანა. ევროპის თითქმის ყველა სოციალისტური ქვეყნის ხელმძღვანელი იყო ვიზიტით პარიზში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი კი ვიზიტით იყო ბულგარეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

დე გოლის მთავრობის სოციალისტურ ქვეყნებთან დაახლოებისა და თანამშრომლობის კურსმა საფრანგეთის დემოკრატიული ძალების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამასთანავე, დე გოლი არ შეუერთდა ხელშეკრულებას თერმობირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ და უარი თქვა განიარაღების მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე. იგი შეუდგა საკუთარი თერმობირთვული იარაღით აღჭურვილი ჯარების შექმნას.

§ 40. მეხუთე რესპუბლიკა 1969–1974 წწ. ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის

საშინაო პოლიტიკა 1969—1974 წწ. დე გოლის გადადგომის შემდეგ[1] ივნისში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, კომუნისტურმა პარტიამ მემარცხენე ძალებს კვლავ მიმართა წინადადებით გაერთიანებისა და საერთო კანდიდატის წამოყენების შესახებ. მაგრამ მემარცხენე პარტიებმა მისი წინადადება უარყვეს. არჩევნები ორ ტურად ჩატარდა. პირველი ტურის არჩევნებში შვიდი კანდიდატი მონაწილეობდა, რომელთაგან ვერც ერთმა ვერ მოაგროვა საჭირო რაოდენობის ხმები. მეორე ტურში ჩატარდა არჩევნები იმ ორი კანდიდატისა, რომლებმაც უმეტესი ხმები მიიღეს — ესენი იყვნენ ჟ. პომპიდუ და ა. პოერი. ვინაიდან ორივე მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენელი იყო, კომპარტიამ თავის ამომრჩევლებს მოუწოდა, რომ უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე. მართლაც 29 მლნ. ამომრჩევლიდან მხოლოდ 19,8 მლნ. კაცი მონაწილეობდა. საფრანგეთის

---

[1] შარლ დე გოლი (1890—1970) საფრანგეთის ისტორიაში შევიდა, როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ბურჟუაზიული წყობილების თავდადებული დამცველი. იგი იყო დიდად განათლებული და ფართოდ ერუდირებული, რეალისტური აზროვნების და მოქნილი გონების ადამიანი. პრეზიდენტობიდან 79 წლის ასაკში გადადგა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. დე გოლი 30 წლის განმავლობაში საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. საფრანგეთის კომპარტიამ დე გოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „იგი დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში და საერთაშორისო არენაზე. ამიტომ მის გარდაცვალებას არც ერთი ფრანგი არ შეიძლება შეხვდეს გულგრილად“. პომპიდუმ კი განაცხადა, რომ „1940 წელს მან გადაარჩინა ჩვენი ღირსება, 1944 წელს კი მოკვეთა განთავისუფლება და გამარჯვება“.

ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ ამომრჩეველთა ასეთმა დიდმა რაოდენობამ უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. ჟ. პომპიდუმ მიიღო ხმების 57,5%, ა. პოერმა კი — 42,1%. ამრიგად, ჟ. პომპიდუ გახდა რიგით მეცხრამეტე პრეზიდენტი.

მთავრობაში დეგოლელთა პარტიის წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ ცენტრისტული პარტიის ლიდერებიც. მთავრობის მეთაური გახდა შაბან-დელმასი.

დე გოლის გადადგომამ ბურჟუაზიულ ფენებში დიდი შეშფოთება გამოიწვია. ისინი უნდობლად ეკიდებოდნენ ახალ მთავრობას, არ სჯეროდათ, რომ იგი თავს გაართმევდა ქვეყნის გამგებლობას, შეანელებდა კლასობრივ ბრძოლას და წინააღმდეგობას. ამის შედეგად გაძლიერდა კაპიტალის „გაქცევა“ საზღვარგარეთ. იგი საშუალოდ თვეში 1 მლრდ. ფრანკს შეადგენდა. 1968 წლის მაისიდან 1969 წლის ივნისამდე საზღვარგარეთ 25 მლრდ. ფრანკი გაიტანეს. იზრდებოდა აგრეთვე ფასები პირველი მოთხოვნის საგნებზე, რომელთა წარმოება ამ დროისათვის მნიშვნელოვნად დაეცა. დაეცა ფრანკის კურსიც, რომლის მთავარი მიზეზი იყო მის წინააღმდეგ აშშ-ის დოლარისა და გფრ-ის მარკის შეტევა. თუ დე გოლის დროს საფრანგეთი დოლარიდან ოქროს სტანდარტზე გადასვლას მოითხოვდა, პომპიდუმ შეცვალა სავალუტო-ფინანსური პოლიტიკა, შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდა და დათანხმდა ფრანკის ახალ დევალვაციას. იგი გატარდა 1969 წლის აგვისტოში, რამაც საფრანგეთის საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი უპირატესობა შეუქმნა და გამოიწვია მისი ზრდა.

1969 წლის 3 სექტემბერს მთავრობამ გამოაქვეყნა „ეკონომიკის გამოჯანსაღებისა და აღდგენის გეგმა“, რომლის მთავარი მიზანი იყო მშრომელი მოსახლეობის მიერ 1968 წლის ივნისში ძიღწეული ხელფასის გადიდების არარაობამდე დაყვანა შიდა მოხმარების შემცირებისა და საგარეო ვაჭრობის გაზრდის გზით. ამ ღონისძიებას მოჰყვა ფასების ზრდა, ხალხის ახალი უკმაყოფილება და მუშათა გაფიცვები. 1969 წლის 11 დეკემბერს ეროვნულმა კრებამ ახალი გამოსვლების შიშით მიიღო კანონი, რომელიც ხელფასის გარანტირებულ მინიმუმს აწესებდა, ფასების ზრდის შემთხვევაში ხელფასიც ავტომატურად უნდა გაზრდილიყო.

1972 წლის აპრილში მთავრობამ ჩაატარა რეფერენდუმი „საერთო ბაზრის“ ხელშეკრულების კანონპროექტის რატიფიკაციის ან მისი უარყოფის შესახებ. კანონპროექტი ითვალისწინებდა „საერთო ბაზარში“ ინგლისის, დანიის, და ირლანდიის შესვლას. დადებითი ხმა მისცა 10,8 მლნ-მა, უარყოფითი — 5 მლნ-მა, თავი შეიკავა 11,8 მლნ-მა კაცმა.

ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების დროს. რეფერენდუმის შედეგები ნათლად ღაღადებდა მემარცხენე ძალების წარმატებებზე. მალე ამის შემდეგ კომუნისტებმა და სოციალისტებმა[1] გამართეს მოლაპარაკება, რომელიც 1972 წლის 27 ივნისს დამთავრდა მემარცხენე ძალების ერთობლივი სამთავრობო პროგრამის მიღებით. იგი კომპრომისული ხასიათისა იყო. კომპარტია დათანხმდა 1958 წლის კონსტიტუციის დატოვებაზე, მაგრამ ის მუხლები, რომლებიც ეხებოდა პარლამენტის უფლებების ხარჯზე პრეზიდენტის უფლებების ზრდას, უნდა გაუქმებულიყო. პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე საფრანგეთის დარჩენას ნატოში და „საერთო ბაზარში". საყურადღებოა, რომ ორივე პარტიის სამთავრობო პროგრამას მხარი დაუჭირეს მემარცხენე რადიკალებმა და სხვა მემარცხენე ჯგუფებმა.

მმართველი ბანაკი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს მემარცხენე ძალების გაერთიანებას. ისინიც, თავის მხრივ, ზომებს იღებდნენ. 1972 წლის ივლისში პრემიერ-მინისტრი გახდა პ. მესმერი. გოლისტური პარტიის რიგები გაიწმინდა აშკარა რეაქციონერებისაგან. თანაც ეს ხდებოდა დიდი ხმაურით — პარტიაში გოლისტური „სიწმინდის" დაცვის ლოზუნგით. შემცირდა არაპირდაპირი გადასახადები. 1973 წლის მარტში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, რომლებმაც მემარჯვენე კოალიციას გამარჯვება ხმების მცირე უპირატესობით მოუტანეს.

1974 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. 1974 წლის 2 აპრილს პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ მოულოდნელად გარდაიცვალა და მაისში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მემარცხენე ძალები კვლავ ერთიანი სამთავრობო პროგრამით გამოვიდნენ და თავიანთ კანდიდატად ფ. მიტერანი წამოაყენეს, მემარჯვენე ძალებმა კი — მთავრობის კოალიციაში შემავალი პარტიის „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ფედერაციის" ლიდერი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი.

არჩევნებმა დიდი წარმატება მოუტანეს მემარცხენე ბანაკს. მიტერანმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 49%, ვ. ჟისკარ დ'ესტენმა კი — 51%. ამრიგად, ეს უკანასკნელი ხმების მცირე უპირატესობით გახდა მეხუთე რესპუბლიკის მესამე, საერთოდ კი, საფრანგეთის მეოცე პრეზიდენტი.

მემარცხენე ძალების წარმატებებმა შეაშფოთა მემარჯვენე პარტიები. მათ რიგებში გადაადგილება მოხდა. მრავალი წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მყოფი გოლისტური პარტია იძულებული გახდა შევიწროებულიყო. მან მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ

---

[1] სოციალისტური პარტიის პირველ მდივნად 1972 წელს აირჩიეს ფრანსუა მიტერანი.

ხუთი ადგილი შეინარჩუნა. 1974 წლის 28 მაისს მთავრობა შექმნა ჟ. შირაკმა.

ფრანგი ამომრჩევლების განწყობილებაში მარცხნივ მკვეთრად შემობრუნებას თავისი შედეგები მოჰყვა. ამას ბურჟუაზიულმა წრეებმა ანტიკომუნისტური კამპანიის გაძლიერებით უპასუხეს, რათა კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის უხდობლობა და უთანხმოება დაეთესათ და მემარცხენე ძალების ერთიანობა დაერღვიათ. მეორე მხრივ, ახალი პრეზიდენტი და მისი მთავრობა იძულებული გახდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ. პარლამენტმა დაამტკიცა მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტები ნელფასის გარანტირებული მინიმუმის გაზრდის შესახებ, გაზარდა ზოგიერთი კატეგორიის პენსიები, დადგინდა უმუშევართათვის დახმარების მიცემის ახალი სისტემა. შემოიღეს ახალი საარჩევნო კანონი, რომლითაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ 18 წლის ასაკის მოქალაქეებს (ადრე 21 წლის მოქალაქეებს ჰქონდათ). ამის შედეგად ამომრჩეველთა რიგებს 2,5 მლნ. ახალგაზრდა შეემატა.

§ 41. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი და ეინაალმდეგობების გამწვავება

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი. საერთო ეროვნული პროდუქციის ზრდა საფრანგეთში 1974 წლამდე გრძელდებოდა. 1974 წელს დაწყებული ეკონომიკური კრიზისის გამო იგი შენელდა, 1975 წელს კი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამრიგად, საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ ფართოდ რეკლამირებულ „საფრანგეთის ეკონომიკური აღმავლობის სასწაულს“ ბოლო მოუღო 1974—1975 წლებში მიმდინარე კრიზისმა.

სამრეწველო წარმოების ინდექსი 1970—1976 წწ. შემდეგნაირ სურათს იძლევა: (1970 წ. ინდექსი-100%).

1970 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.	1976 წ.
104	112	120	123	111	112

1974 წელს სამრეწველო წარმოების სფეროში დაწყებულმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საგარეო ვაჭრობაზე. 1975 წელს, წინა წელთან შედარებით, იგი 4%-ით შემცირდა. 1974 წელს საგაჭრო დეფიციტმა შეადგინა 16 მილიარდ 44 მლნ. ფრანკი. საფრანგეთის ექსპორტის ღირებულებამ მიაღწია 223,121 მილიონ ფრან-

კამდე, იმპორტმა — 139,165 მილიონ ფრანკამდე. 1975 წელს ეროვნული შემოსავალი წინა წელთან შედარებით 3%-ით შემცირდა, ომის შემდგომ პერიოდში კი იგი ყოველწლიურად იზრდებოდა.

წარმოების სფეროში არსებულ კრიზისს ზედ ერთოდა ენერგეტიკული და ნედლეულის კრიზისი, რომელიც ჯერ კიდევ 1973 წელს დაიწყო, როდესაც მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები ნავთობზე, ნავთობის პროდუქტზე, ტყავზე, ხელოვნურ კაუჩუკზე, შალეულზე, სურსათსა და სხვა საქონელზე. ფასების ზრდამ გამოიწვია ცვლილებები წარმოების ხარჯებში, დაარღვია უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურა მრეწველობაში, რასაც წარმოების დეზორგანიზაცია მოჰყვა.

საფრანგეთის ეკონომიკის ყველაზე სუსტი მხარეებია სავალუტო და ფინანსური ურთიერთობა. ინფლაცია, ფასების ზრდა და სავალუტო კრიზისი გადაიქცა საფრანგეთის ეკონომიკის ქრონიკულ მოვლენად. ფრიად საყურადღებოა ის ამბავი, რომ თუ XX საუკუნის 30-იანი წლების კრიზისის დროს ადგილი ჰქონდა სასაქონლო ფასების მკვეთრ დაცემას, 50-იანი და 60-იანი წლების კრიზისებმა მხოლოდ უმნიშვნელოდ შეაჩერეს ფასების ზრდა, 1974—1975 წლების კრიზისმა კი, პირიქით, დააჩქარა ფასების ზრდა. მაგალითად, 1961—1965 წლებში ფასების ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 3,6%: 1966—1970 წწ. — 4,44%; 1971—1974 წწ. — 8,5%[1]. 1975 წელს მთავრობის დიდი მეცადინეობის შედეგად ფასების ზრდა 10%-ით შეიზღუდა.

1975 წელს დასავლეთის ეკონომისტები ვარაუდობდნენ, რომ 1976 წლისათვის ეკონომიკის მდგომარეობა გამოსწორდებოდა, მაგრამ ეს ოპტიმიზმი არ გამართლდა. პირიქით, პრესის ცნობით[2] 1976 წ. ეკონომიკის მდგომარეობა საფრანგეთში გაუარესდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ბევრ დარგში მილიარდები „ჩაყარა“, სამრეწველო წარმოებამ 1974 წლის დონესაც ვერ მიაღწია, ფასებისა და ინფლაციის ტემპებმა 13—15 პროცენტი შეადგინა[3]. 1975 წლის ოქტომბრიდან 1976 წლის ოქტომბრამდე ინფლაციის წლიურმა დონემ 12,9%-მდე მიაღწია. გაიზარდა უმუშევრობაც. 1974 წელს იყო 424 ათასი უმუშევარი, 1976 წლის ბოლოსათვის კი — 1320 ათასი. უმუშევართა არმიის ნახევარს შეადგენდნენ ორივე სქესის 25 წლის ასაკამდე ახალგაზრდები. ბევრ საწარმოში შემცირდა სამუშაო კვირის ხანგრძლივობა და ხელფასი. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ წვრილი და

---

[1] «Международная жизнь», № 5, 1977 г. стр. 48—49.

[2] გაზეთი „პრავდა“, 5. X — 1976.

[3] 1926—1960 წლებში საფრანგეთში ფრანკი 5-ჯერ გაუფასურდა და 6-ჯერ განხორციელდა მისი დევალვაცია.

საშუალო ბურჟუაზიული ფენებიც. მაგალითად, 1976 წელს გაკოტრდა 17224 წვრილი და საშუალო საწარმო.

ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის. 1976 წლის 7 მარტს ჩატარდა ადგილობრივი მმართველობის (კანტონალური) არჩევნები, რომლითაც ქვეყნის დეპარტამენტებში გენერალური საბჭოების (ე. ი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების) ნახევარი შემადგენლობა განახლდა. არჩევნებში სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს მემარცხენე ძალებმა, რომელნიც ერთიანი სამთავრობო პროგრამით გამოვიდნენ. სოციალისტურმა პარტიამ მიიღო გენერალურ მრჩეველთა 520 ადგილი, კომუნისტებმა — 249 ადგილი, რადიკალებმა — 84. ამ არჩევნების შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ფრანგი ამომრჩევლების შემობრუნება მარცხნივ.

მთავრობის კოალიციაში შემავალმა პარტიებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, განსაკუთრებით რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირმა და ე. წ. რეფორმატორებმა.

ფრანგი ამომრჩევლების დიდი უმრავლესობის მიერ მემარცხენე პარტიებისათვის მხარის დაჭერა ცხადყოფს, რომ ხალხი იწონებს მათ მიერ წამოყენებულ ერთობლივ სამთავრობო პროგრამას, რომელიც მოითხოვს ინფლაციის და ფასების ზრდის შეჩერებას, უმუშევრობის ლიკვიდაციას, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ქვეყნის დემოკრატიზაციას. გაჭიანურებულმა კრიზისმა ცხადყო, რომ მთავრობის დაჯგუფებას არ ძალუძს შეიმუშაოს ღონისძიებათა პროგრამა კრიზისის შედეგების — უმუშევრობის, ინფლაციის, საგარეო ვალის, ფრანკის მერყეობის ზრდისა და სხვათა შესაზღუდად.

1976 წლის ზაფხულში საფრანგეთს თავს დაატყდა საშინელი სტიქიური უბედურება, რომელმაც უფრო მეტად გააუარესა საფრანგეთის ისედაც მძიმე მდგომარეობა. ზაფხულში იყო საშინელი გვალვა, რომლის გამოც მთლიანად გადაიწვა ნათესები — ბოსტნეული, მარცვლეული, კარტოფილი და განადგურდა ხეხილი. საკვების უქონლობის გამო პირუტყვის მასობრივი დაკვლა დაიწყეს. თუ საფრანგეთი კარტოფილისა და სიმინდის ექსპორტიორ ქვეყნად ითვლებოდა, ახლა თვითონ მოუხდა ამ საქონლის შემოტანა. ეს საშინელი გვალვა „ეროვნულ უბედურებად“ გამოცხადდა. ხანძრის შედეგად ათასობით ჰექტარი ტყე გადაიწვა. ამ სტიქიური უბედურებისაგან ზარალი 18 მლრდ. ფრანკით არის შეფასებული. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხობა. ათასობით მეურნეობა გაკოტრდა. გვალვამ დააზარალა მრეწველობაც. წყლის უკმარისობის გამო მკვეთრად შემცირდა ელექტროენერგიის წარმოება. მუშები მასობრივად დაითხოვეს კვების მრეწველობიდან, სოფლის მეურნეობის მანქანებისა და სასუქების წარმოების ქარხნებიდან.

ინფლაცია ამ სტიქიური უბედურების გამო კიდევ უფრო გაიზარდა. გაძვირდა პური, რძე, ყავა, კონსერვები. სულ 60 დასახელების სურსათზე აიწია ფასებმა.

სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ახალი ღონისძიებების მიღებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელ წრეებში სერიოზულმა წინააღმდეგობებმა იჩინა თავი. გაძლიერდა უთანხმოებანი მთავრობის კოალიციაში შემავალ ძირითად პარტიებს შორის — ერთი მხრივ რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირსა და, მეორე მხრივ, დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ფედერაციასა და სოციალ-დემოკრატთა ცენტრს შორის. ამას მოჰყვა შირაკის მთავრობის გადადგომა.

1976 წლის აგვისტოში ახალი მთავრობის მეთაური გახდა რაიმონ ბარი, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის. ახალ მთავრობაში რამდენადმე შემცირდა რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირისა და ცენტრის წარმომადგენლობა და, პირიქით, გაიზარდა პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენის მომხრეთა — დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა და უპარტიო მოღვაწეთა რიცხვი, რომლებიც ამიერიდან გამოდიან ახალი პოლიტიკური ეტიკით — „პრეზიდენტის უმრავლესობა".

მემარცხენე ბლოკის პარტიებმა განაცხადეს, რომ ახლანდელ მმართველ კოალიციას არ ძალუძს გადაწყვიტოს ქვეყნის წინაშე მდგარი საჭირბოროტო ეკონომიკური პრობლემები, მთავრობის შეცვლა კი პრინციპულად არ ცვლის წინანდელ საშინაო პოლიტიკურ კურსს, რომელიც მსხვილი კაპიტალის ინტერესებს ემსახურება. ახალმა მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკური სიძნელეებიდან გამოსავლის მოსანახად შეიმუშავა სამთავრობო პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ შირაკის მთავრობის დროს მუშავდებოდა. ამ გეგმას ახალი პრემიერ-მინისტრის სახელის მიხედვით „ბარის გეგმა" ეწოდა.

„ბარის გეგმით" გლეხთა დასახმარებლად ბიუჯეტიდან მთავრობამ გამოყო 5,5 მლრდ. ფრანკი. გლეხები მოითხოვენ, რომ ეს დახმარება იმათთვის მიეცეთ, ვინც მართლა საჭიროებს მას, და არა მსხვილ კაპიტალისტ ფერმერებისათვის.

„ბარის გეგმა" ითვალისწინებდა აგრეთვე საფრანგეთის ეკონომიკის „გამოჯანსაღებასაც". გათვალისწინებული იყო პირდაპირი გადასახადების გაზრდა ხელფასის მიხედვით. იგი არ შეეხებოდა დაბალხელფასიანებს. 4%-ით უნდა გაზრდილიყო გადასახადები სააქციონერო საზოგადოების მოგებიდან, 50%-ით — ფასები მსუბუქ მანქანებზე, გაიზრდებოდა ბენზინის ფასიც. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ფასების გაყინვას 1976 წლის ბოლომდე. 1977 წლისათვის კი ფასების ზრდა არ უნდა აღემატებოდეს 6,5%-ს.

1976 წლის ოქტომბერში საფრანგეთის ბირჟა ისეთმა პანიკამ მოიცვა, როგორიც მას 25 წლის განმავლობაში არ ახსოვს. მკვეთრად დაეცა წამყვანი სამრეწველო და საბანკო კომპანიების აქციები, რომელთა ბევრი მფლობელი ახდენდა თავისი ფასიანი პაკეტების ლიკვიდაციას და, სიუხედავად მთავრობის ყოველგვარი ზომებისა, სხვადასხვა გზით თავისი ფული გაჰქონდა საზღვარგარეთის (უპირველეს ყოვლისა, შვეიცარიის) ბანკებში. ამის გამო საფრანგეთის ფრანკის კურსი მკვეთრად დაეცა და მიაღწია დაცემის რეკორდულ დონეს. მაგალითად 2046 ფრანკი უდრიდა დასავლეთ გერმანიის 1 მარკას. ეს საბირჟო კრახი პარლამენტში მთავრობის მიერ შეტანილი „ბარის გეგმის" განხილვასთან იყო დაკავშირებული.

ბირჟაზე მომხდარმა პანიკამ ცხადი გახადა, რომ საფრანგეთის მსხვილ ბურჟუაზიას არ უნდა, რომ შეელიოს თავის მოგებებს, გამოავლინოს „ეროვნული სოლიდარობა", რომლისკენაც მოუწოდებს „ბარის გეგმა". გარდა ამისა, „ფასების გაყინვას" მრეწველობასა და ვაჭრობაში იმით უპასუხებენ, რომ არ გამოაქვთ საქონელი მაღაზიებში და ხელოვნურ სიძნელეებს ქმნიან.

„ბარის გეგმას" აკრიტიკებდნენ მემარჯვენეებიც და მემარცხენეებიც. მემარჯვენეებს იგი შიაჩნდათ მეტისმეტად მკაცრ ღონისძიებად; მემარცხენეები კი მას არასაკმარისად თვლიდნენ. კომპარტიამ განაცხადა, რომ ამ გეგმის მთელი სიმძიმე ხალხს დააწვება ზურგზე. „ლუმანიტე" აღნიშნავდა, რომ გადასახადები კაპიტალისტური მონოპოლიებისაგან ბიუჯეტში შეტანილის 11%-ს შეადგენს, ამიტომ გაზეთი მოითხოვდა, რათა კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სახსრები მსხვილი ტრესტების სეიფებიდან აიღონ, ბოლო მოუღონ კაპიტალის „გაქცევას" საზღვარგარეთ და კაპიტალზე პროგრესული გადასახადი შემოიღონ. მემარცხენე ოპოზიციამ ეროვნულ კრებაში შეიტანა პროექტი კაპიტალზე პროგრესული გადასახადის შემოღების შესახებ, მაგრამ მემარჯვენე პარტიების უმრავლესობამ კენჭის ყრის დროს იგი ჩაგდო. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ არავითარ გადასახადს კაპიტალზე არ შემოიღებენ, რათა საბირჟო სპეკულანტები და მსხვილი კაპიტალისტები, რომლებიც ადრე პანიკამ მოიცვა, დაემშვიდებინათ.

მალე ამის შემდეგ მთავრობამ გაზარდა ფასები მთელ რიგ საიმპორტო საქონელზე, კერძოდ ზეთზე, ყავაზე, ძეხვსა და საკონდიტრო ნაწარმზე. 1976 წლის 2 ნოემბრიდან მკვეთრად აიწია ფასებმა ავტომანქანების საწვავზე.

მიუხედავად მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობისა, სამხედრო ხარჯები საფრანგეთში ყოველწლიურად იზრდება. საფრანგეთის მმართველ წრეებს სამხედრო ხარჯების ზრდაში არ უნდათ ჩამორჩნენ სხვა დიდ სახელმწიფოებს. კომპარტია ყოველთვის ხაზს

უსვამს იმას, რომ სამხედრო ხარჯებმა გააჩანაგა ფრანგი ხალხი. 1949—1972 წლებში საფრანგეთის პირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა 101,4 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. 1974 წელს სამხედრო ხარჯები შეადგენდა ბიუჯეტის 17,4%-ს. 1976 წელს ბიუჯეტით სამხედრო ხარჯების თანხა განსაზღვრული იყო 50 მლრდ. ფრანკის ოდენობით, რაც 14,2%-ით მეტია, ვიდრე 1975 წელს. ასეთი გაჟირვების ჟამს, 1976 წლის ნოემბერში პარლამენტმა დაამტკიცა სამხედრო ბიუჯეტი 1977 წლისათვის, რომლითაც სამხედრო ხარჯებისათვის გამოყოფილია 58,4 მლრდ. ფრანკი, ე. ი. სახელმწიფო ბიუჯეტის 17,55%. ამრიგად, 1976 წელთან შედარებით 1977 წლისათვის სამხედრო ხარჯები გაიზრდება 16,8%-ით,[1] ხოლო 1982 წლისათვის დაგეგმილია სამხედრო ხარჯების გაზრდა 115 მლრდ. ფრანკამდე. საყურადღებოა, რომ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს ჰქონდა დეფიციტი 20 მლრდ. ფრანკის ოდენობით.

საქმე იმაშია, რომ სამხედრო ხარჯების ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. სამხედრო ტექნიკის ღირებულებაც სწრაფად იზრდება არა მარტო საწარმოო ტექნოლოგიის თანდათანობითი გართულების გამო, არამედ ფასების ზრდის შედეგადაც. იქმნება ერთგვარი მანკიერი წრე: სამხედრო ხარჯები სტიმულს აძლევს ფასების ზრდას. ამ უკანასკნელს კი იყენებენ სამხედრო ბიუჯეტის გაზრდისათვის. ფასების ზრდის ერთ-ერთ მიზეზად, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თვით საფრანგეთის ეკონომისტებს მიაჩნიათ ნეოკოლონიური პოლიტიკისა და სოფლის მეურნეობისათვის გაღებული ხარჯები.

ამრიგად, 1974—1976 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა გააქარწყლა ლეგენდა საფრანგეთის ეკონომიკის „სასწაულის" შესახებ და ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია ეკონომიკის მუდმივი აყვავება, რომ „აყვავებას" ცვლის ჭარბი წარმოების გამანადგურებელი კრიზისები.

§ 42. კომპარტიის ბრძოლა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. მუშათა მოძრაობა

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ არაერთხელ უძღვნა თავისი გამოსვლები 1974—1976 წლების ეკონომიკური კრიზისის შედეგად შექმნილ მძიმე მდგომარეობას. მის ყოველ გამოსვლას წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი ფატალური მოვლენა კი არ არის, არამედ თავისი მიზეზები აქვს. მაგრამ არის გამოსავალიც.

---

[1] გაზეთი „პრავდა", 12. XI — 1976.

კომპარტიამ პარტიის რიგგარეშე XXI (1974 წლის ბოლოს) და XXII ყრილობებზე (1976 წლის თებერვალში) წამოაყენა კონკრეტული ღონისძიებების პროგრამა, რომლის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება ქვეყნის გამოყვანა ეკონომიკური კრიზისიდან. უპირველეს ყოვლისა ესაა ბრძოლა „მილიარდერთა მფლანგველური პოლიტიკის“ წინააღმდეგ და ამ მიზნით 500 უმსხვილესი ფრანგული ტრესტის ზემოგებების სპეციალური გადასახადებით დაბეგვრა, ისეთი სოციალური ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს შიდა მოხმარების გაზრდას, წარმოებაში მშრომელთა დაკავების მთლიან უზრუნველყოფას, ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მონოპოლისტთა ბატონობისათვის ბოლოს მოღებას. კომუნისტებმა პარიზის ქუჩებში გამოფინეს პლაკატები „მილიარდერებმა უნდა გადაიხადონ“.

კომპარტიის XXI და XXII ყრილობებზე შეაჯამეს იმ დიდი მუშაობის შედეგები, რომელიც საფრანგეთის კომპარტიამ გასწია განვლილ პერიოდში. ყრილობამ ტრიბუნიდან მოითხოვა მემარცხენე ძალების კავშირის კვლავ განმტკიცება ერთობლივი პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის. ამასთანავე, XXII ყრილობაზე აღინიშნა, რომ ამ ერთობლივ პროგრამას საფრანგეთის კომუნისტები აფასებენ, როგორც საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლის ნაწილს.

1975 წლის გაზაფხულისათვის კომპარტია თავის რიგებში აერთიანებდა 450 ათას კომუნისტს და 21340 პარტიულ უჯრედს. XXII ყრილობაზე კი გამოცხადდა, რომ პარტიის რიგებში გაერთიანებულია 600 ათასამდე წევრი.

XXII ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა საფრანგეთის კომპარტიის ცკ-ის დოკუმენტის პროექტი „რა სწადიათ კომუნისტებს საფრანგეთისათვის“ და საანგარიშო მოხსენება.

ყრილობის მიერ მიღებული ეს დოკუმენტი სოციალიზმის მშენებლობისათვის მოითხოვს დემოკრატიისა და თავისუფლების ახალი ერის დაწყებას ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური დემოკრატიის დამყარებით.

ეკონომიკური დემოკრატია მოითხოვს საბანკო და სამრეწველო მონოპოლიების კერძო საკუთრების ერის საკუთრებად გადაქცევას, მშრომელთა მონაწილეობას ნაციონალიზებული საწარმოების მართვასა და დაგეგმვაში.

სოციალური დემოკრატია მოითხოვს ყველა მშრომელის მიერ თავისი შრომის ნაყოფით სარგებლობას, მათ მიმართ უსამართლობისა და დისკრიმინაციის მოსპობას, რომ ყველა მოქალაქის შემოსავალმა შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის

მიხედვით მატერიალურად უზრუნველყოს მისი ცხოვრება, რომ თითოეულისათვის გზა ხსნილი იყოს საპასუხისმგებლო პოსტებზე; ამ მიზნით დაწესდეს გარანტირებული უფლებები განათლებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა მ ო ი თ ხ ო ვ ს ყ ვ ე ლ ა მოქალაქის უფლებების უზრუნველყოფას არჩევის, მართვის და კონტროლის გაწევის საქმეში. აუცილებელია, რათა მშრომელებს შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ხელმძღვანელობასა და მართვის საქმეში ყველა დონეზე — საწარმოს, დასახლებული პუნქტის, ოლქის და თვით მთავრობის მასშტაბებით.

ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტში არაა მითითებული პროლეტარული დიქტატურის შესახებ. ყრილობამ გადაწყვიტა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ ყოფილიყო მოხსენიებული პარტიის ამოცანებს შორის და ცენტრალურ კომიტეტს დაავალა, რომ მორიგ XXIII ყრილობაზე წარმოადგინოს სათანადო შესწორება წესდების შესავალ ნაწილში.

ყრილობამ აუცილებლად ცნო, რომ სოციალისტური საფრანგეთისათვის პოლიტიკური ხელისუფლება პროლეტარული დიქტატურის გაგებით არ განსაზღვრულიყო, ვინაიდან იგი არ შეესაბამება იმას, რასაც საფრანგეთის კომპარტია სთავაზობს ქვეყანას.

„რაც შეეხება პროლეტარიატს, აღნიშნა ჟ. მარშემ, იგი დღეს ნიშნავს ბირთვს, მუშათა კლასის გულს. თუმცა ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ იგი მთელი მუშათა კლასით არაა წარმოდგენილი, მით უმეტეს, ყველა მშრომელით, რომელთა სურვილის შემსრულებელი იქნება ჩვენი სოციალისტური ხელისუფლება“ [1].

ჟ. მარშემ აღნიშნა „ჩვენ უარვყოფთ აზრს იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ მომენტში პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც ხალხის უმრავლესობის ინტერესებს გამოხატავს, შეიძლება შეიცვალოს „განსაკუთრებული აქტიური ჯგუფის“ მოღვაწეობით ან რეპრესიული მეთოდებით. ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, ხალხის უმრავლესობის სურვილის შეცვლა არაფერს არ შეუძლია. ხალხის სურვილის დემოკრატიული გამოხატულება იქნება საყოველთაო კენჭისყრა და ასეთი ბრძოლის გზით დემოკრატიული და სოციალისტური გარდაქმნების განხორციელება“.

საფრანგეთის კომპარტიის მიერ წამოყენებული „დემოკრატიული გზა სოციალიზმისაკენ“ ითვალისწინებს პირობების შექმნას უმრავლესობის მოძრაობის განვითარებისათვის, მისთვის ისეთი გაქანების ,სიძლიერის მიცემას, როგორიც საჭირო იქნება ყველა წინააღმდეგო-

[1] Журн. «Проблемы мира и социализма», № 6, 1976, გვ. 19.

ბის დასაძლევად. ჟ. მარშემ ამის შესახებ აღნიშნა: „თავისუფლებაზე დაყრდნობით მშრომელები გააჩაღებენ ბრძოლას, აიძულებენ მსხვილ ბურჟუაზიას, უკან დაიხიოს და დაამარცხებენ მას. ამ ფართო ბრძოლაზე დაყრდნობით სოციალისტური ხელისუფლება აიძულებს რეაქციას, პატივი სცეს არჩევნებს, ხალხის უმრავლესობის მიერ თავისუფლად გამოხატულ სურვილს“ [1].

საფრანგეთის კომუნისტების თანამიმდევრული ბრძოლა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის, მსხვილი მონოპოლიების ძალმომრეობის წინააღმდეგ და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის ქვეყნის რეაქციული ძალების გაცოფებას იწვევს. რეაქციონერები თავის მხრივ კომუნისტების წინააღმდეგ ათასნაირ ცილისწამებას მიმართავენ, ცდილობენ მასებში მათი ავტორიტეტისა და გავლენის შერყევა-შესუსტებას.

ეკონომიკურმა კრიზისმა და მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუარესებამ ბიძგი მისცა მუშათა ახალ გამოსვლებს. შსკ-ის ხელმძღვანელობით 1973—1976 წლებში მრავალი გაფიცვა მოაწყვეს „რენოს“ და „პეჟოს“ საავტომობილო ქარხნის მუშებმა, რომელსაც მხარი დაუჭირეს ლოთარინგიის „სასილორის“ ფირმის მეტალურგებმა, გრენობლის, ნანტის, სენ-ნაზორის მანქანათმშენებლებმა. გაიფიცნენ აგრეთვე სხვა წარმოების მუშები. გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნებია სიძვირისა და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა. გაფიცულებს მხარს უჭერენ ქვეყნის დემოკრატიული ძალები კომუნისტების ხელმძღვანელობით. ფრანგი მუშები იბრძვიან იმისათვის, რომ მათი ხელფასი შეესაბამებოდეს ცხოვრების მუდმივად მზარდ ღირებულებას.

§ 43. მესუთე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დამდეგს

1968 წლის მაის-ივნისის სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა სახელმწიფო-მონოპოლისტური ზედაფენები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათ დასავლეთთან სოლიდარობისა და მათი მხარდაჭერის გარეშე არ შეუძლიათ ხელისუფლების შენარჩუნება. ამ კურსმა აშკარად გამოკვეთილი ხასიათი მიიღო პრეზიდენტ ჟ. პომპიდუს დროს, რომელმაც დასავლეთის სახელმწიფოებთან არსებული წინააღმდეგობების თანდათანობითი დაძლევის კურსი აიღო.

1969 წლის 1—2 დეკემბერს ჰაგაში მოიწვიეს „საერთო ბაზრის“ ქვეყნების ხელმძღვანელთა თათბირი. აქ ჟ. პომპიდუმ მოხსნა დე გოლის მიერ „საერთო ბაზარში“ ინგლისის მიღებაზე დადებული „ვე-

[1] «Проблемы мира и социализма», № 6, 1976, გვ. 20.

ტო“ და დათანხმდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების გაფართოებაზე სხვა სახელმწიფოების მიღებით. 1972 წლის იანვარში ბრიუსელში ხელი მოაწერეს ამ ქვეყნების „საერთო ბაზარში“ მიღების ხელშეკრულებას. ინგლისის შესვლამ „საერთო ბაზარში“ გააუმჯობესა ამ ორ ქვეყანას შორის მანამდე არსებული „ცივი ურთიერთობა“. ამას მოჰყვა ინგლისის დედოფლის ელისაბედ II ვიზიტი საფრანგეთში და აგრეთვე ამ ორ ქვეყანას შორის რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის შეთანხმების დადება. საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის გაფართოება ეკონომიკურ სფეროში მიჩნეულია გფრ-ის ჰეგემონისტური მისწრაფებების საპირისპირო ღონისძიებადაც. მაგრამ საფრანგეთი ურთიერთობას გფრ-თანაც ავითარებდა. 1963 წლის შეთანხმების შესაბამისად ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელები კვლავ აწყობდნენ რეგულარულ შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე და იხილავდნენ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

1976 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ფინანსური სიძნელეების გამო დასავლეთ გერმანიიდან გაიყვანს თავის 10 ათას ჯარისკაცს და ოფიცერს. დაიღო ორმხრივი შეთანხმება, რომლის შესაბამისად მან აქ დატოვებული ჯარების მთელი ხარჯები თვითონ იკისრა. მაგრამ ეს ჯარები უმუალოდ მას და არა ნატოს ხელმძღვანელობას ემორჩილებიან. თუ მაშინ გფრ-ის ტერიტორიაზე 70 ათასი ფრანგი ჯარისკაცი იყო, ამ ახალი შემცირების (ეს უკვე მეორეა) შედეგად მათი რიცხვი 50 ათასამდე დაიკლებს. გფრ-ის მთავრობა უკმაყოფილებას გამოთქვამს მის ტერიტორიაზე განლაგებული მოკავშირეთა ჯარების რაოდენობის შემცირების გამო.

საქმე იმაშია, რომ გფრ-ის მთავრობამ ნატოს ქვეყნებთან შეთანხმებით თავის თავზე აიღო აქ მყოფი საზღვარგარეთის ჯარების ყაზარმების და სხვა ნაგებობების მოდერნიზაციისა და შეკეთების ხარჯები. საფრანგეთს კი ამაზე უარი ეთქვა. საფრანგეთის მოქმედება ამის საპასუხო აქციაა.

ჟ. პომპიდუმ აშშ-თან დამყარებულ ურთიერთობას უწოდა „ახალი ურთიერთობის ერა“. რ. ნიქსონის ვიზიტის საპასუხოდ (1969 წლის თებერვალში) ზუსტად ერთი წლის შემდეგ აშშ-ში ვიზიტით ჩავიდა ჟ. პომპიდუ, რასაც 1971 წლის დეკემბერში მოჰყვა მორიგი შეხვედრა ორივე ქვეყნის პრეზიდენტებს შორის აზორის კუნძულებზე, რომლის დროსაც დიდი ყურადღება დაეთმო სავალუტო-ფინანსურ საკითხებს. ამ შეხვედრებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ურთიერთობა მათ შორის. ამასთან ერთად საფრანგეთი კვლავ ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებელ კურსს. მან უარი თქვა ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში უკან დაბრუნებაზე, მაგრამ დათანხმდა აშშ-თან სამოკავ-

შირეო ურთიერთობის შენარჩუნებაზე. საფრანგეთმა დაგმო ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომი და მოითხოვა ამერიკის აგრესიის შეწყვეტა, დაგმო ისრაელის აგრესია და მოითხოვა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის 22 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად. საფრანგეთის მთავრობამ ძალაში დატოვა დე გოლის დროს შემოღებული ემბარგო იარაღით ვაჭრობაზე ისრაელთან. საფრანგეთის ასეთი პოზიციის წყალობით გაუმჯობესდა ურთიერთობა ეგვიპტესთან, რომელიც შეწყვეტილი იყო „სუეცის ავანტიურის" შემდეგ. ამის შედეგი ის იყო, რომ ეგვიპტემ გადაუხადა საფრანგეთს ნაციონალიზებული ქონების საფასური. ამის ნაცვლად კი საფრანგეთი რეგულარულად ყიდულობდა ეგვიპტის ბამბას.

დაძაბული ურთიერთობა იყო საფრანგეთსა და ალჟირს შორის იმის გამო, რომ ალჟირის მთავრობამ მოითხოვა 1965 წელს მათ შორის დადებული შეთანხმების გადასინჯვა ნავთობის მოპოვების საკითხზე. 1971 წელს დაიდო ახალი შეთანხმება, რომლის შედეგად საფრანგეთის მთავრობა წავიდა დათმობაზე და ცნო ალჟირის სუვერენული უფლება საკუთარი ნავთობის საბადოების მიმართ, ამ უკანასკნელმა კი აანაზღაურა ფრანგული ნაციონალიზებული საწარმოების საფასური. ნორმალურ ურთიერთობას ავითარებდა საფრანგეთი მაროკოსთან, ტუნისთან და სხვა ყოფილ კოლონიებთან, რომლის მიზანი იყო თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოზიციების შენარჩუნება ამ ქვეყნებში. მართალია, საფრანგეთი ამ მიმართულებით რიგ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაგრამ მან თავისი თანამიმდევრული კურსით აქაც შეძლო ხელსაყრელი ურთიერთობის დამყარება.

ნორმალური ურთიერთობა დაამყარა საფრანგეთმა ჩსრ-თან. 1970 წლის ზაფხულიდან დაიწყო საფრანგეთის მინისტრების ვიზიტი პეკინში. 1972 წელს პეკინში ჩავიდა საგარეო საქმეთა მინისტრი მორის შუმანი, ხოლო 1973 წლის სექტემბერში — ჟ. პომპიდუ.

დე გოლის ვიზიტის შემდეგ მოსკოვში (1966 წელს) საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობაში იწყება გარდატეხის მომენტი და ურთიერთობა მათ შორის სულ უფრო ვითარდებოდა. ჟ. პომპიდუს პრეზიდენტობის დროსაც საფრანგეთის მთავრობა მომხრე რჩება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა. 1970 წლის ოქტომბერში ჟ. პომპიდუ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ორივე მხარემ ხელი მოაწერა პოლიტიკური კონსულტაციების ოქმს, რომლის საფუძველზე მოსკოვსა და პარიზს შორის სხვადასხვა დონეზე დამყარდა რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა. იგი ითვალისწინებს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ერთობლივ მოქმედებას

საერთაშორისო არენაზე დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის ინტერესებისათვის, კონფლიქტების რაიონში მშვიდობის აღდგენისათვის ხელის შეწყობას, სადავო საკითხების მშვიდობიანი საშუალებით მოგვარებას. საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა არსებითი როლი შეასრულეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოზადებასა და ჩატარებაში.

სსრ კავშირი და საფრანგეთი დიდ ყურადღებას უთმობდნენ განსაკუთრებული დაძაბულობის რაიონებში პოლიტიკური საკითხების სწრაფად მოგვარებას.

ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში ორივე სახელმწიფოს თვალსაზრისი თითქმის ერთნაირი იყო. ორივე მხარე მოითხოვდა ამ საკითხების მოგვარებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო ინდოჩინეთის საკითხის გადაჭრას ჟენევის 1954 წლის კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე.

პოლიტიკური თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობის მრავალ მხარეს და იგი ეყრდნობა სავაჭრო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირის მყარ ბაზას. ამ სფეროში საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს ავანგარდული როლი ეკუთვნით ეფექტური თანამშრომლობის ახალი ფორმების შემუშავებაში.

საფრანგეთი პირველი ქვეყანა იყო დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომელმაც საბჭოთა კავშირთან ხელი მოაწერა პირველ ხანგრძლივ, ხუთწლიანი ვადის სავაჭრო ხელშეკრულებას (1965—1969 წწ.), რომლის მოქმედების პერიოდში ვაჭრობის მოცულობა ამ ორ ქვეყანას შორის ორ-ნახევარჯერ გაიზარდა.

ჟ. პომპიდუს ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირში (1970 წლის ოქტომბერში) ორივე მხარემ ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელშიც აღნიშნული იყო ორივე სახელმწიფოს შორის 1970—1974 წლებში საქონლის ბრუნვის გაორკეცების შესახებ. ჟ. პომპიდუმ მოსკოვში ყოფნის დროს საფრანგეთში მიიწვია ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც პარიზში 1971 წლის ოქტომბერში ჩავიდა.

ლ. ი. ბრეჟნევის საპასუხო ვიზიტის დროს პარიზში ხელმოწერილ იქნა „სსრკ-საფრანგეთის დეკლარაცია“ და „სსრკ და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის პრინციპები“. ეს ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ითვალისწინებს ევროპასა და მთელ მსოფლიოში ერთობლივ მოქმედებას უშიშროების განმტკიცებისათვის, ამ ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის განვითარებას და რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების ჩატარებას უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. 1974 წლის მარტში

ბიკვინთაში კვლავ მოხდა ლ. ი. ბრეჟნევისა და პომპიდუს შეხვედრა, რომლის დროსაც აღინიშნა ორივე სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების მისწრაფებები.

1974 წლის დეკემბერში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი კვლავ იმყოფებოდა ვიზიტით საფრანგეთში და რამბუიეში მოლაპარაკება გამართა ახალ პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენთან, სადაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1975—1979 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების შესახებ. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქონლის ურთიერთგაცვლის გაზრდას ორჯერ და სამჯერაც კი წინა ხუთწლედთან შედარებით. საყურადღებოა, რომ 1970—1974 წლებში საქონელბრუნვამ ორივე ქვეყანას შორის შეადგინა 6 მლრდ. ფრანკი (900 მლნ. მანეთი), ე. ი. წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 30%-ით.

რამბუიეში ხელი მოაწერეს ახალ საკრედიტო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა მიმდინარე ხუთწლედში ეკონომიკური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი პროექტების დაფინანსებას. საფრანგეთმა საბჭოთა კავშირს მისცა ხანგრძლივვადიანი საბანკო კრედიტები, რაც მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ორმხრივი ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის.

ჯერ კიდევ 1971 წელს სსრ კავშირმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ათი წლის პერიოდში ეკონომიკური, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების შესახებ. ეს იყო ასეთი სახის პირველი შეთანხმება, რომლის საფუძველზე შემუშავდა და 1973 წელს ხელმოწერილ იქნა ათწლიანი პროგრამა ეკონომიკისა და მრეწველობის დარგებში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. მასში ჩამოთვლილია ეკონომიკური თანამშრომლობის კონკრეტული ობიექტები. ამ ორივე სახელმწიფოს საქმიანი კავშირის მთავარი არსი გახდა მსხვილმასშტაბიანი ობიექტების განხორციელება. მაგალითად, დაიდო კონტრაქტები საბჭოთა კავშირში საფრანგეთის მოწყობილობების შემოტანაზე „კამაზის" ქარხნისათვის, ორენბურგის გაზის კომპლექსისათვის. საბჭოთა კავშირი თავის მხრივ ახორციელებს ურანის ნედლეულის გამამდიდრებელ ღონისძიებებს საფრანგეთის ატომური სადგურისათვის.

1974 წლის დეკემბერში პარიზში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა და საფრანგეთის ფირმებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს საბჭოთა კავშირში მაგნიტური გამშვებების ქარხნისათვის კომპლექსური მოწყობილობების მიწოდებაზე. საფრანგეთის ტექნიკა მაგნიტური გამშვებების წარმოებაში ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში და საბჭოთა კავშირში ასეთი ტექნიკის საფუძველზე ააგებენ სათანადო ქარხანას.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სამრეწველო თანამშრომლობის

ობიექტებიდან უკვე მწყობრში ჩადგა იუევსკის საავტომობილო ქარხანა, ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხანა მოსკოვში, საყოფაცხოვრებო მაცივრების ქარხანა მინსკში, ოთხი რძის ფხვნილის ქარხანა და სხვა მრავალი.

„რენოს“ სახელმწიფო კომპანიასთან ხორციელდება თანამშრომლობა კამის საავტომობილო კომპლექსის მშენებლობისათვის. საფრანგეთის ფირმა „პეშინე“ თანამშრომლობს საბჭოთა კავშირში სამრეწველო კომპლექსის მშენებლობაში, რომელმაც უნდა აწარმოოს წელიწადში 1 მლნ. ტონა გლინოზეში და 500 ათასი ტონა ალუმინი.

მრავალი მსხვილმასშტაბიანი ობიექტის მშენებლობაზე ორმხრივი თანამშრომლობა ხორციელდება ე. წ. კომპენსაციების საფუძველზე, რომლითაც მყიდველი სამრეწველო მოწყობილობების იმპორტორებს ვალს გადაუხდის მომავალი საწარმოების მზა პროდუქციის ნაწარმით. ამ საფუძველზე საფრანგეთი აწვდის მოწყობილობებს საბჭოთა კავშირის გაზის მრეწველობას, უსტ-ილიმსკის ცელულოზ-ქაღალდის კომპლექსს, ამონიაკის წარმოების ოთხ ქარხანას, სტიროლისა და ნახევარსტიროლის წარმოების ქარხნებს და ა. შ.[1].

საფრანგეთის ფირმები დიდ ინტერესს იჩენენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის ძიებაში მონაწილეობის მიმართ, კერძოდ, სპილენძის, ნიკელის, ნავთობისა და გაზის საბადოების ძიების მიმართ.

1972 წელს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით 1976 წლიდან საფრანგეთი ჩვენი ქვეყნიდან იღებს ბუნებრივ გაზს, რომლის ყოველწლიურმა მოცულობამ მისი მთლიანად ათვისების შემდეგ უნდა შეადგინოს 2,5 მლრდ. კუბომეტრი.

ენერგეტიკული კრიზისის გამწვავებასთან დაკავშირებით საფრანგეთის მთავრობამ სთხოვა ჩვენს მთავრობას ბუნებრივი გაზის მიწოდების გაზრდა. 1974 წლის დეკემბერში რამბუიეში ორივე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც 1980 წლიდან გაზის ყოველწლიური ექსპორტი 4 მლრდ. კუბომეტრს მიაღწევს.

აქ მოყვანილი მაგალითები მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ საფუძველზე ხორციელდება და იგი ასეული მილიონი მანეთის ღირებულებისაა.

ფართო თანამშრომლობა დამყარდა ორივე ქვეყანას შორის მეცნიერულ-ტექნიკურ დარგში. აქ ყველაზე მეტი შედეგები მიღწეულია ისეთ დარგებში, როგორიცაა ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნე-

---

[1] Международная жизнь, № 4, 1975, გვ. 22—23.

ბისათვის გამოყენება, ფერადი ტელევიზია, მედიცინა და ჯანმრთელობის დაცვა.

მაგალითად, ფრანგული ლაზერის სხივების დახმარებით, რომლის მოწყობილობა საბჭოთა მთვარემავალზე დადგეს, გაიზომა მანძილი მთვარესა და დედამიწას შორის 40 სმ სიზუსტით. საბჭოთა რაკეტებმა ორბიტაზე გაიყვანეს საფრანგეთის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები.

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეცნიერები წარმატებით თანამშრომლობენ თერმობირთვული, მეტალურგიის, ლაზერის ტექნიკის და სხვათა დამუშავებაში. ერთად მუშავდება ისეთი მეცნიერული პრობლემები, როგორიცაა ოკეანის რესურსების გამოყენება, გარემოს დაცვა და ა. შ.

ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში მრავალმხრივი კავშირის რეგულირებისათვის შეიქმნა და წარმატებით მოღვაწეობს სამთავრობათაშორისო მექანიზმი — საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ორი შერეული კომისია („დიდი" და „მცირე").

საბჭოთა კავშირს დასავლეთის არც ერთ ქვეყანასთან ისეთი ფართო კულტურული ურთიერთობა არა აქვს, როგორც საფრანგეთთან. ხორციელდება კონტრაქტები აგრეთვე სამხედრო ხაზით, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების ვიზიტების გაცვლა.

1975 წლის 20 მარტს მოსკოვში ვიზიტით იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟაკ შირაკი, ხოლო 14 ოქტომბერს ჩამოვიდა პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ'ესტენი, რომლის დროსაც ორივე მხარემ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს და შეთანხმებებს მოაწერეს ხელი: დეკლარაციას საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, შეთანხმებებს სამოქალაქო ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ, ტურიზმის, ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ და ა. შ.

ამ ხელშეკრულებების შედეგები ისაა, რომ ეკონომიკური ურთიერთობა ხორციელდება ხანგრძლივვადიან საფუძველზე, რეალიზება ხდება ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური და სამრეწველო პროექტებისა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთს შორის ვაჭრობის სტრუქტურა შემდეგნაირია: საბჭოთა კავშირს საფრანგეთში გააქვს ნავთობი, ქვანახშირი, მარგანეცი, ანთრაციტი, ფერადი ლითონები, აზბესტი, ხე-ტყე, ბამბა, ცელულოზა, ბამბეულის ქსოვილები, ფოტო და კინოაპარატები, ავტომანქანები, ტრაქტორები, სოფლის მეურნეობის მანქანები, თევზის კონსერვები და ა. შ.

საფრანგეთს შემოაქვს ძირითადად სხვადასხვა მანქანები და მოწყობილობები, მაღალხარისხოვანი შავი ლითონები, მილები, ქიმიური საქონელი, ფართო მოხმარების საგნები.

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის წარმატებით განვითარება ორივე ხალხის ინტერესებს უპასუხებს და ხელს უწყობს ევროპასა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

სამწუხაროდ, საფრანგეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა ეკონომიკური კრიზისის და მუშათა მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით მკვეთრად იწყებს შემობრუნებას მარჯვნივ. როგორც ჟ. მარშემ საფრანგეთის კომპარტიის XXII ყრილობაზე აღნიშნა, ახლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკურ ატლანტიზმს, რომლის ზეგავლენით ხორციელდება სამრეწველო, ტექნოლოგიური, ენერგეტიკული, სავაჭრო და სავალუტო პოლიტიკა.

1975 წელს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა ახალი სამხედრო სტრატეგია გამოაცხადა, კერძოდ, გენერალი მოითხოვს საფრანგეთის არმიის ბუნდესვერთან და ნატოს სხვა ძალებთან შეერთებას იმ მიზნით, რათა „პირველ ხაზზე იბრძოლონ" მოწინააღმდეგესთან, ე. ი. სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

1975 წლის აგვისტოს ჰელსინკის თათბირის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა და დასავლეთის სხვა მოღვაწეებმა წამოაყენეს „ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის" შექმნის გეგმა, რომელიც დაკავშირებული იქნება ნატოსთან. ამ გეგმას საფრანგეთის პრეზიდენტი „მცირე ევროპის" პრობლემების გადაჭრის სახელწოდებით ნათლავს. ამ და სხვა მრავალ საკითხს შეეხნენ ჟისკარ დ'ესტენი და გფრ-ის კანცლერი ჰ. შმიდტი თავიანთ შეხვედრაზე 1976 წლის თებერვალში ნიცის მახლობლად. განმარტავდა რა ამ მოლაპარაკებას, „ლუმანიტე" აღნიშნავდა, რომ „ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის" შექმნის ყველა პროექტს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი აქვს: ისინი ითვალისწინებენ დასავლეთ ევროპის ზეეროვნული ინსტიტუტების შექმნას, რაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებს ეროვნულ სუვერენიტეტს დააკარგვინებს.

ამასთანავე საფრანგეთის მთავრობამ უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო თათბირებში განიარაღების, შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების საკითხებზე. ვ. ჟისკარ დ'ესტენის მთავრობა ამახინჯებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების არსს და ტერიტორიული სტატუს-ქვოს გავრცელებას მოითხოვს პოლიტიკურ და სოციალურ ბრძოლაზე. საფრანგეთის პრეზიდენტმა ვაშინგტონში ყოფნის დროს (1976 წლის ზაფხულში) მოითხოვა, რათა

დასავლეთის ქვეყნები ჩარეულიყვნენ სოციალისტური ქვეყნების და მათ შორის ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჰელსინკის თათბირის გადაწყვეტილების შესრულების „შესამოწმებლად“. საფრანგეთის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ევროპის ქვეყნებში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები ამ ხალხების სოციალური მოძრაობის შედეგი კი არაა, ისევე როგორც ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით დასავლეთში ამჟამად მიმდინარე მუშათა მზარდი საგაფიცვო მოძრაობა, არამედ „მღვრიე წყალში თევზის დაჭერის“, ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგია, რომელიც თითქოს „აღმოსავლეთიდან“ მომდინარეობს. მისი აზრით, ასეთი მოვლენები ჰელსინკში მიღწეულ შეთანხმებას ზიანს აყენებს და მისი საწინააღმდეგოა.

„ატლანტური სოლიდარობის“ კურსი განსაკუთრებით გამოიკვეთა შირაკის მთავრობის გადაყენების შემდეგ. ამ მთავრობის შეცვლის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ კოალიციის ძირითად პარტიებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებას ვ. ჟისკარ დ'ესტენის საგარეო პოლიტიკის გამო. პარიზის პრესის ცნობით დეგოლისტური პარტიის რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირი, რომელიც მთავრობის კოალიციაში შედის, 1976 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე აკრიტიკებდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ცალკეულ ტენდენციებს და მიიჩნევდა, რომ ეს ტენდენციები დე გოლის ხაზიდან გადახვევას ნიშნავს.

საფრანგეთის ხელმძღვანელობის მიერ ამ ბოლო დროს აღებული „ატლანტური სოლიდარობის“ კურსი არ შეესაბამება ფრანგი ხალხისა და, საერთოდ, ევროპის უშიშროების ინტერესებს. მშვიდობიანი თანაარსებობა და საქმიანი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა — აი რაა ხელსაყრელი საფრანგეთის, მთელი ევროპისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის უშიშროებისათვის.

VI თავი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა [1]

§ 44. მილიტარიზმის და რეაქციის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში (1945—1949 წწ.)

მდგომარეობა ომის შემდეგ. 1945 წლის 5 ივნისს ბერლინში მარშალმა გ. ჟუკოვმა, გენერალმა დ. ეიზენჰაუერმა, ფელდმარშალმა ბ. მონტგომერიმ და გენერალმა დელარტიე ასინიმ ხელი მოაწერეს

[1] ტერიტორია — 248,5 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა 60 მლნ. (1974), დედაქალაქი — ბონი (მცხ. 299,4 ათასი, 1972 წ.).

გერმანიის დამარცხების დეკლარაციას და ოთხივე სახელმწიფოს მიერ გერმანიაში უმაღლესი ხელისუფლების ხელში აღების შესახებ შეთანხმებას.

კაპიტულაციის აქტისა და გერმანიის დამარცხების დეკლარაციის საფუძველზე გერმანიის მმართველობა საოკუპაციო ხელისუფლების ხელში გადადიოდა.

პოტსდამისა და ოთხი სახელმწიფოს სხვა შეთანხმებები გერმანიის საკითხზე ითვალისწინებდნენ გერმანიის ისეთი სახის დროებით ოკუპაციას, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ქვეყნის დემოკრატიზაციასა და დემილიტარიზაციას და მის გადაქცევას მშვიდობიან, დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

1945 წლის დამლევამდე დასავლეთის ზონებში საოკუპაციო ხელისუფლება კრძალავდა ყოველგვარ პოლიტიკურ და პროფკავშირულ საქმიანობას და მხოლოდ 1946 წლიდან იყო ნებადართული ამგვარი საქმიანობა ყველა ზონის მასშტაბით.

ომის დამთავრების პირველ დღიდანვე დასავლეთ გერმანიის კომუნისტებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს ფაშიზმის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად განადგურებული ორგანიზაციების აღსადგენად. მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, გკპ-მ 1946 წლისათვის ძირითადად აღადგინა პარტიის ორგანიზაციები და 1947 წლისათვის თავის რიგებში აერთიანებდა 324 ათას წევრს.

ფაშიზმის კრახის შემდეგ გერმანიის ბურჟუაზია იდეურად და პოლიტიკურად განიარაღებული აღმოჩნდა. ჰიტლერული დიქტატურის დამყარებაში გერმანიის ყველა პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის სოციალ-დემოკრატიულსაც (გარდა კომუნისტებისა), დიდი დანაშაული მიუძღოდა, ამიტომ ამ პარტიებმა დაკარგეს პოლიტიკური წონა ქვეყანაში და მათი მექანიკური აღდგენაც გამორიცხული იყო. დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერით დასავლეთ გერმანიის მსხვილი ბურჟუაზია 1947 წლის თებერვალში გაერთიანდა კათოლიკურ პარტიაში — ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირში, რომელიც შეიქმნა ინგლისის ზონაში. ამ პარტიის ლიდერი გახდა კონრად ადენაუერი. ეს პარტია დასავლეთ გერმანიის ერთიან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა 1950 წელს. 1945 წელს აშშ-ის ზონაში, ბავარიაში შეიქმნა აგრეთვე კათოლიკური პარტია ქრისტიან-სოციალური კავშირის სახელწოდებით. ეს ორივე პარტია არ გაერთიანებულა, მაგრამ მათ ურთიერთშორის დადეს პარლამენტური უნია.

1948 წლის დეკემბერში შეიქმნა თავისუფალი დემოკრატიული პარტია, რომელიც ქდპ-გან განსხვავებით აშკარად გამოვიდა ბურჟუაზიული საკუთრების დამცველად.

დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა აგრეთვე სხვადასხვა წვრილი მი-

ლიტარისტული, რევანშისტული, რეაქციული ორგანიზაციები, რომელნიც თავიანთ თავს პარტიებს უწოდებდნენ [1].

1946 წელს თავისი მოღვაწეობა განაახლა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც, რომლის იდეური და ორგანიზაციული ცენტრი გახდა 1945 წლის მაისში ჰანოვარში შექმნილი „შუმახერის ბიურო", რაიხსტაგის ყოფილი დეპუტატის კ. შუმახერის მეთაურობით.

1945 წლის 11 ივნისს გერმანიის კომპარტიის ცკ-მა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც იყო მისი მოღვაწეობის პროგრამა. იგი გერმანელ ხალხს მოუწოდებდა 1848 წლის რევოლუციის დროს დაწყებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების დამთავრებისა, პოტსდამის გადაწყვეტილებების საფუძველზე ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებისა და გერმანიის დემოკრატიული, პარლამენტური რესპუბლიკის შექმნისაკენ. მოწოდება მოითხოვდა მუშათა კლასს შორის ერთიანობის დამყარებას და ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების ფრონტის შექმნას, რომელიც უნდა გამხდარიყო განახლებული, დემოკრატიული გერმანიის მამოძრავებელი ძალა. ისეთ ვითარებაში, როდესაც პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება სუსტი იყო, ხოლო ქვეყანა ომისაგან გაპარტახებული, გერმანიის კომუნისტებს უშუალოდ ანტიფაშისტური წყობილების დამყარებისაკენ ჰქონდათ აღებული გზა, რომელიც გარდამავალი ეტაპი იქნებოდა სოციალისტური წყობილებისაკენ.. ამავე დროს კომუნისტური პარტიის მოწოდება პარლამენტურ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისათვის არ ნიშნავდა ძველი, ვაიმარის ტიპის რესპუბლიკისაკენ დაბრუნებას, უნდა დამყარებულიყო ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, რომელშიც გადამწყვეტ როლს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა შეასრულებდა. კომუნისტური მოწოდება ანტიფაშისტური, დემოკრატიული გარდაქმნების პირველი ეტაპის მთავარ ამოცანად შემდეგ ღონისძიებებს სახავდა: ნაციზმის მთლიანი აღმოფხვრა, დემოკრატიული თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, სამხედრო დამნაშავეებისა და მსხვილი ნაცისტების ქონების კონფისკაცია, აგრარული რეფორმის გატარება მსხვილ მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის საფუძველზე, მონოპოლიების ლიკვიდაცია, მუშათა კონტროლის დამყარება წარმოებაზე და ა. შ.

ამრიგად, მოწოდება მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობისა და მონოპოლიების ლიკვიდაციას მოითხოვდა. ამასთანავე, იგი იძლეოდა გარანტიას, რომ კულაკური მეურნეობა და კერძო წარმოება ხელუხლებელი დარჩებოდა.

---

[1] „გერმანელ ჯარისკაცთა კავშირი", „გერმანიის საიმპერიო პარტია", „ეკონომიკური აღორძინების პარტია", „ფოლადის მუზარადის პარტია" და ა. შ.

გერმანიის კომუნისტური პარტიის მოწოდება შეესაბამებოდა გერმანელი ხალხის ინტერესებს და ამიტომაც მან მოწონება დაიმსახურა ქვეყანაში.

კომუნისტური პარტიის ამ საპროგრამო განცხადებამ დიდი შეშფოთება გამოიწვია დასავლეთ გერმანიაში აღმოცენებული პარტიების ხელმძღვანელებს შორის. ამიტომ მათ თავის მხრივ კომპარტიის ამ განცხადების შთაბეჭდილების შენელების მიზნით რიგი დემაგოგიური განცხადებები გააკეთეს. მაგალითად, კურტ შუმახერმა 1945 წლის ზაფხულში განაცხადა, რომ მსხვილმა კაპიტალმა „გერმანიის მართვაში საბოლოოდ გამოაქლინა თავისი უუნარობა... მანამდე, სანამ გერმანიაში შესაძლებელია, რომ დიდი ქონება თავს იყრიდეს უპასუხისმგებლო კერძო პირების ხელში, დემოკრატია არ შეიძლება ითელებოდეს გარანტირებულად. კონცერნების წარმოუდგენელი ეკონომიკური სიძლიერე საზოგადოების ხელში უნდა გადავიდეს, სხვანაირად იგი როგორც პოლიტიკური ძალა ახალი სახელმწიფოს წინააღმდეგ იმოქმედებს“. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ მრეწველობის ზოგიერთი დარგის და წამყვანი ბანკების გასახელმწიფოებრიობას, მსხვილი მიწათმფლობელობის შეზღუდვას, მუშათა წარმომადგენლობის გაფართოებას წარმოებაში. პოლიტიკურ დარგში მათ წამოაყენეს სოციალიზმის დამყარების ლოზუნგი. ისინი აცხადებდნენ, რომ ნაცზმთან ერთად გერმანიაში დაემხობა კაპიტალიზმი და დღის წესრიგში დადგება სოციალიზმი, მაგრამ სოციალიზმის დამყარებას მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ფიქრობდნენ კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის გარეშე, კომუნისტების მონაწილეობის გარეშე, არჩევნების გზით. გარდა ამისა, ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი სოციალიზმის დროს მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების ხელში აღების შესახებ, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა პარლამენტური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მმართველობის სისტემის დამყარებას.

ფართო დემაგოგიას მიმართა აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა (ქდკ), რომელმაც 1945 წლის ივლისში კელნში მიღებულ მანიფესტში მოითხოვა „მსხვილი კაპიტალის, კერძო მონოპოლიების და კონცერნების ბატონობის მოსპობა“. 1947 წლის თებერვალში მიღებულ ამ პარტიის პროგრამაში წამოყენებული იყო ანტიფაშისტური და ანტიკაპიტალისტური წინადადებები. აქ ლაპარაკი იყო მუშათა მონაწილეობაზე ეკონომიკის მართვაში, მრეწველობის ზოგიერთი დარგის „სოციალიზაციის“ შესახებ და ა. შ.

რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით კომუნისტებმა ფართო მუშაობა გააჩაღეს მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკური გათიშულობის

ლიკვიდაციისათვის და მუშათა ერთიანი პარტიისა და ერთიანი პროფკავშირების შექმნისათვის.

კომპარტიის ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდნენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები შუმახერის ხელმძღვანელობით. 1945—1946 წლებში კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების რიგითი წევრები თვითონ ქმნიდნენ ქვემოდან მუშათა ერთიან ფრონტს, მაგრამ მემარჯვენე სოციალისტებმა დაგმეს კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის შექმნის ცდა და საბოლოო ჯამში ჩაშალეს იგი.

კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად იბრძოდა ხალხთა მასებს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მილიტარიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ და ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის.

1948 წლის აპრილამდე კომპარტიის ორგანიზაციები მუშაობდნენ ცალკეული ოლქების მიხედვით, რომელთა გაერთიანება დასავლეთ გერმანიის ერთიან კომპარტიად მოხდა 1948 წლის 30 აპრილს კომპარტიის პირველ კონფერენციაზე. კონფერენციამ აირჩია გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობა მაქს რაიმანის მეთაურობით.

—

პოტსდამის შეთანხმების ჩაშლა

1946 წლის გაზაფხულიდან დასავლეთ გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ გერმანიის მიმართ თავისი პოლიტიკის გენერალურ ხაზად აირჩია პოტსდამის შეთანხმებების ჩაშლა და რევანშისტული და იმპერიალისტური ძალების აღორძინება. ფაქტობრივად დასავლეთის სახელმწიფოები წინ აღუდგნენ ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნას და დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას, რასაც პოტსდამის შეთანხმება მოითხოვდა. ირღვეოდა პოტსდამის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები დენაციფიკაციის გატარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ ღონისძიებებს: ნაციზმის აღმოფხვრას, ყოველგვარი ფაშისტური და მილიტარისტული ორგანიზაციებისა და მათი ფილიალების ლიკვიდაციას და ა. შ. დასავლეთის სახელმწიფოები ომის დამთავრებისთანავე მფარველობდნენ ჰიტლერული პარტიების ხელმძღვანელებს, ხოლო შემდეგ აშკარად იწყეს მათი განთავისუფლება ციხეებიდან და ხელმძღვანელ ადგილებზე დაყენება. ნაცვლად დემილიტარიზაციისა, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო მრეწველობისა და შეიარაღებული ძალების მოსპობას, დასავლეთის სახელმწიფოები დაადგნენ გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის აღორძინების გზას. პოტსდამის შეთანხმება ითვალისწინებდა დეკარტელიზაციას, ე. ი. მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებების (ტრესტების, სინდიკატების და კარ-

ტელების) ლიკვიდაციას, უნდა განხორციელებულიყო აგრეთვე აგრარული რეფორმა მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის საფუძველზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებები, ასევე მსხვილი მემამულეთა მიწათმფლობელობა ფაქტობრივად ხელუხლებელი დარჩა.

ისეთი მსხვილი სამრეწველო და ფინანსური მაგნატები, როგორც: სტინესი, კრუპი, ცანგენი და სხვები, ინგლის-ამერიკის მფარველობის წყალობით მალე ისევ ამოტივტივდნენ და სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელ ადგილებზე მოექცნენ.

§ 45. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა

1946 წლის სექტემბერში აშშ-ისა და ინგლისის მთავრობებმა დადეს შეთანხმება მათი საოკუპაციო ზონების გაერთიანებისა და ბიზონიის შექმნის შესახებ. 1948 წელს ბიზონიას საფრანგეთის ზონაც შეუერთდა და შეიქმნა ტრიზონია. ამავე წელს დასავლეთ გერმანიაში განხორციელდა სეპარატული ფულის რეფორმა, რომელიც დასავლეთ ბერლინშეც გავრცელდა. ამის შედეგი ის იყო, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა დაირღვა, რამაც გამოიწვია გერმანიის ეკონომიკური გათიშვა.

1948 წლის თებერვალ-ივნისში ლონდონში მოიწვიეს კონფერენცია აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლუქსემბურგის წარმომადგენლებისა, რომელმაც მიიღო სეპარატული გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის დამფუძნებელი კრების მოწვევისა და მომავალი სახელმწიფოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ.

1948 წლის 1 სექტემბერს ბონში კ. ადენაუერის თავმჯდომარეობით მუშაობა დაიწყო პარლამენტის საბჭომ, რომელიც შემდგარი იყო ადრე დანიშნული ცალკეული ოლქების ლანდტაგებისა და წამყვანი ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებისაგან. ამ საბჭოს დამფუძნებელი კრება ეწოდა, რომელსაც საოკუპაციო ხელისუფლებამ დაავალა კონსტიტუციის შემუშავება. 1949 წლის 8 მაისს პარლამენტის საბჭომ მოიწონა კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე იქმნებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ). მასში შევიდა 10 ოლქი. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა პარლამენტი, რომელიც შედგება ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისაგან. ბუნდესტაგს (ე. ი. დეპუტატთა პალატას) ირჩევენ საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე 4 წლის ვადით და იგი ასრულებს პარლამენტის ძირითად ფუნქციებს. ბუნდესრატის დეპუტატებს ნიშნავენ ოლქის მთავრობები. სახელმწიფოს მეთაურად ცხადდება პრეზიდენტი, რომელსაც

5 წლის ვადით ირჩევს ბუნდესტაგის დეპუტატებისა და ოლქის ლანდტაგების დელეგატებისაგან შემდგარი სპეციალური საარჩევნო კორპუსი, მაგრამ პრეზიდენტს ბევრად მცირე უფლებები აქვს, ვიდრე ვაიმარის. რესპუბლიკის დროს ჰქონდა. აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობის ხელშია, რომელსაც სათავეში უდგას კანცლერი. მას პრეზიდენტის წარდგენით ირჩევს ბუნდესტაგი. საყურადღებოა, რომ კონსტიტუცია კანცლერს ძირითადი პოლიტიკური კურსის ერთპიროვნულად განსაზღვრის უფლებას აძლევს.

გფრ-ში შემავალი ოლქები (მიწები) ავტონომიურ უფლებებს იღებდნენ ფინანსური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული საკითხების გადაჭრაში.

კონსტიტუციით დაშვებული იყო ეკონომიკის ცალკეული დარგების ნაციონალიზაცია „სამართლიანი" კომპენსაციით.

კონსტიტუციით ცხადდებოდა სიტყვის, პრესის და პარტიების თავისუფლება, პროფკავშირებს უფლება ეძლეოდათ მეწარმეებთან კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისა და ა. შ.

კონსტიტუციით, აშშ-ის მსგავსად, წესდებოდა უმაღლესი კონსტიტუციური სასამართლო, რომელსაც ირჩევდა პარლამენტის ორივე პალატა.

1949 წლის აგვისტოში კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა არჩევნები, რომელმაც უმნიშვნელო წარმატება მოუტანა ქდკ-ქსკ ბლოკს (31%). სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 29,2%. კომუნისტებმა — 5,7%.

კანცლერი გახდა კ. ადენაუერი, რომლის მთავრობაში გარდა თავისი პარტიის წარმომადგენლებისა შეივიდნენ თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და გერმანელთა პარტიის წარმომადგენლები. ამ მთავრობის შექმნით გერმანიის გათიშვა ორ ნაწილად ფაქტობრივად დაკანონდა.

§ 46. გფრ-ის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 50-იანი წლების შუა პერიოდამდე

გერმანიის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს შექმნამ გამოიწვია დისპროპორცია სახალხო მეურნეობაში. გფრ-ის ეკონომიკა 50-იანი წლების შუა პერიოდამდე ამ დისპროპორციის აღმოფხვრის ღონისძიებებით იყო დაკავებული, რომლის დროსაც გაჩაღდა ახალი სამრეწველო მშენებლობა, შეიქმნა ქიმიური, ელექტროენერგეტიკული მრეწველობის, ზუსტი მექანიკის და ოპტიკის ახალი საწარმოები. ბუნებრივია, რომ ახალი საწარმოების შექმნამ და მათი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით აღჭურვამ ხელი შეუწყო წარმოების ზრდას. მრეწველობის აღდგენის პროცესი 1951 წლამდე გაგრძელდა, როდესაც

გფრ-ის სამრეწველო წარმოების მოცულობამ მესამედით გადააჭარბა ომამდელ დონეს, 1956 წლისათვის კი იგი ორჯერ გაიზარდა.

1949 წლის ოქტომბერში გფრ დაუშვეს „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში", რომელიც შექმნეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც დახმარებას იღებდნენ „მარშალის გეგმით". მართალია, დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებისათვის მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა მთელი რიგი შეზღუდვები ფოლადის წარმოებაზე და ვალდებულებანი გამარჯვებული ქვეყნებისათვის ქვანახშირის მიწოდებაზე და ა. შ. მაგრამ ყველა ეს შეზღუდვა 1951 წლის 18 აპრილს „შუმანის გეგმის" მიღების შემდეგ დასავლეთ გერმანიაზე მოიხსნა. აღნიშნული გეგმა ძალაში შევიდა 1952 წლის 28 ივნისიდან, როდესაც იგი რატიფიცირებულ იქნა ამ ორგანიზაციაში შემავალი ყველა სახელმწიფოთა პარლამენტების მიერ. „შუმანის გეგმით" დასავლეთ გერმანია ისეთივე თანასწორუფლებიანი წევრი გახდა „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანებისა", როგორც საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი. „შუმანის გეგმის" მიღების შემდეგ დასავლეთ გერმანიამ მოკლე ხანში წამყვანი მდგომარეობა დაიკავა დასავლეთ ევროპის ბაზარზე. ფოლადის გამოდნობა დასავლეთ გერმანიაში 1948 წლისათვის აღწევდა სულ რაღაც 5,5 მილიონ ტონას, 1956 წლისათვის მიაღწია 23 მილიონ ტონას, ე. ი. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ არსებულ დონეს. 1957 წლისათვის დასავლეთ გერმანიამ, საარის ოლქთან ერთად, რომელიც შეუერთდა მას 1957 წლის 1 იანვარს, გამოადნო 27 მილიონი ტონა ფოლადი.

გფრ-მა სამრეწველო განვითარების ტემპებით გაუსწრო ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას (მათ შორის აშშ-ს). 50-იანი წლების შუა პერიოდში გფრ-ის წილი კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოებაში აღწევდა 10%-ს, ხოლო მზა პროდუქციის ექსპორტით მან უკან ჩამოიტოვა საფრანგეთი და მიუახლოვდა ინგლისს. 1947 წელს გფრ-ის ექსპორტის ხვედრითი წონა მთელი კაპიტალისტური სამყაროს საერთო ექსპორტში შეადგენდა 0,5%-ს, 1950 წელს შეადგინა 3,6%, 1955 წელს — 7,3%, 1960 წელს კი მიაღწია 10,2%-მდე. ინგლისის ხვედრითი წონა საერთო ექსპორტში 1950—1960 წლებში შემცირდა 11%-დან 8,9%-მდე. ამრიგად, უკვე 50-იან წლებში გფრ-მა თავისი ექსპორტის მოცულობით უკან ჩამოიტოვა ინგლისი, რასაც მან ვერ მიაღწია ვერც პირველ და ვერც მეორე მსოფლიო ომების წინა პერიოდში. უკვე 1953 წლისათვის გფრ-ის ექსპორტი დასავლეთ ევროპაში ძნიშვნელოვნად აღემატებოდა ინგლისის ექსპორტს.

გფრ-ის მრეწველობის სწრაფად ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძირითადი კაპიტალის განახლებამ და წარმოების გაფართოებამ ახალი ტექნიკით აღჭურვის საფუძველზე, რომლის ხა-

რისხით და წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვით გფრ-მა გაუსწრო სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამის საბოლოო შედეგი კი წარმოების საშუალებათა წარმოების სწრაფი ზრდა იყო. ომის დროს ოკუპირებული ქვეყნების ძარცვა-გლეჯის შედეგად გერმანიის მონოპოლიებმა დააგროვეს უზარმაზარი თანხები, რომელთა საერთო რაოდენობა 40 მლრდ. ოქროს მარკით განისაზღვრებოდა. ამის წყალობით, თუ 1950 წელს კაპიტალის დაბანდება ეკონომიკაში 18,3 მლრდ. მარკას შეადგენდა, 1955 წელს 41 მლრდ. მარკას მიაღწია. ამრიგად, ეს უზარმაზარი თანხა გფრ-ის მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას მოხმარდა. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა აშშ-ის კაპიტალდაბანდებები და სესხები. „მარშალის გეგმით" გფრ-მა აშშ-საგან მიიღო 4 მლრდ. დოლარი. შეიარაღებაში არსებული შეზღუდვები და აკრძალვები გამორიცხავდა დიდ სამხედრო ხარჯებსაც. აღმოსავლეთ გერმანიიდან გფრ-ში გადასახლებულმა 13 მლნ-მა გერმანელმა და აგრეთვე სხვა უცხოელი მუშების მასობრივმა ჩამოსვლამ აქ შექმნა იაფი სამუშაო ძალის დიდი რეზერვები, რამაც ასევე ხელი შეუწყო წარმოების ზრდას. მუშათა კლასის ექსპლუატაციის ნორმა გფრ-ში გაცილებით დიდი იყო, ვიდრე სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მრეწველობის ზრდას მოჰყვა უმსხვილესი სამრეწველო კონცერნების პოზიციების აღდგენა და გაძლიერება. 50-იანი წლებისათვის ისინი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს, მაგრამ უკვე მაშინ იწყებოდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია და ახალი გიგანტური ხასიათის მონოპოლიების შექმნა, რომელთაც წამყვანი ადგილი დაიკავეს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

50-იანი წლების ბოლომდე მაღალი კონიუნქტურის წყალობით უმუშევრობა გფრ-ში არ იყო, იზრდებოდა მუშათა რეალური ხელფასი და ფასებიც სტაბილური ხდებოდა. ასეთ ვითარებაში ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა შექმნეს მითი გფრ-ში „ეკონომიკური სასწაულის", კლასთა წინააღმდეგობის გაქრობისა და სხვათა შესახებ.

სინამდვილეში კი განვითარების მაღალი ტემპები განპირობებული იყო სრულიად რეალური მიზეზებით. ამერიკის სესხმა და კაპიტალურმა დაბანდებებმა 50-იანი წლების შუა ხანებისათვის მიაღწია უზარმაზარ თანხას. ამ პერიოდში გფრ-ს არ ჰქონია დიდი სამხედრო ხარჯები და თავისუფალ კაპიტალს იყენებდა დიდი საწარმოების შესაქმნელად, რომელიც აღიჭურვა ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მი-

ხედვით. ამასთან ეკონომიკა ვითარდებოდა 13 მილიონი ახალმოსახლე და გადაადგილებული პირის შედარებით იაფი შრომის ხარჯზე, აგრეთვე მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე.

§ 47. კ. ადენაუერის მთავრობის საშინაო პოლიტიკა. დემოკრატიული ძალების ბრძოლა მილიტარიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ

დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ქვეყნის რეაქციულმა და გაუნადგურებელმა რევანშისტულმა ძალებმა თამამად წამოყვეს თავი და გააჩაღეს ბრძოლა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. კ. ადენაუერი ყოველმხრივ ხელს უწყობდა და მფარველობდა რეაქციულ ძალებს და დევნიდა დემოკრატიულს. 1950 წელს მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო დაწესებულებებში კომუნისტების სამსახურს, 1951 წლის გაზაფხულზე კი მთავრობამ გკპ არაკონსტიტუციურ პარტიად გამოაცხადა, ხოლო კომპარტიასთან დაკავშირებული გერმანელი ახალგაზრდობის თავისუფალი კავშირი აკრძალა. იმავე წელს მიღებული „საგანგებო კანონით" დაწესდა 15 წლის პატიმრობა „სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის". ამ კანონს მთავრობა იყენებდა ყველა იმ დემოკრატიული ძალის წინააღმდეგ, რომელიც გაბედავდა მთავრობის რეაქციული პოლიტიკის გაკრიტიკებას. რეპრესიები განიცადეს ანტიფაშისტებმა, გერმანია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრებმა; ამ საზოგადოების ხელმძღვანელს ჰ. ჰამფერს 3 წლის პატიმრობა მიესაჯა. ყველაზე დიდ დევნას კომუნისტები განიცდიდნენ, მაგრამ ისინი, როგორც ყოველთვის, გმირულად იბრძოდნენ რეაქციის წინააღმდეგ.

გკპ-ის ფრაქციამ ბუნდესტაგში 1949 წლის დეკემბერში შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლის თანახმადაც მთავრობისათვის უნდა აეკრძალათ შეიარაღებული ძალების შექმნა და სამხედრო წარმოების გაფართოება.

1952 წლის ნოემბერში გკპ-ის ცკ-მა გერმანელ ხალხს მიმართა „გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამით", რომელშიც მოუწოდებდა ორივე გერმანულ სახელმწიფოს, დაეწყოთ ურთიერთშორის მოლაპარაკება ქვეყნის გაერთიანებისათვის, ჩაეტარებინათ სრულიად გერმანიის ეროვნული კრების არჩევნები. ამასთანავე ამ პროგრამაში, როგორც შემდეგ აღინიშნა, დაშვებულ იქნა შეცდომები, რაც გამოიხატა მოწოდებაში ადენაუერის მთავრობის რევოლუციური ბრძოლით შეკავების შესახებ. მთავრობამ კი იგი გამოიყენა კომუნისტების წინააღმდეგ აშკარა რეპრესიებზე გადასვლისათვის. კომპარტიის ბრძოლას მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ გფრ-ის მმართველმა წრეებმა უპასუხეს რეპრესიებით.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გფრ-ში არსებული მაღალი კონიუნქტურის გამო, რასაც უდავოდ მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვა, ძალზე გაძნელდა კომუნისტების მოღვაწეობა. გკპ-ის წინასწარმეტყველური მოწოდებები ვერ პოულობდა მხარდაჭერას. გფრ-ის მმართველი წრეები და ყველა პარტიის ლიდერი კი ყოველმხრივ ცდილობდნენ კომუნისტებისათვის სახელის გატეხას, მათ ანტიეროვნულ და უცხოეთის დაქირავებულ მოღვაწეებად აცხადებდნენ და მოითხოვდნენ მათი საქმიანობის აკრძალვას. რეაქციონერებს ბანს აძლევდნენ სოციალ-დემოკრატები და რეფორმისტული პროფკავშირები.

1954 წელს გკპ-ის რიგი პასუხისმგებელი ხელმძღვანელები დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ მთავრობამ კომუნისტების წინააღმდეგ კამპანია გააჩაღა მისი აკრძალვის მიზნით. კომუნისტების წინააღმდეგ გამოცხადებულმა მასობრივმა დევნამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ისინი. ბევრი უპრინციპო და შემთხვევითი თანამგზავრი ჩამოშორდა მათ რიგებს. კომპარტიის რიგები ბევრად შემცირდა, მაგრამ იგი მაინც აგრძელებდა გმირულ ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ.

მთავრობამ მიაღწია იმას, რომ 1956 წლის აგვისტოში გკპ აიკრძალა. რეპრესიები განიცადეს სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა. აიკრძალა საქმიანობა ისეთი მასობრივი ორგანიზაციებისა, როგორიც იყო ქალთა დემოკრატიული კავშირი, მშვიდობის საბჭო და ა. შ.

კომუნისტებთან ერთად მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდნენ პროფკავშირული ორგანიზაციები, რომელთა შორის აღსანიშნავია გერმანიის პროფკავშირების გაერთიანება. იგი შეიქმნა 1949 წლის ოქტომბერში და თავის რიგებში აერთიანებდა 5.5 მლნ. წევრს. მისი პროგრამა ითვალისწინებდა ბრძოლას მილიტარიზმის წინააღმდეგ, მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციის, ქვეყნის დემოკრატიზაციის და ა. შ. მოთხოვნას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მასობრივი პროფკავშირების ხელმძღვანელობა ჰ. ბეკლერის მეთაურობით ანტიკომუნისტურად იყო განწყობილი, რასაც შედეგად მოჰყვა კომუნისტების განდევნა პროფკავშირებიდან.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც (კ. შუმახერის გარდაცვალების შემდეგ) 1952 წლიდან ხელმძღვანელობდა ე. ოლენჰაუერი, თავის მხრივ გამოდიოდა ქვეყნის მილიტარიზაციის და გფრ-ის ნატოს აგრესიულ დაჯგუფებაში მონაწილეობის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ დაგმო ადენაუერის მთავრობის მილიტარიზაციის კურსი და მოითხოვა, რომ „რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ებრძოლათ ყოველგვარი საშუალებებითა და ფორმებით“. მაგრამ ამ დადგენილებამ ვერ პოვა თავისი განვი-

თარება. სოციალ-დემოკრატები მხოლოდ ოპოზიციით იზღუდებოდნენ პარლამენტში. და თავისი მიზნების მიღწევას პარლამენტური ბრძოლის მეთოდებით ცდილობდნენ. ვინაიდან სოციალ-დემოკრატები პარლამენტში უმცირესობას შეადგენდნენ, ისინი ვერ ახდენდნენ მთავრობაზე გავლენას. 1952 წლის იანვარში სოციალ-დემოკრატებმა ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოს მიმართეს თხოვნით იმის შესახებ, რომ პარლამენტში რემილიტარიზაციის კანონის მიღებისათვის დადგენილიყო ხმების უმრავლესობა (2/3). სოციალ-დემოკრატებს ასეთ შემთხვევაში ექნებოდათ მთავრობაზე ზეგავლენის შესაძლებლობა ამ საკითხში, მაგრამ ფედერალურმა სასამართლომ უარყო სოციალისტების წინადადება.

ამასთანავე ეს პარტია რიგ საკითხებში აშკარა რეაქციულ პოზიციებზე იდგა. იგი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო კომუნისტებთან ყოველგვარი თანამშრომლობისა და პირადად მონაწილეობდა გფრ-ში გაჩაღებულ ანტიკომუნისტურ კამპანიაში. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ ომის შემდგომ დადგენილი საზღვრების გადასინჯვას და გდრ-ის ლიკვიდაციას.

§ 48. გფრ-ის შესვლა ნატოში და შეიარაღებული ძალების აღდგენა

გფრ-ის შექმნის პირველი დღიდანვე ამ სახელმწიფოს მმართველი წრეები აშშ-ის მხარდაჭერითა და წაქეზებით დაადგნენ შეიარაღებული ძალების აღდგენისა და ქვეყნის მილიტარიზაციის გზას.

ამერიკის სამხედრო აგრესიული წრეები, რომელთა ხელში იმყოფება ნატოს ხელმძღვანელობა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღნიშნულ დაჯგუფებაში დასავლეთ გერმანიის შეყვანის საქმეს. მათ მიზნად ჰქონდათ დასახული ახალი ვერმახტის აღდგენა და მისი გადაქცევა ახალი ომის მომზადების მთავარ კერად. 1950 წლის გაზაფხულზე ნატოს სამხედრო კომიტეტმა ოფიციალურად მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების (ბუნდესვერის) შექმნის შესახებ იმ მიზნით, რათა მოემზადებინათ გფრ-ის ნატოს აგრესიულ დაჯგუფებაში შეყვანა. 1950 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში მოწვეულ აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა და ნატოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიაში სამხედრო წარმოებაზე შეზღუდვის მოხსნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა დასავლეთ გერმანიის ჯარების აღდგენის ლეგალიზებას და მათ მონაწილეობას დასავლეთის ქვეყნების ე. წ. გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში. ამის საპასუხოდ 1950 წლის 24 ოქტომბერს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პლევენმა წა-

მოაყენა გეგმა („პლევენის გეგმა"), რომელიც ითვალისწინებდა ევროპის ერთიანი არმიის შექმნას და მასში დასავლეთ გერმანიის შეყვანას. ამ გეგმამ ფართო მხარდაჭერა პოვა გფრ-ში, რის შემდეგ გფრ-ის მთელი საგარეო პოლიტიკა სწორედ ამ გეგმის ცხოვრებაში გატარებას ემსახურებოდა.

1952 წლის 26 მაისს აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა ბონში ხელი მოაწერეს გფრ-თან „საერთო" ან ბონის ხელშეკრულებას, რომლითაც დასავლეთ გერმანიაში უქმდებოდა საოკუპაციო სტატუსი და გერმანია იღებდა სახელმწიფო სუვერენიტეტს. ამავე დროს „საერთო ხელშეკრულებით" დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე განუსაზღვრელი დროის განმავლობაში რჩებოდა აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის ჯარები. გარდა ამისა, დასავლეთის სახელმწიფოები უფლებას იტოვებდნენ განსაკუთრებულ საშიშ ვითარებაში შემოეღოთ საალყო მდგომარეობა და მთელი ძალაუფლება თავიანთ ხელში აეღოთ.

მეორე დღეს, 27 მაისს, პარიზში ხუთმა სახელმწიფომ, მათ შორის დასავლეთ გერმანიამ, ხელი მოაწერეს ე. წ. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ხელშეკრულებას, მაგრამ იგი 1954 წლის აგვისტოში უარყო საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ.

მალე ამის შემდეგ დადებული პარიზის შეთანხმებების ძალით დასავლეთ გერმანია შეყვანილი იქნა ჩრდილოეთ ატლანტის ბლოკის შემადგენლობაში და დასავლეთ ევროპის კავშირის შემადგენლობაში. მას ნება დაერთო შეედგინა 12 დივიზია. ფაქტობრივად გფრ-ს ეძლეოდა ახალი ვერმახტის ბირთვული იარაღით აღჭურვის შესაძლებლობა. ყოველივე ეს წარმოადგენდა პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა დარღვევას.

პარიზის შეთანხმებანი ძალაში შევიდა 1955 წლის გაზაფხულზე. დასავლეთ გერმანია 1955 წლის მაისში გახდა ნატოსი და ახლად შექმნილ „დასავლეთ ევროპის კავშირის" წევრი.

ამრიგად, პარიზის შეთანხმებებით დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების აღდგენა დაკანონდა. პარიზის შეთანხმებებით განისაზღვრა ნახევარმილიონიანი არმიის შექმნა 12 დივიზიის შემადგენლობით.

უკვე 1950 წლის შემოდგომაზე შეიქმნა „ბლანკის უწყება", რომელიც შემდეგ გადაკეთდა სამხედრო სამინისტროდ. ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პარიზის შეთანხმებების მიღებამდე დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების აღდგენა ფარულად მიმდინარეობდა. ამ პერიოდისათვის დასავლეთ გერმანიაში უკვე არსებობდა საპოლიციო ნაწილები 200 ათასი კაცის რაოდენობით, აგრეთვე ე. წ. „მომსახურე ნაწილები" და ნახევრად მილიტარისტული დამხმარე ორგანიზაციები: „ჯარისკაცთა კავშირი", „ტრადიციული საზოგადოება" და

ა. შ., რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ ჰიტლერული არმიის ყოფილ სამხედრო პირებს. ფაშისტური ხასიათის ე. წ. „ჯარისკაცთა კავშირები“ დასავლეთ გერმანიაში 600-ზე მეტი იყო, რომლებიც აერთიანებდნენ დაახლოებით 2 მილიონ კაცს.

დასავლეთ გერმანიის არმიის სათავეში აყენებდნენ ჰიტლერულ არმიის ყოფილ გენერლებს, მაგალითად, ჰიტლერელთა ყოფილი გენერალი ჰოიზენგერი დაინიშნა შეიარაღებული განყოფილების, ანუ (გენერალური შტაბის) უფროსად, ხოლო გენერალი რეტინგერი — ბუნდესვერის ქვეითი ჯარების განყოფილების უფროსად.

შეიარაღებული ძალების შექმნასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგმა 1956 წლის ივლისში მიიღო საყოველთაო სამხედრო სამსახურის კანონი, რომლითაც სამხედრო ვალდებულად ცხადდებოდნენ მამაკაცები 18-დან 45 წლის ასაკამდე, ომის დროს კი — 60 წლამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ასეთი რაოდენობის შემთხვევაში სამხედრო სამსახური მოიცავს 12 მლნ-ზე მეტ გერმანელს.

§ 49. ეკონომიკური განვითარება და ქვეყნის მილიტარიზაცია 50—60-იან წლებში

50-იანი წლების შუა პერიოდიდან მრეწველობის განვითარება გფრ-ში კვლავ სტაბილურობით ხასიათდებოდა, მაგრამ თუ 1951—1955 წლებში სამრეწველო პროდუქციის ზრდა ყოველწლიურად საშუალოდ 12,3%-ს შეადგენდა, 1956—1960 წლებში იგი უდრიდა 6—7%-ს, 1961—1972 წლებში — 5,1%-ს, ე. ი. ზრდა მკვეთრად დაეცა.

1971—1975 წლებში სამრეწველო წარმოების ინდექსი შემდეგნაირ სურათს იძლევა (1970 წ. — 100).

1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
102	106	113	111	102

სამრეწველო განვითარების ტემპებით გფრ წინ უსწრებდა აშშ-სა და ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს. 1951—1972 წწ. გფრ-ის სამრეწველო წარმოების მოცულობა 4,5-ჯერ გადიდდა.

1960 წლისათვის გფრ კაპიტალისტურ სამყაროში აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილზე გამოვიდა სამრეწველო წარმოების მოცულობით, ექსპორტით და ოქროს ვალუტის რეზერვებით. 1960 წლისათვის გფრ-ზე მოდიოდა „საერთო ბაზრის“ (რომლის წევრი გფრ გახდა

1958 წლიდან) ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის მთელი წარმოების 44%.

მაგრამ ვინაიდან სამოციან წლებში ეროვნული პროდუქციის მატების ტემპები თანდათანობით შემცირდა, გფრ-ს წინ გაუსწრო იაპონიამ, რის შემდეგ 1970 წლიდან გფრ-მა მესამე ადგილზე გადაინაცვლა კაპიტალისტურ სამყაროში სამრეწველო წარმოების მოცულობით. ამასთანავე გფრ-ის ინდუსტრიული ზრდა ცალმხრივი ხასიათისა იყო და ძირითადად მძიმე მრეწველობაში შეიმჩნეოდა, რასაც მოჰყვა ცვლილებები მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში.

გფრ-ის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა
1970—1972 წლების ფასებით %%-ში

დარგები	დარგების ხვედრითი წონა ეროვნულ პროდუქციაში		დასაქმებულთა ხვედრითი წონა დარგების მიხედვით	
	1960 წ.	1970 წ.	1960 წ.	1970 წ.
სოფლისა და ტყის მეურნეობა	5,7	3,1	13,7	8,8
ენერგეტიკა, მომპოვებელი და დამმუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	54,5	54,2	47,9	48,7
დანარჩენი	39,8	42,7	38,4	42,5

მთლიანად მომპოვებელი მრეწველობის ხვედრითი წონა 1936—1971 წწ. 8,2%-დან 3,9%-მდე დაეცა, დამმუშავებელი მრეწველობისა კი 85,8%-დან 90,5%-მდე ამაღლდა.

საყურადღებოა, რომ ტრადიციული დარგების სულ უფრო დიდი ნაწილი იწყებს ჩამორჩენას. მაგალითად, მრეწველობის 14 დარგიდან 50-იანი წლების დამლევიდან 60-იანი წლების დამლევამდე ხვედრითი წონა საერთო ეროვნულ წარმოებაში შეამცირა 9 დარგმა, 5 კი გაზარდა. ამ ხუთი დარგიდან ფაქტობრივად თავისი ხვედრითი წონა გაზარდა მხოლოდ ორმა (ნავთობდამმუშავებელმა მრეწველობამ და პლასტმასების წარმოებამ), რომლებიც მაღალმზარდი დარგებია. მათი ხვედრითი წონა გაიზარდა 2—3-ჯერ. ამასთანავე ზრდა ამ დარგებისა მიმდინარეობდა კრიზისების დროსაც. სამმა დანარჩენმა დარგმა: ქიმიამ, ელექტროტექნიკამ, საავტომობილო მშენებლობამ — თავისი ხვედრითი წონა 1956—1962 წლებში გაზარდეს 20—30%-ით. მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისიდან მათი ხვედრითი წონა მრეწველობის საერთო ბრუნვაში ერთ დონეზე იყო სტაბილიზებული.

წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი გფრ-ში გაძლიერდა 60-იანი წლების დამდეგიდან, მანამდე კი, კერძოდ 50-იანი წლების შუა ხანებამდე, გფრ-ის მონოპოლიებმა ქვეყნის ეკონომიკაში თავიანთი ომამდელი პოზიციები მთლიანად აღადგინეს.

გფრ-ის შექმნის მომენტიდან სახელმწიფო თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში ახორციელებდა ღონისძიებებს ფინანსური კაპიტალის ადრე არსებული სტრუქტურის აღორძინებისათვის. ამ მიზნით გამოიცა: 1949 წელს „დაუყოვნებლივ დახმარების ფონდის კანონი", 1951 წელს „საინვესტიციო დახმარების კანონი", 1952 წელს „დატვირთვის გათანაბრების კანონი", 1954 წელს „ეკონომიკაზე მთავრობის ზემოქმედების საინვესტიციო პროგრამა". ყველა ამ კანონის მთავარი ამოცანა იყო შეღავათებისა და სახსრების მიცემა კონცერნებისათვის. 60-იან წლებამდე წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია ხორციელდებოდა უმთავრესად უკვე არსებული საბრეწველო კონცერნებისა და დიდი ბანკების საფუძველზე. ჩატარდა ტრადიციული მონოპოლიების ე. წ. რეორგანიზაცია და გამსხვილება, რომელიც ძირითადად შეეხო მეტალურგიულ მრეწველობას, ქიმიურ კონცერნ „იგ ფარბენინდუსტრიას" და სამ დიდ ბანკს. ეს „გამსხვილება" და „რეორგანიზაცია" არ ეხებოდა კერძო საკუთრებას და, მაშასადამე, მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის საფუძველს. უნდოდათ, შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება თითქოს პოტსდამის შეთანხმება სრულდებოდა, სინამდვილეში კი ხორციელდებოდა ფინანსური ოლიგარქიის შენარჩუნების პოლიტიკა.

შემთხვევითი არაა, რომ 50-იან წლებში ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებაში წამყვანი პოზიციები დაიკავეს ტრადიციულმა კონცერნებმა „ტისენმა", „ხეშმა", „კრუპმა", „მანესმანნმა" და „კლეკნერმა". ქიმიურ მრეწველობაში წამყვანი ადგილი დაიკავა „იგ ფარბენინდუსტრიის" სამმა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულმა მემკვიდრე კონცერნებმა: „ჰეჰსტმა", „ბაიერმა", „ბასფმა". ელექტროტექნიკურ მრეწველობაში თავიანთი პოზიციები შეინარჩუნეს კონცერნებმა: „სიმენსმა", „აეგმა", „ბოშმა"; საავტომობილო მრეწველობაში — „დიდმა ხუთეულმა": „ფოლკსვაგენმა", „დაიმლერ-ბენეცმა", „ოპელმა", „ფორდმა" და „ბმვემ".

1952 წლის კანონით გფრ-ის ტერიტორია სამ საბანკო რაიონად (ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთის) დაიყო, რომლებშიც თითოეულს ამ სამი დიდი ბანკიდან ერთი მემკვიდრე ჰყავდა.

ამრიგად, 60-იანი წლების დასაწყისისათვის წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ ომამდელ დონეს მიაღწია. ხოლო 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან სამრეწველო საწარმოების კაპიტალი (50 მლნ. მარკაზე ზემოთ) იზრდებოდა 2-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე 60-იანი წლების პირველ ნახევარში. 1970 წლისათვის 304 მსხვილმა საწარმომ, რომლებიც მთელი საწარმოების 0,5% შეადგენდა, თავის ხელში მოაქცია მრეწველობის მთელი ძირითადი კაპიტალის 60%.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან გფრ-ში მკვეთრად ძლიერდე-

ბა კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესი მსხვილი კონცერნების გაერთიანების ფორმით.

1966 წლის დამლევს ხელისუფლების სათავეში ჩამდგარმა „დიდი კოალიციის" (ქდკ — ქსკ — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) მთავრობამ ოფიციალურად წამოაყენა კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროგრამა. ფ. შტრაუსი და კ. შილერი იყვნენ 1967 წელს გამოცემული კანონის ინიციატორები, რომელიც ითვალისწინებდა გაერთიანების შემთხვევაში შეღავათებს გადასახადებში. ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე დიდი გაერთიანებები სწორედ ამ დროიდან იწყება.

კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის ფორსირებული პროცესი „მცირე კოალიციის მთავრობის (ს/დ. თავისუფალ დემოკრატთა კავშირი) ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრი კ. შილერი და სახელმწიფო მდივანი ხ. არნდტი ძალებს არ იშურებდნენ გფრ-ის ეკონომიკის მონოპოლიზაციის პროცესის ხელის შეწყობისათვის, უკანასკნელ წლებში მონოპოლიზაციის პროცესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები მიიღო, რის გამოც კ. შილერს შეარქვეს „კონცენტრაციით შეპყრობილი მინისტრი".

ბურჟუაზიული ეკონომისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოს „მსხვილი კორპორაციები" - სახელმწიფოსთან ერთად ქმნიან „ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებას", რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს კაპიტალიზმთან. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" ამ ილუზიების დანერგვით მმართველ წრეებს ეგონათ სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ კონტრპროგრამა გამონახეს. მაგრამ 60-იანი წლების დამდეგს სინამდვილეში მონოპოლიზაცია გფრ-ში, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მიმდინარეობდა მსხვილი ფირმა-კონცერნებიდან გადასვლით დარგობრივამდე, შემდეგ მთელ ეროვნულ მეურნეობამდე და, ბოლოს, საერთაშორისო მონოპოლიზაციამდე. ამრიგად, მონოპოლიზაციის პროცესი გამოდის ეროვნული ჩარჩოებიდან და იწვევს საერთაშორისო მონოპოლისტური გაერთიანებების შექმნას. დასავლეთ ევროპის მონოპოლიებს შორის წამყვანი ადგილი უკავიათ გფრ-ის მონოპოლისტებს. მაგალითად, 1969 წელს, გფრ-ის შვიდი მსხვილი საწარმოს რეალიზაციის თითქმის ნახევარი თანხა საზღვარგარეთზე მოდიოდა. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო კონცერნები ამჟამად ვითარდებიან არა მარტო ფილიალების შექმნით, ანდა აქციების შეძენით, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლისტური გაერთიანებების შერწყმითაც. მაგალითად, 60-იანი წლების მეორე ნახევარში შეიქმნა გაერთიანებანი გფრ-ის კონცერნის „ჰეშის" და ჰოლანდიის „ჰოოგოვენსის", რომელნიც ფოლადის წარმო-

ებით არიან დაკავებული. თვითმფრინავების მშენებლობის დარგში გაერთიანდნენ გფრ-ის და ჰოლანდიის კონცერნები, ატომისა და სამხედრო მრეწველობის დარგებში შეიქმნა დასავლეთ ევროპის მრავალეროვანი ჯგუფები, რომლებშიც მონაწილეობენ გფრ-ის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიისა და იტალიის კონცერნები.

საერთაშორისო სამრეწველო კონცერნებთან ერთად ანალოგიური მონოპოლიები იქმნება საკრედიტო სფეროში. საბანკო მონოპოლიების ეროვნული ჩარჩოებიდან გამოსვლამ ამ ბოლო დროს მიიღო ინტენსიური ხასიათი და ყველა ამ პროცესში გფრ-ს წამყვანი ადგილი უკავია [1].

1976 წლის ნოემბრის ბოლოს გფრ-ში გამოქვეყნდა უდიდესი სამრეწველო კონცერნების ნუსხა, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ დასავლეთ გერმანიის ეკონომიკაში. ამ რეესტრებში შეტანილია 115 მონოპოლია, რომლებიც ქმნიან ე. წ. „მილიარდერთა კლუბს", რომლის საერთო ბრუნვა თითქმის 500 მლრდ. მარკას აღწევს. ეს ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა მთელი ბრუნვის 68%-ს შეადგენს.

ნუსხაში პირველი ადგილი უჭირავს ელექტროქიმიურ კონცერნს „ფებას", რომლის წლიური ბრუნვა 25 მლრდ. მარკაა, მეორე ადგილზეა ტისენის ფოლადსასხმელი მონოპოლია, მესამეზე — ქიმიური ფირმა „ჰესსტი".

ელექტროტექნიკური მონოპოლია „სიმენსი", რომელსაც ნუსხაში მე-6 ადგილი უჭირავს, ყველას უსწრებს მის საწარმოებში დასაქმებულთა საერთო რიცხვით (300 ათასამდე კაცი).

1974—1975 წლების ეკონომიკური დაქვეითების პერიოდში ყველაზე მეტად დაზარალდა გფრ-ის საავტომობილო მრეწველობა. ამის გამოა, რომ „ფოლკსვაგენის" კონცერნი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა „მილიარდერთა კლუბს", ახლა მხოლოდ მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა.

გფრ-ის კაპიტალს მტკიცე პოზიციები უკავია მსოფლიო ბაზარზეც. დასავლეთ გერმანიის რვა კონცერნი მსოფლიოს 30 უდიდესი მონოპოლიის რიცხვში შედის.

გფრ-ის ეკონომიკური წარმატებები 50—60-იან წლებში ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა მონათლეს „ოქროს ხანად". „საყოველთაო აყვავების" და სოციალური „სიმშვიდის" პერიოდად.

დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით გფრ-ში ფაქტობრივად არ განხორციელებულა რაიმე მნიშვნელოვანი ნაციონალიზაცია. სახელმწიფოს ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალ-

---

[1] 1973 წელს 50 საერთაშორისო კერძო ბანკი არსებობდა.

ში ძირითადად მოხმარებაზე მოდის. ამ შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის როგორც დამკვეთი და საქონლის მომხმარებელი. სახელმწიფო იხმარს მთელი ეროვნული პროდუქციის 1/6.

გფრ-ში სახელმწიფოს საკუთრებაშია: მიწის ცალეული ნაკვეთები[1], რკინიგზები, შარაგზები, ფოსტა, ენერგეტიკა, საკრედიტო დაწესებულებების დიდი ნაწილი, რიგი სამრეწველო საწარმოები[2]. ზოგიერთ დარგში სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო სექტორის ძირითადი რგოლებია: ცენტრალური საემისიო ბანკი, შემნახველი სალაროები, სპეციალური ბანკები, კომერციული ბანკები და ა. შ. უურადღებას იპყრობს გფრ-ის სახელმწიფოს მონაწილეობა საერთაშორისო სავალუტო ფონდებსა და ევროპულ ფონდებში, სადაც მას საკმაოდ დიდი თანხა — 4,8 მლრდ. მარკა აქვს დებანდებული. გფრ-ის სახელმწიფო მონაწილეობს აგრეთვე: რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკში, განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციაში, ევროპის საინვესტიციო ბანკში, საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციაში, აზიის განვითარების ბანკში და ა. შ.

ცვლილებები სოციალურ სტრუქტურაში. ბურუუაზიული პარტიების კლასობრივი სახე. 1950 წლიდან 1969 წლამდე დაქირავებული შრომის ხვედრითი წონა შრომისუნარიან მოსახლეობას შორის გაიზარდა 70,9%-დან 82%-მდე. (15,63 მლნ-დან 21,84 მლნ-მდე), ხოლო მესაკუთრეთა რაოდენობა, ხელოსნიდან დაწყებული მსხვილი კაპიტალისტით დამთავრებული, შემცირდა 3,26 მლნ-იდან 2,29 მლნ-მდე, ანუ 42%-ით.

წვრილი და საშუალო მესაკუთრეების გაკოტრების პროცესი თანამედროვე გფრ-ში ფართო ხასიათს ატარებს, საშუალოდ ყოველწლიურად შეადგენს 120—150 ათას კაცს, რომლებიც დაქირავებული შრომის კატეგორიას ემატებიან.

მნიშვნელოვნად იზრდება აგრეთვე დაქირავებული შრომის კატეგორიაში ახალგაზრდობის ხვედრითი წონა. 1969 წელს 5 მლნ. ახალგაზრდიდან 25 წლის ასაკამდე 4,84 მლნ. დაქირავებულ შრომას ეწვოდა. დაქირავებული შრომის კატეგორიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა ხვედრითი წონაც. ქალთა რაოდენობა 60-იანი წლების მეორე

---

[1] სახელმწიფოს ხელშია მიწისა და ტყის მასივები დაახლოებით 333,3 ათასი ჰექტარის რაოდენობით.

[2] სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებია კონცერნი „ფოლკსვაგენი", ალუმინის წარმოების 77%, რკინის მადნის წარმოების 54,3%, მსუბუქი მანქანების 44,5%, გემთმშენებლობის 50,0%, ნავთობის წარმოების 30%, საავიაციო ტრანსპორტის 75% და ა. შ.

ნახევარში შეადგენდა 1/3[1], მაგრამ მათი ხელფასი მამაკაცების ხელფასის მხოლოდ 60%-ს უდრიდა.

დაქირავებული შრომის კატეგორიაში აღმოჩნდნენ მრავალრიცხოვანი გადმოსახლებულნი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და გდრ-დან, რომელთაც პირდებოდნენ სამოთხეს.

გრფ-ში არიან უცხოელი მუშებიც, რომლებიც ყველაზე მძიმე სამუშაოზე მუშაობენ და ყველაზე დიდ ექსპლუატაციას განიცდიან. უცხოელი მუშები ძირითადად ჩამოდიან თურქეთიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან. მაგალითად, 1957 წელს მათი რაოდენობა შეადგენდა 104 ათას კაცს, 1976 წელს კი — 2,5 მლნ. კაცს (ე. ი. 26,5 მლნ. დაქირავებული სამუშაო ძალის 9,4%). ეკონომიკური კრიზისების დროს უცხოელ მუშებს, როგორც წესი, აძევებენ საბუშაოდან და ქვეყნიდან. მაგალითად, 1973 წლის სექტემბრიდან 1975 წლის მარტამდე გფრ-ში უცხოელ მუშათა რაოდენობა 0,5 მლნ. კაცით შემცირდა. საქმე იმაშია, რომ 1973 წლის ნოემბერში გფრ-ის მთავრობამ გამოაცხადა, რომ წყვეტს საზღვარგარეთის მუშების შეკრებას იმის გამო, რომ გფრ-ში ემიგრანტ მუშათა შორის თავი იჩინა უმუშევრობამ.

60-იანი წლების შეორე ნახევარში გფრ-ში შრომისუნარიანი მოსახლეობიდან მუშათა კლასის ხვედრითი წონა შეადგენდა 70%[2], ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული ფენებისა — 15%, ბურჟუაზიის — 3,7%.

მომსახურეობის სფეროში მომუშავე სამუშაო ძალის რაოდენობა გფრ-ში ამ ბოლო დროს განუწყვეტლივ იზრდება.

მაღალი ეკონომიკური კონიუნქტურა გფრ-ის მმართველმა წრეებმა გამოიყენეს ფართო სოციალ-დემაგოგიური პროპაგანდის გაჩაღებისათვის. გფრ-ის მმართველი წრეები ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ მეზობელ გერმანიაში განუწყვეტლივ ხორციელდებოდა ხალხთა მასების მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება, ამიტომ მისი გავლენით და აგრეთვე საგაფიცვო და რევოლუციური მოძრაობის თავიდან აცილებისა და თავისი ქვეყნის პოლიტიკური წყობის სტაბილიზაციის მიზნით რიგ დათმობებზე წავიდნენ მშრომელთა მასების წინაშე. 1950 წელთან შედარებით მუშათა რეალური ხელფასი 60-იანი წლების შუა პერიოდამდე გაორკეცდა, ხოლო 1966—1969 წლებში მუშათა სუფთა ხელფასი გაიზარდა 9,1%. ამასთანავე გაიზარდა სახელმწიფო გადასახადები ხელფასზე, შემოღებულ იქნა

---

1 დაქირავებულ შრომას ეწეოდა 14,5 მლნ. მამაკაცი და 7,3 მლნ. ქალი.

2 მუშათა კლასს თავისი მდგომარეობით უახლოვდება დაქირავებული სამუშაო ძალა, რომელშიც შედის მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკური და სამეცნიერო ინტელიგენციის ფენების მნიშვნელოვანი ნაწილი.

40 საათიანი სამუშაო კვირა, ყოველწლიური 3 კვირიანი ფასიანი შვებულება, გაიზარდა პენსიები, (იგი ფასების ზრდასთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ გაიზარდა). გაიზარდა დახმარებები მარტოხელა ქალებისათვის და აგრეთვე ბავშვთა რაოდენობის მიხედვით და ა. შ. მაგრამ ფასების განუწყვეტელი ზრდის კითარებაში ხელფასების ზრდა მინიმუმამდეა დაყვანილი და იგი არ იწვევს მშრომელთა მასების მდგომარეობის განუწყვეტელ ზრდას. მაგალითად, ფასების საშუალო ყოველწლიური მატება 1961 — 1965 წლებში უდრიდა 2,9%, 1966—1970 წლებში — 2,5%, 1971 — 1975 წლებში კი — 6%.

კაპიტალისტური წყობილების საფუძვლების განმტკიცების მიზნით, ფედერალური მთავრობა ხელს უწყობს მილიონობით დასავლეთ გერმანელს, მათ შორის მუშებს, აქციების წვრილ მფლობელებად იქცნენ და ამით უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გარკვეული მონაწილეობა მიიღონ მრეწველობის მოგებებში. ასეთი კურსი მთავრობის სოციალურ-დემაგოგიურ პოლიტიკად გადაიქცა და მას „საკუთრების გავრცელებას“, „მუშათა შორის საკუთრების შექმნას“ უწოდებენ.

გფრ-ში მოხმარების დონის ზრდა პროლეტარიატს შორის ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობდა, რაც დაკავშირებული იყო ცხოვრების თავისებურებასთან, რომელიც აქ შეიმჩნეოდა. გერმანელმა სოციოლოგებმა სხვადასხვა ტერმინით მონათლეს ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. 50-იანი წლების შუა პერიოდამდე გფრ-ის მშრომელები ცდილობდნენ ომისა და ომის შემდგომ პერიოდში გადატანილი ქრონიკული შიმშილის კომპენსირებას და ამ პერიოდს „სიმაძღრის ტალღას“ (1951—1952 წწ.) და „ჩაცმის ტალღას“ (1952—1953 წწ.) უწოდებენ. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება მოსახლეობის გადასვლა ხანგრძლივი მოხმარების საგნებისა (მაცივრები, ტელევიზორები, ავეჯი და ა. შ.) და ბინის შეძენაზე. ამას ეწოდა „საოჯახო ქონების შეძენის ტალღა“. 60-იანი წლების დასაწყისში ტურიზმის მასობრივ გავრცელებასთან დაკავშირებით გაიზარდა ხარჯები დასვენებასა და ტრანსპორტზე, რის გამოც ამ პერიოდს ეწოდა „მოგზაურობის ტალღა“. 60-იან წლებში გაიზარდა საქონლის ასორტიმენტის რაოდენობა, მაგრამ ხარჯების დიდი ნაწილი მოდიოდა ავტომანქანების შეძენასა და ამასთან დაკავშირებულ ექსპლუატაციის ხარჯებთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ხარჯები ბინის მოწყობაზე, განათლებაზე[1], დასვე-

---

[1] ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებით გფრ-ში 1966—1970 წლებში 7,5 მლნ-მა მშრომელმა, ე. ი. შრომისუნარიანთა ყოველმა მესამე წარმომადგენელმა შეიცვალა პროფესია ან კვალიფიკაცია აიმაღლა, 1971—1975 წლებში კი — დაახლოებით 5.2 მლ-მა კაცმა. სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე მაღალია—1,1-დან 2,5%-მდე გაიზარდა, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა განვითარებულ ქვეყნებს (აშშ-ში—5,3%, საფრანგეთში — 5%, ინგლისში — 4,2%, იაპონიაში — 5% და ა. შ.).

ნებასა და გართობაზე. ბუნებრივია, რომ ხანგრძლივი მოხმარების საგნების შეძენისათვის მუშის ოჯახი იძულებული ხდება მკვეთრად შეამციროს სხვა სახის ხარჯები, კერძოდ კვების, კულტურული დასვენებისა და ა. შ. ხანგრძლივი მოხმარების საგნების შეძენისას მუშათა ოჯახი მიმართავდა კრედიტს, რის გამოც ასეთი სახის საკრედიტო ვალებით გფრ-მა ბევრად გაუსწრო ევროპის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს.

1969 წელს პროფკავშირების ზეგავლენით გფრ-ის ბუნდესტაგმა მიიღო კანონი პროფესიული განათლების შესახებ, მაგრამ იგი არაა სრულყოფილი და არ მოიცავს ყველა მსურველს.

ფართო სოციალური დემაგოგიის მეშვეობით და მაღალი კონიუნქტურის წყალობით ქრისტიან-დემოკრატიულმა — ქრისტიან-სოციალურმა კავშირმა 20 წლის განმავლობაში შეძლო ხელისუფლების სათავეში შეუცვლელად ყოფნა. ადენაუერმა თავისი პარტია ხალხთა პარტიად გამოაცხადა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ პარტიამ შეძლო თავის მხარეზე მიემხრო ბურჟუაზიის ყველა ფენისა და მშრომელთა მასების უმრავლესობა. ფაქტობრივად კი ადენაუერის პარტია მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესების ამსახველი პარტია იყო. გფრ-ის მონოპოლისტური ჯგუფები სწორედ ამ პარტიის კლერიკალიზმზე დაყრდნობით ცდილობდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას. გფრ-ში ბურჟუაზიულ-პარლამენტური მექანიზმი 20 წლის განმავლობაში ამ პარტიის მთლიან მორჩილებაში იყო[1]. ეს პარტია, იცავდა რა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს, ამასთანავე ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ გავლენას მოსახლეობის ფართო ფენებზე, მათ შორის მშრომელთა ნაწილზე; ამ პარტიის გავლენა ამომრჩევლებზე არა მარტო ამ პარტიის სოციალური დემაგოგიის; არამედ აგრეთვე სასულიერო პირების, განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესიის, ქადაგების შედეგიც იყო, რომელნიც თავიანთ მრევლს მოუწოდებდნენ, რომ ხმა მიეცათ ადენაუერის პარტიისათვის. აღნიშნული მიზეზებისა და აგრეთვე მაღალი საშეურნეო კონიუნქტურის და ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების შედეგად, რასაც პარტია თავის „გონივრულ ხელმძღვანელობას" მიაწერდა, ადენაუერის პარტია მნიშვნელოვან

---

[1] ქდკ 1973 წელს თავის რიგებში 450 ათას წევრს აერთიანებდა, აქედან 70% კათოლიკები არიან, 25% — ევანგელები. სოციალური ნიშნის მიხედვით ქდკ წმინდა ბერჟუაზიული ხასიათისაა — 30% მეწარმეები და თავისუფალი პროფესიის პირები არიან, 24% — მოსამსახურეები, 13% — მოხელეები, 12% — მუშები. ქდკ-ის ყრილობამ (1973 წ. ივნისში) აირჩია პარტიის ფედერალური გამგეობა და ფედერალური პარტიული კომიტეტები. პარტიის მართვას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი. პარტიის თავმჯდომარეა ჰედმუდ კოლი, ბუნდესტაგში პარტიის ფრაქციის თავმჯდომარეა კარლ კარსტენსი.

წარმატებებს აღწევდა არჩევნების დროს. მაგალითად, 1949 წელს ქდ კავშირმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 32,1%, 1953 წელს — 46,2%, 1957 წ. — 50.7%. შემდეგ იწყება თანდათანობით დაქვეითება და ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის ამ პარტიისაგან ჩამოშორება. მაგალითად, 1961 წელს პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 45,3%, 1965 წელს — 47,6%, 1969 წ. — 46,1%, 1972 წელს — ვადაზე ადრე ჩატარებულ არჩევნებში კი — 44,9%. ამ პარტიის მოკავშირის — ქრისტიან-სოციალური კავშირის პოზიცია აღნიშნულ არჩევნებში შედარებით მყარი იყო და უცვლელი რჩებოდა. 50—60-იან წლებში პარტიისათვის ამომრჩევლების მიერ მიცემული ხმები საშუალოდ 9,5% უდრიდა [1].

გფრ-ში ამკარა ულტრამემარჯვენე რეაქციული ძალები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ შეექმნათ თავიანთი პარტია. ჯერ კიდევ 1946 წლის ივლისში ჩრდილოეთ გერმანიის მიწებზე, შემდეგ კი რაინ-ვესტფალიასა და ჰესენში შეიქმნა ულტრარეაქციული ჯგუფი გერმანელთა მემარჯვენე პარტიის სახელწოდებით, რომელმაც თავისი თავი კონსტიტუციური მონარქიული წყობილების მომხრედ გამოაცხადა. 1950 წელს იგი შეუერთდა გერმანიის საიმპერიო პარტიას. 1964 წლის ნოემბერში კი ამ პარტიამ შექმნა ახალი ნეოფაშისტური პოლიტიკური ორგანიზაცია — გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (ნდპ). მართალია, ნდპ არ გადაქცეულა მასობრივ პარტიად [2], მაგრამ გფრ-ის ოლქებში ლანდტაგის არჩევნებში 1966—1968 წწ. მისი ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად გაიზარდა[3].

1969 წელს ნდპ წარმოდგენილი იყო გფრ-ის 7 ოლქის ლანდტაგებში 61 დეპუტატის მანდატით. ბუნდესტაგის 1969 წლის არჩევნებში ნდპ მიიღო 4,3% (1965 წ. კი — 2,1%), მაგრამ პარლამენტში გასვლა მან ვერ მოახერხა. 1972 წლის არჩევნებში ნდპ მიიღო მხოლოდ 207 ათასი ხმა, ე. ი. ამომრჩეველთა ხმების 0,6%, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ პარტიამ შეწყვიტა არსებობა. მან დროებით უკან დაიხია და ხელსაყრელ მომენტს უცდის თავისი რეაქციული საქმიანობის შემდგომი გაჩაღებისათვის.

რაც შეეხება ბურჟუაზიულ ცენტრისტულ-თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, 1966 წლამდე იგი მონაწილეობდა ადენაუერის თით-

---

1 1949 წ. — 5,8%, 1953 წ. — 8,6%, 1957 წ. — 10,5%. 1961 წ. — 9,6%, 1969 წ.— 9.5%, 1972 წ. — 9,7%, 1970 წლისათვის პარტია აერთიანებდა 120 ათას წევრს. ამ პარტიის ლიდერები შტრაუსის მეთაურობით აშკარა რეაქციულ პოზიციებზე დგანან საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

2 1969 წელს ეს პარტია აერთიანებდა 44 ათას წევრს.

3 ჰესენში მან მიიღო 7,9% ხმა, ბავარიაში — 5,8%. რაინლად-ფფალცში—6,9%, შლეზვიგ-ჰოლშტეინში—5,8%, ქვედა საქსონიაში — 7%, ბრემენში — 8,8%. პარტიის თავმჯდომარეა მარტის მუსგნუგი.

ქმის ყველა მთავრობაში. ამ პარტიის ხელმძღვანელობა უფრო მემარჯვენე ფრთის ხელში იყო და ამიტომ ეს პარტია საშინაო პოლიტიკაში გამოდიოდა მუშათა მოძრაობისა და პროფკავშირთა მოთხოვნების წინააღმდეგ. მან თავისი თავი „მარქსიზმისა და სოციალისტური ექსპერიმენტების" მოწინააღმდეგედ გამოაცხადა (1957 წელს მიღებულ პროგრამაში). ამით აიხსნება ის ამბავი, რომ ეს პარტია ვერ ზრდიდა გავლენას ამომრჩევლებზე და ვერ აღწევდა წარმატებებს[1]. 1969 წლიდან პარტია მონაწილეობს კოალიციაში სოციალ-დემოკრატებთან. საქმე იმაშია, რომ ამ დროისათვის აღნიშნული პარტიის ხელმძღვანელობა გადავიდა მემარცხენეების ხელში და მან აიღო რეალისტური საგარეო პოლიტიკის კურსი.

ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკურ ძალას ქვეყანაში წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტია. მას მხარს უჭერს მუშათა კლასის დიდი ნაწილი, პროფკავშირები და აგრეთვე წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ფენები. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამ პარტიამ მკვეთრად იწყო მარჯვნივ შემობრუნება. 1959 წელს პარტიის მიერ მიღებული პროგრამა (ბად-გოდესბერგში) აშკარა რეფორმისტული ხასიათისაა. იგი კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე ხელშეუხებლად აცხადებს. პროგრამა უარს ამბობს მარქსიზმზე, კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარულ რევოლუციასა და პროლეტარულ დიქტატურაზე. პარტიის მიზნად გამოცხადებულია „დემოკრატიული სოციალიზმი". რომლის იდეურ წყაროებად მიჩნეულია „ქრისტიანული ეთიკა", „ჰუმანიზმი", „კლასობრივი ფილოსოფია": ამ ყრილობის შემდეგ ჩატარდა „წმენდა" პარტიის რიგებისა და პარტიიდან კლასობრივი ბრძოლის ყველა მომხრე გარიცხეს.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ჩვეულებრივ მმართველ ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ფაქტობრივად ყოველგვარი ზღვარი წაიშალა. 1973 წლის აპრილში ამ პარტიის ყრილობამ ჰანოვარში იგი გამოაცხადა „სახალხო პარტიად"[2].

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პარტია თავის რიგებში ძირი-

---

[1] ამ პარტიის სოციალური ბაზა ძალზე ვიწროა, იგი უმნიშვნელო გავლენით სარგებლობს წვრილ და საშუალო მენარმეებს, მოხელეებსა და მოსამსახურეებს შორის, რომელთა ინტერესების ამსახველად აცხადებს თავის თავს და მათი ინტერესების შესაბამისად მოითხოვს მხარეული კაპიტალის პოზიციების შესუსტებას. 1949 წელს მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 11,9%; 1953 წ. — 9,5%; 1957 წ. — 7,7%; 1961 წ. — 12,8%; 1965 წ. — 9,5%; 1969 წ. — 5,8%; 1972 წ.—8,4%. (მიიღო 41 მანდატი ნაცვლად 30 მანდატისა 1969 წელს). პარტიის ხელმძღვანელებია გ. ჰენშერი, ბეელი და ვ. მიშნეკი.

[2] ს დ პ თავის რიგებში 1 მილიონ წევრს აერთიანებს. პარტიის თავმჯდომარეა ვილი ბრანდტი, ცენტრალური ორგანოა ყოველკვირეული გაზეთი „ფორვერსტი" („წინისაკენ").

თადად მაინც „სამუშაო ძალის" წარმომადგენლებს ა ე რ თ ი ა-ნ ებ ს[1]. ამიტომ იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამას და წამოაყენოს მათი ინტერესების შესაბამისი მოთხოვნები, რათა ამ ფენებზე თავისი გავლენა შეინარჩუნოს. ამიტომაა, რომ ეს პარტია მხარს უჭერდა პროფკავშირების მოთხოვნებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ხელფასის მომატება, გადასახადების შემცირება მშრომელებზე და გაზრდა მსხვილ კაპიტალზე, პენსიების გაზრდა, შრომის პირობების გაუმჯობესება. მუშათა კლასის პარლამენტული წარმომადგენლობის უფლებების დაცვა საწარმოებში არსებულ წარმომადგენლობათა კომიტეტებში. ასეთი მოთხოვნებისათვის მხარდაჭერის შედეგი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატებმა რიგ არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს[2], მაგრამ მიუხედავად ამისა 1967 წლამდე სოციალ-დემოკრატები „მუდმივი ოპოზიციის" მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

§ 50. ევროპის მილიტარიზაციის კურსი. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების გაზრდა

პარიზის შეთანხმებების რატიფიკაციის შემდეგ გფრ-ში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების გაზრდა სწრაფი ტემპით წავიდა წინ. ბუნდესვერის პირველი შენაერთები უკვე 1956 წელს შეიქმნა. მალე ამას მოჰყვა საყოველთაო სამხედრო-სავალდებულო სამსახურის შემოღება, სამხედრო სამინისტროს შექმნა და ა. შ.

გფრ-ში აღორძინდა მილიტარისტული ეკონომიკის ბაზა სამხედრო-სამრეწველო კონცერნების სახით, აგრეთვე გავლენიანი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შეიდნენ ის საქმოსნები, რომლებიც წარსულში ჰიტლერულ აგრესიას აფინანსებდნენ.

გფრ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსიც თავდაპირველად იფარგლებოდა იარაღის საშინაო ბაზრის მიტაცებით და უხმაუროდ ავიწროებდა ოკუპანტისგადმელ კოლეგებს. შემდეგ გფრ-ის წელში გამართულმა მონოპოლიებმა შეაღწიეს თავიანთი ნატოელი მოკავშირეების

---

[1] ეს აშკარად ჩანს სდ პარტიის რიგითი წევრების შედარებისას ქდკ/ქსკ პარტიის წევრებთან. 1968 წლის მონაცემებით დადგინდა, რომ სდპ-ის წევრების 31% შეადგენდნენ 800 მარკაზე დაბალი ხელფასის მქონენი, ხოლო ქდკ-ის წევრების — 15%. 1400 მარკაზე მეტი ხელფასის მქონენი სდპ-ის წევრების 17% შეადგენენ, ქდკ-ისა კი — 34% (ასეთი კატეგორიის — 12%). ის პირები, რომელნიც დაქირაებული შრომით არ ცხოვრობენ, სდპ-ის წევრების მხოლოდ 6% შეადგენდნენ, ხოლო ქდკ-ის — 31%. მოსამსახურეები სდპ-ში — 23%, ქდკ-ში — 27%. მოხელეები სდპ-ში — 5%. ქდკ-ში — 18%, მუშები სდპ-ში — 47%, ქდკ-ში — 13%.

[2] ბუნდესტაგის არჩევნებში სდპ-მ მიიღო ამომრჩეველთა ხმები: 1949 წელს — 29.2%, 1953 წ. — 28,8%, 1957 წ. — 31,8%, 1961 წ. — 36,6%, 1965 წ. — 39,9%, 1969 წ. — 42,7%, 1972 წ. — 45,8%.

იარაღის ბაზრებში და ჩაებნენ გააფთრებულ ბრძოლაში არა მარტო ამერიკელი, არამედ ფრანგი, ბრიტანელი და იარაღის სხვა მომწოდებლების წინააღმდეგ. ახლა, როცა თავის მზარდ ძალას გრძნობს, გფრ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ახორციელებს ქმედითს ექსპანსიას სხვა ქვეყნებში და ნატოს ფარგლებს გარეთაც — აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში. გფრ უკვე დაწინაურდა კაპიტალისტურ საკუთრებაში იარაღის მეოთხე ექსპორტიორის ადგილზე.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ჩარჩოებში განვითარდა სამხედრო-სამრეწველო მონოპოლისტური კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი, ხდება მისი ერთიან მექანიზმში შერწყმა იმპერიალისტური სახელმწიფოს სამხედრო-ადმინისტრაციულ აპარატთან, იქმნება სამხედრო წარმოების კაპიტალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმები.

1970 წლიდან დაიწყო სამხედრო ეკონომიკის მართვის სფეროს რეორგანიზაცია, რომლის შედეგად უფრო განმტკიცდა სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების კავშირი სამხედრო-ადმინისტრაციულ ბიუროკრატიასთან. 1970 წლის შუა პერიოდში შეიქმნა გფრ-ის „სამხედრო ეკონომიკის პრობლემების საბუთაო კომიტეტი". მის შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღო სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიის 27 წარმომადგენელმა. კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები (თავდაცვის მინისტრი და შეიარაღების საკითხების მთავარი სამმართველოს უფროსი), ბუნდესვერის მაღალი წოდების პირები. ამრიგად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსსა და ბუნდესვერს შორის თანამშრომლობას უფრო მტკიცე ორგანიზაციული ფორმები მიეცა. რეორგანიზაციის შედეგად თავდაცვის სამინისტროში ნაცვლად, „სამხედრო ეკონომიკის" და „სამხედრო ტექნიკის" განყოფილებებისა შეიქმნა შეიარაღების საკითხების მთავარი სამმართველო, რომლის ფუნქციაშია შეიარაღების დაგეგმვა, მართვა და კონტროლი. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ცალკეული შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბების როლი ახალი სისტემის შეიარაღების შემუშავების სფეროში, განმტკიცდა მათი კავშირი მრეწველობასთან და ამით გაფართოვდა შესაძლებლობა გამალებული შეიარაღების დაჩქარებაზე გავლენის მოსახდენად. სამხედრო დაკვეთების განაწილების, ე. ი. იარაღის და სამხედრო ტექნიკის შესყიდვის ცენტრალური ორგანოა სამხედრო ეკონომიკისა და ტექნიკის ფედერალური სამმართველო, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა 20 ათას კაცამდე აღწევს, და რომელსაც ძალზე მჭიდრო კონტაქტი აქვს სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიებთან. სამხედრო ეკონომიკისა და ტექნიკის სამმართველო თავისი დაკვეთებით სამხედრო წარმოების მოცულობას ფაქტობრივად წინასწარ განსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონოპოლიებმა, რო-

დესაც ისინი შეუდგებიან წარმოებას, უკვე იციან საქონლის რეალიზაციის მინიმალური მოცულობის გასალების შესაძლებლობა[1].

ბავარია[2] გადაიქცა (კალიფორნიის მსგავსად აშშ-ში) გფრ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მთავარ ბასტიონად. აქაა ადგილსამყოფელი ქვეყნის წამყვანი სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების შტაბ-ბინებისა, აქ მუშაობენ საწარმოები, რომლებზეც ხვედრითი წონით ყველაზე მეტი სამხედრო დაკვეთები მოდის, აქ არიან ავგრეთვე ქვეყნის ყველაზე რეაქციული ძალები, რომლებიც წარმოადგენენ სამხედრო ბიზნესის მთავარ პოლიტიკურ დასაყრდენს, კერძოდ ქრისტიან-სოციალური კავშირისა ფ. შტრაუსის მეთაურობით.

ბუნებრივია, რომ მთავრობის მუდმივი სამხედრო დაკვეთები ზღაპრულ მოგებებს აძლევენ მსხვილ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მონოპოლიებს. სამხედრო ხარჯების განუწყვეტელი ზრდა მძიმე ტვირთად აწევს გადასახადის გადამხდელებს, იწვევს მათ სამართლიან უკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელება დაიწყო, გფრ-ში სამხედრო ხარჯები კი არ შემცირდა, არამედ სულ უფრო და უფრო იმატებდა. სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიები და რეაქციული წრეები გამალებული შეიარაღების ფორსირებას სულ უფრო ზრდიან. იზრდება სამხედრო ბიუჯეტიც. 1974 წელს სამხედრო ბიუჯეტი გფრ-ში შეადგენდა საერთო ბიუჯეტის 21.6%. 1975 წელს შეადგენდა 35.5 მლრდ. მარკას, 1976 წელს კი 47 მლრდ. მარკამდე გაიზარდა. ამ დროს გფრ-ში სამხედრო წარმოებაში დაკავებული იყო 200 ათასზე მეტი კაცი, ხოლო ბუნდესვერის პირადმა შემადგენლობამ 675 ათას კაცამდე მიაღწია. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1956 წლის მარტში ბუნდესტაგმა მიიღო კანონი ბუნდესვერის „თანამედროვე", ე. ი. ბირთვული იარაღით აღჭურვის შესახებ (სოციალისტებმა ამ კანონის მიღების წინააღმდეგ მისცეს ხმა). მალე ამის შემდეგ, 1960 წელს გამოქვეყნდა გფრ-ის „გენერლების მემორანდუმი", რომელიც მოითხოვდა ბუნდესვერის შეიარაღებას საკუთარი ბირთვული იარაღით, გერმანელი გენერლების გავლენის გაზრდას ნატოში და ქვეყნის მილიტარიზაციას. „მემორანდუმი" თავისი თავხედური მოთხოვნების გა-

---

[1] ამ წინასწარი დაკვეთებით, 1965—1970 წლებში „კრაუს-მაფეის" კომპანიის წარმოებამ გამოუშვა 2700 ტანკი, რომელთა საერთო ღირებულებაა 3 მლრდ. მარკა. მანვე, 1975 წლიდან დაიწყო „ავაზა — II" ტიპის ტანკების სერიული გამოშვება, რომლისთვისაც, ოფიციალური ცნობით, 4 მლრდ. მარკის თანხის დაკვეთა მიიღო. ასეთი დაკვეთები მრავალია სხვადასხვა კონცერნზე.

[2] ბავარიის მოსახლეობა შეადგენს 9,5 მლნ. მცხოვრებს, აქედან 6,8 მლნ. კათოლიკეა. საყურადღებოა, რომ ბავარიის რეაქციის რესურსები ომის შემდგომ შეავსეს გადასახლებულთა რევანშისტულმა ორგანიზაციებმა. აქ გადასახლებულთა ნაკადი ძალზე ინტენსიური იყო, მან შეადგინა მთელი მოსახლეობის 1/4.

მართლებას ცდილობდა აღმოსავლეთიდან „აგრესიის“ საშიშროებით. საყურადღებოა, რომ პარიზის 1954 წლის შეთანხმებით გფრ-მა ვალდებულება იკისრა თავის ტერიტორიაზე არ ეწარმოებინა ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღები. 60-იანი წლების შუა პერიოდში გფრ-ს ჰქონდა მაღალგანვითარებული ატომური მრეწველობა. გფრ-ის მთავრობა წინ აღუდგა ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ და განაცხადა, რომ არასოდეს არ მოაწერს ხელს მასზე. ვინაიდან იგი მიზნად ისახავს გფრ-ის შეიარაღებული ძალების განიარაღებას. მან კვლავ მოითხოვა ბუნდესვერის ბირთვული იარაღით შეიარაღება.

1966 წლის დამლევს „დიდი კოალიციის“ მთავრობამ (ქდუ/ქსუ — სოციალ-დემოკრატიული პარტია) შეაჩერა თავისი პრეტენზიები ბირთვულ იარაღზე. მაგრამ ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ ამ იარაღს დაბატრონებოდა. ამასთანავე ტაქტიკა ამ მიზნის მიღწევისა ენაცვალოდ შეცვალა. კერძოდ, გფრ-ის მთავრობა მოითხოვდა, რათა ამ ხელშეკრულებას ხელი არ შეეშალა მომავალში „ევროპის გაერთიანებული ატომური ძალების“ შექმნისათვის. ამით აიხსნება ის, რომ გფრ-მა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მხოლოდ 1969 წლის ნოემბერში, ე. წ. „მცირე კოალიციის“ მთავრობის დროს. მაგრამ ხელშეკრულების რატიფიკაცია კიდევ დიდხანს გაჭიანურდა იმის გამო, რომ მოწინააღმდეგენი ყოველმხრივ ცდილობდნენ მის ჩაშლას. მხოლოდ 1975 წლის თებერვლის ბოლოს ბუნდესტაგმა ხმების უმრავლესობით — 355 დადებითი და 90 უარყოფითი ხმით — მიიღო გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების რატიფიკაციის მომხრედ მარტო მთავრობის პარტიის უმრავლესობა კი არ გამოდიოდა. არამედ ოპოზიციის ნაწილიც. მალე ამის შემდეგ ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის გადაწყვეტილება მიიღო ბუნდესრატმაც. ამრიგად, რამდენიმე წელიწადს გაჭიანურებული ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცესი დადებითად დასრულდა. საყურადღებოა, რომ გფრ-ის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციას ელოდებოდნენ დასავლეთ ევროპის და აგრეთვე იაპონიის მთავრობები.

შეუერთდა რა აღნიშნულ ხელშეკრულებას, გფრ-მა ვალდებულება იკისრა, არ აწარმოოს და არ შეიძინოს ბირთვული იარაღი და არ მიიღოს არავითარი დახმარება მისი წარმოებისათვის. ხელშეკრულება გამორიცხავს ყოველგვარ შესაძლებლობას ბირთვული იარაღის პირდაპირ ან არაპირდაპირ გავრცელებაზე და ითვალისწინებს კონტროლის საიმედო სისტემას; კონტროლის გაწევა დაეკისრა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს). შეთანხმება კონტროლის შესახებ

გფრ-ში ერთდროულად რატიფიცირებულ იქნა ბუნდესტაგისა და ბუნ-დესრატის მიერ. ეს ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, არ ზღუდავს გფრ-ის უფლებებს, მონაწილეობა მიიღოს ატომური ენერგიის მშვი-დობიანი გზით გამოყენებაში, პირიქით, ხელშეკრულება ამ მხრივ მო-ითხოვს ატომურ დარგში სახელმწიფოთა მშვიდობიანი მიზნებისათვის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის განვითარებას.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მომხრეთა გამარჯვებას გფრ-ში ხელი შეუწყო აგრეთვე საერთაშორისო ურთი-ერთობაში მომხდარმა ცვლილებებმაც, განსაკუთრებით იმ დადებით-მა ძვრებმა, რომლებიც მოხდა ევროპის კონტინენტზე, კერძოდ, ხელ-შეკრულებების დადებამ გფრ-სა და სსრ კავშირს, პოლონეთსა, გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის. მაგრამ ამის შემდეგაც ბუნდესვერის ხსნა სახის იარაღით აღჭურვა მთელი ძალითა და სისწრაფით მიმდინ-არეობს.

ოცი წლის განმავლობაში ბუნდესვერის შეიარაღებისათვის და-ხარჯა 370 მლრდ. მარკა. მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურად-ღებას იპყრობს ის ამბავი, რომ ბუნდესვერი თანამედროვე დამანგრე-ველი ტექნიკით უფრო ძლიერადაა შეიარაღებული, ვიდრე მისი პარ-ტნიორები დასავლეთ ევროპაში, რაც მეზობელი ქვეყნების სამარ-თლიან შეშფოთებას იწვევს. ამ მხრივ დამახასიათებელია საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ'ესტენის 1976 წლის 6 მაისს საფრანგეთის ტელევიზიაში გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადება. მან აღნიშნა, რომ საფრანგეთი უნდა აძლიერებდეს თავის შეიარაღებულ ძალებს იმიტომ, რომ გფრ-ის „ძალზე ძლიერად შეიარაღებულ ძალებს შეუძ-ლიათ წონასწორობა დაარღვიონ ევროპაში".

მართლაც, ოცი წლის განმავლობაში ბუნდესვერი, ოფიციალურად შექმნის მომენტიდან, გადაიქცა ყველაზე ძლიერ არმიად დასავლეთ ევროპაში, ნატოს დამრტყმელ ძალად. ბუნდესვერის მომარაგების, მომსახურების და დაკომპლექტების საქმით დაკავებულია 185 ათასი სამოქალაქო მომსახურე პერსონალი [1].

---

[1] 1975 წლისათვის ბუნდესვერს ჰქონდა 4 ათასი ტანკი, 7 ათასზე მეტი ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა და ჯავშნიანი ტრანსპორტიორი, ათასზე მეტი თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რეაქტიული უმ-ბარებით, 1800 თვითმავალი საზენიტო ქვემეხი, 800-ზე მეტი სხვა სახის თვითმავალი ქვემეხი. ბუნდესვერი შეიარაღებულია ამერიკის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტე-ბით „პერშინგით" და „ლანსით", გამანადგურებლებით „F—4 ფანტომით", საზენიტო მართვადი რეაქტიული უმბარებით, „ნიკაჰერკულესით". ჯარებს განუწყვეტლივ აწვდიან ისეთ ახალ საბრძოლო ტექნიკას, როგორიცაა ტანკი „ლეოპარდ II", ქვეითი ჯა-რების საბრძოლო მანქანები „მარდერი", „მილანი" და ა. შ.

გარდა იმ 15 დივიზიონისა, რომლებიც შეიარაღებულია რაკეტებით—„ონესტ ჯონ" და „სერჟანტი", ბუნდესვერს აქვს აგრეთვე 75 რაკეტა „პერშინგის" დანადგა-

დასავლეთ გერმანიას სამხედრო ხარჯებითა და ჯარის სიძლიერით მეორე ადგილი უკავია ნატოში აშშ-ის შემდეგ. ამიტომ გფრ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნატოს სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების შემუშავებაზე, თავის სასარგებლოდ ანაწილებს შეიარაღების დაკვეთებს. ნატოში შემავალი თითქმის ყველა ქვეყანა ყიდულობს გფრ-ის სამხედრო ტექნიკას. გარდა ამისა, გფრ-ის სამხედრო კონცერნები იარაღს აწვდიან 50 სახელმწიფოს. გფრ-ში დაწყეს ე. წ. „სასწაული იარაღის" წარმოება. ეს არის საფანტის მსგავსი ბომბების ერთ-ერთი სისტემა, რომლისადმი აშშ დიდ ინტერესს იჩენს.

ბუნდესვერის ჯარები განლაგებული არიან და თავისი სამხედრო მიზნებისათვის იყენებენ ნატოს დაჯგუფების საპოლიგონო ცენტრებს. გფრ-ის მფრინავები და მეზღვაურები სწავლობენ და წვრთნას გადიან ამერიკის ბაზებში არიზონაში, სარდინიისა და კრიტოსის კუნძულებზე. გერმანიის ტანკები, წლების განმავლობაში წვრთნას გადიან აგრეთვე კანადის არმიის პოლიგონზე მანიტობში. „ნატოს ჩრდილოეთის ფლანგის დაცვის მიზნით" ბუნდესვერმა, 1977 წ. პირველად ომის შემდეგ მანევრებში მონაწილეობის უფლება მიიღო ნორვეგიის ტერიტორიაზე.

ბუნდესვერის გენერლებმა მიაღწიეს ნატოს ხელმძღვანელთა თანამედებობის ხელში ჩაგდებას, რაც სამართლიან შეშფოთებას იწვევს ყველა მათში, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა.

70-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო ბუნდესვერის ფართო რეორგანიზაციის განხორციელება, რომლის მთავარი მიზანი იყო ჯარების მობილურების და დარტყმის ძალის ამაღლება[1].

1976 წელს ბუნდესტაგმა მოიწონა ბუნდესვერის თანამედროვე იარაღით აღჭურვის ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ტანკსაწინააღმდეგო და საზღვაო ნაწილების გაძლერებას, სამხედრო-საჰაერო ძალების აღჭურვას 324 მრავალსამიზნო გამანადგურებელ „ტორნადოთი". 1978—1980 წლებში ბუნდესვერის საჰაერო ძალებს შეემატებათ 175 „ალფა-ჯეტის" ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი.

რი, 24 კომპლექსური რაკეტა „ლანსი". 400-ზე მეტი ეახლოები ტიპის ბომბდამშენი თვითმფრინავი. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბუნდესვერს დიდი რაოდენობით აქვს ყველა სახის რაკეტები ტაქტიკური ბირთვული იარაღისათვის.

[1] 1975 წლისათვის სახმელეთო ჯარების განკარგულებაში იყო 17 მოტოქვეითი და ქვეითი ბრიგადა, 16 სატანკო და 3 საპარაშუტო სადესანტო ბრიგადა. ამათგან 5 ბრიგადა მობილური დამრტყმელი შენაერთებია, რომელნიც ეალრეკად თანამედროვე შეიარაღებით არიან აღჭურვილი. რეორგანიზაციის შედეგად (რასაც მოჰყვა ახალი შენაერთების შექმნა ქვეით ჯარებში) მნიშვნელოვნად გაიზარდა ტანკების, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების და არტილერიის რაოდენობა.

1975 წელს დაიწყეს სამი ახალი პოლკის შექმნა, რომელთა განკარგულებაში იქნება 200 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით აღჭურვილი ეერტმფრენი.

ცხადია, რომ შეიარაღების ეს ახალი პროგრამა ფრაკალი მილიარდი მარკის ღირებულებისაა. დასავლეთ ევროპის არც ერთი ქვეყანა ამჟამად არ იღებს იმდენ სამხედრო ხარჯებს, რამდენსაც გფრ. სამხედრო მინისტრმა ლებერმა განაცხადა, რომ 1976 წელს ბუნდესვერისათვის უნდა შეიძინონ ახალი სახის იარაღები 80% თანხით მეტი, ვიდრე 1971 წელს.

გფრ-ის მილიტარიზაციამ, ბუნდესვერის გადაქცევამ დასავლეთ ევროპაში უძლიერეს არმიად ის გამოიწვია, რომ ნატოს შიგნით შეიქმნა თავისებური ღერძი — ბონი-ვაშინგტონი.

ცხადია, რომ ბუნდესვერის სამხედრო რეფორმა, სამხედრო ხარჯების გაზრდა და გფრ-ის შეიარაღებული ძალების განუწყვეტელი ზრდა ეწინააღმდეგება ევროპის ხალხების მისწრაფებას იქონიონ, რომ პოლიტიკურ დაძაბულობასთან ერთად ევროპაში შენელდეს სამხედრო დაძაბულობაც.

§ 51. ჯ. ადენაუერის საგარეო პოლიტიკა

გფრ-ის შექმნის პირველი დღიდანვე ადენაუერის მთავრობის საგარეო პოლიტიკა აშკარად აგრესიული ხასიათისა იყო: თავისი სტრატეგიული მდგომარეობითა და დასავლეთის ქვეყნებთან დადებული მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებებით გფრ-ის სუვერენიტეტი მნიშვნელოვნად შეზღუდულია. მისი საგარეო პოლიტიკა შებოჭილია იმპერიალიზმის საერთო სტრატეგიული ხაზით, იმ სახელმწიფოების გავლენით, რომლებთანაც იგი ევროპის სახელმწიფოთა სისტემაში დაკავშირებულია სამხედრო პოლიტიკური ხელშეკრულებებით [1]. ამიტომ

---

[1] გფრ-ში თავმოყრილია ნატოს მთავარი ბაზები — როგორც სარაკეტო, ასევე ქვეითი. 1970 წლისათვის დანიიდან ბავარიამდე კონცენტრირებული იყო ნატოს 26 დივიზია, 3 ათასამდე თვითმფრინავი, ორასამდე აეროდრომი. აქ ათასობით კმ-ზე გაყვანილია აგრეთვე მილები საწვავისათვის. აქვეა მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები. დასავლეთ გერმანიაში დისლოცირებულია (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) ამერიკელთა მე-7 არმია 210 ათასი კაცის რაოდენობით (4 დივიზია), რომელიც შეიარაღებულია სარაკეტო-თერმობირთვული იარაღით, დაახლოებით 8 ათასი ატომის და წყალბადის ბომბი აქვს და ამ ბომბების ადგილზე მიტანის 2250 საშუალება.

რაინ-რურის რაიონშია განლაგებული ინგლისური 3 დივიზია 58 ათასი კაცის ოდენობით, რომელნიც ასევე სარაკეტო-ატომური იარაღით არიან შეიარაღებულნი. რაინის არმია ნატოს ემორჩილება.

საფრანგეთის 50 ათასიანი არმია განლაგებულია ტრირსა და ფრაიბურგში. ეს არმია გფრ-თან ორმხრივი შეთანხმებით საფრანგეთის სარდლობას ემორჩილება იმის გამო, რომ საფრანგეთი ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში აღარაა.

დასავლეთ გერმანიაში გფრ-ის ჯარებთან ერთად 1 მლნ-მდე თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ჯარია.

გფრ-ის საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება საერთაშორისო მოვლენების მსვლელობით მსოფლიოში, იმპერიალიზმის საერთო სტრატეგიული ხაზით მსოფლიო სოციალისტური სისტემის მიმართ.

გფრ-ის ნატოში შესვლისა და პარიზის შეთანხმებების რატიფიკაციის შემდეგ გერმანიაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა.

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც გფრ-მა დასავლეთ ევროპის კავშირში და ნატოში შესვლის შემდეგ წამყვანი ადგილი დაიკავა დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო სისტემაში, იგი გადაიქცა ნატოს სამხედრო დაჯგუფების მთავარ დასაყრდენ ძალად. რა თქმა უნდა, უფროსი პარტნიორის როლს ამ კავშირში ძველებურად აშშ ასრულებდა, მაგრამ გფრ-ის მმართველი წრეები ფიქრობდნენ, ამ დაჯგუფებაში შემავალ სახელმწიფოთა სამხედრო კავშირზე დაყრდნობით თავიანთი პოზიციები და გავლენა გაეძლიერებინათ ევროპასა და მთელ მსოფლიოში და მიეღწიათ მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადასინჯვისათვის, 1937 წლის საზღვრების აღდგენისათვის. გფრ-ის მმართველმა წრეებმა იმას მიაღწიეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა და ნატოს საბჭომ მხარი დაუჭირეს ამ რევანშისტულ კურსს. რევანშიზმისა და ქვეყნის მილიტარიზაციის პოლიტიკამ გფრ გადააქცია ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების ყველაზე საშიშ ძალად. გფრ-ის მმართველი წრეები შეუფოთებით ადევნებდნენ თვალყურს სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებს გდრ-ში, ამიტომ მათ მიზნად დაისახეს მისი შთანთქმა. ბონში ამ მიზნით შეიქმნა საერთოგერმანული საკითხების სამინისტრო [1].

გფრ-ის მთავრობა უარს ამბობდა ეცნო გდრ-ის საერთაშორისო უფლებრივობა, პრეტენზიებს აცხადებდა მთელი გერმანიის წარმომადგენლობაზე, აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ ახორციელებდა მისი გფრ-თან ძალით შერწყმის კურსს. ხელი რომ შეეშალათ გდრ-ში სოციალისტური მშენებლობისათვის და გამოეგლიჯათ იგი სოციალისტური სისტემისათვის, გფრ-ის მმართველი წრეები არ იხევდნენ უკან ყოველგვარი მეთოდების გამოყენების წინაშეც. მის წინააღმდეგ მიმართავდნენ სოციალიზმის „უკუგდების", „ჰალშტეინის", „შეელის" გაბანკროტებულ დოქტრინებს, დისკრიმინაციულ აქტებს, სამხედრო ინტერვენციის მუქარას, ეკონომიკურ ბლოკადას, პროვოკაციებს, საბოტაჟს და ა. შ. 1955 წლის დეკემბერში ადენაუერის მთავრობის მიერ მიღებული „ჰალშტეინის" დოქტრინა იმ სახელმწიფოებისაგან, რო-

[1] ოფიციალური მონაცემებით გფრ-ში მცხოვრებთა 27%, ე. ი. 14 მლნ-ზე მეტ კაცს ჰყავს ნათესავები გდრ-ში. გარდა ამისა გფრ-ში კომპაქტურად არიან დასახლებული და სხვადასხვა რეაქციულ გაერთიანებაში იმყოფებიან გადმოსახლებულნი, რომელნიც ადრე ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გდრ). 1969 წელს მათი საერთო რაოდენობა იყო 9,1 მლნ. კაცი.

მელთაც გფრ-თან დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ, ულტიმატური წესით მოითხოვდა ასეთივე ურთიერთობა .არ დაემყარებინათ გდრ-თან. ეს დოქტრინა გფრ-მა 1957 წელს გამოიყენა იუგოსლავიის, 1963 წელს კი კუბის წინააღმდეგ, როდესაც მათ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს გდრ-თან, მაგრამ „ჰალშტეინის დოქტრინამ" კრახი განიცადა. აზიისა და აფრიკის რიგი განვითარებადი ქვეყნები არ შეუშინდნენ გფრ-ის მუქარას და დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა გდრ-თან.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ძლიერების განუწყვეტელი ზრდის ზეგავლენით 1955 წლის სექტემბერში დასავლეთ გერმანიის მთავრობის დელეგაცია კ. ადენაუერის მეთაურობით მოსკოვში ჩამოვიდა, რომლის დროსაც დაიდო შეთანხმება სსრ კავშირსა და გფრ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. მაგრამ ამის შემდეგაც ადენაუერის მთავრობა „ცივი ომის" პოლიტიკურ კურსს საბჭოთა კავშირის, გდრ-ის და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების მიმართ უცვლელად ახორციელებდა. ადენაუერი ძველებურად რჩებოდა შეურიგებელ ანტიკომუნისტურ პოზიციაზე, გერმანელი მიწიდან სოციალისტური სისტემის „ძალის პოზიციით" უკუგდების, გდრ-ის შთანთქმის საგარეო პოლიტიკის კურსზე.

გფრ-ის რევანშისტული, ანტიკომუნისტური და „ცივი ომის" პოლიტიკური კურსის გამო საბჭოთა კავშირმა განსხვავებული პოზიცია დაიკავა გერმანიის გაერთიანების საკითხში. თუ ადრე საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა გერმანიის გაერთიანებას საყოველთაო არჩევნების ჩატარების გზით, გფრ-ის შესვლამ ნატოში და დასავლეთ კავშირში, დასავლეთ გერმანიის მცხოვრებთა მრავალწლიანმა ანტიკომუნისტურმა და ანტისაბჭოთა დამუშავებამ შეცვალა ჩვენი მთავრობის პოზიცია გერმანიის გაერთიანების საკითხში. გფრ-ში 3-ჯერ მეტი ამომრჩეველი იყო, ვიდრე გდრ-ში, და, გასაგებია, თუ როგორი შედეგი მოჰყვებოდა საერთო არჩევნებს. ეს იქნებოდა აღმოსავლეთ გერმანიის უბრალო შთანთქმა.

სწორედ ამ მიზნით დასავლეთის ქვეყნები „იდენის გეგმის" საფუძველზე წინადადებას იძლეოდნენ გერმანია გაეერთიანებინათ უცხოელების, არსებითად თავიანთი კონტროლით ჩატარებული ე. წ. „თავისუფალი არჩევნების" გზით. 1955 წლის ოქტომბერში ჟენევაში, მოწვეულ ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანება უნდა მოხდეს გდრ-თან და გფრ-თან შეთანხმების საფუძველზე, ხოლო ოთხმა სახელმწიფომ მათ ხელი უნდა შეუწყოს გერმანიიდან თავისი ჯარების გამოყვანით.

უარყოფითი პოზიცია დაიკავა გფრ-მა საბჭოთა კავშირის წინადა-

დებისადმი დასავლეთ ბერლინის საკითხის მშვიდობიანი მოგვარებისა და მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ. გფრ ფართოდ იყენებდა დასავლეთ ბერლინის ტერიტორიას, მრავალრიცხოვან პროვოკაციებს და დივერსიებს აწყობდა გდრ-ის წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ გდრ-ის მთავრობამ 1961 წლის აგვისტოში გფრ-სა და დასავლეთ ბერლინს შორის არსებულ საზღვრებზე დააწესა კონტროლი, რითაც ბოლო მოუღო გდრ-ის საწინააღმდეგო აქციებს.

საბჭოთა კავშირმა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი მთლიანად მხარს უჭერენ გდრ-ის მთავრობის ღონისძიებებს. კ. ადენაუერმა ნატოს პარტნიორების მხარდაჭერის იმედით მზადყოფნაში მოიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები და სამხედრო აქციებით ფიქრობდა გდრ-ის მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენას.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან, დაიცვან გდრ-ის სახელმწიფო უცხოელთა ჩარევისაგან. რაც შეეხება გფრ-ის ნატოელ პარტნიორებს, მათ სწორად შეაფასეს ძალთა თანაფარდობა და „ცივი ომის" მოყვარული 85 წლის მოხუცი კანცლერი დაარწმუნეს მისი მოქმედების ავანტიურისტულ ხასიათში, რომელსაც შეიძლებოდა კატასტროფული შედეგები მოჰყოლოდა.

§ 52. „ადენაუერის ერის" დასასრული. ლ. ერჰარდისა და კ. კიზინგერის მთავრობები. მთავრობის „დიდი კოალიცია"

15 წლის განმავლობაში კ. ადენაუერს ხელისუფლების სათავეში ყოფნისა და მისი მილიტარისტული, შოვინისტური და „ძალის პოზიციის" კურსის შედეგი იყო გერმანიის ორ სახელმწიფოდ დაყოფა. სოციალისტური ქვეყნების მიმართ „ძალის პოზიციის" კურსის კრახმა მნიშვნელოვნად შეარყია ადენაუერის გავლენა. ქდპ-ში მოხუცი კანცლერის წინააღმდეგ შეიქმნა ძლიერი ოპოზიცია, რომელიც კანცლერის გადადგომას მოითხოვდა. ადენაუერის გადადგომას მოითხოვდნენ აგრეთვე ბურჟუაზიის გავლენიანი წრეები და მთავრობის კოალიციაში შემავალი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ლიდერები. თვითონ კ. ადენაუერი ჯიუტად ებღაუჭებოდა ხელისუფლებას და არ სურდა გადადგომა, მაგრამ მიმდინარე ამბებმა აიძულეს, გადამდგარიყო. 1961 წელს ჩატარდა ბუნდესტაგის არჩევნები, რომლის დროსაც ქდკ/ქსკ პარლამანტში 30 დეპუტატით ნაკლები ადგილი მიიღო. პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 45,4% (1957 წელს კი — 50,2%), მან მიიღო 242 მანდატი (ადრე კი ჰქონდა 270). არჩევნების შემდეგ მთავრობას კვლავ კ. ადენაუერი ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მთავრობის კო-

ალიციაში თავისუფალ დემოკრატთა კავშირი იმ პირობით შევიდა, თუ კ. ადენაუერი გადადგებოდა. ადენაუერის მთავრობას დიდი მორალური დარტყმა მიაყენა აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირთან ერთიანში მყოფი ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერისა და თავდაცვის მინისტრის ფ. შტრაუსის სამარცხვინო ფინანსური მაქინაციების გამოაშკარავებამ ჟურნალ „შპიგელის" მიერ, რამაც მთელი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. 1963 წელს შტრაუსი იძულებული გახდა გადამდგარიყო. ამავე წლის ოქტომბრის ბოლოს კი გადადგა 87 წლის მოხუცი კ. ადენაუერი, რომელმაც პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა მაინც დაიტოვა[1]. კანცლერი გახდა დ. ერჰარდი, რომელმაც 1966 წლიდან პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაც დაიკავა. ფინანსურ-მონოპოლისტური წრეები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე და ცდილობდნენ მისთვის პოპულარობა და ავტორიტეტი შეექმნათ. „აღმოსავლეთის პოლიტიკაში" ერჰარდმა არავითარი ცვლილებები არ შეიტანა და ძველებურად „ძალის პოლიტიკის" პოზიციებზე დარჩა, რომელიც აღმოსავლეთში არავის არ აშინებდა. 1964 წლის მარტში თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ერჰარდმა გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების გადასინჯვა მოითხოვა და ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა პოლონეთს. ჩეხოსლოვაკიის სუდეტელი გერმანელების წინაშე გამოსვლისას მისი მთავრობის წევრები მიუნხენის სამარცხვინო გარიგებას ძალაში დატოვებულად აცხადებდნენ. არ ცხრებოდა პრეტენზიები დასავლეთ ბერლინის მიმართ. უფრო მეტიც, ბუნდესვერის ჯარების გენერალ-ინსპექტორმა ტრეტნერმა წამოაყენა პროექტი ატომური ნაღმების სარტყლის შემოვლებისა, ერთი მხრივ, გდრ-სა და, მეორე მხრივ, გფრ-ის და ჩეხოსლოვაკიის საზღვრებს შორის. ერჰარდის მთავრობა დემონსტრაციულად მხარს უჭერდა აშშ აგრესიას ვიეტნამში და იქ გააგზავნა თავისი სამხედრო სპეციალისტები და სამხედრო-სანიტარული გემები. ერჰარდი აქტიურად უჭერდა მხარს აგრეთვე ისრაელის აგრესიულ წრეებს, რასაც ათმა არაბულმა ქვეყანამ 1965 წელს გფრ-თან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით

---

[1] გფრ-ის პირველი კანცლერი კ. ადენაუერი (1876—1967) თავის მოგონებებში აღიარებს, რომ კანცლერად „მე ამირჩიეს პირველ ტურში კენჭის ყრის დროს ბუნდესტაგის ყველა წევრის აბსოლუტური ხმების უმრავლესობით, თუმცა მხოლოდ 1 ხმის უმრავლესობით. უფრო გვიან მე მკითხეს, მივეცი თუ არა ჩემ თავს ხმა, მე ვუპასუხე: „რასაკვირველია. სხვანაირად მოქცევა მე თვალთმაქცობად მიმაჩნდა". როდესაც კ. ადენაუერი კანცლერად აირჩიეს, იგი 73 წლისა იყო. მის სახელთან დაკავშირებულია დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების და მილიტარიზმის აღორძინება და გაძლიერება. ამიტომაა, რომ კმაყოფილმა ბურჟუაზიამ მის მმართველობას „ადენაუერის ერა" უწოდა. მაქს რაიმანი მის შესახებ აღნიშნავს, რომ „ადენაუერის სახით რეაქციამ თავისი ახალი ბელადი გამოძებნა სოციალიზმისა და მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის".

უპასუხა. ერჰარდის მთავრობის თაოსნობას მიაწერენ გფრ-ის გენერლების მიერ ისრაელის ჯარებისათვის ელვისებური ომის გეგმის შედგენას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ (ისრაელის ექვსდღიანი ომი არაბეთში 1967 წელს).

საშინაო პოლიტიკაში ერჰარდი აშკარა ანტიკომუნისტურ კურსს ახორციელებდა. ამასთანავე მან ხანდაზმულობის ვადის გასვლის საბაბით დააპირა ფაშისტ დამნაშავეების დევნის შეწყვეტა და მათი ამნისტირება. მაგრამ ეს ჩანაფიქრი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით განხორციელებული არ იქნა.

ერჰარდის დროს ბუნდესტაგში დაჩქარდა ჯერ კიდევ 1960 წელს ადენაუერის მიერ შედგენილი კანონპროექტების, ე. წ. „საგანგებო კანონების" განხილვა. ამ კანონპროექტებმა დიდი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია გფრ-ში, ამიტომ მთავრობა მთელი ხუთი წლის განმავლობაში ვერ ბედავდა „საგანგებო კანონპროექტის" ბუნდესტაგში განსახილველად შეტანას. ერჰარდმა ამ კანონპროექტებიდან გამოყო ე. წ. „უბრალო" კანონები და ისინი განსახილველად ბუნდესტაგში ცალ-ცალკე შეიტანა. 1965 წლის ზაფხულში მიიღეს რამდენიმე კანონი, რომელთა შორის აღსანიშნავია კანონი „თავშესაფარი ნაგებობების შესახებ" და „თვითდაცვის შესახებ", რომლებმაც პროგრესული საზოგადოებრიობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

მთავრობას აუმხედრდა კოალიციაში შემავალი ერჰარდის პოლიტიკით უკმაყოფილო და თავისი პარტიის რიგითი წევრების აღშფოთებით შეშინებული თავისუფალ დემოკრატთა ხელმძღვანელობა[1], რომელიც 1966 წლის შემოდგომაზე კოალიციიდან გამოვიდა. საყურადღებოა, რომ ეს პარტია მთავრობის კოალიციაში მთელი 17 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. ამას მალე ერჰარდის გადადგომა და მთავრობის კრიზისი მოჰყვა.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1965 წლის არჩევნებამდე ქდკ/ქსკ ზოგიერთი ხელმძღვანელი მომხრე იყო სოციალ-დემოკრატებთან ერთად „დიდი კოალიციის" შექმნისა. თავისუფალი დემოკრატების კოალიციიდან გამოსვლის შემდეგ ქდკ/ქსკ სხვა გზა აღარ ჰქონდა, სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმებაზე უნდა წასულიყო. 1966 წლის 1 დეკემბერს ამ ორივე პარტიის მონაწილეობით შეიქმნა კოალიციური მთავრობა კურტ-გეორგ კიზინგერის (ქდკ) მეთაურობით. ვიცე-

---

[1] 1965 წლის არჩევნების დროს ქდკ/ქსკ ბუნდესტაგში მიიღო 245 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა — 202 ადგილი, თავისუფალმა დემოკრატებმა — 49 ადგილი. კვლავ კოალიციური მთავრობა შეიქმნა ქდკ/ქსკ და თავისუფალი დემოკრატების მონაწილეობით და ერჰარდის მეთაურობით.

კანცლერის და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა ვილი ბრანდტმა[1], ფინანსთა მინისტრის პოსტი კი — ფ. შტრაუსმა.

„დიდი კოალიციის" შექმნით მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის პოზიციები პარლამენტში და აგრეთვე მისი სოციალური ბაზა საზელმწიფოში. სწორედ მთავრობის შექმნის დროს გფრ-ში თავი იჩინა ჭარბი წარმოების კრიზისმა, რომელიც მოედო მრეწველობის ყველა დარგს და გამოიწვია წარმოების შეკვეცა. უმუშევართა რაოდენობამ 0,5 მლნ. კაცამდე მიაღწია. როგორც ყოველთვის, ასევე ამჯერადაც მთელი სიმძიმე ამ კრიზისისა მშრომელთა მასებს დააკისრეს. ხალხთა მასებს შეუმცირდათ ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა სოციალური დახმარება, გაიზარდა არაპირდაპირი გადასახადები, ბინის ქირა, ფასები ტრანსპორტზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე. კორპორაციებს, ერთი მხრივ, ძალზე ხელსაყრელ პირობებში მიეცათ კრედიტები და დაკვეთები, მეორე მხრივ კი, 1967 წელს ბუნდესტაგმა მიიღო „კანონი სტაბილიზაციის შესახებ", რომლითაც ბიუჯეტიდან იქმნებოდა საკონიუნქტურო ფონდი. მთავრობას შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ შემოეღო 10%-იანი საშემოსავლო გადასახადები კორპორაციებზე. ამით მთავრობას უფლება ეძლეოდა ჩარეულიყო სახალხო მეურნეობაში მისი რეგულირებისა და საქმიანი აქტივობის შეკვეცის ან გაზრდის მიზნით.

1968 წლის 30 მაისს ბუნდესტაგმა „აღმოსავლეთიდან საშიშროების" მოტივით დეპუტატთა ხმების ორი მესამედით მიიღო „საგანგებო კანონმდებლობა". იგი მთავრობას უფლებას აძლევდა „განსაკუთრებული საშინაო ან საგარეო სიტუაციის" ამა თუ იმ მოტივით ქვეყანაში გამოეცხადებინა საალყო მდგომარეობა, გაეუქმებინა კონსტიტუციური და პარლამენტური მმართველობა და არმიაზე დაყრდნობით „ეწარმოებინა ბრძოლა საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ". ფაქტობრივად ეს კანონები მთავრობას უფლებას აძლევდა თავისი შეხედულებისამებრ სამხედრო დიქტატურა დაემყარებინა ქვეყანაში.

„დიდი კოალიციის" მთავრობამ საგრძნობლად შეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკა სოციალისტურ ქვეყნებთან. ეს იმაში გამოიხატა,

---

[1] ვ. ბ რ ა ნ დ ტ ი დაიბადა ლიუბეკში 1913 წელს. იგი ისტორიკოსია. პარტიაში 1930 წელს შევიდა. ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ იყო ემიგრაციაში ნორვეგიაში, სადაც ჟურნალისტობასა და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1937 წელს ესპანეთში იბრძოდა სახალხო ფრონტის მთავრობის მხარეზე და ამავე დროს სკანდინავიის გაზეთების კორესპონდენტიც იყო. 1945 წელს გერმანიაში დაბრუნდა. 1957—1966 წლებში ბრანდტი დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრი იყო. ე. ოლენჰაუერის გარდაცვალების შემდეგ 1964 წლიდან ხდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი. ვ. ბრანდტი აირჩიეს აგრეთვე სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარედ.

რომ „ჰალშტეინის დოქტრინა“ უარყოფილ იქნა და გფრ-მა აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა იუგოსლავიასთან და დაამყარა ასეთი ურთიერთობა რუმინეთთან. მაგრამ ამ მთავრობამ უარი თქვა გდრ-ის ცნობაზე.

§ 53. კომუნისტური, მუშათა და დემოკრატიული მოძრაობა გფრ-ში

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1956 წლის აგვისტოში გფრ-ში კომუნისტური პარტია აიკრძალა. ამის შემდეგ მას ძალზე მძიმე არალეგალურ და დევნის პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ კომპარტიის რიგები შემცირდა, იგი არა თუ განაგრძობდა არსებობას, არამედ ინარჩუნებდა კიდეც თავის პოზიციებს საწარმოო საბჭოებში, პროფკავშირებში, უშვებდა არალეგალურ გაზეთებს, სათავეში ედგა მუშათა კლასის გაფიცვებს, დემონსტრაციებს და მიტინგებს. კომუნისტები იბრძოდნენ იმისათვის, რათა გაუქმებულიყო კომპარტიის აკრძალვა. 1968 წელს მათ მიიღწიეს ლეგალური მოღვაწეობის უფლებას. 1968 წლის სექტემბერში გერმანელთა კომუნისტური პარტია შექმნილად გამოცხადდა.

1969 წლის აპრილში ესენში მოიწვიეს პარტიის I ყრილობა, რომელზეც დასრულდა პარტიის შექმნა. ყრილობამ მიიღო პროგრამა და წესდება. პროგრამაში ნათქვამია, რომ პარტია თავის მოღვაწეობას აგებს „მარქსის, ენგელსის და ლენინის მოძღვრებათა საფუძველზე, მეცნიერული სოციალიზმის საფუძველზე, რომლის მიზანია სამყაროს შეცვლა. გკპ იბრძვის იმისათვის, რათა მშრომელმა ხალხმა ხელმძღვანელი როლი მოიპოვოს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში“. პარტიის ამოცანაა „საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა და მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა მშრომელთა სხვა ფენებთან ერთად“ [1].

უახლოეს ამოცანად პარტია აცხადებდა სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიულ განახლებას, მონოპოლიების ხელისუფლების შეზღუდვას, ნეონაციზმის ლიკვიდაციას და მილიტარიზმის დაძლევას, მუშათა კლასის ერთიანი მოქმედების მიღწევას. გკპ-ის თავმჯდომარედ აირჩიეს კურტ ბახმანი. ამჟამად კი ჰერბერტ მისია.

კომუნისტური პარტია თავისი შექმნის პირველი დღიდანვე აქტიურად ჩაება პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლაში. იგი სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასის ბრძოლას ხელფასის მომატებისათვის, საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, უმუშევრობის წინააღმდეგ და ა. შ. კომპარტიამ ფართო კამპანია გააჩაღა ერთი მხრივ, გფრ-სა

[1] Проблемы мира и социализма, № 5, 1968, გვ. 4.

და, მეორე მხრივ, სსრ კავშირს, პსრ, გდრ და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებული ხელშეკრულებების რატიფიკაციისათვის. იგი მხარს უჭერდა ვ. ბრანდტ-ვ. შეელის მთავრობის საგარეო პოლიტიკას სოციალისტური ქვეყნების მიმართ, მაგრამ ყოველთვის აკრიტიკებდა საშინაო პოლიტიკას, სათავეში ჩაუდგა ბრძოლას „საგანგებო კანონების" წინააღმდეგ. გკპ-მ მონაწილეობა მიიღო ბუნდესტაგის არჩევნებში 1972—1976 წლებში. მან მნიშვნელოვნად „გაზარდა" მიღებული ხმების რაოდენობა, მაგრამ გფრ-ში არსებული „5 პროცენტიანი შესწორების" გამო ვერ გაიყვანა თავისი კანდიდატი ბუნდესტაგში.

კომუნისტური პარტია აქტიურად მონაწილეობდა პარლამენტგარეშე ოპოზიციის ბრძოლაში რეაქციის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ ამ პარლამენტგარეშე მოძრაობაში მონაწილეობდნენ: სტუდენტთა ორგანიზაციები, პაციფისტური კავშირები, მემარცხენე სოციალისტური გაერთიანებანი (აქ ძირითადად ახალგაზრდები შედიოდნენ), მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, გერმანელთა მშვიდობის კავშირი და პროფკავშირები. გერმანელთა პროფკავშირების გაერთიანებაში 60-იანი წლების დამდეგს ჩამოყალიბდა ორი აშკარა მიმდინარეობა — რეფორმისტულ-ტრედუნიონისტური და მემარცხენე-ანტიმონოპოლისტური, დემოკრატიული. მემარცხენე მიმდინარეობის ყველაზე მსხვილი და გავლენიანი პროფკავშირები იყვნენ: მეტალურგები (2 მილიონიანი წევრით), კომუნალური მეურნეობის მუშები (1,5 მლნ-მდე), ქიმიური წარმოების მუშები (0,5 მლნ.). სწორედ ამ პროფკავშირებმა გააჩაღეს რეაქციისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. მათი გავლენით იყო, რომ 1963 წლის ნოემბერში დიუსელდორფის საგანგებო კონგრესზე გერმანული პროფკავშირების გაერთიანებამ დაგმო „სოციალური პარტნიორობა" და თავისი პროგრამიდან ამოშალა სიტყვები „მეწარმეთა თვითნებობა წარსულს ჩაბარდა". ამის ნაცვლად ჩაიწერა: „კაპიტალისტური წყობილება იწვევს სოციალურ კონფლიქტებსა და კრიზისებს. სამუშაო ძალა დღესაც მეწარმეთა შემოსავლის ერთადერთი წყაროა". ამრიგად, პროფკავშირულ მოძრაობაში იწყება მარცხნივ შემობრუნება და იგი ანტიმონოპოლისტური ბრძოლის გზას ადგება. პროფკავშირები 60-იანი წლების დამლევს შექმნილ პარლამენტგარეშე ოპოზიციის მთავარ წამყვან ძალას წარმოადგენდნენ. პარლამენტგარეშე მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ახალგაზრდობა, განსაკუთრებით სტუდენტობა, რომელმაც ნამდვილი ბრძოლა გაუმართა პოლიციას და მთელი საზოგადოება კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყო. ბრძოლა განსაკუთრებით გაჩაღდა „საგანგებო კანონების" წინააღმდეგ. მაგრამ ეს მოძრაობა თანდათანობით შესუსტდა, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა. საქმე იმაში იყო, რომ მემარჯვენე სოციალისტებმა შეძლეს პროფკავ-

შირების ჩამოშორება ამ მოძრაობიდან. მუშებმა მაინც მიაღწიეს ხელფასის მომატებას, სოციალური სისტემის გაუმჯობესებას, ფასიანი შვებულების გადიდებას.

§ 54. „მეცირე კოალიციის“ მთავრობა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა

1969 წელს ჩატარდა ბუნდესტაგის მორიგი არჩევნები, რომლის დროსაც ქდკ/ქსკ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 46,1%, სოციალ-დემოკრატებმა — 42,7%, თავისუფალმა დემოკრატებმა — 5,8% და პირველად ომის შემდეგ ძლივს შეინარჩუნეს ადგილები ბუნდესტაგში. მართალია, ნეოფაშისტებმა 1,4 მლნ. ხმა მიიღეს, მაგრამ იგი 5% დაბალი იყო (4,3%). ამიტომ მათ ვერ გაიყვანეს თავიანთი წარმომადგენელი ბუნდესტაგში. ამ არჩევნების შემდეგ პირველად მოხდა, რომ გფრ-ის შექმნის დროიდან ქდკ/ქსკ არ ჩაუდგა მთავრობას სათავეში, მიუხედავად იმისა, რომ სხვა პარტიებთან შედარებით მან ყველაზე მეტი ხმა მიიღო. კოალიცია შექმნეს სოციალ-დემოკრატებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა, რომელთაც ბუნდესტაგში მხოლოდ 12 დეპუტატით მეტი ჰყავდათ, ვიდრე ქდკ/ქსკ პარტიას. პირველად 20 წლის განმავლობაში მთავრობის გარეშე დარჩნენ და ოპოზიციაში გადავიდნენ ქდკ/ქსკ. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ვილი ბრანდტი. ვიცე-კანცლერი გახდა ვალტერ შეელი [1].

საყურადღებოა, რომ სოციალ-დემოკრატებმა არჩევნების დროს ფართო წინასაარჩევნო პროგრამა წამოაყენეს, რომელიც შიდა რეფორმებს ითვალისწინებდა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში — „აღმოსავლური პოლიტიკის“ შეცვლას.

„მცირე კოალიციის“ მთავრობის მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი მხარე იყო მისი საგარეო პოლიტიკა. ვ. ბრანდტი თავის წიგნში „მშვიდობის პოლიტიკა ევროპაში“ გფრ-ის საგარეო პოლიტიკის წინაშე შემდეგნაირ ამოცანებს სახავს: „შევიცნოთ შესაძლებლობის ზღვარი, გავიგოთ საკუთარი სიძლიერის საზღვრები“. იგი, პირდაპირ მიუთითებს რა მსოფლიო სოციალისტური სისტემის შეუვალ სიძლიერეზე, ხაზს უსვამს, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ომის გზით კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მშვიდობის გზით. იგი წერს: „ქვე-

---

[1] სდპ-თან კოალიციის შექმნის შემდეგ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში გაძლიერდა მემარცხენე მიმდინარეობა ვ. შეელის მეთაურობით მნიშვნელოვნად შემცირდა ამ პარტიაში მემარჯვენეების გავლენა, რომლებიც ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტებთან კოალიციის შექმნისა. ამ პარტიის ყრილობამ პარტიის თავმჯდომარედ აირჩია ვალტერ შეელი, რომელიც მომხრე იყო სოციალისტებთან კოალიციისა.

ყანას, რომელიც ომის შემთხვევაში უდაბნოდ გადაიქცევა, არ შეიძლება სხვა მიზანი ჰქონდეს, გარდა მშვიდობის მისწრაფებისა".

გფრ-ის აღმოსავლური საგარეო პოლიტიკური კურსის გადასინჯვის აუცილებლობა იმითაც იყო ნაკარნახები, რომ 60-იანი წლების დამლევს ევროპასა და, საერთოდ, მთელ მსოფლიოში დაიწყო „ცივი ომიდან" შეშფოთებრუნება, ტენდენცია დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისაკენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ასეთი პირობებში მეორე მსოფლიო ომის შედეგად დარჩენილი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა მთელი სიმწვავით დგებოდა.

ქდკ/ქსკ საგარეო პოლიტიკური კურსი მთელი ოცი წლის განმავლობაში იყო „ძალის პოზიციის", სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის, რევანშისტული მოწოდებებისა, და ომის შედეგად რეალურად არსებულის ცნობაზე უარის თქმისა. ბონის აშკარა რევანშისტული პრეტენზიები უკმაყოფილებას იწვევდა ქვეყნის შიგნითაც და მის პარტნიორებშიც. ძველ პოლიტიკაზე უარის თქმა და სოციალისტურ ქვეყნებთან პრინციპულად ახალი ურთიერთობის გზაზე დადგომა მომწიფებული იყო და ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა. მაგრამ გფრ-ის ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლა, რომელსაც იგი თავისი შექმნის პირველი დღიდან ახორციელებდა, იოლი როდი იყო. ძველი კურსის შეცვლისათვის საჭირო იყო სიმტკიცე და თანამიმდევრობა.

ასეთი ალტერნატივის წინაშე იდგა ბრანდტ-შეელის მთავრობა, მას უნდა გადაელახა როგორც პოლიტიკური, ასევე ფსიქოლოგიური სიძნელეები და დადგომოდა რეალისტურ გზას — გაეუმჯობესებინა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობა და ეცნო მეორე მსოფლიო ომის შედეგად დადგენილი საზღვრები. იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დაძაბულობის შენელებისა და სოციალისტურ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების განწყობილება სუფევდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგით წევრებს შორისაც.

ვ. ბრანდტის მთავრობის საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯი იყო 1969 წლის 28 ნოემბერს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ეს იყო მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი გამარჯვება, რომელნიც იბრძოდნენ ბუნდესვერის ბირთვული იარაღით შეიარაღების წინააღმდეგ. ამის შემდეგ გფრ-ის ახალმა მთავრობამ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს მიმართა წინადადებით, რათა გფრ-სა და მათ შორის დადებულიყო ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარე უარს იტყოდა ერთმანეთთან ურთიერთობაში ძალის გამოყენების პოლიტიკაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 1970 წლის 12 აგვისტოს, მოსკოვში სსრ კავშირმა და გფრ-მა დადეს ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარემ ცნო ევროპის ყველა სახელმწიფოს

საზღვრების ხელშეუხებლობა, მათ შორის პოლონეთის საზღვრებისა ოდერსა და ნოისზე და საზღვრებისა გფრ-სა და გდრ-ს შორის. ორივე მხარემ ვალდებულება იკისრა თავი შეეკავებინა ძალის მექანიზმზე ან მის გამოყენებაზე. ასეთივე სახის ხელშეკრულებები დაიდო გფრ-სა და პოლონეთს შორის (1970 წ. 7 დეკემბერს). 1970 წლის შემოდგომიდან ბრანდტის მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება გდრ-ის მთავრობასთან, მაგრამ ეს მოლაპარაკება გაჭიანურდა. მოლაპარაკება გაჭიანურდა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიასთან. საქმე იმაში იყო, რომ ქვეყნის შიგნით არსებულმა რეაქციულმა ძალებმა შტრაუსის ხელმძღვანელობით გააფთრებული იერიშები მიიტანეს ბრანდტის მთავრობის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან დაფუძნებული ხელშეკრულებების რატიფიკაცია. ეს საკითხი მთელი წლინახევრის განმავლობაში გადაიქცა შიდაპოლიტიკური ბრძოლის ცენტრალურ საკითხად. ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა გფრ-ს საგარეო პოლიტიკაზე. შტრაუსმა პირდაპირი ბრძოლა გააჩაღა ბრანდტ-ს მთავრობის დამხობისათვის. აღნიშნული ხელშეკრულების წინააღმდეგ შტრაუსი ცდილობდა გაეერთიანებინა ქვეყნის ყველა რეაქციული, კონსერვატორულ-ნაციონალისტური ელემენტი. ამ მიზნით შეიქმნა ე. წ. „მემარჯვენე კარტელი", რომელიც ეყრდნობოდა: გადასახლებულთა გაერთიანებებს, ნეონაცისტურ პარტიას (ნდპ), სამხედრო მილიტარისტულ ორგანიზაციებს, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს. მთელი ამ ოპოზიციის სულის ჩამდგმელი იყო შტრაუსი, რომელიც ამავე დროს შეეცადა, რათა თავისი პარტია — ქრისტიან-სოციალური კავშირი — ბავარიის ფარგლებს გარეთ გამოეყვანა და გადაექცია დასავლეთ გერმანიის პარტიად. ამ მიზნით გფრ-ის მთელ რიგ ქალაქებში იქმნებოდა „ქსკ-ს მეგობართა წრეები". მაგრამ მიუხედავად შტრაუსის დიდი საქმიანობისა, მისი პარტიის გავლენა ვერ გასცილდა ბავარიის საზღვრებს. შტრაუსმა იერიში მიიტანა კოალიციაში შემავალ თავისუფალ დემოკრატთა პარტიაზე, რათა გამოეგლიჯა იგი ამ კოალიციიდან. მართალია, ამას ვერ მიაღწია, მაგრამ ის მაინც შეძლო, რომ გამოიწვია განხეთქილება თავისუფალ დემოკრატთა პარტიაში. ამ პარტიის ყოფილი ლიდერები, მემარჯვენეები ე. მენდე, გ. შტარკე და ზ. ცოელმანი 1970 წლის დეკემბერში გამოვიდნენ პარტიიდან. კენჭისყრის წინ ოპოზიციას მიემხრო კიდევ ამ პარტიის სამი წევრი, ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი წარმომადგენელი პარლამენტში მეტოქის მხარეზე გადავიდა. ამრიგად, მთავრობის კოალიციამ დაკარგა 12 ხმის უპირატესობა და ხმები გათანაბრდა (248:248). ოპოზიცია ბრანდტის მთავრობის დამხობას შეეცადა ნდობის ვოტუმის პროცედურით, მაგრამ მთავრობამ ერთი ხმის უპირატესობით შეინარჩუნა ძალაუფლება. მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ბრანდტის

მთავრობას ეყო გამბედაობა ბუნდესტაგში კენჭის საყრელად შეეტანა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან დადებული ხელშეკრულებები.

საყურადღებოა, რომ ამ დროს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის პარტიამ ახალი თავმჯდომარე რ. ბარცელი აირჩია, რომლის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს კიზინგერმა და შტრაუსმა, რაც ნიშნავდა ამ პარტიაში აშკარა მემარჯვენეების გამარჯვებას. ამან გამოიწვია ამ პარტიის ცენტრისტული და მემარცხენე მიმდინარეობების უკმაყოფილება. პარტიაში თავი იჩინა წინააღმდეგობამ. პარტიის ერთი ნაწილი მომხრე იყო აღნიშნული ხელშეკრულებების რატიფიკაციისა. გარდა ამისა, გფრ-ის მრეწველთა საკმაოდ გავლენიანი ნაწილიც მოითხოვდა სოციალისტურ ქვეყნებთან პოლიტიკური და განსაკუთრებით ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას. გაითვალისწინა რა ყველაფერი ეს, ქდკ/ქსკ ხელმძღვანელობამ ხელშეკრულებისათვის კენჭისყრის დროს თავისი პარტიის წევრებს ბუნდესტაგში მიუთითა, რათა თავი შეეკავებინათ ხმის მიცემაში მონაწილეობისაგან. ამრიგად, 1972 წლის 17 მაისს ხელშეკრულებები საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან 248 ხმით რატიფიცირებულ იქნა.

ამის შემდეგ ბრანდტის მთავრობამ კვლავ განაახლა მოლაპარაკება გდრ-თან, რომელიც 1972 წლის 9 ნოემბერს დამთავრდა გდრ-სა და გფრ-ს შორის ურთიერთობის საფუძველთა შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით. იგი ითვალისწინებდა ამ ორივე სახელმწიფოსა და ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობას, ძალისა და ძალის მუქარის გამოყენებაზე უარის თქმას, ნორმალური კეთილმეზობლური თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარებას, პოლიტიკური წარმომადგენლობის გაცვლას და ა. შ.

ბუნდესტაგში შექმნილი ძალთა თანაფარდობა ორივე მეტოქე პარტიას შორის ეჭვის ქვეშ აყენებდა მთავრობის პოზიციების სიმტკიცეს და საბოლოოდ საქმე უნდა გადაეწყვიტა ახალ რიგგარეშე არჩევნებს, რომლებიც ჩატარდა 1972 წლის 19 ნოემბერს.

საყურადღებოა, რომ არჩევნების წინ ქვეყნის რეაქციულმა ძალებმა აღვირახსნილი კამპანია გააჩაღეს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. წვრილ მესაკუთრეებს აშინებდნენ, სოციალისტების გამარჯვების შემთხვევაში „ბოლშევიკური კოლექტივიზაცია“ დამკვიდრდება და თავისუფალ ვაჭრობასა და კერძო ინიციატივას ბოლო მოეღებაო. მონოპოლიები არ ზოგავდნენ თანხებს, რათა არჩევნებში წარმატებისათვის ქდკ/ქსკ პარტიას მიეღწია. სოციალ-დემოკრატებმა წვრილი და საშუალო მესაკუთრეები დაამშვიდეს თავიანთი განცხადებით, რომ პარტია არ ფიქრობს მეწარმეთა თავისუფლების და კერძო ინიციატივის შეზღუდვას.

არჩევნების შედეგები ასეთი იყო: სოციალ-დემოკრატებმა პირვე-

ლად ომის შემდგომ არჩევნებში სხვა პარტიებთან შედარებით მიიღეს ყველაზე მეტი ხმები — 45,9% და 230 მანდატი (1969 წ. — 42,7 და 224 მანდატი). მათმა მოკავშირეებმაც თავისუფალმა დემოკრატებმაც გაზარდეს მიღებული ხმების რაოდენობა — 8,4% (წინა არჩევნებში — 5,8%). ქდკ/ქსკ მიიღო ხმების 44,8% და 225 მანდატი (წინა არჩევნებში — 46,1% და 242 მანდატი).

ამრიგად, ამ არჩევნებს შემდეგ კოალიციურ მთავრობას ბუნდესტაგში ოპოზიციის წინააღმდეგ 46 მანდატით მეტი ჰქონდა.

ნეოფაშისტურმა პარტიამ გამანადგურებელი მარცხი განიცადა. მან მიიღო ხმების 0,6% (200 ათასი ხმა). ამის შემდეგ კვლავ ორპარტიული კოალიციური მთავრობა შეიქმნა ვ. ბრანდტის მეთაურობით.

1972 წლის არჩევნებში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის დამარცხებამ ცხადყო, რომ გფრ-ის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაძაბულობის შენელების, სოციალისტურ ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის მომხრედ გამოდიოდა. მართალია, ვ. ბრანდტის, შემდეგ კი ჰელმუტ-შმიდტის მთავრობები ასეთ პოლიტიკას არათანმიმდევრულად ახორციელებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული.

1973 წლის ივნისში ორივე გერმანული სახელმწიფოს პარლამენტებმა მოახდინეს 1972 წელს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც ცნობს ორივე გერმანული სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორუფლებიანობას, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და ბოლოს უღებს გფრ-ის პრეტენზიებს იმაზე, რომ მარტო თვითონ გამოდიოდეს მთელი გერმანიის სახელით. 1974 წლის მარტში ვენაში ორივე გერმანული სახელმწიფოს მთავრობების წარმომადგენლებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მათ შორის დამყარდა დიპლომატიური და სხვა სახის ურთიერთობანი. მალე ამის შემდეგ ორივე სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღეს.

1973 წლის 11 დეკემბერს პრაღაში გფრ-მა და ჩეხოსლოვაკიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მიუნხენის სამარცხვინო გარიგების გაუქმების შესახებ[1] და ხელშეკრულებას, მათ შორის ურთიერთობის შესახებ, რომლის საფუძველზე ამ ორივე სახელმწიფოს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ამავე წელს გფრ-მა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ბულგარეთთან და უნგრეთთან. 1975

[1] 1969 წელს ვენაში ხელი მოაწერეს კონვენციას საერთაშორისო ხელშეკრულებების უფლებრიობის შესახებ, რომლის 52-ე მუხლში ნათქვამია, რომ თუ ხელშეკრულება დადებულია იძულებით ან ძალის გამოყენების მექანიზმით, იგი ბათილად ცხადდება.

წლის იანვარში გფრ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის დაიდო ხელშეკრულება ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური კოოპერაციის შესახებ. შემდეგ კი ფართო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა დამყარდა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთანაც.

1972 წლის არჩევნების შემდეგ ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გფრ-ს შორის გაფართოვდა როგორც პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ დარგებში.

პოლიტიკურ სფეროში ორივე სახელმწიფოს შორის მიღწეულია ერთგვარი ურთიერთგაგება და ნდობა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორივე ქვეყნის ხელმძღვანელები ხუთჯერ მეტად შეხვდნენ ერთმანეთს, რაც ნათლად მეტყველებს, რომ ამ სახელმწიფოთა შორის სრულიად ახალი ურთიერთობა დამყარდა. ორივე მხარისათვის საინტერესო ორმხრივი ურთიერთობა, საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა და სხვადასხვა დონეზე პოლიტიკური კონსულტაციების მოწყობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

1974 წლის ოქტომბერში მოსკოვში იმყოფებოდა კანცლერი გ. შმიდტი და ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ჰეშნერი, რომლის დროსაც ორივე მხარე შეთანხმდა, რომ მათ მთავრობებს შორის ჩატარდეს რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციები აზრთა ურთიერთგაზიარების შემდგომი განვითარების მიღწევისა და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. დადგინდა, რომ ასეთი კონსულტაციები რიგრიგობით ჩატარდეს მოსკოვსა და ბონში არანაკლებ წელიწადში ერთხელ საგარეო საქმეთა მინისტრების ან მათი წარმომადგენლების დონეზე.

საბჭოთა კავშირსა და გფრ შორის პოლიტიკურ დარგში ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების მოწინააღმდეგეები გფრ-სა და დასავლეთში გაიძახიან, თითქოს საბჭოთა მთავრობის მთავარი ამოცანაა დასავლეთის ბანაკში გათიშვის შეტანა და გფრ-ის გამოგლეჯა ამ ბანაკიდან. საბჭოთა მთავრობამ ამასთან დაკავშირებით არა ერთხელ განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესება გფრ-თან მესამე ქვეყნის წინააღმდეგ კი არაა მიმართული, არამედ იგი საბჭოთა მთავრობის მიერ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკური კურსის ცხოვრებაში განხორციელებაა.

საბჭოთა კავშირსა და გფრ შორის მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში. 70-იანი წლების დამდეგს დასავლეთის სახელმწიფოთა და მათ შორის გფრ-ის ეკონომიკა მრავალი ისეთი მწვავე პრობლემის წინაშე დადგა, როგორიცაა ეკონომიკის უზრუნველყოფა ენერგეტიკული და ნედლეულის რესურსებით. ამიტომ საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობა

ძალზე ხელსაყრელია მათთვის. გ. შმიდტმა მოსკოვში ყოფნის დროს (1974 წ. ოქტომბერში) განაცხადა, რომ „ენერგიის გაძვირებისა და ნედლეულის უკმარობის პერიოდში საბჭოთა კავშირის მზად ყოფნას თანამშრომლობისათვის სწორედ ამ სფეროში ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს". ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების მოწინააღმდეგენი აცხადებენ, თითქოს ასეთი ურთიერთობა მხოლოდ საბჭოთა მხარისათვისაა ხელსაყრელი, რომელიც დაინტერესებულია, თავისი ეკონომიკის განვითარებისათვის „დასავლეთის ტექნოლოგიის" ათვისებითო. საბჭოთა კავშირსა და გფრ შორის ტექნოლოგიურ დარგში თანამშრომლობა ორივე მხარისათვისაა ხელსაყრელი. მაგალითად, გფრ-ში ძალზე დიდი მოწონება დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის ისეთმა ტექნოლოგიურმა მეთოდებმა, როგორიცაა ელექტროშედუღება და მრავალი სხვა.

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სსრ კავშირსა და გფრ შორის დაიდო მრავალი სამთავრობათაშორისო და საუწყებათაშორისო შეთანხმება, რომლებიც აუცილებელი იყო სამრეწველო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური სტაბილური კავშირის განხორციელებისათვის. 1972 წლის 5 ივლისს დადებული ხანგრძლივვადიანი შეთანხმება ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ითვალისწინებს ხელსაყრელი პირობების შექმნას ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებისა და საქონლის ბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ეკონომიკური თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმით მოგვარებას, კერძოდ სამრეწველო საწარმოების მშენებლობას, ლიცენზიების და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლას.

1973 წლის მაისში გფრ-ში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს ათწლიან შეთანხმებას სსრ კავშირსა და გფრ-ს შორის ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ. 1974 წლის იანვარში ხელმოწერილ იქნა ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური ურთიერთგანვითარების პერსპექტიული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს რიგი ერთიანი პროექტების განხორციელებას. ამის შემდეგ ორივე მხარე ამ პროგრამას ავითარებს და ახალ პროექტებს ამატებს.

1974 წლის ოქტომბერში გ. შმიდტის მოსკოვში ყოფნის დროს დაიდო შეთანხმება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. რომელიც ეკონომიკურ, სამრეწველო და ტექნიკურ დარგებში უზრუნველყოფს შემდგომ პროგრესს, კერძოდ, ითვალისწინებს თანამშრომლობას ნედლეულის და ენერგეტიკის სფეროში.

ხუთი წლის განმავლობაში (1970—1975) საქონელბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის 4-ჯერ მეტად გაიზარდა. მარტო 1974 წელს იგი 58%

გაიზარდა. 1975 წელს გფრ-ის ვაჭრობამ სოციალისტურ ქვეყნებთან შეადგინა 8 მლრდ. მარკა, 1976 წელს კი — 10 მლრდ. მარკა. გფრ გახდა სსრ კავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი. სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება საქონელბრუნვის სტრუქტურა. ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ფერადი ლითონების, ბამბის და ხე-ტყის გარდა გფრ-ის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს საზღვაო და სამდინარო გემებზე, ლითონმჭრელ დაზგებზე, პოლიგრაფიულ მანქანებზე, ფოტოაპარატებზე და ა. შ. საბჭოთა კავშირს გფრ-დან შემოაქვს მრავალი სახის მანქანები და მოწყობილობები, ფოლადის მილები, შავი ლითონები.

მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის თანამშრომლობა მსხვილმასშტაბიანი ობიექტების მშენებლობაში, კერძოდ ატომურ ენერგეტიკაში, ნავთობქიმიაში, ახალი საბადოების ათვისებაში (ნავთობის, გაზის, შავი და ფერადი ლითონების). სსრ კავშირში ხორციელდება ენერგეტიკული პროდუქციის ერთობლივი ათვისება, რომლის პროდუქციას შემდეგ გფრ-ს მიაწვდიან. მრავალი ხანგრძლივვადიანი კონტრაქტებია დადებული აგრეთვე საკომპენსაციო საწყისებზე: ერთ-ერთი ასეთი დიდი შეთანხმებიდან აღსანიშნავია გენერალური შეთანხმება კურსკის რაიონში მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის შესახებ, რომლის სიმძლავრე იქნება 8 მლნ. ტონა ლითონის გლინვა წელიწადში. იგი იმუშავებს რკინის პირდაპირი აღდგენის მეთოდით. ამ კომბინატის მშენებლობაში მონაწილეობენ გფრ-ის ცნობილი ფირმები: „ზალცგიტერი", „კრუპი" და „კორფ-შტალი".

მეორე დიდი შეთანხმებაა საბჭოთა ბუნებრივი გაზის მიწოდება გფრ-ისათვის და ამ მიზნით დასავლეთ გერმანიაში ჩვენი გაზის მრეწველობისათვის მსხვილდიამეტრიანი ფოლადის მილების შესყიდვა. 1974 წლის ოქტომბერში ორივე მხარემ ხელი მოაწერა მესამე შეთანხმებას, რომლითაც 1978—2000 წლებში ჩვენი ქვეყანა გფრ მიაწვდის 60 მლრდ. კუბომეტრ გაზს. ამ და აგრე დადებული შეთანხმების საფუძველზე 1980 წლისათვის ჩვენი ქვეყანა გფრ-ს ყოველწლიურად მიაწვდის 10 მლრდ. კუბომეტრ გაზს, ხოლო გფრ-დან მიიღებს დიდი დიამეტრის მილებს, რომელთა საერთო მოცულობა იქნება, 3,7 მლნ. ტონა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ორივე ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. იგი უპირველეს ყოვლისა მოიცავს მანქანათმშენებლობას და ლითონის დამუშავებას, შავ მეტალურგიას, ქიმიას, ელექტრონიკას და რადიოტექნიკას. ასეთი თანამშრომლობის მიზნით საბჭოთა ორგანიზაციებმა გფრ-ის ფირმებთან დადეს ორმხრივი შეთანხმებები, რომლებშიც მონაწილეობენ: „კრუპი", „სიმენსი", „ჰოჰსტი", „ბაიერი", „დაიმლერ-ბენცი", „აეგ-ტელეფუნკენი" და სხვა

უმსხვილესი ფირმები. სულ უფრო ვითარდება სპეციალისტთა, აგრეთვე ინფორმაციების გაცვლა, ხელსაწყოების და სხვადასხვა ნივთების ურთიერთმიწოდება და ა. შ.

დიდ საქმიანობას ეწევა 1972 წელს შექმნილი სსრ კავშირ-გფრ-ის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისია. იგი ამუშავებს რიგ პროექტებს, რომლებიც გათვალისწინებულია ხანგრძლივი დროის მანძილზე ორივე ქვეყნის ეკონომიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ კომისიამ შექმნა საექსპორტო ჯგუფები დაზგათმშენებლობის, ელექტროენერგიის, ქიმიისა და სასარგებლო წიაღისეულის დარგებში შემდგომი თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის უზრუნველყოფისათვის.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ტელევიზიაში გამოსვლისას (1976 წლის 2 ოქტომბერს) გ. შმიდტმა აღნიშნა, რომ ამჟამად გფრ-ის 6 ათასზე მეტი ფირმა და 400 ათასი კაცი ცხოვრობს სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის ხარჯზე.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და გფრ-ს შორის ურთიერთობის სხვა სფეროში: ხდება პარლამენტის დელეგაციების გაცვლა, ვითარდება კავშირი კულტურის, განათლების, სპორტის დარგებში, კონტაქტები პროფკავშირების, ახალგაზრდობისა და სხვა ორგანიზაციებს შორის, ეწყობა ეკონომიკისა და კულტურის მიღწევების გამოფენები. მაგალითად, 1974 წლის მარტში დიუსელდორფში მოეწყო საბჭოთა კავშირის გამოფენა, ხოლო 1975 წლის გაზაფხულზე მოსკოვში — გფრ-ის გამოფენა.

ამრიგად, მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი შემობრუნება და ძვრები მოხდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შესაძლებლობანია გამოყენებული. გარდა ამისა, ამ ურთიერთობას ხშირად ჩრდილს აყენებს ის გარემოებაც, რომ ოპოზიციური ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის — ლიდერები ილაშქრებენ „აღმოსავლური ხელშეკრულებების“ და „აღმოსავლური პოლიტიკის“ წინააღმდეგ. თვითონ მთავრობის კურსი დასავლეთ ბერლინის საკითხში ხშირად უგულებელყოფს ოთხმხრივ შეთანხმებას, რომელიც დაიდო 1971 წლის სექტემბერში სსრ კავშირის, აშშ, ინგლისის და საფრანგეთის ელჩებს შორის დასავლეთ ბერლინის შესახებ. ამ შეთანხმებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ, „დასავლეთ ბერლინი არ წარმოადგენს გფრ-ის შემადგენელ ნაწილს“.

1971 წლის დამლევს ამ ხელშეკრულების ბაზაზე გდრ-მა, გფრ-მა და დასავლეთ ბერლინის სენატმა შეიმუშავეს ხელშეკრულება ამ საელჩოწიფოების დასავლეთ ბერლინთან სატრანსპორტო კავშირის საკი-

თხების შესახებ. მიუხედავად ამისა ხშირად ირღვევა ოთხმხრივი შეთანხმება. გვერდს უვლიან ან ამახინჯებენ მას, აწყობენ დემონსტრაციულ ვიზიტებს და ბუნდესტაგის სხვადასხვა ორგანოს სხდომებს, ან ქმნიან გფრ-ის საუწყებო ორგანოებს დასავლეთ ბერლინში. ახლა კი წამოაყენეს დასავლეთ ბერლინის გფრ-თან ინტეგრაციისა და ევროპის გაერთიანებაში მისი შეყვანის გეგმა. ამასთან დაკავშირებით, 1976 წლის 3 აგვისტოს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დასავლეთ ბერლინის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა ევროპის პარლამენტის არჩევნებში იქნება ოთხმხრივი შეთანხმების უხეში დარღვევა.

გფრ-ის რეაქციული ძალები აშკარად ილაშქრებენ ოთხმხრივი შეთანხმების წინააღმდეგ და ცდილობენ ჩაშალონ იგი. ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ყრილობაზე 1971 წლის ოქტომბერში შტრაუსმა ოთხმხრივ შეთანხმებას „პოლიტიკური სიბეცის შეთანხმება" უწოდა, ხოლო გფრ-ის გაზეთების მაგნატმა შპრინგერმა განაცხადა, რომ „ჩვენ ბერლინის საკითხის გადაჭრის მოწმენი კი არა ვართ, როგორც ეს ზოგიერთებს უნდათ წარმოადგინონ, არამედ ბერლინის მომავალი ახალი კრიზისების დასაწყისისა".

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სამხრეთ აფრიკის რასისტებთან გფრ-ის უმსხვილესი კონცერნების მჭიდრო კავშირი, რომლის მიზანია ატომური ტექნიკის და იარაღის შემუშავება და წარმოება[1].

---

[1] გფრ-ის 400-ზე მეტმა სხვადასხვა კომპანიამ თავისი საქმიანობა გააჩაღა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მათ შორის არის კონცერნი „ფოლკსვაგენი" და „ბმვ" (საავტომობილო კონცერნები), „ბასფ" (ქიმიური მრეწველობა), „ფრიდი", „კრეპი" (ბანქანათმშენებლობა), „სიმენსი" (ელექტრომრეწველობა) და სხვ. გფრ აშშ-ისა და საფრანგეთის მონოპოლიებთან ერთად ძალზე აქტიურად ეხმარება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას თერმობირთვული მრეწველობის შექმნაში. 1975 წელს გფრ-ს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დაბანდებული ჰქონდა 183 მლნ. რანდი, რაც 30%-ით მეტია, ვიდრე 1974 წელს. გფრ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ვაჭრობაში მეოთხე ადგილზე გამოვიდა ინგლისის, იაპონიის და აშშ-ის შემდეგ.

1975 წლის ივნისში გრფ-სა და ბრაზილიას შორის დაიდო შეთანხმება თერმობირთვული ენერგიის დარგში თანამშრომლობის შესახებ. გფრ-მა ამ შეთანხმებით ვალდებულება იკისრა ბრაზილიას გადასცეს ტექნიკური დოკუმენტაცია და დეხმაროს ურანის გამამდიდრებელი და სხვა ელემენტების წარმოების დანადგარების მშენებლობაში. შეთანხმებით გათვალისწინებულია აგრეთვე 8 ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. ამ დაკვეთის საერთო ღირებულება შეფასებულია 12 მლრდ. მარკით.

ბრაზილიას აქვს ურანის დიდი საბადოები. გფრ-ის მთავრობას იმედი აქვს, რომ ამ ხელშეკრულების წყალობით ბრაზილიისათვის მიწოდებული ატომური ტექნოლოგიის სანაცვლოდ მიიღებს ბრაზილიის ურანს. გფრ-ის ტექნიკური ექსპერტების აზრით, ბრაზილიაში ატომური დანადგარების მეშვეობით შეიძლება ურან-235-ის მიღება, რომლის საფუძველზე ადვილად შექმნიან ატომურ ბომბს. სწორედ ამი-

საშინაო პოლიტიკაში ყურადღებას იპყრობს სამხედრო ბიუჯეტის განუწყვეტელი ზრდა, ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა შემადგენლობისათვის ხელფასების გაზრდა და მათთვის სხვადასხვა შეღავათის და პრივილეგიების მიცემა. აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატი მინისტრები სახელმწიფო აპარატში იწვევენ მონოპოლისტური წრეების წარმომადგენლებს, რითაც უფრო შორს მიდიან, ვიდრე ქდკ/ქსკ მთავრობა.

სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელები სასტიკად უკრძალავენ თავიანთ წევრებს კომუნისტებთან ყოველი სახის თანამშრომლობას ან ერთიან მოქმედებას, სდევნიან მათ, ვინც არ ასრულებს პარტიის ხელმძღვანელობის მითითებებს. სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო სამსახურში კომუნისტების მიღების აკრძალვის შესახებ. მეწარმეების მიერ კომუნისტების საწარმოებიდან დათხოვნას მთავრობა არა მარტო იწონებს, არამედ ამკარად აქეზებს მათ. არსებობს ადმინისტრაციული დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი „რადიკალური" ელემენტების შესახებ, რომლებიც კრძალავენ „პოლიტიკურად არასაიმედო" პირების სახელმწიფო დაწესებულებებში მიღებას. ასეთი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გფრ-ში ფართო მოძრაობაა გაჩაღებული კომუნისტების ხელმძღვანელობით.

კონსტიტუციის დაცვის უწყებამ თავის ერთ-ერთ 1976 წლის ანგარიშში აღნიშნა გფრ-ში „ნეონაციისტური" მიმართულებების მნიშვნელოვანი გაძლიერება, ხოლო დასავლეთ გერმანიის ოლქების შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირმა აღიარა, რომ იზრდება „მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციების მოღვაწეობის აქტივიზაცია". მართლაც, ნეონაციისტურ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას ამ ბოლო დროს მიემატა ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია. ჰიტლერული პარტიის სახელწოდება გადაიცვალა ე. წ. „გერმანელი მოქალაქეობრივი ინიციატივისა" და სხვა ნეოფაშისტურმა ჯგუფებმა. ნეონაციისტთა გასამხედროებული ჯგუფი — „დიდი გერმანია" — ამტკიცებს, რომ ემზადება „გადამწყვეტი ბრძოლისათვის მემარცხენეებთან, ისევე როგორც 1933 წელს".

მთავრობა თითქოს ცდილობს ბოლო მოუღოს ნეონაცისტების საქმიანობას, მაგრამ სინამდვილეში არავითარ ზომებს არ მიმართავს

ტომაა, რომ ამ შეთანხმებამ გამოიწვია პროტესტი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას თერმობირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, 1976 წლის 25 დეკემბერს გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება თერმობირთვული ტექნოლოგიის ექსპორტის შესახებ. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ გფრ-ის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს შეასრულოს ბრაზილიასთან 1975 წლის ივნისში დადებული შეთანხმება თერმობირთვული ენერგიის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

მათ საწინააღმდეგოდ, ისინი სრული თავისუფლებით სარგებლობენ. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ 1976 წლის აგვისტოში ჰამბურგში ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით ჩატარდა დასავლეთ ევროპის „ეროვნული ძალების კონგრესი", რომელშიც მონაწილეობდნენ ნეოფაშისტები ავსტრიიდან, ბელგიიდან, ნორვეგიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან და გფრ-დან.

საყურადღებოა, რომ 1975 წ. სხვადასხვა ქვეყნის ნეოფაშისტების კონგრესი ჩატარდა ბარსელში.

1975 წლის ოქტომბერში გფრ-ის რეაქციულმა ძალებმა შექმნეს კიდევ ერთი პარტია „მეოთხე პარტიის" სახელწოდებით, რომელიც, როგორც პრესაში იყო გამოცხადებული, უნდა გადაიქცეს მემარჯვენე ბანაკის სარეზერვო პოლიტიკურ ძალად მემარცხენეებისა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

გფრ-ში თავიანთი საქმიანობა ნეონაცისტურმა ორგანიზაციებმა და დაჯგუფებებმა განსაკუთრებით გააქტიურეს 1975—1976 წლებში. ამის დამადასტურებელი მთელი რიგი ფაქტები აღნიშნულია დასავლეთ გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს „შინაგანი უშიშროების" საკითხთა ბიულეტენში, რომელიც გამოქვეყნდა 1976 წლის 28 დეკემბერს.

როგორც ბიულეტენშია აღნიშნული, ნოემბერში ნეონაცისტთა 1923 წლის მიუნხენის პუტჩის „წლისთავის გამო", დასავლეთ გერმანიის ნეონაცისტებმა „აქციები" მოაწყვეს ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ვისბადენი, შტუტგარტი, ჰელზენ-კირჰენი, კრეფელდი, მაინის ფრანკფურტი, დორსტენი და ბენსჰაინი.

მაინის ფრანკფურტში ნეონაცისტური ორგანიზაციის „დიდი გერმანიის მებრძოლი ჯგუფის" წევრებმა სვასტიკიანი ალამი აღმართეს სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაზე. ამავე დროს ისინი ავრცელებდნენ სვასტიკიან პლაკატებს, ნაცისტ „ფიურერთა" პორტრეტებს და ნეონაცისტური შინაარსის ფურცლებს.

ჰესენის დედაქალაქ ვისბადენში ნეონაცისტებმა გააკრეს ათობით სვასტიკიანი პროვოკაციული პლაკატი მოწოდებით „გაიღვიძე, გერმანიავ!".

ბიულეტენში გამოქვეყნებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ აღეძრათ საქმე ზოგიერთი ნეონაცისტის წინააღმდეგ, მაგრამ დღემდე მხოლოდ ერთ მათგანს დასდეს მსჯავრი „ნაცისტური პროპაგანდისტული მასალების გავრცელებისათვის".

ამავე დროს ეგრეთ წოდებული „გერმანული მოქალაქეობრივი ინიციატივის" ჯგუფის ლიდერს ნეონაცისტ მ. როდერს შესაძლებლობა აქვს პროპაგანდა გაუწიოს თავის შეხედულებებს, როგორც გერ-

მანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ისე საზღვარგარეთ. ბიულეტენში აღნიშნულია, რომ 1976 წლის აგვისტო-სექტემბერში იგი პროპაგანდისტული მიზნით მოგზაურობდა შეერთებული შტატების მთელ რიგ ქალაქებში და მონაწილეობდა ახალ ორლეანში გამართულ ნეონაცისტთა „საერთაშორისო კონგრესში", სადაც ჰოითხოვდა „აფეთქებას, ქაოსსა და ანგარიშის გასწორებას" დემოკრატებთან და ანტიფაშისტებთან.

საქმე იმაშია, რომ 1974 წელს დასავლეთ ევროპაში დაწყებული ეკონომიკური კრიზისი გფრ-საც შეეხო. მართალია, აქ ისეთი სიძნელეები არ გამოუწვევია, როგორიც, მაგალითად აშშ-სა და ინგლისში, მაგრამ გფრ-ის ეკონომიკას 1975—1976 წლებში ახასიათებს მრეწველობის დაქვეითება, ბიუჯეტის ძრავალმილიარდიანი დეფიციტი, ფასებისა და ინფლაციის ზრდა და გაზრდილი უმუშევრობა. მაგალითად, 1976 წლის ნოემბერში უმუშევართა რაოდენობამ გფრ-ში 943 ათას კაცს მიაღწია.

მთავრობის ღონისძიებები ეკონომიკისა და ფინანსების დარგში ითვალისწინებს ზოგიერთი გადასახადის გადიდებას, აგრეთვე მთელი რიგი უწყებების ხარჯების შემცირებას.

ეკონომიკური კრიზისის შედეგად ხალხთა მასების უკმაყოფილებით შეშფოთებული რეაქციული ძალები მხარს უჭერენ და აქეზებენ ნეოფაშისტებს და ცდილობენ ისინი გამოიყენონ დემოკრატიული და რევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მსხვილი კაპიტალის ბატონობის შენარჩუნებისათვის. ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციამ (1976 წლის 29—30 ივლისი) აღნიშნა, რომ კონტინენტის დემოკრატიული ძალების წინაშე გადაუდებელი ამოცანაა ფაშიზმის აღმოფხვრა, მისი აშკარა თუ ფარული აღორძინების თავიდან აცილება. ეს აუცილებელია დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ბუნდესტაგის არჩევნები 1976 წლის ოქტომბერში. 1976 წლის 3 ოქტომბერს გფრ-ში ჩატარდა ბუნდესტაგის რიგით მეოცე არჩევნები. წინასაარჩევნო კამპანია ხასიათდებოდა ძალზე მწვავე ბრძოლით. ურთიერთშორის მებრძოლმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა მთელი ძალების მობილიზაცია მოახდინეს, რათა წარმატებისათვის მიეღწიათ. გფრ-ის პრესამ ამ ბრძოლას „პოლიტიკური სამოქალაქო ომი" უწოდა. რეკლამის ხარჯები ამ არჩევნებში ძალზე დიდი იყო. პარტიების ხარჯებმა ამ კამპანიის დროს მიაღწია 280 მლნ. მარკას, რაც 12 პროცენტით მეტია, ვიდრე 1972 წლის კამპანიის დროს.

1976 წლის მაისში გფრ-ის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა წინასაარჩევნო პროგრამა. საგარეო პოლიტიკაში იგი მო-

ითხოვდა სოციალისტურ ქვეყნებთან თანაარსებობის, ურთიერთგაგების, ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკური კურსის განხორციელებას. დოკუმენტში მითითებულია, რომ ამ ურთიერთობის მნიშვნელოვანი შედეგია ხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება სოციალისტურ ქვეყნებთან.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია პარტიის საშინაო პოლიტიკის საკითხებიც, მოცემულია დაპირება ისეთი ღონისძიებების განხორციელებისა, რომლებიც ბოლოს მოუღებენ უმუშევრობას და ეკონომიკის დაქვეითებას. ამასთანავე, აქ ლაპარაკია ნატოს აგრესიული დაჯგუფების გაძლიერების აუცილებლობაზე.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის — ლიდერები ქვეყნის ეკონომიკურ სიძნელეებს, ინფლაციას, ფასებისა და უმუშევრობის ზრდას აბრალებდნენ მთავრობას და ამით ცდილობდნენ მმართველი პარტიებისათვის სახელის გატეხას, თუმცა მთელი ამ კრიზისული მდგომარეობის მიზეზი იმდენად მთავრობა როდი იყო, რამდენადაც თვითონ კაპიტალისტური სისტემა. არახელსაყრელმა კონიუნქტურამ იმედი მისცა ქდკ/ქსკ ლიდერებს ამ არჩევნებში წარმატებებისა და მთავრობაში დაბრუნებისა. საყურადღებოა, რომ ქდკ/ქსკ ლიდერებმა ბრძოლა ხელისუფლებისათვის 1972 წლის არჩევნებში დამარცხების მეორე დღიდანვე დაიწყეს. ამ ბრძოლამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს კულმინაციურ წერტილს მიაღწია.

ქდკ/ქსკ ლიდერებმა წამოაყენეს ლოზუნგი „სოციალიზმის ნაცვლად თავისუფლება!“ და ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს არჩევნების დროს წყდებოდა არსებული სოციალ-ეკონომიკური წყობის და არა პარტიების ხელისუფლებაში შეცვლის საკითხი. ბურჟუაზიულმა ლიდერებმა ანტიკომუნისტური ისტერიაც გააჩაღეს და ლაუბობდნენ, სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა „სახალხო ფრონტის“ შექმნის გზისკენ მიდისო.

ქდკ/ქსკ ლიდერები განსაკუთრებით თავს ესხმოდნენ სოციალ-დემოკრატების სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის პოლიტიკას, რომელსაც „ცალმხრივი დათმობების“ პოლიტიკას უწოდებდნენ.

სოციალ-დემოკრატები ეკონომიკურ საკითხებში მეტოქეებს არც ისე დაუსაბუთებლად უმტკიცებდნენ, რომ დასავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით გფრ ნაკლებად მოიცვა ეკონომიკურმა კრიზისმა, რასაც თავის დამსახურებად მიიჩნევდნენ, საგარეო პოლიტიკაში კი ცხადყოფდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკური კურსის უპირატესობას „ცივი ომის“ კურსთან შედარებით. სოციალ-დემოკრატებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ხმა მიეცით მშვიდობას!“. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 37 მილიონზე მეტმა კაცმა (ხმის უფლების მქონეთა 91%-მა).

არჩევნების შედეგები შემდეგნაირია: სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმების 42,6% და ბუნდესტაგში 214 დეპუტატის ადგილი მიიღო (1972 წელს კი — 45,8% და 230 ადგილი), მისმა პარტნიორმა მთავრობის კოალიციაში თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ — ხმების 7,9% და 39 მანდატი (1972 წ. — 8,4 და 41 ადგილი).

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიამ ხმების 38% და 191 ადგილი მიიღო, ხოლო მისმა ბავარიელმა პარტნიორმა — ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა — 10,6% და 53 მანდატი, ორივემ ერთად კი — 48,6%, და 244 ადგილი (1972 წ. — 44.9% და 225 ადგილი).

არჩევნების მთავარი შედეგი ის არის, რომ მთავრობის კოალიციამ ბუნდესტაგში მიიღო დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა — 253 მანდატი 496-დან, რამაც უფლება მისცა მას 4 წლის კვადით კვლავ შეექმნა მთავრობა.

როგორც აქ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, 1972 წლის არჩევნებთან შედარებით სოციალ-დემოკრატებსაც და თავისუფალ დემოკრატებსაც მოაკლდათ ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილი, ხოლო ქდკ/ქსკ ბლოკს მოემატა. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა, თითქმის მილიონმა უმუშევარმა, განუწყვეტელმა სიძვირემ (თუმცა არც ისე ძლიერად, როგორც დასავლეთის სხვა ქვეყნებში). ბინის ქირისა და გადასახადების გადიდებამ — ყოველივე ამან საფუძველი მისცა ისეთ გამოცდილ დემაგოგს, როგორიცაა შტრაუსი, მმართველი კოალიციისათვის დაებრალებინა „სრული გაკოტრება". „ქვეყნის მართვის უუნარობა" და ა. შ. ამავე დროს ქდკ/ქსკ ლიდერები მლიქვნელურად იკავებდნენ რიგითი ამომრჩეველების ინტერესების დამცველთა პოზიციას, პირდებოდნენ მათ მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუ ხელისუფლების სათავეში მოექცეოდნენ.

უნდა გავითვალისწინოთ ის როლიც, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ შეასრულა ამ არჩევნებში. იგი მოუწოდებდა ხალხს „ხმა მიეცით ქრისტიანელად", ე. ი. სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგო. და ბოლოს, არჩევნების შედეგებმა გამოაელინა მმართველი პარტიების პოლიტიკის ზოგიერთი სუსტი მხარე. ამომრჩეველთა ფართო წრეები, განსაკუთრებით მშრომელები და ახალგაზრდობა, უკმაყოფილო იყვნენ ამ პარტიების არათანამიმდევრული და გაუბედავი მოქმედებით, იმ ნელი ტემპით, რომლითაც ისინი ახორციელებდნენ დიდი ხნის წინათ მომწიფებულ სოციალურ რეფორმებს.

გერმანიის კომპარტია საარჩევნო ბრძოლას ეწეოდა უალრესად ძნელ პირობებში, მტრული ანტიკომუნისტური კამპანიის ვითარებაში, რომელიც მემარჯვენე წრეებმა გააჩაღეს. კომპარტიის სამი კანდიდატი — ნ. ადამო, ნ. ვიტმანი და ბ. ფოგლერი — დააპატიმრეს ფეოდე-

ში. როდესაც ისინი მოსახლეობას განუმარტავდნენ ანტიხალხურ და ანტიდემოკრატიულ დადგენილებას „რადიკალური ელემენტების შესახებ". მიუხედავად ანტიკომუნისტური ისტერიისა, გერმანელთა კომპარტიამ შეძლო ახალი მომხრეების გაჩენა, თავისი პოზიციების განმტკიცება მუშათა რაიონებში.

განვლილი არჩევნების შედეგებს მარტო გფრ-თვის როდი აქვს დიდი მნიშვნელობა. პრესის ცნობით, არჩევნების შედეგებმა დადებითი რეაქცია გამოიწვია დასავლეთში, ვინაიდან იქ შიშობდნენ, რომ ქდკ/ქსკ გამარჯვება სიძნელეებს შექმნიდა დასავლეთის კავშირისათვის საერთაშორისო ურთიერთობაში და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობაში.

ამრიგად, გფრ-ის ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა ხმა მისცა მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების კურსის გაგრძელებას. თუ გავითვალისწინებთ გფრ-ის წარსულსა და ევროპაში მის მდგომარეობას, მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ჩვენი კონტინენტის ბედი.

VII თავი

იტალია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ[1]

§ 55. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იტალიაში 40—50-იან წლებში

ომის შედეგები. ეკონომიკური განვითარება 40—50-იან წლებში. ომმა დიდი ზარალი მიაყენა იტალიას. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1945 წლისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა ორჯერ ნაკლები იყო ომამდელთან შედარებით. ინგლის-ამერიკის მიერ იტალიის ტერიტორიაზე წარმოებული საომარი ოპერაციებისა და გერმანიის ავიაციის მიერ განუწყვეტელი დაბომბვის შედეგად დაინგრა მთელი საწარმოების $^1/_5$, რკინიგზების $^1/_4$, ხიდების $^1/_3$, განადგურდა ნავსადგურებისა და ეროვნული ფლოტის $^9/_{10}$, ხოლო ეროვნული სიმდიდრე $^1/_3$-ით შემცირდა. ქვეყნის საერთო ზარალი 10 მლრდ. ლირითაა შეფასებული. მოკლულთა სახით დანაკარგი 450 ათას კაცს შეადგენს.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობაც. ომამდელთან შედარებით მოსავალი $^1/_3$-ით შემცირდა.

სამეურნეო ნგრევამ, სახალხო მეურნეობის დაცემამ და ფასების არნახულმა ზრდამ გამოიწვია ხალხთა მასების მატერიალური მდგომა-

---

[1] ტერიტორია — 301,2 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 55,9 მლნ. (1975 წლის ოქტომბერი), დედაქალაქი — რომი (გარეუბნებიანად — 3,5 მლნ., 1972 წ.).

რეობის გაუარესება. როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგაც პუ-
რის ყოველდღიური ნორმა 200 გრამს არ აღემატებოდა.

ამრიგად, ომის დამთავრებისას იტალიაში სრული სამეურნეო ქა-
ოსი იყო. ყოველივე ამას მოჰყვა უმუშევრობა. უმუშევართა რაოდე-
ნობამ ომის დამთავრების შემდეგ 2 მლნ. კაცს მიაღწია. დიდ საჰ-
რეწველო ქალაქებში არ მოქმედებდა წყალსადენი, მოსახლეობას არ
აწვდიდნენ გაზს, არ მუშაობდა ელექტროსადგურები. შეწყდა ან არა-
საკმარისი იყო ქალაქების მომარაგება სურსათ-სანოვაგით. ეს უკანას-
კნელი სპეკულანტების ხელში აღმოჩნდა, გაბატონდა შავი ბაზარი.
ისედაც გაჭირვებული ხალხი უფრო ცუდ მდგომარეობაში მოექცა.
მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაცია ხელს უწყობდა ქვეყნის ეკო-
ნომიკური მდგომარეობის გაუარესებას, რათა დასუსტებული იტალია
მათი გავლენის ქვეშ აღმოჩენილიყო.

საჭირო იყო ომით განადგურებული მრეწველობის აღდგენა. იგი
განხორციელდა მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების, საფუძველზე
შექმნილი მანქანა-დანადგარების დანერგვით.

მთავრობა გაბონებული ლირას სტაბილიზაციას ცდილობდა ხელ-
ფასის ერთ ადგილზე გაყინვით, მსხვილ საწარმოებზე გადასახადების
შემცირებით, წვრილი და საშუალო მეწარმეებისათვის კრედიტების
გაცემის შემცირებით და ა. შ.

იტალიის ბურჟუაზიას ხელისუფლების შენარჩუნებაში დიდი მხარ-
დაჭერა გაუწია „მარშალის გეგმის" საფუძველზე მიღებულმა დახმა-
რებამ. 1950—1951 წლებში იტალიის მრეწველობამ მიაღწია ომამ-
დელ დონეს. ამ დროისათვის „მარშალის გეგმის" წყალობით იტალიის
მსხვილმა საწარმოებმა აშშ-გან მიღებული მანქანა-დანადგარებით ძი-
რითადად დაამთავრეს თავიანთი მრეწველობის მოდერნიზაცია: 50-
იანი წლების მეორე ნახევრიდან იტალიის მრეწველობის განვითარე-
ბაში იწყება ე. წ. „სასწაული".

**კლასთა ძალების თანაფარდობა. ბრძოლა დემოკრატიულ და რე-
აქციულ ძალებს შორის.** ომის დამთავრების შემდეგ ეროვნული განთა-
ვისუფლების კომიტეტებში[1] შეიცვალა ძალთა თანაფარდობა ჩრდი-
ლოეთ იტალიაში, რომელიც მრეწველობის მხრივ ქვეყნის ყველაზე
განვითარებული რაიონია. მანამდე კომიტეტებში დიდი იყო კომუნის-
ტების გავლენა. ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში კი ჭარბობდნენ
კონსერვატორული ძალები. ჩრდილოეთ იტალიაში ფაქტობრივად მთე-
ლი ძალაუფლება ეროვნული კომიტეტების ხელში იყო. ბევრი ფაბრი-

[1] ეროვნული განთავისუფლების კომიტეტები 1943 წელს შეიქმნა, რომლის მი-
ზანი იყო ქვეყნის განთავისუფლება „საკუთარი" და გერმანელთა ფაშისტური ე-
ლისაგან. კომიტეტებში კომუნისტებთან ერთად შედიოდნენ სოციალისტები, ქრის-
ტიან-დემოკრატები, ლიბერალები და სხვა პარტიები.

კა-ქარხნის მეპატრონემ მიატოვა თავისი საწარმოები, რომელთა ხელმძღვანელობა ხელში აიღეს მუშათა მართვის საბჭოებმა.

ფაშიზმის კრახმა ძალზე დაასუსტა იტალიის ბურჟუაზია. ფაშიზმის სამხედრო-პოლიტიკური აპარატი ლიკვიდირებულ იქნა. ძლიერ დასუსტებული იყვნენ ომამდე არსებული და მუსოლინის დიქტატურის მიერ ლიკვიდირებული ბურჟუაზიული პარტიები, რომელთა გავლენა ქვეყანაში უმნიშვნელო იყო.

ომის დამთავრების შემდეგ ყველაზე გავლენიანი, მონოლითური და მრავალრიცხოვანი იყო კომუნისტური პარტია. კომუნისტების თავგანწირულმა ბრძოლამ ფაშიზმის წინააღმდეგ, მისი აღმოცენებიდან ომის დამთავრებამდე, არნახულად გაზარდა მათი ავტორიტეტი და გავლენა. განსაკუთრებით დიდი იყო ეს გავლენა ქვეყნის სამრეწველო რაიონებში. 1945 წლისათვის იტალიის კომუნისტური პარტია თავის რიგებში 1,7 მლნ. წევრს აერთიანებდა. კომუნისტების დასაყრდენს წარმოადგენდნენ რიგი მასობრივი ახალგაზრდათა, ქალთა და სხვა ორგანიზაციები და 1944 წელს შექმნილი იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაცია, რომელიც თავის რიგებში 6 მლნ. კაცს აერთიანებდა. კონფედერაციის გენერალური მდივანი იყო კომუნისტი დ. ვიტორიო. კომუნისტები პროლეტარიატის [1] გარდა დიდი გავლენით სარგებლობდნენ გლეხობასა და ინტელიგენციაში.

დიდი იყო სოციალისტური პარტიის გავლენაც. იგი თავის რიგებში აერთიანებდა 900 ათას წევრს. პარტიის ლიდერი იყო პ. ნენი. სოციალისტური პარტიის პოზიციაზე დიდად იყო დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართებოდა ქვეყნის შემდგომი განვითარება, ვინაიდან თუ სოციალისტები კომუნისტებთან ერთიანი ფრონტით გამოვიდოდნენ, ქვეყანაში ძალთა თანაფარდობა დემოკრატიული ბანაკის სასარგებლოდ შეიცვლებოდა. სოციალისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ კომუნისტებთან წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1946 წელს მუშათა ორივე პარტიამ დადო ერთიანი მოქმედების პაქტი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეაქციის წინააღმდეგ მუშათა ერთიანი ძალებით მოქმედებისათვის.

ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით იტალიის მუშათა კლასის დიდი მიღწევა იყო ის, რომ სოციალისტებმა გაწყვიტეს კავშირი რეფორმიზმთან და კომუნისტებთან ერთიანი ფრონტით გამოდიან.

ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანია ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, რომელიც 1943 წელს ვატიკანის ხელმძღვანელობით შეიქმნა. ამ პარტიის ორგანიზატორები

---

[1] ფაშიზმის დროს ინდუსტრიალიზაციის შედეგად მოხდა ცვლილებები მუშათა კლასის სტრუქტურაში. 1941 წლის აღწერით მუშათა კლასი შეადგენდა მოსახლეობის 35%. მუშათა კლასი წინააღმდეგობის მოძრაობის პირველ რიგებში იბრძოდა.

ფიქრობდნენ ომის დროს გარეოლუციონერებული მასების რელიგიური გავლენის ქვეშ მოქცევას და ბურჟუაზიული წყობილების შენარჩუნებას. ამ პარტიამ გლეხობას, წვრილ ბურჟუაზიულ ფენებსა და მუშათა კლასში თავისი დასაყრდენის შექმნის მიზნით შეიმუშავა სოციალური რეფორმების პროგრამა. იგი თავის ამოცანად აცხადებდა მსხვილი კაპიტალის ბატონობის მოსპობას და პროლეტარიატის წვრილ მესაკუთრე კლასად გადაქცევას. პროგრამა დაპირებას იძლეოდა აგრარული, სამრეწველო და ფინანსური რეფორმების განხორციელების შესახებ, კერძოდ-კი უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს პირდებოდა მიწას [1], მუშებს — აქციების შეძენას და საწარმოების მოგებაში მონაწილეობას.

ამ პარტიის ლიდერები, ვატიკანის მხარდაჭერით, იტალიელი ხალხის წინაშე ცდილობდნენ წარმდგარიყვნენ, როგორც „უკლასო" პარტის წარმომადგენლები. გარდა დემაგოგიური დაპირებებისა ისინი ქადაგებდნენ „ქრისტიანულ სამართლიანობას", მაღალ ქრისტიანულ ზნეობრიობას, კლასობრივ მშვიდობას და ა. შ. ამიტომ იყო, რომ ამ პარტიის გავლენის ქვეშ მოექცა მშრომელი კათოლიკეების მნიშვნელოვანი ნაწილი — გლეხობა, ქალაქის საშუალო ფენები და მუშათა ნაწილი. პარტიაში შედიოდნენ აგრეთვე საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთა ინტერესების ფაქტობრივი ამსახველი იყო იგი. პარტია თავის რიგებში 1 მლნ. წევრს აერთიანებდა. პარტიის ლიდერი პ. დე გასპერი ომის შემდგომ პირველ წლებში მუშათა პარტიებთან თანამშრომლობის მომხრედაც კი გამოდიოდა.

ომამდელი პარტიებიდან ჯერ კიდევ ომის დროს გაჩნდა მოღვაწეობა ლიბერალურმა პარტიამ, რომლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის ეროვნულ კომიტეტებში, მაგრამ ამ პარტიის გავლენა აშკარა კონსერვატორული პოზიციის გამო უმნიშვნელო იყო.

ომის დამთავრებისთანავე წინააღმდეგობამ თავი იჩინა ანტიფაშისტურ პარტიებში. ამერიკა-ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება დაუფარავად ეწეოდა იტალიის საშინაო საქმეებში ჩარევას და იტალიის მემარჯვენე ძალებთან ერთად ცდილობდა წინააღმდეგობის კომიტეტების თანდათანობით ლიკვიდაციას. კომუნისტები მონაწილეობდნენ 1944 წელს ბონომეს მეთაურობით შექმნილ ნეთაურობაში. 1945 წლის ივნისში ეროვნული განთავისუფლების კომიტეტებში შემავალი ანტიფაშის-

---

1 მთელი მიწების ნახევარი იმყოფებოდა 20—25 ათასი ოჯახის ხელში, ხოლო გლეხთა ოჯახების 80% (4200 ათასი ოჯახი) უმიწო ან მცირე მიწის მქონე იყო. მსხვილი მიწათმფლობელობა განსაკუთრებით იტალიის სამხრეთში ბატონობდა. 1946 წელს იტალიაში იყო 1,8 მლნ. გლეხი მონახევრე, 2,3 მლნ. ღიღური მომუშავე და მოჯამაგირე.

ტური პარტიებისაგან შეიქმნა მთავრობა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, „მოქმედების პარტიის" ლიდერის ფ. პარის მეთაურობით.

1946 წლის 1 იანვრიდან მოკავშირეთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ჩრდილოეთი იტალია 1945 წლის 10 დეკემბერს შექმნილ დე გასპერის მთავრობას გადასცა. აშშ-ის ჯარები იტალიაში კიდევ ორი წელი დარჩნენ.

ომის დამთავრების შემდეგ ბურჟუაზიული პარტიები მხარს უჭერდნენ ამერიკა-ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას, რომლებიც ამკარად ერეოდნენ იტალიის საშინაო საქმეებში და აუქმებდნენ ეროვნული განთავისუფლების კომიტეტების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. მათ მონოპოლისტებს და მემამულეებს დაუბრუნეს თავიანთი საკუთრება. ისინი სდევნიდნენ ამ კომიტეტებს და ბოლოს გააუქმეს კიდეც. რეაქცია განსაკუთრებით უტევდა კომპარტიას, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა, რომლის წარმომადგენლები 1944—1947 წწ (მაისამდე) შედიოდნენ იტალიის მთავრობის შემადგენლობაში.

1946 წლის შემოდგომაზე მთავრობაში შემავალი კომუნისტების ზეგავლენით შეიტანეს საგანგებო გადასახადი ქონებაზე, გაიზარდა ხელფასები და ა. შ.

დემოკრატიული და რეაქციული ძალები ერთმანეთს ებრძოდნენ სახელმწიფოებრივი წყობის საკითხში. მემარცხენე პარტიები მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას, მონარქიის ლიკვიდაციას, ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადებას და დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას.

რეაქციული ძალები კი, ვატიკანის მეთაურობით და ამერიკა-ინგლისის ჯარების მხარდაჭერით, მონარქიის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. მონარქიის გადარჩენის მიზნით ისინი იძულებული გახდნენ გაეწირათ სახელგატეხილი ვიქტორ ემანუილ III და მის ნაცვლად 1946 წლის მაისში ტახტზე აეყვანათ მისი შვილი უმბერტო II. მაგრამ მონარქიის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. მემარცხენე ძალები ამ საკითხში ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ.

1945 წლის დეკემბერში შედგა იტალიის კომუნისტური პარტიის V ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა ქვეყნის ეროვნული განახლების პროგრამა. მიმდინარე მომენტის მთავარ ამოცანად პროგრამა სახავდა მუშათა კლასთან, ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენებსა და ბურჟუაზიის გარკვეულ ნაწილთან კავშირში პროგრესული, დემოკრატიული წყობილების დამყარებისათვის ბრძოლას. პროგრამა მოითხოვდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, მონარქიის გაუქმებას და დემოკრატიული კონსტიტუციის შემუშავებას, მონოპოლისტური წარმო-

ებების ნაციონალიზაციას, წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას, მემამულეთა ლატიფუნდიების კონფისკაციას და ა. შ. ეს იყო „რესპუბლიკურ-დემოკრატიული წყობილების" დამყარების პროგრამა, რომელსაც პარტია მოითხოვდა მემარცხენე ძალებთან კავშირში და მათთან თანამშრომლობით[1]. ამასთანავე, კომპარტია ხაზს უსვამდა, რომ ასეთი წყობილების საერთო მიზანი სოციალიზმი იქნება.

რესპუბლიკის შექმნას ფართო მასები უჭერდნენ მხარს და სწორედ ამის გავლენით ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ (1946 წლის აპრილში) მოითხოვა რესპუბლიკური წყობილების დამყარება.

1946 წლის 2 ივნისს ჩატარდა რეფერენდუმი ქვეყნის მართვის ფორმის შესახებ. 12,7 მლნ. კაცმა ხმა მისცა რესპუბლიკური წყობილების დამყარებას, 10,7 მლნ-მა კი მოითხოვა მონარქიის შენარჩუნება. მონარქიის მომხრედ ძირითადად გამოვიდნენ ჩამორჩენილი სამხრეთის, უმეტესად არჩევნებში მონაწილე გლეხი ქალები. 1946 წლის 18 ივნისს იტალია რესპუბლიკად გამოცხადდა. ეს რეაქციული ძალების ფიდ მარცხს მოასწავებდა.

ერთდროულად ჩატარდა აგრეთვე დამფუძნებელი კრების არჩევნები.

ყველაზე მეტი ხმა მიიღო ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ (8,1 მლნ., ე. ი. ამომრჩეველთა 35,5%), მეორე ადგილზე იყო სოციალისტური პარტია (4,7 მლნ., 20%), მესამეზე — კომუნისტური (4,3 მლნ., 13%).

კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა 556 ადგილიდან კრებაში მიიღეს 229 ადგილი, ქრისტიან-დემოკრატიულმა — 207 ადგილი.

არჩევნების შემდეგ კვლავ კოალიციური მთავრობა შეიქმნა დე გასპერის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში კომუნისტური და სოციალისტური პარტიები შევიდნენ. დამფუძნებელ კრებაში ძალთა უპირატესობა მემარცხენე პარტიების მხარეზე იყო.

რეაქცია ყოველ ხერხს ხმარობდა, რათა ჩაეშალა მემარცხენე პარტიების ერთიანობა და თანამშრომლობა. 1947 წლის იანვარში სოციალისტური პარტიის ყრილობაზე მემარჯვენე სოციალისტებმა დასვეს სოციალისტების კომუნისტებთან ერთიანი მოქმედების შეწყვეტის საკითხი. ყრილობის უმრავლესობამ უარყო ეს მოთხოვნა, რის შემდეგ მემარჯვენეთა უმცირესობამ (100 ათასი წევრი) დატოვა ყრილობა და შექმნა სოციალ-რეფორმისტული პარტია, რომელმაც 1952 წლი-

[1] «Тридцать лет жизни и борьбы Итальянской коммунистической партии», М., 1953, зд. 504—508.

დან სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება მიიღო. სოციალისტურ პარტიაში მომხდარმა განხეთქილებამ ბიძგი მისცა რეაქციას, რათა კომუნისტების წინააღმდეგ აშკარად გამოსულიყო. 1947 წლის 13 მაისს დე გასპერის კოალიციური მთავრობა გადადგა. 30 მაისს მანვე შეადგინა ახალი მთავრობა, რომლის შემადგენლობა მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრებისაგან შეიქმნა. ამ მთავრობამ მემარჯვენე პარტიების მხარდაჭერით დამფუძნებელ კრებაში მიიღო ნდობის ცოტუმი (274 ომომხრე 231 წინააღმდეგ).

კომუნისტებისა და სოციალისტების განდევნის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიული პარტია მკვეთრად გამემარჯვენდა და უარი თქვა თავის დაპირებებზე რეფორმების გატარების შესახებ. დე გასპერიმ მოითხოვა, რომ გადაედოთ რეფორმების გატარება, როგორც „არასასწრაფო ღონისძიება, რომელიც იწვევს იდეოლოგიურ და პარტიულ წინააღმდეგობებს".

მაისის ამბების შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიული პარტია გადაიქცა მსხვილი ბურჟუაზიის მთავარ პარტიად. ამ პარტიასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები და რესპუბლიკელები. რომელთა წარმომადგენლები 1947 წლის დეკემბერში დე გასპერის მიწვევით შევიდნენ მის მთავრობაში. მთავრობას პარლამენტში მხარს უჭერდნენ მემარჯვენე პარტიები.

მემარჯვენე ძალების კონსოლიდაციას მემარცხენეებმაც თავიანთი ძალების გაერთიანებით უპასუხეს. 1947 წლის ოქტომბერში მოქმედების პარტია გაერთიანდა სოციალისტურ პარტიასთან. ხოლო დეკემბერში კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა შექმნეს სახალხო-დემოკრატიული ფრონტი, რომელიც დემოკრატიული ძალების მუდმივი ორგანიზაცია უნდა გამხდარიყო რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახალი კონსტიტუციის მიღება და 1948 წლის პარლამენტის არჩევნები. 1948 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და 1947 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებული კონსტიტუცია. კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები პ. ტოლიატი და პ. ნენი შედიოდნენ დამფუძნებელი კრების მიერ საგანგებოდ შექმნილ საკონსტიტუციო კომისიაში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კონსტიტუციის დემოკრატიული მუხლების შემუშავებაში.

კონსტიტუცია იტალიას შრომის რესპუბლიკად აცხადებდა. საკანონმდებლო ორგანო გახდა პარლამენტი, რომელიც შედგება დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. პირველს ირჩევენ 5 წლით, მეორეს კი — 6 წლის ვადით. ამასთანავე, ორივე პალატის არჩევნები ხდება საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე.

აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი ასრულებს. პრეზიდენტს ირჩევს ორივე პალატა 7 წლის ვადით. იგი ნიშნავს მთავრობას იმ პარტიიდან, რომელიც პარლამენტში ხმების უმრავლესობას მიიღებს. პარლამენტს უფლება აქვს დეპუტატთა ხმების უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს და გადაყენოს მთავრობა.

კონსტიტუცია აცხადებს სიტყვის, პრესის, კრების, სინდისის, პიროვნების, პარტიების და ორგანიზაციების თავისუფლებას, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობას, უფლებებს შრომასა და დასვენებაზე, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობას, 8 წლიან უფასო და საყალდებულო განათლებას.

კომუნისტების და სოციალისტების მოთხოვნით კონსტიტუცია აცხადებდა სსტვილი მიწათმფლობელობის შეზღუდვას, ბსტვილი მონოპოლისტური საწარმოების ნაციონალიზაციას, მშრომელთა უფლებებს წარმოების მართვაში მონაწილეობაზე და ა. შ.

ამგვარი კონსტიტუციის მიღება დემოკრატიული ძალების დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა და იძლეოდა იტალიაში ფართო დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლის შესაძლებლობას.

მიუხედავად ამისა, კონსტიტუციაში დარჩა ზოგიერთი კონსერვატორული ხასიათის მუხლი. კერძოდ, ძალაში დარჩა 1929 წლის ლატერანის შეთანხმება, სკოლაში კათოლიკური დოგმების სწავლება, სამოქალაქო და საეკლესიო ქორწინების თანასწორუფლებიანობა, ცოლქმრის თანასწორუფლებიანობა. თუმცა განქორწინება ძველებურად იკრძალებოდა.

კონსტიტუციამ აკრძალა ფაშისტური პარტიები და ორგანიზაციები, მეფის საგვარეულოს იტალიაში ცხოვრება, დააწესა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპები.

1948 წლის იანვარში აშშ-მა და იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელითაც აშშ დახმარებას აღუთქვამდა იტალიას. ეს შეთანხმება აშშ-ისა და იტალიის რეაქციონერებმა შორეული მიზნებისათვის გამოიყენეს. აშშ-ის ელჩი იტალიაში თან დაჰყვებოდა პურით დატვირთულ მატარებელს, ყოველ სადგურზე სიტყვით გამოდიოდა და იტალიელებს პირდებოდა ამერიკის დახმარებას, თუ ისინი ხმას მისცემდნენ ქრისტიან-დემოკრატებს. დიდი შეხვედრები ეწყობოდა აგრეთვე ამერიკის სურსათით ან ნედლეულით დატვირთულ გემებზე. ფართო აგიტაციას ეწეოდა პრესაც. ამავე დროს აშშ-ის მთავრობამ დაარღვია ზავის პირობები იტალიიდან ჯარების 1947 წლის დეკემბრამდე გაყვანის შესახებ და მას განზრახ აჭიანურებდა, რათა ზეგავლენა მოეხდინა ამომრჩევლებზე. 1948 წლის დასაწყისში აშშ-ის

მთავრობამ იტალიის ნავსადგურებში ავიამზიდები და ნაღმოსნები გაგზავნა, უხეშად ერეოდა იტალიის საშინაო საქმეებში.

აღეთ ვითარებაში 1948 წლის აპრილში ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ომის შემდგომი პირველი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში სახალხო-დემოკრატიულმა ფრონტმა მიიღო 8,1 მლნ. ხმა (31,1%), ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ — 12 მლნ. ხმა (48%), ქრისტიან-დემოკრატებმა ხმები მემარჯვენე პარტიების ხარჯზე გაზარდეს.

მიუხედავად საშინაო და საგარეო რეაქციის აღვირახსნილი ანტიკომუნისტური პროპაგანდისა, კომუნისტებმა და სოციალისტებმა თავიანთი დეპუტატების რაოდენობა პარლამენტში შეინარჩუნეს. დე გასპერის მეთაურობით შექმნილ მთავრობაში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ ლიბერალური, რესპუბლიკური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები.

რეაქციის შეტევაზე გადასვლა. მემარჯვენე ძალების არჩევნებში გამარჯვებას მოჰყვა დემოკრატიის წინააღმდეგ რეაქციის შეტევაზე გადასვლა. ჯერ კიდევ 1946 წელს ნეოფაშისტებმა შექმნეს ახალი პარტია დემაგოგიური სახელწოდებით „იტალიის სოციალური მოძრაობა". თავიანთი მოღვაწეობა მათ ტერორისტული აქტებით დაიწყეს. 1948 წლის 14 ივლისს პარლამენტის შენობის შესასვლელში მძიმედ დაჭრეს პ. ტოლიატი. გარდა ამისა მოკლეს პროფკავშირთა მოღვაწენი, ცეცხლი წაუკიდეს კომპარტიისა და პროფკავშირთა შენობებს. ტყვიით გაუმასპინძლდნენ დემონსტრაციისა და მიტინგის მონაწილეებს და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით აკრძალულია ფაშისტური ორგანიზაციების არსებობა, მთავრობა თვალებს ხუჭავდა და აშკარად აქეზებდა მათ. პ. ტოლიატზე თავდასხმის ცნობა მთელ იტალიას ელვისებური სისწრაფით მოედო და მშრომელთა მასების გრანდიოზული დემონსტრაციები გამოიწვია, რომლებიც სტიქიურად გადაიზარდა საყოველთაო გაფიცვაში. გაფიცვა ორ დღეს გრძელდებოდა. მასში 7 მლნ. კაცი მონაწილეობდა. მთელ რიგ ქალაქებში და მაგისტრალურ ხაზებზე შეწყდა რკინიგზისა და სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობა. ტურინში მუშებმა დაიკავეს ფიატის ქარხნის შენობები. მასობრივი დემონსტრაციები მოეწყო რომში, მილანში, გენუაში, ფლორენციაში. გაფიცული მუშების წინააღმდეგ მთავრობამ დაძრა პოლიცია და ჯარი, რასაც მოჰყვა შეტაკებანი, რომელთა დროსაც მოკლეს 20 და დაჭრეს 600 კაცი. გაფიცვის 7 ათასი მონაწილე დაპატიმრეს. განსაკუთრებით დიდი შეტაკებები მოხდა გენუაში, სადაც ქალაქის მერი იყო კომუნისტი ჯ. ადამოლი.

14 ივლისის ეროვნული გაფიცვის შემდეგ ვატიკანის ზეგავლენით განხეთქილება მოხდა იტალიის შრომის კონფედერაციაში, საიდანაც გამოვიდნენ ქრისტიან-დემოკრატიული პროფკავშირები და შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია — მშრომელთა პროფკავშირების იტალიის კონფედერაცია. იგი დე გასპერის მთავრობის მხარდაჭერის პოზიციას დაადგა. რეაქციის ცდები, დაერღვიათ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების თანამშრომლობა, უშედეგოდ დამთავრდა.

14 ივლისის ამბების შემდეგ მთავრობა გადავიდა შეტევაზე, რომლის მიზანი იყო დემოკრატიული თავისუფლების შეზღუდვა.

1948 წლის 19 ივლისს მთავრობის მითითებით პოლიციამ ათასობით აქტიური მუშა და პროფკავშირთა ხელმძღვანელი დააპატიმრა. 1950 წლის 17 მარტის დეკრეტით კი პრეფექტებს უფლება ენიჭებოდათ ერთი თვის განმავლობაში ყველა სახის დემონსტრაციები და კრებები აეკრძალათ. მშრომელთა გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის შინაგან საქმეთა მინისტრმა შექმნა სპეციალური მოტორიზებული პოლიცია „ჩელერის“ სახელწოდებით. ასეთმა პოლიციამ 1950 წლის იანვარში დახვრიტა ქალაქ მოდენის მუშები, რომლებიც გაიფიცნენ ქარხნის დახურვისა და მათი ამხანაგების დათხოვნის გამო. შეტაკებისას მოკლეს 6 კაცი. დახოცილთა დაკრძალვაზე 300 ათასი კაცი გამოვიდა.

1948—1950 წლებში პოლიციასთან შეტაკების შედეგად დაიღუპა 62 კაცი, დაიჭრა 3 ათასზე მეტი და დააპატიმრეს 92 ათასზე მეტი კაცი. მაგრამ პოლიციის ტერორი და მასობრივი დაპატიმრებები ხალხის კიდევ უფრო დიდ აღშფოთებას იწვევდა. რეპრესიებს მუშები კიდევ უფრო მასობრივი გაფიცვებითა და დემონსტრაციებით უპასუხებდნენ.

მთავრობას მიემხრო ვატიკანიც. 1949 წელს რომის პაპმა პიუს XII განკიცხა კომუნისტები, სოციალისტები და ყველა ის ამომრჩეველი, რომლებმაც 1948 წლის არჩევნებში ხმა მისცა ამ პარტიებს. ამრიგად, მოსახლეობის თითქმის ნახევარი ეკლესიიდან განკიცხულად გამოცხადდა. პიუს XII-ის მითითებით ღვთის მსახურნი კრძალავდნენ კომუნისტური და სოციალისტური პარტიის ოჯახთა წევრების ეკლესიაში დაშვებას, მათთვის ჯვარის დაწერას, ბავშვების მონათვლას და ა. შ. მაგრამ რომის პაპის ასეთმა ღონისძიებებმა, პირიქით, ეკლესიის ავტორიტეტის დაცემა გამოიწვია მშრომელ მასებს შორის.

აქტიურად ჩაება ბრძოლაში გლეხობაც, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად მოითხოვდა მსხვილი მიწათმფლობელების შეზღუდვას და განთავისუფლებული მიწების მისთვის გადაცემას. მოძრაობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა 1950 წელს მიეღო აგრარული კანონი. სამხრეთ იტალიასა და სი-

ცილიაში ლიკვიდირებულ იქნა ლატიფუნდიების დიდი ნაწილი. მათ ჩამოერთვათ 1,5 მლნ. ჰექტარი მიწა. მაგრამ ამ დათმობამ, რომელიც მიზნად ისახავდა აგრარულ რაიონებში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის გავლენის ზრდას, შედეგი ვერ გამოიღო. 1951—1952 წლებში ჩატარებული მუნიციპალური არჩევნების დროს ქრისტიან-დემოკრატებმა დაკარგეს 4 მლნ. ხმა. მომავალ არჩევნებში ქრისტიანული პარტიის გამარჯვების უზრუნველსაყოფად 1952 წელს მიიღეს კანონი (მაჟორიტარული), რომლითაც თუ პარტია 50%-ზე მეტი ამომრჩევლის ხმას მიიღებდა, პარლამენტში დაიკავებდა დეპუტატთა ადგილების $^2/_3$. მაგრამ კომუნისტური და სოციალისტური პარტიის მიერ ორგანიზებული მასობრივი გამოსვლების შედეგად ეს კანონი ცხოვრებაში ვერ განხორციელდა.

1953 წლის ივნისის არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატებმა ამომრჩეველთა ხმების 40% (10,8 მლნ.) მიიღეს, რის გამოც პარლამენტში 44 ადგილი დაკარგეს.

კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 6,1 მლნ. (22,7%) ხმა და 143 ადგილი დეპუტატთა პალატაში და 52 სენატში, სოციალისტურმა — 3,5 მლნ. ხმა (12,7%). ორივე პარტიამ ერთად 2 მლნ. ხმით მეტი მიიღო, ვიდრე წინა არჩევნებში. ამრიგად, ქრისტიან-დემოკრატების იმედი არ გამართლდა. მათ ვერ უშველა ახალმა კანონმა. ახლად შეკრებილმა პარლამენტმა ეს „თაღლითური" კანონი, როგორც მას ტოლიატმა უწოდა, გააუქმა.

დე გასპერი იძულებული გახდა გადამდგარიყო. 1954 წელს იგი გარდაიცვალა. ამიერიდან ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში ორი პოლიტიკური მიმართულება ჩამოყალიბდა. უფრო ხალად მოაზროვნე ლიდერები ა. ფანფანის (პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი) და ჯ. გრონკის მეთაურობით თვლიდნენ, რომ საჭირო იყო ფართო სოციალურ დათმობებზე წასვლა, სოციალისტურ პარტიასთან დაახლოება მისი კომუნისტებისაგან ჩამოშორების მიზნით. ა. ფანფანის ჯგუფს ეწოდა „მემარცხენე-ცენტრისტული". მეორე მიმართულება მომხრე იყო დე გასპერის პოლიტიკური კურსის გაგრძელებისა. მათ მემარჯვენეები უწოდეს.

ქრისტიან-დემოკრატებმა სოციალ-დემოკრატებთან ერთად შექმნეს კოალიციური მთავრობა შელბა[1]-სარაგატის მეთაურობით. ამ მთავრობამ გააგრძელა რეპრესიები. მაგალითად, მილანში, სიცილიაში

---

[1] მარიო შელბას დე გასპერის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. იგი მომხრე იყო „ბრბოს" წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყენებისა. მას „პოლიციის მინისტრი" უწოდეს. იგი დაკავშირებული იყო სიცილიის ტერორისტულ ორგანიზაციასთან — მაფიასთან.

და ა. შ. პოლიციამ ტყვია დაუშინა დემონსტრანტებს, რასაც მოჰყვა ადამიანთა ახალი მსხვერპლი. დიდი სენსაცია გამოიწვია „მონტეზის პროცესმა". ახალგაზრდა გოგონა ვოლმი მონტეზის მკვლელობასთან დაკავშირებულ პროცესზე გამომეღავნდა მმართველი პარტიისა და პოლიციის ზედა ფენების მექრთამეობა, მათი სამარცხვინო კავშირი სპეკულანტებთან და მეწარმეებთან.

ამ ბინძურ საქმეში გარეული მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის პოლიციის მინისტრიც, გადააყენეს. მიუხედავად ამისა მთავრობა აგრძელებდა რეპრესიებს. 1954 წლის დეკრეტით სახელმწიფო დაწესებულებებში კომუნისტების დევნა დაიწყო. შელბას მთავრობა ამ ანტიკომუნისტური კურსის გამართლებას ცდილობდა ყალბი განცხადებით იმის შესახებ, თითქოს კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წევრები საბჭოთა კავშირის „მეხუთე კოლონას" წარმოადგენდნენ. ამ მთავრობის ყოველგვარი ცდები, რომ კომუნისტური პარტიისათვის სახელი გაეტეხა, უშედეგოდ დამთავრდა. 1954 წლისათვის პარტია თავის რიგებში აერთიანებდა 2 მლნ. 145 ათას წევრს, ახალგაზრდობის ფედერაციასთან ერთად კი — 2,5 მლნ. კაცს.

ამრიგად, იტალიის მმართველი წრეების ცდები, მოეძებნათ გზები ქვეყანაში დემოკრატიული ძალების შესუსტებისათვის და მოეხდინათ პოლიტიკური წყობის შემობრუნება მარჯვნივ, უშედეგოდ დამთავრდა. ბურჟუაზიას დაპირისპირებული ჰყავდა ბრძოლაში გამოწრთობილი, დიდი პოლიტიკური გამოცდილებისა და მასებში დიდი გავლენის მქონე კომუნისტური პარტია. ომის შედეგად დასუსტებულ ბურჟუაზიას ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში დიდი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიეს ამერიკის იმპერიალისტებმა. ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ აშშ-ის და ვატიკანის მხარდაჭერით და დემაგოგიური დაპირებებით შეძლო მოსახლეობის უმრავლესობის თავის მხარეზე დროებით მიმხრობა. დე გასპერის ხელისუფლების აშკარა რეაქციულმა კურსმა გამოიწვია ამ პარტიისა და მემარჯვენეების გავლენის დაცემა და მათ ხარჯზე კომუნისტების ხელმძღვანელობით მემარცხენე ძალების პოზიციების გაძლიერება. მემარცხენეებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს კონსტიტუციური თავისუფლებისა და პარლამენტური მმართველობის შენარჩუნებაში.

§ 56. საგარეო პოლიტიკა ომის შემდეგ 50-იან წლებამდე

დე გასპერის მთავრობის საგარეო პოლიტიკა აშკარად მტრული იყო საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნებისადმი. იტალიის საგარეო პოლიტიკა მან მთლიანად დაუმორჩილა ამერიკის იმპე-

რიალიზმის აგრესიულ კურსს. ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა მთავრობამ ძნიშვნელოვანი როლი შეასრულა იტალიასთან ისეთი საზავო ხელშეკრულების გაფორმებაში, რომელიც უზრუნველყოფდა იტალიის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ეს ხელშეკრულება 1947 წლის 10 თებერვალს გაფორმდა პარიზში ანტიჰიტლერულ კოალიციასა და იტალიას შორის. იტალიის საზღვრები დადგინდა 1938 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ფარგლებში. იტალიამ უარი თქვა თავის კოლონიებზე ჩრდილოეთ აფრიკაში, ცნო ომამდე მიტაცებული ქვეყნების — ეთიოპიისა და ალბანეთის დამოუკიდებლობა, ხოლო საბერძნეთს უბრუნდებოდა დოდეკანეზის კუნძულები. ქალაქი ტრიესტი[1] ცხადდებოდა დამოუკიდებლად, რომლის გუბერნატორის დანიშვნა დაევალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. იტალიის შეიარაღებული ძალები 300 ათასი კაცით განისაზღვრა. ომის დროს მიყენებული ზარალი მას უნდა აენაზღაურებინა სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ალბანეთისა და საბერძნეთისათვის.

საბჭოთა მთავრობა გამოვიდა იტალიაში სხვა სახელმწიფოთა ე. წ. თანასწორუფლებიანობისა და უცხოეთის კაპიტალის შეჭრის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მოთხოვნით ამერიკა-ინგლისის საოკუპაციო ჯარები იტალიიდან უნდა გამოეყვანათ საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ორა უგვიანეს 3 თვის შემდეგ. იკრძალებოდა ფაშისტური პარტიების და ორგანიზაციების საქმიანობა. ხელშეკრულება უზრუნველყოფდა ქვეყნის ეროვნულ სუვერენიტეტს.

საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ დე გასპერის მთავრობამ აიღო აშშ-თან დაახლოების კურსი. 1947 წელსვე იტალიასა და აშშ-ს შორის დაიდო ეკონომიკური ხასიათის ხელშეკრულებანი, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამერიკის კაპიტალის შეჭრას იტალიაში. 1948 წლის თებერვალში კი დაიდო „ხელშეკრულება მეგობრობისა, ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ", რომელიც აშშ-ის მოქალაქეებს იტალიაში ვაჭრობის, მრეწველობის და კერძო ინიციატივის, თავისუფალი მოქმედების უფლებას აძლევდა. 1948 წლის ივნისში იტალია შევიდა „მარშალის გეგმაში". ამ გეგმამ, იტალიელი კომუნისტების სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელი შეუწყო ქვეყანაში „კაპიტალიზმის რესტავრაციის პროცესს" და გამოიწვია მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება. ამასთანავე მან გამოიწვია აშშ-ის კაპიტალის ინტენსიური შეჭრა იტა-

[1] 1954 წელს იტალიასა და იუგოსლავიას შორის შეთანხმების საფუძველზე ტრიესტი ორ ნაწილად გაიყო. ქალაქი ტრიესტი იტალიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო გარეუბნების ნაწილი — იუგოსლავიაში.

ლიის ეკონომიკაში და ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური დამორჩილება ამერიკის იმპერიალიზმისადმი.

„მარშალის გეგმა“ სამ წელიწადს მოქმედებდა. ამ ხნის განმავლობაში იტალიაში შეიტანეს 1,5 მლრდ. დოლარის ღირებულების ამერიკული საქონელი. ამერიკული მოწყობილობებით მთლიანად მოდერნიზებულ იქნა იტალიის მსხვილი საწარმოები, მათ შორის „ფიატის“, „ფალკის“ და სხვ.

იტალიის ნატოში შესვლამდე აშშ-სა და იტალიას შორის დაიდო სხვადასხვა საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება, რომლებიც ითვალისწინებდნენ ომის შემთხვევაში ამერიკის ჯარების მიერ იტალიის ტერიტორიის გამოყენებას. ნატოს დაჯგუფების შექმნისთანავე იტალია მისი წევრი გაწდა, რაც საზავო ხელშეკრულების უხეში დარღვევა იყო. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ ორჯერ მიმართა საპროტესტო ნოტით იტალიას. იტალიის დემოკრატიულმა ძალებმა კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მეთაურობით დიდი ბრძოლა გააჩაღეს ნატოში იტალიის შესვლის ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ. მაგრამ ამავე წლის ივლისში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის უმრავლესობის მხარდაჭერით პარლამენტმა მოახდინა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ნატოს აგრესიულ დაჯგუფებაში შესვლის შემდეგ იტალია კიდევ უფრო მეტად მოექცა აშშ-ის გავლენის ქვეშ. იტალიის მთავრობის თანხმობით ქვეყნის ტერიტორიაზე ააგეს მრავალი ამერიკული სამხედრო ბაზა, ხოლო იტალიის ნავსადგურები ამერიკის ფლოტის ბაზებად გადაიქცა ხმელთაშუა ზღვაში, ლივორნოს ნავსადგური კი მთლიანად ამერიკის სარდლობის განკარგულებაში გადავიდა. ნეაპოლში, ფლორენციასა და სხვა ქალაქებში განლაგდნენ ნატოს შტაბები.

1950 წლის იანვარში იტალიასა და აშშ-ს შორის დაიდო შეთანხმება „თავდაცვის მიზნით ურთიერთდახმარების შესახებ“. ამ შეთანხმებამ კიდევ უფრო გააძლიერა იტალიის დამოკიდებულება ამერიკაზე. ამერიკის სამხედრო მისიის ხელმძღვანელობით დაიწყო იტალიის შეიარაღებული ძალების აღორძინება.

დე გასპერის მთავრობამ მხარი დაუჭირა ამერიკის აგრესიას კორეაში. იტალიის საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეცვლილა დე გასპერის გადადგომის შემდეგაც. იტალია ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო „ცივი ომის“ პოლიტიკური კურსისა, რამაც გააუარესა ამ ქვეყნის ურთიერთობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

იტალია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე

§ 57. იტალიის ეკონომიკური და სოციალური განვითარება 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1977 წლამდე

ეკონომიკური განვითარება. 50-იანი წლების დასაწყისიდან იტალიის მრეწველობას ახასიათებდა განვითარების მაღალი ტემპები, მაგრამ იგი არათანაბარი იყო[1].

სამრეწველო წარმოების ტემპების ზრდით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის იტალიამ პირველი ადგილი დაიკავა, მსოფლიოში კი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის — მეორე, იაპონიის შემდეგ.

იტალიის ეკონომიკას ყოველ 5—6 წელიწადში ახასიათებდა აღმავლობაც და კრიზისის გამო დაცემაც. 20 წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოების მოცულობა (1953—1973 წლებში) გაიზარდა 4,6-ჯერ. ფრიად საყურადღებოა, რომ წარმოების საერთო მოცულობის ზრდა მრეწველობის სხვადასხვა დარგში ერთნაირი როდი იყო. განსაკუთრებით დიდი წარმატებები ახასიათებდა პოლიმერულ მრეწველობას, რომელიც გაიზარდა 6-ჯერ. ტემპების ზრდით მეორე ადგილზეა ზუსტი მანქანათმშენებლობა, რომელიც აწარმოებს საანგარიშო, საბეჭდ და ელექტროგამომთვლელ მანქანებს. მომდევნო ადგილებზეა ნავთობისა და გაზის მრეწველობა. ადრე თვლიდნენ, რომ აპენინის ნახევარკუნძულზე არ იყო ნავთობისა და გაზის საბადოები, მაგრამ ომის შემდეგ სიცილიაში აღმოაჩინეს დაბალხარისხოვანი ნავთობი. სიცილიის ნავთობი უფრო ძვირია ახლო აღმოსავლეთიდან შემოტანილ ნავთობთან შედარებით. ჩრდილოეთ იტალიაში აღმოჩენილ იქნა გაზის მდიდარი საბადოები, რომელთა გადამუშავებისათვის მრავალი საწარმო აიგო. შემუშავდა გაზისაგან მაღალხარისხოვანი ხელოვნური კაუჩუკის მიღების საშუალებანი. გაზის საბადოები და საწარმოები ხელთ იგდო სახელმწიფო მონოპოლია „ენიმ"[2].

---

1 1953 წლიდან 1958 წლამდე სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური საშუალო მატება შეადგენდა 9%, 1958 წელს დაეცა 4%-მდე, 1960 წელს მიაღწია სარეკორდო დონეს — 15%-ს მაგრამ 1964 წელს შეადგინა 1%, შემდგომ წელს კი — 5%, 1966 წელს კვლავ ნახტომი გაკეთდა და მან შეადგინა 11,2%, შემდეგ ისევ თანდათანობით დაცემა განიცადა და 1969 წელს შეადგინა 3,9%, 1971 წელს — 4%, 1972—1973 წლებში — 8%. 1974 წელს დაწყებული კრიზისი იტალიასაც შეეხო, მაგრამ წარმოება ამ წელიწადს მაინც 6%-ით გაიზარდა. 1975 წელს კი იგი წინა წელთან შედარებით 12%-ით დაეცა, 1976 წელს დაცემის პროცესი გრძელდებოდა.

2 1956 წელს ირანთან ამ მონოპოლიამ დადო შეთანხმება „ენის"-თვის ნავთობისა და გაზის ძიების კონცესიის მიცემის შესახებ, რომლითაც ნაცვლად ადრე არსებული სანახევრო მოგების იმპერიალისტური ფორმულისა 50%:50%-ზე, იგი და-

ომის შემდგომ იტალიაში სწრაფად ვითარდებოდა საავტომობილო მრეწველობა, რომლის კონტროლი ძირითადად მონოპოლისტური გაერთიანება „ფიატის“ ხელშია (წარმოების 80%). „ფიატის“ კონსტრუქტორებმა შექმნეს მცირელიტრაჟიანი და დაბალფასიანი ავტომანქანები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნაა ევროპასა და ამერიკაში[1].

იტალიაშიც გავრცელდა ეკონომიკის განვითარების სახელმწიფოს მიერ წინასწარი პროგრამირება. ამ მხრივ აღსანიშნავია სახელმწიფო დაწესებულების „სამხრეთის სალაროს“ შექმნა, რომლის მთავარი მიზანი იყო ის დიდი განსხვავების ნაწილობრივ მაინც ლიკვიდაცია, რომელიც არსებობდა ეკონომიკური განვითარების დონით ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. გარდა ამისა, 1955 წელს ეკონომიკის მინისტრმა ვანონმა შეიმუშავა 1955—1964 წწ. იტალიაში დასაქმებისა და შემოსავლის განვითარების სქემა, რომელიც მოითხოვდა კაპიტალდაბანდებების გაზრდას. ვანონის სქემა ეკონომიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვანს. კომუნისტური და სოციალისტური პარტიები იბრძოდნენ ქვეყნის ეკონომიკის გეგმური წესით განვითარებისა და მრეწველობის მართვაში მუშათა კლასის მონაწილეობისათვის.

ეკონომიკური პროგრამირების და დაგეგმვის განხორციელება ბურჟუაზიას იმ შემთხვევაში უნდოდა, თუ პროფკავშირები აიღებდნენ ვალდებულებას ასეთი გეგმების განხორციელებაზე და უარს იტყოდნენ გაფიცვებზე. ასეთ შემთხვევაში იტალიის მმართველი წრეები თანახმა იყვნენ პროფკავშირების მონაწილეობაზე, როგორც ამას კონსტიტუცია ითვალისწინებდა, სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების დაგეგმვაში.

1965 წლის დასაწყისში მაშინდელი ბიუჯეტის მინისტრის სოციალისტ ჯოლიტის ხელმძღვანელობით შემუშავდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკურ ცხოვრებაში სტრუქტურული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, მაგრამ სოციალისტების მთავრობიდან გასვლის შემდეგ ჯოლიტის გეგმაში ცვლილებები შეიტანეს.

თანხდა 75%:25%-ზე, რამაც იმპერიალისტური სახელმწიფოების დიდი პროტესტი გამოიწვია. ასეთივე 25%-იანი მოგების ხელშეკრულება „ენიმ“ დადო მაროკოსთან და ტუნისთან. იტალიის მაგალითს მალე მიბაძა იაპონიამაც.

[1] „ფიატის“ მარკებიდან განსაკუთრებით ცნობილია „ფიატ-600“, „ფიატ-850“, „ფიატ-124“.

1952 წლისათვის 1 მუშაზე მოდიოდა წარმოებული 2,22 ავტომანქანა წელიწადში, 1965 წელს — 10.24. „ფიატის“ წარმოება ძირითადად კონცენტრირებულია მილანის და ტურინის ქარხნებში.

„ფიატის“ მონოპოლია მრავალდარგობრივია. ავტომანქანების გარდა იგი აწარმოებს მძიმე გემების დიზელებს, ტრაქტორებს, თვითმფრინავ-გამანადგურებლებს და ა. შ.

პარლამენტში განხილვის დროს ეს გეგმა უარყოფილ იქნა. ეკონომიკური განვითარების პროექტები შემდეგაც შემუშავდა, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ბურჟუაზიის წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და განუხორციელებელი რჩებოდნენ; ბოლოს, 1967 წელს ძალაში შევიდა დიდი დავის და განხილვის შემდეგ მიღებული ერთიანი საერთო ეროვნული ხუთწლიანი გეგმა. ამრიგად, იტალია საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების სახელმწიფოს მიერ რეგულირებისა და გეგმური წარმოების გზას დაადგა.

ომის შემდგომი იტალიის ეკონომიკური წარმატებები ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა „იტალიური სასწაულის" სახელწოდებით მონათლეს. მაგრამ სინამდვილეში აქ არავითარი სასწაული არ მომხდარა. როგორც ცნობილია, კაპიტალისტური წარმოების ზრდისათვის აუცილებელია მოსახლეობის მოთხოვნილება და სყიდვითუნარიანობა. ომის პერიოდში ხალხი ვერ იკმაყოფილებდა ელემენტარულ მოთხოვნებს, ომის შემდეგ კი მოთხოვნები ფართო მოხმარების საგნებზე დიდი იყო, ხოლო სყიდვითუნარიანობა — დაბალი.

ომის წინა პერიოდში მთელი 20 წლის განმავლობაში ავტარკიის პოლიტიკამ, რომელიც ომის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა, გამოიწვია იტალიის საწარმოების მანქანა-დანადგარების მთლიანი გაცვეთა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა ამ გაცვეთილი დანადგარების ახალი დანადგარებით შეცვლის გარეშე. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო თავისუფალი კაპიტალი. რაც შეეხება სამუშაო ძალას, იგი იტალიაში ყოველთვის საკმარისზე მეტი იყო.

„მარშალის გეგმა" კაპიტალის ერთგვარ „პირველად დაგროვებად" გადაიქცა, რომლის მეშვეობით იტალიამ აღადგინა თავისი მრეწველობა, რამაც შემდეგ ბიძგი მისცა სამრეწველო წარმოების ზრდას. საქონლის იოლი გასაღება ახალ კაპიტალს იძლეოდა წარმოების გაფართოებისათვის.

1950—1956 წლებში იტალიის მრეწველობაში დაიწყო მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე შექმნილი მანქანა-დანადგარების დანერგვის პროცესი, რამაც 60-იანი წლებიდან გამოიწვია სამრეწველო პროდუქციის რეკორდული ზრდა. 60-იანი წლების შუა პერიოდიდან საწარმოებში ხდება ტექნიკის მაღალი მიღწევების საფუძველზე შექმნილი მანქანა-დანადგარების ახალი დანერგვა, რასაც მოჰყვა სამრეწველო წარმოების კიდევ უფრო მეტი ზრდა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იტალიის ეკონომიკური „განვითარების „სასწაულისა". წარმოებაში უახლესი ტექნიკის დანერგვას მოჰყვა შრომის ნაყოფიერების გაზრდა, რომლითაც იტალიამ უკან ჩამოიტოვა დასავლეთ ევროპის ქვეყნები. 1948

წლიდან 1960 წლამდე შრომის ნაყოფიერება იტალიაში 2-ჯერ გაიზარდა. იგი კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა შემდგომ წლებში.

ომის შემდგომი იტალიის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიჩნეულია ქვეყნის დაბალი სამხედრო ხარჯები და მუშახელის სიიაფე, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები ამ მხრივ დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. მუშახელი ყოველთვის ჭარბი იყო იტალიაში, თუმცა კვალიფიციური მუშების „სიჭარბე" არ შეინიშნებოდა. ახლა ეს ნაკლიც მნიშვნელოვნად გამოსწორდა, რადგან ემიგრაციაში წასული არაკვალიფიციური მუშები სამშობლოში დაბრუნდნენ მაღალი კვალიფიკაციით[1].

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებასა" და „საერთო ბაზარში" შესვლამაც შეუწყო ხელი იტალიის მრეწველობის რიგი დარგების წინსვლას, განსაკუთრებით მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას. ამ დარგში არსებობს მხოლოდ ერთი კერძო მსხვილი მონოპოლია „ფალკი", რომელიც ჯერ კიდევ „მარშალის გეგმით" დიდ კრედიტებს და დანადგარებს იღებდა აშშ-დან. ამ დარგის განვითარებას ხელს უშლიდა ის, რომ იტალიას არა აქვს საკუთარი რკინის მადნის საბადოები.

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებაში" იტალიის შესვლის შემდეგ მეტალურგიულ საწარმოებში უფრო დიდი თანხები დაბანდდა და საწარმოებში მაღალი ტექნიკური დონის დანადგარები დაიდგა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მეტალურგიული წარმოების სიმძლავრე. იტალიის მეტალურგია განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობდა „ევროპულ გაერთიანებაში", რის შედეგად ფოლადის წარმოება მკვეთრად გაიზარდა. მაგალითად, 1953 წელს ფოლადის წარმოება 3 მლნ. ტონას შეადგენდა. 1963 წელს — 10 მლნ. ტ, 1968 წელს — 16 მლნ. ტონას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, დიდ თანხებს აბანდებდა პერსპექტიულ დარგებში და ხელმძღვანელობდა მრავალრიცხოვან ფინანსურ და სამრეწველო გაერთიანებებს. 1968 წლისათვის სახელმწიფოს ხელში იყო ელექტროენერგიის წარმოების 90%, თუჯის წარმოების — 94%, ფოლადის — 58%, დიდი დიამეტრის მილების წარმოების — 100%, გემთმშენებლობის — 80%, ნავთობისა და გაზის წარმოების — 97%, საზღვაო-სამგზავრო ფლოტის — 65%, ქვანახშირის წარმოების — 100%, მთელი ელექტროტექნიკური მრეწველობა.

---

[1] 20 წლის განმავლობაში (1946—1966 წწ.) იტალია დატოვა 6 მლნ-მა არაკვალიფიციურმა მუშამ, რომელთა დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა როგორც კვალიფიციური.

სატელეფონო ქსელი, რადიოსადგურები და ტელეგადაცემები, ავიაკომპანიები, სავაჭრო ფლოტი და მთელი რკინიგზების — 80%.

სახელმწიფო საწარმოებში მონაწილეობს კერძო კაპიტალი, მათ შორის უცხოურიც. ასევე კერძო საწარმოებში დაბანდებულია სახელმწიფო კაპიტალი. მთელი დაბანდებული კაპიტალის 60% სახელმწიფოს ეკუთვნის.

მრეწველობის განვითარება იტალიაში უპირატესად ჩრდილოეთის რაიონებში მიმდინარეობდა, სამხრეთი კი ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. 1950 წელს მთავრობამ შექმნა სპეციალური სახელმწიფო დაწესებულება „სამხრეთის სალაროს", რომლის სათავეში ჩააყენეს უპორტფელო მინისტრი. კერძო ფირმებმაც და სახელმწიფომაც ამ სალაროში დიდი კრედიტები დააბანდეს და სამხრეთის განვითარება რაოდენობის თვალსაზრისით შესრულდა. „სამხრეთის სალარო" დაგეგმილი იყო 15 წლით, მაგრამ ვინაიდან იგი არასაკმარისი აღმოჩნდა, კიდევ 5 წლის ვადით გააგრძელეს. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ იტალიაში მრავალი მსხვილი საწარმო აიგო, იგი მაინც ბევრად ჩამორჩებოდა განვითარების დონით ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებს.

იტალიის კაპიტალიზმის გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა ქრონიკული უმუშევრობა. მიუხედავად მაღალი კონიუნქტურისა, უმუშევართა რაოდენობა იტალიაში ყოველწლიურად საშუალოდ შეადგენდა 1 მლნ-ზე მეტ კაცს. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ იტალიიდან ყოველწლიურად დასავლეთ ევროპაში საშოვარზე 300 ათასი კაცი მიდის, რომელთაც არავითარი პროფესია არა აქვთ.

თუ ადრე იტალიელები სამუდამოდ ან ხანგრძლივი დროით მიდიოდნენ საშოვარზე, ახლა მიდიან სეზონურ სამუშაოზე 4—6 თვით.

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარებას, რომლის ხელშემშლელი მიზეზი იყო პარცელარული მეურნეობის არსებობა. 1961 წლისათვის 1 ჰექტარი მიწა შეადგენდა მეურნეობის $^1/_3$-ს, 3 ჰექტარამდე კი — $^2/_3$. კაპიტალისტური და მემამულური მიწათმფლობელობა ძირითადად სამხრეთში შემორჩა და შეადგენდა სახნავ-სათესი მიწის $^1/_3$-დან $^1/_5$-მდე. სოფლის მოსახლეობის დენადობის პროცესი ომის შემდგომ იტალიაში ძალზე მაღალია. 1953 წლიდან 1966 წლამდე სოფლიდან წავიდა სამუშაო ძალის 50%, მაგრამ ამასთანავე გაიზარდა სოფლის მეურნეობაში ტექნიკის დანერგვა და სოფლის მეურნეობის წარმოების ინდუსტრიალიზაცია. მაგალითად, 1950 წლისათვის სოფლად 57 ათასი ტრაქტორი იყო, 1968 წლისათვის კი ტრაქტორთა რიცხვი 10-ჯერ გაიზარდა. მაგრამ იტალიის სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობით და შრომის ნაყოფიერებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლეთის სხვა ქვეყნებს.

მაგალითად, 1964—1965 წწ. შრომის ნაყოფიერება აშშ-ის დონესთან შედარებით იტალიაში შეადგენდა 21%, საფრანგეთსა და გფრ-თან შედარებით კი ორჯერ დაბალი იყო.

„საერთო ბაზარში" იტალიის შესვლა ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგების ერთი ნაწილისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა, მეორე ნაწილზე კი უარყოფითი გავლენა მოახდინა.

იტალია ვერასოდეს ვერ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნას მესაქონლეობის პროდუქტებზე. მას ხორცი, ხორცის პროდუქტები და კარაქი დიდი რაოდენობით შემოჰქონდა და შემოაქვს საზღვარგარეთიდან. 50-იანი წლების ბოლოს იტალიაში ეწეოდნენ მარცვლეულისა და ხილის ბაღების შემცირებისა და მათ ხარჯზე მესაქონლეობის გაზრდის პროპაგანდას. მაგრამ დაბალი ტექნიკური დონის გამო იგი არარენტაბელური აღმოჩნდა. ხორცის დიდი ფაბრიკების შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეფრინველეობაში, სადაც მოცულობით ისეთ დიდ დონეს მიაღწიეს, რომ 1965 წლისათვის ქათმის ხორცი ამ სახის პროდუქტებს შორის ყველაზე იაფი იყო. საქონლის ხორცით მომარაგების პრობლემა კი იტალიაში დღევანდლამდე გადაუჭრელი რჩება.

იტალიის მთავრობა დიდი თანხების დაბანდების გზით ცდილობდა ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის, უპირატესად მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებისათვის. 1961 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო პირველი ე. წ. „მწვანე გეგმა", რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის დაფინანსებას ხუთი წლის განმავლობაში 550 მლრდ. ლირათი. მაგრამ ეს დახმარება გათვალისწინებული იყო მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობისათვის. „მწვანე გეგმა" მიზნად ისახავდა მეურნეობის გამსხვილებას და წვრილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას. ამ გეგმის განხორციელებას მართლაც მოჰყვა გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილის განდევნა სოფლიდან.

სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე მომსახურების სფეროში კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. იტალიის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს ტურიზმი, რომელიც საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს. ტურიზმი, განსაკუთრებით საავტომობილო, ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 1968 წელს იტალიაში 27 მლნ. ტურისტი იყო, 1970 წელს — 32 მლნ., 1975 წელს — 34 მლნ. ტურისტები დიდ თანხებს ხარჯავენ იტალიაში, რაც ხელს უწყობს საგადასახადო ბალანსის მუდმივ დადებით სალდოს შექმნას და იტალიის ლირას პოზიციების გაძლიერებას საერთაშორისო საგალუტო ბაზარზე. ამასთანავე, საავტომობილო ტურიზმის განვითარებას ის მოჰყვა, რომ იტალიაში გაიყვანეს ექსტრაკლასის ავტოსტრადები, უზრუნველყოფილი

საერთაშორისო მომსახურებით; აღსანიშნავია „ავტოსტრადა მზე“, რომელიც მთელ ქვეყანას კვეთავს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ცვლილებანი სოციალურ სტრუქტურაში. ეკონომიკურმა განვითარებამ 50—60-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სტრუქტურაში. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა საშუალო ძალის კვალიფიციურ სტრუქტურაში, სპეციალობის თვალსაზრისით იგი მრავალფეროვნად გადააქცია. გაიზარდა ტექნიკური ინტელიგენციის რაოდენობა, რომელიც შედარებით პრივილეგიურ მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, იგი დაქირავებულ შრომას ეწევა, ექსპლუატაციას განიცდის და თავისი უფლებრივი მდგომარეობით დიდად არ განსხვავდება მუშათა კლასისაგან. საშრეწველო პროლეტარიატის რაოდენობა ოცი წლის განმავლობაში (1950—1970 წწ.) 4 მლნ-დან 6,8 მლნ-მდე გაიზარდა. ამავე დროს მნიშვნელოვნად შემცირდა არაკვალიფიციური მუშების რაოდენობა.

მრეწველობის ზრდა ომის შემდგომ პერიოდში იტალიის სოციოლოგებმა მონათლეს როგორც „მეორე ტექნიკური რევოლუცია“ და ამტკიცებენ, რომ თითქოს კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების განსაკუთრებულ ფაზაში, ე. წ. შემოსავლის ზრდის რევოლუციაში, რომლის შედეგად თითქოს გაქრნენ კაპიტალისტებისა და დაქირავებულ მუშათა კლასები, მათი ადგილი თითქოს „საშუალო კლასმა“ დაიკავა. ასეთი სახელი შეარქვეს მათ საშუალო ფენას შემოსავლის მიხედვით. საყურადღებოა, რომ ცხვილი მონოპოლიების მოგება ყოველწლიურად საშუალოდ 30% შეადგენს, მუშათა რეალური ხელფასი 1950—1963 წლებში კი მხოლოდ 12% გაიზარდა, ისიც მუშათა კლასის მძლავრი მოძრაობის ზეგავლენით. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის მუშათა ხელფასი მნიშვნელოვნად დაბალია. კიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

ამრიგად, ეკონომიკურმა აღმავლობამ 50—60-იან წლებში განამტკიცა მონოპოლისტური კაპიტალიზმის პოზიციები და გავლენა ქვეყანაში, გააძლიერა იტალიის კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტური ხასიათი.

§ 58. ცენტრისტული მთავრობის საშინაო პოლიტიკა. ბრძოლა ემარცხენე და ემარჯვენე ძალებს შორის

ცენტრისტული მთავრობა იტალიაში შეიქმნა დე გასპერის მთავრობის დაცემის შემდეგ. მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები ხდებოდა, მაგრამ ყველა მთავრობის წარმომადგენელი უარს ამბობდა

ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების დემოკრატიული გზით გადაჭრაზე. ცენტრისტული მთავრობა ხელისუფლების სათავეში 1960 წლის ივლისამდე იყო. ამ პერიოდის განმავლობაში მან ვერ გადაჭრა ქვეყნის წინაშე მდგარი ვერც ერთი ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხი. ექვსი წლის განმავლობაში ხუთი მთავრობა შეიცვალა, რომელთა სათავეში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ა. სენი, ა. ძოლი და ა. ფანფანი. მთავრობაში ქრისტიან-დემოკრატების გარდა შედიოდნენ სოციალ-დემოკრატები და ლიბერალები.

სხვადასხვა ბურჟუაზიულ პარტიებსა და აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის შიგნით ხშირად იქმნებოდა მთელი რიგი მიმდინარეობანი, რომლებიც იშლებოდა, ერთიანდებოდა და ისევ იშლებოდა. ამ შიდა პოლიტიკური ბრძოლის მთავარი მიზანი იყო გამოენახათ გზა, რათა შეეჩერებინათ დემოკრატიული ძალების, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტების გავლენის ზრდა ქვეყანაში.

ეს მთავრობები ცდილობდნენ ქვეყანაში „ძლიერი ხელისუფლების“ დამყარებას და ასეთი გზით დემოკრატიული მოძრაობის ზრდის შეჩერებას. მაგრამ ასეთ პოლიტიკას ყველა ბურჟუაზიული მოღვაწე როდი ეჭერდა მხარს. ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, მათ შორის მსხვილი მონოპოლისტური ბურჟუაზიაც კი, თვლიდა, რომ დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა მუშათა კლასისა და მშრომელთა მასების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ თვალსაზრისს იზიარებდა ფიატის მონოპოლიაც. 50-იანი წლების დასაწყისში მან წამოაყენა ლოზუნგი: „მსხვილი ფირმები პირველები არიან ტექნიკურ პროგრესში, პირველები არიან სოციალურ პროგრესში“[1]. 1955 წლის მარტში ფიატის ადმინისტრაცია მუშებთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს არა მარტო დათანხმდა მათთვის ხელფასის გაზრდას და სამუშაო დღის შემცირებას, არამედ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ შემოიღებს დამატებით პრემიებს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ფიატის ქარხანაში სტაჟიანი მუშებისათვის გააუმჯობესებს მათ სამედიცინო და სოციალურ მომსახურებას. ამასთანავე, ადმინისტრაციამ განაცხადა,

---

[1] 50-იანი წლების დამდეგს ფიატის ადმინისტრაციამ ტურინში ააგო ახალი დიდი ქარხანა „მირაფიორი“, რომელიც მოწყობილი იყო უახლესი ტექნიკური დანადგარებით. ამ ქარხანაში რეორგანიზებულ იქნა მთელი საწარმოო პროცესი. „მირაფიორმა“ დაიწყო მცირელიტრაჟიანი მანქანების „ფიატ-600“ მასობრივი წარმოება. ეს მანქანა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობდა. ამ მანქანას ყიდდნენ შედარებით იაფად, მაგრამ უფრო მაღალ ფასებში, ვიდრე იგი უჯდებოდათ. ფიატის ადმინისტრაციამ ძალზე დიდი მოგებები მიიღო, რომელთა უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენეს პატერნალიზმის პოლიტიკის გასატარებლად (პატერნალიზმი ლათინური სიტყვაა და სულიერ მამას ნიშნავს).

რომ ყველა ეს ღონისძიება განხორციელდება ადმინისტრაციასთან მუშათა ლოიალური თანამშრომლობის შემთხვევაში. ფიატის ადმინისტრაციამ თავისი დაპირებები შეასრულა. ამ ღონისძიებებს თავისი პოლიტიკური მიზანი ჰქონდა — საფუძველი გამოეთხარა მუშებზე პროფკავშირთა გავლენისათვის.

პროფკავშირთა ლოზუნგი „მეტი ხელფასი, ნაკლები სამუშაო დღე!“ ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა. თვით პროფკავშირებშიც ამან დაბნეულობა გამოიწვია. ამასთანავე, ფიატის ქარხნის რეორგანიზაციის მოტივით პროფკავშირის აქტივისტები სხვადასხვა საბაბით განდევნეს ქარხნიდან. „მირაფიორის“ ქარხანაში ადმინისტრაციამ შექმნა მუშათა არისტოკრატიის ახალი ფენა, რომელსაც მაღალი ხელფასები და მრავალი შეღავათი დაუწესა.

ფიატის ადმინისტრაციის ამ ღონისძიებების შედეგად პროფკავშირთა გავლენა მუშათა კლასზე, მნიშვნელოვნად შესუსტდა. ამასთანავე, ფიატის მაგალითის ბევრმა მეწარმემ მიბაძა. ფიატის ადმინისტრაციამ შექმნა მეწარმეთა პროფკავშირები ყვითელი პროფკავშირების — სიდას — სახელწოდებით.

ასეთ ვითარებაში მმართველი პარტიის შიგნით თანდათანობით იზრდებოდა გავლენა „მემარცხენე ცენტრისტული“ მიმართულებისა, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ ა. ფანფანი და ჯ. გრონკი.

„მემარცხენე ცენტრისტები“, როგორც მათ უწოდებდნენ, მოითხოვდნენ სოციალური რეფორმების გატარებას და ასეთი გზით კომუნისტების იზოლირებას მასებისაგან. დე გასპერის მიმდევარი შელბა, რომელიც ამ დროს ხელისუფლების სათავეში იდგა, წინააღმდეგი იყო ყოველგვარი დათმობებისა. მას დიდი დარტყმა მიაყენა საპრეზიდენტო არჩევნებმა. ძველ პრეზიდენტს რწმუნების ვადა გაუვიდა და 1955 წლის აპრილში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. მრავალმა კანდიდატმა პრეზიდენტის პოსტზე ვერ მოაგროვა საჭირო ხმების რაოდენობა. პრეზიდენტად კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მხარდაჭერით აირჩიეს ჯ. გრონკი. ამის შემდეგ ივნისში გადადგა შელბას მთავრობა. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ანტონიო სენი. იგი უკვე ცნობილი იყო როგორც ავტორი 1953 წლის კანონპროექტისა, რომელშიც წინადადებას იძლეოდა შექმნილიყო სახელმწიფო საწარმოების მართვის სპეციალური სამინისტრო.

ა. სენის მთავრობა კოალიციური იყო. მასში ქრისტიან-დემოკრატებთან ერთად შევიდნენ სოციალ-დემოკრატები და ლიბერალები. ამ მთავრობამ უარყო მემარჯვენე პარტიების — ნეოფაშისტების და მონარქისტების წინადადება, მათთან ერთად შეექმნათ კოალიციური მთავრობა, მაგრამ 1957 წლის მაისში ცენტრისტული კოალიცია დაიშალა, ვინაიდან ლიბერალები წინააღმდეგი იყვნენ ეკონომიკაში სა-

ხელმწიფოს ჩარევისა. ასეთი პოლიტიკის მომხრედ გამოდიოდა ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ეკონომიკის პროფესორი ა. ფანფანი, რომელიც 1958 წლის 2 ივლისს გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. იგი წინააღმდეგი იყო დემოკრატიული მობრძაობის პოლიტიკური მეთოდებით ჩახშობისა. ა. ფანფანი მოითხოვდა მსხვილი მონოპოლიების გამოცდილების გამოყენებას და მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით მემარცხენე ძალების პოლიტიკურ განიარაღებას. ა. ფანფანის მომხრეები მოითხოვდნენ შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობას ეკონომიკის განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით. მონოპოლიებისა და ვატიკანის მხარდაჭერით ა. ფანფანმა შეძლო პარტიის შიგნით არსებული სხვადასხვა მიმდინარეობის დამორჩილება. იგი ამ პარტიის მდივნად აირჩიეს ჯერ კიდევ 1955 წელს. ასეთივე პოზიციაზე იდგა ახლად არჩეული პრეზიდენტი ჯ. გრონკი. მან თავის პირველ მიმართვაში პარლამენტისადმი მოითხოვა, რომ არ გადაეხვიათ კონსტიტუციური მმართველობისაგან, მკაცრად დაეცვათ მისი პრინციპები, ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, უარი ეთქვათ მუშათა მოძრაობის ჩახშობაზე. და განეხორციელებინათ სოციალური რეფორმები. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ამ უმნიშვნელო ხასიათის დაპირებებმაც კი საშინაო და საერთაშორისო რეაქციის შეშფოთება გამოიწვია. აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა ორაზროვნად აგრძნობინეს იტალიას, რომ მათ არ მოსწონთ ფანფანის და გრონკის გეგმები და ამ გეგმების განხორციელების შემთხვევაში აშშ დახმარების შეწყვეტით ემუქრებოდა იტალიას. იტალიის ბურჟუაზიულ წრეებშიც შეშფოთებით შეხვდნენ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გეგმებს.

რეაქცია მშრომელებისადმი მცირე დათმობებსაც კი ვერ ურიგდებოდა და ეს გახდა მთავარი მიზეზი მემარჯვენეების „მემარცხენეების“ წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისა. პირველ რიგში იერიში მიიტანეს ა. ფანფანის წინააღმდეგ და 1959 წლის 25 იანვარს აიძულეს, გადამდგარიყო პარტიის მდივნობიდან და მთავრობის მეთაურის თანამდებობიდან. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გახდა მანამდე ნაკლებად ცნობილი ალდო მორო, ხოლო მთავრობის მეთაური — ანტონიო სენი. ამრიგად, საფრანგეთის მსგავსად თითქმის ერთდროულად მემარჯვენე ძალებმა გაიმარჯვეს. მმართველი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობაც მემარჯვენე მიმდინარეობის ხელში აღმოჩნდა. მაგრამ საფრანგეთისაგან განსხვავებით იტალიის მემარჯვენე ძალებს მხარს არ უჭერდნენ მასები. ამით აიხსნება მთავრობის ხშირი ცვალებადობა. საქმე, იმაში იყო, რომ ცენტრისტული მთავრობისათვის მხარდაჭერაზე პარლამენტში უარს ამბობდნენ სხვა პარტიები. ამიტომ 1960 წლის თებერვალში სენის მთავრობაც გა-

დადგა. იგი უკანასკნელი ცენტრისტული მთავრობა იყო. მარტში ერთპარტიული მთავრობა შექმნა ტამბრონმა. მან პარლამენტში ნდობის ვოტუმი მიიღო ნეოფაშისტების მხარდაჭერის წყალობით, რაც ცხადყოფდა, რომ ეს მთავრობა აშკარა მემარჯვენე ხასიათისა იყო. ამ მთავრობის დროს ნეოფაშისტები იმდენად გათავხედდნენ, რომ 1960 წლის ივლისის დამდეგს პარტიის ყრილობის ჩატარებაც კი განიზრახეს, ანტიფაშისტური ბრძოლის ტრადიციების მქონე ქალაქ გენუაში, რომელსაც ფაშიზმთან ბრძოლის გამო ოქროს მედალი ჰქონდა მიღებული. ეს იყო დემოკრატიული ძალების აშკარა გამოწვევა. ამის საპასუხოდ 29—30 ივნისს გენუის მშრომელებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა და მოაწყვეს ანტიფაშისტური დემონსტრაციები. მთავრობის ბრძანებით პოლიციამ დემონსტრანტებს ტყვია დაუშინა, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. გენუის ამბები ელვისებური სისწრაფით გავრცელდა მთელ ჩრდილოეთ იტალიაში, გამოიწვია საყოველთაო გაფიცვა და ანტიფაშისტური მანიფესტაციები. პოლიცია და ჯარები ცეცხლით შეხვდნენ მათ, მოკლეს ხუთი კომუნისტი. მსხვერპლი იყო სხვა ქალაქებშიც. ამასთანავე მემარჯვენეებმა ისტერიული ანტიკომუნისტური პროპაგანდა გააჩაღეს, რომლის მთავარი ამოცანა იყო კომპარტიის იზოლაცია, მთელი დანაშაულის დაკისრება მასზე და დემოკრატიული უფლებების შეზღუდვა. მაგრამ რეაქციის ეს გამოხდომები მარცხით დამთავრდა. ჩრდილოეთ იტალიაში კომპარტიამ ერთი კვირის განმავლობაში შექმნა წინააღმდეგობის ანტიფაშისტური კომიტეტები, რომლებშიც კომუნისტებთან ერთად შევიდნენ სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები, რესპუბლიკელები და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მემარცხენეებიც კი. ეს იყო ახალი ანტიფაშისტური წინააღმდეგობის კომიტეტი. მან მოითხოვა რეპრესიების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ტამბრონის მთავრობის გადადგომა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა საყოველთაო გაფიცვითა და სამოქალაქო ომით.

19 ივლისს ტამბრონი ფანფანიმ შეცვალა. უკანასკნელმა დაგმო ნეოფაშისტების პროვოკაციები, მთავრობის რეპრესიები და მოითხოვა კონსტიტუციური მმართველობის აღდგენა.

§ 59. მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკის არსი. ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის (1963—1972 წწ.).

1960 წლის ივნის-ივლისის ამბებმა ცხადყო, რომ ძალთა თანაფარდობა დემოკრატიული ძალების სასარგებლოდ შეიცვალა.

დემოკრატიული მმართველობის შეკვეცისა და კლერიკალურ-ფაშისტური რეჟიმის დამყარების ცდები ორგანიზებულ წინააღმდეგობას

წააწყდა. რეაქციისათვის ნათელი გახდა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო. ბურჟუაზიის მმართველ წრეებში ფანფანის მეთაურობით ძლიერდება მემარცხენე მიმდინარეობის გავლენა, რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ახალი რეფორმების და სოციალური დათმობების პოლიტიკური კურსის განხორციელების მომხრე იყო. იმედი ვერ გაამართლა „ცენტრიზმის პოლიტიკამაც". იგი უფრო მემარჯვენე ხასიათის იყო და კომუნისტური და სოციალისტური პარტიების გვერდის ავლით ცდილობდა ქვეყნის მმართველობას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გავლენიანმა ბურჟუაზიულმა წრეებმა ალტერნატივად გამოუშვეს „მემარცხენე ცენტრისტული მთავრობა".

1962 წელს ნეაპოლში შედგა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო „მემარცხენე ცენტრისტული" მთავრობის შექმნის შესახებ. „მემარცხენე ცენტრისტული" სახელწოდება მიიღეს არა მარტო ფანფანმა და მისმა მიმდევრებმა, არამედ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე, კონსერვატორულმა მიმდინარეობამაც. ისინი მომხრე იყვნენ შექმნილიყო კოალიციური მთავრობა რესპუბლიკერ, სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებთან ერთად. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე მიმდინარეობის შემობრუნება მარცხნივ აიხსნება არა მათი დემოკრატიულობით, არამედ მასობრივი მოძრაობისა და დემოკრატიული ძალების გავლენის ზრდით. 1947 წლის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა პირველად დათანხმდა სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობაზე. ასეთი ტაქტიკა მიზნად ისახავდა მასებისაგან კომპარტიის იზოლირებას, მუშათა კლასის იმ ნაწილის თავის მხარეზე მიბმრობას, რომელიც სოციალისტური პარტიის გავლენის ქვეშ იყო. ეს გამოიწვევდა მუშათა ძალების დაქსაქსვა-დასუსტებას.

მემარცხენე ცენტრისტულ პოლიტიკაზე გადასვლა იტალიის ბურჟუაზიის იძულებითი ნაბიჯი იყო. იგი მიზნად ისახავდა ამ გაბატონებული კლასის პოლიტიკური პოზიციების გაძლიერებას ქვეყანაში უფრო მოქნილი ტაქტიკის გზით. ამასთანავე, მემარცხენე ცენტრისტულ პოლიტიკაზე გადასვლა შესაძლებელი გახდა თვით სოციალისტური პარტიის გამემარჯვენების გამო.

იტალიის მრეწველობის მაღალმა კონიუნქტურამ და ეკონომიკაში მომხდარმა ცვლილებებმა დაბნეულობა გამოიწვია სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში, რომელიც ომისა და ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტებთან თანამშრომლობის მომხრე იყო, ხოლო შემდეგ მარჯვნივ იწყო შებრუნება. პ. ნენი და სოციალისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელები დაადგნენ მუშათა ერთიანი ფრონტის გათიშვის გზას. ისინი ამტკიცებდნენ, კაპიტალიზმი სტაბილიზაციას განიც-

დისო, ხოლო შემდეგ იმ დასკვნამდეც კი მივიდნენ, რომ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობისათვის მოითხოვდნენ ბურჟუაზიასთან სოციალისტური პარტიის თანამშრომლობას.

ჯერ კიდევ 1934 წლიდან კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის არსებობდა ერთიანი მოქმედების პაქტი. 1956 წლის შემოდგომაზე უნგრეთში მომხდარი ამბები პ. ნენიმ გამოიყენა კომუნისტებთან ერთიანი მოქმედების პაქტის გასაუქმებლად. ნოემბერში სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კომუნისტებთან ერთიანი მოქმედების პაქტის გაუქმების რატიფიკაცია მოახდინა, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ თითქოს შეუძლებელია კომუნისტებთან ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თანამშრომლობა, რადგან არადემოკრატიულად აქვთ წარმოდგენილი ეს თანამშრომლობაო. ამ გამყიდველური ნაბიჯის გამართლებისათვის სოციალისტები უნგრეთის ამბებთან ერთად ცდილობდნენ სკკპ XX ყრილობის მიერ სტალინის კულტის კრიტიკასთან დაკავშირებით მანკიერი მეთოდების გამომზეურების ფაქტების გამოყენებასაც.

დისკუსიები სკკპ XX ყრილობის შედეგების შესახებ იტალიის პარტიულ ორგანიზაციებში მთელი კვირაობით გრძელდებოდა. უნგრეთის ამბები კი ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ გამოიყენა საბჭოთა სახელმწიფოსათვის სახელის გასატეხად, არასწორად წარმოადგინა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკა და გაიძახოდა: იტალიაში მალე რუსი კაზაკები მოვლენო[1].

საერთოდ, უნგრეთში ჩვენი მთავრობის ღონისძიებებმა კონტრრევოლუციური ძალების განადგურების საქმეში დიდი დავა გამოიწვია იტალიის კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებში. განსაკუთრებით ბოლოვანი კრიზისი განიცადა სოციალისტურმა პარტიამ. პ. ნენი და მისი მომხრეები გამოვიდნენ საბჭოთა ჯარების მიერ უნგრეთის მთავრობისათვის დახმარების გაწევის წინააღმდეგ და ფაქტობრივად მხარი დაუჭირა ბურჟუაზიულ პროპაგანდას „თავისუფლების ჩახშობის", „ხალხთა გამოსვლების ჩახშობის", „აგრესიის" და სხვათა შესახებ[2].

1957 წლის თებერვალში სოციალისტური პარტიის XXIII ყრილობაზე უნგრეთის ამბების მომიზეზებით პ. ნენიმ და მისმა მომხრეებმა მოითხოვეს სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანება ამკარა ანტიკომუნისტურ საფუძველზე.

მართალია, ყრილობამ დაამტკიცა კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის გაწყვეტა, მაგრამ დაადგინა მათ ხელმძღვანელ ორგანოებთან პოლიტიკური კონსულტაციების აუცილებლობა.

---

[1] История Италии, т, III, изд. «Наука», Москва, 1971, გვ. 350.

[2] იქვე, გვ. 352.

დროებითი სიძნელენი საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში უარყოფით გავლენას ახდენდა სოციალისტური პარტიის ლიდერებზე. ისინი ამ სიძნელეებს ძრასწორ შეფასებას აძლევდნენ, მთელი რევოლუციური მოძრაობის კრახად მიიჩნევდნენ. მაღალმა კონიუნქტურამ და ეკონომიკური განვითარების „იტალიურმა სასწაულმა", მასთან დაკავშირებულმა მუშათა მოძრაობის შეფარდებითმა შესუსტებამ სოციალისტური პარტიის ლიდერებს არასწორი შეხედულებები შეუქმნა. მაგალითად, პ. ნენიმ და მისმა მიმდევრებმა წამოაყენეს ყალბი დებულებები, თითქოს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს სუსტდება ბურჟუაზიული დიქტატურა და ანტაგონისტურ კლასებს შორის მყარდება „სოციალურ ძალთა თანაფარდობა".

მემარცხენე ცენტრისტულ პოლიტიკაზე გადასვლას ეხმარი დაუჭირა ვატიკანმაც. 1958 წლის ოქტომბერში გარდაცვლილი რომის პაპის პიუს XII ნაცვლად აირჩიეს იოანე XXIII, რომელმაც ნიშანველოვნად შეცვალა ვატიკანის პოლიტიკა. იგი წინამორბედი არისტოკრატიული წარმოშობის პაპებისაგან განსხვავებით გლეხთა ფენიდან იყო გამოსული. მას შედარებით რადიკალური შეხედულებები ჰქონდა. თუ პიუს XII, მისი სამღვდელოება და კათოლიკური ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ბრძოლაში, ახალი პაპი იოანე XXIII სასულიერო პირების მონაწილეობას ყოველდღიურ პოლიტიკურ ბრძოლაში ეკლესიისათვის საზიანოდ თვლიდა. ახალი პაპი „ცივი ომის" წინააღმდეგ გამოვიდა და მოითხოვა საერთაშორისო მშვიდობის დაცვა და განმტკიცება. იოანე XXIII გააუქმა პიუს XII მიერ 1949 წელს გამოცხადებული კომუნისტური და სოციალისტური პარტიებისა და მათი მომხრე მოქალაქეების ეკლესიიდან განკვეთა. იოანე XXIII (გარდაიცვალა 1963 წელს) და მისი მემკვიდრე პავლეს VI აქტიურად გამოდიოდნენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მოითხოვდნენ ომის საშიში კერების ლიკვიდაციას და შეიარაღების შემცირებას. მათ დაგმეს „ცივი ომის" პოლიტიკა და მოუწოდებდნენ ორ სისტემას შორის თანამშრომლობისაკენ. პავლე VI-მ სოციალისტურ ქვეყნებთან დაახლოების კურსი აიღო, მაგალითად, 1966 წელს დაამყარა ურთიერთობა იუგოსლავიასთან, შემდეგ კი — უნგრეთთან.

1966 წელს პავლე VI-მ ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე მოითხოვა მშვიდობის დაცვა მთელ მსოფლიოში. აქ იგი შეხვდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. გრომიკოს, 1967 წლის იანვარში კი რომში შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. პოდგორნის, როცა იგი პრეზიდენტის სარაგატის მოწვევით ვიზიტით იყო იტალიაში.

იოანე XXIII-მ და პავლე VI-მ განახორციელეს საეკლესიო რეფორმები. ზოგიერთი მოძველებული და დრომოჭმული წეს-ჩვეულება გაუქვდა. საეკლესიო მოძღვრების და წირვა-ლოცვის რიტუალები მოდერნიზებულ იქნა და სხვა[1].

რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ეკლესიის ავტორიტეტი, მისი იდეური გავლენა მოსახლეობაზე, რის შედეგადაც ეკლესია კომუნისტური მოძღვრების უფრო ძლიერი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე გახდა. ამიერიდან ვატიკანი უფრო მოქნილად და მოხერხებულად ებრძვის კომუნიზმს და სხვა ათეისტურ იდეოლოგიას.

ვატიკანის ხელმძღვანელები დემაგოგიურად გამოვიდნენ კაპიტალისტური წყობილების ზოგიერთი მანკიერი მხარის კრიტიკითაც.

1961 წელს იოანე XXIII გამოაქვეყნა ენციკლიკა[2] „დამრიგებელი დედის" სახელწოდებით. იგი მოითხოვდა სახელმწიფო რეფორმებით ბოლო მოეღოთ ქვეყნის შიგნით არსებული კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეებისათვის, ეკონომიკაში სტიქიურობის აცილებისა და მისი რეგულირების მიზნით სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, რისთვისაც დასაშვებად თვლიდა საზოგადოებრივი საკუთრების შემოღებას. ამასთანავე ენციკლიკა კერძო საკუთრებას ხელშეუხებლად აცხადებდა.

ამრიგად, რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით ვატიკანი მოითხოვდა დათმობებზე წასვლას და მასების სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ვატიკანის ამ ახალი სოციალური და იდეოლოგიური დებულებების შედეგი იყო ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში მემარცხენე ცენტრისტული მიმართულების გაძლიერება.

ვატიკანი მხარს უჭერდა ა. ფანფანის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებას, განათლების სისტემის გარდაქმნას, ადმინისტრაციული და საგადასახადო რეფორმების გატარებას, მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაციას, იტალიის სამხრეთი რაიონების განვითარებას.

1963 წლის 22 თებერვალს ფანფანის მეთაურობით შეიქმნა მემარცხენე ცენტრის პირველი მთავრობა, რომელშიც მთავარი ადგილი მემარჯვენე ქრისტიან-დემოკრატებმა დაიკავეს, რაც ზღუდავდა ფანფანის უფლებებს. ამიტომ იყო, რომ მან განხორციელებული რეფორმებიდან მხოლოდ ელექტროენერგიის კომპანიების ნაციონალიზაციის განხორციელება მოახერხა და ისიც კომუნისტი დეპუტატების მხარდაჭერის შედეგად. გაიზარდა ხელფასები ზოგიერთი კატეგორიის მუშებისათვის და საპენსიო მინიმუმი.

---

[1] საეკლესიო კრებამ გადაწყვეტილება მიიღო 1962 წელს.

[2] ენციკლიკა — რომის პაპის მიმართვა მისდამი დაქვემდებარებული ეკლესიებისადმი.

1963 წლის აპრილში ჩატარდა პარლამენტის მორიგი არჩევნები. კომუნისტებმა მიიღეს ხმების 25,3%, რაც 7,8 მლნ-მდე ხმას შეადგენდა. ეს იყო კომუნისტების ყველაზე დიდი წარმატება ადრინდელ არჩევნებთან შედარებით. მათ წინა არჩევნებთან შედარებით 1 მლნ-ით მეტი ხმა მიიღეს.

სოციალისტებმა ძნიშვნელოვნად დაკარგეს ხმები, მიიღეს 13,8% (წინა არჩევნებში 14,2%), ქრისტიან-დემოკრატებმა კი — 38,2% (წინა არჩევნებში — 42,3%).

ამრიგად, მემარცხენე ცენტრმა ვერ გაამართლა მონოპოლისტური ბურჟუაზიის იმედი, რომ ქვეყანაში კომუნისტების გავლენა შესუსტებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი კურსი კვლავ გრძელდებოდა.

ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. მემარჯვენეები არ ენდობოდნენ ფანფანის და 1963 წელს მის გადადგომას მიაღწიეს. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ა. მორო.

მთავრობაში ოთხი პარტია შედიოდა: ქრისტიან-დემოკრატები, სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები და რესპუბლიკური პარტია[1]. ამრიგად, სოციალისტებმა ზურგი შეაქციეს კომუნისტებს, შეკრეს ბლოკი ბურჟუაზიულ პარტიებთან და მთავრობაში შევიდნენ.

სოციალისტების ამ ნაბიჯმა მუშათა კლასის აღშფოთება გამოიწვია. განხეთქილება მოხდა თვით სოციალისტურ პარტიაშიც. 1964 წლის იანვარში ამ პარტიის მემარცხენეებმა ტ. ვაკეტის მეთაურობით ურთიერთობა გაწყვიტეს გამყოფველებთან და ახალი პარტია შექმნეს — იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიის სახელწოდებით (პესპ). იგი აერთიანებდა 170 ათას წევრს.

იტალიის სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები 1966 წელს გაერთიანდნენ.

1964 წლის დეკემბერში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჯ. სარაგატი.

ა. მოროს მთავრობა (1964—1968 წწ.) ფანფანის მთავრობასთან შედარებით უფრო მემარჯვენე ხასიათისა იყო. 1964—1965 წლებში ეკონომიკური კრიზისის შედეგად იტალიის მრეწველობის რიგმა დარგმა სიძნელეები განიცადა. მთავრობა ცდილობდა ეს სიძნელეები

---

[1] რესპუბლიკური პარტია 1832 წელს შეიქმნა მაძინისა და გარიბალდის მეთაურობით. ფაშიზმის დიქტატურის დროს ამ პარტიის ლიდერების დიდი ნაწილი ემიგრაციაში იყო. ომის შემდეგ მან კვლავ განაახლა თავისი მოღვაწეობა. იგი ძირითადად ეყრდნობოდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის ნაწილს. აერთიანებს 60 ათას წევრს.

ხალხთა მასებისათვის დაეკისრებინა, რასაც მოჰყვა მშრომელთა მასების ბრძოლის გაძლიერება.

1966 წლის ნოემბერში ამას დაერთო წყალდიდობა, რომლის მსგავსი იტალიას ჯერ არ ახსოვდა. განსაკუთრებით დაზარალდა ცენტრალური და ჩრდილოეთი ნაწილი. ზარალი ასეული მილიარდი ლირათი განისაზღვრა. განსაკუთრებით დაზარალდა ფლორენცია, ვენეცია, გროსეტო და სხვა ქალაქები და რაიონები. მთავრობამ სრული უუნარობა და არაორგანიზებულობა გამოიჩინა დაზარალებული რაიონებისადმი დახმარების საქმეში. დახმარების კამპანია გააჩაღეს დემოკრატიულმა ძალებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით.

ამ გაჭირვების ჟამს იტალიელ ხალხს მრავალმა ქვეყანამ გაუწია დახმარება, მათ შორის საბჭოთა კავშირმა. მან დაზარალებულ მოსახლეობას გაუგზავნა სურსათი, მედიკამენტები, ტანსაცმელი და ა. შ. საყურადღებოა, რომ მთავრობის მიერ შემუშავებულ გეგმაში გათვალისწინებული არ იყო მომავალში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. ქვეყნის მდგომარეობა განსაკუთრებით 1968 წელს დაიძაბა, როდესაც მუშათა კლასმა, კომუნისტების ხელმძღვანელობით, რიგი გაფიცვები მოაწყო. აღსანიშნავია სტუდენტთა მღელვარება, რომელიც 3 თვეს გრძელდებოდა და მასში 0,5 მლნ. ახალგაზრდა მონაწილეობდა. სტუდენტობა მოითხოვდა უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმებს მისი დემოკრატიზაციის მიზნით, სწავლის ქირის გაუქმებას და სტიპენდიების დაწესებას. სტუდენტთა მღელვარებები ხშირად პოლიციასთან შეტაკებით და მსხვერპლით მთავრდებოდა.

1968 წლის მაისში მორიგი საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის ვითარებაში მიმდინარეობდა. მან კვლავ დიდი წარმატებები მოუტანა კომუნისტებს. მათ ხმა მისცა 8,5 მლნ-მა კაცმა (ამომრჩეველთა 26,9%).

ქრისტიან-დემოკრატებმა უმნიშვნელოდ გააძლიერეს თავიანთი პოზიციები (0,8%). მათ მიიღეს 12 მლნ. ხმა (39,1%). ამ პარტიამ მრავალი ამომრჩეველი დაკარგა, მაგრამ ის ამომრჩევლები, რომელნიც ადრე მემარჯვენე პარტიებს უჭერდნენ მხარს, ამჯერად ქრისტიან-დემოკრატების მხარეზე გადავიდნენ. საქმე იმაშია, რომ იტალიის გავლენიანი რეაქციული ძალები მხარს უჭერენ არა აშკარა მემარჯვენეებს, მათ შორის ნეოფაშისტურ პარტიას, არამედ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთას.

ამ არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო კომპარტიის წარმატებები. კომპარტია მემარცხენე და, საერთოდ, პოლიტიკურ პარტიებს შორის მთავარ პოლიტიკურ ძალად რჩებოდა ქვეყანაში. იგი ყოველდღიურ დაძაბულ ბრძოლას ეწეოდა ქვეყნის სოციალური

პროგრესისათვის, მშრომელი მასების მდგომარეობის განუხრელად ამაღლებისათვის. კომპარტია არ წყვეტდა ბრძოლას ყველა მემარცხენე ძალის გაერთიანებისათვის. იგი უარყოფითად აფასებდა იტალიის სოციალისტურ პარტიაში მოქმედარ გათიშვას და ამ პარტიის თანდათანობით მარჯვნივ შემობრუნებას, რაც ობიექტურად მუშათა მოძრაობის დასუსტებას ნიშნავდა. მაგრამ როდესაც მემარცხენე სოციალისტების პარტიაში დარჩენა შეუძლებელი გახდა, მან მხარი დაუჭირა მათ გამოსვლას სოციალისტური პარტიიდან და დამოუკიდებელი პარტიის შექმნას.

1968 წლის არჩევნების წინ კომპარტიამ და პროლეტარული ერთობის იტალიის სოციალისტურმა პარტიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას არჩევნებში კანდიდატების ერთობლივი წამოყენების შესახებ. ამ საარჩევნო ბლოკს მხარი დაუჭირეს სხვა მემარცხენე ძალებმაც, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მემარცხენე ძალების ერთობლივ ბრძოლას მემარცხენე ცენტრის კოალიციის წინააღმდეგ, რის შედეგად მემარცხენე სოციალისტებმა აღნიშნულ არჩევნებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მათ მიიღეს 1,4 მლნ. ხმა, ანუ ამომრჩეველთა ხმების 4,5%. გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ სერიოზული მარცხი განიცადა. თუ წინა არჩევნებში მან ამომრჩეველთა ხმების 28% მიიღო, ამჯერად — 14,5%.

ამრიგად, 1968 წლის არჩევნებმა ცხადყო, რომ იტალიაში მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის ძალთა ახალი თანაფარდობა შეიქმნა. იტალიის ბურჟუაზიის მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკა მთლიანი მარცხის წინაშე იდგა. ყოველივე ეს კი კომპარტიის დიდი ორგანიზებული მოღვაწეობის შედეგი იყო.

1968 წლის არჩევნებში დიდმა მარცხმა დაბნეულობა გამოიწვია გაერთიანებული სოციალისტური პარტიის მემარჯვენე და ცენტრისტულ ხელმძღვანელობაში. მათ უარი თქვეს კოალიციურ მთავრობაში შესვლაზე. ამასთანავე მემარჯვენე სოციალისტების ცდა, ხელთ აეღოთ პარტიის ხელმძღვანელობა, უშედეგოდ დამთავრდა. 1969 წლის ზაფხულში მემარჯვენეები გამოვიდნენ სოციალისტური პარტიიდან და შექმნეს უნიტარული სოციალისტური პარტია, რომელმაც შემდეგ კვლავ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება მიიღო. რაც შეეხება სოციალისტურ პარტიას, იგი მაინც შეერიდა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მდივნის გ. რუმორის მიერ შექმნილ კოალიციურ მთავრობაში, მაგრამ ხელი აიღო კომუნისტების საწინააღმდეგო ლოზუნგებზე. არჩევნების დროს მათთან თანამშრომლობა დაამყარა ადგილობრივ თვითმმართველურ ორგანოებში. პ. ნენი მალე გადადგა პარტიის ხელმძღვანელობიდან. ახალი მდივანი გახდა დე მარტინო,

მისი მოადგილე კი — მანჩინი. პ. ნენის ანტიკომუნისტურმა კურსმა სახელი გაუტეხა მას მასებში.

განხეთქილებას სოციალისტურ პარტიაში მოჰყვა მ. რუმორის მემარცხენე ცენტრისტული მთავრობის გადადგომაც. ამან გამოიწვია მთავრობის გაჭიანურებული კრიზისი. მთავრობა ისევ მ. რუმორმა შექმნა, მაგრამ ამჯერად იგი მხოლოდ ერთპარტიული იყო. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა პრეზიდენტ სარაგატის მხარდაჭერით წამოაყენეს ულტიმატური მოთხოვნა, რომ ისინი მთავრობაში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ კოალიციაში შემავალი პარტიები ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტენ კომუნისტებთან. ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში ამასთან დაკავშირებით განხეთქილება მოხდა. მემარჯვენეების ნაწილმა და ცენტრისტული ჯგუფის ყოფილმა ხელმძღვანელებმა ფ. პიკოლოს (მაშინდელი პარტიის მდივანი), მ. რუმორის (პრემიერ-მინისტრი) და ა. ფანფანის მეთაურობით მხარი დაუჭირეს ამ მოთხოვნას. ცენტრისტების ნაწილი კი ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოროს მეთაურობით შესაძლებლად თვლიდა მემარცხენეებთან თანამშრომლობას. 1969 წლის ოქტომბერში ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში მოხდა განხეთქილება. იტალიის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დ. ანდრეოტიმ, ე. კოლომბომ და სხვებმა უარი თქვეს მემარჯვენეებთან თანამშრომლობაზე. ეს უკანასკნელნი მკაცრი რეჟიმის კურსის მომხრე იყვნენ და უარს ამბობდნენ ახალი რეფორმების გატარებაზე. ისინი უარს ამბობდნენ მშრომელთა მიმართ დათმობების პოლიტიკის გატარებაზე, მათ წინააღმდეგ რეპრესიებს მოითხოვდნენ.

§ 60. მემარცხენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა

მემარცხენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა არ განსხვავდებოდა წინა მთავრობისაგან. ჯერ კიდევ 1958 წელს ფანფანის მთავრობის თანხმობით იტალიაში განლაგდა ნატოს დაჯგუფების საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტები, ხოლო სარდინია ამ დაჯგუფების საწვრთნელ პოლიგონად გადაიქცა.

იტალია რჩება ნატოს დაჯგუფების ყველა კომისიაში და კომიტეტში და აქტიურად მონაწილეობს ყველა სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებაში.

იტალიის მშრომელი მასები, დემოკრატიული ძალები, უპირველეს ყოვლისა კომუნისტების ხელმძღვანელობით, წინ აღუდგნენ ოფიციალური წრეების ამ დამღუპველ და ქვეყნის ინტერესებისათვის მეტად საშიშ პოლიტიკას. იტალიის მშრომელი ხალხი მოითხოვდა, რომ

მთავრობას უარი ეთქვა „ცივი ომის“ კურსზე და აქტიური მონაწილეობა მიეღო იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებიც მშვიდობის ინტერესებს ემსახურებოდნენ. იტალიის მმართველი წრეები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ მოსახლეობის უმრავლესობის კანონიერი მოთხოვნებისათვის.

დემოკრატიული ძალების ზეგავლენით იტალიის მთავრობა და ფატიკანი იძულებული იყვნენ, საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავების ყოველ მომენტში კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ.

60-იანი წლებიდან გაუმჯობესდა იტალიის ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან.

1960 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირში ვიზიტით ჩამოვიდა იტალიის პრეზიდენტი ჯ. გრონკი, ერთი წლის შემდეგ კი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ფანფანი. 1966 და 1970 წლებში იტალიაში იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო, 1967 წელს — ნ. პოდგორნი. ამ ვიზიტების შედეგად ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის გაუმჯობესდა. იტალიის 60-იანი წლების ყველა მთავრობა საპროგრამო განცხადებებში გამოთქვამდა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოების სურვილს.

იტალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში შემობრუნების პუნქტად შეიძლება ჩაითვალოს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და ფიატის მონოპოლიას შორის დადებული კონტრაქტი ტოლიატში ნუბუქი მანქანების ქარხნის მშენებლობის შესახებ. სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ისტორიაში პირველად დაიდო ასეთი მნიშვნელოვანი შეთანხმება.

ამ შეთანხმებამ ბიძგი მისცა კაპიტალისტურ ქვეყნებს, საბჭოთა კავშირთან უფრო მსხვილი მასშტაბის ხელშეკრულებანი გაეფორმებინა.

1970 წელს იტალიამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩინეთთან. 1970 წელს საგარეო საქმეთა მინისტრი მორო ვიზიტებით იყო ევროპის რიგ სოციალისტურ ქვეყნებში, 1971 წელს კი — საბჭოთა კავშირში.

70-იანი წლების დამდეგისათვის იტალიამ სხვა დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით დაკარგა საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის ინიციატივა და ამ საქმეში პოზიციები დათმო სხვა სახელმწიფოთა წინაშე.

1970 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებული იყო იუგოსლავიის პრეზიდენტის ბ. ტიტოს ვიზიტი იტალიაში, მაგრამ მემარჯვენე ძალების ზემოქმედებით იგი გადაიდო, რადგან მორომ რამდენიმე პრეტენ-

ზოული ხასიათის განცხადება გააკეთა ტრიესტის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც იუგოსლავიას ეკუთვნის.

იტალიის მთავრობამ მოიწონა ვ. ბრანდტის მთავრობის აღმოსავლური პოლიტიკა, გფრ-სა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების კურსი. თავის მხრივ იტალიამ მხარი დაუჭირა საბჭოთა ინიციატივას ევროპის სახელმწიფოების თათბირის ჩატარების შესახებ აშშ-ის მონაწილეობით.

ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოგვარებაში იტალია მხარს უჭერდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის გადაწყვეტილებას და გმობდა საბჭოდრო მოქმედების განახლებას ამ რაიონში.

1968 წლის არჩევნების შემდეგ იტალია, საერთოდ, უფრო აქტიურად გამოდიოდა მსოფლიოში დაძაბულობის შენელების მომხრედ, საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებისა და ლიკვიდაციის მომხრედ. მაგალითად, იტალიამ მოითხოვა ინდოჩინეთის და განსაკუთრებით ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, მოიწონა ამერიკის ჯარების შემცირება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ნატოს ჩარჩოებში და იტალიის მთავრობას თითქოს თავი ვალდებულად მიაჩნდა, ხაზი გაესვა „ატლანტიკური სოლიდარობის პოლიტიკური კურსის ერთგულებაზე“.

§ 61. „მემარცხენე ცენტრისტული“ კოალიციის დაშლა და ჯ. ანდრეოტის „ცენტრისტული“ მთავრობა

1970—1971 წლებში მემარჯვენე და უკიდურესად მემარჯვენე პარტიებში, ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ დაჯგუფებებში მოხდა ძალების ერთგვარი გადანაცვლება. მათ მიზნად დაისახეს პოლიტიკური კურსის მარჯვნივ შემობრუნება. მთავრობის კოალიციაში შემავალი მემარჯვენეების ხელში იყო პოლიციისა და კარაბინერების ხელმძღვანელობა. მათ დაძაბული ვითარება შექმნეს ქვეყანაში, აქეზებდნენ ფაშისტებს მემარცხენე ძალების წინააღმდეგ. ნეოფაშისტებმა ისარგებლეს მთავრობის წაქეზებით, უმოქმედობით და თავს დაესხნენ მემარცხენე პარტიების აქტივისტებს, პარტიულ შენობებს, გაზეთის რედაქციებს.

ამ პროვოკაციებს მემარცხენე ძალებმა, კომუნისტების ხელმძღვანელობით, გრანდიოზული დემონსტრაციებითა და გაფიცვებით უპასუხეს. ხალხი მოითხოვდა ფაშისტთა პროვოკაციების აღკვეთას, მათ დაპატიმრებას და დასჯას. გამოსვლებმა მთავრობა აიძულა, ზომები მიეღო ნეოფაშისტთა წინააღმდეგ. 1970 წლის დეკემბერში, როდესაც ფაშისტები ბორგეზის ხელმძღვანელობით შეეცადნენ სახელმწიფო დაწესებულებების ხელში ჩაგდებას, ისინი დააპატიმრეს. ამავე დროს მთავრობა იძულებული გახდა დათმობებზეც წასულიყო და

შეესრულებინა დემოკრატიული ძალების მოთხოვნები. 1970 წელს გამოიცა კანონი საოლქო მმართველობის ორგანოების შექმნის შესახებ. არჩევნები ივლისში ჩატარდა, რომლებმაც კომუნისტებს და მემარცხენე ძალებს დიდი გამარჯვება მოუტანა. ამ არჩევნებმა ცხადყო, რომ მარჯვნივ შემობრუნება სასურველ შედეგს არ მოუტანდა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას. მიუხედავად ამისა პარტიის ლიდერები ცდილობდნენ ბლოკის შეკვრას მემარჯვენე ლიბერალურ პარტიასთან[1] და მემარჯვენე „ცენტრისტული" კოალიციური მთავრობის შექმნას. მათ უნდოდათ მთავრობიდან გაეძევებინათ სოციალისტური პარტია, რომლის ახალმა ხელმძღვანელობამ კომუნისტებთან დაახლოების კურსი აიღო. მემარჯვენე ქრისტიანებს უნდოდათ ასევე აელაგმათ პარტიის შიგნით არსებული მემარცხენე ფრაქციული მიმდინარეობა, რომელიც მემარცხენე ძალებთან თანამშრომლობის მოხრილ გამოდიოდა. საყურადღებოა, რომ სოციალ-დემოკრატები და რესპუბლიკური პარტია მხარს უჭერდნენ მემარჯვენე ქრისტიანებს იმ პირობით, თუ „მემარჯვენე ცენტრისტულ" მთავრობაში ისინიც შევიდოდნენ.

1971 წ. ქვეყნის ასეთ ნაწვავე ვითარებაში ჩატარდა პრეზიდენტის მორიგი არჩევნები, რომელმაც ცხადყო სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის არსებული დიდი წინააღმდეგობები. ორი კვირის განმავლობაში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო საჭირო რაოდენობის ხმების მოგროვება. ქრისტიან-დემოკრატებმა მემარჯვენე ლიბერალური პარტიის მხარდაჭერით შეძლო თავისი კანდიდატის ჯოვანი ლეონეს[2] გაყვანა, რაც მემარცხენე „ცენტრის" კოალიციის კრახს ნიშნავდა.

---

[1] ლიბერალური პარტიის მოღვაწეობა XIX ს. 40-იან წლებში იწყება, ორგანიზაციულად იგი XX ს. დასაწყისს ჩამოყალიბდა. 1926—1943 წლებში ფაშიზმის დროს შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა. 1943—1945 წწ. წინააღმდეგობის მოძრაობის დროს მონაწილეობდა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტში. 1972 წლამდე ოპოზიციაში იყო და მემარჯვენე პოზიციაზე იდგა. ლიბერალური მსხვილი ბურჟუაზიისა და შემამულეების პარტია წინააღმდეგია სოციალური რეფორმებისა.

[2] ჯ. ლეონე დაიბადა 1908 წელს ნეაპოლში. 1929 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგად მუშაობდა. იგი მრავალი ნაშრომის ავტორია სამართლის საკითხებზე. 1946 წელს აირჩიეს დამფუძნებელ კრების დეპუტატად და შედიოდა კონსტიტუციის შემუშავების კომისიაში. 1948 წლიდან ყველა პარლამენტში ირჩევდნენ დეპუტატად. 1950—1955 წწ. დეპუტატთა პალატის თავჯდომარის მოადგილეა, ხოლო 1955—1963 წწ. მისი თავჯდომარეა. 1963 წელს ჯ. ლეონე მთავრობის მეთაურია. 1964 წელს იტალიის პრეზიდენტი სენი ავადმყოფობის გამო ვადაზე ადრე გადადგა. ქრ-ან პრეზიდენტის კანდიდატად წამოაყენა ჯ. ლეონე, მაგრამ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მხარდაჭერით პრეზიდენტად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სარაგატი.

1967 წელს ჯ. ლეონე ინიშნება მუდმივ სენატორად, 1968 წელს იგი კვლავ მთავრობის მეთაურია, 1971 წელს კი პრეზიდენტად აირჩიეს.

სოციალისტები გამოვიდნენ კოალიციური მთავრობიდან, რასაც მოჰყვა მთავრობის ხანგრძლივი კრიზისი. ახალმა პრეზიდენტმა პარლამენტი ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე დაითხოვა და დანიშნა რიგგარეშე არჩევნები.

დემოკრატიული ძალების აქტივიზაციის წინააღმდეგ მემარჯვენე პარტიები ცდილობდნენ ქვეყანაში ქაოსური მდგომარეობა შეექმნათ. მათ აღვირახსნილი ანტიკომუნისტური ისტერია გააჩაღეს.

არჩევნების წინ იტალიის კომპარტიის XIII ყრილობამ წამოაყენა დემოკრატიული მთავრობის შექმნის კონკრეტული პროგრამა. იგი ითვალისწინებდა მთავრობის შექმნას კომუნისტების, სოციალისტების და კათოლიკეების მონაწილეობით ხალხთა ფართო ერთიანობის საფუძველზე.

ამ არჩევნების დროს გამოვლინდა ბურჟუაზიის აშკარა შემობრუნება მარჯვნივ. 1972 წლის მაისის არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადყო კომუნისტური პარტიის გავლენის განუხრელი ზრდა. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 27,2%. ქრისტიან-დემოკრატებმა ოდნავ გაზარდეს (0,5 მილიონით) მიღებული ხმები წინა არჩევნებთან შედარებით. ნეოფაშისტებმა (ნაციონალ-მემარჯვენეებმა) მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 8%, სოციალისტებმა ძირითადად შეინარჩუნეს თავიანთი ხმები. მემარცხენე პარტიებმა შეაგროვეს ამომრჩეველთა ხმების 40%.

არჩევნების შემდეგ შეიქმნა ცენტრისტული მთავრობა, რომელშიც ქრდ-ის გარდა შევიდნენ სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალური პარტიები, რაც ნიშნავდა მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკის კრახს.

1972 წლის 26 ივნისს მთავრობა შექმნა ჯ. ანდრეოტიმ. ა. მორომ კატეგორიული უარი თქვა ანდრეოტის წინადადებაზე, მის მთავრობაში რომელიმე მინისტრის თანამდებობა დაეკავებინა. ანდრეოტის მთავრობაში აშკარა მემარჯვენე მოღვაწენი შევიდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილი დაიკავა ქრდ-ის მემარჯვენეების მიმდევარმა ჯ. მედიჩიმ.

ანდრეოტიმ პარლამენტში მიაღწია დროებით მხარდაჭერას როგორც მემარჯვენეების, ასევე ზოგიერთი მემარცხენე ძალის მხრივ. იგი მათ აშინებდა კომუნისტური და ფაშისტური საშიშროებით.

მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის საშინაო პოლიტიკა შეესაბამებოდა მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს. მან უარი თქვა სოციალური რეფორმების გატარებაზე და საერთოდ მასების მიმართ რაიმე დათმობის პოლიტიკაზე. 1973 წლის ენერგეტიკულმა კრიზისმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა იტალიის ეკონომიკა. მთავრობა იძულებული გახდა სათანადო ღონისძიებანი მიეღო, რომლებიც მიზნად

ისახავდა ნავთობის პროდუქტების ეკონომიას. მაგრამ ამ ღონისძიებებმა საქმიანი აქტივობის დაცემის საშიშროება შეუქმნა მთელ რიგ დარგებს — ტურიზმს, მომსახურების სფეროს, სოფლის მეურნეობას და ა. შ. სწრაფად იზრდებოდა ფასებიც.

ფასების გაზრდას ხალხმა საყოველთაო გაფიცვებით და დემონსტრაციებით უპასუხა.

მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა. მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა პირველივე დღიდან პროამერიკული ორიენტაციისა იყო. 1972 წლის ივლისში მან ხელი მოაწერა შეთანხმებას ამერიკის ატომური წყალქვეშა გემების ბაზების შენებლობაზე. საყურადღებოა, რომ იტალია მანამდე 9 წლის განმავლობაში უარს ამბობდა ამერიკის ამ თხოვნაზე, მაგალითად, პირველად უარით უპასუხა აშშ-ს 1963 წლის 11 თებერვალს.

„მემარჯვენე ცენტრისტული" მთავრობის თავდაცვის მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა მ. ტანასმა განაცხადა, რომ 1973 წლისათვის იტალიის საბუნებრივ ბიუჯეტი 15% გაიზრდებოდა და შეადგენდა 2294,5 მლრდ. ლირას, რაც 450 მლრდ. ლირით მეტი იყო, ვიდრე 1972 წელს.

ჯ. ანდრეოტის[1] მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა ამკარად ცნობდა აშშ-ის უფლებას გლობალური პოლიტიკის გატარებაზე. ანდრეოტიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ იტალიის მიზანი უნდა იყოს აშშ-ისა და ევროპას შორის ყოველმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესება. საგალუტო კრიზისის დროს აშშ-ის მთავრობამ ორჯერ განახორციელა დოლარის დევალვაცია, რომელსაც, სხვათა შორის, მოჰყვა დასავლეთ-ევროპელი პარტნიორების დოლარის რეზერვების გაუფასურება; ნიქსონის მთავრობამ თავისი პარტნიორებისაგან ამასთანავე მოითხოვა დასავლეთ ევროპის ვალუტის თავისუფლად ცვალებადი კურსის შემოღება. აშშ ცდილობდა მთელი ფინანსური და საკაპრო კრიზისის სიმძიმე დასავლეთ ევროპისა და, კერძოდ, იტალიისათვის დაეკისრებინა.

1973 წლის მარტში დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ურთიერთშორის ვალუტის თავისუფალი ცვალებადი კურსი შემოიღეს და უარი თქვეს აშშ-ის მოთხოვნაზე. როდესაც აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის უშუალო ინტერესები ერთმანეთს დაეჯახა, მემარჯვენე ცენტრის-

---

[1] ჯ. ანდრეოტი, როგორც მემარჯვენე პოლიტიკური მოღვაწე და ბურჟუაზიული წყობილების დამცველი პირველად დე გასპერიმ დაიახლოვა.

ჯ. ანდრეოტის მთავრობა პირველად 1972 წლის 18 თებერვალს შეიქმნა, მაგრამ მან 26 თებერვალს ვერ მიიღო ნდობის ვოტუმი. პარლამენტის დათხოვნის შემდეგ პრეზიდენტის თხოვნით ჯ. ანდრეოტი არჩევნების დამთავრებამდე დარჩა მთავრობის სათავეში.

ტული მთავრობა აშშ-ის მხარეზე გამოვიდა. ამით მადლიერმა ვაშინგტონმა ბაუები შეამცირა იტალიის ექსპორტზე აშშ-ში.

„საერთო ბაზარში" ინგლისის შესვლისა და ამასთან დაკავშირებით იტალიის პოზიციების შესუსტების კომპენსირებას ანდრეოტის მთავრობა ცდილობდა იტალიის უფრო მჭიდრო დაახლოებით აშშ-თან. 1973 წლის აპრილში ვაშინგტონში ვიზიტის დროს ანდრეოტიმ აშშ-თან მეგობრობას იტალიის საგარეო პოლიტიკის „გზის მანათობელი ვარსკვლავი" უწოდა. მან განაცხადა, რომ იტალიის მიზანი იქნება ხელი შეუწყოს აშშ-სა და დასავლეთ ევროპას შორის ყოველმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებას.

მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა ცდილობდა მოთრიგებლის როლში გამოსულიყო აშშ-სა და დასავლეთ ევროპას შორის პირველის საპარგებლოდ. აშშ-ში ანდრეოტის და მედიჩის ვიზიტის დროს თეთრმა სახლმა პრესისათვის განცხადებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აშშ-სა და იტალიას შორის მოლაპარაკების მთავარი საკითხი იყო ამერიკა-ევროპის ურთიერთობის მოწესრიგება.

ანდრეოტის მთავრობის აშკარა პროამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ იტალიის არა მარტო მემარცხენე და დემოკრატიულად განწყობილი ძალები, არამედ ბურჟუაზიის გავლენიანი წრეებიც, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ ევროპის ბაზრით. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპასთან საეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესებას. ამასთანავე, იტალიის გაბატონებული კლასები საერთაშორისო არენაზე მოვხდარი დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის კურსის თანდათანობით განმტკიცების გამო იძულებული გახდნენ თვითონაც მიებაძათ მათთვის. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იტალია 70-იანი წლებიდან თანდათან ჩამორჩა და თავისი პოზიციები დაკარგა საბჭოთა კავშირთან საეკონომიკო ურთიერთობაში. მაგალითად, თუ 1971 წელს იტალიას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის IV ადგილი ეკავა სსრ კავშირთან ეკონომიკაში, 1972 წელს მან უკვე VII ადგილზე გადაინაცვლა (გფრ-ის, იაპონიის, ფინეთის, ინგლისის, საფრანგეთის და აშშ-ის შემდეგ).

იტალია მნიშვნელოვნად ჩამორჩა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შემდეგ საფრანგეთში, რ. ნიქსონისა — მოსკოვში, სსრ კავშირსა და გფრ-ს შორის 1970 წლის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით ჯ. ანდრეოტიმ დეპუტატთა პალატაში არა ერთხელ განაცხადა, რომ „ატლანტის კავშირის ჩარჩოებში იტალიის მთავრობა გააგრძელებს საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან კონტაქტების ინტენსიფიკაციას“. ამიტომ საბჭოთა მთავრობის მოწვევით ანდრეოტი 1972 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. 27 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-იტალიის ოქმი კონსულტაციების შესახებ. ეს დოკუმენტი ორივე მხარეს ავალებდა ინტენსიურად ეწარმოებინთ კონსულტაციები ორმხრივი ურთიერთობისა და ძირითადი საერთაშორისო პრობლემების საკითხებზე, საყოველთაო მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, განიარაღების საკითხში პროგრესის მიღწევისა და ევროპაში უშიშროების განმტკიცების მიზნით. ბუნებრივია, რომ სსრ კავშირ-იტალიის ურთიერთობის გაფართოება და გაღრმავება შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. მაგრამ ანდრეოტის მთავრობა ევროპულ პოლიტიკაში არ უხვევდა „ატლანტური ხაზიდან“. ამ მთავრობამ წამოაყენა ატლანტური თეზისი „თავდაცვა დაძაბულობის შენელებაა“. ამ თეზისიდან გამომდინარე, ანდრეოტის მთავრობამ ძალზე თავშეკავებული პოზიცია დაიკავა ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებაზე ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების შესახებ.

ანდრეოტის მთავრობამ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში გააქტიურა თავისი საგარეო პოლიტიკა და ცდილობდა მთავარი როლი შეესრულებინა ამ რაიონში. 1973 წლის თებერვალში საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. მედიჩი იმყოფებოდა ეგვიპტეში, ლიბანში, საუდის არაბეთში, ისრაელში და იუგოსლავიაში. იტალიის დიპლომატიამ წამოაყენა სუეცის არხის გაახსნის გეგმა, რითაც შუამავლის როლის შესრულება სურდა. ამასთანავე იტალიის მთავრობა მხარს უჭერდა კისინჯერს, რომელიც ცდილობდა არაბულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტებას.

ანდრეოტის მთავრობამ პირველად ომის შემდეგ მთავრობის მეთაურთა დონეზე კონტაქტი დაამყარა ესპანეთთან.

იტალიის კომპარტია სასტიკად გმობდა ანდრეოტის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. რა თქმა უნდა, კომუნისტები მიესალმნენ საბჭოთა კავშირ-იტალიას შორის პოლიტიკური კონსულტაციების დამყარების ხელშეკრულებას, მაგრამ აკრიტიკებდნენ მთავრობის აშკარა პროამერიკულ კურსს. იტალიის კომპარტიის ცკ-ის წევრმა ს. სეგრემ განაცხადა, რომ „მემარჯვენე ცენტრი“ საშიშროებას უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ძირითადი პრობლემების გადაჭრას, ამიტომ ჩვენ იმისთვის ვიბრძვით, რომ რაც შეიძლება მალე დავამხოთ ანდრეოტის მთავრობა.

მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა ცდილობდა იტალიის შემოპრენებას მარჯვნივ, უპირატესად ამერიკის იმპერიალიზმზე დაყრდნობით.

იტალიის მემარცხენე ძალებმა კომუნისტების მეთაურობით ჩაშალეს ქვეყნის რეაქციის ცდები, რომ თავის მხარეზე გადაებირებინათ წვრილი და საშუალო ბურჟუაზია და მათზე დაყრდნობით უარი ეთქვათ რეფორმებზე. ასეთი გზით ფიქრობდნენ მემარჯვენე ძალები მონოპოლისტური ბურჟუაზიის პოზიციების განმტკიცებას.

§ 62. ახალი „მემარცხენე ცენტრისტული მთავრობა"

1973 წლის ივნისში ანდრეოტის მთავრობა გადადგა. 1973 წლის გაზაფხულიდან მთავრობა არა ერთხელ დამარცხდა პარლამენტში. მის წინააღმდეგ გამოვიდნენ თვით მთავრობის კოალიციის და ქრისტიანდემოკრატიული პარტიის გავლენიანი წრეები — ა. ფანფანი (სენატის თავმჯდომარე), ა. მორო (ქდპ-ის ლიდერი), მ. ტანასი (პრემიერის მოადგილე, სოციალ-დემოკრატი) და სხვები. ა. მორომ ოფიციალურად განაცხადა, რომ „ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, გარდა ისა, რომ დავუბრუნდეთ „მემარცხენე ცენტრს".

პარლამენტში ანდრეოტის მთავრობისადმი მხარდაჭერაზე უარი თქვა რესპუბლიკურმა პარტიამაც, რის შემდეგ მთავრობა უმცირესობაში აღმოჩნდა და 12 ივნისს გადადგა.

1973 წლის 6—10 ივნისს ქდპ-ის XII ყრილობამ „მემარჯვენე ცენტრისტული ექსპერიმენტი" დამთავრებულად გამოაცხადა და მოითხოვა „მემარცხენე ცენტრისტული" კოალიციის პოლიტიკისაკენ დაბრუნება. ყრილობაზე პარტიის პოლიტიკურ მდივნად აირჩიეს ა. ფანფანი. „მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკა", როგორც ადრე აღვნიშნეთ, ითვალისწინებს სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობას. ამ კონცეფციის ავტორია ა. ფანფანი, რომელიც ასეთ კურსს კომუნისტების პოლიტიკური იზოლირებისა და კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის თანამშრომლობის ჩაშლის ყველაზე საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს[1].

1973 წლის 7 ივლისს ქდპ-ის ერთ-ერთი ლიდერის მარიანო რუ-

---

[1] ამ პოლიტიკას პარტიაში ყველა როდი იზიარებს. XII ყრილობაზე გამოირკვა, რომ ქდპ-ის შიგნით ცხრა სხვადასხვა დაჯგუფებაა, რომელთაც ქვეყნის გამგებლობის საკითხებზე სხვადასხვანაირი შეხედულება აქვთ, მაგრამ ყველა მათგანს ერთი მიზანი ამოძრავებს — როგორმე ხელი შეუშალოს კომუნისტებისა და დემოკრატიული ძალების ზრდას და შეინარჩუნოს კაპიტალისტური წყობილება.

მორის[1] მეთაურობით ახალი „მემარცხენე ცენტრის“ მთავრობა შეიქმნა, რომელშიც 17 ქრისტიან-დემოკრატი, 5 სოციალისტი, 4 სოციალ-დემოკრატი და 2 რესპუბლიკელი შეიყვა.

მ. რუმორის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ერთგული იქნება კონსტიტუციის პრინციპებისა. თავის მთავარ ამოცანად მან გამოაცხადა ფასების ზრდის წინააღმდეგ ბრძოლა, სამხრეთ იტალიის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და „კორექტული დამოკიდებულება პარლამენტის ოპოზიციასთან“. საგარეო პოლიტიკაში მთავრობა დაპირებულ იქნეოდა, რომ იბრძოლებდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა მთავრობის პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იგი ძალზე ბუნდოვანია. მაგრამ ანდრეოტის მთავრობასთან შედარებით უკეთესობისაკენ მოხდა ცვლილებები და ამიტომ კომუნისტების ოპოზიცია უფრო კონსტრუქტიული ხასიათისა გახდება. ახალი „მემარცხენე ცენტრისტული“ მთავრობა, ბერლინგუერის აზრით, ძველი „მემარცხენე ცენტრისტულისაგან“ განსხვავდება, ვინაიდან იგი შეიქმნა მას შემდეგ, რაც „მემარჯვენე ცენტრისტებმა“ მარცხი განიცადეს. ხოლო სოციალისტური პარტია კომუნისტებთან თანამშრომლობს.

რუმორის მთავრობამ თავდაპირველად მართლაც განახორციელა რიგი ღონისძიება, კერძოდ, ინფლაციის წინააღმდეგ. 1973 წლის ოქტომბრამდე ფასები სამრეწველო და ძირითად სასურსათო საქონელზე „გაყინულად“ გამოცხადდა, გაიზარდა ხორცის, რძის და ბრინჯის იმპორტი, რომლითაც ქვეყანა ადრე თავის მოთხოვნებს ვერ იკმაყოფილებდა. 1 ნოემბრიდან დაიწყო ფასებზე კონტროლის მეორე ეტაპი. ამასთანავე მთავრობამ უარყო კომპარტიისა და პროფკავშირების წინადადება პირველი მოთხოვნილების საქონელზე ფასების ერთ დონეზე შეკავების შესახებ სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე. ფასები ბენზინზე, მაკარონსა და სხვა საქონელზე კვლავ გაიზარდა.

კომპარტიის და პროფკავშირების ხელმძღვანელობით მოწყობილი გაფიცვებისა და დემონსტრაციების ზეგავლენით მთავრობამ სამრეწ-

---

[1] მ. რუმორი 1915 წელს დაიბადა. 1948 წელს პარლამენტის წევრია. პირველად მთავრობაში 1951 წელს შევიდა. 1959—1963 წწ. ეკავა მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების თანამდებობები. 1968 წლის დეკემბერში პირველად გახდა პრემიერ-მინისტრი და სათავეში ედგა „მემარცხენე ცენტრისტულ“ მთავრობას. 1969 წლის იელისიდან კი — ერთპარტიულ მთავრობას. მთავრობის კრიზისის შემდეგ (1970 წლის თებერვალ-მარტში) 1970 წლის ივლისამდე კვლავ სათავეში ედგა „მემარცხენე-ცენტრისტულ“ მთავრობას. ადრეოტის „მემარჯვენე ცენტრისტულ“ მთავრობაში იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, 1964—1969 წლებში ქდპ-ის პოლიტიკური მდივანი.

ველო მუშების პენსიების მინიმუმად დააწესა ამ კატეგორიის მუშების საშუალო ხელფასის 27,5%. დახმარება უმუშევრობისათვის გაიზარდა 400—800 ლირამდე თვეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა საოჯახო და სხვა სახის დახმარებები.

ახალი „მემარცხენე ცენტრისტული“ მთავრობის საგარეო პოლიტიკა კვლავ აშშ-ისა და ნატოს ორიენტაციისა იყო. რუმორის მთავრობა გამოვიდა აგრეთვე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის ეფექტური შენელების მომხრედ. „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით და აგრეთვე ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით პრეზიდენტი ჯ. ლეონე და საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მორო ვიზიტით იყვნენ 1973 წელს საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში და ლუქსემბურგში, მ. რუმორი კი იყო გერმანია და ინგლისში.

ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დროს მ. რუმორის მთავრობამ განაცხადა, რომ ამ საკითხის მოგვარება უნდა მოხდეს არაბული ქვეყნების და ისრაელის თანაარსებობის პრინციპებზე.

1973 წლის ოქტომბერში იტალიასა და ალჟირს შორის დაიდო შეთანხმება სახარიდან აპენინამდე გაზსადენის გაყვანის შესახებ. რომლითაც იტალია 25 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 11 მლრდ. კუბ. მეტრ მეთანს მიიღებს, რაც ქვეყნის დღევანდელი გაზის მოხმარების 70% შეადგენს. გაზსადენი ექსპლუატაციაში გადაეცემა 1978 წელს.

რუმორის მთავრობა სოციალისტურ ქვეყნებთან აგრძელებდა დაახლოების კურსს. 1973 წლის იანვარში იტალიამ ცნო გდრ და დემოკრატიული ვიეტნამი. აპრილში გდრ-თან დაიდო შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ოლშევსკის რომში ყოფნის დროს განიხილეს ათწლიანი ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური შეთანხმების დადების პირობები. იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. მატეოტი იყო ბულგარეთში, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჩ. ბენსი — კუბაში.

1973 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის დაიდო ხანგრძლივვადიანი შეთანხმება საბჭოთა კავშირისათვის 500 მლნ. მანეთის ღირებულების სამრეწველო მოწყობილობების მიწოდებაზე შვიდი მსხვილი საწარმოს მშენებლობისათვის. მის სანაცვლოდ იტალია მიიღებს მზა პროდუქციის ნაწილს. 1973 წელს საქონლის ბრუნვა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის შეადგენდა 613.6 მლნ. მანეთს, რაც წინა წლებთან შედარებით 32,4%-ით მეტი იყო.

1974 წლის 2 მარტს მ. რუმორის მთავრობა გადადგა იმის გამო, რომ რესპუბლიკელები და სოციალისტები ვერ შეთანხმდნენ დეფლაციონიზმის საკითხში. რესპუბლიკელები მოითხოვდნენ დეფლაციო-

ნისტური ღონისძიებების გატარებას, კერძოდ ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ზედმეტი ქაღალდის ფულის ხელიდან ამოღებას და სოციალური ხარჯების შემცირებას. 15 მარტს მთავრობას ისევ მ. რუმორი ჩაუდგა სათავეში. მთავრობა კვლავ „მემარცხენე ცენტრისტული" იყო, მაგრამ მასში ამჯერად სამი პარტია შევიდა: ქრდპ, სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები. რესპუბლიკური პარტია მთავრობაში არ შევიდა, მაგრამ პარლამენტში მხარს უჭერდა მას. წინაალმდეგობანი მთავრობის კოალიციაში შემავალ პარტიებსა და თვით ცალკეულ პარტიებს შიგნით ძალზე დიდი იყო. საქმე იმაში იყო, რომ ეკონომიკური კრიზისის შედეგად ქვეყნის შიგნით შექმნილი ძძიმე მდგომარეობის მოგვარებას მემარჯვენე და მემარცხენე ძალები სხვადასხვა გზით ფიქრობდნენ. მემარჯვენეებს უნდოდათ მდგომარეობა ხალხის ხარჯზე მოეგვარებინათ, მემარცხენეებს კი — რადიკალური ღონისძიებების გატარების გზით.

1974 — 1975 წლებიხ ეკონომიკური კრიზისი. 1974—1975 წლების მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური კრიზისის თავისებურება ის იყო, რომ იგი ნეტ-ნაკლებად, მაგრამ ერთდროულად მოედო ყველა წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოს. იგი შეეხო იტალიასაც და გამოიწვია სამრეწველო ტემპების ზრდის და შემდეგ საერთო წარმოების შემცირება.

სამრეწველო წარმოების ინდექსი (1970-100%)

1971	1972	1973	1974	1975	1976
100	104	114	120	108	109

ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საერთო ეროვნული პროდუქციის ზრდაზე. 1974 წელს მისი ზრდა შენელდა, 1975 წელს წინა წელთან შედარებით 7,5% შემცირდა.

იტალიაში ეკონომიკის დაქვეითებას მოჰყვა წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება მრეწველობის საკვანძო დარგებში. თუჯისა და ფოლადის წარმოება 1975 წლის დასაწყისში წინა წელთან შედარებით 16% შემცირდა, ნაგლინის წარმოება კი — 6%. 1976 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 1,2%-ით შემცირდა.

1974—1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია საგაჭრო და საგადასახადო ბალანსის დეფიციტი, წარმოების დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა.

კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საგარეო ვაჭრობაზე. 1975 წელს ექსპორტის ფიზიკური მოცულობა შემცირდა 1%, 1976 წელს — 14%. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქონლის იმპორტიც. ადრე თუ შედარებით დაბალი იყო უმუშევართა რიცხვი, კრიზისის შემდეგ იგი ყოველდღიურად იზრდებოდა.

უმუშევართა დონე პროცენტებში
აქტიური მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

1965 წ.	1970 წ.	1976 წ.
3,6	3,1	5,7

1976 წლის დეკემბრის ბოლოსათვის უმუშევართა რაოდენობამ იტალიაში შეადგინა 1,2 მილიონი კაცი. უმაღლესი და საშუალო პროფესიის ყველა უმუშევარი ორ-ორად რომ ჩააყენონ რიგში, იგი გაიშიმეზოდა რომიდან ნეაპოლამდე[1].

ამ კრიზისის დროს კოლოსალურად გაიზარდა სამუშაოზე ნაწილობრივად დაკავებულთა რაოდენობა. 1975 წლისათვის არასრული სამუშაო დღით დაკავებულთა რაოდენობა 1974 წლის დასაწყისთან შედარებით გაიზარდა 81%-ით. 1975 წლის აპრილში წინა წლის აპრილთან შედარებით იძულებითი გაცდენილი საათების რაოდენობა, რომლისათვისაც მშრომელები შეკვეცილ ხელფასს იღებენ, მთლიანად ქვეყანაში 120%-ით გაიზარდა, მრეწველობაში კი — 700%-ით.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ შეწყდა უმუშევართა ემიგრაცია იტალიიდან დასავლეთ ევროპაში, სადაც ასეთივე კრიზისი მძვინვარებდა. უმუშევრობა განსაკუთრებით დიდი იყო ქალთა შორის. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მომუშავე ქალთა რაოდენობა იტალიაში მუდმივად მცირდებოდა. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ხდებოდა ეს კრიზისების დროს. საყურადღებოა, რომ ქალები პირველნი არიან სამსახურიდან დათხოვნილთა სიაში.

ეიდია უმუშევრობა ახალგაზრდობას შორისაც, რომელსაც სტატისტიკა ასევე იშვიათად აღრიცხავს, როგორც ქალებს. საშუალო ან უმაღლესი განათლების დიპლომი არ იძლევა სამუშაოზე მოწყობის

[1] 1975 წელს ნეაპოლის ფოსტამტში 10 ვაკანტური მოსამსახურის ადგილზე 3 ათას კაცს ჰქონდა პრეტენზია (აქედან 110 უმაღლესი განათლებით). სახელმწიფო რკინიგზაზე 4 ათასი კაცი უცდის შაივ მუშის ადგილს (აქედან 1/3 უმაღლესი განათლებითაა). ქალაქ კალიარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 15 მომვლელის ადგილზე 1100 მთხოვნელი იყო, აქედან 600 — უმაღლესი განათლებით (ჟურნალ „ექსპრესის" 1976 წლის სექტემბრის ცნობის მიხედვით).

გარანტიას. მშრომელთა მასების მდგომარეობა უარესდება ფასების განუწყვეტელი ზრდითაც. 1974 წლის იანვრიდან 1975 წლის ივნისამდე ცხოვრების ღირებულების ინდექსი 19%-ით გაიზარდა; კერძოდ, კვების პროდუქტებზე 21,9%-ით, ელექტროენერგიასა და სათბობზე — 7,1%-ით, ისედაც ძვირად ღირებული ბინის გადასახადი — 14%-ით. 1976 წლისათვის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

1974—1976 წლებში გაიზარდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. (არაპირდაპირი გადასახადები 32%-ით, ხოლო პირდაპირი — 26%-ით). არაპირდაპირი გადასახადები ყველაზე მეტად ეხება კვების პროდუქტებს, რომლის ხარჯები შეადგენს ოჯახის მთელი ხარჯების 40%-ს, ხოლო იტალიის სამხრეთში, სადაც ხელფასები უფრო დაბალია, — 60—70%. ფასებისა და გადასახადების განუწყვეტელი ზრდა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქალაქისა და მოსახლეობის დაბალ ფენებს. ოფიციალური სტატისტიკით იტალიის ოჯახების 68%-ს დაუგენილ საშუალო დონეზე დაბალი შემოსავალი აქვს.

ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა სამხრეთ იტალიის რაიონები, სადაც მუშათა შემოსავალი 20%-ზე ნაკლებია, გლეხების კი 40%-ზე, ვიდრე ქვეყნის ჩრდილოეთით.

მწვავედ დგას აგრეთვე საბინაო საკითხიც.

1974 წელს ქვეყანაში 150 ათასი სახლი აშენდა, რომლიდანაც ეხოლოდ 9 ათასი იყო მშრომელთათვის მისაწვდომი. საჭირო კი იყო 550 ათასი სახლის აგება, ისიც აღსანიშნავია, რომ ბინის ქირის სიდიდის გამო 2 მილიონი ბინა ცარიელია.

ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საშუალო და შეძლებული იტალიელებიც. ბევრი წვრილი და საშუალო საწარმო გაკოტრდა. გარდა ამისა გაძვირდა ფეფუნებისა და სხვა ისედაც ძვირად ღირებული მოხმარების საგნები. მაგალითად, 1975 წლის თებერვლიდან 10%-ით გაიზარდა „ფიატისა" და სხვა ფირმების მსუბუქი ავტომანქანების ფასი. 1976 წელს ფასმა კვლავ მოიმატა მსუბუქ მანქანებზე, საწვავსა და სხვა საგნებზე.

მთავრობისა და მონოპოლიების ცდებმა, რომ ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე მშრომელთა მასებისათვის დაეკისრებინათ, გამოიწვია მუშათა საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობა.

§ 63. მუშათა და კომუნისტური მოძრაობა 60—70-იან წლებში

60-იანი წლების დამდეგიდან, მიუხედავად ხელსაყრელი კონიუნქტურისა, მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობა ძლიერდებოდა. მისი თავისებურება ის იყო, რომ მუშები იბრძოდნენ მეწარმეებთან ხელ-

საყრელი კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისათვის. ამ მხრივ 60-იანი წლების დასაწყისში მუშებმა რიგ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ეს წარმატებები მუშათა დაძაბული ბრძოლის შედეგად იქნა მიღწეული.

1961—1962 წლებში იტალიაში 11 მლნ-ზე მეტი კაცი იყო გაფიცული. ამ გაფიცვებიდან აღსანიშნავია 1961 წლის საერთო-ეროვნული გაფიცვა, რომელშიც 11 მლნ-მდე კაცი მონაწილეობდა. 1962 წელს აღსანიშნავია ფიატის ქარხნის მუშათა გაფიცვა ხელფასის მომატების მოთხოვნით. იგი მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

მუშები კომუნისტების ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში იბრძოდნენ ქვეყნის ელექტროტექნიკური მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის. ეს მრეწველობა „ედისონის" კომპანიის ხელში იყო, რომელიც თვითნებურად ზრდიდა ტარიფებს ელექტროენერგიაზე. 1962 წელს მუშათა ამ ბრძოლის ზეგავლენით პარლამენტმა მიიღო კანონი „ედისონის" ტრესტის ნაციონალიზაციის შესახებ. მთავრობამ შექმნა სახელმწიფო ორგანო — „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ეროვნული გაერთიანება", რომლის ხელში გადავიდა მთლიანად ქვეყნის ენერგეტიკული მეურნეობა.

თავისებური ტაქტიკა შეიმუშავა კომპარტიამ მემარცხენე ცენტრისტული პროგრამის წინააღმდეგ. იგი მხარს უჭერდა ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც პროგრესული იყო, მაგრამ დაუყოვნებლივ ილაშქრებდა უარყოფითი, კონსერვატორული და პრომონოპოლისტური კურსის წინააღმდეგ საშინაო პოლიტიკაში და პროამერიკული კურსის წინააღმდეგ საგარეო პოლიტიკაში. კომპარტიის ასეთი პრინციპული პოზიციის შედეგი ის იყო, რომ ბურჟუაზიამ მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკით ვერ მიაღწია თავის მთავარ მიზანს — კომუნისტების მასებისაგან იზოლირებას. პირიქით, კომუნისტების გავლენა პარტიის ახალი ხელმძღვანელობის სწორი ტაქტიკური კურსის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა[1].

---

[1] 1964 წელს ყირიმში გარდაიცვალა პ. ტოლიატი. იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი გახდა ლუიჯი ლონგო (დაიბადა. 1900 წელს). იგი კომპარტიის ცკ-ის წევრია 1926 წლიდან. სამოქალაქო ომის დროს ესპანეთში ლ. ლონგო ინტერნაციონალური ბრიგადების გენერალური კომისარი იყო და ესპანელ ხალხთან ერთად მხარდამხარ იბრძოდა ადგილობრივი და გერმანია-იტალიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ. 1943—1945 წლებში იგი იყო იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1946 — 1964 წლებში იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილეა. 1964—1972 წლებში კი გენერალური მდივანი. 1972 წლიდან იტალიის კპ-ის XIII ყრილობაზე ლ. ლონგო ცკ-ის თავმჯდომარედ აირჩიეს.

1969 წლის თებერვალში იტალიის კომპარტიის XII ყრილობის შეფასებით მემარცხენე ცენტრისტულმა პოლიტიკამ კრახი განიცადა, რომლისაგანაც გამოსავლის მონახვა შეიძლება კომუნისტების, სოციალისტების და მემარცხენე კათოლიკეების მონაწილეობით კოალიციურ მთავრობაში. ლ. ლონგომ მოითხოვა, რომ ქვეყნის მემარცხენე ძალები გაერთიანებულიყვნენ და ხალხთა მასების ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ერთმანეთთან შეეხამებინათ პარლამენტური და პარლამენტგარეშე ბრძოლა. კომპარტიას მოკავშირეებთან ერთად თავისი პოზიცია უნდა ჰქონოდა ამა თუ იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებში და მათი განხორციელების გზაც უნდა დაესახა. ამ საკითხთა გადასაწყვეტად მონაწილეობა საერთო-ეროვნულ კონფერენციაზე შეეძლო ყველა სპეციალისტს და დაინტერესებულ პირს, მათ შორის იმათაც, ვინც არ იყო კომპარტიის წევრი. კანონპროექტები შემდეგ განსახილველად შეჰქონდათ პარლამენტში. ამ დროს კომპარტია აწყობდა მშრომელთა მასობრივ გამოსვლებს პარლამენტში შეტანილი საკითხების მხარდასაჭერად. მაგალითად, 1969 წლის თებერვალში პარლამენტში კომუნისტებმა განსახილველად შეიტანეს კანონპროექტები პენსიების გაზრდის, განქორწინების დაშვების, ავტონომიური ოლქების შექმნის, საბინაო მშენებლობის და პროფკავშირების უფლებათა გაფართოების შესახებ. კანონპროექტების მხარდასაჭერად კომუნისტებმა მოაწყვეს გრანდიოზული, ეროვნული მასშტაბის გაფიცვები, რომლებშიც 20 მილიონამდე კაცი მონაწილეობდა. 1969 წლის გაფიცვებისას, ოფიციალური მონაცემებით, დაიკარგა 300 მლნ-მდე სამუშაო საათი. 1969 წლის „სიცხიანი შემოდგომის" (როგორც მუშებმა უწოდეს) გაფიცვებმა იტალიის გაბატონებული კლასები აიძულა, დათმობაზე წასულიყვნენ. მუშებმა მიაღწიეს ხელფასების გაზრდას, 40-საათიან სამუშაო კვირაზე გადასვლას, პენსიების გაზრდას, საბინაო მშენებლობის პროგრამის მიღებას, პროფკავშირთა უფლებების გაფართოებას, მეწარმეებთან შრომის პირობებზე შეთანხმებას (ნორმების, ნიხრის, პრემიების და ჯარიმების განსაზღვრაში). 1970 წლის 19 დეკემბრიდან ძალაში შევიდა კანონი განქორწინების უფლების შესახებ. როგორც ყოველთვის ამჯერადაც ამ კანონის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ვატიკანმა. მაგრამ იტალიის საზოგადოებრიობამ დაგმო ვატიკანისა და მემარჯვენე ქრისტიან-დემოკრატების პოზიცია და მოითხოვა ბოლო მოღებოდა საუკუნეების განმავლობაში არსებულ ეკლესიისადმი ოჯახის სრულ მორჩილებას და ოჯახურ საქმეებში მის ჩარევას. ამ კანონის მიღებით მნიშვნელოვნად შეიკვეცა ეკლესიის უფლებები.

1973 წლის შემდეგ მუშათა საგაფიცვო მოძრაობა კვლავ იზრდე-

გაფიცვების რაოდენობა		გაფიცულთა რაოდენობა ათასობით		სამუშაო საათ-გაფიცვის რაოდენობა	
1966—1969	1970—1973	1966—1973	1970—1973	1966—1969	1970—1973
12211	14944	16500	29281	70106	74643

ბოდა[1]. 1974 წელს გაფიცვების შედეგად დაიკარგა 63,500 ათასი სამუშაო საათი. საგაფიცვო მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1975—1976 წლებში, როდესაც მეწარმეებმა ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმის დაკისრება მუშათა კლასზე მოინდომეს. მაგრამ მუშათა კლასმა გაძლიერებული ბრძოლით უპასუხა სოციალური უბედურების მთავარ დამნაშავეთ. 1975 წელს უნდა განახლებულიყო საწლიანი კოლექტიური ხელშეკრულებები მუშებსა და მრეწველებს შორის, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფო სექტორში ჩაბმულ 7,1 მლნ. და კერძო სექტორში 3,1 მლნ. მშრომელს. ამასთან დაკავშირებით 1975 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში გაფიცვის შედეგად დაიკარგა 128 მლნ. სამუშაო საათი.

ბრძოლა ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში პროფკავშირებმა შეიმუშავეს სტრატეგია, რომელიც გამოიხატებოდა შრომის ხელშეკრულებების განახლებისას წარმოების შემცირების და მუშათა შეკვეცის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში. ისეთ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში 1.2 მლნ. უმუშევარი იყო და 800 ათასი ნაშრომელი საკომპენსაციო სალაროების ხარჯზე ცხოვრობდა[2], მშრომელი ხალხი ისეთ ხელფასს მოითხოვდა, რომელიც, ერთი მხრივ, მათ მსყიდველობითუნარიანობას შეუნარჩუნებდა; ხოლო მეორე მხრივ, არ გახდებოდა ინფლაციის შემდგომი გაზრდის მიზეზი. ამასთანავე პროფკავშირები თვლიდნენ, რომ ეკონომიკის აღმავლობა შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ სამრეწველო წარმოება წარიმართებოდა ისეთი გზით, როგორიცაა საზოგადოებრივი მოხმარების უზრუნველყოფა, საბინაო მშენებლობის გაფართოება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, ენერგეტიკის და სოფლის მეურნეობის განვითარება.

---

[1] 1965 წელს გაიფიცა 2,3 მლნ., 1966 წ. — 1,9 მლნ., 1967 წ. — 2,2 მლნ., 1968 წ. — 4,9 მლნ., 1969 წ. — 7,5 მლნ., 1970 წ. — 3,7 მლნ.. 1971 წ. — 3,9., 1972 წ. — 4,4 მლნ., 1973 წ. — 9,4 მლნ. კაცი. 1974 წელს მოხდა საყოველთაო გაფიცვა და ყოველ მათგანში 14 მილიონი კაცი მონაწილეობდა.

[2] საკომპენსაციო სალაროები მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელფასის ანაზღაურების გარანტიას აძლევს მათ, ვინც ექვსი თვის განმავლობაში სურვილის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა სამუშაო.

პროფკავშირები მოითხოვდნენ დემოკრატიული კონტროლის დაწესებას როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე და ა. შ.

იმ მიზნით, რომ მხარი დაეჭირათ პროფკავშირთა მოთხოვნილებისათვის, 1975 წლის შემოდგომაზე იტალიის ყველა კუთხეში გაჩაღდა საყოველთაო გაფიცვები, დემონსტრაციები და მიტინგები. მასში მონაწილეობდა 10 მლნ. კაცი, მათ შორის მოსწავლეები, სტუდენტები და ა. შ.

მუშათა საგაფიცვო მოძრაობის გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიის პროფკავშირთა შეკავშირების ახალ ღონისძიებებს, კერძოდ 1975 წლის აპრილში მოიწვიეს პროფკავშირთა სამი ცენტრის: იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის, იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციისა და იტალიის შრომის კავშირის გენერალური საბჭოების გაერთიანებული სხდომა. იტალიის ერთიან პროფკავშირულ ფედერაციაში შემავალი ამ სამი კონფედერაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა დიდმა უმრავლესობამ მოიწონა იტალიის პროფკავშირთა ორგანიზაციული ერთიანობის შემდგომი განმტკიცების პროექტი.

პროექტი შეიმუშავა აღნიშნულ პროფკავშირთა სამდივნოებმა. იგი ითვალისწინებდა სამი პროფცენტრის გაერთიანებას და იტალიაში მშრომელთა ერთიანი კონფედერაციის შექმნას. ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობის შეკავშირების პირველ ღონისძიებად გათვალისწინებული იყო ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციების, სამი პროფცენტრის ბიუჯეტების გაერთიანება, საერთო აღმასრულებელი ორგანოს შექმნა, საერთო გაზეთის გამოცემა, სამ კონფედერაციაში არსებული მიმდინარეობების და დაჯგუფებების დაშლა და ა. შ.

იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრუნო სტორტიმ, რომელმაც შეაჯამა გაერთიანებული სხდომის შედეგები, განაცხადა, რომ მშრომელთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს პროფკავშირთა ერთიანობას, მოითხოვს პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას, იტალიაში დემოკრატიის განმტკიცებას და ა. შ.

პროფკავშირთა შეკავშირების შედეგად მშრომელთა გამოსვლები კიდევ უფრო ერთსულოვანი გახდა.

1976 წელს სამუშაოდან დათხოვნის წინააღმდეგ გაჩაღდა ახალი მძლავრი გამოსვლები. პროფკავშირები მოითხოვდნენ, რომ კრიზისიდან გამოსავალი წარმოების შემცირებაში კი არ ეძიათ, არამედ მის გაზრდაში.

ამ მოთხოვნების მხარდასაჭერად 1976 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ჩატარდა რიგი გაფიცვა, რომელთა დროსაც დაიკარგა 13,362 ათასი სამუშაო საათი. შემოდგომაზე და ზამთარში კი დიდი გაფიც-

ვები მოაწყვეს ტრამვაის და ავტობუსის მძღოლებმა, სავაჭრო და სამგზავრო გემების მეზღვაურებმა და სხვა კატეგორიის მუშებმა. ეწყობოდა აგრეთვე საერთო-ეროვნული, საყოველთაო-დარგობრივი, საყოველთაო-პროვინციული, საოლქო და საქალაქო გაფიცვები. გაფიცვებს თან სდევდა დემონსტრაციები და მიტინგები მოთხოვნებით უმუშევრობის, ფასების ზრდის, ინფლაციის და სხვათა აღკვეთის შესახებ. ამ გაფიცვათა თავისებურება იყო მასობრიობა.

მრავალრიცხოვანი გამოსვლებიდან აღსანიშნავია 1976 წლის პირველ ნახევარში მომხდარი 11 გაფიცვა, რომლებშიც მილიონობით მშრომელი მონაწილეობდა: იანვრის გაფიცვაში—12 მლნ. კაცი, თებერვლის — 7 მლნ.[1], 25 მარტის საყოველთაო გაფიცვაში — 18 მლნ.[2], განსაკუთრებით საყურადღებოა მილანის ქარხნის „ლეილანდ-ინოჩენტის" 4500 მუშის გმირული ბრძოლა, რომელიც 132 დღე გრძელდებოდა. ეს იყო ბრძოლა ინგლისის კონცერნის „ბრიტიშ ლეილანდის" გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელსაც თავისი ფილიალის დახურვა სურდა იტალიაში[3].

ზაფხულში აქტიურ ბრძოლაში ჩაებნენ მოჯამაგირეები და სოფლის მეურნეობის სხვა კატეგორიის დაქირავებული მუშები. ივნისი-ივლისში მათ მოაწყვეს საერთო-ეროვნული გაფიცვები. თითოეულში მონაწილეობდა 1,5 მლნ. კაცი[4]. დიდი საგაფიცვო მოძრაობა გაჩაღდა იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

იტალიის კომუნისტები ყოველთვის პირველ რიგში დგანან და მხარს უჭერენ მუშათა კლასის სამართლიან ბრძოლას. კომუნისტები გამოვიდნენ მთავარ მაორგანიზებელ ძალად რეაქციის და ნეოფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოითხოვეს მემარცხენე ძალების გაერთიანება. ამის შესახებ სათანადო მოწოდება მიიღო იტალიის კომპარტიის XIII ყრილობამ 1972 წლის მარტში. ყრილობამ რეზოლუციაში ხაზი გაუსვა სოციალისტური წყობილების მიღწევისათვის აუცილებელი კლასობრივი კავშირის განმტკიცებას სხვა ფენებთან. ყრილობაზე იტალიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს ლ. ლონგო, გენერალურ მდივნად — ე. ბერლინგუერი[5].

---

1 გაზეთი „პრავდა", 27. II—1976 წ.

2 გაზეთი „პრავდა", 26. III—1976 წ.

3 გაზეთი „პრავდა", 17. VI—1976 წ.

4 გაზეთი „პრავდა", 28. VI—30. VII—1976 წ.

5 ე. ბერლინგუერი (დაიბადა 1922 წ.) იკპ-ის წევრია 1943 წლიდან, იკპ-ის ცკ-ის წევრია 1948 წლიდან. 1950—1956 წლებში იგი იტალიის კომუნისტური ახალგაზრდობის ფედერაციის მდივანია, 1950—1953 წლებში — დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წევრი. 1960 წლიდან ბერლინგუერი იკპ-ის ხელმძღვანელობის წევრია, 1966—1972 წლებში — გენერალური მდივნის მოადგილე, 1972 წლიდან კი — გენერალური მდივანი.

იტალიის კომპარტიის პროგრამა და ტაქტიკა შეიმუშავა პ. ტოლიატომ, ხოლო VIII ყრილობამ (1956 წ.) მიიღო საპროგრამო დოკუმენტები. ამის შემდეგ მასში დამატებები და შესწორებები რეზოლუციების სახით შექონდათ მოწოდებული ყრილობების დროს.

კომპარტიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ იტალიაში არ არსებობს რევოლუციური სიტუაცია, რომელიც კომპარტიას საშუალებას მისცემს დაიწყოს ბრძოლა უშუალოდ სოციალისტური რევოლუციისათვის. ასეთ ვითარებაში იგი ირჩევს რევოლუციური პროცესის განვითარების მშვიდობიან გზას და მაქსიმალურად იბრძოლებს ფართო ანტიმონოპოლისტური ფრონტის შესაქმნელად; მასში გაერთიანდება მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაწყებული პროლეტარიატიდან წვრილი მეწარმეებით დამთავრებული. ამის შემდეგ ქვეყანაში ხორციელდება ღრმა სტრუქტურული ხასიათის რეფორმები. პარტიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სტრუქტურული რეფორმების შედეგად კლასების ძალთა თანაფარდობაში მოხდება ცვლილებები, რომლის შემდეგ, როგორც ე. ბერლინგუერმა აღნიშნა, მშრომელთა ფართო მასები იქ შეგნებამდე მივლენ, რომ იტალიაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრა მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში შეიძლება.

კომპარტიის XIV ყრილობამ (1975 წლის მარტში[1]) ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თანამედროვე კითარებაში აუცილებელია პარტიამ აირჩიოს რევოლუციური პროცესის განვითარების უპირატესად მშვიდობიანი გზა, იბრძოლოს მაქსიმალურად ფართო ანტიმონოპოლისტური ფრონტის შექმნისათვის, რომელიც გააერთიანებს მოსახლეობის ყველა ფენას — პროლეტარიატ-დან დაწყებული წვრილი მეწარმეების ჩათვლით.

ყრილობამ ერთხელ კიდევ მოუწოდა მოსახლეობას გაეძლიერებინა სიფხიზლე ნეოფაშისტების საქმიანობისადმი.

იტალიის კომპარტიის XIV ყრილობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ კომუნისტების და მთელი მშრომელების უპირველეს ამოცანად რჩება სიფხიზლე რეაქციის და ფაშისტებ-ის ხრიკების მიმართ და მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა.

იტალიის კომპარტიას მჭიდრო კავშირი აქვს უამყარებელი სხვა მოძმე პარტიებთან. იგი აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის 1957,

---

[1] 1975 წელს პარტიის რიგებში გაერთიანებული იყო 1658 ათასი წევრი. პარტიის XIV ყრილობას ესწრებოდა საბჭოთა პარტიული დელეგაცია სკკპ ცკ-ის მდივნის ა. პ. კირილენკოს მეთაურობით. მან იტალიის კომპარტიის თავმჯდომარეს ლ. ლონგოს გადასცა ლენინის ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოვდა მეშვეობა და კომუნისტური მოძრაობის წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით.

1960 და 1969 წლების კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირებში და 1976 წლის ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციაზე (ბერლინში).

§ 64. ნეოფაშისტების ტერორისტული გამოსვლები

დემოკრატიული ძალების აქტივიზაციის შესუსტებას მემარჯვენე ძალები ცდილობდნენ ქაოსის და უწესრიგობის შექმნით. მათ მხარს უჭერდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომლის წყალობით იტალიაში ჩამოყალიბდა და დაფინანსდა სხვადასხვა მემარცხენე და მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციები: „წითელი ბრიგადები", „შეიარაღებული პროლეტარული უჯრედები", „მუსოლინის სამოქალაქო რაზმები" და სხვ. ისინი აწყობდნენ თავდასხმებს დემოკრატებზე, იტაცებდნენ ადამიანებს, ყაჩაღობდნენ, ეაჭრობდნენ იარაღით და ნარკოტიკებით. ამ ექსტრემისტების ამოცანაა სახელი გაუტეხონ იტალიაში რესპუბლიკურ მმართველობას და მოამზადონ ნიადაგი რეაქციული გადატრიალებისათვის.

ჯერ კიდევ 1952 წელს დემოკრატიული და მემარცხენე ძალების ზეგავლენით პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც აიკრძალა ფაშისტური პარტიები და ორგანიზაციები. მაგრამ მემარჯვენე ექსტრემისტები სხვადასხვა სახელწოდებით ნათლავდნენ თავიანთ ბანდებს, მთავრობა კი რეაგირებას არ ახდენს ნეოფაშისტების საქმიანობაზე. 1969 წლის 12 დეკემბერს ნეოფაშისტებმა ბომბი ააფეთქეს მილანის სასოფლო-სამეურნეო ბანკში, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ქალაქს.

1973 წლის გაზაფხულზე მილანში ტერორისტმა ჯ. ბერტოლიმ ხელყუმბარით ოთხი კაცი მოკლა და ათობით დაჭრა. სასამართლომ მას მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა. იმავე წლის ნოემბერში გაასამართლეს „ახალი წესრიგის" ნეოფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა. ორგანიზაცია დაითხოვეს. გარდა ამისა პარლამენტმა დეპუტატის ხელშეუხებლობა აჰყარა იტალიის ნეოფაშისტური პარტიის სოციალური მოძრაობის ლიდერთა ჯგუფს.

ფაშისტური პარტიის იტალიის სოციალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ფრანჩესკო ფრანციის, რომელიც სენატორად იყო არჩეული, 4 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. მან სასამართლოზე აღიარა, რომ იგი აქეზებდა ორგანიზაციის წევრებს ტერორისტულ აქტებზე.

მემარცხენე ძალების აქტიური მოთხოვნითა და მხარდაჭერით მთავრობის მიერ გატარებულ ამ ღონისძიებებს ნეოფაშისტებმა ტერორისტული აქტებით უპასუხეს. 1975 წლის 7 იანვარს ნეოფაშის-

ტებმა ბომბი ააფეთქეს ქალაქ არეცოს მახლობლად რომ-ფლორენ-ციის რკინიგზის უბანზე, 1975 წლის თებერვალში კი ქალაქ ვიარეჯოში შვიდი ტერორისტული აფეთქება მოაწყვეს. ამასთან დაკავშირებით „უნიტა“ ხაზს უსვამდა, რომ პროვოკაციათა მეშვეობით ნეოფაშისტები ცდილობენ დაძაბულობისა და ძალმომრეობის ვითარება შექმნან ქალაქში. იტალიის დედაქალაქში ნეოფაშისტთა გამოხდომები მთელი 1975—1976 წლების განმავლობაში გრძელდებოდა. შავებალათიანები ქალაქის ცენტრში თავს ესხმოდნენ კომუნისტ. და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივისტებს, აფეთქებდნენ იტალიის კომპარტიის შენობებს.

ნეოფაშისტებმა სისხლიანი ტერორის კომპანია გააჩაღეს პროგრესულად განწყობილ ამომრჩეველთა წინააღმდეგ. ანტიფაშისტური მანიფესტაციის დროს 1975 წლის თებერვალში მოკლეს 17 წლის სტუდენტი �udio ვარალი. მალე ამ საზარელი დანაშაულის შემდეგ ფლორენციაში კარაბინერის ტყვიით დაიღუპა ახალგაზრდა იტალიელი კომუნისტი როდოლფი ბოსკი, მილანში კი ფაშისტებმა მოკლეს ახალგაზრდა მუშა ანტიფაშისტი ალბერტო ჩრაზილი და მძიმედ დაჭრეს მისი საცოლე.

1975 წლის მარტის დამდეგს მილანის მშრომელებმა ჩაშალეს ნეოფაშისტთა (იტალიის სოციალური მოძრაობა) ცდები, რომ პროვოკაციული მიტინგი ჩაეტარებინათ. საყურადღებოა, რომ მილანის ქალაქის პოლიციამ ნეოფაშისტებს მიტინგის ჩატარების ნება დართო.

კომუნისტური და სხვა პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოწოდება მიიღეს, რომ მთელ ქვეყანაში გაეშალათ კამპანია რესპუბლიკური წყობილების დასაცავად. მოწოდება გაეგზავნათ პრეზიდენტს, პარლამენტის ორივე პალატის თავმჯდომარეს და მთავრობის მეთაურს.

მილანის ამბებმა გამოხმაურება ჰპოვა იტალიის სხვა ქალაქებშიც — რომში, გენუაში, ვენეციაში და ა. შ., სადაც გრანდიოზული ხასიათის ანტიფაშისტური დემონსტრაციები გაიმართა. 1975 წლის 18 აპრილს 1 საათიანი საყოველთაო გაფიცვა მოეწყო ფაშისტური ძალადობის მიმართ პროტესტის ნიშნად.

თვით შინაგან საქმეთა მინისტრმა ლ. გუიმ აღიარა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრობლემა ფაშისტების ხულიგნური და ტერორისტული გამოხდომების გამო ძალზედ გამწვავდა, მან პირობა დადო, რომ მთავრობა ზომებს მიიღებს ნეოფაშისტების წინააღმდეგ. მართლაც პოლიციამ რამოდენიმე ფაშისტი მოთავე დააპატიმრა.

არჩევნების წინ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ნეოფაშისტების ტერორისტული აქტები, რომლითაც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ რესპუბლიკის დემოკრატიული საფუძვლებისათვის. შეესამოსიანთა

ბოროტმოქმედებანი იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრიობის აღშფოთებას იწვევდა.

1976 წლის 10 ივლისს ნეოფაშისტებმა მოკლეს რომის გენერალური პროკურორის მოადგილე ვიტორიო ოკორსიო, რომელიც ბრალმდებლად გამოვიდა „ახალი წესრიგის" წევრ-დანნაშავეთა დიდი ჯგუფის პროცესზე. დამნაშავენი დიდი ძებნის შემდეგ დააპატიმრეს, რომელთა შორის აღმოჩნდა შავსამოსიანთა ტერორისტული ორგანიზაციების „ახალი წესრიგის" რამდენიმე წევრი, მაგრამ მთავარი დამნაშავე, ვინმე პიერო ლუიჯი კონსტანტელი, რომელმაც ავტომატით მოკლა ვ. ოკორსიო, და მარიო პელეგრინი დაუჭელი დარჩნენ. გამოძიებით დადასტურდა, რომ ოკორსიოს მკვლელობა, — ფაშისტების მხრივ, შურისძიების აქტი კი არ იყო, არამედ მკვლელობა იყო „ღალატისათვის".

მკვლელობის მოწყობასა და განხორციელებაში ერთობლივად მონაწილეობდნენ ნეოფაშისტური პარტიები: იტალიის სოციალური მოძრაობა — ეროვნული მემარჯვენეები, „შავი თავადის" ბორგეზის მებრძოლები, „ახალი წესრიგის" ტერორისტები, ფარული ფაშისტური ორგანიზაციის წევრები, რომელნიც ეწევიან ადამიანთა მოტაცებას გამოსასყიდის ნიღების ქვეშ და შავსამოსიანები, რომელნიც ესპანეთსა და საფრანგეთში აფარებენ თავს. რამდენიმე ფაშისტური ორგანიზაციის ასეთი ერთდროული მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა საერთო ცენტრის გარეშე. მართლაც გამოძიებისას დადასტურდა, რომ მათ ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ ნატო და აშშ-ის საიდუმლო სამსახურის ორგანოები. ისიც ცნობილი გახდა, რომ „ცენტრმა" თავისი აგენტურა დანერგა სახელმწიფო აპარატში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, პოლიციაში, სასამართლო ორგანოებსა და დაზვერვის სამსახურში. უფრო მეტიც, იატაკქვეშა „შავი არმიის" რაოდენობა და საქმიანობა სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1973 წლის ნოემბრამდე ოკორსიო თვითონ იყო ნეოფაშისტური „ახალი წესების" ორგანიზაციის წევრი, მაგრამ შემდეგ ზურგი შეაქცია მათ. 1973 წელს მან პასუხისგებაში მისცა „ახალი წესრიგის" 42 ხელმძღვანელი სხვადასხვა ტერორისტული აქტების განხორციელებისათვის. ანალოგიური ღონისძიება გაატარა მომდევნო წელს 119 კაცის მიმართ, ხოლო სიკვდილის წინ მან ხელი მოაწერა 261 ფაშისტის დაპატიმრებაზე, რომლებიც იტალიის სხვადასხვა პროვინციებიდან იყვნენ[2].

ოკორსიომ გამოიკვლია „შავი არმიის" დაფინანსების წყარო და

---

[1] იხ. „За рубежом", № 39, 1976, № 2, 1977.

[2] იქვე.

დაადგინა ფულის მიღების არხები. დადასტურდა, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ნატოს კავშირი ჰქონდათ და აფინანსებდნენ იტალიის შეიარაღებულ ძალებთან არსებულ ფარულ პროფაშისტურ ორგანიზაციას „ქარების ვარდს", რომელიც სამხედრო პუტჩს ამზადებდა.

1968 წლის ბოლოს ალგეროში (სარდინია), რომელიც იტალიის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ნატოს განკარგულებაშია, შეიქმნა სპეციალური ცენტრი ნეოფაშისტური დამრტყმელი ჯგუფების მოსამზადებლად. აქ წვრთნიან ტერორისტებს ფაშისტური ორგანიზაციებიდან („ახალი წესრიგის", „ეროვნული ავანგარდის", „ეროვნული ფრონტის" და ა. შ.), რომლებიც ნატოს მითითებებს ასრულებენ და დაუსჯელად მოქმედებენ იტალიის სხვადასხვა მხარეში.

ამერიკის საიდუმლო დაზვერვის ერთი მიმდინარეობა („პუტჩის მომხრეები") თვლის, რომ კომპარტიის და სხვა დემოკრატიული ძალების ფიზიკური განადგურებისათვის საჭიროა სამხედრო დიქტატურის დამყარება პუტჩის გზით.

მეორე მიმდინარეობას კი მიაჩნია, რომ იმავე მიზნის მიღწევა შეიძლება პოლიტიკური მანევრებით, მემარცხენე ძალებში გათიშვის შეტანით.

„პუტჩისტებმა" თავისი აგენტებით გაავსეს იტალიის არმია, დაზვერვა, პოლიცია და სახელმწიფო ორგანოები. სწორედ ეს აგენტურაა, რომ ამ ბოლო წლებში აქეზებს და წარმართავს ნეოფაშისტების საქმიანობას.

ნეოფაშისტების დაპატიმრებას კვაყოფილებით შეხვდა იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა, რომელმაც გადაჭრით მოითხოვა რეაქციის დანაშაულებრივი გამოხდომების წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების გატარება. თუმცა, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ტერორისტები ჯერ კიდევ თავისუფლად თარეშობენ და დაუსჯელი დარჩნენ დამნაშავენი.

იტალიის კომპარტიის XIV ყრილობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ კომუნისტების და მთელი მშრომელების უპირველეს ამოცანად რჩება რეაქციის და ფაშისტების ხრიკების წინააღმდეგ სიფრთხილე და გადამწყვეტი ბრძოლა.

§ 65. 1975 წლის ივნისის საოლქო საბჭოების და 1976 წლის ივნისის პარლამენტის არჩევნები და კომუნისტების დიდი წარმატებები

ფაშისტებმა სისხლიანი ტერორი გააჩაღეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინ, რომელიც 1975 წლის 15 ივნისს გაიმართა. არჩევნებში პირველად მონაწილეობდა 2,5 მლნ.

18 წლის ახალგაზრდა, რაც დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი იყო.

1975 წლის იანვარში დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონით ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ 18 წლის ასაკს მიღწეულებს, სენატის არჩევნებში კი — 22 წლის ახალგაზრდებს.

მიუხედავად საშინაო და საგარეო რეაქციის ყოველგვარი ღონისძიებებისა, 1975 წლის ივნისში საოლქო საბჭოების არჩევნებმა გრანდიოზული წარმატება მოუტანა კომპარტიას. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 33,4%, ე. ი. 5,1%-ით მეტი, ვიდრე 1970 წლის საოლქო არჩევნებში. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა პარტიამაც. ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ კი 3,2%-ით ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე 1970 წლის საოლქო არჩევნებისას.

კომუნისტებმა და მემარცხენე ძალებმა გაიმარჯვეს ქვეყნის ყველა მხარეში. ნეაპოლში კომუნისტებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 35%-მა და პირველად ქალაქის ისტორიაში კომუნისტები პირველ ადგილზე გამოვიდნენ, ისევე როგორც სხვა დიდ ქალაქებში: რომში, მილანში, ტურინში, გენუაში, ფლორენციაში, ბოლონიაში, ვენეციაში, პერუჯეში, კალიარში და ანკონში. სამი „წითელი" ოლქის — ემილიი-რომანიეს, ტოსკანის და უმბრიის — გარდა, მემარცხენეები კომუნისტების და სოციალისტების შემადგენლობით უმრავლესობას წარმოადგენდნენ ლიგურიაში. მემარცხენეებმა ადგილების ნახევარი მიიღეს პიემონტის საოლქო საბჭოებში. მათი წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა საოლქო საბჭოში.

ცხოვრებამ დაადასტურა კომპარტიის ავტორიტეტის განუხრელი ზრდა, რომ მასები მხარს უჭერენ კომპარტიას სოციალური პროგრესისათვის სამართლიან ბრძოლაში, დემოკრატიული ძალების, მშვიდობის საქმისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

არჩევნებმა ცხადყო, რომ იტალიის მშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მარცხნივ შემოატრიალა და მხარს უჭერს მემარცხენე ძალებს, რომ მემარჯვენე წრეების პოლიტიკას საფუძველი გამოეცალა.

არჩევნების მეორე დღესვე იკპ-ის ცკ-ის შენობის წინ რომში შეიკრიბა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც მიესალმნენ ლ. ლონგო და ე. ბერლინგუერი.

როგორც ითქვა, არჩევნების შედეგად რიგ ქალაქებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში კომუნისტებმა ხელმძღვანელი ადგილები დაიკავეს. რომში ქალაქის მერად აირჩიეს კომპარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატი. ლაციოში ახალ საოლქო ჯუნტაში (ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო) შევიდნენ კომუნისტი და სო-

ციალისტი. ჯუნტის თავმჯდომარედ აირჩიეს კომუნისტი, ცკ-ის წევრი მაურიციო ფერარა. ამრიგად, პირველად იტალიის ისტორიაში ლაციოს საოლქო ჯუნტის შემადგენლობის სათავეში კომუნისტები აღმოჩნდნენ.

არჩევნებმა ცხადყო, რომ იტალიის კომპარტია ძლიერ და გავლენიან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს ქვეყანაში და მათ შორის დედაქალაქში. რომში. არაა დიდი სამრეწველო საწარმოები და მუშათა კლასი აქ არც ისე-მრავალრიცხოვანია, როგორც მაგალითად, მილანში ან ტურინში. მიუხედავად ამისა, სხვა პარტიებთან შედარებით, კომუნისტებმა აქ ყველაზე მეტი ხმები შეაგროვეს და მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქის მუნიციპალურ აღმასრულებელ ორგანოში.

კომუნისტების ესოდენ დიდმა წარმატებებმა თავზარი დასცა მემარჯვენე ძალებს და მათში დაბნეულობა გამოიწვია. ფაშისტებმა კვლავ გააძლიერეს ტერორი. მაგალითად, ნეაპოლში დემონსტრანტთა კოლონას, რომელიც ზეიმობდა არჩევნებში გამარჯვებას, ფაშისტებმა ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ბოთლები ესროლეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. მკვლელები შეიპყრეს.

არჩევნების შემდეგ გაძლიერდა წინააღმდეგობანი მმართველთა ბანაკშიც. რასაც მოჰყვა მთავრობათა ხშირი ცვლა. 1976 წლის 7 იანვარს მთავრობა გადადგა და კრიზისი მთელი თვე გრძელდებოდა. რეაქციულ ძალებს ამ ვითარების გამოყენება სურდათ ე. წ. „ძლიერი ხელისუფლების“ დამყარებისათვის. ამასთან დაკავშირებით, 12 იანვარს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ მოიწვია სხდომა და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ იტალიის პროგრესულმა ძალებმა ვალდებულება უნდა იკისრონ იმ პოზიტიური პოლიტიკური პროცესების განვითარებისათვის, რომლებიც დაიწყო 1975 წლის 15 ივნისის არჩევნებში მემარცხენე ძალების წარმატების შემდეგ. ამასთან რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მთავრობისა და პარლამენტის უმოქმედობამ შეიძლება გაართულოს პოლიტიკური ვითარება და შექმნას რეაქციული ძალების მანევრების გაძლიერების შესაძლებლობა, რომ კვლავ საჭიროა, საბოლოოდ დავძლიოთ მემარცხენე-ცენტრისტული ფორმულა და რადიკალურად შევცვალოთ მთავრობის კურსი, ხოლო ამ კურსის შეცვლა შეუძლებელია, თუ იტალიის კომპარტია მონაწილეობას არ მიიღებს ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ისეთი მთავრობის შექმნა, რომელსაც მხარს დაუჭერს ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

კრიზისიდან თავის დაღწევისათვის, კომპარტიას საჭიროდ მიაჩნია მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანობა.

მთავრობის ეს კრიზისი ყველაზე რთული აღმოჩნდა ომის შემდგომ პერიოდში, რაც გამოიწვია იმან, რომ სოციალისტურმა პარტიამ უარი თქვა წინა მთავრობისადმი მხარდაჭერაზე; გარდა ამისა ეს განაპირობა თვით პარტიის შიგნით არსებულმა წინააღმდეგობამაც. ქდპ-ის მემარჯვენე ფრთა კრიზისის გახანგრძლივებას ცდილობდა. მას სურდა, თვითონ შეედგინა მთავრობა.

12 თებერვალს ქრისტიან-დემოკრატმა ა. მოროომ შეადგინა მთავრობა, რომელშიც მხოლოდ ქდპ-ის წარმომადგენლები შეიყვანეს. მას პარლამენტში მხარს უჭერდნენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები.

ა. მოროს ცდები, რომ მთავრობაში სოციალისტები, სოციალ-დემოკრატები და რესპუბლიკელებიც შეეყვანა, უშედეგოდ დამთავრდა. ესეც იმაზე მეტყველებს, რომ წლების განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მყოფი „მემარცხენე ცენტრის" კოალიციის შიგნითაც გაძლიერდა წინააღმდეგობანი, რაც უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური და სოციალური კრიზისით იყო გამოწვეული. რეაქციას სურდა პარლამენტის დათხოვნა და რიგგარეშე არჩევნების ჩატარება, რათა ახალი საარჩევნო კამპანია ანტიკომუნისტურ ისტერიად გადაექცია. მაგრამ მემარცხენე ძალების მტკიცე პოზიციის შედეგად რეაქციის ეს ცდები ჩაიშალა.

ქდპ-ის ერთპარტიული მთავრობა, იტალიის კომპარტიის აზრით, ერთგვარი კომპრომისი იყო. იგი ვერ გადაჭრიდა იტალიის წინაშე მდგარ სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს.

ადრინდელ კოალიციაში ქდპ-ის ყოფილმა პარტნიორებმა — სოციალისტებმა და რესპუბლიკელებმა — უარი განაცხადეს მხარდაჭერაზე პარლამენტში ახალი მთავრობისათვის ნდობის ვოტუმის კენჭისყრისას. მაგრამ ერთპარტიული მთავრობის პოზიციები მეტად სუსტი იყო. მთავრობის ნდობის ვოტუმს ხმა მისცა 287 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 220. ვითარებამ ცხადყო, რომ კომუნისტების გარეშე შეუძლებელი იყო მთავრობის შექმნა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დაუყოვნებლივ გადაჭრა.

ამრიგად, მოროს მთავრობა „მემარცხენე ცენტრისტული" ხასიათისა აღარ იყო. იგი ერთპარტიული მთავრობა იყო, რომელსაც დიდხანს არ ეწერა ხელისუფლების სათავეში ყოფნა.

ახალი კაბინეტი მეტად რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მან თავი ვერ გაართვა ეკონომიკური კრიზისის შედეგად ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. მძლავრმა საგაფიცვო მოძრაობამ იგი წალეკა. მთავრობა გადადგა. მთავრობის კრიზისი სამ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ვერც ერთმა ლიდერმა ვერ მიიღო ხმების უმრავლესობა პარლამენტში. მაშინ პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ ვადაზე ადრე დაითხოვა პარლამენტი და 20 და 21 ივლისს დანიშნა არჩევნები.

ამ არჩევნებმა კომუნისტებს გრანდიოზული წარმატება მოუტანა. დეპუტატთა პალატის არჩევნებში იტალიის კომპარტიამ მიიღო 12,620509 ხმა, რაც 34,4%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც 1972 წელს იგი 27,2% იყო. კომპარტიამ დეპუტატთა პალატაში მიიღო 288 ადგილი — 49-ით მეტი, ვიდრე ადრე ჰქონდა. სენატში მიიღო 118 სენატორის ადგილი (ჰქონდა 95).

იტალიის სოციალისტურმა პარტიამ საერთოდ შეინარჩუნა თავისი პოზიციები. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 9,6%, 29 ადგილი სენატში (33 ადგილის ნაცვლად) და 57 — დეპუტატთა პალატაში (61 ნაცვლად).

ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ხმების 38,7% (იმდენივე, რაც 1972 წელს).

ნეოფაშისტებმა მიიღეს 15 სენატორის ადგილი ნაცვლად 26-ისა, დეპუტატთა პალატის არჩევნებში კი მიიღეს ხმების 6% (9% ნაცვლად). დაკარგეს 21 ადგილი.

სასტიკად დამარცხდა მემარჯვენე ლიბერალური პარტია, რომელმაც სენატში 2 ადგილი მიიღო (ნაცვლად 8-ისა), დეპუტატთა პალატაში — 5 (20-ის ნაცვლად)[1].

შექმნილ რთულ პოლიტიკურ კითარებაში ქდპ. რომელიც 30 წლის განმავლობაში უცვლელად იდგა ხელისუფლების სათავეში, თუ კომუნისტებს უგულებელყოფდა და არ დაუშვებდა ხელისუფლებაში, პრაქტიკულად დაკარგავდა ქვეყნის მართვის შესაძლებლობას.

არჩევნების შემდეგ კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ პარლამენტის დიდძნშენელოვან კომისიას. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე გახდა კომუნისტი პ. ცნიგრაო. ასეთ პირობებში უფრო ხელშემწყობი ვითარება შეიქმნა, რათა კონსტრუქციულად გადაიჭრას ქვეყნის წინაშე მდგარი რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

არჩევნების შემდეგ კიდევ საკმაო ხანს გრძელდებოდა მთავრობის კრიზისი, რადგან ქრისტიან-დემოკრატებს პარლამენტში არ ჰქონდათ ხმების უმრავლესობა, ამიტომ მათ არ შეეძლოთ მთავრობის შექმნა კომუნისტების მონაწილეობის გარეშე. ე. ბერლინგუერმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არჩევნების შედეგად პარლამენტში შეიცვალა ძალთა თანაფარდობა, გაჩნდა ახალი უმრავლესობა, რომელშიც კომპარტია შედის.

იტალიის შინა და საერთაშორისო რეაქცია ძალიან შეაშფოთა იტალიაში პარლამენტის არჩევნების შედეგებმა. მას იმის შიში ჰქონ-

---

[1] გაზეთი „პრავდა", 23. VI — 1976 წ.

და, რომ შეიქმნებოდა მთავრობა კომუნისტების მონაწილეობით, ან ისეთი მთავრობა, რომელიც დამოკიდებული იქნებოდა კომუნისტებზე. ამის გამო აშშ-ის, გფრ-ის და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მთავრობები ივუქრებოდნენ და დამაშინებელ განცხადებებს აკეთებდნენ იტალიის მისამართით. აშშ-ის მთავრობამ აშკარად განაცხადა, რომ თუ მორის მთავრობაში კომუნისტებიც შეიდოდნენ, იტალიას არავითარ ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას არ გაუწევდა. იტალიის საშინაო საქმეებში დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების ჩარევამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია არა მარტო იტალიაში, არამედ მთელ საერთაშორისო ასპარეზზე.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ შექმნა ერთპარტიული მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჯ. ანდრეოტი. სოციალისტებმა ამ მთავრობაში შესვლაზე უარი განაცხადეს.

არჩევნების შედეგად შეცვლილი პოლიტიკური ძალების თანაფარდობის გავლენით ჯ. ანდრეოტის მთავრობამ პროგრამაში მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი შეიტანა. იგი ითვალისწინებდა ახალგაზრდობის შრომით უზრუნველყოფას, კაპიტალის უკანონოდ გატანის აღკვეთას, სავაჭრო დეფიციტის შემცირებას, მრეწველობის გარდაქმნას. მიუხედავად ამისა, მთავრობის პროგრამა კომუნისტებს არ აკმაყოფილებდა და ამიტომაც იტალიის კომპარტიამ გადაწყვიტა თავი შეეკავებინა ნდობის ვოტუმის კენჭისყრისას.

პარლამენტში გადაუდებელ ეკონომიკურ ღონისძიებათა განხილვა მჭიდროდ არის დაკავშირებული იტალიის პოლიტიკურ სტაბილურობასთან და მმართველი კაბინეტის ბედთან, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მთავრობა პარლამენტის უმრავლესობას არ შეადგენდა, ხოლო ნეიტრალურ პოზიციებზე მდგომი პარტიების უმრავლესობა თავის დამოკიდებულებას მთავრობისადმი განსაზღვრავს იმით, თუ რამდენად შეძლებს ეს უკანასკნელი ეკონომიკურ დარგში ნაკისრ პირობათა შესრულებას.

კონსერვატორული და კლერიკალური ძალები პარლამენტში ცდილობდნენ ხელი შეეშალათ დემოკრატიული კანონების მიღებისათვის, კერძოდ აბორტის შესახებ. საქმე ეხებოდა მოძველებული, ფაშიზმის დროს მიღებული კანონმდებლობის გაუქმებას და იტალიელი ქალისათვის იმის შესაძლებლობის მიცემას, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს დედობის საკითხი. მემარჯვენეებმა უბრალო არითმეტიკული უმრავლესობაც დაკარგეს პარლამენტში და აღარ შეუძლიათ ძველებურად თავს მოახვიონ ხალხს თავიანთი ნება-სურვილი.

§ 66. საგარეო პოლიტიკა 1974—1977 წლებში

1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისის შედეგად ურთიერთობა „საერთო ბაზარში" შემავალ ქვეყნებს შორის ძალზე გაუარესდა, რადგან ისინი ძძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალს ერთმანეთის ხარჯზე ეძებენ. 1975—1976 წლებში აღნიშნულ რეგიონში შემავალ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ხშირ მოლაპარაკებას მართავდნენ ერთმანეთთან.

1976 წლის 3 დეკემბერს საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ'ესტენი იმყოფებოდა რომში, შეხვდა პრეზიდენტ ჯ. ლეონეს და პრემიერ-მინისტრ ჯ. ანდრეოტის. მოლაპარაკებისას ცენტრალური საკითხი იყო ეკონომიკური პრობლემები. კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით საფრანგეთის პრეზიდენტმა წინადადება წამოაყენა, რათა 1977 წლის ზაფხულში მოეწვიათ დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების თათბირი, თუმცა მანვე სინანულით შენიშნა, რომ ასეთმა წინა შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღო. ვიდრე იტალიაში ჩავიდოდა, იგი შეხვდა ინგლისისა და გფრ-ის მთავრობათა მეთაურებს, რომლებთანაც საუბარი ჰქონდა „საერთო ბაზრის" ქვეყნებს შორის ეკონომიკური კრიზისის შედეგად შექმნილი წინააღმდეგობების დაძლევის გზების გამონახვის შესახებ. საფრანგეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამ შეხვედრების დროს „საერთო ბაზრის" ქვეყნები შეტ ყურადღებას უთმობდნენ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, ვიდრე პოლიტიკურს.

1977 წლის 18 იანვარს პრემიერ-მინისტრი ჯ. ანდრეოტი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ბონში და შეხვდა კანცლერ ჰ. შმიდტს. მოლაპარაკებისას მთავარი ყურადღება დაეთმო ძძიმე ეკონომიკურ და ფინანსური მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზების განხილვას. ამკარა გახდა, რომ ბონის გარკვეულ წრეებს იტალიისათვის ფინანსური დახმარების გაწევა სურდათ გამოეყენებინათ მასზე პოლიტიკური და სამხედრო ზეგავლენის მოსახდენად. იტალიაში ამასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამდნენ ანდრეოტის მთავრობის ცდებზე, რომ ძძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საზღვარგარეთიდან მიღებული სესხით გამოესწორებინა; რაც საშიშროებას შეუქმნის ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

კრიზისის ვითარებაში იტალიის მმართველმა წრეებმა მოლაპარაკება გაემართეს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის ხელმოწერილია მსხვილი კონტრაქტები, რომელთა შედეგად 1971 წლიდან 1975 წლამდე საქო-

ნელბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის სამჯერ გაიზარდა და 1 მლრდ. მანეთი შეადგინა.

იტალიაში „საუკუნის გარიგება“ უწოდეს საბჭოთა კავშირთან ხელმოწერილ შეთანხმებას 100 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდების შესახებ. სამაგიეროდ ჩვენი მრეწველობა იტალიიდან იღებს გაზის 2.5 მლნ. ტონა დიდი დიამეტრის მილებს.

1974 წლის მაისში მილანში შედგა გაზსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა კავშირიდან გაზის მიწოდება იტალიისათვის.

საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი თანაარსებობის თანამიმდევრული პოლიტიკა დიდ და ახალ შესაძლებლობებს ქმნის ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საქმეში. პერსპექტიული გახდა ამ ორ ქვეყანას შორის გარიგება საკომპენსაციო საფუძველზე. იგი მთლიანად უპასუხებს საბჭოთა მეურნეობის განვითარების გეგმებს. ასეთ პირველ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა ორგანიზაციებმა და ფირმა „მონტედისონმა“. იგი ეხება საბჭოთა კავშირში შვიდი ქიმიური ქარხნის მშენებლობას. თავისი დანადგარების საფასურად იტალია იღებს ამ ქარხნების პროდუქციის ნაწილს. ასეთი სახის მრავალი შეთანხმება დაიდო იტალიის სხვა მსხვილ ფირმებთანაც. 1974 წელს საკომპენსაციო შეთანხმებამ და საქონელბრუნვამ შეადგინა 1,140 მლნ. მანეთი[1].

1976 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის დაიდო ხანგრძლივვადიანი ათწლიანი შეთანხმება.

საბჭოთა კავშირ-იტალიის თანამშრომლობას ახალი სტიმული მიეცა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრების შემდეგ.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს ამ ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი (1975 წლის ოქტომბერში, რომში) ეკონომიკური და საშრეწველო თანამშრომლობის 10-წლიანი პროგრამა. იგი განსაზღვრავს თანამშრომლობის საერთო პრინციპებს, ფორმებს და ობიექტებს.

1975 წლის ნოემბრის ბოლოს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა იტალიის პრეზიდენტი ჯ. ლეონე. მან ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან ახალ ხუთწლიან შეთანხმებას 1975—1979 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ და საბჭოთა კავშირ-იტალიის ერთობლივ დეკლარაციას; ორივე ქვეყანა სურვილს გამოთქვამდა ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ.

---

[1] გაზეთი „პრავდა“, 26. VI — 1975 წ.

1976 წლისათვის საბჭოთა კავშირ-იტალიის საქონელბრუნვამ შეადგინა 1 მლრდ. 800 მლნ. მანეთი. 1974—1976 წლებში საქონელბრუნვა ამ ორ ქვეყანას შორის სამჯერ გაიზარდა, ხოლო 10 უკანასკნელი წლის მანძილზე — 6-ჯერ. მარტო 1976 წელს იგი 20%-ით და მეტად გადიდდა. ორი ქვეყნის თანამშრომლობა კომპენსაციურ შეთანხმებათა საფუძველზე ხორციელდება, რაც განამტკიცებს საბჭოთა ორგანიზაციებისა და იტალიის მსხვილი კომპანიების საქმიან ურთიერთობას.

მტკიცდება თანამშრომლობა კულტურის დარგშიც. 1976 წელს დიდი წარმატებით ჩაიარა საბჭოთა კავშირის დღეებმა სარდინიაში, რომელიც „იტალია-სსრ კავშირისა" და „სსრ კავშირ-იტალიის საზოგადოებათა" ინიციატივით მოეწყო.

საბჭოთა კავშირ-იტალიის პოლიტიკური ურთიერთობა ვითარდება საბჭოთა კავშირ-იტალიის ოქმის საფუძველზე კონსულტაციების შესახებ. ამ ოქმს ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს 1972 წელს. მისი მთავარი არსია პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგება კონსულტაციებით. იგი ითვალისწინებს ასევე ევროპის და მთელი მსოფლიოსათვის დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების განხილვას. კონსულტაციათა ფარგლებში პრაქტიკულად დამკვიდრდა საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტების გაცვლა.

1977 წლის 10—14 იანვარს მოსკოვში, საბჭოთა მთავრობის მოწვევით, იმყოფებოდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ფორლანი. ამ ვიზიტის დროს შედგა მოლაპარაკება ორივე ქვეყნის საკავშირო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაფართოების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე. მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკე, რომელმაც ცხადყო, რომ ორივე სახელმწიფოს მთავრობის თვალსაზრისი ერთია მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე.

ორივე მხარე კომუნიკეში აცხადებს, რომ ვიზიტის დროს შეხვედრები და მოლაპარაკებები ხელსაყრელი იყო და ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას.

ამ ურთიერთობათა შედეგად იტალიის გაელენიანმა წრეებმა ცნეს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება არა მარტო მშვიდობის მოყვარული და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელების აუცილებელი პირობაა, არამედ იმის დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარიცაა, რომ იტალიამ დაძლიოს ეკონომიკური კრიზისი.

საბჭოთა კავშირ-იტალიის თანამშრომლობის წარმატებით განვითარება ემსახურება არა მარტო ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, არამედ ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელებასაც

იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ[1]

§ 67. იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 50-იანი წლების შუა პერიოდამდე

ომის შემდგომი მდგომარეობა. ომმა დიდი ზარალი მიაყენა იაპონიას. მან მოკლულთა სახით დაკარგა 5 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მარტო სამხედრო ხარჯები 42 მლრდ. იენს უდრიდა. ამერიკა-ინგლისის ავიაციის მიერ იაპონიის ქალაქების დაბომბვისა და საომარი ოპერაციების შედეგად განადგურდა შენობების 25% (უსახლკაროდ დარჩა 9 მლნ. კაცი), სამრეწველო საწარმოების 25%, ჩაიძირა საკაპრო ფლოტის ტონაჟის 80%, განადგურდა საავტომობილო ტრანსპორტის უდიდესი ნაწილი. ომმა შეიწირა მთელი ეროვნული სიმდიდრის მეოთხედზე მეტი. ღრმა კვალი დატოვა ატომური ბომბების აფეთქებამ. ნედლეულისა და ენერგიის უქონლობის გამო მთელი საშრეწველო ცხოვრება შეწყდა. 1945 წლისათვის იგი ომამდელი (1937 წ.) დონის 10 პროცენტსაც კი არ შეადგენდა. ქვანახშირის უქონლობისა და სარკინიგზო გზების მოშლის შედეგად პარალიზებული იყო სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მოძრაობა. კატასტროფულად დაეცა იენის კურსი. მწყობრიდან იყო გამოსული წყალსადენი, გაზის საწარმოები, ელექტროსადგურები, შეწყვეტილი ან სრულიად არასაკმარისი იყო ქალაქის მომარაგება სურსათ-სანოვაგით და ა. შ.

ამრიგად, ომის დამთავრებისას იაპონიაში გაბატონდა სამეურნეო ქაოსი. სამეურნეო ნგრევამ გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა (5 მლნ. კაცი), უსახლკაროობა, შიმი, შიმშილი. არნახულ დონეს მიაღწია სპეკულაციამ, ფასების ზრდამ პირველი მოთხოვნილების საგნებზე და ა. შ. ხალხის გაჭირვების ხარჯზე მდიდრდებოდნენ ქვეყნის ნაძირალები, ყველაფერი შავ ბაზარზე იყიდებოდა. ურთიერთგაცვლის ან სპეკულაციის ობიექტად გადაიქცა სიგარეტები, ვისკი, პენიცილინის ამპულები და ამერიკული დოლარი.

ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლება ამ სიძნელეებს კიდევ უფრო აღრმავებდა, რათა იაპონია მთლიანად თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა.

ასეთი იყო იმ უგუნური პოლიტიკის შედეგი, რომელსაც მმართველი ბრბო ომის წინ და ომის დროს ახორციელებდა და რომლის შედეგად ქვეყანა ეროვნულ კატასტროფამდე მივიდა.

[1] ტერიტორია — 372,2 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 110,9 მლნ. (1975 წლის მონაცემებით), დედაქალაქი — ტოკიო (გარეუბნებით — 11,7 მლნ. მცხოვრები).

იაპონიის ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები შეირყა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე. იაპონიის ბურჟუაზიამ დაკარგა მთელი კაპიტალდაბანდებანი საზღვარგარეთ — ჩინეთში, კორეაში, კურილის კუნძულებზე და სამხრეთ სახალინზე. საკუთარი ძალებით მას აღარ შეეძლო დამოუკიდებელი მოქმედება ქვეყნის შიგნითაც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ იაპონიის ბურჟუაზია, როგორც კლასი, განადგურდა ან მისი ეკონომიკური სიძლიერე მოისპო. მას იმედი ჰქონდა ქვეყნის რეაქციული და ანტიდემოკრატიული ძალების მხარდაჭერისა და, რაც მთავარია, ამერიკის ბურჟუაზიის სოლიდარობისა. დამარცხებული იაპონიის საშხედრო ოკუპაცია ხორციელდებოდა მხოლოდ ამერიკის ჯარების მიერ. იაპონიაში იყვნენ ინგლისის, უპირატესად ავსტრალიის ჯარებიც, რომელნიც ამერიკის სარდლობას ემორჩილებოდნენ. ამერიკის სარდლობის ხელში დროებით გადავიდა ქვეყნის მთელი გამგებლობა.

1945 წლის დეკემბერში მოსკოვში შედგა სსრ კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელმაც შექმნა შორეული აღმოსავლეთის კომისია. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სსრკ, ინგლისი, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ჰოლანდია, კანადა, ახალი ზელანდია და ფილიპინები; ადგილსამყოფელი გახდა ვაშინგტონი. მეორე ორგანოში იაპონიის საკავშირო საბჭოში შედიოდა ოთხი დიდი სახელმწიფო: სსრკ, აშშ, ინგლისი და ჩინეთი; ადგილსამყოფელი — ტოკიო. ბრიტანეთის იმპერიიდან საბჭოში შედიოდნენ ასევე ავსტრალია, ახალი ზელანდია და ინდოეთი.

ორივე ორგანო იაპონიის მიმართ განაზღვრავდა მოკავშირეთა პოლიტიკას და თვალყურს ადევნებდა ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებას. რომ მას ცხოვრებაში განეხორციელებინა 1945 წლის 26 ივლისის (აშშ, ინგლისის და ჩინეთის) პოტსდამის დეკლარაცია, რომელსაც 8 აგვისტოს საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. ამ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული იყო მოკავშირე სახელმწიფოთა ძირითადი პრინციპები იაპონიის მიმართ. ეს პრინციპები მოითხოვდა მილიტარიზმის მოსპობას სახელმწიფო აპარატსა და ქვეყანაში, მილიტარისტული და ფაშისტური ორგანოების აკრძალვას, იაპონიაზე საყოველთაო კონტროლის დაწესებას (რათა აეცილებინათ აგრესია), დემოკრატიული რეფორმების გატარებას და იაპონიის მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევას.

საბჭოთა მთავრობა ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებიდან მოითხოვდა ამ პრინციპების ცხოვრებაში განუხრელად გატარებას. მაგრამ საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა იაპონიაში გენერალმა დუგლასმაკარტურმა პოტსდამის დეკლარაცია უგულებელყო და, მხოლოდ ვაშინგტონის დირექტივებით მოქმედებდა. აშშ-ის მთავრო-

ბის მთავარი მიზანი გახდა იაპონიის კაპიტალის თავისი ინტერესების შესაბამისად გამოყენება. ამ მიზნით იგი მხარს უჭერდა ქვეყნის რეაქციულ მონოპოლისტურ ძალებს, ცდილობდა დემოკრატიის ჩახშობას და მმართველობის ისეთი სისტემის დამყარებას, რომელიც არ დაუშვებდა დემოკრატიული ძალების გავლენის ზრდას. ბუნებრივია, რომ აშშ-ის ასეთი კურსი შეესაბამებოდა იაპონიის მემარჯვენე ძალების ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ აშშ-მა და იაპონიის მემარჯვენე ძალებმა საერთო ენა გამონახეს.

ამასთანავე, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო დემოკრატიული ძალების ზეგავლენით აშშ-ის მთავრობა იძულებული გახდა მაინც გაეტარებინა ზოგიერთი რეფორმა იაპონიის პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიზაციის მიზნით.

აშშ-ის საოკუპაციო ხელისუფლების რეფორმები. საბჭოთა კავშირისა და იაპონიის დემოკრატიული ძალების მოთხოვნ-ს შედეგად 1945 — 1947 წლებში აშშ-ს სამხედრო ადმინისტრაცია იაპონიაში იძულებული გახდა განეხორციელებინა რიგი რეფორმა. მაგალითად, დაწესდა საყოველთაო საარჩევნო სისტემა, გათანაბრდა ქალთა უფლებები მამაკაცთან, გამოცხადდა სიტყვის, რწმენის, პრესის, კრებების, დემონსტრაციების, გაფიცვების, პარტიებისა და ორგანიზაციების თავისუფლება, დაწესდა 8 საათიანი სამუშაო დღე, სკოლა ეკლესიას გამოეყო, ეკლესია კი — სახელმწიფოს, გაუქმდა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სამინისტროები, გენერალური შტაბი, აიკრძალა ფაშისტური და მილიტარისტული ორგანიზაციები, გამოცხადდა პოლიტიკური პატიმრების ამნისტია, დაისაჯნენ ომის მთავარი დამნაშავენი.

1946 წელს მპკარტურის ხელმძღვანელობით შემუშავდა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ძალაში შევიდა 1947 წლის მაისიდან ეროვნული კრების მიერ დამტკიცების შემდეგ. იგი აუქმებდა მანამდე არსებულ თვითმპყრობელურ, ნახევრად ფეოდალურ მონარქიას და ამყარებდა კონსტიტუციურ-ბურჟუაზიულ მონარქიას. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა ორპალატიანი პარლამენტი — წარმომადგენელთა პალატა და მრჩეველთა საბჭო; პირველს ირჩევენ მოქალაქენი 25 წლის ასაკიდან 4 წლის ვადით, მეორეს — 30 წლის ასაკიდან 6 წლის ვადით და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება მისი შემადგენლობის ნახევრის განახლება. წარმომადგენელთა საბჭო ირჩევს მთავრობას იმ პარტიიდან, რომელიც ხმების უმრავლესობას მიიღებს პარლამენტში და შეუძლია მისთვის უნდობლობის გამოცხადება; მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. კონსტიტუცია იმპერატორს „სახელმწიფოსა და ერის ერთობის სიმბოლოდ“ აცხადებდა. იმპერატორის ხელისუფლება წმინდა ნომინალური ხასიათისაა. იგი მთავრობას ნიშნავს, ან გადააყე-

ნებს პარლამენტის წარდგენით, მაგრამ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მონაწილეობას არ იღებს. იმპერატორმა მაკარტურის რჩევით უარი თქვა ხელისუფლების ზეციური წარმოშობის პრეროგატივზე.

კონსტიტუციის IX მუხლით იაპონიას ეკრძალება ომი, ქვეითი, საჰაერო და საზღვაო შეიარაღებული ძალების, ყოლა და სხვა სახელმწიფოებთან კონფლიქტის იარაღის ძალით გადაწყვეტა. ამრიგად, კონსტიტუცია იაპონიაში პარლამენტური მმართველობის წესებს ამყარებდა, რაც ძირეულად ცვლიდა 1889 წლის კონსტიტუციით არსებული მმართველობის სისტემას.

1946 წლის პარლამენტის არჩევნები. 1947 წლის კონსტიტუციით გამოცხადებული დემოკრატიული უფლებები მწიფოელთა მასებმა გამოიყენეს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. კონსტიტუციის შედეგად იმპერატორის პრეროგატივის შეზღუდვამ მკვეთრად შეამცირა სამეფო კარის არისტოკრატიის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მმართველობის სათავეში მოვიდნენ კონსერვატორული ბანაკის ახალი მოღვაწეები, რომლებიც კლასობრივი ბატონობის შენარჩუნების მიზნით მზად იყვნენ აშშ-თან ეთანამშრომლათ ახალი ვითარების შესაბამისად.

ომამდე არსებულმა სახელგატეხილმა პარტიებმა თავიანთი აპარატის რეორგანიზაცია მოახდინეს და ახალი სახელწოდებით გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. მათ შორის ყველაზე რეაქციული იყო ლიბერალური პარტია, რომლის ლიდერი გახდა იოსიდა.

მეხვილი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი გახდა აგრეთვე პროგრესული პარტია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სიდეხარა.

არალეგალური მეგობარეობიდან გამოვიდნენ და ფართო საქმიანობა გააჩაღეს კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა.

1946 წლის გაზაფხულზე ჩატარდა პარლამენტის ომის შემდგომი პირველი არჩევნები, რომლის დროს ლიბერალურმა პარტიამ ამომრჩეველთა ყველაზე მეტი ხმა მიიღო (12,5 მლნ. ხმა, 141 მანდატი პარლამენტში), მეორე ადგილზე გამოვიდა პროგრესული პარტია (9.9 მლნ. ხმა, 94 მანდატი). სოციალისტურმა პარტიამ მიიღო 9.2 მლნ. ხმა (94 მანდატი). ნაშვნელოვან წარმატებას მიაღწია კომპარტიამ, რომელმაც პირველად მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, მან 2,1 მლნ. ხმა მიიღო (4 მანდატი).

არჩევნების შედეგად შეიქმნა კოალიციური მთავრობა ლიბერალური და პროგრესული პარტიების წარმომადგენლებისაგან, ლიბერალური პარტიის ლიდერის იოსიდას მეთაურობით.

ლიბერალური პარტია თითქმის შეუცვლელად ხელისუფლების სათავეში იდგა 1954 წლამდე. მან თავისი აშკარა პროამერიკული პოლიტიკის გამო ხალხის უნდობლობა დაიმსახურა. ამ პარტიას ეჭარს

უპირდნენ ქვეყნის რეაქციული წრეები, მაგრამ მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქალაქისა და სოფლის წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ფენების ნაწილი. ამ პარტიის ლიდერები სოციალური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების მიზნით ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ წვრილ ბურჟუაზიას მრეწველობაში, ვაჭრობაში, სოფლად და გლეხთა საშუალო და წვრილ ფენებს სახელმწიფოსა და მშრომელთა სხვა ფენების ხარჯზე. ლიბერალური პარტია (1955 წლიდან კი ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიად იწოდება), საკმაოდ მტკიცე გავლენით სარგებლობდა ამ ფენებში. ხალხთა ფენების ზეგავლენით ამ პარტიის ლიდერები იძულებული გახდნენ ზოგიერთ სოციალურ დათმობაზე წასულიყვნენ. მათ სოციალური პროგრამის განხორციელების აუცილებლობაც კი გამოაცხადეს.

აგრარული რეფორმა. 1946 წლის ოქტომბერში იაპონიის პარლამენტმა დაამტკიცა მაკარტურის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული აგრარული კანონპროექტი. იგი გატარდა 1946—1949 წლებში, რომლის შედეგად იაპონიაში ბოლო მოეღო მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფეოდალურ წესებს, გარდა ამისა მან ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის სწრაფად განვითარებას. რეფორმით მემამულეებს ეკრძალებოდათ 3 ტე-ზე[1] მეტი მიწის მფლობელობის უფლება (კუნძულ ჰოკაიდოზე — 12 ტე-მდე). დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწა სახელმწიფოს უნდა შეესყიდა და შემდეგ კი გლეხებისათვის განვადებით მიეყიდა. მთავრობამ მემამულეებისაგან შეისყიდა მიწების 80%. გლეხების მიერ სახელმწიფოსაგან მიწის შესყიდვა ხელოვნურად იყო გართულებული ამ მიზნით, რომ მიწა შეძლებული გლეხის ხელში მოხვედრილიყო და სოფლად კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობა შექმნილიყო, ხოლო ზედმეტი მუშახელი სოფლიდან გამონთავისუფლებულიყო. რეფორმის შედეგად სოციალური სტრუქტურა სოფლად მნიშვნელოვნად შეიცვალა. გაიზარდა სოფლის კულაკთა და შეძლებულ გლეხთა რაოდენობა, რომელნიც რეაქციის დასაყრდენი ძალა გახდნენ. სოფლის ღარიბი, მცირე მიწის მქონე გლეხები გაკოტრდნენ. ბევრი მათგანი ვერ უძლებდა მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის კონკურენციას, ყიდდა თავის ნაკვეთს და ქალაქად მიდიოდა. რეფორმამ იაპონიის სოფელი გაათავისუფლა ფეოდალური გადმონაშთებისაგან.

აგრარული რეფორმის უმნიშვნელოვანესი შედეგი ის იყო, რომ ერან მოახდინა მემამულეების, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და თითქვის არარაობამდე დაიყვანა მათი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

---

[1] ტე უდრის 0,99 ჰექტარს.

მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 50-იანი წლების შუა პერიოდამდე. მშრომელი მასების მდგომარეობა ომის დამთავრებიდან 10 წლის მანძილზე მეტად მძიმე იყო. მაგალითად, 1953 წლისათვის იაპონიაში 1 სულ მოსახლეზე შემოსავალი 11-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ში და 5-ჯერ ნაკლები, ვიდრე გფრ-ში. ბევრ საწარმოში სამუშაო დღე ფაქტობრივად 10—12 საათს აღწევდა. 1955 წლისათვის რეალური საშუალო ხელფასი ომამდელ დონესთან შედარებით 90%-ს შეადგენდა, ხოლო ქალთა ხელფასი — მამაკაცთა ხელფასის 40%-ს. ქვეყანაში 6 მლნ. ნახევრად უმუშევარი და 1060 ათასი მთლიანად უმუშევარი იყო (1956 წ.).

რეფორმების გატარებამ, ანტიფაშისტების განთავისუფლებამ დემოკრატიულ ძალებს მოღვაწეობის საშუალება მისცა. ომის დამთავრების პირველ წლებშივე ქვეყანაში მრავალი პარტია აღმოცენდა.

როგორც აღვნიშნეთ, არალეგალური მდგომარეობიდან გამოვიდა იაპონიის კომუნისტური პარტია. იგი დღიდან შექმნისა (1922 წ.) არალეგალურ მდგომარეობაში იყო და იდევნებოდა. ბუნებრივია, მისი რიგები შემცირდა. პარტიის საუკეთესო მოღვაწეები ფიზიკურად განადგურდნენ ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. 1945 წლისათვის პარტია პერთიანებდა მხოლოდ ერთი ათას წევრს. მაგრამ მოკლე დროში, მოღვაწეობის აქტიურად გაჩაღების შედეგად, 1956 წლისათვის პარტიის რიგებში უკვე 40 ათასზე მეტი წევრი ირიცხებოდა.

1945 წლის ნოემბერში ომამდე არსებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაჯგუფების ბაზაზე შეიქმნა იაპონიის სოციალისტური პარტია. მის სოციალურ ბაზად გადაიქცა წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, ინტელიგენცია და მუშათა კლასის ზედაფენა. პარტიის შიგნით მაშინვე ჩამოყალიბდა მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობანი, რომელთა შორის სერიოზული წინააღმდეგობა არსებობდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებში [1].

---

[1] 1952 წელს სოციალისტურ პარტიაში განხეთქილება მოხდა, მემარჯვენეებმა და მემარცხენეებმა ცალკე ერთლობა ჩაატარეს და დამოუკიდებელ პარტიებად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ 1955 წელს კვლავ გაერთიანდნენ. 1957 წელს სოციალისტურ პარტიაში შევიდა მუშურ-კლუბური პარტია („რონტო"). წინააღმდეგობანი მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებს შორის იმდენად დიდი იყო, რომ 1966 წელს მათ შორის კვლავ მოხდა განხეთქილება. მემარჯვენეები გამოვიდნენ პარტიიდან და შექმნეს დემოკრატიული სოციალიზმის პარტია. ამ პარტიის თავმჯდომარეა ი. კასუგა, გენერალური მდივანი კი — ს. ცუკამატო. სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეა ტ. ნარიტა, გენერალური მდივანი — მ. ისიბასი.

ომის შემდგომ იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში წამყვანი ადგილი დაიკავა მუშათა კლასმა. ომის შემდგომ პერიოდში პროფკავშირების შექმნის შედეგად მუშათა კლასი ორგანიზებული გახდა. შეიქმნა მრავალი სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაცია. მათ შორის აღსანიშნავია: საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი (1946 წ.), საწარმოო პროფკავშირთა ახალი კონგრესი (1949 წ.), პროფკავშირთა გენერალური საბჭო (1950 წ.). ამ უკანასკნელში წამყვანი ადგილი უკავიათ ნეგმარცხენე პროფკავშირებს და უპარტიო მოღვაწეებს. გენერალური საბჭო 50-იან წლებში 40 დარგობრივ პროფკავშირს აერთიანებდა, რომელშიც 3 მლნ. წევრი იყო. იგი აქტიურად გამოვიდა იაპონიის მილიტარიზაციის და ომის საშიშროების წინააღმდეგ და იბრძოდა იაპონიის დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისათვის, დემოკრატიის დასაცავად.

ზემოაღნიშნულ საკითხებში გენერალურ საბჭოს მხარს უჭერს დამოუკიდებელი პროფკავშირების კავშირის საბჭო.

ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკა და ადგილობრივი რეაქციის ქვეყნის რემილიტარიზაციის კურსი ახალი ომის საშიშროებას ქმნიდა. იაპონიის კომუნისტური პარტია ამხელდა ამერიკის მიერ ახალი ომის მომზადებას და მის პლაცდარმად იაპონიის გამოყენების საშიშროებას. კომუნისტებმა დიდი ბრძოლა გააჩაღეს მშვიდობისათვის. ამ მიზნით ისინი ცდილობდნენ მოსახლეობის ყველა მშვიდობის მოსიყვარეთა ძალების გაერთიანებას. კომპარტია იბრძოდა დემოკრატიული რევოლუციის განხორციელებისათვის, რომელიც მიმართული იყო ორი ძალის — ამერიკის იმპერიალიზმისა და იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ. კომპარტია ხალხთა მასებს მოუწოდებდა, შეექმნათ დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტი და მის საფუძველზე დემოკრატიული კოალიციური მთავრობა.

კომუნისტების ხელმძღვანელობით მოეწყო მუშათა კლასის მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის გაფიცვა. 1946 წელს გაფიცვაში მონაწილეობდა 4 მლნ. კაცი, 1947 წელს — 3,5 მლნ., 1948 წელს — 4,2 მლნ., 1949 წელს — 4,6 მლნ., 1950 წელს — 5 მლნ., 1951 წელს — 6 მლნ. და ა. შ.

მშრომელი მასების რევოლუციური აქტივობის ასეთმა ზრდამ საოკუპაციო ხელისუფლებისა და იაპონიის მმართველი წრეების დიდი შეშფოთება გამოიწვია. მათ გაერთიანებული ძალებით გაიღაშქრეს მშრომელთა მასების დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ.

კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეების წინააღმდეგ მრავალი თავდასხმა მოეწყო. მოფაშისტო ელემენტების მიერ. პრესაში ანტიკომუნისტური კამპანია გაჩაღდა. რეაქციონერებმა შექმნეს „ანტიკომუნისტური ლიგა“. ამერიკის საოკუპაციო ხე-

ლისუფლების მოთხოვნით იაპონიის მთავრობა აშკარა რეპრესიებზე გადავიდა. 1948 წლის გაზაფხულზე კომპარტიის რამდენიმე აქტიური კომუნისტი, მათ შორის ცკ-ის წევრი სატო დააპატიმრეს. მაკარტურმა მთავრობას მოსთხოვა, რომ მიეღო გაფიცვის აკრძალვის კანონი. 1949 წლის ოქტომბერში სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს აეკრძალათ პოლიტიკური საქმიანობა. ამავე წელს იაპონიის პოლიციამ პროფკავშირების წინააღმდეგ შეთითხნა პროვოკაციული ე. წ. „მაცუკავას საქმე". მაცუკავას სადგურთან მოხდარ მატარებლის კატასტროფაში ბრალი ედებოდა რკინიგზელი მუშების ჯგუფს. სასამართლო სასტიკად გაუსწორდა ედანაშაულო მუშებს — ხუთ კაცს სიკვდილი მიუსაჯა, ხუთს — მუდმივი პატიმრობა, დანარჩენებს — ხანგრძლივვადიანი საკატორღო მუშაობა. 1961 წელს ყალბი „მაცუკავას საქმის" გამო ყველა დაპატიმრებული გაამართლეს. მათი გამართლება დემოკრატიული ძალების ხანგრძლივი ბრძოლის შედეგი იყო.

რეაქციის ანტიკომუნისტური — ანტიმუშური რეპრესიების მიუხედავად 1949 წლის პარლამენტის არჩევნებში კომუნისტებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. კომპარტიამ მიიღო 3,5 მლნ. ხმა და 35 დეპუტატის მანდატი (წინა არჩევნებში კი — 2,1 მლნ. ხმა და 4 მანდატი). ანტიკომუნისტური პოლიტიკისა და საშინაო და საგარეო რეაქციასთან აშკარა თანამშრომლობის გამო გამანადგურებელი დარტყმა იგემა სოციალისტურმა პარტიამ.

ჩინეთში ჩან-კაი-შის რეჟიმის ლიკვიდაციის შემდეგ აშშ-ის საოკუპაციო ხელისუფლებამ იაპონიაში აიღო აშკარა რემილიტარიზაციის კურსი და მოითხოვა ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის აღდგენა.

გაძლიერდა რეპრესიები. 1950 წლის ივნისში დაპატიმრებულ იქნა ცკ-ის 24 წევრი, ხოლო პარტიის ცენტრალური ორგანოს „აკაჰატას" („წითელი დროშა") 17 ხელმძღვანელი კანონგარეშე გამოცხადდა და მათ ყოველგვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალათ. დახურეს გაზეთი „აკაჰატა" და სხვა ადგილობრივი კომუნისტური გაზეთები. კომპარტიის მრავალი წევრი დააპატიმრეს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. პარტია იძულებული გახდა ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო. პარტიის მრავალი მოღვაწე გენერალური მდივნის ტოკუდას მეთაურობით დაპატიმრების საშიშროების გამო იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო.

1951 წლის აგვისტოში არალეგალურად მოწვეულმა პარტიულმა კონფერენციამ მიიღო ახალი პროგრამა. იგი ითვალისწინებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი დემოკრატიული მთავრობის შექმნას და

ძირეული გარდაქმნების განხორციელებას, საშინაო ხელშეკრულების დადებას, პოტსდამის დეკლარაციის შესაბამისად საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციას იაპონიაში და ა. შ.

იაპონიის კომპარტია აქტიურად ჩაება ბრძოლაში აშშ-ის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ააშკარავებდა ომის აგრესიულ ხასიათს კორეაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში ახდენდა იაპონიის მოსახლეობის ყველა ფენის მობილიზაციას.

ქვეყნის საშინაო და საგარეო რეაქცია კომპარტიის დასუსტებას ცდილობდა აგრეთვე პარტიაში პროვოკატორებისა და აგენტების შეგზავნით და მისი შიგნიდან აფეთქებით. 50-იანი წლების დასაწყისში პარტიის შიგნით მართლაც გაჩაღდა ფრაქციული ბრძოლა, ხოლო ხელმძღვანელობაში თავი იჩინა წინააღმდეგობამ პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე, რომელიც მხოლოდ 50-იანი წლების შუა პერიოდში იქნა დაძლეული.

დეკარტელიზაციის ყალბი კურსი. იაპონიის ეკონომიკური განვითარება 50-იანი წლების შუა პერიოდამდე. აშშ-ის მთავრობა თავდაპირველად ცდილობდა ქვეყნის ცხოვრებაში იაპონიის ძველი კონცერნების გავლენის შეზღუდვას, მისი ეკონომიკური პოზიციების დასუსტებას საერთაშორისო ასპარეზზე და მათ ხარჯზე თავისი მონოპოლიების პოზიციების განმტკიცებას. ამ მიზნით ამერიკის საოკუპაციო ადმინისტრაციამ შეადგინა რიგი კანონპროექტები, რომლებიც შემდეგ პარლამენტმაც დაამტკიცა. პირველი კანონი 1946 წელს გამოიცა. მას კერძო მონოპოლიების აკრძალვის კანონი ეწოდებოდა, ხოლო 1948 წლისას კი „ეკონომიკური ძლიერების უზომო კონცენტრაციის საწინააღმდეგო კანონი". მაგრამ ფაქტობრივად ცხოვრებაში არც ერთი არ გატარებულა. იაპონიის კონცერნებმა მთლიანად შეინარჩუნეს თავიანთი სიძლიერე. დარტყმა მიაყენეს მხოლოდ ძველ კონცერნს „ძაიბაცუს", რომელიც თავისი სტრუქტურით და მართვის მეთოდით მოძველებული იყო.

ჩინეთში ჩან-კაი-შის რეჟიმის ლიკვიდაციისა და „ცივი ომის" გაჩაღების შემდეგ აშშ-ის მთავრობამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება იაპონიის კონცერნებისადმი. 1951 წელს მათზე ყოველგვარი შეზღუდვები მოიხსნა და თავისუფალი მოქმედების უფლება მიეცათ. უფრო მეტიც, აშშ-ის მთავრობა მათ ეხმარებოდა. იაპონური კომპანიების ყოფილი მფლობელები და მოხელეები აღადგინეს ძველ უფლებებში..

1951 წლისათვის მსხვილმა მონოპოლიებმა მთლიანად აღადგინეს თავიანთი პოზიციები იაპონიის ეკონომიკაში.

1950 წლის ივნისში გამოიცა „კანონი საზღვარგარეთული ინვესტიციების შესახებ", რომლის მიხედვით იაპონიის ეკონომიკაში 1950—

1955 წლებში დაბანდებულ იქნა საზღვარგარეთის კერძო კაპიტალი 12,6 მლრდ. იენის ოდენობით (35,2 მლნ. დოლარი). უცხოელების ხელში იყო იაპონია კომპანიების 120 მლნ. აქცია, რაც შეადგენდა ყველა რეგისტრაციაში გატარებული აქციის 2%. უცხოეთის დაბანდებული კაპიტალის 70% აშშ-ზე მოდიოდა.

ამრიგად, უცხოეთის კაპიტალის დაბანდება საკმაოდ დიდი იყო ქვეყნის ეკონომიკაში, რომლის წყალობით მრეწველობა წინსვლა დარგებმა 50-იანი წლების დამდეგისათვის ომამდელ დონეს მიაღწიეს.

ომმა კორეაში მნიშვნელოვნად გაზარდა აშშ-ის დაკვეთები იაპონიის მრეწველობაში, რამაც ბიძგი მისცა იაპონიის ეკონომიკის განვითარებას.

1950—1951 წლებში იაპონიის მრეწველობა მთლიანად აღდგა და 1937 წლის დონეს მიაღწია, რის შემდეგ იწყება მისი აღმავლობა.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობაშიც. რეფორმის შედეგად სოფლად შეიქმნა მესაკუთრე-ფერმერთა კლასი, რომელიც ფართოდ ნერგავდა მექანიზაციას და აგროქიმიური მეცნიერების მიღწევებს. ამასთანავე გლეხთა კომლების რაოდენობა უმნიშვნელოდ, 100 ათასით, ე. ი. 2%-ით შემცირდა. მაგრამ იაპონიის სოფლისათვის მაინც დამახასიათებელია გლეხთა პარცელარული მეურნეობა. სოფლის მეურნეობაში მიწათმფლობელობის საშუალო დონე უდრის 0.8 ჰექტარს. მიწის კონცენტრაციის და მსხვილი მეურნეობის შექმნის პროცესი იაპონიაში თვით 70-იანი წლების შუა პერიოდამდე ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და მთავრობა პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე თავისი მხარდამჭერი სოციალური ბაზის გაფართოების მიზნით აქტიურად უჭერს მხარს გლეხთა საშუალო და წვრილ მეურნეობებს სახელმწიფოსა და მშრომელთა სხვა ფენების ხარჯზე, ვინაიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტები ფაქტობრივ ღირებულებაზე მეტად იყიდება. ასევე პოლიტიკური ინტერესებისა და სოციალური ბაზის განმტკიცების მიზნით მმართველ წრეებში ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ წვრილ საწარმოებს. ამით აიხსნება ძირითადად ის გარემოება, რომ თანამედროვე იაპონიაში გიგანტური ხასიათის საწარმოების გვერდით დიდ სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებენ წვრილი საწარმოები. მაგრამ ამ უკანასკნელთა ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიკაში დიდი არ არის.

საგარეო პოლიტიკა. იაპონიის საგარეო პოლიტიკა 50-იან წლებამდე ამერიკის კონტროლის ქვეშ იყო. უფრო მეტიც, იაპონიის მთავრობა ბრმად და მონური ერთგულებით ასრულებდა ამერიკის იმპერიალიზმის ნება-სურვილს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტი-

კაში. ამერიკის კონტროლის ქვეშ იყო იაპონიის მთელი საგარეო ვაჭრობა.

ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ აშშ-ის მმართველი წრეების დამოკიდებულება თანდათანობით, მაგრამ განუხრელად იცვლებოდა. აშშ დაადგა იაპონიის აშკარა რემილიტარიზაციის გზას და ქვეყნის რეაქციასთან კავშირის შეკვრით ფიქრობდა იაპონიის პოტენციალის გამოყენებას ჩინეთის და, საერთოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. იაპონიის ტერიტორია წყნარ ოკეანეში გადაიქცა აშშ-ის ძირითად სამხედრო ბაზად. კორეაში ომის გაჩაღების შემდეგ აშშ-ის მთავრობამ დააჩქარა სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება იაპონიასთან. საყურადღებოა, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების პირობები, პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით, უნდა შეემუშავებინა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, მაგრამ აშშ-ის მთავრობამ უარი თქვა მისთვის ამ საკითხის გადაცემაზე და თვითონ შეიმუშავა ზავის პროექტი. 1951 წლის სექტემბერში სან-ფრანცისკოში აშშ-მა მოიწვია კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 52 სახელმწიფო, მათ შორის საბჭოთა კავშირი. პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია. სხვა სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის ჩინეთის სრ. კსდრ, ვდრ, მსრ, არ მოიწვიეს. 49 სახელმწიფომ ხელი მოაწერა სან-ფრანცისკოს საზავო ხელშეკრულებას იაპონიასთან. სსრ კავშირმა, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ უარი განაცხადეს ხელის მოწერაზე. ინდოეთმა და ბირმამ უარი თქვეს სან-ფრანცისკოს კონფერენციაში მონაწილეობაზე და ცალკე დადეს ზავი იაპონიასთან.

სან-ფრანცისკოს ზავით იაპონია გამოცხადდა სუვერენულ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. შორეულ აღმოსავლეთის კომისია და იაპონიის სამოკავშირეო საბჭო, მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და ჩსრ-ის პროტესტებისა, ცალმხრივად დათხოვნილად გამოცხადდა. გაუქმდა აშშ-ის საოკუპაციო სტატუსი იაპონიაში და მთელი სახელმწიფო ხელისუფლება იაპონიის მთავრობის ხელში გადავიდა.

მაგრამ იაპონიის სახელმწიფო სუვერენიტეტი ისეთი სახით აღდგა, რომ აშშ ინარჩუნებდა ყველა იმ უპირატესობასა და პრივილეგიას, რომლებიც ოკუპაციის წლებში მიიღო.

აშშ-სა და იაპონიას შორის სან-ფრანცისკოს ზავის გაფორმების ერთდროულად დაიდო სამხედრო ხელშეკრულება, რომლითაც აშშ იაპონიის ტერიტორიაზე განუსაზღვრელი რაოდენობის ჯარების ყოლისა და სამხედრო ბაზების შექმნის უფლება მიიღო. 1952 წლის 28 თებერვლის შეთანხმებით უშიშროების პაქტი დაზუსტდა, გაფართოვდა და ახალი დამატებებით შეივსო.

1954 წლის 8 მარტს გაფორმდა შეთანხმება ურთიერთუშიშროების

უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა იაპონიაში მყოფი ამერიკის ჯარების გამოყენებას „უწესრიგობის“ შემთხვევაში[1].

1954 წლის 30 ოქტომბერს ძალაში შევიდა ეკონომიკური ურთიერთობის ხელშეკრულება მეგობრობის, ვაჭრობის და ზღვაოსნობის შესახებ.

საზავო ხელშეკრულების შემდეგ იაპონია შეუდგა არმიის აღდგენას, რაც აშშ-ის დახმარებით მიმდინარეობდა. ეს კი იყო კონსტიტუციის დარღვევა.

1956 წელს აშშ-მა და იაპონიამ ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას თავდაცვითი ხასიათის პატენტებისა და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის შესახებ.

ყველა ეს ხელშეკრულება და შეთანხმება გადაიქცა იურიდიულ საფუძვლად ამ ქვეყნებს შორის მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის გაძლიერებისათვის. ამერიკის მიზანი იყო იაპონიის გამოყენება სამხედრო-სამრეწველო და ოპერატიულ ბაზად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამრიგად ომის შემდგომ იაპონიაში მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის პირობებში იაპონიის ბურჟუაზია და გაბატონებული კლასები თავიანთი ბატონობის შენარჩუნების მიზნით იძულებული გახდნენ, აშშ-თან დამამცირებელ კავშირზე დათანხმებულიყვნენ და უმცროსი პარტნიორის როლი შეესრულებინათ, ვიდრე თავიანთი საშინაო და საგარეო პოზიციების აღდგენას შეძლებდნენ. მაგრამ ეკონომიკურად გაძლიერებისა და საერთაშორისო არენაზე პოზიციების განმტკიცების შემდეგ იაპონიის ბურჟუაზიამ დაიწყო ბრძოლა აშშ-თან თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარებისა და საკუთარი მიზნებისათვის, რითაც ხშირად ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესებს უპირისპირდებოდა.

§ 68. იაპონიის ეკონომიკური განვითარება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე

იაპონიის ეკონომიკური განვითარების „სასწაული“. 50-იანი წლების დასაწყისში იაპონიის ეკონომიკამ ომამდელ დონეს მიაღწია. ამ დროისათვის ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლების მხარდაჭერით იაპონიის მონოპოლისტურმა კაპიტალმა მთლიანად აღადგინა თავისი

[1] „უშიშროების ხელშეკრულება“ გადასინჯეს 1960 წელს და მისი ვადა გაკრძელდა 1970 წლამდე. 1971 წელს ორივე მხარემ ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას, რომლითაც 1972 წლის მაისიდან აშშ-მა დაუბრუნა იაპონიას ადმინისტრაციული უფლებები ოკინავაზე, მაგრამ მისი ჯარები და ბაზები კვლავ რჩება იქ.

პოზიციები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. 50-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა. 1955—1973 წლებში ეკონომიკის ზრდის ყოველწლიურმა ტემპებმა საშუალოდ შეადგინა 16% (გფრ-ში — 10%, საფრანგეთში — 5—6%, ინგლისში — 3%). ასეთი მაღალი ტემპების შედეგად 1975 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 13—14-ჯერ გადააჭარბა ომამდელს.

ომის შემდგომი 25 წლის განმავლობაში იაპონიამ შეძლო ომისაგან მიყენებული ჭრილობების არა მარტო მოშუშება, არამედ 1968 წელს კაპიტალისტურ სამყაროში მან საერთო ეროვნული პროდუქციის მოცულობით მეორე ადგილი დაიკავა.

1973 წლისათვის იაპონიას კაპიტალისტურ სამყაროში პირველი ადგილი ეკავა გემთმშენებლობაში, ტელევიზორების, რადიომიმღებების წარმოებაში, მეორე (აშშ-ის შემდეგ) — ელექტროენერგიის, თუჯის, ფოლადის, ავტომანქანების, ქიმიური პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოებაში, მესამე (აშშ-ის და გფრ-ის შემდეგ) — დაზგების წარმოებაში.

„ეკონომიკური სასწაულის ქვეყანაში", როგორც მონათლეს იაპონია ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა, უპირატესად იზრდებოდა მრეწველობის ყველაზე უფრო მომგებიანი და ახალი დარგები და მძიმე ინდუსტრია.

1973 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება წინა წელთან შედარებით 17,5%-ით გაიზარდა. 1973 წელს განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მანქანათმშენებლობა (24%), ნავთობქიმია (19,3%), მეტალურგიული მრეწველობა (23,5%).

იაპონია თავისი ეკონომიკური პოტენციალით კაპიტალისტური სამყაროს მესამე ცენტრად გადაიქცა.

„ეკონომიკური სასწაულის" მიზეზები

იაპონიის „ეკონომიკურ სასწაულად" მიჩნეულია მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მუშათა კლასის ექსპლუატაციის მაღალი დონე. იგი მონოპოლიებს დიდ მოგებებს აძლევს. მოგების ღირებულება იაპონიაში ბევრად მაღალი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში [1].

იაპონელი ეკონომისტების გამოანგარიშებით ხელფასის ხვედრითი წონა რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაში 60-იანი წლების

---

[1] 1950—1955 წლებში იგი შეადგენდა 246,9%, 1956—1960 წწ. — 292,9%, 1961—1965 წწ. — 316%, 1969 წელს — 317%.

შუა პერიოდში შეადგენდა: გფრ-ში — 22,7%, საფრანგეთში—25,6%, ინგლისში — 26,9%, აშშ — 31,7%, იაპონიაში — კი მხოლოდ 10,9%.

იაპონიის მშრომელებმა დაძაბული ბრძოლის შედეგად 1961—1970 წლებში მიაღწიეს ნომინალური ხელფასის ყოველწლიურ ზრდას (12.2%). 1960 წელთან შედარებით 1971 წლისათვის მშრომელთა რეალური ხელფასი 91%-ით გაიზარდა, მაგრამ 1970 წლისათვის იგი 3.6-ჯერ დაბალი იყო, ვიდრე აშშ-ში, 42%-ით დაბალი, ვიდრე გფრ-ში და 34%-ით დაბალი, ვიდრე ინგლისში.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორი. შრომის ნაყოფიერება იაპონიაში უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მაგალითად, 1961—1970 წლებში შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად იზრდებოდა 11.1%, აშშ-ში — 3.1%, ინგლისში — 3.2%, საფრანგეთში — 6.4%, გფრ-ში — 6,0%, იტალიაში — 6,4%. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 1951—1961 წლებში 86,6%, 1962—1966 წლებში — 83.7%.

შრომის ნაყოფიერებასა და ხელფასის დონეს შორის დიდი განსხვავების შედეგი ის არის, რომ სამუშაო ძალაზე გაწეული ხარჯები წარმოების ღირებულებასთან შედარებით 2,5—3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე აშშ-ში ან დასავლეთ ევროპაში.

ამის შედეგი ის იყო, რომ იაპონიის მონოპოლიები ყოველწლიურად უზარმაზარ მოგებებს ღებულობდნენ. ამასთანავე იაპონიაში უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, მოგებას ახალი კაპიტალის სახით ისევ წარმოებაში აბანდებდნენ. ამის გამო დაგროვების ნორმა საერთო ეროვნულ პროდუქციაში 1955—1970 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ შეადგენდა 31,1%, გფრ-ში — 24,4%, საფრანგეთში — 22,4%, იტალიაში — 20.8%, ინგლისში — 16,7%, აშშ-ში — 14,3%.

საყურადღებოა, რომ საერთო ეროვნული პროდუქციის 1%-ით გაზრდისათვის იაპონია ხარჯავს დაგროვების 3%, ინგლისი — 7.4%, აშშ — 5.5%, გფრ — 4,4%. აშშ-ისა და დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, სადაც წარმოების გაფართოებისათვის ძირითად თანხას თითქმის თვითონ საწარმოები აბანდებენ, იაპონიაში ამ მიზნისათვის ფართოდ იყენებენ სესხის სახსრებს, ბანკის კრედიტებს ან მთავრობის სუბსიდიებს (25% მოდის საკუთარ სახსრებზე და 75% — სესხზე). ასეთი მდგომარეობა დამყარდა იაპონიაში სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების პირობებში.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფაქტორი. ომის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობა იაპონიაში განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობდა — არა თავისუფალი წარმოების პირობებში, არამედ სახელმწიფო-მონოპოლისტური სისტემის პირობებში, რომელმაც ომის შემდეგ ახალი ფორმები მიიღო.

1955—1970 წლებში სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იყო ძირითადი კაპიტალის საერთო დაგროვების 26%, რაც იმით აიხსნება, რომ ქვეყნის საფინანსო სტრუქტურაში მცირე ადგილი უკავია სახელმწიფო აპარატის შენახვასა და სამხედრო ხარჯებს.

მონოპოლიები დიდ დახმარებას იღებდნენ სახელმწიფოსაგან მსხვილი კრედიტების სახით, რამაც საშუალება მისცა მათ სწრაფად შეექმნათ მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც თავდაპირველად დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, კერძოდ ელექტროენერგიის, ნავთობგადამუშავების, გემთმშენებლობის, ქიმიისა და ატომის.

საყურადღებოა, რომ 1957—1967 წლებში მთელი კაპიტალური დაბანდებების თითქმის 75% მოდიოდა ოთხ წამყვან დარგზე: მეტალურგიაზე, მანქანათმშენებლობაზე, ქიმიურ და ნავთობგადამმუშავებელ მრეწველობაზე. მრეწველობის ამ დარგების მკვეთრმა ზრდამ შექმნა ტექნიკური გადატრიალების პირობები.

სამრეწველო პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოება იაპონიაში

პროდუქციის სახეები	ზომის ერთეული	1934—1939 წწ.	1944 წ.	1950 წ.	1960 წ.	1972 წ.
ელექტროენერგია	მლრდ. კვტ. საათი	22,5	33,1	39,1	101,3	327
ქვანახშირი	მლნ. ტ.	38,5	52,9	38,5	51,1	28,1
ნავთობპროდუქტები	„	—	—	—	—	201
ალუმინი	ათ. ტ.	2,6	109,5	24,6	131,2	1008,6
ფოლადი	მლნ. ტ.	4,6	6,7	4,8	22,1	96,9
ლითონის დამმუშავებელი დანგები	ათ. ცალი	11,3	53,8	4,0	80,1	164,2
რადიომიმღებები	მლნ. ცალი	0,3	0,3	0,3	12,8	26,8
ავტომანქანები (მსუბუქი და სატვირთო)	ათ. ცალი	5,7	21,3	28,1	473,8	6290,6
საზღვაო გემები	მლნ. კვტ[1]	—	—	—	—	12,8
ცემენტი	მლნ. ტ.	5,2	3,0	4,5	22,5	66,3
ბამბეულის ნართი	ათ. ტ.	643,5	56,0	238,3	564,0	555,1
შალეულის ნართი	ათ. ტ.	61,2	9,1	32,5	133,7	196,4
ტელევიზორები	მლნ. ცალი	—	—	—	—	13,0

ომის შემდგომ იაპონიაში სახელმწიფო აქტიურად ერევა წარმოების სფეროში და გეგმავს მის განვითარებას. 60-იან წლებამდე სახელმწიფო მხოლოდ თავისი სექტორის დაგეგმვას ახორციელებდა და არაპირდაპირ გავლენას ახდენდა კერძო წარმოებაზე, შემდეგ კი დაგეგმ-

[1] დედოვეტი ნიშნავს გემის მთლიან ტვირთმზიდაობას, მათ შორის გემის კერძოსაკუთრებაში ყველა აუცილებელი მარაგით (საბობით, წყლით და სხვ.).

ვამ იაპონიის ეკონომიკის პერსპექტივები მთლიანად მოიცვა. მთავრობა ახდენდა სახელმწიფო[1] და კერძო სექტორების[2] კოორდინირებას.

1961 წელს მთავრობამ შეიმუშავა „იაპონიის ეკონომიკის დაჩქარებული ზრდისა და ეროვნული შემოსავლის განმტკიცების“ ათწლიანი (1961—1970 წწ.) გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა უზარმაზარი კომბინატების მშენებლობას და ინდუსტრიის ცალკეული რაიონების შექმნას, რასაც უნდა გამოეწვია „ეროვნული შემოსავლის გაორკეცებით გაზრდა“. საყურადღებოა, რომ ამ გეგმით ნავთობის ხვედრითი წონა ენერგიის წყაროების საერთო მოცულობაში 30%-დან (1959 წ.) უნდა გაზრდილიყო 50%-მდე (1970 წ.). გათვალისწინებული იყო, რომ 1972 წელს იმპორტული ნავთობით დაიფარებოდა ენერგიის მოთხოვნილების 50%. მაგრამ მან 85% მიაღწია. ამიტომ ქვეყანაში მოპოვებული ნახშირის ხვედრითი წონა ენერგიის წარმოებაში თუ 1960 წელს 34%-ს აღწევდა, 1972 წელს 6%-მდე დაეცა. ასეთი ენერგეტი-

---

[1] სახელმწიფო საწარმოები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: 1. პირდაპირი სახელმწიფო საწარმოები; 2. არაპირდაპირი სახელმწიფო საწარმოები. პირველში შედის ხუთი სახელმწიფო უწყება, რომელთა შორის ყველაზე დიდია საფოსტო და შემნახველი სალაროების ქსელი. მეორე ჯგუფს ეკუთვნის საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი საწარმოები, რომელთა შორის ყველაზე დიდია იაპონიის განვითარების სახელმწიფო ბანკი, ექსპორტ-იმპორტის ბანკი, რკინიგზები, მიწის ნაკვეთები (ქალაქის). ტელ. ტრანსპორტი. ტელეგრაფ-ტელეფონი. შარავნები. სახელმწიფო ქონება და საწარმოების დიდი ნაწილი არამომგებიანი აქციებისაგან შ. დგება. 4640 საწარმოს კომპანიების 109 მლრდ. იენი აქციიდან მხოლოდ 404 მლნ, ე. ი. 0,4% იყო სახელმწიფოს ხელში (1969 წელს). 1960 წლის მონაცემებით, იაპონიის მთელი ეროვნული ქონების ღირებულება 30,2 ტრილიონ იენს შეადგენდა, რომლიდანაც სახელმწიფოზე მოდიოდა 24,6%, დანარჩენი კი კერძო საკუთრების კუთვნილებაა. ამრიგად, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს სახელმწიფო საკუთრება მოიცავს წარმოების საშუალების მცირე ნაწილს და უმნიშვნელო როლს ასრულებს ეროვნული შემოსავლის შექმნაში.

[2] 1971 წლისათვის ხუთი ჩამყვანი კომპანია იძლეოდა თუჯის წარმოების 94,4%, ფოლადის — 78,2%, სპილენძის — 91%, მსუბუქი ავტომანქანების — 91,3%, ავტოსაბურავების წარმოების — 96,3%; სამი მსხვილი უძლიერესი ფინანსური ჯგუფის — „მიცუის“, „მიცუბიში“ და „სუმი ტომო“ ხელშია ქვეყნის მთელი საძრავველი წარმოების 1/5. საბანკო აქტივების 56% და ანაბრების 2/3 10 მსხვილი კერძო ბანკის ხელშია.

1970 წელს გამოქვეყნდა მსოფლიოს კაპიტალისტური სამყაროს 200 უმსხვილესი კომპანიის სია (მათ შორის აშშ-ის), რომელშიც 50 იაპონიის კომპანიაა. ყოველი მათგანის ყოველწლიურად გაყიდული პროდუქციის საერთო ღირებულება აღემატება 1 მლრდ. დოლარს.

მეორე მხრივ, იაპონიაში არსებობს 870 ათასი წვრილი და საშუალო საწარმო და მრავალი უწვრილესი სახელოსნო, რომლებშიც დაკავებულია 8 მლნ. წვრილი და საშუალო მეწარმე (ე. ი. დასაქმებულთა 15%) და 21 მლნ. დაქირავებული მუშა (33,5 მლნ. საერთო რიცხოვნობიდან), მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში მთელი სამრეწველო პროდუქციის 1/3-ს აწარმოებდნენ მსხვილი საწარმოები.

კული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ იმპორტულ ნავთობზე თითქმის 100%-ით არის დამოკიდებული ქვეყნის ენერგეტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

1970 წელს მიღებულ იქნა „1970—1975 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა". ეს უკვე იყო „გეგმა-პროგნოზი", რომელშიც ზუსტადაა განსაზღვრული სახელმწიფოსა და მონოპოლიების ფუნქციები. აქ აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს ხელთ უნდა იყოს სოციალური ღონისძიებების განხორციელება, მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის ჩატარება და პერსპექტიული დარგების განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ამასთანავე, ამ პროგრამის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ იაპონიის ეკონომიკის შემდგომი განვითარება დამოკიდებული ხდება სამეურნეო კავშირების ინტერნაციონალიზაციაზე და სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური ინტერნაციონალური სისტემის შექმნაზე. ამ თვალსაზრისით აღნიშნული გეგმა მონოპოლიების ექსპანსიის ერთგვარი შორსგამიზნული პროგრამაა.

1972 წელს შემუშავდა კიდევ ერთი — „1973—1977 წწ. ეკონომიკური განვითარების გეგმა", რომლის მიზანი იყო 1970—1975 წლების გეგმის შეცვლა, ვინაიდან იგი არახელსაყრელი აღმოჩნდა. ტექნიკურ ასპექტში იგი მიზნად ისახავს მსხვილი საწარმოების ახალ რაიონებში გადატანას, ქალაქების რეკონსტრუქციას, სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესებას, გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლას და ა. შ.

ზემოთ აღნიშნული ყველა გეგმა ატარებს საორიენტაციო ხასიათს. 50-იანი წლების შუა პერიოდიდან დაახლოებით 20 პერსპექტიული გეგმა შედგა. გეგმების პროექტებს იმუშავებს ეკონომიკური დაგეგმვის სამმართველო. ეკონომიკურ პროგრამებს ადგენენ ქვეყნის წამყვანი მონოპოლიები. ამ სამუშაოებს ისინი თავიანთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს ავალებენ.

70-იანი წლებიდან იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალის თავისებურებაში ახალი ისაა, რომ მისი წამყვანი კომპანიების გავლენა გასცილდა ქვეყნის ფარგლებს. ისინი გადაიქცნენ ზეეროვნულ მონოპოლიებად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფაქტორი. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბურჟუაზია. მიმართავს „მშრომელთა ექსპლუატაციისა და ჩაგვრის უფრო შენიღბულ ფორმებს... მონოპოლიები ფართოდ იყენებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს .პოზიციების განსამტკიცებლად, წარმოების ეფექტიანობისა და ტემპების გასაზრდელად, მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის გასაძლიერებლად" [1].

---

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1972, გვ. 18.

მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიას იაპონიის მონოპოლიები ფართო მასშტაბებით ნერგავდნენ, რაც მშრომელთა მასების ექსპლუატაციის ახალ შესაძლებლობებს ქმნიდა, იზრდებოდა შრომის ინტენსიფიკაცია.

მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართო გამოყენების შედეგები ის იყო, რომ იაპონიის მონოპოლიებმა მსხვილი ინდუსტრიული ბაზა შექმნეს. მისი საფუძველი გახდა ენერგეტიკა. ძძიმე მრეწველობა, ქიმიური მრეწველობის წამყვანი დარგები, მოდერნიზებული საამშენებლო-ინდუსტრია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების უმრავლესობა თვით იაპონიაში კი არ იქმნებოდა, არამედ მრავალ საუკეთესო ძვირად ღირებულ გამოგონებას, პატენტებს აშშ-ში, გფრ-ში და სხვაგან ყიდულობდნენ, შემდეგ კი შემოქმედებითად ნერგავდნენ იაპონიის პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისეთი მიღწევების დანერგვას, რომლებიც მშრომელთა ექსპლუატაციის უფრო ეფექტურ შესაძლებლობებს იძლეოდა.

იაპონიის მრეწველობის კონიუნქტურულ ზრდას ხელი შეუწყო წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლამაც. წამყვან დარგებში ახალი ტექნიკის ბაზაზე გაძლიერდა ტექნოლოგიური კომბინირების პროცესი. ამასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა კომბინატების როლი, რომლებიც ერთ საწარმოში აერთიანებენ წარმოების სხვადასხვა დარგს, რაც ხელს უწყობს სამრეწველო და ნედლეულის ნარჩენების ფართოდ გამოყენებას. ეს პროცესი განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში და ქიმიურ მრეწველობაში.

ამრიგად, „ეკონომიკური სასწაული" იაპონიაში შესაძლებელი გახდა შემდეგი ობიექტური ფაქტორების გამო: მშრომელთა გაძლიერებული ექსპლუატაციის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, სახელმწიფო რესურსებისა და სესხების, აგრეთვე უცხოური კაპიტალდაბანდების გამოყენების, დაგროვების მაღალი ნორმის, მშრომელთა დანაზოგების გამოყენების, მოხმარების მაღალი დონის, სამხედრო კონიუნქტურის გამოყენების, მაღალკვალიფიციური კადრების არსებობისა და სხვათა შედეგად.

იაპონიის იმპერიალიზმის მანკიერი მხარეები. იაპონიის იმპერიალიზმს ახასიათებს რიგი საშინაო და საგარეო წინააღმდეგობანი, რომლებიც ძირს უთხრის ეკონომიკის საფუძვლებს. ესაა წინააღმდეგობანი შრომასა და კაპიტალს შორის, დისპროპორციის არსებობა მსხვილ და წვრილ საწარმოებს შორის, გარემოს გაჭუჭყიანება კოლოსალური მასშტაბებით, ინფლაციის და ფასების განუწყვეტელი ზრდა, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ძალზე დაბალი დონე, ბუნება-

რივი რესურსების. სიღატაკე, ეკონომიკური პოტენციალის ძლიერი ჩამორჩენა აშშ-სა და დასავლეთ ევროპასთან შედარებით, ეკონომიკის დამოკიდებულება საგარეო ფაქტორებზე: უცხოური ნედლეულის შემოტანაზე, ფასებზე. მრეწველობაში მშრომელთა დასაქმებაზე და ა. შ.

იაპონიას ყოველწლიურად საშუალოდ მთელი პროდუქციის 25—30% საზღვარგარეთ გააქვს და ქვეყნისათვის საჭირო ნედლეულის არანაკლები 75—80% საზღვარგარეთიდან შემოაქვს. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნედლეულის, იმპორტი კი 100%-ს შეადგენს. მსოფლიო კონიუნქტურის მერყეობა ნედლეულის ბაზარზე ძლიერად მოქმედებს იაპონიის ეკონომიკის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის დროს [1]. იაპონიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1955—1975 წლებში 4,5 მლრდ. დოლარიდან 113,5 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა (მათ რიცხვში იმპორტი — 58,8 მლრდ. დოლარით, ექსპორტი — 55,7 მლრდ. დოლარით).

მსხვილი მონოპოლიები უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გატაცებული იყვნენ რა ყოველგვარი საშუალებებით ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პოლიტიკით, უგულებელყოფდნენ ისეთი გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა: გარემოს გაჭუჭყიანება, ქალაქების უთანაბრო ზრდა, მრეწველობისა და მოსახლეობის არნახულად მაღალი კონცენტრაცია გარკვეულ რაიონებში, წყლის, ენერგიის და ჰაერის უკმარისობა, ტრანსპორტის მეტისმეტი გადატვირთვა.

იაპონიის წარმოების სტრუქტურა, მისი მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ მრეწველობის გეოგრაფიული განლაგება უმნიშვნელოდ შეიცვალა: უფრო ინტენსიურად ვითარდება იაპონიის აღმოსავლეთი სანაპირო რაიონები წყნარ ოკეანესთან.

საყურადღებოა, რომ იაპონიაში, წყნარი ოკეანის ვიწრო ზოლში, მუშავდება ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის $^3/_4$. ქვეყნის 17% ტერიტორიაზე ცხოვრობს მოსახლეობის 53,5%. ამ რაიონში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 8688 კაცს შეადგენს. ყოველწლიურად მრეწველობის 70 მლნ. ტონა ნარჩენები წამლავს მდინარეებს, ტბებს და ზღვის სანაპიროებს. ატმოსფერო კატასტროფულად ჭუჭყიანდება. უდიდესი ხმაური ქალაქებში ქმნის საოცრად დაძაბულ გარემოს. ყველაფერი ეს ეროვნული უბედურების მასშტაბებს იღებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა იაპონიის იმპერიალიზმმა, იმ დიდი ცვლილებების შედეგად, რომლებიც მოხდა საერთაშორისო არენაზე და ქვეყანაში რეფორმების გატარების შემდეგ, დაკარგა თა-

---

[1] სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო ბაზრებზე დამოკიდებულება უფრო ნაკლებია: საფრანგეთის — 11%, გფრ-ის — 13%, იტალიის — 15%, ინგლისის — 20%, აშშ-ის — 5%.

ვისი სამხედრო-ფეოდალური ხასიათი. ომის შემდეგ დასუსტდა სახელმწიფო აპარატის სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერე და მისი შემადგენლობა. სამაგიეროდ გაიზარდა ბურჟუაზიის იმ ნაწილის ხვედრითი წონა, რომელიც სამოქალაქო ეკონომიკური რეგულირების ფუნქციებს ასრულებს.

იაპონია ამჟამად წარმოადგენს კლასიკური, მაღალგანვითარებული სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ტიპის ქვეყანას. მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე ძლიერია უმსხვილესი მონოპოლიების პოზიციები.

§ 69. საშინაო პოლიტიკა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე

მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. 1955 წლიდან[1] მთავრობის სათავეში იდგა ისიბასის კაბინეტი, რომელიც შეცვალა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა კისის კაბინეტმა. 1958 წლის მაისში ჩატარდა მორიგი საპარლამენტო არჩევნები, რომლის დროსაც ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ[2] ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მიიღო და პარლამენტში დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა (287 ადგილი 467-დან). არჩევნების შედეგად მთავრობაში რაიმე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. კისის მთავრობა ხელისუფლების სათავეში 1960 წლის ივლისამდე იდგა.

1960 წლის ზაფხულიდან 1964 წლის ნოემბრამდე მთავრობის მეთაური იყო იკედა, ხოლო შემდეგ პრემიერ-მინისტრის ადგილი დაიკავა სატომ. იგი ამ ადგილზე 1972 წლის ივლისამდე დარჩა. მის შემდეგ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ტანაკა.

იაპონიაში ამ დროს არსებული მაღალი კონიუნქტურის წყალობით ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია 1955 წლიდან 1976 წლამდე ყველა საპარლამენტო არჩევნებში იმარჯვებდა. მას პარლამენტში დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა ჰყავდა. ეს არის მსხვილი ბურჟუაზიის პარტია, მაგრამ მასში გაერთიანებულია წვრილი და საშუალო

---

[1] 1946—1954 წლებში მთავრობის სათავეში იდგა ლიბერალური პარტიის ლიდერი იოსიდა.

[2] 1955 წელს ლიბერალური და დემოკრატიული პარტიები გაერთიანდნენ და შეიქმნა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. იგი 1955 წლიდან თითქმის შეუცველად დგას ხელისუფლების სათავეში.

დემოკრატიული პარტია კი (რომელიც ლიბერალურ პარტიასთან გაერთიანდა) შეიქმნა 1954 წლის ნოემბერში პროგრესული პარტიისა და ლიბერალური პარტიის ყოფილი წევრებისაგან ხატოიმის მეთაურობით, რომელიც ლიბერალებს ფრაქციული წინააღმდეგობის ვაკო გაეთიშა.

ბურჟუაზიაც, შეძლებულ გლეხთა დიდი ნაწილი, ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციულ მოხელეთა უმრავლესობა. ამ უკანასკნელთა მხარდაჭერით ამომრჩეველებში მან დიდი მხარდაჭერა პოვა[1].

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური პოლიტიკური პლატფორმაა ფართო დაპირებითი დეკლარაცია შრომისა და კაპიტალის „ჰარმონიის" შესახებ, მშრომელთა ყველა ფენის ინტერესების „ერთნაირად დაცვა", „განათლებული დემოკრატიული სახელმწიფოს" შექმნა, თავისუფალი წარმოების პოლიტიკის დაცვა. პარტიას ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ იაპონიის საქმიანი სამყაროს მაგნატები, რომლებიც პარტიას აფინანსებენ. და ამიტომ პარტია მათ გარკვეულ გავლენაშია.

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პლატფორმაზე დიდ გავლენას ახდენს აშშ-ის სამხედრო და ფინანსურ წრეებთან ამ პარტიის ლიდერების კავშირი. იაპონიაში თანდათანობით იზრდებოდა დემოკრატიული ბანაკის გავლენა, რომლისადმი ანგარიშის გაწევის გარეშე ქვეყნის გამგებლობა სულ უფრო უჭირდა მმართველ პარტიას. მაგალითად, კაკუეი ტანაკას პრემიერ-მინისტრად და პარტიის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბურჟუაზიული პრესა მას რეკლამას უკეთებდა, როგორც სახალხო პრემიერს, რომელიც თითქოსდა ყველაზე „დაბალი წრიდან" ამაღლდა ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალამდე.

„ლოკჰიდის საქმე" და პოლიტიკური კრიზისი იაპონიაში. კ. ტანაკამ, ამ „სახალხო" პრემიერმა, ძალაუფლების შენარჩუნება ორი წლის განმავლობაშიც ვერ შეძლო. იგი ამხილეს სამარცხვინო მექრთამეობაში — ქრთამი აიღო აშშ-ის საავიაციო კომპანია „ლოკჰიდისაგან" თვითმფრინავების გასაღებაში ხელშეწყობისათვის.

ამ სამარცხვინო ფაქტმა მწვავე პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია ქვეყანაში. განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. ქვეყნის დემოკრატიული ძალები, მოხელეები და ბურჟუაზიის ნაწილიც კი აღშფოთებით შეხვდნენ ამ სამარცხვინო აქტს. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა მთავრობის მეთაურის პრაქტიკაში..

---

[1] ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კლასობრივი შემადგენლობის სურათს იძლევა 1969 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგად ამ პარტიის 302 დეპუტატიდან 76 მთავრობის ყოფილი მოხელე იყო, 66 — კომპანიის პრეზიდენტი და მმართველი, 57 დეპუტატი პრეფექტურების, ქალაქის და სოფლის კრებების წევრი, 33 — ყოფილი გუბერნატორი, მერი და ადგილობრივი პოლიტიკოსი. დეპუტატების თითქმის ნახევარი (302-დან 142) იყვნენ ბიუროკრატიისა და მრეწველების წარმომადგენლები, დანარჩენები — ადვოკატები, პროფესორები, ექიმები, სანეველრები. პარლამენტში ამ პარტიიდან მშრომელთა არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა.

ტანაკას მეგობრები, თანამზრახველები და საქმიანი სამყაროს მაგნატები ცდილობდნენ მთავრობის კრიზისის გადაწყვეტას ტანაკას დაუყოვნებლივ გადადგომით. მაგრამ ოპოზიცია, საზოგადოების ფართო ფენები და თვით ამ პარტიის საღი ელემენტები მოითხოვდნენ გადამწყვეტი ზომების მიღებას კორუპციის ლიკვიდაციისათვის, ზედა ფენებში გახრწნილების წინააღმდეგ და ხელისუფლების მაღალ წრეებში გამძვრალი საეჭვო პირების განდევნას.

ფირმა „ლოკჰიდის" თაღლითური საქმიანობა აშშ-შიც გამოაშკარავდა და სკანდალმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ამ ფირმის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ მათ სპეციალური ბიუჯეტი ჰქონდათ იმ ქვეყნების საქმიანი წრეების, მთავრობის და სახელმწიფო მოხელეების მოსასყიდად, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ამ ფირმის თვითმფრინავების გასაღებას. 1976 წლის 4 თებერვალს აშშ-ის სენატის საგარეო საქმეების მრავალეროვნული კორპორაციების კომისიამ განაცხადა. რომ „ლოკჰიდის კომპანიამ" 1958 წლიდან თავის აგენტებს იაპონიაში გადაუხადა 12,5 მლნ. დოლარი ქრთამის სახით, რომელიც ულტრამემარჯვენე კოდამას მეშვეობით ეძლეოდა იაპონიის გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს. იაპონიის გაზეთებმა, რადიომ, ტელევიზიამ განგაში ატეხეს და მთელ ქვეყანას აცნობეს ეს სამარცხვინო ამბავი [1].

ოპოზიცია მოითხოვდა, რომ მთავრობას გამოერკვია, თუ ვინ იყო დაკავშირებული „ლოკჰიდის" საქმესთან, საჯაროდ ეღიარებინა იმ პირთა ვინაობა, ვინც მექრთამეობაში იყო გარეული, და პასუხისგებაში მიეცა ყველა დამნაშავე. „ლოკჰიდის საქმე" სულ უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს ღებულობდა. მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა გაეჭიანურებინა და არ დაეშვა ამ სამარცხვინო საქმის გამოძიება. მემარცხენე პარტიებმა ამას პარლამენტში ბოიკოტის გამოცხადებით უპასუხეს. დემოკრატიული იაპონია აღდგა რეაქციის წინააღმდეგ. საყოველთაო მოთხოვნის შედეგად მთავრობა იძულებული იყო საქმე გამოძიებისათვის გადაეცა. დადასტურდა, რომ ამ საქმეში მონაწილეობდა დიდი თანამდებობის მრავალი პირი. ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა შემზარავი ფაქტები. გამოირკვა, რომ მექრთამეობა გაბატონებული იყო ქვეყნის ყველა ადმინისტრაციულ აპარატში. გამოძიებამ დაადასტურა, რომ სახელმწიფო მოხელეების უკანონო ფარული კავშირი კერძო მეწარმეებთან გადაიქცა თანამედროვე იაპონიის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარ დაუწერელ წესად.

---

[1] ამერიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ეკონომიკური პრიორიტეტის საკითხების საბჭოს" მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში 176 ამერიკულმა საერთაშორისო მონოპოლიამ დახარჯა 300 მლნ. დოლარი ქრთამებისათვის სხვა ქვეყნებში, რათა მიეღო თავისი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობა. გაზეთი „პრავდა", 30.1—1977 წ.

„ლოკჰიდის სკანდალმა" ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რიგით იაპონელებზე. მან დიდად გაუტეხა სახელი ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ მოღვაწეებს და ხელი შეუწყო მემარცხენე ძალების ავტორიტეტის ზრდას. „ლოკჰიდის საქმე" ცხადყოფდა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის და, საერთოდ, მმართველი წრეების კრიზისს. ამ საქმემ ამხილა ხელისუფლების მაღალი წრეების მთლიანი პოლიტიკური გახრწნილება. ყოველივე ამან იაპონიის მშრომელი ფენების აღშფოთება გამოიწვია. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მოთხოვნა მეკრთამეობის აღმოფხვრისა და მის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებისა იაპონელი მშრომელების და ოპოზიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ლოზუნგი გახდა. პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილი ვითარება დემოკრატიულ ძალებს რადიკალური ცვლილებებისათვის უნდოდათ გამოეყენებინათ. ბრძოლა უკვე „ლოკჰიდის საქმეში" გარეულების დასასჯელად თუ გამართლებისათვის კი არ მიმდინარეობდა, არამედ იმისათვის, თუ ვინ გაიმარჯვებდა—დემოკრატია თუ რეაქცია. ამრიგად, „ლოკჰიდის საქმის" ბინძურმა ისტორიამ ომის შემდგომ იაპონიაში ყველაზე სერიოზული პოლიტიკური და მორალური კრიზისის მდგომარეობა შექმნა.

ტაკეო მიკის მთავრობა. 1974 წლის მწვავე პოლიტიკური კრიზისის დაძლევას მმართველი წრეები ცდილობდნენ ახალი ლიდერის წამოყენებით, რომელსაც შეუბღალავი რეპუტაცია ექნებოდა. ასეთ პიროვნებად მიჩნეულ იქნა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწე ტაკეო მიკი. იგი მმართველ პარტიაში ცნობილი იყო როგორც ლიბერალი, რეფორმების და ქვეყნის ახალი პოლიტიკური კურსის მომხრე. 1975 წლის იანვარში პარლამენტში საპროგრამო სიტყვაში მან განაცხადა, რომ განახორციელებს ინფლაციისა და ეკონომიკური დაქვეითების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, 10%-ით შეამცირებს ფასებს ჯერ სამომხმარებლო საგნებზე. გაატარებს კეთილდღეობის პოლიტიკას, ჩაატარებს პარტიის რეორგანიზაციას, მოსპობს ფრაქციულ დაჯგუფებებს პარტიის შიგნით და ა. შ.

მთელი მისი პროგრამა ქვეყანაში შექმნილი მწვავე პოლიტიკური ვითარების გამო გაბატონებული კლასების ერთგვარი ტაქტიკური მანევრი იყო. განსაკუთრებით დემაგოგიური იყო მიკის სოციალური პროგრამა, რომელიც თავის მიზნად აცხადებდა პიროვნების დაცვას „აკვნიდან საფლავამდე". მიკის მოწოდებამ ერთგვარი ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა მუშათა კლასზე. მაგალითად. თუ 1974 წელს მუშებმა მიაღწიეს ხელფასის გაზრდას 33%-ით, 1975 წელს დათანხმდნენ ხელფასის მხოლოდ 13%-ით გაზრდაზე.

განუხორციელებელი დარჩა მთავრობის სხვა დაპირებებიც. ეკონომიკური მდგომარეობა იაპონიაში კვლავ მძიმე იყო. გრძელდებოდა

„ხელფასის გაყინვის“ კურსი. მთავრობამ ვერაფერი გააწყო ინფლაციასა და ფასების განუწყვეტელ ზრდასთან. მაგალითად, ფასების ზრდა იაპონიაში 1961—1965 წწ. ყოველწლიურად საშუალოდ შეადგენდა 6%-ს, 1966—1970 წწ. — 5,4%-ს, 1973 წელს — 11,7%-ს, 1974 წელს — 24,5%-ს, 1975 წელს — 13,1%-ს, 1976 წელს — 18%-ს. მართალია, როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 1974 წელთან შედარებით მომდევნო წლებში ფასების ზრდა ნაკლები იყო, მაგრამ ხელფასის გაყინვასა და უმუშევრობასთან დაკავშირებით მშრომელთა მასების მდგომარეობა უფრო მძიმე იყო. ამრიგად, მიკის მთავრობის გეგმა, რომელიც თითქოს მიზნად ისახავდა მთავრობის ზრუნვას „ხალხის კეთილდღეობაზე“, განუხორციელებელი დარჩა. მთავრობა შეეცადა ეკონომიკის სტაბილიზაციის ღონისძიებების განხორციელებას, მაგრამ ესეც უშედეგო აღმოჩნდა.

ოპოზიციასთან „დიალოგის პოლიტიკისა“ და „კომპრომისების“ კურსის განხორციელებაც ნმინდა დემაგოგია აღმოჩნდა. ერთხანს ოპოზიციურმა პარტიებმა მართლაც მხარი დაუჭირეს „კომპრომისისა“ და „დიალოგის“ პოლიტიკას და აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის სხვადასხვა კანონპროექტის განხილვაში. სოციალისტურ პარტიას [1] „დიალოგის“ პოლიტიკის მეშვეობით უნდოდა ზეგავლენა მოეხდინა მთავრობაზე, რათა იგი დათმობაზე წასულიყო მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაში. „დიალოგის პოლიტიკას“ მხარი დაუჭირა დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამაც [2].

---

[1] იაპონიის სოციალისტური პარტია მთავარ მიზნად აცხადებს მასობრივ ბრძოლაში მონაწილეობას მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ დემოკრატიული უფლებებისა და მშრომელთა ცხოვრებისეული ინტერესების დასაცავად. იგი გამოდის კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურით შეცვლა მომავალ მშვიდობიანი, პარლამენტში უმრავლესობის მიღწევის გზით. პარტიაში შედიან მუშათა კლასის, ინტელიგენციის და ქალაქის საშუალო ფენების წარმომადგენლები. საგარეო პოლიტიკაში პარტია მოითხოვს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების გაუქმებას და მხარს უჭერს ქვეყნის შეუიარაღებელ ნეიტრალიტეტს. სოციალისტური პარტიის დელეგაცია 1964 და 1970 წლებში იყო საბჭოთა კავშირში და მოლაპარაკება აწარმოვა სკკპ ცკ-თან. პარტიის თავმჯდომარეა ტ. ნარიტა, გენერალური მდივანი — მ. ისიბასი.

[2] დემოკრატიული სოციალიზმის პარტია შეიქმნა 1960 წელს სოციალისტური პარტიიდან გამოსული მემარჯვენეებისაგან. მისი სოციალური ბაზაა ქალაქის წვრილი და საშუალო ბურჟუაზია და მუშათა კლასის ნაწილი. პარტიას არჩეული აქვს „შეალედური გზა“, გამოდის კაპიტალიზმის და კომუნიზმის წინააღმდეგ და მოითხოვს „დემოკრატიული სოციალიზმის“ საზოგადოების. „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შექმნას. პარტია წინააღმდეგია კომუნისტებთან თანამშრომლობისა. იგი თითქოს ოპოზიციაშია მთავრობასთან, მაგრამ ხშირად მხარს უჭერს მას. პარტია კლასობრივი ბრძოლის მეთოდების წინააღმდეგია. პარტიის თავმჯდომარეა ი. კასუგა, გენერალური მდივანი — ს. ცუკამატო.

მაგრამ ოპოზიციას ადრევე გაუცრუვდა იმედი. მიკიმ პარლამენტში ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა, რომ „არსებობს ზღვარი, რომლის იქით ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ არ უნდა დაუთმოს ოპოზიციას“ [1]. გაზეთმა „მაინიტმა“ იაპონიის საზოგადოების აზრი მიკის მთავრობის შესახებ გაიგო გამოკითხვით. სურათი შემდეგნაირია. 1974 წლის დეკემბერში მიკის მხარს უჭერდა გამოკითხულთა 47%, 1975 წლის მარტში — 39%, ოქტომბერში — 23%.

მიკის მთავრობამ ბოლო ვერ მოუღო კორუპციას. 1975—1976 წლებში პროკურატურამ მრავალი საქმე გახსნა, რომელიც მექრთამეობასთან იყო დაკავშირებული. „ლოკჰიდის საქმესთან“ ერთად სხვა ბოროტმოქმედებაც გამოაშკარავდა. მაგალითად, 1976 წლის ნოემბერში, პრეფექტურა გიფის გუბერნატორი, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი ს. ხირანო გადადგა. გამოირკვა, რომ მისი მოადგილე, პრეფექტურის მართვის მრჩეველი ტ. ვადა საამშენებლო კომპანიებიდან დიდ ქრთამებს იღებდა და სამაგიეროდ მათთან სხვადასხვა შეღავათიან კონტრაქტს დებდა. მან ქრთამად აღებული 25 მლნ-დან 5 მლნ. თვითონ ჩაიჯიბა, 20 მლნ. კი კოლეგებს გაუნაწილა. ცნობილი გახდა აგრეთვე მექრთამეობის 174 შემთხვევა ქვეყნის ადგილობრივი ორგანოების ადმინისტრაციაში, რის გამოც პასუხისგებაში აღმოჩნდა 270 ოფიციალური თანამდებობის პირი [2].

მოყვანილი ციფრები, რა თქმა უნდა, მთლიან სურათს არ იძლევა იმ უდიდესი კორუპციის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე იაპონიაში.

მიკის მთავრობამ პირობა დადო, რომ საპარლამენტო არჩევნებს დაიცავდა „ფულიანი ტომრის“ გავლენისაგან და ანტიმონოპოლისტურ კანონებს გააძლიერებდა, მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, რომ მიიღეს კანონი მხოლოდ პოლიტიკურ ფონდებზე კონტროლის დაწესების შესახებ, რომლითაც მსხვილი კორპორაციების მიერ პოლიტიკური მიზნებისათვის ფულის გაღების „მაქსიმუმად“ 100 მლნ. იენი დაწესდა, ცალკეული პირებისათვის კი — 20 მლნ. რაც შეეხება ანტიმონოპოლისტურ კანონებს, მათი განხილვა პარლამენტში გაჭიანურდა და ბოლოს განუსაზღვრელი დროით გადაიდო.

§ 70. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი

ეკონომიკური დაქვეითება და მისი მიზეზები. იაპონელი და ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტები შეცდომით თვლიან, რომ ია-

[1] გაზეთი „პრავდა“, 18. V-1976 წ.
[2] გაზეთი „პრავდა“, 3. XII-1976 წ.

პონიის მრეწველობის ზრდა შეუფერხებელი ტემპებით მიმდინარეობდა. სინამდვილეში კი ხშირი იყო კრიზისული მოვლენები, რომლებიც ტემპების ზრდის შესუსტებას, სამრეწველო კომპანიების გაკოტრებას და მრეწველობის ზოგიერთი დარგის ზრდის შეფერხებას იწვევდნენ. მაგალითად, წარმოების ზრდის ტემპების კრიზისული დაცემის პერიოდი ომის შემდეგ ხუთჯერ იყო: 1954—1955, 1957—1958, 1961—1965, 1968, 1971 წწ., მაგრამ ეს კრიზისული მოვლენები ხანგრძლივი არ იყო. იგი რამდენიმე თვეს გრძელდებოდა და უმთავრესად მრეწველობის იმ ძველ დარგებს შეეხო, რომლებიც ჯერ კიდევ ძირეულად რეკონსტრუირებული არ იყო. ამასთან სამრეწველო წარმოების აბსოლუტური შემცირება 2,3%-ით მოხდა, ეროვნული პროდუქციის კი — 1,8%-ით.

1973 წლის ბოლოს იაპონიის ეკონომიკის ცალკეულ დარგში კვლავ გაჩნდა კრიზისული მოვლენები. თავდაპირველად ეს მოვლენები დროებითად მიაჩნდათ და მიაწერდნენ მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის გავლენას. მთავრობის მიერ აღრე გატარებული ენერგეტიკული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ იაპონიის ენერგეტიკული მოთხოვნები მთლიანად (100%-ით) კმაყოფილდება უცხოეთის ნავთობის იმპორტით. ამიტომ გასაგებია, რომ იაპონიის, როგორც მსოფლიოს უდიდესი სამრეწველო სახელმწიფოს, არსებობა დამოკიდებულია უცხოეთიდან შემოსატან ნავთობზე.

1971 წლის დეკემბერში გატარდა იენის დევალვაცია, ხოლო 1973 წლის თებერვალში მიიღეს „მოძრავი" კურსი იენზე, რომლის შემდეგ სექტემბერში 263 იენი უდრიდა 1 დოლარს (ადრე კი — 360). იენის 37%-ით დევალვაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა იაპონიის საქონლის საკონკურენციო ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე. გარდა ამისა, მიუხედავად არაბეთიდან ნავთობის შემოტანის შემცირებისა (1973 წლის ოქტომბერ-ნოემბერში), 1973 წელს იაპონიამ მთლიანად 290 მლნ. კილოგრამ-ლიტრი ნავთობი შემოიტანა. რაც 40 მლნ-ით მეტი იყო, ვიდრე წინა წელს. მიუხედავად ამისა, ნავთობის კომპანიებმა გაზარდეს ფასები საწვავზე, რასაც მოჰყვა ფასების ზრდა სხვა საქონელზეც, ამის შედეგი კი იყო ინფლაციის ზრდა.

1973 წლის ბოლოს ნავთობზე ფასების გაზრდის შედეგად 1974 წლისათვის იაპონიას, რომ შეენარჩუნებინა ნავთობის შემოტანა ძველ დონეზე, 6 მლრდ. დოლარის ნაცვლად 13 მლრდ. დოლარი დასჭირდა. ეს თანხა იმდენად დიდია, რომ იგი აღემატება ქვეყნის ოფიციალურ ოქროს ვალუტის რეზერვებს. ამიტომ გასაგებია, რომ ენერგეტიკულმა კრიზისმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის სავალუტო მდგომარეობა. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები გაზარდეს საერთაშორისო მონოპოლიებმა, რომელთაც თავიანთ ხელში მოაქციეს ნავ-

თობის მიწოდების საქმე. ფასები გაიზარდა აგრეთვე ხელოვნურ კაუჩუკზე, შალეულზე, ტყავზე და სხვა სახის მრავალ ნედლეულზე, რამაც გამოიწვია ცვლილებები წარმოების ხარჯებში, დაარღვია უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურა მრეწველობაში, რასაც წარმოების დეზორგანიზაცია მოჰყვა. ყველაფერი ამის გამო ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტმა მარტო 1974 წლის აპრილ-სექტემბერში შეადგინა 3,5 მლრდ დოლარი. ინფლაციამ კი, მიუხედავად მთავრობის რიგი ღონისძიებებისა, ფართო ხასიათი მიიღო, რამაც გამოხატულება პოვა საცალო და საბითუმო ვაჭრობის შემცირებაში.

1974 წლის შუა პერიოდში კრიზისული მოვლენები უფრო გაძლიერდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში საერთო ეროვნული პროდუქცია არ გაზრდილა.

ომ-ს შემდგომ 30 წლის მანძილზე 1975 წელი ყველაზე მძიმე იყო. საშრეწველო წარმოების მოცულობა 1974 წელს 3%-ით დაეცა, 1975 წელს კი — 10%-ით. მრეწველობის ცალკეულ დარგებში იგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. ძალზე დაზიანდა მრეწველობის ბაზისური დარგები — შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმია, ნავთობქიმია. ცელულოზა-ქაღალდის, ხე-ტყის დამამუშავებელი, ცემენტის წარმოების, სინთეტიკური ბოჭკოების, მანქანათმშენებლობის და განსაკუთრებით გემთმშენებლობის წარმოებები. მაგალითად, ფოლადის გამოდნობა 1975 წელს 1973 წელთან შედარებით დაეცა 119,9 მლნ. ტონიდან 101,5 მლნ. ტონამდე, ფოლადის ნაწარმის ექსპორტი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგარეო ვაჭრობაში, შემცირდა 34 მლნ. ტონიდან (1974 წ.) 26 მლნ. ტონამდე (1975 წ.). ამავე პერიოდში დაზგების წარმოება 38%-ით შემცირდა, გემთმშენებლობის ქარხნების დატვირთვა — 28%, ნავთობპროდუქტების წარმოება — 5%. ეთილენის კი 28%-ით დაეცა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა საფეიქრო მრეწველობა.

მთავრობის ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ 1976 წლისათვის იაპონიის ეკონომიკა კრიზისული მდგომარეობიდან გამოვიდა, მაგრამ ეს პროგნოზი არ გამართლდა. 1975 წლის ბოლოს და 1976 წლის დასაწყისში მართლაც დაიწყო ერთგვარი გამოცოცხლება იაპონიის ეკონომიკაში, მაგრამ იგი ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. 1976 წელს საწარმოები დატვირთული იყო 87%-ით 1970 წლის დონესთან შედარებით. განსაკუთრებით ძლიერ დაეცა გემთმშენებლობა — იაპონიის ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი განვითარებული დარგი. 1977 წლის დამდეგისათვის დაკვეთების უქონლობის გამო უმოქმედოდ იდგა გემთმშენებლობის ქარხნების უდიდესი ნაწილი. მაგალითად, „მიცუმისის“ კომპანიის გემთმშენებლობის ქარხანა ქალაქ ნაგასაკში უმოქმედოდ დგას, ვინაიდან 1977 წლისათვის მას დაკვეთები არ აქვს, ფიქრობენ,

აქ სუპერტანკერების ნაცვლად მცირე გემები დაამზადონ. 1975 წელს უმსხვილესი გემთმშენებლობის ფირმა -„ტესუკუნი" გაკოტრდა. მან ვერ გადაიხადა 43 მლრდ. იენის დავალიანება. გაკოტრდა აგრეთვე უმსხვილესი საფეიქრო მრეწველობის ფირმა „კოძინი", რომლის დავალიანებამ 200 მლრდ. იენს მიაღწია. საერთოდ 1975 წელს იაპონიაში 11,705 საწარმო გაკოტრდა[1]. 1976 წელს კი — 15 ათასი ძირითადად საშუალო და წვრილი ფირმა[2]. უმუშევართა რაოდენობამ 1976 წლის ბოლოსათვის 1 მილიონამდე მიაღწია.

ანტიკრიზისული ღონისძიებანი. იაპონიის მმართველმა წრეებმა ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით რიგი ღონისძიებები გაატარეს. მიკის მთავრობის დროს შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური საბჭო, რომლის სათავეში ჩააყენეს პრემიერ-მინისტრის მაშინდელი მოადგილე ტ. ფუკუდა. მას დაევალა ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ბოლოს მოუღებდა მრეწველობის დაქვეითებას, შეაჩერებდა ინფლაციას და მოახდენდა ეკონომიკის სტაბილიზაციას. ამ საბჭომ გაილაშქრა „ეკონომიკის სწრაფად ზრდის" წინააღმდეგ და მოითხოვა, რათა განეხორციელებინათ „ზომიერი და მყარი განვითარება".

საბჭო არა ერთხელ შეეცადა. ზეგავლენა მოეხდინა სამეურნეო კონიუნქტურაზე. 1975 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა „სტიმულირების ღონისძიებები", რომელთა მიზანი იყო წარმოების დაქვეითების შეჩერება და ეკონომიკის გამოცოცხლება. კრიზისის საწინააღმდეგო ღონისძიებებიდან აღსანიშნავია დამატებითი ბიუჯეტის მიღება საზოგადოებრივი სამუშაოების დაფინანსებისათვის, ობლიგაციების სესხების გამოშვება, პირადი ანაბრების გადახდა და ა. შ. მაგრამ ყველა ამ ღონისძიებამ ვერ გამოიღო სათანადო შედეგები. 1976 წლის იანვარში თვითონ პრემიერ-მინისტრმა მიკიმ აღიარა, რომ ეკონომიკის აღდგენის მთავრობისეულ ღონისძიებებს „წარმატებები არ მოჰყვა".

ტაკეო ფუკუდას მთავრობამაც იგივე ღონისძიებების განხორციელება მოითხოვა. კერძოდ, მან წინადადება შეიტანა პარლამენტში დამატებითი ბიუჯეტის გამოყოფაზე, რომლითაც საზოგადოებრივი სამუშაოები გაიზრდებოდა, რაც, მათი აზრით, გამოიწვევდა ქვეყნის საერთო ეკონომიკური კონიუნქტურის გამოცოცხლებას.

1977 წლის იანვრის დამდეგს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც 28,514270 მლნ. იენს შეადგენდა, რაც 17,4%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.

ბიუჯეტის საშემოსავლო მუხლები, გადასახადების გარდა, ითვა-

---

[1] გაზეთი „პრავდა", 30. I-1977 წ.
[2] გაზეთი „პრავდა", 17. X-1977 წ.

ლისწინებდა მანამდე არნახული მასშტაბით სახელმწიფო სესხის გამოშვებას რაც უდრის 8480 მლრდ. იენს.

ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო სახელმწიფო რკინიგზებზე მიმოსვლის ღირებულების 19%-ით და აგრეთვე სამედიცინო მომსახურების ღირებულების გაზრდა.

წინა წელთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა „საზოგადოებრივ-საამშენებლო მუშაობისათვის“ გამოყოფილი თანხა. იგი შეადგენდა 4201 მლრდ. იენს. მთავრობის ექსპერტების აზრით, ეს ღონისძიებანი იაპონიის ეკონომიკას გაჭიანურებული დეპრესიისაგან გამოიყვანდა.

ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის, განათლების და კულტურის სფეროში ხარჯების შემცირება. მცირდება წვრილი და საშუალო მეწარმეებისათვის დახმარების გაწევის ხარჯებიც. მაგრამ ეს ღონისძიებანი, იაპონიის დემოკრატების აზრით, ვერ უშველიდა საქმეს, ვინაიდან ისინი მონოპოლიების ინტერესებს ემსახურებოდა.

1977 წლის იანვრის ბოლოს შედგა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის XXXII ყრილობა; მოხსენებით გამოვიდა პარტიის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ტაკეო ფუკუდა, რომელმაც განაცხადა, რომ „ქვეყანა ძალზე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია“. იაპონიის ეკონომიკის შემდგომი განვითარების გართულების ფაქტორად მან დაასახელა „ნედლეულის შიმშილი“ და აღნიშნა, რომ იაპონია ახლო მომავალში აღმოჩნდება არა მარტო ნავთობის მწვავე კრიზისის წინაშე. არამედ მკვეთრად შემცირდება მრავალი სხვა ნედლეულის შემოტანა. მან ხაზი გაუსვა, რომ იაპონიის ეკონომიკური განვითარება უკვე ველარ წავა წინ ისეთი სწრაფი ტემპებით, როგორც ამას ადრე ჰქონდა ადგილი [1].

1976 წელს დაკვეთების უქონლობის გამო, წინა წელთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა საწარმოო კაპიტალდაბანდებანი წამყვან მეტალურგიულ საწარმოებში (1440 მლრდ. იენიდან 1 000 მლრდ. იენამდე).

ეკონომიკის დაცემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მიაჩნიათ სამომხმარებლო საგნებზე იაპონიის მოსახლეობის მოთხოვნილების შემცირება. მშრომელთა პირადი მოხმარების მოცულობა მკვეთრად დაეცა, რაც გამოწვეულია მათი შემოსავლის შემცირებით, უმუშევრობით, ინფლაციით და კვების პროდუქტებსა და კომუნალურ მომსახურებაზე ფასების ზრდით.

1977 წლის 14 თებერვალს პროფკავშირების გენერალური საბჭოს ყრილობამ „საზოგადოებრივი მშენებლობისათვის“ ბიუჯეტიდან დამა-

[1] გაზეთი „პრავდა“, 30. I-1977 წ.

ტებითი თანხების გამოყოფის წინააღმდეგ გაილაშქრა. მთავრობის ეს ღონისძიება, განაცხადა გენსაბჯოს თავმჯდომარემ მოტოფუმი მაკიედიმ, „ქვეყანაში ეკონომიკური კონიუნქტურის გაზრდას ითვალისწინებს მშრომელთა მასების ინტერესების ხარჯზე". დელეგატების აზრით, იაპონიის მშრომელთა რეალური ხელფასის დაცემა, უმუშევრობა, ინფლაცია, ფასების ზრდა და ამის შედეგად მოსახლეობის მისწრაფება ეკონომიისადმი, იწვევს საქონლის მოხმარების შემცირებას. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალებად მათ მიაჩნიათ მშრომელებზე გადასახადების შემცირება და ხელფასების 15%-ით მომატება, რაც აამაღლებს მოხმარების დონეს და ბოლოს მოუღებს კრიზისს.

კომპარტიამ განაცხადა, რომ მთავრობა „ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლებისას მსხვილი კაპიტალის ინტერესებით" ხელმძღვანელობს, ასეთივე განცხადება გააკეთა სოციალისტურმა პარტიამაც. ოპოზიციური პარტიების განცხადება ბიუჯეტის პროექტის შესახებ ცხადყოფდნენ. რომ ბიუჯეტის განხილვისას მთავრობა პარლამენტში დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა.

იაპონიის მონოპოლიები საშინაო ბაზარზე მოთხოვნილების შემცირებას ექსპორტის გაზრდით უპასუხებენ. ამ დროს იაპონიის ექსპორტზე საშუალოდ მოდის მთელი ეროვნული პროდუქციის 20—25%, მაგრამ აღწევდა 40%-მდეც. ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები თვითონ აღმოჩნდნენ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში, რის გამოც იაპონიის მონოპოლიების კონკურენციას უპასუხეს ბაჟების გაზრდით. ამასთანავე იაპონიის მონოპოლიებს მოსთხოვეს ექსპორტის „ნებაყოფლობითი" თვითშეზღუდვა. საყურადღებოა, რომ იაპონიის ექსპორტის 30% აშშ-ზე მოდიოდა, მაგრამ 1975 წელს იგი 20%-ით შემცირდა. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ ევროპასთან ვაჭრობაში. 1975 წელს, წინა წელთან შედარებით, იაპონიის ექსპორტის მოცულობა 72,5-დან 55 მლრდ. დოლარამდე დაეცა. უფრო მკვეთრად შეიკვეცა ქვეყნის იმპორტი, რის გამო იაპონიის მონოპოლიებმა სასტიკი სავაჭრო ომი გააჩაღეს კონკურენტების წინააღმდეგ.

„იაპონურმა სასწაულმა" კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ კაპიტალისტურ სამყაროში როგორიც არ უნდა იყოს ეკონომიკის განვითარების ტემპები და მისი აღმავლობის ხანგრძლივობა, საბოლოოდ ყოველივე მაინც მთავრდება „დაცემით" და ყველა წინააღმდეგობის გამწვავებით. წარმოების დაცემისა და პერიოდული ჭარბი წარმოების კრიზისების მოვლენები კაპიტალისტური საზოგადოების განუყრელი თანამგზავრია.

§ 71. მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობა

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე მრეწველობის ზრდასთან ერთად გაიზარდა დაქირავებული მუშახელის რაოდენობა. თუ 1950 წელს იგი 14 მლნ. კაცს შეადგენდა, 1973 წლისათვის 35,9 მლნ-მდე გაიზარდა, რაც მთელი დასაქმებული მოსახლეობის 68,9%-ს უდრიდა.

დაქირავებული მუშახელის ყველაზე მეტი რაოდენობა ჩაბმული იყო დამმუშავებელ მრეწველობაში (12 მლნ.), ვაჭრობაში და ფინანსურ დაწესებულებებში (8,2 მლნ.), მომსახურების სფეროში (6,2 მლნ.), მშენებლობაში (3,6 მლნ.). სახელმწიფო დაწესებულებებში (1,8 მლნ.), სამთამადნო მრეწველობაში (130 ათასი), სოფლის მეურნეობასა და სატყეო საქმეში (290 ათასი), მეთევზეობასა და საზღვაო სარეწაოებში (180 ათასი).

იაპონიის მოსახლეობის პროლეტარიზაციის ზრდასთან ერთად დიდ სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებენ წვრილი მეწარმეები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, მომსახურების სფეროში, დამმუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში. იაპონიის სტატისტიკით, 9,8 მლნ. იყო მეწარმე, 8 მლნ. — ოჯახის დამხმარე წევრი. მაგრამ მუშათა კლასის რაოდენობა იაპონიაში განუწყვეტლივ იზრდება და იგი თვითდასაქმებულ მოსახლეობაში უმრავლესობას შეადგენს.

იაპონიის მუშათა კლასმა, რომელმაც მკაცრი და ხანგრძლივი ბრძოლის გზა განვლო მონოპოლიების წინააღმდეგ უდიდესი გამოცდილება შეიძინა და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დიდ ძალად გადაიქცა. პროლეტარიატი გაიზარდა რაოდენობრივად, განმტკიცდა ორგანიზაციულად და თავისი ძალა შეიგრძნო საზოგადოებაში. ივი წარმოადგენს ერთადერთ ძალას, რომელსაც შეუძლია ფართო ბრძოლის გაჩაღება მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ გამოიღო გარკვეული შედეგი. გაბატონებული კლასები იძულებულნი გახდნენ ანგარიში გაეწიათ მუშათა კლასისათვის.

წარმოების კონცენტრაციის სწრაფმა ტემპებმა ხელი შეუწყო პროლეტარიატის შეკავშირებას. ამაღლდა აგრეთვე მშრომელთა ორგანიზებულობა. ამჟამად პროფკავშირები აერთიანებენ მუშებისა და მოსამსახურეების $^1/_3$-ს.

ეროვნული პროფცენტრების ყველაზე უმსხვილეს გაერთიანებად კვლავ პროფკავშირთა გენერალური საბჭო რჩება (სოხე). 1974 წლისათვის იგი აერთიანებდა 4457 ათას წევრს, ე. ი. ქვეყნის პროფკავშირთა 35,8%. პროფკავშირთა ამ ცენტრის წევრთა უმრავლესობას შეადგენენ სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების მუშაკები (64,4%) და კერძო სექტორის მუშები. სოხე მხარს უჭერს სოციალის-

ტურ პარტიას, მაგრამ სოხეს წევრებზე მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს კომპარტიაც.

1964 წელს რამდენიმე პროფკავშირული ფედერაციის გაერთიანების შედეგად შეიქმნა სრულიად იაპონიის შრომის კონფედერაცია (დომეი), რომლის ხელმძღვანელობას შემთანხმებლური პოზიცია უკავია. 1974 წელს ეს პროფცენტრი 2313 ათას წევრს აერთიანებდა, რომელთაგან 92,7% კერძო სექტორში მომუშავე იყო. ეს პროფცენტრი დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის გავლენაშია.

1956 წელს შეიქმნა დამოუკიდებელ პროფკავშირთა საბჭო, რომელიც 1974 წელს აერთიანებდა 1,4 მლნ. კაცს. იგი მრავალ საკითხში სოხეს უჭერს მხარს.

1964 წელს შეიქმნა მელითონეთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც 1974 წელს აერთიანებდა 1,8 მლნ. წევრს. მას პოლიტიკურ ბრძოლაში „სრული ნეიტრალიტეტი" უკავია.

ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის იაპონიაში არასოდეს არ ცხრებოდა. 1955 წლიდან გენერალური საბჭოს ინიციატივით და სხვა პროფკავშირებთან კავშირში იაპონიაში ტრადიციად იქცა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პოლიტიკური მოთხოვნების მიზნით საგაზაფხულო და ხანდახან საშემოდგომო გამოსვლების მოწყობა მუშათა მასობრივი გაფიცვების სახით.

ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ გამოსვლების დიდი ნაწილი ძირითადად მოდის მუშათა საგაზაფხულო და საშემოდგომო გაფიცვებზე, ანუ, როგორც იაპონიაში უწოდებენ, „შეტევებზე". მიუხედავად იმისა, რომ 60-იან წლებში იაპონიაში ეკონომიკას მაღალი კონიუნქტურა ახასიათებდა, მონოპოლიები უარს ამბობდნენ, დაეკმაყოფილებინათ მუშათა სამართლიანი მოთხოვნები და მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ.

ამის გამო იყო, რომ საგაფიცვო მოძრაობა 60-იან წლებში ყოველწლიურად იზრდებოდა. 1966—1969 წლებში იაპონიაში 5795 გაფიცვა მოხდა, რომელშიც 4440 ათასი კაცი მონაწილეობდა და 11047 ათასი სამუშაო დღე დაიკარგა. 1970—1973 წლებში მოხდა 11432 გაფიცვა. რომელშიც მონაწილეობდა 7497 ათასი კაცი, დაიკარგა 19805 ათასი სამუშაო დღე.

საგაზაფხულო გაფიცვები (იაპონურად „ძიუნტო") ტარდება მარტ-აპრილში, ვინაიდან ფინანსური და სამეურნეო წელი კომპანიების უმრავლესობისათვის აპრილიდან იწყება.

ამ გამოსვლებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს ერთობლივი ბრძოლის საბჭო, რომელშიც შედიან გენსაბჭოს და სხვა პროფცენტრების წარმომადგენლები. საბჭო შეიმუშავებს მშრომელთა მოთხოვ-

ნებს, კამპანიის ჩატარების ტაქტიკას, განსაზღვრავს სხვადასხვა პროფკავშირის გამოსვლების დროს და ფორმას (მიტინგები, დემონსტრაციები, ნაწილობრივი ან საყოველთაო გაფიცვები და ა. შ.).

საბჭო, როგორც წესი, საგაზაფხულო შეტევის დროს აყენებს შემდეგი სახის მოთხოვნებს: ხელფასის გარანტირებული მინიმუმის დაწესება, საპენსიო სისტემის, სამედიცინო მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება, უმუშევრობის ლიკვიდაცია, სამუშაო დღის შემცირება და ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება, ინფლაციის და სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლა, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა დაბალი საიჯარო გადასახადებით, სახელმწიფო და მუნიციპალური მუშების გაფიცვის უფლებების აღდგენა და ა. შ.

ეკონომიკურ მოთხოვნებთან ერთად მუშები პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებენ. გენსაბჭოს თავმჯდომარემ მ. იტიკავამ განაცხადა, რომ საბჭო პოლიტიკური ბრძოლის პოზიციებზეც დგას. იაპონიის პროფკავშირები მოითხოვენ იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" გაუქმებას, ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას იაპონიის ტერიტორიაზე, მშვიდობისა და დემოკრატიის დაცვას, განათლებასა და მართლმსაჯულებაში რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას, კონსტიტუციის გადასინჯვას და ა. შ.

იაპონელი მშრომელების დაძაბული ბრძოლის შედეგები ის არის, რომ 1961—1970 წლებში მათ მიაღწიეს ნომინალური ხელფასის ყოველწლიურად 12,2%-ით ზრდას. 1971 წლისათვის, 1960 წელთან შედარებით, მუშათა რეალური ხელფასი 91%-ით გაიზარდა.

1974—1976 წლების უდიდესი მასშტაბების კრიზისმა, რომლის გავლენა გასცდა ეკონომიკურ ჩარჩოებს, გაამწვავა სოციალური და პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში, გააუარესა ხალხთა მასების ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

მთავრობა და მონოპოლიები შეეცადნენ, ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე მუშათა კლასისათვის დაეკისრებინათ და ხალხის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ.

უმუშევართა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა: 1973 წელს სრულიად დაუსაქმებელ უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 670 ათას კაცს, 1974 წელს — 720 ათასს, 1975 წელს — 990 ათასს, 1976 წელს კი — 1 მლნ-ს გადააჭარბა.

არნახულად იზრდებოდა ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე: 1970 წელთან შედარებით 1973 წელს იგი 23,9%, 1974 წელს — 54,2%, 1975 წელს — 72,4%, 1976 წელს კი — 90%-ით გაიზარდა. ფასებმა მოიმატა კომუნალურ მომსახურებაზე (ბინის ქირა, გათბობა, განათება და ა. შ.), საფოსტო ტარიფებზე, ტელეფონზე,

ტელეგრაფზე, მატარებლებზე, სახელმწიფო უნივერსიტეტში[1] სწავლაზე და ა. შ.

1974—1976 წლებში ბინის ქირა 86%-ით გაიზარდა, სამედიცინო მომსახურება — 38%-ით. მთავრობამ და კერძო მეწარმეებმა ასიათასობით მუშა და მოსამსახურე შემცირებულ სამუშაო დღესა და ხელფასზე გადაიყვანეს, ბევრ საწარმოში შემოიღეს არასრული სამუშაო კვირა 10—20%-ით ნაკლები ხელფასით, პრაქტიკაში შემოიღეს იძულებითი დამატებითი შვებულება ხელფასის შესაბამისად შემცირებით. საყურადღებოა, რომ წინა ეკონომიკური კრიზისისაგან განსხვავებით, ამ კრიზისის დროს ბევრ საწარმოში იწყეს ძველი კადრის მუშა-მოსამსახურეების დათხოვნა, რომელნიც, იაპონიაში არსებული ტრადიციების თანახმად, მუდმივი სამუშაოთი უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი. გახშირდა ნაადრევი მოხუცებულობის მომიზეზებით მუშათა დათხოვნა სამუშაოდან. უმუშევართა არმია იზრდება სკოლა და უმაღლესდამთავრებულთა სამსახურში მოეწყობლობის გამოც[2].

მთავრობისა და მონოპოლიების შეტევას მუშათა კლასმა კონტრშეტევით უპასუხა. 1975 წლის საგაზაფხულო შეტევების დროს გაფიცვებში მონაწილეობდა 8.5 მლნ. მუშა და მოსამსახურე, ხოლო 1976 წელს — 8,7 მლნ. კაცი. 1976 წლის სექტემბერში გაიმართა საშემოდგომო შეტევები, რომლებშიც 4 მლნ-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა. მშრომელთა ძირითადი მოთხოვნები იყო: უმუშევრობის მოსპობა, სოციალური დახმარების გაზრდა, ხელფასის გარანტირებული მინიმუმის დაწესება და ა. შ.

ამ საგაფიცვო ბრძოლების შედეგად მუშებმა 1974 წელს მიაღწიეს ხელფასის 33%-ით გაზრდას, 1975 წელს — 13%-ით.

იაპონელ მშრომელთა საგაზაფხელო შეტევის მონაწილეთა მოძრაობას 1975 წლის მარტში შეემატა კიდევ ერთი მებრძოლი რაზმი. ამ მოძრაობის ისტორიის 20 წლის მანძილზე მას პირველად შეუერთდნენ გლეხები. ქვეყნის ბევრი პრეფექტურის გლეხთა ათასამდე წარმომადგენელმა ტოკიოში მოაწყო სოფლის მშრომელთა საგაზაფხულო ბრძოლის პირველი მიტინგი. ორატორებმა ქვეყნის მთელ გლეხობას მოუწოდეს, აქტიურად ჩაებან მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალაქის მუშებთან და მოსამსახურეებთან ერთიან მწყობრში, განაცხადეს მიტინგის მონაწილეებმა. შევძლებთ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

---

1 «Международная жизнь», № 5, 1976, გვ. 156, № 7, 1976, გვ. 112, № 12, 1976.

2 მშრომელთა უმრავლესობაზე არ ვრცელდება საპენსიო სისტემა და ჩვეულებრივად 55 წლის ასაკში, მუშა-მოსამსახურეები იღებენ მხოლოდ ერთჯერად დახმარებას წარმოებაში უწყვეტი მუშაობის სტაჟის პროპორციულად.

1976 წლის მუშათა საგაზაფხულო შეტევების ერთ-ერთი ლოზუნგი იყო „ლოკჰიდის საქმის“ ყველა გარემოების გამოძიება.

1976 წლის საგაზაფხულო ბრძოლამ გამოავლინა იაპონიის მუშათა და მთელი მშრომელების მზარდი კლასობრივი თვითშეგნება.

კომუნისტური პარტიის[1] მთავარ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის პროგრესული, შემარცხენე ძალების ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა. კომუნისტები თვლიან, რომ იგი უნდა შეიქმნას შემდეგი სამი ძირითადი პრინციპის საფუძველზე: 1) იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირის ლიკვიდაცია და იაპონიის მშვიდობიან ნეიტრალურ ქვეყნად გარდაქმნა; 2) მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვა, რათა არ დაუშვან იაპონიის მილიტარიზმის აღორძინება; 3) დაიცვან და განამტკიცონ დემოკრატია. კომპარტია ამ სამი პრინციპის საფუძველზე ცდილობს ქვეყნის პროგრესული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებასა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მთავრობის შეცვლას დემოკრატიული კოალიციის მთავრობით.

პროგრესული ძალების ერთიანი ფრონტი უკვე არსებობს ბევრ პრეფექტურაში. 1975 წლის აპრილში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, რომლის დროსაც ირჩევდნენ 17 პრეფექტურის გუბერნატორს, ქალაქების დიდი ნაწილის მერს (თავს), 44 პრეფექტურის კრების დეპუტატს. მემარცხენე პარტიები — კომპარტია და სოციალისტური პარტია — ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. მათმა ერთობლივმა კანდიდატმა გაიმარჯვა, რომელიც მსხვილი სამრეწველო პრეფექტურის — კანაგავას გუბერნატორად აირჩიეს. იაპონიაში 200-ზე მეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა, რომლებშიც ადგილების უმრავლესობა პროგრესული პარტიების ხელშია. ამ არჩევნებში მემარცხენეებმა მიიღეს ადგილების უმრავლესობა შემდეგ ცენტრებში — ტოკიოში (57,9%), ოხაკეში (61,8%), კიოტოში (62,5%), კანაგავაში (51,6%), ფუკუოკეში (59,8%).

ამ არჩევნებმა ცხადყო კომპარტიის გავლენის ზრდა. მისი კანდიდატი რ. კუროდა ოსაკის გუბერნატორად აირჩიეს.

პროგრესული ძალების შემდგომი წარმატებები კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთობლივ მოქმედებაზეა დამოკიდებული და იმაზე, თუ როგორ შეძლებენ ისინი მემარცხენე ძალების გაერთიანებას. ამ საქმეს ხელს უშლიან ცენტრის პარტიები — კომეიტო, დე-

---

[1] იაპონიის კომპარტიის ცკ-ის თავმჯდომარეა სანჯო ნოსაკა, ცკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარე — კენჭი მიამიტო, ცკ-ის სამდივნოს თავმჯდომარეა — ტეტუძო ფუჯა.

მოკრატიული სოციალიზმის პარტია და სოციალისტური პარტიის მემარჯვენეები.

იაპონიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა გამოდის პარლამენტის ოპოზიციის ყველა პარტიასთან ბლოკირების მომხრედ, მათ შორის კომპარტიასთანაც. ამ პარტიის მე-40 ყრილობაზე, რომელიც 1977 წლის თებერვალში შედგა ცაკ-ის თავმჯდომარემ ტომომი ნარიტამ ხაზი გაუსვა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ხელისუფლების კრიზისს და მისი პოლიტიკური პოზიციების დასუსტებას. მან სოციალისტებს მოუწოდა, რომ ებრძოლათ ქვეყნის ყველა პროგრესული ძალის გაერთიანებისა და ანტიმონოპოლისტური სახალხო კოალიციის მთავრობის შექმნისათვის სოციალისტების მეთაურობით. ნარიტამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ შემდგომშიც უნდა განახორციელონ პარლამენტის ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობა ქვეყნის პროგრესული ძალების შეკავშირების მიზნით.

§ 72. 1976 წლის საპარლამენტო არჩევნები — ტაკეო მიკის გადადგომა და ტაკეო ფუკუდას მთავრობის შექმნა

მიკის მთავრობის მისია, როგორც ადრე აღვნიშნეთ, იმაში მდგომარეობდა, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიას სახელმწიფო პოლიტიკის რეაბილიტაცია მოეხდინა, რომლის პრესტიჟი ძლიერ შეარყია ტანაკას მთავრობის საქმიანობამ. იგი ხელისუფლების სათავეში ჩააყენეს, როგორც ამ პოლიტიკის „განახლებისა" და „გაჯანსაღებისათვის" მებრძოლი. მმართველი პარტიის კორუპციისაგან „გაწმენდისა" და „ფულის ტომრის" გავლენისაგან დაცვის მომხრე. ამასთანავე მიკი და მისი მინისტრები საჯაროდ ფიცს დებდნენ, რომ ქვეყანას იხსნიდნენ ეკონომიკური სიძნელეების, მასობრივი უმუშევრობის, ინფლაციისა და სხვა სოციალური ეპიდემიებისაგან. მრავალი ლამაზი სიტყვა ითქვა იაპონიის დიპლომატიის მშვიდობიან მიზნებზეც.

მაგრამ ეს უხვი დაპირებები ქაღალდზე დარჩა. ვერ იქნა დაძლეული ეკონომიკის დაქვეითება. 1975—1976 წლებში სამრეწველო წარმოებამ, მიკის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს, ვერ მიაღწია 1973 წლის ნოემბრის დონეს. წვრილი და საშუალო საწარმოების გაკოტრებამ ქვეყნის ისტორიაში მანამდე არნახული მასშტაბები მიიღო. უმუშევრობამ 1 მლნ. კაცს მიაღწია.

ახალ გართულებებს ჰქონდა ადგილი საერთაშორისო არენაზეც. გაძლიერდა წინააღმდეგობანი აშშ-სა და „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან. ვაშინგტონის გავლენით მიკის მთავრობამ ურთიერთობა გაამწვავა საბჭოთა კავშირთან.

მთავრობამ ამ მრავალრიცხოვანი პრობლემიდან ვერც ერთი ვერ გადაჭრა, რადგან იგი უფრო მეტად ზრუნავდა ქვეყნის მილიტარიზაციაზე, ვიდრე აღნიშნული პრობლემების გადაჭრაზე. 1977 წლის ოქტომბერში იაპონიის ეროვნული თავდაცვის საბჭომ, ხოლო შემდეგ მინისტრთა კაბინეტის სხდომამ დაამტკიცა „ეროვნული თავდაცვის ძირითადი გეგმა", რომლითაც გათვალისწინებულია უახლესი ხუთი წლის განმავლობაში სამხედრო საჭიროებისათვის 10 ტრილიონი იენის გამოყოფა. საყურადღებოა, რომ იაპონიის მთავრობას სამხედრო საჭიროებისათვის ამდენი თანხა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არ დაუხარჯავს. „ეროვნული თავდაცვის გეგმის" ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში სამხედრო ხარჯები იაპონიის თითოეულ მცხოვრებზე საშუალოდ ასი ათასი იენი იქნება.

არჩევნების წინ რეაქციამ ანტიკომუნისტური კამპანია გააჩაღა. განსაკუთრებით ბინძური ცილი დასწამეს კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიამიტოს.

მემარჯვენეებმა, რევანში რომ აეღოთ კომუნისტებზე მათ მიერ პრესაში გახმაურებული „ლოკჰიდის საქმის" გამო, გაიხსენეს 40 წლის წინათ შეთითხნილი „ლინჩის საქმე". რეაქციას სურდა, სახელი გაეტეხა კომუნისტებისათვის და არჩევნების წინ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოეცილებინა საკუთარი ბინძური საქმეებისაგან. ეს ანტიკომუნისტური კამპანია პარლამენტში დაიწყო და გავრცელდა ანტიდემოკრატიულ პრესაში. საქმეში ჩაებნენ ლიბერალურ-დემოკრატიული, კომეიტოს და მემარჯვენე სოციალისტური პარტიები, რომელნიც შეშფოთებული იყვნენ კომუნისტების გავლენის ზრდით. მათ ბანი მისცეს რეაქციას „ლინჩის საქმის" გამო, მიუხედავად იმისა, რომ 1945 წელს ამ ბრალდებით მსჯავრდადებულნი, მათ შორის მიამიტოც, მთლიანად რეაბილიტებული იყვნენ.

ანტიკომუნისტურ კამპანიასთან ერთად გაბატონებულმა კლასებმა შერყეული პოზიციების განმტკიცება მოინდომეს ახალი პოლიტიკური კოალიციის შექმნით. ეს იყო არსებული ყველა პარტიის გაერთიანება კომუნისტების გარეშე. ამ აქტით მათ სურდათ, ერთი მხრივ, გაეთიშათ მემარცხენე ოპოზიცია და მუშათა მოძრაობა და, მეორე მხრივ, ისეთი პარტიის შექმნა, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მარცხის შემთხვევაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოზიციებს და თვით კლასობრივ ბატონობას უზრუნველყოფდა. ამ მიზნით შეიქმნა ე. წ. „ახალი იაპონიის" საზოგადოება, რომლის შემადგენლობაში კერძო პირების სახით შევიდნენ იაპონიის სოციალისტური პარტიის ცკ-ის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. ედა, დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის ცკ-ის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

.რ. სასაკი და წმინდა პოლიტიკის პარტიის, ანუ კომეიტოს[1] გენერალური მდივანი დ. იანო. მის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ მეცნიერების და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები. საზოგადოების თავმჯდომარე გახდა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მემარჯვენე სოციალისტი პროფესორი მაცუმა.

პარლამენტის არჩევნები 1976 წლის 5 დეკემბერს ჩატარდა. იგი ისეთ ვითარებაში მიმდინარეობდა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი „ლოკჰიდის საქმის" გამო ვნებათა ღელვა და სხვა სახის კორუფციები, რომლებშიც გარეული იყვნენ მთავრობის მოხელეები და მმართველი პარტიის დეპუტატები. რეაქციის ცდა, ამომრჩევლებში ანტიკომუნისტური ისტერიის გაჩაღების გზით მიეჩქმალათ მმართველი წრეების სამარცხვინო საქციელი, კრახით დამთავრდა.

არჩევნებმა ცხადყო, რომ 21 წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მყოფი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გავლენა მკვეთრად დაეცა. არჩევნებში მონაწილეობდა 56,6 მლნ. კაცი, აქედან ლიბერალ-დემოკრატებს ხმა მისცა 24 მლნ-მა. თუ წინა არჩევნებში მან 491 მანდატიდან 271 მანდატი მიიღო ქვედა პალატაში, ამჟამად მიიღო 249 მანდატი 511-დან. სხვადასხვა მაქინაციით 11. ე. წ. „დამოუკიდებელი" დეპუტატის მიმხრობით ლიბერალ-დემოკრატებმა მიაღწიეს არითმეტიკულ უმრავლესობას, რის შედეგადაც მათი რაოდენობა წარმომადგენელთა პალატაში 260-მდე გაიზარდა, ხოლო მრჩეველთა პალატაში 252 ადგილიდან 126 დეპუტატის ადგილი მიიღეს. არჩევნების ასეთმა შედეგებმა ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას საშუალება მისცა, მართალია, გარკვეული სიძნელეებით, მაგრამ მაინც უზრუნველეყო პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობა და კვლავ შეექმნა ერთპარტიული მთავრობა[2].

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ოპოზიციურმა პარტიებმა. სოციალისტურმა პარტიამ მიიღო 123 დეპუტატის ადგილი წარმომადგენელთა პალატაში (წინა არჩევნებში ჰქონდა 118). ამომრჩეველთა ერთმა ნაწილმა, რომელიც ადრე ლიბერალურ-დემოკრატიულ პარ-

---

[1] წმინდა პოლიტიკის პარტია (კომეიტო) 1964 წლის ნოემბერში შეიქმნა ბუდისტური ორგანიზაციის „სოკა გაკაის" მიმდევრების მიერ. მისი სოციალური ბაზა წვრილბურჟუაზიული და ნახევრადპროლეტარული ფენები, ქალაქის არაორგანიზებული გლეხთა ფენებიდან ახლად გამოსული მეშები. პარტიის იდეოლოგიური საფუძველია ბუდიზმი, რომელიც „მესამე ძალის" თეორიით გამოდის. ამ პარტიის ხელმძღვანელები „ბუდისტურ დემოკრატიას", „ნეოსოციალიზმს" უწოდებენ, სინამდვილეში კი ეს არის რელიგიურ ჩენჩოში გახვეული პოლიტიკის და იდეოლოგიის „მესამე ძალის" სპეციფიკური ვარიანტი. პარტია იაპონიის ნეიტრალიტეტის მომხრეა. თავის რიგებში 120 ათას წევრს აერთიანებს. პარტიის თავმჯდომარეა ი. ტაკეიში, გენერალური მდივანი — დ. იანო.

[2] გაზეთი „პრავდა", 16. XII-1976 წ.

ტიას აძლევდა ხმას, მხარი დაუჭირა ე. წ. „შუალედურ პარტიებს". „კომვიტოს" პარტიამ მიიღო 55 დეპუტატის ადგილი (1972 წელს კი — 29), დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამ — 29 (წინათ — 19). წარმომადგენელთა პარტიაში 17 ადგილი მიიღო ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისაგან გათიშულმა „ახალმა ლიბერალურმა კლუბმა", მაგრამ მათი თანამშრომლობა ლიბერალ-დემოკრატებთან სავსებით მოსალოდნელია.

კომპარტიამ, მიუხედავად ანტიკომუნისტური ისტერიისა, 5,9 მლნ. ხმა მიიღო (იმდენივე, რამდენიც 1972 წელს), მაგრამ თუ ადრე მას წარმომადგენელთა პალატაში 38 ადგილი ჰქონდა, ახლა მიიღო 17 ადგილი.

არჩევნების შედეგებით ფინანსურ-მონოპოლისტური წრეები და მსხვილი ბურჟუაზია, რომლებიც მილიონობით თანხას იღებდნენ პარტიის მხარდასაჭერად, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და მოითხოვდნენ სასწრაფო ზომების მიღებას პარტიის პრესტიჟის აღსადგენად.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მიკი იაპონელებს შეპირდა, რომ არჩევნების დროს მათ დაიცავდა „ფულიანი ტომრისაგან", მაგრამ გამოირკვა ამომრჩეველთა მოსყიდვის სამარცხვინო ფაქტები. 1977 წლის იანვრის დამდეგს საარჩევნო კანონის დარღვევისათვის დააპატიმრეს 10233 კაცი, რომელთაგან 8907 კაცს ბრალი დასდეს ამომრჩეველთა მოსყიდვაში.

ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვის 5076 შემთხვევა გამოაშკარავდა. პოლიციამ დაადგინა, რომ 1976 წლის არჩევნებისას ეკონომიკური დეპრესიის გამო ამომრჩევლის ერთი ხმა უფრო ნაკლებად ფასობდა, ვიდრე წინა არჩევნებში, და 2 ათასი იენი ღირდა [1].

ამ არჩევნების მთავარი შედეგი მაინც ის არის, რომ ქვეყნის კონსერვატორულმა ელემენტებმა, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის სახით, ისეთი დარტყმა იგემეს, რომ შეუძლებელი გახდა პოლიტიკის ძველებურად გატარება და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სერიოზული შემობრუნება მოხდა.

არჩევნებში მარცხმა მკვეთრად გააძლიერა შინაპარტიული ბრძოლა. მიკის მოწინააღმდეგენი დამარცხებას პრემიერს აბრალებდნენ, რომელიც ამავე დროს პარტიის თავმჯდომარეც იყო. ამ თანამდებობის ხელში ჩაგდება სურდათ პრემიერის ყოფილ მოადგილეს ტ. ფუკუდას და ფინანსთა მინისტრს მ. ოჰირას. ისინი დიდი ხანია ებრძოდნენ ტ. მიკის და ბრალს დებდნენ, რომ ვერ ხელმძღვანელობს პარტიას, მთავრობასა და ქვეყანას.

20 დეკემბერს ტ. მიკი გადადგა. მან პირადი პასუხისმგებლობა იკისრა არჩევნებში პარტიის დამარცხების გამო. პოლიტიკური მიმო-

---

[1] გაზეთი „პრავდა". 9. I-1977 წ.

მხილველების აზრით, მიკის გადაყენებაში ერთგვარი როლი შეასრულეს გარკვეულმა წრეებმა, რომლებიც ცდილობდნენ მიეფუჩეჩებინათ „ლოკჰიდის საქმის“ გამოძიება. რომელმაც ქვეყნის მმართველ ზედაფენაში ფართო კორუფცია გამოიწვია.

23 დეკემბერს ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიწვია პარლამენტის თავისი დეპუტატების კრება, რომელსაც, პარტიის წესდების თანახმად, გარკვეულ შემთხვევაში პარტიის ყრილობის ფუნქციები და რწმუნებები აქვს. კრების მოწვევის მიზანი იყო პარტიის ხელმძღვანელობის და მთავრობის მეთაურის არჩევა. იაპონიაში არსებული ტრადიციით არჩევნებში გამარჯვებული პარტიის თავმჯდომარეს მთავრობის შედგენას აკისრებენ.

კრებაში მონაწილეობა მიიღო პარლამენტის ორივე პალატის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის 323 დეპუტატმა. პარტიის ხელმძღვანელებს შორის შეთანხმებით კრების მონაწილეებმა ახალ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ტაკეო ფუკუდა[1], რომელიც ბოლო დროს სათავეში ედგა მიკის მოწინააღმდეგეთა ბანაკს.

ფუკუდამ კრებაზე განაცხადა, რომ პარლამენტის ამ ბოლო არჩევნების შედეგებიდან პარტიამ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს, რომ აუცილებელი იყო „ძირეული რეფორმების“ გატარება და პარტიის რეორგანიზაცია[2]. კრებაზე პრემიერ-მინისტრის კანდიდატად

---

[1] ტაკეო ფუკუდა 71 წლისაა. იგი პარლამენტის უცვლელი დეპუტატია 1959 წლიდან და პარტიის ერთ-ერთი გავლენიანი ფრაქციის ლიდერი. მას მნიშვნელოვანი პოსტები ეკავა პარტიასა და მთავრობაში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. იგი იყო ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი, მთელი რიგი კომიტეტების თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა, ფინანსთა, მიწათმოქმედებისა და ტყის მეურნეობის მინისტრი. მიკის კაბინეტში ფუკუდას პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ეკონომიკური დაგეგმვის ბიუროს უფროსის ადგილი ეკავა. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გამოვიდა მთავრობიდან.

ფუკუდას მეთაურობით არსებული ფრაქცია ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში უკანასკნელ წლებში ქვეყნის წამყვანი მონოპოლისტური კორპორაციებიდან იღებდა მსხვილ ფულად სუბსიდიებს, რამაც გამოიწვია პარტიის შიგნით მისი გავლენის თანდათანობით გაძლიერება.

[2] ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გენერალურ მდივნად კრებამ აირჩია მასაესი ოჰირა, რომელსაც მიკის მთავრობაში ფინანსთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს მასუმი ედზაკი, რომელიც პარტიის საერთო საკითხების შტაბის წევრია; პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ტოსიო კომოტო, რომელსაც მანამდე საგარეო ვაჭრობის მინისტრის თანამდებობა ეკავა. ყველა მითითებული პირი შინაპარტიული ფრაქციის ხელმძღვანელია. ადგილობრივი კომენტატორების აზრით, მიკის გადადგომა და ფუკუდას დანიშვნა პარტიის ხელმძღვანელობის სტრუქტურაში არ მოახდენს რაიმე ცვლილებებს, არც მისი კადრების შემადგენლობაში და არც პარტიის პოლიტიკური კურსის გატარებაში (გაზეთი „პრავდა“, 24. XI!-1976 წ.).

წამოაყენეს ტ. ფუკუდა, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. 511 ხმიდან მან მიიღო 256 ხმა, ე. ი. ფაქტობრივად ნახევარი. ამრიგად, ტ. ფუკუდას თავისი პარტიის ყველა დეპუტატმაც კი არ მისცა ხმა.

საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს ი. ჰატოიამა, ფინანსთა მინისტრად — ჰ. ბო და საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრად — ტ. ტანაკა.

ძალთა ახალი თანაფარდობა პარლამენტში მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის და უბრალო არითმეტიკული უმრავლესობა, კონსტიტუციის თანახმად, საკმარისი არ იყო, რომ ლიბერალ-დემოკრატები სათავეში ჩასდგომოდნენ პარლამენტში არსებულ ყველა 16 ძირითად კომისიას ან ამ კომისიებში თავიანთი პარტიების წარმომადგენლების უმრავლესობა ჰყოლოდათ, როგორც ეს ადრე იყო. ამიტომ ლიბერალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ ზოგიერთი საპასუხისმგებლო ადგილი ოპოზიციური პარტიებისათვის დაეთმოთ. უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში მთელი რიგი ადგილები პირველად დაიკავეს ოპოზიციურმა პარტიებმა.

პარლამენტში შექმნილი ძალთა ახალი თანაფარდობის შედეგად ლიბერალ-დემოკრატები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ოპოზიციის თვალსაზრისსაც.

1977 წლის 28 იანვარს შედგა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მორიგი XXXII ყრილობა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა პარტიის და მთავრობის თავმჯდომარე ტ. ფუკუდა. პარტიის წარუმატებლობასთან დაკავშირებით უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მან მოითხოვა პარტიული სტრუქტურის „ძირეული რეფორმები“ ფრაქციულ დაგჯუფებებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ლიკვიდაციისათვის.

ყრილობამ დაამტკიცა „პარტიის მოქმედების კურსი 1977 წლისათვის“, რომელშიც არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში ახალი არაფერია, გარდა დეკლარირებული მოწოდებისა პარტიისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შესახებ.

„მოქმედების კურსში“ დაპირებაა „ინფლაციის აღკვეთის“, მშრომელთა ცხოვრების დონის სტაბილიზაციისა და ეკონომიკური დაქვეითების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. იგი მოითხოვს იაპონიასა და აშშ-ს შორის სამხედრო თანამშრომლობის გაგრძელებას „უშიშროების ხელშეკრულების“ საფუძველზე. აქვე ხაზგასმულია იაპონიის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობა.

„მოქმედების კურსის“ განსაკუთრებულ განყოფილებაში აღნიშნულია იაპონიის უსაფუძვლო პრეტენზიები კურილიის კუნძულებზე.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან თავდასაღწევად პრემიერ-მინისტრმა ფუკუდამ წინადადება წამოაყენა, რომ პარლამენტში შეიტანონ კანონპროექტი დამატებითი ბიუჯეტის შესახებ, რომლითაც უნდა დაფინანსდეს სხვადასხვა საამშენებლო საზოგადოებრივი სამუშაო.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსასვლელად დემოკრატიული ოპოზიციის პარტიები სხვა გზებს სთავაზობდნენ. ისინი მოითხოვენ მშრომელი მასების გადასახადების შემცირებას, რაც, მათი აზრით, მოსახლეობის ფართო ფენებში გამოიწვევს სყიდვითუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკური კონიუნქტურის გამოცოცხლებას. რაც შეეხება ბიუჯეტის შემოსავლის სტატიებს, პროგრესული ძალების აზრით, მისი გაზრდა შეიძლება გადასახადების მნიშვნელოვანი მომატებით მონოპოლისტური კორპორაციების მოგებებზე.

ოპოზიცია სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს აშშ-თან შემდგომ სამხედრო თანამშრომლობისა და საკუთარი ეროვნული ძალების გაზრდის მთავრობისეულ კურსს.

ამრიგად, იაპონიაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსასვლელად ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი არსებობს, რომელთაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა კლასობრივი მიზნები და ინტერესები.

კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელებმა პარლამენტის არჩევნების შემდეგ მოწყობილი შეხვედრის დროს მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ მშრომელთა ინტერესების დაცვის საქმეში. კერძოდ, ისინი შეთანხმდნენ ერთად იმოქმედონ შემდეგ საკითხებში: გადასახადების შემცირება, კრიზისიდან თავის დაღწევა, სუბსიდიების გაზრდა წვრილი და საშუალო მეწარმეებისათვის და მათი მასობრივი გაკოტრების თავიდან აცილება, ერთობლივი მოქმედება მთავრობის წინააღმდეგ „ლოკჰიდის საქმესთან" დაკავშირებით, გადამჭრელი ზომების მიღება მთავრობის წრეებში კორუფციის წინააღმდეგ.

ორივე პარტიის მტკიცე პოზიციისა და ქვეყნის დემოკრატიული ძალების საყოველთაო მოთხოვნის შედეგად 1977 წლის იანვარში ტოკიოში დაიწყო ყოფილი პრემიერის კ. ტანაკას სასამართლო პროცესი. საქმეში გადის კიდევ 18 კაცი, მათ შორის ყოფილი ვაჭრობის მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის გენერალური მდივანი ტ. ჰასიმოტო, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის რამდენიმე სხვა მოღვაწე და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

„ლოკჰიდის საქმე" იაპონიის მმართველ წრეებში ვაჭრუკანობისა და ფართო კორუფციის სიმბოლო გახდა. მან შესამჩნევი გავლენა მოახდინა ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

პროკურატურას დანაშაულის დასადასტურებელი საკმაო საბუთები

გააჩნია. ვარაუდობენ, რომ ტანაკას მიერ აღებული ქრთამი 500 მლნ. იენს უნდა შეადგენდეს. თუ ეს დადასტურდა, ყოფილ პრემიერს 7,5 წელი პატიმრობა და 5 მლნ. დოლარი ჯარიმა მოელის [1].

ასეთია ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის საშინაო პოლიტიკური კურსი, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევს, რის გამოც პარტიის პოლიტიკურ გავლენას ძირი ეთხრება მოსახლეობის ფართო ფენებში. მსხვილი კაპიტალის ეს პარტია ამჯერად სერიოზულ კრიზისს განიცდის, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხელისუფლებიდან მისი ჩამოცილებისა და დემოკრატიული, მემარცხენე პარტიების მიერ ძალაუფლების ხელში აღებისათვის.

§ 73. იაპონიის საგარეო პოლიტიკა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე

იაპონიის მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა 60-იანი და 70-იანი წლების დამდეგს იყო კაპიტალისტური წყობის სტაბილურობის უზრუნველყოფა და იმპერიალიზმის პოზიციის განმტკიცება **ორ სისტემას შორის შეჯიბრების** და ბრძოლის დარგში: ეკონომიკურ, პოლიტიკურსა და სამხედრო სფეროებში.

იაპონიის მმართველი წრეები, ითვალისწინებენ რა საერთაშორისო არენაზე ძალთა თანაფარდობაში მომხდარ ცვლილებებს სოციალიზმის სასარგებლოდ, თავიანთი მიზნების განხორციელებას ცდილობენ არა იარაღის ძალით, არამედ მზარდი ეკონომიკური სიძლიერის გამოყენებით. მათ მიაჩნიათ, რომ თანამედროვე პირობებში მთლიანად გამორიცხულია ომი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წინაღმდეგ, რომლებიც თავიანთი სამხედრო პოტენციალით მნიშვნელოვნად ძლიერი არიან იაპონიასთან შედარებით. საერთოდ, იაპონია თანამედროვე პირობებში ძალის პოზიციას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში უარყოფს, მით უმეტეს მას შემდეგ, როდესაც აშშ-ის ასეთმა პოლიტიკამ კრახი განიცადა აზიაში.

ამიტომაა, რომ იაპონიის მთავრობა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში მიმართავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას.

იაპონიის საგარეო პოლიტიკაში აზიის ქვეყნებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ურთიერთობას. აზიის ამ რაიონს იაპონია თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევს და მას თვლის გასაღების ბაზრად და ნედლეულის ბაზად.

ეკონომიკურ ურთიერთობასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა

[1] გაზეთი „პრავდა", 30. I-1977 წ.

პოლიტიკურ ურთიერთობასაც იმ ქვეყნებთან, რომლებიც აზია-წყნარი ოკეანის საბჭოში შედიან. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტაკეო მიკიმ 1966—1968 წლებში „აზია-წყნარი ოკეანის" გაერთიანების გეგმა წამოაყენა. ამ რეგიონში უნდა შესულიყვნენ აგრეთვე აშშ, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია.

გარდა ამისა, აშშ-ისა და სხვა სახელმწიფოების კაპიტალის დაბანდებები აზიაში ხელსაყრელია იაპონიისათვისაც იმის გამო, რომ იგი ხელს უწყობს აზიის ქვეყნების საქმიანი აქტივობის ამაღლებას. კოლექტიურ მოქმედებას შეუძლია შენიღბოს იაპონიის ეკონომიკური ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მაგრამ ეს ქვეყნები იაპონიის ამ ცდებს ძალზე ცივად და უნდობლად შეხვდნენ. იაპონიას კოლექტიური მოქმედებით უნდოდა თავისი ექსპანსიური გეგმების მიჩქმალვა აზიაში.

ამერიკის პოლიტიკის მარცხი აზიაში და 1969 წლის ივნისში ნიქსონის მიერ გამოცხადებული „გუამის დოქტრინა", რომელიც ითვალისწინებდა ამერიკის სამხედრო ძალების შემცირებას აზიაში და „ვიეტნამიზაციის" კურსის განხორციელებას, იაპონიის მმართველმა წრეებმა თავიანთი გავლენის გაძლიერების ხელსაყრელ პირობებად მიიჩნიეს. მაგრამ იაპონიის გააქტიურებამ შეშფოთება გამოიწვია აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, რომელთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ არაა წაშლილი იაპონიის მილიტარიზმის აგრესიულობა ომის წინ და ომის პერიოდში. ანტიიაპონური განწყობილების თავიდან აცილების მიზნით 1972 წლის 1 ოქტომბერს მთავრობამ გადაწყვიტა სპეციალური „იაპონიის ფონდის" შექმნა, რომელიც აფინანსებს იაპონური სპეციალური ფილმების და ლიტერატურის გავრცელებას. იგი ითვალისწინებს აგრეთვე უცხოელ სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნას.

1972 წელს ამ მიზნისათვის 50 მლრდ. იენი იყო გამოყოფილი, რომელიც შემდეგ ყოველწლიურად 10 მლრდ. იენით გაიზრდება და 100 მლრდ. იენამდე მიაღწევს.

იაპონიის მთავრობა, წამყვანი მონოპოლიების ზეგავლენით, სხვადასხვა ღონისძიებას იღებს მსოფლიო ბაზარზე გაბატონებისათვის.

იაპონიის ეკონომიკურმა „სასწაულმა" მნიშვნელოვნად გააფართოვა ქვეყნის საექსპორტო ოპერაციები. იაპონია ომამდე ითვლებოდა ბამბეულის მწარმოებელ (ბამბეულის ქსოვილის) მსხვილ ქვეყანად; მას გაჰქონდა ქაღალდი, თავის მოთხოვნილებას თითქმის იკმაყოფილებდა მერქანზე, ფერად ლითონებზე, ქიმიურ პროდუქტებზე. 50—60-იან წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — იაპონია მსოფლიო ბაზარზე გადაიქცა უმსხვილეს შემსყიდველ ქვეყანად. იაპონიის ექსპორტის თითქმის 50% შეადგენს მანქანების სხვადასხვა მრწყობი-

ლობა და სატრანსპორტო საშუალებები — 60-იანი წლებიდან კი დაიწყო ქარხნის კომპლექტური გატანა.

იაპონიის ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამომხმარებლო საქონელს. იაპონიის ფირმები დიდ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ქვეყნის ბაზრების შესწავლას და თავიანთ წარმოებას მათ მოთხოვნებს უფარდებენ.

სამხრეთ აღმოსავლეთის და აგრეთვე აზიის სხვა რაიონის განვითარებად ქვეყნებთან იაპონიას დადებული აქვს სამთავრობათაშორისო შეთანხმებები, რომელთა საფუძველზე იაპონიის კაპიტალმა ხელსაყრელი პირობები მიიღო ამ ქვეყნების ბაზრებზე შესაჭრელად.

იაპონიის ყველა მთავრობის საგარეო პოლიტიკაში პირველი ადგილი ეკავა ურთიერთობას აშშ-თან. „მათ შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირის საფუძველია 1960 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულება (ათი წლით) ურთიერთთანამშრომლობისა და უშიშროების გარანტიის შესახებ.. ეს ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდა 1970 წელს და ძალაში რჩება, ვიდრე რომელიმე მხარე ერთი წლით ადრე არ განაცხადებს მასზე უარს. ფაქტობრივად ეს 1951 წლის უშიშროების ხელშეკრულების გაგრძელებაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იაპონიის ტერიტორიაზე მყოფმა აშშ-ის ჯარებმა დაკარგეს პოლიციის ფუნქციები. იაპონიამ უფლება მიიღო, რომ მესამე სახელმწიფოსთან დაედო ხელშეკრულება ბაზების შექმნის შესახებ. უშიშროების ხელშეკრულება თავისი შინაარსით იაპონიისათვის არათანასწორუფლებიანია, ვინაიდან აშშ-ის მიერ ომის გაჩაღების შემთხვევაში ეს ბაზები დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 1972 წლის 15 მაისს [1]. ხალხთა მასობრივი პროტესტის და იაპონიის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის გაძლიერების შემდეგ აშშ-მა ამ ხელშეკრულებით უარი თქვა იაპონიის სასარგებლოდ ყველა უფლებაზე, რომლებიც მას ჰქონდა სან-ფრანცისკოს ხელშეკრულებით. იაპონიას გადაეცა ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება რიუკიუს არქიპელაგსა და დაიტოზე.

ახალი შეთანხმებით აშშ-ის ყველა ბაზა და ნაგებობა დაიყო სამ კატეგორიად. პირველ კატეგორიაში შევიდა ყველაზე უმნიშვნელოვანესი 88 ბაზა და ნაგებობა, რომლებიც აშშ-ს შეიარაღებული ძალების განკარგულებაში რჩება განუსაზღვრელი ვადით, მეორე კატეგორიაში — 12 სამხედრო ობიექტი, რომლებიც მთლიანად იაპონიის „თავდაცვითი ძალების“ განკარგულებაში გადავიდა, მესამე კატეგორიაში

---

[1] 1969 წლისათვის იაპონიის ტერიტორიაზე 148 ამერიკული ბაზა იყო, რომელთაც ეკავათ 36,6 ათასი ჰექტარი მიწა. აქ იყო 41 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

იყო 34 ბაზა, რომლებიც დამატებითი შეთანხმებით ასევე იაპონიის განკარგულებაში მოექცა.

ამრიგად, ახალი შეთანხმების საფუძველზე იაპონიას გადაეცა ადმინისტრაციული უფლებები ოკინავაზე, მაგრამ არა ყველა ბაზა. აშშ-ის ხელში განუსაზღვრელი დროით დარჩა მნიშვნელოვანი ბაზები რიუკიუს და დაიტოს კუნძულებზე.

აშშ-გან მიღებული ბაზებისათვის კომპენსაციების სახით იაპონიამ მას გადაუხადა 320 მლნ. დოლარი.

იაპონია მხარს უჭერდა აშშ-ის აგრესიას ინდოჩინეთში როგორც მორალურ-პოლიტიკურად, ასევე მატერიალურ-ტექნიკურად. 1965—1971 წლებში იაპონიამ აშშ-გან დაკვეთები მიიღო სამხედრო საჭურველზე, რომლის საერთო თანხამ 3,8 მლრდ. დოლარი შეადგინა. გარდა ამისა იგი გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა სამხრეთ ვიეტნამში, სადაც იაპონიის საქონლის ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა.

იაპონიის ეკონომიკურმა სიძლიერემ ქვეყანაში გაზარდა ნაციონალისტური განწყობილება. იაპონია ვეღარ ეგუებოდა უმცროსი პარტნიორის და დაქვემდებარებული როლის მდგომარეობას. იგი მოითხოვდა საკუთარი როლის გაზრდას მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში. ამის შედეგი იყო, რომ წინააღმდეგობანი ძლიერდებოდა აშშ-სა და იაპონიას შორის. წინააღმდეგობათა გაძლიერება მათ შორის ხდება აგრეთვე იაპონიის საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რომლის შედეგად იაპონია მსოფლიო ბაზარზე გადაიქცა აშშ-ის უძლიერეს მეტოქედ და კონკურენტად.

1955—1975 წლებში იაპონიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 4,5 მლრდ. დოლარიდან 113,5 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა. საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპებით იაპონიამ წინ გაუსწრო ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს. 1975 წელს იგი ექსპორტითა და იმპორტით მესამე ადგილზე გამოვიდა კაპიტალისტურ სამყაროში (აშშ-ისა და გფრ-ის შემდეგ). 50-იან წლებში კი იაპონია მხოლოდ მეშვიდე ადგილზე იყო. ყველაზე უფრო აქტიური საგარეო ეკონომიკური კავშირი იაპონიას აქვს აშშ-თან, სადაც მას ძირითადად მზა პროდუქცია გააქვს. ორივე ქვეყნის მონოპოლიებს შორის თავს იჩენს ხოლმე სავაჭრო „ომები" საფეიქრო ნაწარმის, ავტომანქანების გასაღებისათვის, თევზჭერის, პარკოსანი კულტურების, ხე-ტყის და სხვა საქონლის შესაძენად.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში „სავაჭრო ომმა" მათ შორის უფრო დაძაბული ხასიათი მიიღო. ამასთანავე ამ ომში იაპონია სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს როგორც აშშ-თან, ასევე „საერთო ბაზრის" ქვეყნებთანაც. მაგალითად, 1965—1971 წლებში აშშ-მა იაპონიაში მანქანათმშენებლობის პროდუქცია 3,4-ჯერ გაზარდა — 416

მლნ-დან 1417 მლნ. დოლარამდე. ამავე პირობებში კი იაპონიამ იგივე პროდუქცია აშშ-ში გაზარდა 5,7-ჯერ, ე. ი. 4067 მლნ. დოლარით.

ამერიკა-იაპონიის ურთიერთობას, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის დროს, ახასიათებს ორივე ქვეყნის მონოპოლიების სულ უფრო მზარდი კონკურენტული ბრძოლა. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა აშშ-ის საერთაშორისო ვაჭრობის ფედერალური კომისიის 1977 წლის იანვრის გადაწყვეტილება იაპონიის იმ ფოლადჩამოსასხმელი კორპორაციების საქმეთა გამოძიება, რომლებიც თავიანთ პროდუქციას აწვდიან ამერიკის ბაზრებს.

1976 წლის მეორე ნახევარში იაპონიის ექვსი წამყვანი მეტალურგიული მონოპოლიის ექსპორტი აშშ-ში თითქმის 70%-ით გაიზარდა 1975 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ამერიკის „ფოლადის მეფეები" მაშინვე გამოეხმაურნენ ამას და მოსთხოვეს მთავრობას „დაიცვას ქვეყანა იაპონიის ექსპანსიისაგან". იაპონიის კორპორაციებს ისინი ბრალს დებდნენ მათი პროდუქციის ფასების შემცირებაში. იაპონიის ექსპორტის გაფართოება, ამტკიცებენ „არმკო სტილისა". და სხვა კორპორაციების წარმომადგენლები, ხელს უშლის აშშ-ის მეტალურგიული მრეწველობის აღდგენას, რომელიც ძლიერ დააზარალა ეკონომიკურმა დაქვეითებამ.

1976 წელს იაპონია-ამერიკის ვაჭრობაში აშკარად გამოვლინდა შეუფარდებლობა სავაჭრო ბალანსში იაპონიის სასარგებლოდ. სავაჭრო დეფიციტმა აშშ-ის ვაჭრობაში, იაპონიასთან შედარებით, უზარმაზარი თანხა — 5 მლრდ. 360 მლნ. დოლარი შეადგინა [1].

მნიშვნელოვნად გაიზარდა აშშ-ში იაპონიის ტელევიზორების ექსპორტი. 1976 წელს იაპონიის კომპანიებმა აშშ-ში ორ-ნახევარჯერ მეტი ფერადი ტელევიზორი შეიტანეს, ვიდრე 1975 წელს. იაპონიაზე მოდის აშშ-ში გაყიდული მთელი ტელევიზორების 30%. იაპონიის ტელევიზორები ბევრად სჯობია ხარისხობრივად ამერიკისას და უფრო იაფიცაა, რის გამო ამ პროდუქციაზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა აშშ-ის ბაზარზე. ამის შედეგად აშშ-ის ტელევიზორების საწარმოებმა მკვეთრად შეკვეცეს თავიანთი პროდუქციის გამოშვება და 19 ათასი მუშა-მოსამსახურე დაითხოვეს, ხოლო 65 ათასი კაცი ასეთივე საშიშროების წინაშეა.

აშშ-ის ტელევიზიის საწარმოების ფირმებმა და პროფკავშირებმა მთავრობას მოსთხოვეს, იაპონელი კონკურენტებისაგან ისინი ადმინისტრაციული ღონისძიებებით დაიცვან. ამ მიზნით, 1976 წლის სექტემბერში შეიქმნა მთავრობის კომისია საგარეო ვაჭრობის საკითხებზე, რომელმაც 1977 წლის დამდეგს განაცხადა, რომ ტელევიზორების

[1] გაზეთი „პრავდა", 1. II-1977 წ.

შემოტანა იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან (მხედველობაშია ტაივანი, სამხრეთ კორეა და მექსიკა) დიდ ზარალს აყენებს ამერიკის მრეწველობას. ამ კომისიის დასკვნა მთავრობას საფუძველს აძლევს შეზღუდოს აღნიშნული პროდუქციის იმპორტი.

იაპონიის ბიზნესმენები შეშფოთებით შეხვდნენ აღნიშნული კომისიის დასკვნას და თავიანთი მთავრობისაგან სათანადო ზომების მიღებას მოითხოვენ.

1977 წლის თებერვლის დამდეგს აშშ-ის ახალი ვიცე-პრეზიდენტი �sტერ მონდეილი დასავლეთ ევროპაში ათდღიანი ტურნეს შემდეგ იაპონიაში ჩავიდა და მოლაპარაკება გამართა. იაპონიის პრემიერ-მინისტრთან ტაკეო ფუკუდასთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ინტარა ხატოიამოსთან და სხვა პირებთან. მოლაპარაკების მთავარი საკითხი იყო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობა. მონდეილმა უკმაყოფილება გამოთქვა ამერიკის საშინაო ბაზარზე იაპონიის საქონლის სულ უფრო მზარდი მოზღვავების გამო. არც ფუკუდა დარჩა ვალში. მან ვიცე-პრეზიდენტს უსაყვედურა აშშ-ის მთავრობის მიერ თავის ტერიტორიულ წყლებში იაპონიის თევზჭერის შეკვეცა და იაპონიის სამგზავრო თვითმფრინავების შეზღუდვა, რომლებიც ამერიკის ტერიტორიაზე ფრენენ ან სხდებიან.

ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე როგორც ეს მათი განცხადებიდან ჩანს, ამ ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობა. მათ განაცხადეს, რომ კვლავაც ითანამშრომლებენ „უშიშროების ხელშეკრულების“ საფუძველზე [1].

იაპონიის ექსპორტის ახალ მიმართულებად იქცა პროდუქციის ფართო მასშტაბებით გასაღება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. იაპონიის ექსპორტის 15% მოდის გფრ-ზე, საფრანგეთზე, იტალიაზე, შვეიცარიაზე, ჰოლანდიაზე, ინგლისზე. 70-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაძლიერდა უკმაყოფილება იაპონიის სავაჭრო ექსპორტის გამო. ამიტომ „საერთო ბაზრის“ ქვეყნები ცდილობენ, დაიცვან თავიანთი ბაზრები იაპონიის საქონლის მოზღვავებისაგან.

1970 წლისათვის „საერთო ბაზრის“ ქვეყნების დეფიციტმა იაპონიასთან ვაჭრობაში შეადგინა 300 მლნ. დოლარი. 1973 წელს იგი 1,2 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა, 1975 წელს შეადგინა 2,5 მლრდ. დოლარი, 1976 წელს კი — 4,2 მლრდ. დოლარი [2].

იაპონიის ეკონომიკური კვლევითი ცენტრის ცნობით, 80-იანი წლების შუა პერიოდში ამ ციფრმა შეიძლება 15 მლრდ. დოლარამდე

---

[1] გაზეთი „პრავდა“, 1. II-1977 წ.

[2] «Международная жизнь», № 1, 1977, გვ. 123—134.

მიაღწიოს. იაპონიის ვაჭრობის ახლანდელი მასშტაბები „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამ გამწვავებული ეკონომიკური კონფრონტაციის პოლიტიკური გადაწყვეტის ყველა ცდა „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მხრივ უშედეგოდ მთავრდება.

1976 წელს იაპონიის ექსპორტმა ამ რაიონში მიაღწია 7239 მლნ. დოლარს, რაც 27%-ით მეტია, ვიდრე წინა წელს. ამავე დროს „საერთო ბაზრის“ ქვეყნების ექსპორტი შეადგენდა 3616 მლნ. დოლარს იაპონიაში, ე. ი. მხოლოდ 3,5%-ით გაიზარდა.

დასავლეთ ევროპაში იაპონიის სავაჭრო ექსპანსიის საშიშროებამ თავი იჩინა უკვე 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დამდეგს, როდესაც იაპონიის მონოპოლიებმა სულ უფრო გააააქტიურეს ახალი ბაზრების ხელში ჩაგდება. იაპონიის „დიდმა ბიზნესმა“ დასავლეთ ევროპის ბაზარზე მთელი რიგი საქონლის გასაღებაში გადამწყვეტი პოზიციები მოიპოვა. იგი წარმატებით უწევს კონკურენციას „საერთო ბაზრის“ ქვეყნებს შემდეგი სახის საქონლის გასაღებაში: ელექტრომოწყობილობები, გამოთვლითი ტექნიკა, ფოტო და კინოაპარატურები, რადიომიმღებები, ფერადი და შავი გამოსახულების ტელევიზორები, ავტომანქანები და მოტოციკლეტები, ხარისხოვანი ფოლადის ნაწარმი, გემები და საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობები, საკისართა მრეწველობის პროდუქცია და ა. შ. იაპონური საქონელი ევროპულზე უფრო მაღალხარისხოვანია და, როგორც წესი, იაფიცაა, ამიტომ მას თავისუფლად უწევს კონკურენციას და ბუნებრივია, მეტ მყიდველს იზიდავს.

1972 წელს „საერთო ბაზრის“ და იაპონიის მონოპოლიებმა „ჯენტლმენური შეთანხმება“ გააფორმეს, რომლითაც ამ უკანასკნელებმა პირობა დადეს დასავლეთ ევროპაში გაგლინული ფოლადის შეტანის შეზღუდვაზე, მაგრამ იაპონიის საშუალო ფირმები, რომელთაც ასეთ შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერიათ, კვლავ აგრძელებენ მის ექსპორტს.

იაპონიის ექსპანსია განსაკუთრებით საშიშ ხასიათს იღებს ავტომანქანების ექსპორტში. მათ უკვე დაიპყრეს ინგლისის ავტომანქანების ბაზრის 10% და ფართოდ იჭრებიან ბენილუქსის ქვეყნებშიც.

1976 წელს იაპონიამ „საერთო ბაზრის“ ცხრა ქვეყანაში გაყიდა ნახევარ მილიონამდე ავტომანქანა. ევროპიდან და აშშ-დან კი იაპონიაში მანქანების ექსპორტმა მხოლოდ 50 ათასი ცალი შეადგინა. იაპონიის გემთმშენებლებმა ხელთ ჩაიგდეს განვითარებული ქვეყნების მთელი კონტრაქტების 86% [1].

ამრიგად, სავაჭრო ომი მიმდინარეობს სამ იმპერიალისტურ ცენტრს შორის გაგლინული ფოლადის, ტელევიზორების, ტრანზისტორების,

---

[1] გაზეთი „პრავდა“, 30. I-1977 წ.

პორტატული საანგარიშო აპარატების, ავტომანქანების და სხვათა გასასაღებლად. ამ ბრძოლაში იაპონიის მონოპოლიები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ.

1976 წლის მაისში ტოკიოში ჩავიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტონ კროსლენდი, რომელმაც იქ გამართა კონსულტაციური ხასიათის მოლაპარაკება იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან კიტი მიაიძავოსთან და პრემიერ-მინისტრ ტაკეო მიკისთან. კროსლენდმა მათ აუწყა ინგლისის საქმიანი წრეების შეშფოთება იაპონიის საქონლის ცალმხრივი მოზღვავების გამო ინგლისის ბაზარზე, რომლის შედეგად შეიქმნა ინგლისის დიდი დეფიციტი იაპონიასთან ვაჭრობაში. კროსლენდმა გააფრთხილა იაპონიის მხარე, რომ თუ იაპონია ნებაყოფლობით არ შეამცირებს თავისი საქონლის ექსპორტს, მაშინ ინგლისის მთავრობა იძულებული იქნება მაღალი ტარიფები შემოიღოს იმპორტზე. მაგრამ მიუხედავად „საერთო ბაზრის" ქვეყნების არა ერთი გაფრთხილებისა, იაპონიის სავაჭრო ექსპანსია დასავლეთ ევროპაში კვლავ გრძელდება. ისიც აღსანიშნავია, რომ „თავისუფალი ვაჭრობის" მოტივით დასავლეთ ევროპა ზომებს არ იღებს ტარიფების შემოღების გზით იაპონიის სავაჭრო ექსპანსიის შეჩერებისათვის. ისინი ცდილობენ, იაპონიაზე პოლიტიკური ზეგავლენით შეაჩერონ მისი საქონლის მოზღვავება. 1976 წლის ნოემბრის დამდეგს „საერთო ბაზრის" ცხრავე სახელმწიფომ წინადადება მისცა იაპონიას, ამავე თვის ბოლომდე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჰაგის თათბირის დაწყებამდე წარმოედგინა თავისი ექსპორტის შემცირების პროგრამა დასავლეთ ევროპაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საპასუხო ზომებით იმუქრებოდნენ. ცხრა სახელმწიფო იაპონიისაგან მოითხოვდა კონკრეტული ნაბიჯების დაუყოვნებლივ გადადგმას: დასავლეთ ევროპაში იაპონური გემებისა და ავტომანქანების ექსპორტის შემცირებას, ყოველგვარი შეზღუდვების მოხსნას დასავლეთ ევროპის საქონლის ექსპორტზე იაპონიაში და ხელის შეწყობას მისი გაფართოებისათვის, კერძოდ, ავტომანქანების, ფარმაცევტული და თამბაქოს ნაწარმის, სასურსათო პროდუქტების და სხვათა შემოტანისათვის.

ამ მოთხოვნის შემდეგ იაპონიის მთავრობამ „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა იაპონიის ეკონომიკური ორგანიზაციის ფედერაციის თავმჯდომარე ტოსიო დოკო, რომელსაც ჰქონდა შეხვედრები და საუბრები „ცხრაეულის" სახელმწიფოთა მოღვაწეებთან, საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან და ხელმძღვანელებთან. მან ტოკიოში ჩასვლისას აღიარა, რომ იაპონიის იაფი საქონლის მოზღვავებამ დასავლეთ ევროპის ბაზრებზე დიდი ზარალი მიაყენა ევროპის ბევრ ფირმას, წარმოების რიგ დარგებში შექმნა დაცემის და უმუშევრობის საშიშროება, დასავლეთ ევროპის საქმიან

წრეებში გამოიწვია ანტიიაპონური განწყობილება. დოკომ მოითხოვა, რომ იაპონიის ბიზნესმენებმა მიიღონ დამატებითი ღონისძიებები დასავლეთ ევროპაში ექსპორტის შეზღუდვისათვის.

„საერთო ბაზრის" ქვეყნებთან აშკარა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, რომელსაც შემდეგ შეიძლებოდა მოჰყოლოდა ხანგრძლივი „სავაჭრო ომი", იაპონიის მთავრობას სურდა მათ წინაშე დათმობებზე წასულიყო. იგი შეპირდა მათ, რომ აუცილებელ ღონისძიებებს გაატარებდა იაპონიის სავაჭრო ბალანსის აქტიური სალდოს შემცირებისათვის „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან და ამავე დროს დასავლეთ ევროპის ექსპორტიორებს იაპონიის ბაზარზე საქონლის შემოტანას გაუადვილებდა. იგი იმასაც დაპირდა, რომ გავლენას მოახდენდა იაპონიის საავტომობილო ქარხნების მეპატრონეებზე, რათა შეამცირონ თავიანთი პროდუქციის ექსპორტი ინგლისში. დათანხმდა, რომ მოლაპარაკებას გამართავდა „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან გემთმშენებლობის საკითხებზე.

მაგრამ მთავრობისა და ტოსიო დოკოს თვალსაზრისს ყველა ფირმის მფლობელი და მთავრობის წევრი როდი იზიარებს. იაპონიის საქმიანი წრეები აცხადებენ, დასავლეთ ევროპამ თვითონ უნდა იზრუნოს თავისი საქონლის კონკურენციისუნარიანობის ამაღლებაზე და არა სხვა აიძულოს, რომ საკუთარი ინტერესების საზიანოდ მათ დაეხმაროსო.

ამ საკითხში მკაცრი პოზიცია უკავია იაპონიის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რომელსაც მიაჩნია, რომ ეკონომიკის „გამოცოცხლებისათვის" საჭიროა ექსპორტის არა შემცირება. არამედ გაზრდა [1].

ყოველგვარი იმედი გამორიცხულია, რომ დროებითი კომპრომისების მეშვეობით ბოლო მოეღოს ამ ორი ცენტრის საკონკურენციო ბრძოლას. ეკონომიკის გაჭიანურებული კრიზისის პირობებში სამივე იმპერიალისტური ცენტრი თავისი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს მეორის ხარჯზე. ამიტომ წინააღმდეგობანი მათ შორის არამც თუ ნელდება. პირიქით, სულ უფრო იზრდება და საშიშ ხასიათს იღებს.

1976 წლის 29—30 ნოემბერს ჰაიაში შედგა „საერთო ბაზრის" ცხრავე ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრა „მაღალ დონეზე", რომელზეც, პირველად ამ გაერთიანების ისტორიაში, განიხილეს იაპონიის სავაჭრო ექსპანსიის პრობლემა. ცხრავე მონაწილემ ერთსულოვნება გამოიჩინა ამ საკითხის განხილვისას და იაპონიას „შეუნიღბავი გაფრთხილებით" მიმართა, მომავალი სამი თვის განმავლობაში „საერთო ბაზართან" ვაჭრობაში შეამციროს თავისი აქტიური სალდო.

---

[1] გაზეთი „პრავდა", 9. XI-1976 წ.

„ევროპის საბჭომ" განაცხადა, რომ იმედი აქვს, მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც საჭიროა დასავლეთ ევროპის მიზნების განხორციელებისათვის არა უგვიანეს 1977 წლის თებერვლამდე, როცა გათვალისწინებულია „საერთო ბაზრის" შემდეგი სხდომა.

მაგრამ იაპონიის ბიზნესმენებმა არაფრად ჩააგდეს ასეთი მუქარა და „ვაჭრობის თავისუფლების" მოტივით კვლავაც აგრძელებენ სავაჭრო ექსპანსიას დასავლეთ ევროპაში. ამის შედეგად ეკონომიკური წინააღმდეგობანი „საერთო ბაზარსა" და იაპონიას შორის ნამდვილ სავაჭრო ომად იქცევა. ამ ორ ცენტრს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომ შეთანხმებულიყვნენ გემთმშენებლობის დარგში პარიტეტულ საწყისებზე შეკვეთების გაყოფის შესახებ. მაგრამ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გემთმშენებლობის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 1977 წლის იანვრის შუა რიცხვებში პარიზში გაიმართა, იაპონიამ უარყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ეს წინადადება. საქმე იმაშია, რომ 1976 წელს იაპონიის გემთსაშენებმა ხელთ ჩაიგდეს ყველა იმ შეკვეთის 85%, რაც კი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების გემთმშენებლებმა მიიღეს. დასავლეთ ევროპის კონცერნებმა ეს ფაქტი მოგების ხელყოფად მიიჩნიეს. ამას მოჰყვა წინააღმდეგობის გამწვავება იაპონიასა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. გამწვავდა ურთიერთობა აშშ-თანაც. ამრიგად, ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში კვლავ მწვავდება ურთიერთობა სამ იმპერიალისტურ ცენტრს შორის. ამ წინააღმდეგობის აცილების მიზნით, 1977 წლის იანვრის შუა რიცხვებში, ტოკიოში მიმდინარეობდა „ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის საამბრივი კომისიის" მორიგი სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა დაახლოებით 60 თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი და ბიზნესმენი. სესიაზე მთავარი საკითხი იყო ამ სამ იმპერიალისტურ ცენტრს შორის ეკონომიკური ურთიერთობის საკითხი. იაპონიის მიმართ ამ ქვეყნებმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მათმა დეფიციტმა იაპონიასთან ვაჭრობაში 1976 წელს 6 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. იაპონიის მხარე ცდილობდა, ეს სესია გამოეყენებინა (რომლის მუშაობა საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა) დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ანტიიაპონური განწყობილების ნეიტრალიზაციისათვის.

სესიის მონაწილეებმა განიხილეს აშშ-ში, გფრ-ში, იტალიასა და იაპონიაში პოლიტიკური ვითარების ცვლილებები, ინფლაციის დაძლევის და ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით ამ სამ ცენტრს შორის ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის საკითხები.

სესიაზე განიხილეს აგრეთვე სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხები.

სესიამ ვერ აღმოფხვრა ამ სამ იმპერიალისტურ ცენტრს შორის არსებული ეკონომიკური წინააღმდეგობანი.

1977 წლის იანვარში ბრიუსელში შედგა „საერთო ბაზრის" ქვეყნების მინისტრების თათბირი, რომელიც შეეცადა ამ წინააღმდეგობის მოგვარებას. თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ. განაგრძონ პოლიტიკური დაწოლა იაპონიაზე, რათა მან შეკვეცოს თავისი სავაჭრო ექსპანსია დასავლეთ ევროპაში [1].

ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ 1977 წლის თებერვლის დამდეგს გადაწყვიტა შემოიღოს დამატებით 20-პროცენტიანი დემპინგის საწინააღმდეგო ბაჟი იაპონიის საკისართა მრეწველობის პროდუქციაზე.

იაპონიის ოფიციალური და საქმიანი წრეები მტრულად შეხვდნენ ამ ღონისძიებას, რომელიც მიიჩნიეს ქვეყნის სავაჭრო ინტერესების „ხელყოფად". იაპონიის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა იაპონიის საკისართა ექსპორტის მიმართ შეზღუდული ბარიერების გამო.

იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ტ. ტანაკამ განაცხადა, რომ მის სამინისტროს განზრახული აქვს გაატაროს შესაბამისი საწინააღმდეგო ღონისძიებანი. ამასთანავე მან და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიში გამოთქვეს, რომ ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ შეიძლება. გააფართოოს შეზღუდვები იაპონიიდან სხვა საექსპორტო საქონლის მოწოდებაზე.

ამრიგად, მორიგი ჭარბი წარმოების მწვავე კრიზისის პირობებში სამი ცენტრის მონოპოლისტების ტრანსკონტინენტური შეჯახება ცხადყოფს კაპიტალისტურ სამყაროში წინააღმდეგობების შემდგომ გამწვავებას.

იაპონიის საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპარსეთის ყურის ქვეყნებს. იაპონიას აქვს მრავალრიცხოვანი სატანკერო ფლოტი, ნავთობს ყიდულობს ირანსა და არაბეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ავსტრალიიდან იაპონიაში იმპორტის ხვედრითი წონა შემდეგი სახის საქონელზე: რკინის მადანი, ქვანახშირი, ბოქსიტები, ბუნებრივი გაზი და ა. შ. ავსტრალიას ნედლეულისა და სათბობის ექსპორტის საერთო ღირებულებით იაპონიაში მეოთხე ადგილი უკავია.

საყურადღებოა, რომ იაპონიის მსხვილი მონოპოლიები კაპიტალის

---

[1] გაზეთი „პრავდა", 30. I-1977 წ.

ფართო ექსპორტს ეწევიან არა მარტო აზიის გახვითარებად ქვეყნებში, არამედ აშშ-ში, კანადაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, დასავლეთ ევროპაში და აფრიკაში. შერეულ საწარმოებში ადგილობრივ კაპიტალსაც იყენებენ.

იაპონიის ეკონომიკურ ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩინეთს. 1972 წლის შემოდგომაზე ორივე სახელმწიფომ ხელი მოაწერა ერთობლივ განცხადებას მათ შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. ამის შემდეგ ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის სწრაფად ვითარდებოდა. 1972—1975 წლებში იაპონიის საგარეო ვაჭრობის ხვედრითი წონა ჩინეთთან 19-დან 30%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში იაპონიის ექსპორტის ღირებულება გაიზარდა 690 მლნ. დოლარიდან 2,5 მლრდ. დოლარამდე. რაც შეეხება ჩინეთიდან იაპონიაში ექსპორტს, იგი, ჩინეთის ეკონომიკაში საშინაო სიძნელეების გამო, უფრო ნელა ვითარდებოდა. 1975 წელს ჩსრ-ს იაპონიასთან ვაჭრობაში ჰქონდა არახელსაყრელი ბალანსი. იგი 1 მლრდ. დოლარს შეადგენდა. ჩინეთს იმედი ჰქონდა, იაპონიაში თავისი ექსპორტი ნავთის მიწოდებით გაეზარდა. მაგრამ ხარისხით ზეძმე ჩინური ნავთი (პარაფინული) გამოუსადეგარი აღმოჩნდა იაპონიის მრეწველობისათვის.

იაპონიის საგარეო ეკონომიკური კავშირის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლათინური ამერიკის ქვეყნებს. ეს რაიონი უმსხვილესი წყაროა იაპონიის ეკონომიკის მრავალი სახის ნედლეულით უზრუნველსაყოფად. იგი ამავე დროს კაპიტალის ხელსაყრელი დაბანდებისა და მზა პროდუქციის გასაღების საუკეთესო ბაზარია.

70-იანი წლების დასაწყისში ექსპორტის მოცულობით ლათინური ამერიკის ქვეყნებში იაპონიამ მესამე ადგილი დაიკავა კაპიტალისტურ სამყაროში. იაპონიას ამ ქვეყნებში შეაქვს მანქანები და მოწყობილობები: ლითონის დამმუშავებელი დაზგები, სოფლის მეურნეობის მანქანები, ელექტროენერგეტიკული და საკონსტრუქტორო მოწყობილობები, ტელევიზორები და რადიომიმღებები. ავტომანქანები და გემები, ფოტოაპარატურა და საათები, დაგლინული შავი ლითონი, ქიმიური პროდუქტები, საფეიქრო ნაწარმი. ექსპორტის ყველაზე მსხვილი საქონელია გემები. რომლებზეც შეკვეთას აძლევენ ამერიკელი და ბერძენი გემთმფლობელები. ისინი გადასახადების აცილების მიზნით თავიანთ გემებს ასაღებენ პანამის, გონდურასის და ლიბერიის ხომალდებად. მაგალითად, პატარა პანამა მხოლოდ ფორმალურად ითვლება იაპონიის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად. პანამის იაპონიასთან ვაჭრობის 90 — 95% გემებზე მოდის. 1974 წელს აქ შემოტანილი იაპონური გემების საერთო ღირებულება 847 მლნ. დოლარს შეადგენს.

1974 წელს ლათინური ამერიკის ქვეყნებზე მოდიოდა იაპონიის მთელი ექსპორტის 8,8% და იმპორტის 3,8%[1].

იაპონიის მონოპოლიები გაძლიერებით იჭრებიან ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკაში. იაპონიის კაპიტალი მონაწილეობს ბრაზილიის მადნის დამუშავებაში კარაჯასში. 1979 წელს აქ დაგეგმილია 50 მლნ. ტონა მადნის ამოღება წელიწადში, რომელთაგან იაპონიაში უნდა გაიტანონ 7-დან 14 მლნ. ტონამდე. იაპონიის მონაწილეობით მიმდინარეობს უმსხვილესი სამრეწველო კომპლექსის მშენებლობა. მასში შედის კომბინატი, რომელიც წელიწადში 320 ათას ტ. ალუმინს აწარმოებს, შემდეგ კი მისი სიმძლავრე გაორკეცდება და იგი კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე დიდი ქარხანა იქნება. კომპლექსში შედის აგრეთვე ჰიდროელექტროსადგური 3,7 მლნ. ტონა კილოვატსაათის სიმძლავრით. იაპონიის კაპიტალის მონაწილეობით ბრაზილიის შტატში მინას-ჟერაისში ააგეს ქარხანა, რომელიც წელიწადში 1,400 ათას ტონა ფოლადს აწარმოებდა (1975 წლამდე), ხოლო 1976 წლისათვის მისი სიმძლავრე 2,400 ათას ტონამდე გაიზარდა, 1978 წლისათვის კი იგი 3500 ათას ტონამდე გაიზრდება. იაპონიის აქციონერების ხელშია ამ ქარხნის კაპიტალის 17,8% და ისინი მონაწილეობენ მის მართვაში. იაპონიის კომპანია „ტოსიბა" აფართოებს ელექტრომოწყობილობების (ელექტრომოტორების, გენერატორების, ტრანსფორმატორების და სხვა) წარმოებას, ხოლო „ფუძიკოსი" — საკისართა წარმოებას.

იაპონიის კაპიტალდაბანდება განუწყვეტლივ იზრდება ლათინურ ამერიკაში. 1975 წლის მარტისათვის იაპონიის კომპანიებმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში დააბანდეს 2510 მლნ. დოლარი (მარტო ბრაზილიაში 1253 მლნ. დოლარი), რაც შეადგენს იაპონიის საზღვარგარეთ დაბანდებული მთელი კერძო ინვესტიციების 19,8%-ს. კაპიტალდაბანდებები განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გაიზარდა. 1972 წელს ბრაზილიაში დაბანდებული იყო 282 მლნ. 1974 წელს — 699 მლნ. დოლარი. იაპონიასა და ბრაზილიას შორის მრავალი შეთანხმება არსებობს ბრაზილიის ეკონომიკის წამყვან დარგებში იაპონიის კაპიტალის მონაწილეობის შესახებ.

1975 წელს არგენტინაში, პარაგვაისა და ურუგვაიში იმყოფებოდა იაპონიის ეკონომიკური მისია სავაჭრო-სამრეწველო პრეზიდენტის ს. ნაგანოს მეთაურობით. იგი არგენტინის მთავრობას შეუთანხმდა

---

1 1974 წელს იაპონიამ ამ ქვეყნებიდან გაიტანა 34,1 მლნ. ტ. რკინის მადანი (ე. ი. ამ ნედლეულის იმპორტის 24%), 261 ათასი ტ. სპილენძის მადანი, 426 ათასი ტ. თუთიის მადანი, 215 ათასი ტ. ბამბის და სხვა ნედლეულის და სურსათის საქონელი.

200 მლნ. დოლარის კრედიტის მიცემაზე მეტალურგიული ქარხნის გაფართოებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის.

იაპონიის ექსპანსია ლათინურ ამერიკაში გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება აშშ-ის და გფრ-ის მონოპოლიების მხრივ. იაპონიისა და გფრ-ის მონოპოლიები რიგ შემთხვევაში ერთიანდებიან აშშ-ის მონოპოლიების წინააღმდეგ. მაგალითად, ისინი გაერთიანდნენ და ვენესუელის მთავრობას 5—10%-ით ნაკლებ ფასად შესთავაზეს, ვიდრე აშშ-ის მონოპოლიებმა 40 მლრდ. იენის საერთო თანხის გენერატორები ჰიდროელექტროსადგურ „გურის" მშენებლობისათვის.

იაპონიას ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ვაჭრობაში აქვს აქტიური ბალანსი—ექსპორტი ბევრად აღემატება იმპორტს და განუწყვეტლივ იზრდება იაპონიის სასარგებლოდ. მაგალითად, 1974 წლისათვის იაპონიის ექსპორტი ამ ქვეყნებში 1970 წელთან შედარებით 4.2-ჯერ გაიზარდა, იმპორტი კი — მხოლოდ 1,8-ჯერ, რომლის შედეგად უკანასკნელ წლებში ექსპორტი ორჯერ აღემატება იმპორტს.

იაპონიის პოზიციების თანდათანობითი გაძლიერება ლათინურ ამერიკაში აშშ-ის ხარჯზე იმით აიხსნება, რომ ამ ქვეყნების მმართველი წრეები ცდილობენ შეასუსტონ აშშ-ზე თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულება. ისინი ცდილობენ, იაპონიის ეკონომიკური ექსპანსია განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩააყენონ და აიძულონ, რომ პატივი სცენ ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ სუვერენიტეტს. მაგრამ ლათინური ამერიკა კვლავ იმპერიალისტური ქვეყნების მონოპოლიების განუსაზღვრელი ბატონობის სფეროდ რჩება.

ეროვნული პრესტიჟისა და მსოფლიოში თავისი პოზიციების გაძლიერებისათვის იაპონიაში უკანასკნელ ხანს დიდ ყურადღებას უთმობენ სამხედრო სიძლიერის ზრდასაც. მაგალითად, 1960 წელს პირდაპირი სამხედრო ასიგნებანი 163 მლრდ. იენს შეადგენდა. შემდეგ ყოველწლიურად იზრდებოდა და 1972 წელს 800 მლრდ. იენამდე მიაღწია. ეს უზარმაზარი თანხა დაიხარჯა თანამედროვე არმიის შესაქმნელად და მისი ტექნიკის უახლესი სახით აღჭურვისათვის. 1972 წელს იაპონიის „თავდაცვის ჯარები" 260 ათასამდე კაცს ითვლიდა[1]. არმიის რაოდენობით და შეიარაღებით იაპონია ბევრად ჩამორჩება წამყვან ქვეყნებს, მაგრამ იაპონიის მთავრობა კვლავ აგრძელებს თავისი სამხედრო პოტენციალის გაზრდას. მეოთხე ხუთწლიანი გეგმით (1972—1976 წწ.) სამხედრო საქმისათვის დაიხარჯა 5,1 ტრილიონი

---

[1] ჯარებს ჰქონდათ შემდეგი შეიარაღება: 611 ტანკი, 653 თვითმავალი დანადგარი, 4500 ქვემეხი, თვითმმართველ ყუმბარები 130 „ჰოკის" და 150 „ნაიკის" ტიპისა, 40 საგუშაგო გემი, 11 წყალქვეშა გემი, 50 ნაღმოსანი, 1586 სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავი, აქედან 466 გამანადგურებელი.

ენი, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში (1967—1971 წწ.). განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების გაზრდას და მათი სარაკეტო ტექნიკით აღჭურვას.

1977 წლის მარტში ვადა გაუვიდა „თავდაცვის ძალების" შეიარაღების მეოთხე ხუთწლიან გეგმას.

1976 წლის 31 ოქტომბერს იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა ეროვნული თავდაცვის საერთო პროგრამა, რომელიც ახლო ჰომავალში იაპონიის ძირითადი სახელმწიფო პოლიტიკა გახდება შეიარაღებისა და სამხედრო პრობლემების დარგში. პროგრამაში მთავარი ყურადღება ეთმობა იაპონიის არმიის ფორმირებას და უახლესი სახის იარაღით აღჭურვას. ახალი სამხედრო პროგრამით, აშშ-ს შეიარაღებული ძალების ყოფნა იაპონიის ტერიტორიაზე ძალაში რჩება. იაპონია-ამერიკის „ხელშეკრულება უშიშროების" შესახებ მიჩნეულია იაპონიის სამხედრო დოქტრინის საფუძვლად, რომლის შესაბამისად ქვეყნის შეიარაღებული ძალები კვლავ აშშ-ის „თერმობირთვული ქოლგის" ქვეშ იქნება და პენტაგონის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს დაემორჩილება. ითვალისწინებენ რა ვიეტნამის ომის შემდეგ შექმნილ ვითარებას, სამხედრო პროგრამის ავტორები ერთ-ერთ ამოცანად სახავენ, ხელი შეუწყონ ვაშინგტონის ახალ სტრატეგიულ გეგმებს აზიაში და იაპონია-ამერიკის ერთობლივი, ახალი სისტემის, სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებას.

ამ ბოლო დროს ვაშინგტონი მოითხოვს იაპონიისაგან, რათა გაზარდოს სამხედრო ძალები და გააქტიუროს თავისი როლი შორეულ აღმოსავლეთში.

იაპონიის ეროვნული დაცვის სამმართველო, რომელიც ფაქტობრივად სამხედრო სამინისტროს ფუნქციებს ასრულებს, აცხადებს, რომ იგი „თავდაცვის ძალებს" თვლის ამერიკის მთავარ მოკავშირედ შორეულ აღმოსავლეთში. იაპონია რჩება უატომო ქვეყნად. მაგრამ მთავრობის ხელმძღვანელთა განცხადებით სწრაფად ვითარდება ატომური ენერგიის გამოყენება.

საყურადღებოა, რომ ატომური მრეწველობა შეიქმნა და განვითარდა აშშ-ის დახმარებითა და მისი კონტროლით. 1955 წლის ნოემბერში აშშ-სა და იაპონიას შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც ამერიკამ ვალდებულება იკისრა, იაპონიას გადასცეს გამამდიდრებელი ურან-235, მაგრამ იაპონიის ატომურ კვლევაზე კონტროლის უფლებით. 1968 წელს კი მათ შორის ახალი ათწლიანი შეთანხმება გაფორმდა ატომის დარგში თანამშრომლობის შესახებ. ამ შეთანხმების შედეგია ის, რომ 1976 წლისათვის იაპონიაში ოცამდე ატომური ელექტროსადგური მუშაობდა; 1971 წელს იაპონიას უკვე შეეძლო 40 ისეთი ატომური ბომბის შექმნა, როგორიც ხიროსიმაში ააფეთქა აშშ-მა.

§ 74. იაპონიის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობაში მრავალი სიძნელე იყო, მაგრამ იყო მიღწევებიც. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1956 წლის 19 ოქტომბერს მოსკოვში ერთობლივი დეკლარაცია საბჭოთა კავშირ-იაპონიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტისა და დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობის დამყარების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა იაპონიის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

1957 წლის დეკემბერში ხელმოწერილი იქნა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ხელშეკრულება საქონელბრუნვისა და გადახდის წესის შესახებ. იგი საფუძვლად დაედო სსრ კავშირისა და იაპონიის ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. 1966 წელს დაიდო „სსრ კავშირ-იაპონიის პირველი ხანგრძლივვადიანი, ხუთწლიანი შეთანხმება, რომელმაც განსაზღვრა ამ ორი ქვეყნის საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ოდენობა და სავაჭრო გარიგების პირობები.

1966 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირი და იაპონია შეთანხმდნენ ერთობლივი ავიახაზის გახსნის შესახებ იაპონიიდან ტოკიო-მოსკოვს შორის, რომელიც ძალაში შევიდა 1967 წელს. თუ ადრე მოსკოვიდან ტოკიომდე მატარებლით და გემით 10—11 დღე-ღამე იყო საჭირო, ახლა ავიაციით საკმარისია 12 საათი. ავიახაზი იაპონიიდან მოსკოვზე გავლით გაგრძელდა დასავლეთ ევროპის დედაქალაქებამდე. 1971 წლის ივნისიდან გაიხსნა საჰაერო მიმოსვლა ხაბაროვსკსა და დასავლეთ იაპონიის ცენტრალურ ქალაქ ნიიგატს შორის.

საბჭოთა კავშირ-იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის ნავსადგურს ნახოდკას, რომელიც მსხვილი ტრანსპორტის საკვანძო ცენტრად იქცა. სპეციალური შეთანხმებით ნახოდკაში გაიხსნა იაპონიის საკონსულო.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1973 წლის ოქტომბერში მოსკოვში მოწყობილმა შეხვედრამ და მოლაპარაკებამ ლ. ი. ბრეჟნევსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრს შორის: ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, სამეცნიერო დოკუმენტაციისა და მეცნიერ-მუშაკთა ურთიერთგაცვლის შესახებ.

1974 წლის მარტ-აპრილში მოხდა ამ ორ ქვეყანას შორის მიმართვების გაცვლა, ხოლო 1974 წლის მაის-ივლისში ა. ნ. კოსიგინმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა მოახდინეს სამახსოვრო ბარათების

ურთიერთგაცვლა ეკონომიკური თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებზე. 1975 წლის იანვარში მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება ა. გრომიკოსა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის. ყველა ამ მრავალმა შეხვედრამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 20 წლის განმავლობაში (1955—1975 წწ.) საბჭოთა კავშირ-იაპონიის ვაჭრობის მოცულობა 110-ჯერ გაიზარდა და 1975 წელს შეადგინა 3 მლრდ. დოლარი.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის და იაპონია-საბჭოთა კავშირის კომიტეტებში 1965 წლის დასაწყისიდან რეგულარულად ატარებენ ერთობლივ თათბირს, რაც დიდ როლს ასრულებს ორმხრივი მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საქმეში.

ყოველწლიურად ფართოვდება ორი ქვეყნის მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური თანამშრომლობა. ასეთ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა 1968—1971 წლებში, როდესაც ხელმოწერილ იქნა გენერალური შეთანხმება. იგი ითვალისწინებდა იაპონიიდან საბჭოთა კავშირში შორეული აღმოსავლეთის ტყის რესურსების დასამუშავებლად მანქანების შემოტანას და 150 მლნ. დოლარის კრედიტის ანგარიშში იაპონიისათვის ხე-ტყის მიწოდებას. ყოველივე ეს უნდა განხორციელებულიყო ნავსადგურ ვოსტოჩნის მეშვეობით, რომლის მშენებლობისათვის იაპონიის საიმპორტო ბანკმა 80 მლნ. დოლარი გამოყო კრედიტის სახით.

1976 წლის აპრილში ტოკიოში სსრ კავშირისა და იაპონიის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სამთავრობათაშორისო ოქმს საბჭოთა კავშირისათვის იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკის მიერ ხანგრძლივვადიანი კრედიტის მიცემის შესახებ — 1100 მლნ. დოლარი თანხის ოდენობით, ხოლო 1975 წლის ივნისში ხელმოწერილ იქნა გენერალური ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ სამხრეთ იაკუტიაში კოქსის ნახშირის საბადოების დამუშავებისა და იაპონიისათვის მისი მიწოდების შესახებ, რაც განხორციელდება 450 მლნ. დოლარის ოდენობის სხვადასხვა მოწყობილობისა და სახალხო მოხმარების საგნების შესყიდვის ანგარიშში.

უფრო ადრე, 1974 წლის შემოდგომაზე ხელი მოაწერეს გენერალურ შეთანხმებას ციმბირში ხე-ტყის რესურსების დამუშავების შესახებ. ამ შეთანხმებით საბჭოთა კავშირი გამოიყენებს საბანკო კრედიტს 500 მლნ. დოლარის ოდენობით იაპონიაში მანქანების, გემების, მოწყობილობების და სახალხო მოხმარების საგნების შესასყიდად. მიღწეულია შეთანხმება იაკუტიაში გაზის საბადოების ძიებისათვის.

1975 წლის 28 იანვარს ტოკიოში საბჭოთა კავშირმა და იაპონიამ ხელი მოაწერეს გენერალურ შეთანხმებას კუნძულ სახალინზე ნავ-

თობის და გაზის საბადოების ძიებისა და დამუშავების შესახებ. ამ შეთანხმების საფუძველზე სახალინზე საბჭოთა გეოლოგები იაპონიიდან იჯარით მიღებული სპეციალური მოწყობილობებით და მექანიზმებით ატარებენ გეოლოგიურ სამუშაოებს. ეს სამუშაოები 10 წლითაა დაგეგმილი და ისინი 200 მლნ. დოლარით დააფინანსა იაპონიის საიმპორტო ბანკმა. ამ კრედიტს საბჭოთა მხარე აანაზღაურებს ნავთობით ან გაზით, იმ შემთხვევაში, თუ იგი აღმოჩნდება ამ ძიების შედეგად. შემდეგ კი კრედიტის დაფარვა გათვალისწინებულია 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად, მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასებით, აქ მოპოვებული ნავთობის და გაზის 50%-ის მიყიდვით. ამ პროგრამის განხორციელებისათვის იაპონიაში შექმნილია სპეციალური კომპანია.

1976 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირმა და იაპონიამ ხელი მოაწერეს სამთავრობათაშორისო ოქმს იაპონიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის ხანგრძლივვადიანი კრედიტის საფუძველზე კომპლექტური მოწყობილობების, დიდი დიამეტრის მილების მიწოდების და ამიაკის ოთხი ქარხნის გადაცემის შესახებ.

ხელმოწერილია შეთანხმება იაკუტიაში გაზისა და ნავთობის საბადოების მსხვილმასშტაბიანი ძიებისა და დამუშავების შესახებ. ნავთობსადენის და გაზსადენის გაყვანაზე საბჭოთა კავშირიდან იაპონიაში, საიდანაც იაპონია ყოველწლიურად 20 მლრდ. კუბომეტრ გაზს მიიღებს 25 წლის განმავლობაში; შორეულ აღმოსავლეთში საკომპენსაციო საფუძველზე ორი ცელულოზა-ქაღალდის ქარხნის მშენებლობისა და სუბსიდიების ხარჯზე მზა პროდუქციის იაპონიისათვის მიწოდების შესახებ.

დადებულია კონვენცია წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზჭერისა და შეთანხმება თევზის სარეწაოების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საქმის რაციონალურად გამოყენებისა და ზღვის პროდუქტების კულავწარმოების პირობებს. ეს და სხვა მრავალი შეთანხმება ძალზე მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნისათვის.

ფართოვდება კავშირი და კონტაქტები პოლიტიკურ დარგშიც. პრაქტიკაში შევიდა ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა პირადი შეხვედრები და მიმართვების ურთიერთგაცვლა. 1966 წლიდან დაიწყო სსრ კავშირისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების რეგულარული კონსულტაციები, რომლებზეც იხილავენ ორმხრივი ურთიერთობისა და უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებს.

სსრ კავშირ-იაპონიის ურთიერთობის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1973 წლის მოსკოვის შეხვედრას და მოლაპარაკებას ლ. ი. ბრეჟნევსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრს შორის. ერთობლივ განცხადებაში მათ აღიარეს, რომ ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ ნორმალური ურთიერთობის განვითარებას. 1974 წლის მარტ-აპრილში

ახალი მომართვების გაცვლა მოხდა ლ. ი. ბრეჟნევსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრს შორის, ხოლო მაისში ა. ნ. კოსიგინმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა მოახდინეს სამახსოვრო ბარათების ურთიერთგაცვლა. 1975 წლის იანვარში მოსკოვში შედგა მოლაპარაკება ნ. ვ. პოდგორნისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის.

უკანასკნელ წლებში გაფართოვდა კონტაქტები სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და იაპონიის პარლამენტს შორის. პრაქტიკაში შევიდა ოფიციალური პარლამენტის დელეგაციების ურთიერთგაცვლა. 1973 წელს იაპონიაში შეიქმნა იაპონია-საბჭოთა კავშირის პარლამენტის მეგობრობის ასოციაცია, რომელიც აერთიანებს პარლამენტში შემავალი ყველა პარტიის 500 დეპუტატს.

მტკიცდება აგრეთვე ორივე ქვეყნის ცალკეული ქალაქებისა და ოლქების კავშირები, მათი ხელმძღვანელების შეხვედრები.

ფართოვდება თანამშრომლობა კულტურისა და ხელოვნების დარგში.

საბჭოთა კავშირი და იაპონია მეზობლები არიან და ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს, რომ მათ შორის ურთიერთობა მეგობრულ და ურთიერთხელსაყრელ პირობებში ვითარდებოდეს. საბჭოთა კავშირი გამოდიოდა და გამოდის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცების მოთხოვნით. ეს ეხება საზავო ხელშეკრულების დადების საკითხსაც. იაპონიაში ცალმხრივად უდგებიან საზავო ხელშეკრულების დადებას და მის გადაწყვეტას განიხილავენ როგორც „ტერიტორიული საკითხის" გადაჭრას. საბჭოთა კავშირი კი თვლის, რომ საზავო ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს ორმხრივი ურთიერთობის მთელ კომპლექსურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ გათვალისწინებულ იქნეს მეორე მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი რეალური მდგომარეობა.

აზრთა გაზიარება საზავო ხელშეკრულების საკითხზე ადრეც მიმდინარეობდა და 1975 წლის იანვარში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ყოფნის დროსაც მოხდა.

იაპონიაში არიან ისეთი გავლენიანი პირებიც, რომლებსაც არ სურთ დაძაბულობის შენელება და საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესება. მაგალითად, მათ გამოიყენეს ჩვენი თვითმფრინავის იძულებით დაჯდომა იაპონიაში, როდესაც აურზაური ატეხეს და უარი თქვეს, დაებრუნებინათ იგი ჩვენთვის. საბჭოთა თვითმფრინავი აშშ-ის მხედრიონთან ერთად მთლიანად დაშალეს. საბჭოთა მთავრობამ იაპონიის მთავრობის ეს მოქმედება შეაფასა, როგორც არამეგობრული ჩვენი ქვეყნისადმი.

იაპონიის მთავრობის ხელმძღვანელთა განცხადებებში ხშირია უკანონო ტერიტორიული პრეტენზიები. მაგალითად, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის 32-ე ყრილობაზე გამოსვლისას 1977 წლის 28 იანვარს პრემიერ-მინისტრმა ტაკეო ფუკუდამ გაიმეორა ტერიტორიული პრეტენზიები კურილის კუნძულებზე.

სკკპ XXV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, შეეხო რა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობას, აღნიშნა „...მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხებთან დაკავშირებით ზოგი ვინმე იაპონიაში, ხშირად გარედან წაქეზებით, ცდილობს დაუსაბუთებელი და უკანონო პრეტენზიები წამოუყენოს სსრ კავშირს. ეს, რა თქმა უნდა, კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების გზა არ არის. ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობაში კანონი უნდა იყოს ბწორედ კეთილმეზობლობა და მეგობრული თანამშრომლობა, რასაც კიდევაც ვესწრაფვით. მინდა გამოვთქვა იმედი, რომ იაპონია ცდუნებას არ აჰყვება და არ დააჯგება გზას, რომელზეც სურთ დააყენონ იმათ, ვინც ხალისით მოითბობდა ხელს საბჭოთა კავშირ-იაპონიის უთანხმოებაზე“ [1].

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ XXV ყრილობის მასალები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 29.

ს ა რ ჩ ე ვ ი

I თ ა ვ ი. **კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თანამედროვე იმპერიალიზმის თავისებურებანი** 3

§ 1. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე და მესამე ეტაპები 3

§ 2. თანამედროვე იმპერიალიზმის თავისებურებანი 4

§ 3. იმპერიალიზმის სამი ცენტრის შექმნა. ინტეგრაცია 9

§ 4. ორ იმპერიას შორის შეჯიბრების შედეგები 14

§ 5. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი 15

II თ ა ვ ი. **აშერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945 — 1976 წწ.)** 20

§ 6. ომის შედეგები 20

§ 7. აშშ 40-იან წლებში. საშინაო და საგარეო პოლიტიკა 21

§ 8. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მმართველობის სისტემის კრიზისი აშშ-ში. რეაქციისა და „ცივი ომის" გაძლიერება ორმოციანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში 31

§ 9. მაკარტიზმი და მაკარტისტული რეაქციის გაღვივება 1950—1954 წწ. 41

§ 10. დ. აიზენჰაუერის მთავრობის საგარეო პოლიტიკა 46

§ 11. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავება 60-იან წლებში და 70-იანი წლების დასაწყისში (1960—1977 წწ.) 50

§ 12. ჯ. კენედისა და ლ. ჯონსონის მთავრობების საშინაო პოლიტიკა 52

§ 13. ჯ. კენედისა და ლ. ჯონსონის მთავრობების საგარეო პოლიტიკა 57

§ 14. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა და განვითარება. ეკონომიკური განვითარება 60—70-იან წლებში 63

§ 15. რესპუბლიკური პარტიის მთავრობების საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1968 — 1976 წწ. 79

§ 16. მუშათა და კომუნისტური მოძრაობა 60—70-იან წლებში 92

§ 17. 1976 წლის არჩევნები და დემოკრატიული პარტიის გამარჯვება. 1974 — 1976 წლების ეკონომიკური კრიზისი 114

III თ ა ვ ი. **ინგლისი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ** 124

§ 18. ბრიტანეთის იმპერიალიზმის დასუსტება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 124

§ 19. კ. ეტლის მთავრობის საშინაო პოლიტიკა 128

§ 20. კ. ეტლის მთავრობის კოლონიური და საგარეო პოლიტიკა 132

§ 21. კონსერვატორული მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 50-იან წლებში და 60-იანი წლების პირველ ნახევარში (1951—1964 წწ.) 135

§ 22. მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე (1945—1957 წწ.) 147

§ 23. ვილსონის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 60-იან წლებში (1964 — 1970 წწ.) 153

§ 24. ე. ჰიტის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 160

§ 25. ინგლისის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ცვლილებანი სოციალურ სტრუქტურაში 167

§ 26. 1974—1976 წლების ეკონომიკური კრიზისი. 1974 წლის საპარლამენტო არჩევნები. VII და VIII ლეიბორისტული მთავრობები და მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა 173

§ 27. მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული ძალების მოძრაობა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე 182

§ 28. ჩრდილოეთ ირლანდიის ხალხის ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის 184

IV თ ა ვ ი. **საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საფრანგეთი მეოთხე რესპუბლიკის პერიოდში** 190

§ 29. საფრანგეთი დროებითი რეჟიმის დროს (1944—1946 წწ.) 190

§ 30. სამპარტიული კოალიციური მთავრობა კომუნისტების მონაწილეობით 199

§ 31. „მეხუთე ძალის" მთავრობის საშინაო, საგარეო და კოლონიური პოლიტიკა (1947—1951 წწ.) 203

§ 32. მეოთხე რესპუბლიკის კრიზისი. „მემარჯვენე ცენტრისტული" მთავრობა (1951 — 1956 წწ.) 205

§ 33. 1956 წლის არჩევნები. რესპუბლიკური ფრონტის მთავრობის შექმნა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა 209

V თავი. საფრანგეთი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპის დროს. მეხუთე რესპუბლიკა 216
§ 34. მეხუთე რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა 1958—1968 წწ. 216
§ 35. საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დაშლა 220
§ 36. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მისი თავისებურებანი 222
§ 37. დე გოლის საშინაო პოლიტიკა 229
§ 38. 1968 წლის მაის-ივნისის ამბ-ები და დე გოლის გადადგომა 230
§ 39. დე გოლის საგარეო პოლიტიკა 236
§ 40. მეხუთე რესპუბლიკა 1969—1974 წწ. ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის 239
§ 41. 1974—1976 წლების ეკონომიკური კრიზისი და წინააღმდეგობების გამწვავება 242
§ 42. კომპარტიის ბრძოლა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. მუშათა მოძრაობა 247
§ 43. მეხუთე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა 60-იანი წლების ბოლოს და 70-იან წლების დასაწყისს 250
VI თავი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 258
§ 44. მილიტარიზმის და რეაქციის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში (1945—1949 წწ.) 258
§ 45. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა 263
§ 46. გფრ-ის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 50-იანი წლების შუა პერიოდამდე 264
§ 47. კ. ადენაუერის მთავრობის საშინაო პოლიტიკა. დემოკრატიული ძალების ბრძოლა მილიტარიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ 267
§ 48. გფრ-ის შესვლა ნატოში და შეიარაღებული ძალების აღდგენა 269
§ 49. ეკონომიკური განვითარება და ქვეყნის მილიტარიზაცია 50—60-იან წლებში 271
§ 50. ქვეყნის მილიტარიზაციის არსი. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების გაზრდა 282
§ 51. კ. ადენაუერის საგარეო პოლიტიკა 288
§ 52. „ადენაუერია ერის" დასასრული. ლ. ერჰარდისა და კიზინგერის მთავრობები. მთავრობის „დიდი კოალიცია" 291
§ 53. კომუნისტური, მუშათა და დემოკრატიული მოძრაობა გფრ-ში 295
§ 54. „მცირე კოალიციის" მთავრობა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა 297
VII თავი. იტალია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 312
§ 55. ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება იტალიაში 40—50-იან წლებში 312
§ 56. საგარეო პოლიტიკა ომის შემდეგ 50-იან წლებამდე 323

იტალია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე

§ 57. იტალიის ეკონომიკური და სოციალური განვითარება 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1977 წლამდე 326
§ 58. ცენტრისტული მთავრობის საშინაო პოლიტიკა. ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ძალებს შორის 332
§ 59. მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკის არსი. ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის (1963—1972 წწ.) 336
§ 60. მემარცხენე ცენტრისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკა 344
§ 61. „მემარცხენე ცენტრისტული" კოალიციის დაშლა და ჯ. ანდრეოტის „ცენტრისტული" მთავრობა 346
§ 62. ახალი „მემარცხენე ცენტრისტული" მთავრობა 352
§ 63. მუშათა და კომუნისტური მოძრაობა 60—70-იან წლებში 357
§ 64. ნეოფაშისტების ტერორისტული გამოხდომები 364
§ 65. 1975 წლის ივნისის საოლქო საბჭოების და 1976 წლის ივნისის პარლამენტის არჩევნები და კომუნისტების წარმატებები 367
§ 66. საგარეო პოლიტიკა 1974—1977 წლებში 373

VIII თავი. იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ . . . 376
§ 67. იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 50-იანი წლების შუა პერიოდამდე 376
§ 68. იაპონიის ეკონომიკური განვითარება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე 387
§ 69. საშინაო პოლიტიკა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე . 395
§ 70. 1974—1975 წლების ეკონომიკური კრიზისი . . . 400
§ 71. მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობა 406
§ 72. 1976 წლის საპარლამენტო არჩევნები—ტაკეო მიკის გადადგომა და ტაკეო ფუკუდას მთავრობის შექმნა 411
§ 73. იაპონიის საგარეო პოლიტიკა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე 418
§ 74. იაპონიის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან 433

Наниташвили Николай Леванович

НОВЕЙШАЯ ИСТОРИЯ ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН
ОСНОВНЫЕ КАПИТАЛИСТИЧЕСКИЕ СТРАНЫ
(1945—1976 гг.)
II раздел II части
(на грузинском языке)

ИБ № 470

რედაქტორი პროფესორი ა. ჩხეიძე
გამომც. რედაქტორი ლ. გელაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ინასარიძე
ტექრედაქტორი თ. მანჯგალაძე
ეფრ. კორექტორები ლ. შარაშენიძე,
ი. გოლეთიანი
კორექტორი მ. ქავთარაძე
გამომშვები ო. მაჭავარიანი

გადაეცა წარმოებას 21/XII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VII-78 წ. ქაღალდი № 2. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 27,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27,13.
ეე 06970. ტირაჟი 3 000. შეკვ. № 23.
ფასი 1 მან. 8 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.
1978

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების" კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.